780/3
2003
34/5

სვეტი



5—6

2003

სპეცჩე

(128)

სექტემბერი

დეკემბერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

პროზა, პოეზია

ერიხ მარია რემარკი. ბიუვარდეს მოუსვასი შენი. რომანი. დასასრული.
გერმანულიდან თარგმნა **ბადრი მხეიძემ** 3

ფრანგული პიესა. ფრანგულიდან თარგმნა **ნანა თარგამაძემ** 72

ვიქტორია ტოკარევა. მოთხრობები. თარგმნა **მურმან ცეცხლაძემ** 76

ქამილო ხოსე სელა. მოთხრობები. ესპანურიდან თარგმნა **მაკა გოგოლაშვილმა** . . 114

ავსტრიული პოეზია. გერმანულიდან თარგმნა **ლუდუ ლაღიანმა** 132

ჰაინრიხ ფონ კლაისტი. მარკიზა ფონ ო. ნოველა.
გერმანულიდან თარგმნა **რუხუდან ბექაშვილმა** 135

ტატიანა სუხოტინა. ქალიშვილის მოგონებები. გაგრძელება.
თარგმნა **ნანა დარჩია-ბოლქვაძემ** 162

წერილები

რუსუდან ბექაშვილი. ჰაინრიხ ფონ კლაისტის გოგოლური ხატი გერმანულ ლიტერატურაში 227

ნიკოლოზ ბერდიაევი. საუფლო სულისა და საუფლო კეისრის.
რუსულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო **ზაურ კილაძემ** 231

კეტე კამბურგელი. ბნელეთრული ლოგიკა. დასასრული.
გერმანულიდან თარგმნა **რუხუდან ლვინეფაძემ** 278

ეს საინტერესოა

მის ჰასე. ძილი და სიზმარი. დასასრული. მთარგმნელები:
ნინო ციცქიშვილი და **ფატმან ქოიავა** 298

საქართველოს მწერალთა საერთო ეროვნული
კავშირის ორგანო
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ჟურნალი

2003, № 5-6

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი

ნანა დარჩია-გოლქვაძე

სარედაქციო საბჭო:

ელზა ასვლედიანი
ნანა ასოგაძე
მანანა ამისულაშვილი
ჯემალ აჯიაშვილი
ნანა გართაია
გურამ გოგიაშვილი
ნანა გოგოლაშვილი
თამარ ერისთავი
რუსუდან ქეგულაძე
დალი ფანჯიკიძე
ეთერ ყურაშვილი
გივი შაჰნაზარი

ვაჟა ჩორდელი
პ/მგ მდივანი

გარეკანის პირველ გვერდზე „ხამთავისი".
გარეკანის მეოთხე გვერდზე „ერთაწმინდა".
ფოტოგრაფია **თამაზ ქიქავასი.**

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380026. ლესელიძის ქ. № 4. ტელ.: 99-73-41.

გადაეცა წარმოებას 11.10.2003 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.11.2003 წ., ქაღალდის ზომა 70X108 1/16, სააღრიცხვო თაბახი 16,5. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 20 ფორმა. ტირაჟი 300. შეკვეთა № 553.

შ. პ. ს „გამომცემლობა სამშობლოს" სტამბა.
თბილისი, მ. კოსტავას 14.

ერიხ მარია რემარკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიუვარდის ბოუჯასი შვნი

რომანი. გერმანულიდან

თარგმნა ბადრი მხეიძემ

— ეს რჩეულთა დარბაზია, — აუხსნა კლასმანმა კერნს. — ეს თითქმის სამოთხეა. ვინც აქ არის, ის ბინადრობის ნებართვას ფლობს და მის გასაგრძელებლად იღვწის.

კერნს დარბაზში შესვლისთანავე გულზე ლოდივით დააწვა იქ გამეფებული დარდისა და ჭმუნვის ატმოსფერო.

— ამას ეძახით სამოთხეს? — მიუბრუნდა კლასმანს.

— დიახ, შეხედეთ ერთი!

კლასმანმა ქალი დაანახა, რომელიც მათ ახლო მდებარე სარკმელს მოსცილდა. ქალი გიჟური აღტაცებით დაჰყურებდა მოწმობას, რაზეც მოხელემ ბეჭედი დაურტყა და უკან დაუბრუნა. იგი მომლოდინე ადამიანების ჯგუფისკენ გაიქცა.

— ოთხი კვირით! — სულმეგუბებელმა ახარა მათ ქალმა. — ოთხი კვირით გამიგრძელეს!

კლასმანმა კერნს გადახედა.

— ოთხი კვირა, — დღეს ეს თითქმის მთელი სიცოცხლეა. ასე არაა?

კერნმა დასტურად თავი დაუქნია.

ამჯერად სარკმელთან მოხუცი კაცი იდგა.

— მამ, რა ვქნა? — ჰკითხა დაბნეულმა მოხუცმა მოხელეს.

მოხელემ რაღაც უპასუხა ჩქარი ფრანგულით, რაც კერნმა ვერ გაიგო. მოხუცმა მოხელეს მოუსმინა.

— დიახ, მაგრამ მერე რა ვქნა? — მეორედ ჰკითხა მან.

მოხელემ ისევ აუხსნა.

— შემდეგი, — გამოაცხადა მერე და ქალალდებს სწვდა, რომელიც რიგით მომდევნო მთხოვნელმა მოხუცის თავს ზემოთ გადააწოდა.

მოხუცმა თავი შეაბრუნა.

— ჯერ მე არ მომითავებია! — უსაყვედურა მომდევნო მთხოვნელს. — მე ხომ ჯერ არ ვიცი, რა უნდა გავაკეთო. ვის უნდა მივმართო? — ჰკითხა მოხელეს.

მოხელემ რაღაც უთხრა და მომდევნო მთხოვნელის საბუთებს ჩახედა. მოხუცი ისე ებღაუჭებოდა სარკმლის რაფას, როგორც წყალწაღებული ხავსს.

დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 5-6, 2002 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა
2537 5

— მაშ, როგორლა მოვიქცე, თუკი თქვენ ბინადრობის ვადას არ მიგრძელებთ? — ჰკითხა მოხელეს.

მოხელეს ყურადღება არ მიუქცევია. მოხუცი უკან ძველმ ხალხს მიუბრუნდა:

— რა ვქნა ახლა?

მის წინ გაქვავებული, გატანჯული, შეწუხებული სახეების კედელი აღმართულიყო. არავინ უპასუხა, თუმცა რიგიდანაც არავინ აგდებდა. მის თავს ზემოდან ქალალდებს აწვდიდნენ სარკმელში, თან ცდილობდნენ მას არ შეხებოდნენ.

მოხუცი კვლავ მოხელეს მიუბრუნდა.

— ვიღაცამ ხომ უნდა მითხრას, რა ვქნა! — წყნარად გაიმეორა მან. შიშისგან თვალები გაფართოებოდა, რაღაცას ჩიფჩიფებდა. ბოლოს მის თავს ზემოთ სარკმლისკენ და უკან ტალღასავით მოძრავ ხელებქვეშ საცოდავად მოიბუზა, თუმცა ვენებდაბერილ, დანაოჭებულ ხელებს სარკმლის რაფას არ უშვებდა. მერე გაყუჩდა და მოულოდნელად, თითქოს ძალა წაერთვათ, ხელები ჩამოყარა და სარკმელს მოეშვა. დიდი, უსარგებლო ხელები თოკზე ჩამოკიდებული სათამაშოებივით არეულად ქანაობდნენ, თითქოს არასწორად იყვნენ მიბმული მხრებზე. თავი დაეხარა, ეტყობოდა, ვეღარაფერს ხედავდა. დაბნეული მოხუცი ჯერ კიდევ იქვე იდგა, როცა კერნმა სარკმელთან მორიგი შეძრწუნებული სახე დაინახა. ამას მოჰყვა გაცხოველებული ჟესტიკულაცია და მერე ისევ საშინელი გაქვავება, გონების არაადამიანური დაძაბვა, იქნებ რაღაც გზა ხსნისა გამოინახოთო.

— მაშ, ესაა საკითხე? — ჰკითხა კერნმა კლასმანს.

— დიახ, — მიუგო კლასმანმა. — ეს უკვე საკითხეა. მართალია, ბევრს უარით ისტუმრებენ, მაგრამ ბევრიც ნებართვის გაგრძელებას აღწევს.

რამდენიმე დერეფანი გაიარეს და ახლა მეორე დარბაზში შევიდნენ, რომელიც ვაგზლის მეოთხე კლასის მოსაცდელის ოდენა იქნებოდა. აქაც უამრავი ხალხი ირეოდა. მერხები ყველას საკმაოდ არ იყო. ხალხის ნაწილი ფეხზე იდგა, ზოგი იატაკზე იჯდა. კერნმა ტანსრული, შავგვრემანი ქალი შეამჩნია, რომელიც დარბაზის კუთხეში იატაკზე იჯდა კვერცხებზე გადაფაფრული კრუხივით. მას სწორნაკვთებიანი, უძრავი სახე და შუაზე გაყოფილი შავი დაწნული თმა ჰქონდა. ქალს გარშემო ბავშვები ეხვეოდნენ. ყველაზე პატარა გაშიშვლებულ მკერდზე ჰყავდა მიკრული. დარბაზში გამეფებული ხმაურის მიუხედავად, ქალი აუღელვებლად იჯდა ჯანმრთელი ცხოველის ერთგვარი სიდიადითა და დედობის ყოვლისმომცველი ძალით და თვალს არ აცილებდა თავის ნაშიერთ, რომლებიც ისე დაცოცავდნენ მის მუხლებსა და ზურგზე, თითქოს ძეგლი ყოფილიყო.

ქალის სიახლოვეს შავ ხიფთანიანი, ჭაღარა, მეჩხერწვერიანი და კულულებიანი მომლოდინე ებრაელების ჯგუფი იდგა. ისინი იდგნენ და ელოდნენ. ელოდნენ ისეთი ბიბლიური, შეურყეველი მოთმინებით, თითქოს უკვე რამდენიმე ასეული წელი იყო, რაც აქ იდგნენ, და იცოდნენ, რომ კიდევ რამდენიმე საუკუნე მოუწევდათ ლოდინი. კედელთან,

მერხზე ორსული ქალი იჯდა, მის გვერდით — მამაკაცი, რომელიც დროდადრო ნერვიულად იფშვნეტდა ხელებს, იმის გვერდით კი თეთრთმიანი კაცი, რომელიც ჩუმად ელაპარაკებოდა მტირალ ქალს. მოპირდაპირე მხარეს ახალგაზრდა ხუწუწებიანი კაცი სიგარეტს აბოლებდა და ქურდულად უყურებდა მის წინ მჯდომ ლამაზ, ელეგანტურ ქალს, ხელთათმანების გახდა-ჩაცმით რომ ერთობოდა. მათ სიახლოვეს ულვაშიანი ემიგრანტი იჯდა, რომელიც უბის წიგნაკში რაღაცას იწერდა. რამდენიმე რუმინელი ორთქლის ქვაბივით ქშინავდა. ვიღაც კაცი ჯიბიდან ფოტოსურათებს იღებდა, ათვალიერებდა, ჯიბეში იდებდა და ისევ იღებდა. სქელი ქალი იტალიურ გაზეთს კითხულობდა. მის გვერდით დაღვრემილი გოგონა იჯდა და მთელი თავისი არსებით დარდი მისცემოდა.

— აქ მხოლოდ ის ხალხია, ვისაც ბინადრობის ნებართვის მისაღებად განცხადება აქვს შეტანილი, — აუხსნა კლასმანმა კერნს, — ან ისინი, ვისაც განცხადების შეტანა უნდა.

— რა საბუთებია ამისთვის საჭირო?

— უმეტესობას ვარგისი ან ვადაგასული, გამოსაცვლელი პასპორტი აქვს ან რაღაც სხვა საბუთი, მაგალითად, ვიზა იმის დასტურად, რომ ლეგალურად არის ჩამოსული.

— მაშ, ეს განყოფილება ყველაზე უარესი არ ყოფილა.

— არა, — დაუდასტურა კლასმანმა.

კერნმა შეამჩნია, ჯიხურებში მამაკაცი პოლიციელების გარდა, ქალიშვილებიც ისხდნენ. ისინი ლამაზები იყვნენ. ტანთ კოხტად ეცვათ. უმეტესობას ღია ფერის ბლუზაზე შავი სატინის სამკლაურები ეკეთა. კერნს წამით უცნაურად ეჩვენა, ჯიხურებში მსხდომი ადამიანები ესოდენ მნიშვნელობას რომ ანიჭებდნენ თავიანთი ბლუზების სახელოების სისუფთავეს, მაშინ როცა დარბაზში შეყრილი ხალხი ლამის მთელი ცხოვრება ჭუჭყში ფართხალებდა.

— ბოლო ხანს აქ, პრეფექტურაში, ვითარება დაიძაბა, — უთხრა კლასმანმა. — ყოველთვის, როცა გერმანიაში ისეთი რაღაც ხდება, რაც მის მეზობელ ქვეყნებს აშფოთებს, ამას პირველად ემიგრანტები იწვნევენ ხოლმე საკუთარ ტყავზე. ისინი განტევების ვაცს წარმოადგენენ როგორც ერთი, ისე მეორე მხარისათვის.

კერნმა სარკმელთან გონიერი სახის ხმელი მამაკაცი შენიშნა. ეტყობოდა, საბუთები წესრიგში ჰქონდა. ქალიშვილმა ჯიხურიდან რამდენიმე შეკითხვა დაუსვა, მერე ქაღალდები გამოართვა, თავი დაუქნია და წერას შეუდგა. ამ დროს კერნმა დაინახა, რომ სარკმელთან მომლოდინე კაცს უცბად ოფლმა დაასხა. დარბაზში ციოდა, თანაც კაცს მხოლოდ თხელი საზაფხულო კოსტიუმი ეცვა, და მაინც მისი კანის ყველა ფორიდან ოფლმა გამოქონა, სახე აულაბლაპდა, შუბლსა და ლოყებზე გამჭვირვალე წვეთები ჩამოეკიდა. კაცი გაუნძრევლად იდგა. იდაყვები სარკმლის რაფაზე დაეწყო. თავაზიანი, მაგრამ არა მახვეწარი იერი ჰქონდა, მთელი გულისყური მოეკრიბა პასუხის გასაცემად. მისი სურვილის აღსრულებას ბევრი აღარაფერი უკლდა, მაგრამ მაინც სიმწრის ოფლი ასხამდა, თითქოს უგულობის უსილავ მაყალზე იწვოდა. კაცს რომ ეყვირა, აღშფოთებულიყო ან ხვეწნა დაეწყო, კერნს ეს იმდენად

შემზარავი არ მოეჩვენებოდა. მაგრამ ის, რომ კაცი თავაზიანად, თავდაჭერილად იქცეოდა, მისი ფორები კი მის ნებისყოფას სვამენიდა, ისეთ შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქოს კაცი საკუთარ თავში იხრჩობაო. ეს იყო პირველყოფილი დაუძლეველი შიში, რომელსაც ადამიანური ღირსების ყველა ჯებირი მოერღვია.

ქალიშვილმა კაცს საბუთები დაუბრუნა და თან კეთილი სიტყვა მიადევნა. კაცმა დახვეწილი ფრანგულით მადლობა გადაუხადა და სწრაფად გაშორდა იქაურობას. მხოლოდ დარბაზის გასასვლელში გაშალა საბუთები, რათა ენახა, რა ჩაუწერეს. ქალალდზე მხოლოდ ბეჭდის მოლურჯო კვალი და რამდენიმე ანკეტური მონაცემი იყო. კაცს კი მოეჩვენა, თითქოს სევდიან დარბაზში მაისი დამდგარიყო და ბულბულები გალობდნენ.

— ხომ არ წავიდეთ? — ჰკითხა კერნმა კლასმანს.

— დაკმაყოფილდი ნახულით?

— დიახ.

ისინი გასასვლელისკენ გაემართნენ. გზად ლატაკი ებრაელების ჯგუფი შემოხვდათ, გაბურძგნილი, მშიერი ჭკების გუნდივით რომ შემოერტყნენ გარს.

— გთხოვთ... დაგვეხმაროთ... — მორჩილად, თავმდაბლად მიმართა მათ უხუცესმა ებრაელმა, თან ლაპარაკისას ხელებს იშველიებდა. — ჩვენ ფრანგული არ ვლაპარაკობთ... დაგვე... ხმარეთ... გთხოვთ, ადამიანო... ადამიანო...

— ადამიანო... ადამიანო... — ქოროსავით აჰყვნენ დანარჩენები, თან განიერ სახელოებს აფრიალებდნენ ჰაერში. — ადამიანო... ადამიანო...

ეტყობა, ეს ერთადერთი სიტყვა იცოდნენ გერმანულად, რადგან ერთთავად ამას იმეორებდნენ, თან გაყვითლებულ, დამჭლევებულ ხელებს იდებდნენ თავზე, შუბლზე, თვალებზე, გულზე და კვლავ და კვლავ გულის გამაწვრილებლად, დაჟინებულად და ლამის მლიქვნელურად ყაყანებდნენ: — ადამიანო... ადამიანო... — შიგადაშიგ უხუცესი ჩაურთავდა ხოლმე: — ჩვენც... ადამიანი. — მან ორიოდე სიტყვით მეტი იცოდა.

— იდიში იცით? — ჰკითხა კლასმანმა კერნს.

— არა, — მიუგო კერნმა. — არც ერთი სიტყვა.

— ამ ებრაელებმა მხოლოდ იდიში იციან. მთელი დღეები აქ არიან და ვერავის ვერაფერს აგებინებენ. ისეთ კაცს ეძებენ, ვინც თარჯიმნობას გაუწევთ.

— იდიში, იდიში, — მონდომებით დაუქნია თავი უხუცესმა.

— ადამიანო... ადამიანო... — ზუზუნებდნენ ებრაელები და აქეთ-იქით არწევდნენ აღგზნებულ, მეტყველ სახეებს.

— დაგვეხმარეთ... დაგვეხმარეთ... — უხუცესმა ჯიხურებისკენ გაიშვირა ხელი. — არ... იცი... ლაპარაკი... მხოლოდ... ადამიანი... ადამიანი...

კლასმანმა დანანებით გაიქნია თავი:

— იდიში არ ვიცი.

ჭკებმა კერნი მოაქციეს ალყაში.

— იდიში? იდიში? ადამიანო...

კერნმა თავი გააქნია. კალთების ფარფატი შეწყდა. მოძრაობა ჩაკვდა. წინ გადასრილმა, სახეგაქვავებულმა უხუცესმა ერთხელ კიდევ სცადა ბედი:

— არა...?

ეროვნული ბიბლიოთეკა

კერნმა კვლავ გააქნია თავი.

— აჰ! — უხუცესმა ებრაელმა ხელები მკერდთან მიიტანა, თითის წვერები ერთმანეთს მიადო და ფარიკით აიფარა. ასე ოდხავ წინწახრილი იდგა, თითქოს შორეულ ძახილს უსმენსო, მერე თავი დახარა და ხელები ნელა ჩამოუშვა ძირს.

კერნმა და კლასმანმა დარბაზი დატოვეს. დერეფნის ბოლოს, სადაც კიბე ჩამოდიოდა, ხმამაღალი მუსიკა შეგმოესმათ. სამხედრო მარში გრგვინავდა, ფანფარები ამაღელვებლად ჟღერდნენ.

— რა არის ეს? — ჰკითხა კერნმა კლასმანს.

— რადიო. ზემოთ პოლიციელების მოსასყენებელი ოთახებია. ახლა შუადღის კონცერტს გადმოსცემენ.

მუსიკა ნიაღვრად მოედინებოდა კიბეზე. ხმა დერეფანში გუბდებოდა და ჩანჩქერივით იღვრებოდა განიერ გასასვლელში, გარს უვლიდა და თავზე გადაედინებოდა მარტოსულ არსებას, სიბნელეში, კიბის ქვედა საფეხურზე რომ მიგდებულიყო შავი კოშტივით და შეშინებული აცეცებდა თვალებს. ეს ის ბერიკაცი იყო, ძლივს რომ მოსცილდა ულმობელ სარკმელს. მხრებაწურული, მუხლებმოკეცილი ისე უპატრონოდ, ისე უსუსურად ეგდო კუთხეში, იფიურებდით, ვეღარასოდეს წამოდგებაო, ზემოდან კი მოსჩქეფდა და ფერად კასკადებად მოლივლივებდა მძლავრი მუსიკა, ისეთივე შეუბრალებელი და დაუდგრომელი, როგორიც თავად ცხოვრებაა.

— წავიდეთ, — შესთავაზა კლასმანმა კერნს, — ყავის დალევას კიდევ მოვასწრებთ.

ისინი პატარა ბისტროს წინ ბამბუკის მაგიდას მიუსხდნენ. კერნს ცოტა გულზე მოეშვა, როცა შავი ყავა მოსვა.

— ბოლო სტადია რაღაა?

— ბოლო სტადია იმ უამრავი ადამიანის ყოფაა, რომლებიც სრულიად მარტო ცხოვრობენ და შიმშილობენ, ციხეებში არიან გამომწყვდეული, მეტროს სადგურებში, დანგრეულ სახლებში და სენის ხიდებქვეშ ათევენ ღამეს, — უპასუხა კლასმანმა.

კერნი ხალხის ნაკადს უყურებდა, ბისტროს მაგიდების წინ რომ მიედინებოდა. ქალიშვილმა, რომელსაც შლაპის კოლოფი მიეჭონდა, მათ წინ ჩაიარა და კერნს გაუღიმა. მან ერთხელაც მოიხედა უკან და ყმაწვილ კაცს ეშმაკური მზერა ესროლა.

— რა ხნისა ხართ? — ჰკითხა კლასმანმა.

— ოცდაერთი წლის. მალე ოცდაორისა გავხდები.

— მეც ასე ვვარაუდობდი. — კლასმანმა კოვზით ყავას მოურია. — ჩემი ვაჟიშვილიც თქვენი ხნისაა.

— ისიც აქ არის?

— არა, — უპასუხა კლასმანმა. — გერმანიაშია.

კერნმა თავი ასწია.

— გასაგებია. ეს ცუდია!

— მისთვის არა.

— მით უკეთესი.

— აქ რომ იყოს, მისი საქმე ცუდად იქნებოდა.

— ეგ როგორ? — გაუკვირდა კერნს.

— როგორ და, ჩემი ხელით თავ-პირს დავუნაყავდი.

— რატომ?

— პოლიციაში დამასმინა. ძლივს გამოვასწარი გერმანიიდან.

— რას მეუბნებით! დალახვროს ეშმაკმა!

— მე კათოლიკე ვარ, მორწმუნე კათოლიკე. ჩემი ყმაწვილი კი ორი წლის წინათ ნაცისტური პარტიის ახალგაზრდულ ორგანიზაციაში შევიდა. ახლა მათ ნაცად მებრძოლებს ეძახიან. რა თქმა უნდა, ეს ამბავი არ მომწონდა და ზოგჯერ ვსაყვედურობდი კიდეც. ყმაწვილი სულ უფრო და უფრო მტრულად მეპყრობოდა. ერთხელაც გამომიცხადა — დაახლოებით ისე, როგორც უნტეროფიცერმა ახალწვეულს: მოკეტე, თორემ სეირს გიჩვენებო. ხომ გესმით, დამემუქრა. სილა ვტკიცე. გაბრაზებული გავარდა და პოლიციაში დამასმინა. ოქმში ჩამოკაკლვით შეატანინა, რაც კი ნაცისტურ პარტიაზე ოდესმე ცუდი წამომცდენოდა. საბედნიეროდ, მათთან ჩემი მეგობარი მუშაობდა. მან დაუყოვნებლივ ტელეფონით შემატყობინა. მაშინვე გამოვიქეცი. ერთ საათში ჩემს დასაპატიმრებლად ჩვენსას გესტაპოელები მისულან. წინ თურმე ჩემი შვილი მიუძღოდათ.

— ეს სასუმარო ამბავი არაა, — თქვა კერნმა.

კლასმანმა თავი დაუქნია.

— როცა დავბრუნდები, არც მას ექნება სასუმაროდ საქმე.

— შესაძლოა, მაშინ მას თავად ჰყავდეს ვაჟიშვილი, რომელიც მასაც დაასმენს ალბათ კომუნისტებთან.

შეფიქრიანებულმა კლასმანმა კერნს შეხედა.

— თქვენ ფიქრობთ, ეს მდგომარეობა ამდენ ხანს გასტანს?

— არ ვიცი. ისე კი, მიჭირს იმის წარმოდგენა, რომ როდისმე სამშობლოს ვიხილავ.

შტაინერმა პიჯაკის მარცხენა ლაცკანზე ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ნიშანი დაიმაგრა.

— ბრწყინვალეა, ბეერ! — შეაქო მან ექიმი. — ეს სადღა იშოვეთ?

ბეერმა გაიღიმა.

— ერთმა პაციენტმა მომცა. მურტენთან ახლოს ავტოავარია მოუვიდა. მკლავზე არტაშანი დავადე. თავდაპირველად ფრთხილობდა და ყველაფერს აქებდა, რაც გერმანიაში ხდება. რამდენიმე სირჩა კონიაკის შემდეგ კი იქაური წესწყობილების გინებას მოჰყვა. ბოლოს სამახსოვროდ თავისი პარტიული ნიშანი დამიტოვა. მისდა სამწუხაროდ, იგი გერმანიაში უნდა დაბრუნებულიყო.

— დაილოცოს ის თქვენი პაციენტი! — შტაინერმა მაგიდიდან ლუ-ოჯი საქაღალდე აიღო და გახსნა. შიგ სვასტიკიანი ბლანკები და პროპაგანდისტული მასალა იდო. — ჩემი აზრით, ამან უნდა გაჭრას! ამისთანა სატყუარათი მისი გაცურება არ უნდა გამიჭირდეს.

პროპაგანდისტული მასალა და სვასტიკიანი ფურცლები ბეერს გამოართვა, რომელსაც გაურკვეველი მიზეზის გამო ერთ-ერთ ფაშისტური ორგანიზაციის უგზავნიდა შტუტგარტიდან. ბეერმა უამბო, რაც კერნს შეემთხვა. შტაინერს ბევრი არ უფიქრია, გადაწყვიტა ამერსთან წასულიყო და მისთვის ჭკუა ესწავლებინა.

— როდის აპირებთ გამგზავრებას? — ჰკითხა ბეერმა.

— თერთმეტზე. მაგრამ მანამდე თქვენს სამკერდე ნიშანს დაგიბრუნებთ.

— კეთილი. მე ერთ ბოთლ „ფენდანს" დაგახვედრებთ.

შტაინერი ამერსებთან წავიდა. კარზე დარეკა. კარი მოსამსახურე გოგომ გაუღო.

— ბატონი ამერსის ნახვა მსურს, — მოკლედ მოუჭრა შტაინერმა. — ჩემი გვარია ჰუბერი.

მოსამსახურე წავიდა და მალე დაბრუნდა.

— რა საქმეზე ხართ მოსული?

აბა, გაიფიქრა შტაინერმა, ეს კერნის დამსახურებაა. იცოდა, კერნისთვის არაფერი უკითხავთ, ისე შეუშვეს.

— პარტიულ საქმეებზე, — მოკლედ უთხრა მოსამსახურეს.

ამჯერად თავად ამერსმა იკადრა გამოსვლა. შტაინერს დაკვირვებით შეხედა. შტაინერმა ნაცისტური სალმის ნიშნად ხელი დაუდევრად ასწია მაღლა.

— პარტაიგენოსე ამერსი ხართ?

— დიახ.

შტაინერმა პალტოს ბორტი გადასწია და სამკერდე ნიშანი დაანახა.

— ჰუბერი, — წარუდგინა თავი. — მე საზღვარგარეთის ორგანიზაციიდან ვარ. თქვენთან რამდენიმე შეკითხვა მაქვს.

ამერსი მყისვე გასწორდა წელში და თავი დაუკრა.

— გთხოვთ, შემობრძანდეთ, ბატონო... ბატონო...

— ჰუბერ. უბრალოდ, ჰუბერ. კარგად მოგეხსენებათ... მტრის ყური ყველგანაა.

— ვიცი, ვიცი! დიდი პატივია ჩემთვის თქვენი მობრძანება, ბატონო ჰუბერ!

შტაინერის ვარაუდი სწორი აღმოჩნდა. ამერსს ფიქრადაც არ მოსვლია შეეჭვებულიყო. გესტაპოსადმი მორჩილება და შიში მკვიდრად ჰქონდა გამჯდარი ძვალ-რბილში. კიდეც რომ მიხვედრილიყო რამეს, შტაინერის საწინააღმდეგოდ შვეიცარიაში ვერაფერს მოიმოქმედებდა. შტაინერს ავსტრიული პასპორტი ჰქონდა ჰუბერის გვარზე. ხოლო იმას კი, თუ რამდენად მჭიდრო კავშირი ჰქონდა გერმანულ ორგანიზაციასთან, ვერავინ დაადგენდა. მათ შორის ვერც გერმანიის საელჩო, რომელიც დიდი ხანია მოკლებული იყო ინფორმაციას აიდუმლო პროპაგანდისტულ ღონისძიებათა შესახებ.

ამერსმა შტაინერი სალონში შეიყვანა.

— დაჯექით, ამერს, — უთხრა შტაინერმა და თვითონ ამერსის სავარძელში ჩაჯდა.

შტაინერმა საქალალდე გახსნა.

— თქვენთვის ცნობილია, პარტაიგენოსე ამერს, რომ საზღვარგარეთ ჩვენი მუშაობის მთავარი პრინციპია — დუმილი.

ამერსმა თავი დაუქნია.

— ჩვენ თქვენგანაც ამას ველოდებოდით — უხმაურო მუშაობას. ახლა კი რა გვესმის? თურმე თქვენ ვილაც ყმაწვილ ემიგრანტთან სკანდალი აგიტეხიათ!

ამერსი სკამიდან წამოხტა.

— ო, ის ყახალი! მართლა ავად გამხადა! ავად გამხადა და თან გამამასხრა იმ არამზადამ...

— გაგამასხრათ? — მკაცრად შეაწყვეტინა შტაინერმა. — საჯაროდ გაგამასხრათ, პარტაიგენოსე ამერს?

— არა, საჯაროდ არა! — ამერსი მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა. ალელვებისგან ლამის ენა დაება. — ჩვენ ორის გარდა არავინ ყოფილა. ნამდვილად ასეა!..

შტაინერმა გამჭოლი მზერა ესროლა.

— ამერს, — დინჯად მიმართა მერე, — ნამდვილი პარტაიგენოსე თავს არავის ააგდებინებს მასხრად! თუნდაც დამსწრეთა გარეშე! რა დაგემართათ, ვაჟკაცი არა ხართ? დემოკრატიულმა მემინდვრიამ ტვინი ხომ არ ამოგიჭამათ? გამასხრებული... ასეთი სიტყვა ჩვენ მიმართ დაუშვებელია! აი, სხვები კი ნამდვილად გამასხრებული არიან. გესმით?

— დიახ, რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! — ამერსმა შუბლზე ოფლი მოიწმინდა. თავი ლამის საკონცენტრაციო ბანაკში წარმოიდგინა. შეეცადა, გონება მოეკრიბა.

— ცხოვრებაში ეს ერთხელ შემემთხვა! ისე კი ფოლადივით მტკიცე ვარ. ჩემი ერთგულება ურყევია...

შტაინერმა ერთხანს ლაპარაკი აცალა. მერე სიტყვა ჩაურთო:

— კეთილი, პარტაიგენოსე. ვიმედოვნებ, ასეთი საქციელი აღარ გამეორდება. ამიერიდან ემიგრანტებს თავი გაანებეთ. გესმით? ჩვენ კმაყოფილი ვართ, ისინი თავიდან რომ მოვიშორეთ.

ამერსმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, ფეხზე წამოდგა და ბუფეტიდან ლიქიორის ორი მაღალფეხიანი, შიგნიდან მოოქრული ვერცხლის სირჩა გამოიღო. შტაინერმა ამრეზით შეხედა.

— ეს რაა? — მრისხანედ მიმართა ამერსს.

— კონიაკია. ვიფიქრე, ცოტა პირს გავისველებთ-მეთქი...

— კონიაკს ასეთი სირჩით მაშინ სვამენ, თუ არ ვარგა, — დამრიგებლური კილოთი უთხრა შტაინერმა, — ანდა როცა უბიწოთა საზოგადოების წევრებს უმასპინძლდებიან. მომიტანეთ ჩვეულებრივი ჭიქა, ოღონდ არა ასეთი პატარა...

— მესმის! — გაუხარდა ამერსს, რაკი ყინული გალღვა.

შტაინერმა შესვა. კონიაკი კარგი აღმოჩნდა. თუმცა ეს ამერსის დამსახურება არ იყო. უბრალოდ, შვეიცარიაში ცუდი კონიაკი არ არსებობდა.

შტაინერმა ბეერისგან ნათხოვარი პორტფელიდან საქაღალდე ამოიღო.

— სხვათა შორის, პარტაიგენოსე, თქვენთან ერთი პატარა საქმე მაქვს. ოღონდ მკაცრად საიდუმლოდ. თქვენ ალბათ იცით, რომ ჩვენი პროპაგანდა შვეიცარიაში ჯერჯერობით მოიკოჭლებს.

— დიახ, — წამსვე დაუდასტურა ამერსმა. — მეც ასე ვიცოდი.

— კეთილი, — მოწყალედ დაუქნია თავი შტაინერმა. — ეს უნდა გამოვასწოროთ. საიდუმლო ფონდი უნდა დავაარსოთ. — მან თავის სიაში ჩაიხედა. — ჩვენ უკვე გვაქვს მნიშვნელოვანი შემოწირულობები. მაგრამ მცირე შემოწირულებებზეც უარს არ ვამბობთ. ეს მშვენიერი სახლი თქვენი საკუთრებაა, არა?

— დიახ. თუმცა ორჯერ არის დაგირავებული. სიმართლე რომ ითქვას, ფაქტობრივად ბანკის საკუთრებაა, — საჩქაროდ აუხსნა ამერსმა.

— გირაო იმისთვის არსებობს, რომ ნაკლები გადასახადი გადაიხადო. პარტაიგენოსე, რომელიც ასეთ სახლს ფლობს, ისეთი ქარაფშუტა არ იქნება, ბანკში ფული არ მოეძებებოდეს. რამდენის შემოტანას აპირებთ?

ამერსი ყოყმანობდა.

— სწორედ ახლა ძალზე ხელსაყრელი მომენტია თქვენთვის, — წააქეზა შტაინერმა. — საქმე ისაა, რომ შემომტანთა სიებს ახლა პირდაპირ ბერლინში ვაგზავნით. რას იტყვით, თქვენს სახელზე ორმოცდაათი ფრანკი რომ ჩავწერო?

ამერსმა შვებით ამოისუნთქა. ისულ ცოტა ას ფრანკს მაინც ვარაუდობდა. მან კარგად უწყოდა, რა გაუმაძღარი მადა ჰქონდა პარტიას.

— თანახმა ვარ! — სასწრაფოდ დეთანხმა იგი. — ან სულაც სამოცი, — დაურთო მერე.

— კეთილი. მაშასადამე, სამოცი. — შტაინერმა ჩაიწერა. — ჰაინცის გარდა სხვა სახელიცა გაქვთ?

— ჰაინცი, კარლი, გოსვინი...

— გოსვინი ძალზე იშვიათი სახელია.

— დიახ. მაგრამ ნამდვილი გერმანული სახელია! ძველგერმანული. მეფე გოსვინი ხალხთა დიდი მიგრაციის დროს ზეობდა.

— მჯერა.

ამერსმა ორმოცდაათიანი და ათიანი ბანკნოტები დადო მაგიდაზე. შტაინერმა ფული ჯიბეში ჩაიდო.

— ქვითარი გამორიცხულია, — განუცხადა ამერსს. — ხომ გესმით, რატომ?

— თავისთავად ცხადია! საიდუმლოა! აქ, შვეიცარიაში... — ამერსმა შეთქმულივით თვალი ჩაუკრა.

— და ამიერიდან არავითარი უსარგებლო აყალმაყალი, პარტაიგენოსე! დუმილი წარმატების ნახევარია! მუდამ გახსოვდეთ ეს!

— მესმის! გასაგებია! რაც მოხდა, ცუდი გამონაკლისი იყო.

შტაინერი მიხვეულ-მოხვეული გზით დაბრუნდა დოქტორ ბეერ-

თან. გზაში ელიმებოდა. ღვიძლის კიბო! ყოჩაღ, კერნ! საინტერესოა, როგორი სახე გაუხდება, როცა ამ დამსჯელი ექსპედიციის ნაყოფს — სამოც ფრანკს მივუტან.

XVII

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარზე დააკაკუნეს. რუთმა მიაყურადა. ოთახში მარტო იყო. კერნი შუაღლისას გავიდა სამუშაოს საძებნად. რუთი ერთხანს ყოყმანობდა. მერე ფრთხილად ადგა, კერნის ოთახში გავიდა და შუაკარი მიიხურა. მათი ოთახები დერეფნის კუთხეში, აქეთ-იქით მხარეს გადიოდა. ამას თავისი უპირატესობა გააჩნდა იმ შემთხვევაში, თუ პოლიცია ალყას შემოარტყამდათ. ერთი ოთახიდან შეიძლებოდა ისე გასულიყავი, რომ მეორე ოთახის კართან მდგომი ვერ დაგინახავდა.

რუთმა უხმაუროდ გააღო კერნის ოთახის კარი, დერეფანში გავიდა და კუთხემდე მივიდა.

მისი კარის წინ ორმოციოდე წლის მამაკაცი იდგა. რუთი მას სახით იცნობდა. ის სასტუმროში ცხოვრობდა და გვარად ბროზე იყო. შვიდი თვეა მისი ცოლი მწოლიარე ავადმყოფი იყო. ორივე ლტოლვილთა დასმარების ფონდის მწირი შემწეობითა და თან წამოღებული მცირეოდენი ფულით ირჩენდა თავს. ეს არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა. სასტუმრო „ვერდენში" ყველამ ყველაფერი იცოდა ერთმანეთის შესახებ.

— საქმე გაქვთ ჩემთან? — ჰკითხა რუთმა.

— დიახ. თქვენთან თხოვნა მაქვს. თქვენ ხომ ფროილაინ ჰოლანდი ხართ?

— დიახ.

— მე ბროზე ვარ. ქვემოთა სართულზე ვცხოვრობ, — მორიდებით უთხრა კაცმა. — იქ ავადმყოფი ცოლი მიწევს, მე კი სამუშაოს საძებნად უნდა წავიდე. მინდოდა თქვენთვის მეკითხა, იქნებ დრო გქონდეთ...

ბროზეს გამხდარი, დატანჯული სახე ჰქონდა. რუთმა იცოდა, მისი დანახვისთანავე სასტუმროში ყველა იმალებოდა, რადგან ერთთავად ამხანაგსა და გამრთობს ეძებდა თავისი ცოლისთვის.

— იგი ხშირად მარტოა... ალბათ ხვდებით, რას ნიშნავს ეს... ამ დროს ადამიანს სასოწარკვეთილება იპყრობს. მთელი დღეები დანალვლიანებულია. მაგრამ თუ ხმის გამცემი გამოუჩნდა, კარგ გუნებაზე დგება. ვიფიქრე, იქნებ თქვენც გაერთოთ. ჩემი ცოლი გონიერი ქალია...

რუთი იმჟამად შალის პულოვერის მოქსოვას ცდილობდა. ვილაცამ უთხრა, ელისეს მინდვრებზე რუსული ფირმა ნაქსოვებს იძენს, რათა მერე სამმაგ ფასად გაყიდოსო. ქსოვას აპირებდა და ალბათ კაცს არც წაპყვებოდა, მაგრამ მისი უსუსური ტრაბახის შემდეგ, ჩემი ცოლი გონიერი ქალიაო, რატომღაც შერცხვა და გადაწყვიტა დათანხმებოდა.

— ახლავე, — უთხრა კაცს. — რაღაცებს ავიღებ და წამოგყვებით.

რუთმა ქიშმირის შალის ძაფი, ჩხირები და პულოვერის თარგი აიღო და ბროზეს გაჰყვა. ქალი მეორე სართულზე პატარა ოთახში იწ-

ვა, რომელიც ქუჩის მხარეს იყო. ოთახში შესვლისთანავე ბროზეს სახე გადაუსხვაფერდა, ყურებამდე გაიღიმა.

— ლუსი, ფროილაინ ჰოლანდი მოგიყვანე, — სხაპასხუფით მიახარა ქალს. — სიამოვნებით დამეთანხმა შენთან დარჩენაზე.

ორი შავი თვალი, ნაკვერჩხალივით რომ კიაფობდა, ცივ სახეზე, ეჭვიანად შეჰყურებდა რუთს.

— მე ახლა წავალ, — აჩქარებით დაურთო ბროზემ. — საღამოს დავბრუნდები. დღეს აუცილებლად რამეს ვიშოვი. ნახვამდის.

ბროზემ გაიღიმა, ხელის დაქნევით დაემშვიდობა ქალებს და კარი გაიხურა.

— საგანგებოდ მოგაკითხათ, არა? — ჰკითხა რუთს ფერმიხდილმა ქალმა მცირე ხნის შემდეგ.

რუთს თავდაპირველად უნდოდა სიმართლე დაემალა, მაგრამ გადაიფიქრა და თავი დაუქნია.

— ასევე ვფიქრობდი. გმადლობთ, რომ მოხვედით. მაგრამ მე მარტო კარგად ვგრძნობ თავს. მუშაობაში ხელს ნუ შეიშლით. დაძინებას ვაპირებ.

— საქმე არაფერი მაქვს, — უთხრა რუთმა. — მე მხოლოდ ახლა ვსწავლობ ქსოვას. ამას აქაც გავაკეთებ. საქსოვი თან წამოვიღე.

— ავადმყოფთან ჯდომაზე უფრო სასიამოვნო საქმეებს რა მოთვლის, — მოქანცული ხმით უთხრა ქალმა.

— სწორია. მაგრამ მარტო ჯდომას ეს მირჩევნია.

— ასე სანუგეშებლად ამბობენ ხოლმე, — წაილუღლუღა ქალმა. — ვიცი, ავადმყოფი უნდა ანუგეშო. შეგიძლიათ მშვიდად გამოიტანოთ, რომ არ გსიამოვნებთ უცნობ, უხასიათო ავადმყოფთან ჯდომა და ამას მხოლოდ ჩემი ქმრის თხოვნით აკეთებთ.

— არა, არა, — უპასუხა რუთმა, — სულაც არ მინდა ნუგეში გცეთ, უბრალოდ მსიამოვნებს, ვინმეს რომ ველაპარაკები.

— თქვენ შეგიძლიათ ქუჩაში გაისეირნოთ! — უთხრა ქალმა.

— ეგ მაინცდამაინც არ მიყვარს.

ქალმა არაფერი უპასუხა. რუთმა თავი აიღო და მის დაბნეულ თვალებს წააწყდა. ქალი იდაყვებზე წამოწეულიყო და რუთს აკვირდებოდა. უცბად მისი თვალებიდან ცრემლმა გადმოჩქეფა. წამში სახე დაუსველდა.

— ღმერთო ჩემო, — აქვითინდა ქალი, — რა უბრალოდ თქვით, მე კი ქუჩაში ერთხელ კიდევ რომ გამატარა...

ქალი ბალიშებზე გადაწვა. რუთი წამოდგა. იგი უყურებდა ნამუაღლევის მტვრიანი სინათლით განათებულ ღარიბულ ლოგინს, ავადმყოფი ქალის მონაცისფრო-თეთრ მოცახცახე მხრებს, ფანჯარაში კი მოჩანდა მზით გაჩახჩახებული ცივი ქუჩა, სახლის სახურავი და ზედ ვეებერთელა განათებული ბოთლი — აპერიტივ „დუბონეს“ ელექტრორეკლამა, რომელიც რატომღაც ნაადრევად ჩაერთოთ, და წამით მოეჩვენა, რომ ეს ყველაფერი შორს, სხვა პლანეტაზე ხდებოდა.

ქალი აღარ ტიროდა. ნელ-ნელა დამშვიდდა.

— თქვენ ისევ აქა ხართ? — ჰკითხა რუთს.

— დიახ.

— მე ერთი ისტერიული, ნერვებმოშლილი ქალი ვარ. ზოგჯერ მთელი დღე ასეთ გუნებაზე ვარ. გთხოვთ, არ გამინაწყენდეთ.

— რას ამბობთ! მე მხოლოდ დავიბენი.

რუთი საწოლთან დაჯდა. პულოვერის თარგი წინ დაეფინა და ქსოვას შეუდგა. ცდილობდა ავადმყოფისთვის არ შეეხედა. მის უკმედო სახეს თვალს არიდებდა. თანაც რცხვენოდა, თავად რომ ჯანმრთელი იყო.

ჩხირები სწორად არ გიჭირავთ, — მცირე ხნის შემდეგ უთხრა ავადმყოფმა. — ასე ქსოვა გაგიჭირდებათ. სხვანაირად უნდა გიჭიროთ.

რუთს ჩხირები გამოართვა და უჩვენა, როგორ უნდა ექსოვა. მერე ნაქსოვს დააკვირდა.

— აქ ერთი თვალი აკლია, — აუხსნა მან... — ხელახლა უნდა ამოიყვანოთ. უყურეთ, აი ასე.

რუთი ყურადღებით უსმენდა. ავადმყოფმა გაუღიმა. მისმა სახემ აზრიანი, მზრუნველი გამომეტყველება მიიღო. ერთიანად მუშაობაში ჩაეფლო. წელიწადნახევარი მღელვარების კვალიც აღარ ემჩნეოდა. დამჭკნარ ხელებს მსუბუქად, სწორტად ამოძრავებდა.

— ასე... — თქვა კმაყოფილმა. — ახლა თქვენ სცადეთ.

ბროზე საღამოს დაბრუნდა. ოთახში ბნელოდა. ფანჯარაში დაისის შაფრანისფერი ცა და „დუბონეს“ წითლად მოკამკაშე უზარმაზარი ბოთლი მოჩანდა.

— ლუსი! — დაიძახა კაცმა სიბნელეში.

საწოლში ქალი შეინძრა. ბროზესკენ სახე მოაბრუნა. ელექტრორეკლამა მის სახეზე ვარდისფრად ირეკლებოდა, თითქოს საოცრება მომხდარიყო და ქალი მოულოდნელად გამოჯანმრთელებულიყო.

— გეძინა? — ჰკითხა ქმარმა.

— არა. ისე ვიწექი.

— ფროილაინ ჰოლანდი დიდი ხანია წავიდა?

— არა. სულ ორიოდე წუთი იქნება.

— ლუსი... — კაცი ფრთხილად ჩამოჯდა საწოლის კიდეზე.

— ჩემო სიყვარულო. — ქალმა ხელზე ხელი გადაუსვა. — რამეს მიაგენი?

— ჯერ არა. მაგრამ მალე მივაგნებ.

ქალი ერთხანს ჩუმად იწვა.

— რა მძიმე ტვირთად გაწევარ, ოტო! — თქვა მერე.

— მაგას რად ამბობ, ლუსი! რა მეშველება, შენ რომ არ მყავდე?

— გათავისუფლდებოდი. რაც გინდა, იმას გააკეთებდი. შეგეძლო გერმანიაში დაბრუნებულიყავი და გემუშავა.

— მართლა ამბობ?

— ჰო, — უპასუხა ქალმა. — გამეყარე! ასეთ საქციელს იქ მოგიწონებენ.

— როგორც არიელს, რომელსაც საკუთარი სისხლი გაახსენდა და ებრაელ ქალს გაეყარა, არა? — ჰკითხა ბროზემ.

— ისინი დაახლოებით ასე მსჯელობენ. სხვა მხრივ ხომ არც გემტერებოდნენ, ოტო.

— არა. მაგრამ სამაგიეროდ მე ვემტერები მათ.

ბროზემ თავი ბალიშზე დადო. გაახსენდა, როგორ მივიდა მისი შეფი მასთან სამხაზველო ბიუროში და დიდხანს ელაპარაკა ახალ დროებაზე, მის შრომისმოყვარეობაზე და იმაზე, თუ რა საშენელი იქნებოდა სამუშაოდან დაეთხოვა მხოლოდ იმის გამო, რომ ებრაული ცოლი ჰყავდა. ბროზემ უსიტყვოდ დაიხურა ქუდი და წამოვიდა. ბოლოს დღის შემდეგ სახლის პორტიეს, რომელიც იმავდროულად კვარტალის დარაჯი და ნაცისტური პარტიის ჯაშუში იყო, ცხვირიდან სისხლი ადინა, რადგან მის ცოლს ებრაელი ღორი უწოდა. საქმე ძალზე ცუდად წავიდოდა, მაგრამ მისმა ადვოკატმა პორტიე იმაში ამხილა, რომ ლუდით გამომთვრალი მთავროზას აგინებდა. ამის მერე პორტიე სახლიდან გაქრა. მაგრამ ბროზეს ცოლი ქუჩაში გასვლას ველარ ბედავდა. ფორმიანი გიმნაზიელების დაცინვის ეშინოდა. ბროზემ სამუშაო ველარ იშოვა. ამიტომ პარიზში გამოემგზავრნენ. ქალი გზაში ავად გახდა.

შაფრანისფერ ცას ფანჯარაში თანდათან ფერი გაუხუნდა, თითქოს მტვერი ვადაეფარა, ჩამუქდა.

— დღეს ტკივილები გაწუხებდა, ლუსი? — ჰკითხა ბროზემ.

— მაინცდამაინც არა. ოღონდ დავიქანცე, რაღაცნაირად გამოვიფიტე.

ბროზემ თმაზე ხელი გადაუსვა. „დუბონეს" რეკლამის შუქზე ქალს თმა სპილენძისფრად უბზინავდა.

— შენ მალე წამოდგები, ლუსი.

ქალმა ხელი შეარხია თავი, რომელიც კაცის ხელზე ედო.

— ნეტავ გამაგებინა, რა მჭირს, ოტო? ასე ცუდად არასდროს ვყოფილვარ. თანაც უკვე რამდენიმე თვეა.

— აბა, რა გითხრა. ალბათ საშიში არაფერია. ქალებს ასეთი რამე ხშირად ემართებათ.

— მე მგონია, ფეხზე ველარასოდეს დავდგები, — უეცრად უიმედოდ ამოიოხრა ქალმა.

— შენ უეჭველად დადგები ფეხზე. თანაც ძალიან მალე. მთავარია, სულით არ დაეცე.

სახლების სახურავებზე ღამე მოცოცავდა. ბროზე წყნარად იწო, თავი კვლავ ბალიშზე ედო. დღისით რომ შეწუხებული და შეშინებული გამომეტყველება ჰქონდა, გაუქრა, მწუხრის მკრთალ ნათელში სახე დაეწმინდა და დაუმშვიდდა.

— ასე მძიმე ტვირთად მაინც არ გაწვე, ოტო.

— მიყვარხარ, ლუსი, — წყნარად უთხრა გაუნძრევლად მწოლიარე ბროზემ.

— ავადმყოფი ქალი შეუძლებელია გიყვარდეს.

— პირიქით, ავადმყოფი ქალი ორმაგად საყვარელია. ის ერთდროულად ქალიცაა და ბავშვიც.

— საქმეც ეგაა, რომ აღარც ბავშვი ვარ და აღარც ქალი! — ქალს ხმა აუკანკალდა. — აღარაფრად ვვარგივარ! ველარც ცოლობას გიწევ. ჩემგან ესეც დაგაკლდა. მე მხოლოდ უსარგებლო ტვირთი ვარ!

— მე შენი თმა მაქვს, — მიუალერსა ბროზემ, — შენი საყვარელი თმა! — იგი დაიხარა და ქალს თმაზე აკოცა. — მე შენი თვალები

მაქვს. — კაცმა თვალები დაუკოცნა. — შენი ხელები. — მერე ხელები დაუკოცნა. — მე შენ მყავხარ, შენი სიყვარული მაცოცხლებს. მაგრამ, ვინ იცის, იქნებ აღარც გიყვარვარ?

ბროზემ სახე ახლოს მიუტანა.

— აღარ გიყვარვარ? — ჰკითხა ქალს.

— ოტო... — წაიჩურჩულა ქალმა ძლივს გასაგონად და ხელი მკერდზე დაიდო.

— აღარ გიყვარვარ? — გაუმეორა ბროზემ წყნარად. — მითხარი! მე მესმის, ძნელია გიყვარდეს ისეთი უხეირო კაცი, რომელსაც ოჯახის შენახვის თავი არა აქვს. მითხარი, ნუ დამიმალავ, საყვარელო, ერთადერთო, — ეჩურჩულებოდა კაცი ჩაფერფლილ ქალს.

ქალს უცბად ღაბაღუპით გადმოსცვივდა ცრემლი, ხმა გაუნაზდა და გაუახალგაზრდავდა.

— მართლა გიყვარვარ, ოტო? — ისეთი საცოდავი ღიმილით ჰკითხა, რომ კაცს კინაღამ გული გაუსკდა.

— ნუთუ საჭიროა, ყოველ საღამოს გაგიმეორო? ისე მიყვარხარ, რომ მაგ საწოლზეც კი ვეჭვიანობ, რომელზეც წევხარ. შენი ადგილი მხოლოდ ჩემს გულშია, ჩემს გულში და ჩემს სისხლში!

ამ სიტყვების გულწრფელობაში რომ დაერწმუნებინა, ბროზემ ცოლს გაულიმა და საკოცნელად დაიხარა. ბროზეს უყვარდა ცოლი. ცოლი იყო ერთადერთი ადამიანი, ვინც მას გააჩნდა მთელ ქვეყანაზე, და მაინც მისი კოცნის დროს სწირად რაღაცნაირ გაუცნობიერებელ ზიზღს გრძნობდა. ამის გამო საკუთარი თავი სძულდა. იცოდა, რაც სჭირდა ქალს, და ამიტომ კაცის ჯანსაღი სხეული, უბრალოდ, აღარ ემორჩილებოდა თავისი პატრონის ნება-სურვილს. მაგრამ ახლა აპერიტივის რეკლამის თბილი, ალერსიანი შუქის ფონზე ეს საღამო სხეულების პირქუში აჩრდილისგან თავისუფალ, ერთ-ერთ წარსულ საღამოდ წარმოუდგა, წარსულის ისეთივე თბილ, უნუგეშო ანარეკლად, როგორიც თავად მოპირდაპირე სახლის სახურავზე მოკიაფე წითელი შუქი იყო.

— ლუსი, — ჩურჩულებდა კაცი.

ქალმა მის ამბორს სველი ტუჩები შეაგება და გაირინდა. ერთხანს გაუნძრევლად იწვა, თავისი გაწამებული სხეული გადაავიწყდა, რომელშიც კიბოს უჯრედები იდუმალ, უხმაურო მუშაობას ეწეოდნენ, მრავლდებოდნენ, სიკვდილს გზას უკაფავდნენ, საშვილოსნოსა და საკვერცხეებს დამწვარი ნახშირის მსგავს უფერულ, უსახო მასად გარდაქმნიდნენ.

კერნი და რუთი ნელა მისეირნობდნენ ელისეს მინდვრებზე. საღამო ხანი იყო, ვიტრინები გაეჩახჩახებინათ, კაფეებში ხალხი ირეოდა, ელექტრორეკლამები კოცონივით გიზგიზებდნენ, ტრიუმფალური თაღი, როგორც ზეცის ჭიშკარი, შავად ასვეტილიყო პარიზის ვერცხლისფერ ცაში, რომელიც ღამითაც კი გამჭვირვალე იყო.

— გაიხედე იქით, მარჯვნივ, — უთხრა კერნმა, — ვაზერი და როზენფელდი დგანან.

ჯენერალ-მოტორსის კომპანიის ვეებერთელა ვიტრინების წინ ორი ახალგაზრდა კაცი იდგა. ორივეს ღარიბულად ეცვა, უპალტოოდ იყვნენ. ისე ცხარედ კამათობდნენ, კარგა ხანს კერნი და რუთი ვერ შეამჩნიეს. ორივე სასტუმრო „ვერდენში" ცხოვრობდა. ვაზერი ბექანიკოსი და კომუნისტი იყო, ხოლო როზენფელდი ფრანკფურტელი ბანკირის შვილი. მისი ოჯახი სასტუმროს მესამე სართულზე ცხოვრობდა. ორივე ფანატიკურად იყო შეყვარებული ავტომობილზე. ორივე ძლივს მოულობდა ლუკმაპურს.

— როზენფელდ! — უმტკიცებდა ვაზერი. — ერთი წუთით მაინც მოუხმეთ გონიერებას! კადილაკი, ჩემი აზრით, კარგია ასაკოვანი ხალხისათვის! მაგრამ რა ხეირი ყრია თექვსმეტცილინდრიან მანქანაში? კადილაკი ისე ნთქავს ბენზინს, როგორც ხარი წყალს, და მაინც სხვა ავტომობილებს სიჩქარით ვერ სჯობნის!

როზენფელდმა თავი გააქნია. თითქოს მოჯადოებულიაო, თვალს ვერ აცილებდა მზიანი დღესავით ნათელ სალონს, სადაც დიდი, შავი კადილაკი ნელა ბრუნავდა იატაკზე დამაგრებულ მოძრავ პლატფორმაზე.

— დაე, ყლაპავდეს ბენზინს! — ფიცხლად გამოეპასუხა იგი ვაზერს. — თუნდაც კასრებით შთანთქას! მთავარი ხომ ეგ არაა! შეხედეთ ერთი, რა კომფორტული მანქანაა, უსაფრთხო და საიმედო, როგორც შეჯავშნული კოშკი!

— როზენფელდ, ეგ არგუმენტები კარგია სიცოცხლის დაზღვევის შემთხვევაში და არა ავტომობილის არჩევის დროს! — ვაზერმა მეზობელი ვიტრინისკენ გაიშვირა ხელი, რომელიც ფირმა „ლანციის" წარმომადგენლობას ეკუთვნოდა. — ერთი იქით გაიხედეთ! აი, სადაა ხარისხიცა და კლასიც! თითქოს ჩვეულებრივი ოთხცილინდრიანი, არაფრით გამორჩეული, დაბალი მანქანაა, მაგრამ როცა დაიძვრება, ნამდვილი ჯიქია! თუ საჭირო შეიქნა, კედელზეც ავა!

— კედელზე ასვლა რაში მარგია! მე მანქანა იმისთვის მინდა, რომ რესტორან „რიტცში" კოქტეილზე წავიდე! — აუღელვებლად მიუგო როზენფელდმა.

ვაზერმა ცალ ყურში შეუშვა და მეორეში გამოუშვა მისი ნათქვამი.

— შეხედეთ მის კონტურებს! — აღფრთოვანებას ვერ მალავდა იგი. — რა გლუვად მისრიალებს ასფალტზე! ისარია, ელვაა! რვაცილინდრიანი მანქანა, ჩემი აზრით, ზედმეტად მასიურია. ამ მანქანას კი ზღაპრული სიჩქარე აქვს.

როზენფელდმა სარკასტულად გადაიხარხარა.

— კი მაგრამ, ამ ბავშვის კუბოში როგორ გინდათ ჩაეტიოთ, ვაზერ? ეს ხომ ლილიპუტების მანქანაა. წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: თქვენ თან გახლავთ ლამაზი ქალი, გამოწყობილი გრძელ საღამოს კაბაში, უფრო მეტიც — ფარჩასა და ძვირფას ბეწვში. თქვენ რესტორან „მაქსიმიდან" ბრუნდებით, დეკემბერია, თოვს, ქუჩაში ჭყაპი დგას, ხოლო თქვენ კი ამ ბორბლებიან რადიოაპარატში ზიხართ, აქ რომ დგას. — წარმოგიდგენიათ, რა სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდით?

საჯარო ბიბლიოთ

ვაზერი სახეზე წამოწითლდა.

— ასე კაპიტალისტი ფიქრობს! როზენფელდ, გირჩევთ, გამოფხიზლდეთ! თქვენ ლოკომოტივზე ოცნებობთ და არა ავტომობილზე. ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება კაცს ეს მამონტი მოსწონდეს! ეს მანქანა ხანდაზმული კომერსანტის შესაფერია, თქვენ! კაცი ხართ! საერთოდ, თუ მძიმე მანქანა მოგწონთ, ბუერილი, ინებეთ, აირჩიეთ. აი, მაგალითად, „დელაიე“ — არც ხარისხი აკლია და არც სიჩქარე. ას სამოც კილომეტრს ანვითარებს!

— „დელაიე“? — როზენფელდმა ამრეზით ჩაიფრუტუნა. — ყოველ წუთს დაზეთილი სანთლების გამოცვლა უნდა. წარმოგიდგენიათ, რას ნიშნავს ეს?

— ეგ გამორიცხულია, თუ კარგად მოუვლით. ნამდვილი იაგუარია, რაკეტაა, მარტო მისი ძრავის ხმა რად ღირს! ხოლო თუ თქვენ ზლაბრულ მანქანაზე ოცნებობთ, მაშინ ახალი „სუპერ-ტალბო“ აირჩიეთ! - თამაშ-თამაშით ანვითარებს ას ოთხმოც კილომეტრს! მართლაც რომ ძვირფასი რამეა!

როზენფელდი კინაღამ გაიგუდა აღშფოთებისაგან.

— „ტალბო“? აბა ეგ არის და! კიდეც რომ მაჩუქონ, მაგ ოთხთვალას ხელსაც არ მოვკიდებ. მაგას სახელი აქვს გატეხილი. ქალაქში მოძრაობისას წყალი უდუღდება! არა, ვაზერ, მე კადილაკი ყველას მირჩევნია. — იგი კვლავ ჯენერალ-მოტორსის ვიტრინისკენ შეტრიალდა. — რომ იცოდეთ, რა ხარისხისაა! ხუთი წელიწადი კაპოტის ახდა არ დაგჭირდებათ! ამერიკელები კომფორტის ჯადოქრები არიან, ძვირფასო ვაზერ! ძრავა დამყოლი და უხმო აქვს, საერთოდ, ხმას ვერც გაიგონებთ!

— რას ამბობთ! — შეაწყვეტინა ვაზერმა. — მე კი სწორედ ძრავას ხმა მომწონს! მანქანის ამაღელვებელი გუგუნი ყველა მუსიკას მირჩევნია!

— თუ ეგრეა, მაშინ ტრაქტორი იყიდეთ! იმას უფრო დიდი ხმა აქვს!

ვაზერი ბულისწყრომით შეაჩერდა როზენფელდს.

— მომისმინეთ, — წყნარად უთხრა მერე, თუმცა თავს ძლივს იკავებდა, — მე კომპრომისს გთავაზობთ: „მერსედეს-კომპრესორი“ აიღეთ! მძიმეა, თანაც ხარისხიანი! თანახმა ხართ?

როზენფელდმა მედიდურად ჩაიქნია ხელი.

— ჩემთან არაფერი გაგვიგია! ტყუილად ირჯებით! მხოლოდ კადილაკი, სხვა მანქანა მე არ მინდა! — და კვლავ პლატფორმაზე მბრუნავი დიდი, შავი, ელეგანტური მანქანისკენ შებრუნდა.

სასოწარკვეთილმა ვაზერმა გარშემო მიმოიხედა და კერნი და რუთი შეამჩნია.

— მომისმინეთ, კერნ, — მიმართა მან, — თქვენ რომ არჩევანი გქონდეთ, კადილაკსა და ტალბოს შორის რომელს ამჯობინებდით? რა თქმა უნდა, ტალბოს, არა?

როზენფელდი შემობრუნდა.

— რა თქმა უნდა კადილაკს. ამაში ეჭვიც არ მეპარება!

კერნს გაეღიმა.

— მე სიტროენზეც ყაბულსა ვარ.

— სიტროენზე? — ორივე ავტოენთუზიასტმა კერნს ისეთი თვალით დაუწყო ყურება, თითქოს მათ წინ ქეციანი ცხვარი იდგა.

— არც ველოსიპედზე ვიტყოდი უარს, — დაურთო კერნმა.

ორმა სპეციალისტმა ერთმანეთს გადახედა.

— რას ამბობთ! — ცივად შენიშნა როზენფელდმა. — ეტყობა, თქვენ ავტომობილებში ვერ ერკვევით.

— ეტყობა, ვერც ავტოსპორტში, — ამრეზით დაურთო ვახერმა. — რას იზამთ, ისეთი ხალხიც არსებობს, ვისაც საფოსტო მარკების შეგროვების გარდა, არაფერი აინტერესებს.

— მეც სწორედ მარკებს ვაგროვებ! — ხალისით აღიარა კერნმა. — განსაკუთრებით უშტემპელოს.

— თუ ეგრეა, ბოდიში! — როზენფელდმა პიჯაკის საყელო აიწია. — წავიდეთ, ვახერ, „ალფა რომეოს“ და „ჰისპანოს“ ახალი მოდელები დავათვალიეროთ.

გაცვეთილ კოსტუმიანი ორი ყმაწვილი, კერნის უვიცობამ რომ შეარიგა, შეხმატკბილებულად გაემართა სხვა ვიტრინისკენ, რათა სპორტული მანქანების ავ-კარგი გაერჩიათ. დრო თავზე საყრელად ჰქონდათ, რადგან ვახშმის ფული არცერთს არ მოეძევებოდა.

გამხიარულებულმა კერნმა მიმავალთ თვალი გააყოლა.

— ადამიანი გამოუცნობი არსებაა, არა, რუთ?

რუთმა გაიცინა.

კერნმა სამუშაო ვერ იშოვა. ბევრგან მოსინჯა, მაგრამ დღეში ოცდარვანკიან სამუშაოსაც კი ვერსად მიაგნო.

ორ კვირაში ფული შემოელიათ. რუთმა ებრაული და კერნმა შერეული ებრაულ-ქრისტიანული კომიტეტებისგან მცირე დახმარება მიიღეს. ერთ კვირაში ერთად დაახლოებით ორმოცდაათი ფრანკი შეაგროვეს. კერნი დიასახლისს მოელაპარაკა და დაითანხმა, რომ იგი ამ ფასად მათ ორივე ოთახს დაუტოვებდა და დილაობით პური და ყავაც ექნებოდათ.

კერნმა თავისი პალტო, ჩემოდანი და პოტცლოხის ნაჩუქარი ნივთებიდან რაც შემორჩა, ისიც გაყიდა. მერე რუთის ნივთები გაყიდეს: დედამისის ნაქონი ბეჭედი, ტანისამოსი და ოქროს წვრილი სამაჯური. გული მაინცდამაინც არ დასწყვეტიათ. ისინი პარიზში ცხოვრობდნენ და ამით კმაყოფილი იყვნენ, ხვალინდელი დღის იმედი ჰქონდათ და თავს უსაფრთხოდ გრძნობდნენ. ამ ქალაქში, რომელმაც საუკუნის ყველა ემიგრანტს გაუღო კარი, შემწყნარებლობის ატმოსფერო სუფევდა. აქ ემიგრანტს შესაძლოა შიმშილით სული გაძვრომოდა, მაგრამ მხოლოდ იმდენად სდევნიდნენ, რამდენადაც ამას აუცილებლობა მოითხოვდა. ეს კი ძალზე ბევრს ნიშნავდა.

კვირას, ნაშუადღევს მარილმა ისინი ლუვრში წაიყვანა. ამ დროს იქ უფასოდ უშვებდნენ.

— ზამთარში რაღაცით დრო უნდა გაიყვანოთ, — აუხსნა მან ახალგაზრდებს. — ემიგრანტის პრობლემებია: შიმშილი, თავშესაფარი და

დრო, რომელიც არ იცის რაში გამოიყენოს, რადგან საქმით დაკავებული არაა. შიმშილი და უბინაობა — ემიგრანტის აშკარა მტერებია, რომლებსაც იგი თავგამოდებით ებრძვის. მაგრამ დრო—უამრავი, ფუჭი, გამოუყენებელი დრო—ფარული მტერია, რომელიც მის ენერგიას ნთქავს. ესაა ლოდინი, რომელიც გქანცავს, გაუცნობიერებელ შიშს, რომელიც დამბლასავით მოქმედებს. პირველი ორი ემიგრანტს წინააღმდეგ ეესხმის, და ისიც ან თავს დაიცავს, ან დაიღუპება, ხოლო დრო უკნიდან შეუმჩნევლად ეპარება და სისხლს სწოვს. თქვენ ახალგაზრდები ხართ. ნუ მიეჩვევით კაფეებში უქმად ჯდომას, ნუ იწუწუნებთ, ეცადეთ სულიერად არ გამოიფიტოთ. თუ გაგიჭირდათ, წადით პარიზის უდიდეს მოსაცდელ დარბაზში — ლუვრში. ზამთრობით მას კარგად ათბობენ. ჯობს დელაკრუას, რემბრანდტის ან ვან გოგის გვერდით მიეცეთ სევდას, ვიდრე შნაპსის სმას გადაჰყვეთ ან უნაყოფო წუწუნისა და უსასოო ბოლმის ჭაობში ჩაეფლოთ. ამას გეუბნებით მე — მარილი, ვინც არც შნაპსზე ამბობს უარს. ასე რომ არ იყოს, მაშინ აქამდეც ვერ მოვაღწევდი და ვერც ამ ჭკუის სასწაყლებელ ლექციას წაგიკითხავდით.

გადაიარეს ლუვრის დიდი ხელოვნური დამბა, გვერდით ჩაუარეს ქვაში გამოკვეთილ ეგვიპტელ ფარაონებს, ბერძნულ ღმერთებს, რომაელ იმპერატორებს, ბაბილონის სამსხვერპლოებს, სპარსულ ხალიჩებს და ფლამანდიურ გობელენებს, დიადი სულების — რემბრანდტის, გოიას, ელ გრეკოს, ლეონარდოს, დიურერის სურათებს, განვლეს უსასრულო დარბაზები და დერეფნები და ბოლოს იმ განყოფილებაში მოხვდნენ, სადაც იმპრესიონისტების ხელოვნება იყო წარმოდგენილი.

ისინი დარბაზის შუაგულში დადგმულ ერთ-ერთ სოფაზე დასხდნენ. კედლებიდან ანათებდნენ სეზანის, ვან გოგის და მონეს პეიზაჟები, დეგას „მოცეკვავე ქალები", რენუარის პასტელით ნახატი ქალის თავები და მანეს მშვენიერი ჟანრული სცენები. დარბაზში საოცარი სიწყნარე სუფევდა, მათ გარდა იქ არავინ იყო. კერნსა და რუთს ისეთი გრძნობა დაეუფლათ, თითქოს ჯადოსნურ კოშკში ისხდნენ, სურათები კი შორეულ სამყაროში გაჭრილი სარკმელები იყო, სადაც სუფევდა სიცოცხლის ნამდვილი ხალისი, უნაპირო გრძნობები, დიადი ოცნებები, სულის შეუზღუდავი თავისუფლება და სადაც წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რა იყო ძალადობა, შიში, უუფლებობა.

— ემიგრანტები! — წარმოთქვა მარილმა. — ისინი ყველა ემიგრანტია — დევნილი, დამცირებული, გაძევებული. ხშირად თავშესაფარიც არ გააჩნდათ, შიოდათ, ზოგჯერ თანამედროვენი აკნინებდნენ და არ აფასებდნენ, გაჭირვებაში ცხოვრობდნენ, გაჭირვებაში კვდებოდნენ, მაგრამ, შეხეთ ერთი, რა შექმნეს — მსოფლიო კულტურა! ეს მინდოდა მეჩვენებინა თქვენთვის.

მარილმა სათვალე მოიხსნა და გულდასმით გაწმინდა.

— ამ სურათებში რამ მოახდინა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება თქვენზე? — ჰკითხა რუთს.

— მშვიდობამ, — დაუფიქრებლად უპასუხა რუთმა.

— მშვიდობამ! მე მეგონა იტყოდით: მშვენიერებამ, სილამაზემ. მაგრამ მართალი ხართ — დღეს მშვიდობა მშვენიერებაა. განსაკუთრებით ჩვენთვის. თქვენ რაღას იტყვით, კერნ?

— არ ვიცი, — უპასუხა კერნმა. — მე ვისურვებდი ერთი ამ სურათთაგანი მქონოდა. გავყიდდი და ცხოვრების სახსარს ვიშოვიდი.

— თქვენ იდეალისტი ყოფილხართ, — უთხრა მარილმა.

კერნმა ეჭვით შეხედა.

— სერიოზულად გეუბნებით, — დაუდასტურა მარილმა.

— ვიცი, ეს სიბრიყვეა. მაგრამ ახლა ზამთარია, რეალისტობა არა აქვს. — კერნი მიხვდა, სისულელე წამოროშა, მაგრამ უცბად სხვა ვერაფერი მოაგონდა. ალბათ იმიტომ, რომ მთელი დღე ამაზე ფიქრობდა. მოულოდნელად რუთი ხელზე შეეხო, გაუღიმა და მაგრად მიეკრა.

მარილმა სათვალე გაიკეთა და გარშემო მიმოიხედა.

— ადამიანის სიდიადე უკიდურესობებში ვლინდება, — თქვა მან, — ერთი მხრივ, ხელოვნებაში, სიყვარულსა და თავგანწირვაში, მეორე მხრივ კი, სიბრიყვეში, სიძულვილში, ეგოიზმში. მაგრამ ის, რაც ამ ქვეყანას აშკარად აკლია, ესაა ჩვეულებრივი, ნორმალური სიკეთე.

კერნმა და რუთმა ივახშმეს. მათი ვახშამი მხოლოდ კაკაოსა და პურისგან შედგებოდა. მთელი დღის განმავლობაში სხვა არაფერი უჭამიათ, თუ არ ჩავთვლით დილის ყავასა და ორ ფუნთუშას, რაც კერნმა ოთახის ქირაში შეატანინა სასტუმროს დიასახლისს.

— დღეს პური ბიფშტექსივით გემრიელი მეჩვენა, — თქვა კერნმა, — შემწვარი ხახვიანი ბიფშტექსივით.

— ჩემი აზრით, ქათმის გემო უფრო ჰქონდა, — შეეპასუხა რუთი. — წიწილისა და ქორფა სალათისა ერთად.

— ალბათ ეგეთი გემოსი შენკენაა. მომაწოდე ერთი ნაჭერი მანდედან. შემწვარ ქათამსაც გეახლები.

რუთმა ფრანგულ გრძელ თეთრ პურს სქელი ნაჭერი ჩამოაჭრა.

— ინებე, — უთხრა კერნს. — ეს ბარკალია. ან იქნებ მკერდი გირჩევნია?

კერნმა გაიცინა.

— რუთ, შენ რომ არ მყავდე, ღმერთს დავემდურებოდი!

— მე კი უშენოდ მთლად მოვეშვებოდი, ლოგინში ჩავწვებოდი და ქვითინის მეტს არაფერს გავაკეთებდი.

კარზე დააკაკუნეს.

— ბროზეა, — გუნება წაუხდა კერნს. — მაინცდამაინც სიყვარულში ვამოტყდომის უნაზეს წუთებს დაუმიზნა.

— შემობრძანდით! — დაიძახა რუთმა.

კარი გაიღო.

— არა! — წამოიძახა კერნმა. — ეს შეუძლებელია! ალბათ სიზმარში ვარ! — იგი ფრთხილად წამოდგა, თითქოს შიშობდა, მოჩვენება არ დავაფრთხოო. — შტაინერ, — წაილუღლუღა მან. მოჩვენებამ გაიღიმა. — შტაინერ! — დაიყვირა კერნმა. — ღმერთო მაღალო, ეს ხომ შტაინერია!

— კარგი მეხსიერება მეგობრობას ამტკიცებს და სიყვარულს ღუბავს, — დამოძღვრა შტაინერმა. — მაპატიეთ, რუთ, სენტენციებით

დავიწყე, მაგრამ ქვემოთ ძველი მეგობარი მარილი შემომხვდა, და ამიტომაც თავს ველარ მოვერიე.

— საიდან მოდიხარ? — ჰკითხა კერნმა. — პირდაპირ ვენიდან?

— ვენიდან. მურტენზე გავლით.

— რაო? — კერნმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. — მურტენზე გავლით?

რუთმა გაიცინა.

— მურტენი ჩვენთვის ავადსახსენებელი ადგილია, შტაინერ. მე იქ ავად გავხდი, ხოლო ეს ძველი საზღვრის დამრღვევი პოლიციას ჩაუვარდა ხელში. ჩვენთვის მურტენი ნაძრახი ადგილია.

შტაინერმა ჩაიცინა.

— ამიტომაც ჩავედი იქ! თქვენ გამო შური ვიძიე, ბალლებო. — ჯიბიდან საფულე ამოიღო და იქიდან სამოცი შვეიცარიული ფრანკი ამოაძვრინა. — აბა, ესაა თოთხმეტი დოლარი, ანუ დაახლოებით სამას ორმოცდაათი ფრანგული ფრანკი. საჩუქრად ამერსისაგან.

კერნი დაიბნა.

— ამერსისაგან? სამას ორმოცდაათი ფრანკი?

— მოგვიანებით აგიხსნი, ბალლო. ჩაიდე ჯიბეში. ახლა დაიცათ, კარგად შეგხედოთ! — მან ორივე გულდასმით შეათვალიერა. — ლოყები ჩაგცვივნიათ, ჩანს, ცუდად იკვებებით. ალბათ ვახშმად წყალწყალა კაკაოზე გადადიხართ. დახმარებისათვის არავის მიმართეთ?

— ჯერჯერობით არა, — უპასუხა კერნმა. — მუდამ, როგორც კი მაგ დონემდე დავეშვებოდით, მაშინვე მარილი სადილად გვპატიჟებდა. კაცს ეგონება, მეეჭვსე გრძნობა აქვსო.

— მაგას მეშვიდეც აქვს... სურათების მიმართ. სადილის შემდეგ მუზეუმში ხომ დაჰყავდით? ჩვეულებრივ ესაა მისი საზღაური სადილისთვის.

— კი, როგორ არა. ვან გოგის, მანეს, რენუარის, დეგას სანახავად დავყავდით, — უპასუხა რუთმა.

— აბა, იმპრესიონისტების სანახავად! ჩანს, მარილს მართლაც სადილზე დაუპატიჟებიხართ. ვახშმის საზღაურად მას სტუმარი რემბრანდტის, გოიას, ელ გრეკოს სანახავად მიჰყავს. გვეყოფა ლაპარაკი, ბალლებო. ტანთ ჩაიცვით. პარიზის რესტორნები გაჩახჩახებულია და ჩვენ გველოდება.

— ჩვენ სწორედ ახლა...

— ვხედავ! — სიტყვა გააწყვეტინა შტაინერმა. — საჩქაროდ ჩაიცვით! ფულში ვცურავ.

— ჩვენ ჩაცმული ვართ.

— აი, თურმე რა. პალტოები ალბათ ვინმე ერთმორწმუნე ებრაელს მიჰყიდეთ, რომელმაც, დარწმუნებული ვარ, მუქთად დაგტყუათ...

— არა, არა... — უპასუხა რუთმა.

— უნამუსო ხალხი ებრაელთა შორისაც არის! ეს უნდა ითქვას, მიუხედავად იმისა, რომ თქვენი წამებული მოდგმა წმინდა ხალხად მიმაჩნია. აბა, წავედით! შემწვარი ქათმების რასობრივი პრობლემები განვიხილოთ.

— ესეც ასე. ახლა მომიყევი, როგორაა შენი საქმე, — მიმართა შტაინერმა კერნს, როცა ჭამას მორჩნენ.

— როგორლაც დავითარსე, — უამბო კერნმა. — პარიზი მარტო ტუალეტის წყლის, საპნისა და სუნამოს ქალაქი როდია, არამედ ქალსა-სთაველის, ფეხსაცმლის ზონრების, ღილებისა და, როგორც ჩანს, წმინდანთა სურათების ქალაქიცაა. აქ ვაჭრობა თითქმის შეუძლებელია. რა არ ვცადე — ჭურჭელს ვრეცხავდი, ხილით სავსე კალათებს ვათრევდი, წერილებზე მისამართებს ვაწერდი, სათამაშოებით ვვაჭრობდი, მაგრამ ჯერჯერობით ხელი ფერაფერში ვნახე. სამუშაოს შემთხვევით თუ წაგიყვანენ. რუთი ორი კვირა ერთ დაწესებულებაში დამლაგებლად მუშაობდა. მერე ფირმა გაკოტრდა და მშრალზე დავრჩით. კაშმირის ძაფით მოქსოვილ პულოვერში იმდენი შეაძლიეს, რაც ძაფის საყიდლადაც არ კმაროდა. ამის შედეგი ისაა... — კერნმა პიჯაკი შეიხსნა. — ამის შედეგი ისაა, რომ მდიდარი ამერიკელივით პიჯაკსა და პულოვერში გამოწყობილი დავდივარ. პულოვერი მშვენიერი რამაა, როცა პალტო არა გაქვს. თუ გინდა, ასეთ პულოვერს რუთი შენც მოგიქსოვს.

— ერთის სამყოფი ძაფი კიდევ დამრჩა, — თქვა რუთმა. — სხვათა შორის, შავია. მოგწონთ შავი?

— მერედა როგორ! ჩვენც ხომ შავები ანუ არალეგალები ვართ. — შტაინერმა სიგარეტს მოუკიდა. — ახლა ჩემთვის ყველაფერი ნათელია! პალტოები გაყიდეთ თუ დააგირავეთ?

— ჯერ დავაგირავეთ, მერე გავყიდეთ.

— კეთილი. ჩვეულებრივი ამბავია. კაფე „მორისში" თუ ყოფილხართ?

— არა. მხოლოდ „ელზასში".

— მშვენიერია. მაშ, „მორისში" წავიდეთ. იქ დიკმანს ვნახავთ. პალტოებს ის გვაშოვნინებს. მაგრამ მე მასთან უფრო მნიშვნელოვანი საქმეც მაქვს. მსოფლიო გამოფენის ამბავი უნდა გამოვკითხო, რომლის ჩატარებასაც წელს აპირებენ.

— მსოფლიო გამოფენა?

— დიახ, ბალლო, — მიუგო შტაინერმა კერნს. — იქ სამუშაოს იშოვის კაცი. თანაც საბუთებს მაინცდამაინც არ უკირკიტებენ.

— რამდენი ხანია, რაც პარიზში ხარ, შტაინერ, ამდენი რამე რომ იცი?

— ოთხი დღეა. მანამდე სტრასბურგში ვიყავი. იქ ერთი საქმე მქონდა შოსაგვარებელი. თქვენ კლასმანის მეშვეობით მოგაგენით. პრეფექტურაში შევხვდი. მე ხომ პასპორტი მაქვს, ბალლებო. ორ დღეში სასტუმრო „ინტერნაციონალში" გადავბარგდები. მისი სახელწოდება მომწონს.

კაფე „მორისი" როგორც წყლის ორი წვეთი, ისე ჰგავდა ვენის „შპერლერსა" და ციურიხის „გრიფს". ეს იყო ჩვეულებრივი ემიგრანტული ბირჟა. შტაინერმა რუთისა და კერნისთვის ყავა შეუკვეთა, თვითონ კი ერთ ხნიერ კაცს მიუჯდა მაგიდასთან. ისინი ერთხანს საუბრობდნენ. მერე კაცმა დაკვირვებით შეათვალიერა რუთი და კერნი და წავიდა.

— ეს დიკმანი იყო, — აუხსნა მათ შტაინერმა. — ყველაფერი იცის. მსოფლიო გამოფენაზე რაც გითხარი, მართალი აღმოჩნდა, კერნ. ახლა უცხო ქვეყნების პავილიონების მშენებლობა მიმდინარეობს. ხარჯებს უცხოეთის სახელმწიფოები იხდიან. ნაწილობრივ თავიანთი მუშები ჩამოპყავთ, მაგრამ უბრალო სამუშაოებისთვის, [illegible] მიწის თხრა და სხვა მისთანები, ხალხს ადგილზე [illegible]. აქაა ჩვენი დიდი შანსი! რაკი ხელფასს უცხოეთის კომიტეტები იხდიან, ფრანგებს მაინცდამაინც არ ენალვლებათ, მათთან ვინ იმუშავებს. ხვალ დილაადრიან მივადგეთ. მათთან უკვე ბევრი ემიგრანტი მუშაობს. ჩვენ ფრანგებზე ნაკლები ვღირვართ — ესაა ჩვენი უპირატესობა.

დიკმანი დაბრუნდა. ხელზე ორი პალტო გადაეკიდა.

— მე მგონი, უნდა მოერგოთ.

— პალტოები გაისინჯეთ, — მიმართა შტაინერმა კერნს, — ეს შენ, ეს რუთმა. უარი არ გაგიგვათ.

პალტოები ზუსტად მოერგოთ. რუთისას პატარა გაქუცული ბენწვის საყელოც ჰქონდა. დიკმანმა ოდნავ გაიღიმა.

— ზუსტი თვალი მაქვს... — თქვა მან.

— ამაზე უკეთესი ჭინჭები არ გქონდა, ჰაინრიხ? — ჰკითხა შტაინერმა.

დიკმანმა შეურაცხყოფილი იერი მიიღო.

— მართალია, ნახმარი პალტოებია, მაგრამ დასაწუნი არაფერი სჭირთ. ბენწვის საყელოიანი პალტო გრაფის ქალის ნაქონია. — შტაინერის სახეს რომ შეხედა, აჩქარებით დაურთო: — რა თქმა უნდა, როცა გრაფინია გადასახლებაში იმყოფებოდა, იმდროინდელი. ნამდვილი ენოტისაა, ოზეფ, ბოცვერი არ გეგონოს!

— კეთილი. დაგვიტოვე. ხვალ მოვალ შენთან და ფასზე მაშინ მოვილაპარაკოთ.

— რა საჭიროა. ისე დაგითმობ. მე ხომ შენთან ვალში ვარ.

— სისულელეა.

— რას ამბობ. აიღე და მორჩა ამაზე ლაპარაკი! მაშინ შენ რომ არ მომშველებოდი, წასული იყო ჩემი საქმე.

— ისე, კმაყოფილი ხარ?

დიკმანმა მხრები აიჩეჩა.

— იმდენს ვშოულობ, ბავშვებსა და მე რომ გვეყოს. მაგრამ როდემდე გავუძლებ ასეთ წვალებას, არ ვიცი.

შტაინერმა გაიცინა.

— თავი ანებე წუწუნს, ჰაინრიხ! მე ყალბი საბუთების მქნელი, შულერი, მაწანწალა გავხდი, თანაც რამდენი დანაშაული მაწევს კისერზე: ადამიანის ცემა იქნება, ხელისუფალთათვის წინააღმდეგობის გაწევა თუ კიდევ სხვა რამ, და მაინც სინდისის ქენჯნას არ ვგრძნობ.

დიკმანმა თავი დაუქნია.

— უმცროსი ბავშვი ავად მყავს. გრიპი დაემართა. სიცხე აქვს. თუმცა, როგორც ვიცი, პატარებისთვის სიცხე საშიში არ უნდა იყოს. ასე არაა?

იგი დაჟინებით მიაჩერდა შტაინერს, რომელმაც ენერგიულად გააქნია თავი.

— ჩქარა გამოჯანმრთელდება. ნუ გეშინია.

— დღეს შინ აღრე უნდა დავბრუნდე.

შტაინერმა კონიაკი შეუკვეთა.

— ბალლო, — მიმართა კერნს, — შენც დალევ?

— მომისმინე, შტაინერ... — დაიწყო კერნმა.

შტაინერმა ხელი ჩაიქნია.

— რა სალაპარაკოა! ჩათვალეთ, რომ საშობაო ჩაჩუქრები მი-ღეთ. თავად ხართ მოწმე, არაფერი დამბარჯვია. კონიაკს დალევთ, რუთ?

— დიახ.

— ახალი პალტო! სამუშაოს პერსპექტივა! — კერნმა კონიაკი მო-წრუპა. — ცხოვრება საინტერესო გახდა.

— არაფერი შეგეშალოს! — ჩაიცინა შტაინერმა. — მერე, როცა მუშაობით დაიქანცები, უმუშევრობის ხანა მოგეჩვენება ცხოვრების ყველაზე საუკეთესო მონაკვეთად. როგორც ზღაპარს, ისე უამბობ შენს კალთაში ჩამსხდარ შვილიშვილებს, რომ მაშინ პარიზში...

მათი მაგიდის სიახლოვეს დიკმანმა გაიარა. გამომშვიდობების ნი-შნად ხელი დუნედ ასწია და გარეთ გავიდა.

— ერთ დროს სოციალ-დემოკრატი ბურგომისტრი იყო. — შტა-ინერმა თვალი გააყოლა. — ხუთი შვილი ჰყავს. ცოლი მოუკვდა. მარ-თალია, ღატაკია, მაგრამ თავი ღირსეულად უჭირავს. ყველაფერი იცის. ეგაა, ზედმეტად მგრძნობიარე სულის პატრონია, რაც სოციალ-დემოკ-რატებს ასასიათებთ. ამიტომაც ვერ ივარგეს პოლიტიკაში.

კაფე თანდათან ივსებოდა. ღამის გასათევად მოსულები კუთხის ადგილებს იკავებდნენ. შტაინერმა ჭიქა დაცალა.

— ამ კაფეს მეპატრონე გულმოწყალე კაცია. უარს არავის ეუბ-ნება აქ დაძინებაზე, თუკი ადგილი იქნა, მუქთად ან ერთი ფინჯანი ყა-ვის ფასად. ეს ღამის სათევი რომ არ იყოს, ბევრის საქმე ცუდად იქ-ნებოდა.

შტაინერი წამოდგა.

— წავიდეთ, ბალლებო.

ისინი გარეთ გავიდნენ. ქარი ქროდა. ციოდა. რუთმა ახალი პალ-ტოს ენოტის ბეწვის საყელო მაღლა აიწია და ყელზე შემოიტმასნა. მე-რე შტაინერს შეხედა გაღიმებულმა. შტაინერმა თავი დაუკრა.

— გათბი, პატარა რუთ! ადამიანს მცირეოდენი სითბოც ჰყოფნის.

შტაინერმა ხელი დაუქნია ყვავილების გამყიდველ მოხუც ქალს, რომელიც ქუჩაში მიფრატუნებდა. ქალი მათთან მიბორძიკდა.

— იები, — დაიჩხავლა მან. — ახალი იები რივიერიდან.

— რა ქალაქია! იები შუა ქუჩაში! დეკემბერში! — შტაინერმა დე-დაბერს თაიგული გამოართვა და რუთს გაუწოდა. — იისფერი ბედნი-ერება! უსარგებლო ყვავილი! უსარგებლო ნივთები! თუმცა სწორედ ესაა, რაც ადამიანს ათბობს! — მან კერნს თვალი ჩაუკრა. — ეს ცხოვ-რებისეული შეგონებაა, როგორც მარილი იტყოდა.

XVIII

ისინი მსოფლიო გამოფენის ბუფეტში ისხდნენ. ხელფასის გაცემის დღე იყო. კერნმა თხელი ქაღალდის ბანკნოტები თეფშის გარშემო მარაოსავით დააფარა.

— ორას ორმოცდაათი ფრანკი! — თქვა მან. — ერთი კვირის ნამუშევარი! და ეს უკვე მესამეჯერ! თავი ზღაპარში მგონია.

მარილი ერთხანს ირონიული ღიმილით უყურებდა. მერე ჭიქა მაღლა აწია და შტაინერს მიმართა:

— მოდით, ხელის ჭუჭყის სადღეგრძელო დავლიოთ, ძვირფასო ჰუბერ! საოცარია, რა ძალა მოიპოვა მან ადამიანებზე! ჩვენ შორეულ წინაპრებს ჭექა-ქუხილის და ელვის, ვეფხვისა და მიწისძვრის, ჩვენს ახლო წინაპრებს მახვილის, ყაჩაღების, შავი ჭირისა და ღმერთის ეშინოდათ, ჩვენ კი ნაბეჭდი ქაღალდის დანახვაზე ვკანკალებთ — ფულის ბანკნოტი იქნება ეს თუ პასპორტი. ნეანდერტალელს კეტი კლავდა, რომაელს მახვილი, შუა საუკუნეების ადამიანს შავი ჭირი, ჩვენ კი ქაღალდის ნაგლეჯმა შეიძლება მოგვისწრაფოს სიცოცხლე.

— ან, პირიქით, მკვდრეთით აღგვადგინოს, — დაურთო კერნმა, თან თვალს არ აცილებდა საფრანგეთის ბანკის ბანკნოტებს, რომლებიც თეფშის გარშემო ელაგა.

მარილმა ალმაცერად გადახედა.

— რას იტყვი ამ ბალღზე? — ჰკითხა შტაინერს. — იზრდება, არა?

— მერე როგორ! იგი უცხოეთის მკაცრ კლიმატში გაიფურჩქნა. ოხუნჯობს კიდეც!

— მე მას ჩვილსაც ვიცნობდი, — განაცხადა მარილმა. — მაშინ ნაზი და სანუგეშებელი იყო — სულ ორიოდე თვის წინათ.

შტაინერმა გაიცინა.

— ის დინამიკურ საუკუნეში ცხოვრობს. ამ ეპოქაში ან დაიღუპები, ან სწრაფად გაიზრდები.

მარილმა სუსტი წითელი ღვინო მოსვა.

— დინამიკური საუკუნე! — გაიმეორა მან. — დიდი არეულობა! ლუდვიგ კერნი — ხალხთა მეორე დიდი მიგრაციის მონაწილე ნორჩი ვანდალი.

— ცდებით, — შეეკამათა კერნი. — მე ნახევრად ებრაელი ვარ, ეგვიპტიდან მეორედ ამოსვლის მონაწილე.

მარილმა შტაინერს უსაყვედურა:

— ესეც შენი სწავლების შედეგი, ჰუბერ!

— არა, მარილ, მახვილსიტყვაობა შენგან აითვისა. ეგეც არ იყოს, გარანტირებული ხელფასი კაცს ოხუნჯობის გუნებაზე აყენებს. გაუმარჯოს ნანატრი ხელფასის დაბრუნებას! — შტაინერი კერნს მიუბრუნდა. — ფული ჯიბეში ჩაიდე, ბალღო, თორემ გაგიფრინდება. ფულს დღის სინათლე არ უყვარს.

— შენ გადმოგცემ და აღარ მექნება, — უთხრა კერნმა. — მე ხომ ისედაც კიდევ ბევრი მაქვს შენთვის დასაბრუნებელი.

— გაბედე ერთი! ჯერ ისე არ გავმდიდრებულვარ, რომ ფული გამოგართვა!

კერნმა დაკვირვებით შეხედა. მერე ფული ჯიბეში ჩაიდო,
— დღეს რომელ საათამდეა მაღაზიები ღია? — იკითხა მან.
— რატომ კითხულობ?
— დღეს ხომ ახალი წლის წინა დღეა.
— შვიდამდე, კერნ, — უპასუხა მარილმა. — შნაპსს ყიდულობ-დით საღამოზე დასალევად? სასმელი აქ, ბუფეტში, უფრო ხელმისაწვდომ-ჯდებათ. ჩინებული მარტინიკული რომი აქვთ.
— არა, შნაპსის სმას არ ვაპირებ.
— აჰა! გეტყობათ, წლის ბოლო დღეს ბურჟუაზიული სენტიმენ-ტალობის ბილიკით სიარულს აპირებთ.
— ჰო, დაახლოებით ასეა. — კერნი წამოდგა. — სოლომონ ლე-ვის მინდა ვესტუმრო. ეგებ დღეს ისიც სენტიმენტალურად იყოს გან-წყობილი და არამტკიცე ფასები აღმოაჩნდეს.
— არამტკიცე ხანაში ფასები მხოლოდ იზრდება, კერნ, — აუხსნა მარილმა. — თუმცა მიდით, სცადეთ! ჩვეულება არაფერს ნიშნავს, მთა-ვარია იმპულსი! თუმცა ვაჭრობას დიდხანს ნუ შეჰყვებით. არ დავავი-წყდეთ, რვა საათზე „დედილო მარგოში“ ემიგრაციის ვეტერანების ვა-ხშამზე ვიკრიბებით.

სოლომონ ლევი ჩასუქებული, თრითინას მსგავსი კაცუნა იყო ვაცის მეჩხერი წვერით. ის კამარიან ჭერქვეშ ბნელ სათავსოში ბინად-რობდა საათებს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს, გაცვეთილ ხალიჩებს, უამრავ საოჯახო წვრილმანს, თაბაშირის ჯუჯებსა და ფაიფურის ფი-გურებს შორის. ვიტრინებში უწესრიგოდ დაეხვავებინა იაფფასიანი ნი-ყთები, ხელოვნური მარგალიტები, ვერცხლით დაფერილი ძველი სამ-კაულები, ჯიბის საათები და ანტიკვარული მონეტები.

ლევიმ მაშინვე იცნო კერნი. გროსბუსის მეხსიერება ჰქონდა და ეს თვისება საქმეში ხშირად წადგომია.
— რა გნებავთ? — დაუყოვნებლივ შეუტია მოსულს, რადგან იფ-იქრა, რამე უნდა მომყიდოსო. — ცუდ დროს მოხვედით.
— რატომ? ბეჭედი უკვე გაყიდეთ?
— ვერ გაბედია, რას მეუბნებით, — აწუწუნდა ლევი. — თქვენა თქვით, გაყიდეო? თუ ყურმა მომატყუა? ეგეთ ვცდები?
— არა.
— ახალგაზრდავ, — ბუზღუნებდა ლევი, — გაზეთებს არ კითხუ-ლობთ? თუ მთვარეზე ცხოვრობთ და არ იცით, რა ხდება ამქვეყნად? გაყიდეო, მეუბნებით. იმ ხარახურას რა გაყიდის! თან როგორ ამპარ-ტავნულად ბრძანებთ, თითქოს როტშილდი იყოთ. იცით, რაა საჭირო, რამე რომ გაყიდოთ? — ლევი განგებ შეყოვნდა და მერე პათეტიკურად განაგრძო: — უნდა მოვიდეს უცნობი, რომელსაც რამის შეძენა სურს, და ჯიბიდან საფულე ამოიღოს... — ლევიმ პორტმონე ამოიღო. — გა-ხსნას... — ლევიმ პორტმონე გახსნა. — ნაღდი, ტკიცინა ფული ამოი-ღოს... — მან ათფრანკიანი ბანკნოტი ამოაფრიალა. — დადოს... — ბანკნოტი მაგიდაზე დადო. — და ახლაა მთავარი... — ლევის ხმა გა-უწვრილდა. — მას სამუდამოდ გამოემშვიდობოს! — ლევიმ ბანკნოტი

ჩაიჯიბა. — და რისთვის? უსარგებლო ნივთისთვის ნაღდი, ტკიცინა ფული გადაიხადოს? ნუ მაცინებთ ერთი! ასე მხოლოდ ვიკი ან გოიმი თუ მოიქცევა. ან ჩემისთანა, ბიზნესზე შეყვარებული კაცი. აბა, მითხარით, რა მოიტანეთ ამჯერად? ბევრის მოცემა არ შეგიძლია. ჰო, ოთხი კვირის წინ რომ იყავით, მაშინ ბევრად უკეთესი [illegible]

— გასაყიდი არაფერი მომიტანია, ბატონო [illegible] გამოსყიდვა მინდა.

— რაო? — ლევიმ შოშიის მშიერი ბარტყივით დააღო პირი. წვერიც სომ ჩიტის ბუდეს მიუგავდა. — აჰ, მიგიხვდით, გაცვლა გინდათ. არა, ახალგაზრდავ, ეგ ოინი არ გაგივათ! გასულ კვირას მაგის გამო ვიზარალე. საათი, მართალია, არ მუშაობდა, მაგრამ საათი მაინც საათია. ბრინჯაოს საწერ მოწყობილობასა და ოქროსწვერიან მუდმივ კალამზე გამაცვლევინეს. იცით, რას გეტყვით? მე — ტუტუცი, ბრიყვი მშრალზე დამტოვეს: მუდმივი კალამი გაფუჭებული აღმოჩნდა. კეთილი, მართალია, საათი მხოლოდ თხუთმეტი წუთი მუშაობდა, მაგრამ მათი შედარება აბა როგორ შეიძლება? საათი, მუშაობს თუ არა, მაინც საათია. მუდმივი კალამი კი,რომელშიც მელანს ვერ ჩაასხამ, სრული უაზრობაა. ასეთი ნივთი გინდ გქონია, გინდა არა. რისი გაცვლა გსურთ?

— არაფრის, ბატონო ლევი. მე გითხარით, გამოსყიდვა მინდა-მეთქი.

— ფულზე?

— დიახ, ნაღდ ფულზე.

— აჰა, მიგიხვდით! ბუნებრივია, უნგრული ან რუმინული გაუფასურებული ფული ან რაღაც-ამდაგვარი გექნებათ. ამას ვინ გაარკვევს. ახლახან ერთმა კარლოს დიდის ულვაშიანმა კაცმა...

კერნმა ასფრანკიანი ბანკნოტი ამოიღო და მაგიდაზე დადო. ლევი გაშეშდა და ხმამაღლა დაუსტვინა.

— გამდიდრდით? ჩემს ცხოვრებაში ასეთი რამე პირველად ვნახე! ახალგაზრდავ, არ დაგავიწყდეთ პოლიცია...

— საკუთარი შრომით ვიშოვე! — სიტყვა გააწყვეტინა კერნმა. — პატიოსნად! კმარა! სადაა ბეჭედი?

— ერთი წამით! — ლევი გაიქცა და რუთის დედის ბეჭედი მოარბენინა. პიჯაკის სახელოთი გააპრიალა, სული ფრთხილად შეუბერა, კვლავ გააპრიალა და მერე ხავერდის ნაჭერზე დადო, თითქოს ოცკარატიანი ბრილიანტი ყოფილიყო. — მშვენიერი ნივთია, — თქვა ლევიმ აღტყინებით, — იშვიათი რამეა!

— ბატონო ლევი, — მიმართა კერნმა. — თქვენ მაშინ მაგ ბეჭედში ას ორმოცდაათი ფრანკი მოგვეცით. მე რომ ახლა ას ოთხმოცი მოგცეთ, ოცი პროცენტი მოგება დაგრჩებათ. ხომ კარგი წინადადებაა?

ლევის თითქოს არ გაუგონია.

— ისეთი კოხტაა, თვალს ვერ მოაცილებ, — ბოდავდა შეყვარებულივით. — თანამედროვე ხალტურა როდია. ძვირფასი საქონელია! ნამდვილი განძია! ჩემთვის მინდოდა დამეტოვებინა. პატარა კოლექციას ვაგროვებ!

კერნმა ას ოთხმოცი ფრანკი გადათვალა.

— ფული! — ამრეზით თქვა ლევიმ. — რა არის დღეს ფული? ასეთი გაქანებული ინფლაციის დროს! ძვირფასი ნივთები — აი, ეს კი მეამის! როგორი ბეჭდუნიაა: კაცის თვალსაც ახარებს და თან ფასიც ემატება. ორმაგი სიამოვნებაა! მერედა ოქროს ფასმა როგორ აიწია! — მრავალმნიშვნელოვნად დაურთო მან. — ოთხასი ფრანკიც! ასეთი ლამაზი ნივთისთვის. კოლექციონერი ამაში კარგ ფასს გადახდის! კერნს გული შეუქანდა.

— ბატონო ლევი!

— მეც ადამიანი ვარ, — განუცხადა ლევიმ. — ჯანდაბას ჩემი თავი, ოღონდ თქვენ სიხარული მოგანიჭოთ. მოგებაზე უარს ვამბობ, რადგან ახალი წლის წინა დღეა! სამასი ფრანკი, და მოვრჩით. დაე, ვიზარალო.

— ეს ხომ ორმაგი ფასია! — აღშფოთდა კერნი.

— ორმაგი! არც კი იცით, რას ამბობთ. რას ნიშნავს ორმაგი? ორმაგი ნახევარია, ასე ამბობს რაბი მიქაელ ჰოვოროდკა. ზედნადები ხარჯების შეაბამ რამე გაგიგონიათ, ახალგაზრდავ? იზრდება და იზრდება! გადასახადები, ბინის ქირა, ქვანახშირი, ბაჟი, დანაკარგები! თქვენთვის ეს არაფერია, ჩემთვის კი უზარმაზარი რაშაა! ეს ხარჯები ყოველდღიურად ზრდის ბეჭდის ფასს!

— მე ლატაკი ვარ, ემიგრანტი...

ლევიმ ხელი ჩაიქნია.

— ვინღა არ არის ემიგრანტი? მყიდველს გამყიდველზე ყოველთვის მეტი აქვს. აბა, ერთი მითხარით, ვინ არის ჩვენს შორის მყიდველი?

— ორასი ფრანკი, — უთხრა კერნმა, — და ეს ბოლო ფასია.

ლევიმ ბეჭედი აიღო, სული შეუბერა და წაიღო. კერნმა ფული ჯიბეში ჩაიდო და კარისკენ გაემართა. კარი რომ გამოაღო, ლევიმ მიაძახა:

— ორას ორმოცდაათი. ესეც იმიტომ, რომ თქვენ ახალგაზრდა ხართ, მე კი მინდა სიკეთე გაგიწიოთ!

— ორასი, — კარიდან სიტყვა დაუბრუნა კერნმა.

— შალომ ალეიხემ! — დაემშვიდობა ლევი.

— ორას ოცი.

— ორას ოცდახუთი. პატიოსნად და სამართლიანად, რადგან ცვალ ბინის ქირა მაქვს გადასახდელი.

კერნი დაბრუნდა და ფული მაგიდაზე დადო. ლევიმ ბეჭედი მუყაოს პატარა კოლოფში მოათავსა.

— კოლოფს უფასოდ გაძლევთ, — უთხრა კერნს, — და ლამაზ ლენტს ბამბასაც ჩასაფენად. თქვენ მე გამალატაკეთ!

— ორმოცდაათი პროცენტი ამართვით, — შეულრინა კერნმა. — ნამდვილი მევახშე ხართ!

ლევის მისი უკანასკნელი სიტყვისთვის ყური არ უთხოვებია.

— დამიჯერეთ, — გულწრფელად მიმართა კერნს, — ასეთი ბეჭედი დე ლა პაქსის ქუჩაზე, კარტიესთან ექვსასი ღირს. მისი ნამდვილი ფასი სამას ორმოცდაათია. ამჯერად სიმართლეს გეუბნებით.

კერნი სასტუმროში დაბრუნდა.

— რუთ! — კარიდანვე მიაძახა მან. — ჩვენ სწრაფი ტემპით მივწევთ წინ! აი ნახე! უკანასკნელი მოპიკანი დაგვიბრუნდა.

რუთმა კოლოფი გახსნა და დახედა.

— ლუდვიგ... — ენა დაება მას.

— უსარგებლო ნივთია, სხვა არაფერი! — დაუყვავა მეცხუნებულმა კერნმა. — როგორ ამბობს შტაინერი? ადამიანს ყველაზე მეტად უსარგებლო ნივთი ათბობსო. ამის გამოცდა მინდოდა. აბა, გაიკეთე! დღეს ჩვენ რესტორანში ვქეიფობთ, ჩვენ — ნამდვილი ხელფასიანი მუშები!

ხალამოს ათი საათი იყო. შტაინერი, მარილი, რუთი და კერნი „დედილო მარგოში" ისხდნენ. ოფიციანტებს სკამ-მაგიდები უკვე მიელაგებინათ და სველი ცოცხით იატაკს გვიდნენ. სალაროსთან წამოსკუპებულმა კატამ გაიზმორა და ძირს ჩამოხტა.

ნაქსოვ ჟაკეტში შეფუთნული მთვლემარე დიასახლისი დროდადრო თვალს ახელდა.

— მე მგონი, აქედან გახვეტას გვიპირებენ, — თქვა შტაინერმა და ოფიციანტს ანიშნა, მოდიო. — წასვლის დროა. ედიტ როზენფელდთან უნდა მივიდეთ. მამილო მორიცი ჩამოსულა.

— მამილო მორიცი? — ჰკითხა რუთმა. — ეგ ვინ არის?

— მამილო მორიცი ემიგრაციის ვეტერანია, — უპასუხა შტაინერმა. — სამოცდათხუთმეტი წლისაა, პატარა რუთ. ყველა საზღვარი გადაუვლია, ყველა სასტუმრო, ყველა პანსიონი და კერძო ბინა იცის, სადაც ჩაუწერლად ცხოვრება შეიძლება. კარგად იცნობს ხუთი კულტურული ქვეყნის საპატიმროებსაც. მას მორიც როზენტალი ჰქვია და წარმოშობით რაინის გოდესბერგიდან არის.

— თუ ეგრეა, მეც ვიცნობ მას, — ჩაერთო კერნი. — ერთხელ მასთან ერთად ჩეხოსლოვაკიიდან ავსტრიაში გადავედი.

— მე კი მასთან ერთად შვეიცარიიდან იტალიაში, — თქვა მარილმა.

ოფიციანტმა ანგარიში მოიტანა.

— მეც მასთან ერთად რამდენიმე საზღვარი მაქვს დალაშქრული, — თქვა შტაინერმა. — კონიაკი გაქვთ, თან რომ წავიღოთ? — ჰკითხა მერე ოფიციანტს. — „კურვუაზიე"? რა თქმა უნდა, მაღაზიის ფასში.

— ერთი წუთით. დიასახლისს დავეკითხები.

ოფიციანტი მთვლემარე დიასახლისისკენ გაემართა. დიასახლისმა ცალი თვალი გაახილა და თავი დაუქნია. ოფიციანტი თაროსთან მივიდა, ბოთლი ჩამოიღო და შტაინერს გადასცა. შტაინერმა კონიაკი პალტოს გარეთა ჯიბეში ჩაიდო.

ამ დროს შემოსასვლელი კარი გაიღო და რესტორანში აჩრდილივით უცნაური არსება შემოვიდა. დიასახლისმა პირზე ხელი აიფარა, დაამთქნარა და ორივე თვალი გაახილა.

უკმაყოფილო ოფიციანტს სახე მოეღრიცა.

ახლად შემოსულმა ხმის ამოუღებლად, მთვარეულივით გადაიარა მთელი დარბაზი და დიდ ცხაურას მიაშურა, სადაც შამფურებზე წამოცმული ქათმები იბრაწებოდა ნაკვერჩხლებზე.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

უცნობმა გამჭოლი მზერა მიაპყრო ქათმებს.

— რა ღირს აი ეს? — ჰკითხა მერე ოფიციანტს.

— ოცდაექვსი ფრანკი.

— აი ის?

— ოცდაექვსი ფრანკი.

— ყველა ოცდაექვსი ფრანკი ღირს?

— დიახ.

— რატომ თავიდანვე არ მითხარით?

— იმიტომ, რომ თავიდანვე არ გიკითხავთ.

მთვარეულმა თავი ასწია. გაბრაზება შეეტყო. მერე ერთ მოდიდო ქათამზე მიუთითა.

— ეს მომეცით!

კერნმა შტაინერს იდაყვი ვაჰკრა. შტაინერი შემოსულს დააკვირდა და სახეზე ღიმილმა გადაუარა.

— რით მიირთმევთ: სალათით, შემწვარი კარტოფილით თუ ბრინჯით? — ჰკითხა ოფიციანტმა მთვარეულს.

— არაფრით. მხოლოდ დანით და ჩანგალით. მომეცით აქ.

— პულე! — ხმადაბლა თქვა კერნმა. — ეს ნაღდად ჩვენი ძველი ნაცნობი პულეა!

შტაინერმა თავი დაუქნია.

— ისაა! პულე ვენის საპატიმროდან.

კაცი მაგიდას მიუჯდა. საფულე ამოიღო და ფული გადათვალა. მერე საფულე ისევ შეინახა და სახეგაბადრულმა ხელსახოცი გაშალა. მის წინ შემწვარი ქათამი იდო გამომწვევად. კაცმა ხელები ქადაგივით მაღლა ასწია, თითქოს ლოცვის წარმოთქმას აპირებდა. სახეზე უზომო ნეტარების ტალღამ გადაუარა. მერე ქათამი ხინიდან აიღო და თეფშზე დაიდო.

— ხელს ნუ შევუშლით, — წყნარად ჩაიჩურჩულა შტაინერმა. — დარწმუნებული ვარ, ეს ქათამი ადვილად არ მოუპოვებია.

— რა თქმა უნდა! მოდით, დაუყოვნებლივ ავიბარგოთ აქედან! — გამოეხმაურა კერნი. — აქამდე მას ორჯერ შევხვდი. ორივეჯერ საპატიმროში. მუდამ იმ დროს აპატიმრებდნენ, როცა ის-ის იყო ქათმის ჭამას იწყებდა. ასე რომ, ვატყობ საცაა აქაც პოლიცია გამოჩნდება.

შტაინერმა გაიცინა.

— თუ ეგრეა, ავიბარგოთ! ჯობს დროზე მოვუსვათ, თორემ ვაითუ ახალწლის ღამეს საპოლიციო უბანი დაგვებედოს!

სუფრიდან წამოიშალნენ. კარში რომ გადიოდნენ, უკან მოიხედეს. სწორედ ამ დროს პულემ ქათამს ყავისფერი, დაბრაწული ბარკალი ააგლიჯა. ისე მოწიწებით უყურებდა, როგორც პილიგრიმი ქრისტეს საფლავს. მერე სასოებით ჩაკბიჩა და გამალებით შეუდგა ჭამას.

ედიტ როზენფელდი სამოცდაექვსი წლის სუსტი აგებულების ჭაღარა ქალი იყო. ორი წლის წინათ შვიდ შვილთან ერთად ჩამოვიდა პარიზში. ექვს მათგანს უკვე საქმე გამოუნახა. უფროსი ვაჟი, პროფესიით ექიმი, ჩინეთის ომში იყო წასული; უფროს ქალიშვილს, რომელსაც ფი-

ლოლოგიური განათლება ჰქონდა მიღებული ბონში, ლტოლვილთა დახმარების კომიტეტმა მოახლე გოგოს ადგილი უშოვა შოტლანდიაში; მეორე ვაჟიშვილმა პარიზში სახელმწიფო გამოცდა ჩააბარა ეურისპრუდენციაში, მაგრამ სპეციალობით სამუშაო ვერ იშოვა და კანში „კარლტონ-ოტელში" მოეწყო ოფიციანტად; მესამე უცხოელ[illegible]ში შევიდა; მომდევნო ვაჟიშვილი ბოლივიაში გადავიდა [illegible]; მეორე ქალიშვილი ციტრუსების პლანტაციაში მუშაობდა პალესტინაში. დაუსაქმებელი მხოლოდ უმცროსი ვაჟიშვილი იყო. ლტოლვილთა დახმარების კომიტეტი მისთვის მძღოლის ადგილის გახერხებას ცდილობდა მექსიკაში.

ედიტ როზენფელდის ბინა ორი ოთახისგან შედგებოდა. დიდში თავად ცხოვრობდა, პატარაში მისი ნაბოლარა ვაჟი, ავტოფანატიკოსი მაქს როზენფელდი. როცა შტაინერი, მარილი, კერნი და რუთი როზენფელდებთან მივიდნენ, იქ უკვე ოცამდე ადამიანს მოეყარა თავი ორივე ოთახში. ყველა გერმანიიდან ლტოლვილი იყო. ზოგს მუშაობის ნებართვა ჰქონდა, ზოგს არა. ვისაც ამის შესაძლებლობა გააჩნდა, თან სასმელი მოეტანა — თითქმის ყველას იაფფასიანი წითელი ფრანგული ღვინო. კონიაკის წყალობით შტაინერი და მარილი სტუმართა ეურადღების ცენტრში აღმოჩნდნენ და ისინიც გულუხვად სთავაზობდნენ სასმელს მსურველებს, რომლებიც ცდილობდნენ, ერთმანეთთან შეხვედრით აღძრული მოჯარბებული გრძნობები შეენილბათ.

თერთმეტ საათზე მორიც როზენტალი მოვიდა. კერნმა ძლივს იცნო. წელიწადიც არ გასულიყო მათი ბოლო შეხვედრიდან და თითქმის ათი წლით დაბერებულიყო. სახე გაყვითლებოდა და გაცრეცოდა. გაჭირვებით დადიოდა სპილოს ძვლის ბუნიკიანი აბანოზის ძველებური ჯოხის დახმარებით.

— ედიტ, ჩემო ძველო სიყვარულო, — მიმართა დიასახლისს. — აი მეც აქა ვარ. უფრო ადრე ვერ მოვედი, რა ვქნა, მთლად დავძაბუნდი.

იგი დაიხარა, რომ ქალს ხელზე მთხვეოდა, მაგრამ ვერ მოასწრო. ჩიტივით მსუბუქი ედიტ როზენფელდი საკვარძლიდან წამოფრინდა, მორიცს ხელი დაუჭირა და ლოყაზე აკოცა.

— როგორც ჩანს, მართლაც დავჩაჩანაკდი, — უთხრა მორიც როზენტალმა. — ხელზედაც ველარ გკოცნი. შენ კი თამამად მკოცნი ლოყაზე. აჰ, ნეტავ, სამოცდაათი წლის მაინც ვიყო!

ედიტ როზენფელდმა ღიმილით შეხედა. არ უნდოდა ეგრძნობინებინა, რარიგ შეძრწუნდა, ასეთ მდგომარეობაში რომ იხილა იგი. მორიც როზენტალმაც არაფრით გაამჟღავნა, რომ ხვდებოდა ქალის შეკრთომის მიზეზს. თავი მშვიდად და ხალისიანად ეჭირა. პარიზში იმიტომ ჩამოვედი, რათა აქ მოვკვდეო.

მორიცმა იქ მყოფნი შეათვალიერა.

— ნაცნობ სახეებს ვხედავ, — თქვა მან. — ლტოლვილებმა სადაც არ უნდა იხეტიალონ, მაინც ერთმანეთს წააწყდებიან. განა ეს გასაოცარი არაა? შტაინერ, სად შევხვდით სულ ბოლოს ერთმანეთს? ვენაში, მართალია! მარილს ბოისაგოში და მერე ლოკარნოში, პოლიციის სა-

კანში შევხვდი. ხომ ასეა? კლასმანიც — ეს ჩვენი ციურიხელი შერლოკ ჰოლმსი — აქ ყოფილა! დიახ, ჯერჯერობით მეხსიერება ცრ მღალატობს. ვაზერი! ბროზე! კერნი ჩეხეთიდან! ღმერთო ჩემო, ბავშვებო, სად წავიდა ის მშვენიერი, დაუვიწყარი ხანა! ახლა ის აღარა ვარ — ფეხები მღალატობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ნელა დაეშვა სკამზე.

— ამჯერად საიდან ჩამოხვედით, მამილო მორიც? — ჰკითხა შტაინერმა.

— ბაზელიდან. ბავშვებო, ერთ რამეს გირჩევთ: მოერიდეთ ელზასს! უფრთხილდით სტრასბურგს! არ გაეკაროთ კოლმარს! იქ ისეთი ვითარებაა, ყოველ წუთს შეიძლება ცხენში ამოყოთ თავი, და თქვენ ვერც მათიას გრუნველდი და ვერც მის მიერ მოხატული იზენჰაიმის საკურთხეველი ვერ გიხსნით განსაცდელისგან. ქვეყანაში არალეგალურად შესვლისათვის იქ სამი თვის პატიმრობაა შემოღებული. სხვაგან არც ერთი სასამართლო თხუთმეტ დღეზე მეტს არ მოგისჯით, იქ კი, თუ შეორედ დაგიჭირეს, ექვს თვეს აგკიდებენ. თანაც იქაური ცხე სიმკაცრით კატორღას ჰგავს. ასე რომ, მოერიდეთ კოლმარს და ელზასს, ბავშვებო. ჯობს, ენენევაზე გავლით იაროთ!

— იტალიაში როგორი ვითარებაა? — ჰკითხა კლასმანმა.

მორიც როზენტალმა ედიტ როზენფელდის მორთმეული წითელი ღვინით სავსე ჭიქა აიღო. ხელი ძალზე აუკანკალდა, შერცხვა და ჭიქა ისევ მაგიდაზე დადო.

— იტალია გერმანელი აგენტებით აივსო, — უპასუხა კლასმანს. — იქ ჩვენისთანებს აღარ დაედგომებათ.

— ავსტრიაში? — ჰკითხა ვაზერმა.

— ავსტრია და ჩეხოსლოვაკია სათაგურებად გადაიქცნენ. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ევროპაში დაგვრჩა, საფრანგეთია. შეეცადეთ აქ დამკვიდრდეთ.

— მერი ალტმანის შესახებ ხომ არაფერი გაგიგია, მორიც? — ჰკითხა ედიტ როზენფელდმა მცირე ხნის შემდეგ. — ბოლოს მილანში იყო.

— ის ახლა ამსტერდამშია, მოახლედაა ერთ ოჯახში. მისი შვილები ლტოლვილების თავშესაფარში არიან შვეიცარიაში, თუ არ ვცდები, ლოკარნოში. მისი ქმარი ბრაზილიაშია.

— დალაპარაკება თუ მოასწარი?

— დიახ, ციურიხიდან გამგზავრების წინ. ძალზე ბედნიერი იყო, ყველა შვილი თავშესაფარში რომ მოაწყო.

— იოზეფ ფესლერისა რამე ხომ არ იცით? — ჰკითხა კლასმანმა. — ის ციურიხში ბინადრობის ნებართვას უცდიდა.

— ფესლერმა და მისმა ცოლმა თავი მოიკლეს, — ისე მშვიდად თქვა მორიც როზენტალმა, თითქოს მეფუტკრეობაზე საუბრობდა. კლასმანისკენ არც გაუხედავს, კარს მისჩერებოდა. კლასმანს ხმა არ ამოუღია. სხვებიც დუმდნენ. სიჩუმემ მხოლოდ წუთი გასტანა. ყველას ისე ეჭირა თავი, თითქოს არაფერი გაუგონიათ.

— იოზეფ ფრიდმანს სადმე ხომ არ შეხვედრიხართ? — ჰკითხა ბროზემ.

— არა. მაგრამ ვიცი, ზალცბურგის საპატიმროში ზის. მისი ძმა გერმანიაში დაბრუნდა. მე მგონი, ახლა გამასწორებელ საკონცენტრაციო ბანაკში უნდა იჯდეს.

მორიც როზენტალმა, თითქოს ძვირფასი ბრილიანტი თასიათ, ორივე ხელით ფრთხილად აიღო ჭიქა და ღვინო ნელა მოსვა.

— ჰო, მართლა, რას საქმიანობს მინისტრ[illegible]? — ჰკითხა მარილმა.

— მისი საქმე ბრწყინვალედ აეწყო. ტაქსის მძღოლად მუშაობს ციურიხში. ბინადრობის ნებართვაცა აქვს და მუშაობისაც.

— სულაც არ მიკვირს! — განაცხადა კომუნისტმა ვაზერმა.

— ბერნშტაინი?

— ბერნშტაინი ავსტრალიაშია, მამამისი ალმოსავლეთ ევროპაში. მაქს მაის ბედმა გაუღიმა. კბილის ექიმის ასისტენტია ბომბეიში, რა თქმა უნდა, არალეგალურად. მაგრამ თავს ირჩენს. ლეევენშტაინმა ინგლისურად ჩააბარა ყველა გამოცდა ადვოკატის წოდების მოსაპოვებლად და ახლა პალესტინაში მოღვაწეობს. მსახიობი ჰანსდორფი სახელმწიფო თეატრშია ციურიხში. შტორმმა თავი ჩამოიხრჩო. ედიტ იცნობდი მთავრობის ყოფილ ბინდერს ბერლინში?

— დიახ.

— იგი ცოლს გაეყარა... კარიერის გულისთვის... მისი ცოლი ებენპაიმერი იყო. ცოლმა ორივე ბავშვთან ერთად თავი მოიწამლა.

მორიც როზენტალი ერთხანს ფიქრში ჩაეფლო.

— დაახლოებით სულ ესაა, რაც ვიცოდი, — თქვა შემდეგ. — დანარჩენები ისევ დახეტიალობენ. ისინი ახლა უფრო მეტნი არიან.

მარილმა კონიაკი დიდ ჭიქაში დაისხა, რომელზეც ეწერა: „ლიონის სადგური“. ეს იყო მისი პირველი პატიმრობის სახსოვარი. ამიტომ მუდამ თან დაჰქონდა. ჭიქა სულმოუთქმელად დაცალა.

— ამომწურავი ინფორმაცია მოვისმინეთ! — თქვა მან. — გაუმარჯოს ინდივიდუუმების გაქრობას! ძველ ბერძნებს აზრითვნება ბუნების წყალობად მიაჩნდათ. მერე ის ბედნიერებად ითვლებოდა, მოგვიანებით ავადმყოფობად, დღეს კი დანაშაულია. კულტურის ისტორია იმ ხალხის მარტვილობის ისტორიაა, ვინც მას ქმნიდა.

შტაინერმა გაუღიმა. მარილმაც ღიმილით უპასუხა. ამ დროს ქუჩიდან ზარების რეკვა მოისმა. შტაინერმა თვალი მოავლო გარშემო მყოფთ. ბედისწერის ქარს ჯანსხვავებული ბედის მქონე პატარა ადამიანებისთვის მოეყარა თავი. მან ჭიქა მაღლა ასწია.

— მამილო მორიც! — მიმართა მოხუცს. — მოხეტიალეთა მეფევ, აგასფერის უკანასკნელო შთამომავალო, მარადიულო ემიგრანტო, შენ გაგიმარჯოს! ეშმაკმა უწყის, რას გვიქადის მომავალი წელი! გაუმარჯოს არალეგალურ მებრძოლებს! სანამ ცოცხლები ვართ, იმედს ნუ დავკარგავთ!

მორიც როზენტალმა თავი დაუქნია, ჭიქა ასწია და შესვა. ოთახის სილრმეში ვიღაცამ გაიცინა. მერე სიჩუმე ჩამოვარდა. ყველას დარცხვენილი სახე ჰქონდა, თითქოს რაღაც აკრძალულზე შეისწრესო. მოულოდნელად გარედან ხმაური მოისმა. ფეიერვერკები ტკაცუნობდნენ, ტაქ-

ებს აპიპინებდნენ, მოპირდაპირე სახლის აივანზე უპიჯაკოდ გამოსულმა დაბალმა კაცმა ჯამში ჩაყრილ დენთს ცეცხლი წაუკიდა. სახლის ფასადი გაჩახჩახდა. მწვანე შუქმა ედიტ როზენფელდის ოთახი ჩააბნელა და ზღაპრულ გამოქვაბულს დაამსგავსა, თითქოს პარიზის ერთ-ერთი სასტუმროს ნომერი კი არა, ზღვის სიღრმეში ჩაძირული გემი ყოფილიყო.

ბიბლიოთეკა

მსახიობი ბარბარა კლაინი კუთხის მაგიდას უჯდა „კატაკომბაში". გვიანი იყო, მხოლოდ ორი ნათურალა ენთო გასასვლელი კარის თავზე. ქალი საგარძელში იჯდა კასრში ჩარგული პალმის წინ და, როგორც კი სახურგეს მიეყრდნობოდა, პალმის ტოტები გამხმარი ხელებივით ჩააფრინდებოდა ხოლმე თმაში. ქალს ეს აკრთობდა, მაგრამ არაქათი აღარ ჰქონდა, ამდგარიყო და სხვაგან გადამჯდარიყო.

სამზარეულოდან ჭურჭლის ჭახუნი და აკორდეონის გულის გამაწვრილებელი მუსიკა მოისმოდა, რომელსაც რადიოში გადმოსცემდნენ. რადიოსადგური „ტულუზაა", გაიფიქრა ბარბარა კლაინმა, რადიოსადგური „ტულუზა"... ახალი წელი... დავიქანცე... რადიოსადგური „ტულუზა"... სიცოცხლე მომძულდა... რადიოსადგური „ტულუზა"... ვერავინ წარმოიდგენს, რა უზომოდ შეიძლება მოიქანცოს ადამიანი.

მთვრალი ვარ, გაიფიქრა ქალმა, გონება მებინდება. მთლად მოვდუნდი. ასევე დუნდება ზამთარში მწერი, რომლის სხეულშიც სიკვდილს დაუდვია ბინა. სიკვდილი ხესავით იზრდება ჩემშიც, იზრდება ჩემს გაყინულ ძარღვებში. ვილაცამ ჭიქა კონიაკი მომაწოდა. იმან, ვისაც მარილს ეძახიან, ან სხვამ, ვინც მერე წავიდა. მინდოდა გავმთბარიყავი. თუმცა არც მციოდა. უბრალოდ, ველარაფერს ვგრძნობ.

იგი იჯდა და თითქოს შუშის კედელში ხედავდა, როგორ წამოვიდა მისკენ ვილაც კაცი. კაცი მოუახლოვდა და ქალმა ახლა უკეთ გაარჩია იგი, თუმცა მათ შორის ისევ შუშის ტიხარი იყო. ბოლოს იცნო. ეს კაცი მის გვერდით იჯდა ედიტ როზენფელდთან სტუმრობისას. მფრთხალი, გაუბედავი, გაურკვეველი სახით, დიდი სათვალეებითა და მოუსვენარი ხელებით დაახსომდა. თანაც კოჭლი იყო... ახლაც კოჭლობდა, მაგრამ ახლა შუშის მიღმა და კაცის უკან რაღაც თონთლო მასა თრთოდა და ლივლივებდა, თითქოს გამდნარი შუშის ქელე არისო.

კარგა ხანი მოუნდა, ვიდრე რამეს გაიგებდა მოსულის ნათქვამიდან. ხედავდა, როგორ წავიდა კოჭლობით კაცი, თითქოს მიცურავსო, მერე დაბრუნდა, კვერდით დაუჯდა, რაღაც დაალევინა. ქალმა ვერ გაიგო, რა გადაყლაპა. ყურები ნაზად აუბუბუნდა. ბუბუნში ესმოდა ვილაცის ხმა, სიტყვები, უსარგებლო, უაზრო სიტყვები, შორიდან, გალმიდან ნათქვამი. და უეცრად აღმოაჩინა, რომ მის წინ მოძრავი, მოუსვენარი ადამიანი კი აღარ იჯდა, არამედ რაღაც მღოლავი, შეწუხებული, ნაგვემი არსება შიშითა და მუდარით აღსავსე, სევდიანი თვალებით, გამდნარ შუშაში, რადიოსადგურ „ტულუზის" ხმებში და უცხო ღამეში ჩაფლული არნახული ცხოველი.

— დიახ... — უპასუხა ბარბარა კლაინმა. — დიახ...

უნდოდა მოსულს თავი დაენებებინა მისთვის, მარტო დაეტოვებინა. სულ ცოტა ხნით მაინც, მხოლოდ ორიოდე წუთით, იმ გრძელი უსას-

რულობის მცირე მონაკვეთით, რომელიც ჯერ კიდევ დარჩენოდა... მაგრამ მოსული ისევ წამოდგა, წინ აესვეტა, მისკენ დაიხარა, მკლავში ხელი ჩასჭიდა, ფეხზე წამოაყენა და წაიყვანა. ქალი ლაბში მიბარბაცებდა, კაცს მიჰყვებოდა, მერე დაიწყო კიბე, რომელიც რატომღაც რბილი იყო და ცდილობდა თავისი საფეხურები კბილებივით ჩაევლო მისთვის მეხლებში. შემდეგ კარები... სინათლე... ოთახი...

ბარბარა კლაინი თავის საწოლზე იჯდა. თავი ისე დამძიმებოდა, ეგონა, ველარასოდეს ავდგებიო. აზრი ეფანტებოდა. არაფერი სტკიოდა. ოღონდ ეჩვენებოდა, თითქოს რაღაც ცვიოდა მძიმედ, იმნაირად, როგორც ვვიან შემოდგომაზე ღამის სიჩუმეში გადამწიფებული ნაყოფი ცვივა ხიდან, როცა ნიავიც კი არ არხევს ტოტებს. ქალი წინ გადაიხარა, გაქუცულ ნოხს დახედა, ჩამოცვენილ ნაყოფს ეძებდა, თავი რომ ასწია, ვილაცის მზერას შეეფეთა.

იმ ვილაცას უაზრო თვალები, წინ ჩამოშლილი რბილი თმა და ნიღაბივით გაქვავებული მოგრძო, უცნობი სახე ჰქონდა. მერე ქალს შეაჟრჟოლა, გააძაგძაგა, გონებაში ნაპერწკალი გაუკრთა და მიხვდა: სარკიდან საკუთარი ორეული უმზერდა.

ქალი შეინძრა და მის საწოლთან უხერხულად ჩაცუცქული კაცი დაინახა, რომელსაც მისი ხელები ეჭირა.

ქალმა ხელები წაართვა.

— რა გნებავთ? — შეუტია კაცს. — რა გინდათ ჩემგან?

კაცი გაშტერდა.

— თქვენ ხომ მე... თქვენ ხომ მე მითხარით, წამოდიო...

ქალი ისევ მოდუნდა.

— არა... — უთხრა მან. — არა...

კვლავ სიტყვები. სიტყვები უიღბლობაზე, დარდზე, მარტოობაზე, ტკივილზე. სიტყვები, ძალზე გრძელი სიტყვები. მაგრამ განა არსებობს პატარა სიტყვები პატარა სატკივარის გამოსახატავად, რომელიც ადამიანს ღრღნის და აცამტვერებს? კვლავ სიტყვები... დილით ის შორ გზას უნდა გასდგომოდა, მისთანა ქალი ჯერ არ შეხვედროდა, შიში და ხეიბრობა ბოქავდა, უსუსურ, სასაცილო იერს აძლევდა, დაზიანებული ფეხი, დიახ, მხოლოდ ცალი ფეხი... უსასოობა და თან იმედი, რომ სწორედ ამ ღამით... ქალი ხომ მას მუდამ სხვანაირად უყურებდა, და მასაც ეგონა...

უნახავს კი როდისმე ეს კაცი? ქალმა ვერ გაიხსენა. ახლა მხოლოდ ის იცოდა, რომ თავის ოთახში იყო და აქედან აღარასოდეს გავიდოდა, სხვა დანარჩენი კი ბურუსი და არარაობა იყო.

ჩემი ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვლება! — ჩურჩულებდა კაცი ქალის მუხლებთან. — ჩემთვის ყველაფერი შეიცვლება! გეხვეწებით, გამიგეთ! ოღონდ ახლა ხელს ნუ მკრავთ...

ქალმა ვერ გაუგო. კვლავ სარკეში ჩაიხედა. ეს წინგადახრილი არსება ბარბარა კლაინი იყო, ოცდარვა წლისა, მთელი სიცოცხლე მამაკაცისგან ხელუხლები, საოცნებო გმირის მოლოდინში თავშენახული, ახლა კი იმედგადაწურული და ყველაფერზე ხელჩაქნეული.

ქალი ფრთხილად ადგა, თან სარკეში თავის გამოსახულებას თვალს არ აცილებდა. დააკვირდა. გაულიმა. წამით რაღაცამ — ირონიისა და ავბედითი დაცინვის მსგავსმა შემოანათა.

— ჰო, — მოქანცული ხმით თქვა ქალმა. — ჰო... კარგი...

კაცი მყისვე დადუმდა. ქალს ეჭვიანად შეაცქერდა. ქალმა ყურადღება არ მიაქცია. უეცრად ყველაფერი ტყვიასავით დამძიმდა. ტყვია მოსი ჯავშანივით აწვებოდა სხეულზე. ქალმა სამოსი ძირს დაყარა, მერე მისი თხელი სხეულიც მძიმედ დაეშვა ძირს. უეცრად ლოგინი ამოიზარდა, ქალა ვეებერთელა ხელები შემოაჭდო და თეთრ, ფაფუკ სამარეად გადაიქცა.

ქალი ამომრთველის გაჩხაკუნებამ და ტანსაცმლის შარიშურმა გამოაფხიზლა. დაღლილი თვალები ძლივს გაახილა. ბნელოდა.

— შუქი! — მოითხოვა ბალიშში თავჩარგულმა. შუქი აანთეთ!

— ერთი წამით! გთხოვთ, მხოლოდ ერთი წამით! — კაცი დარცხვენით, აჩქარებით ლაპარაკობდა. — ეს მხოლოდ... გთხოვთ, გამიგოთ...

— შუქი აანთეთ... — დაიჟინა ქალმა.

— დიახ, აუცილებლად... ახლავე... მხოლოდ...

— მერე ხომ დაუსრულებელი სიბნელე იქნება... — ლუღლუღებდა ქალი.

— დიახ... დიახ, მართალია... ზამთარში გრძელი ღამეებია....

ქალმა ამომრთველის ჩხაკუნი გაიგონა. შუქი დახურულ ქუთუთოებზე ნაზ წითელ ბინდად გადაეფინა. მერე სხვისი სხეულის სიმძიმე იგრძნო. წამით ქალში ყველაფერი შეიკუმშა, მერე მოეშვა. ესეც ჩაივლის, როგორც ყველაფერი ცხოვრებაში...

ქალმა თვალი ნელა გაახილა. მის საწოლთან უცნობი მამაკაცი იდგა. ქალის მეხსიერებას აღელვებული, მახვეწარი, საცოდავი სახე ჰქონდა შემონახული, ხოლო სახე, რომელსაც ახლა ხედავდა, თბილი და ღია იყო, სინაზესა და ბედნიერებას გამოხატავდა.

ქალმა კაცს თვალი შეავლო.

— ახლა წადით, — უთხრა. — გთხოვთ, წახვიდეთ...

კაცი შეინძრა. მერე სიტყვები გადმოდინდა, აჩქარებული, აფორიაქებული სიტყვები. ქალმა ჯერ ვერაფერი გაიგო. მისი დაბინდული გონება აზრს ვერ სწვდებოდა. ერთადერთი სურვილი ჰქონდა — კაცი გასცლოდა. ბოლოს რაღაც გაიგო: თურმე კაცი იმედდაკარგული ყოფილა, დაღუპვის პირას მისული, მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვალა... და სწორედ ახლა, როცა მხნეობა დაუბრუნდა, სწორედ ახლა საფრანგეთი უნდა დაეტოვებინა...

ქალმა თავით ანიშნა, გაჩუმდიო.

— გთხოვთ, — უთხრა კაცს.

კაცი დადუმდა.

— წადით, — უთხრა ქალმა.

— კეთილი...

გასავათებულმა ქალმა საბანი დაიხურა. კარისკენ მიმავალ კაცს თვალი გააყოლა, ეს უკანასკნელი ადამიანი იყო, ვისაც ხედავდა. ვაუნძ-

რევლად იწვა, უცნაური სიმშვიდე დაუფლებოდა. აღარაფერი აინტერესებდა.

კაცი კართან შეჩერდა. წამით შეყოყმანდა, მერე შემობრუნდა.

— მითხარით ერთი, — მიმართა ქალს, — ეს... ეს მხოლოდ იმიტომ გააკეთეთ... რომ შეგეცოდეთ... თუ...

ქალმა შეხედა. უკანასკნელი ადამიანი. სიცოცხლის უკანასკნელი ნამსხვრევი.

— არა... — უთხრა ძალდატანებით.

— შეგეცოდეთ და იმიტომ?

— არა.

კაცი მოულოდნელობისგან კართან გაქვავდა.

— რა? — ჰკითხა წყნარად, თითქოს ეშინოდა, არ წავიქცეო.

ქალი კვლავ შესცქეროდა. თავი მშვიდად ეჭირა. სიცოცხლის უკანასკნელი ნაძცეცი...

— სიყვარულით... — თქვა ქალმა.

კაცი კართან იდგა და დუმდა. ისეთი სახე ჰქონდა, გეგონება, თავში კეტის ჩარტყმას ელოდა, მოულოდნელად კი მკერდში ჩაიკრესო. იდგა და თითქოს სიმაღლე ემატებოდა.

— ღმერთო ჩემო! — აღმოხდა მას.

ქალს უცებ შეეშინდა, უკან არ დაბრუნდესო.

— წადით, — სთხოვა კაცს. — ძალზე დავიღალე...

— კეთილი...

ქალს მისი ნათქვამი აღარ გაუგონია. ძალაგამოლეულს თვალები მიელულა. მერე გლუვი, შიშველი კარი დაიხურა. ქალი მარტო დარჩა და კაცი გადაავიწყდა.

ერთხანს გაუნძრევლად იწვა. საკვეში თავის სახეს უყურებდა და სუსტად, ნაზად უღიმოდა. გონება ხავსებით დაეწმინდა. ბარბარა კლაინი... ფიქრობდა იგი. მსახიობი... ზუსტად ახალი წლის დღეს... მსახიობი... მაგრამ განა ერთი დღე მეორისგან რამეთი განსხვავდება? ტუმბზე დადგმულ საათს შეხედა. დილით დაქოქა. მაშასადამე, კიდევ ერთი კვირა იტიკტიკებდა. მერე საათის ახლოს დადებულ წერილს შეავლო თვალი, საშინელ წერილს, რომელშიც სიკვდილი დაბუდებულიყო.

უჯრიდან პატარა სამართებელი ამოიღო. ცერსა და საჩვენებელ თითს შორის დაიჭირა და თავზე საბანი გადაიხურა. მაინცდამაინც არ სტკენია. დიასახლისი დილით ლანძღვა-გინებით აიკლებს აქაურობას. მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ვერონალი ვერ იყიდა. სახე ბალიშში ჩარგო. გონებაზე ბინდი გადაეფარა, მერე ისევ დაეწმინდა, თითქოს დაბრუნდა დასაკარგავიდან. რადიოსადგური „ტულუზა"... სულ ახლოს და ახლოს... ყრუ გუგუნი... უძირო ორმო... თავით გადაეშვა... სწრაფად და სწრაფად... ბოლოს ქარი...

XIX

სასადილოში მარილი შემოვიდა.

— ვილაც კაცი გკითხულობს, შტაინერ.

— როგორც შტაინერს თუ როგორც ჰუბერს?

— როგორც შტაინერს.

— არ გიკითხავს, რა უნდა?

— რასაკვირველია, ვკითხე, სიფრთხილის გამო. — მან შტაინერს თვალი გაუსწორა. — წერილი ჩამოგიტანა ბერლინიდან.

შტაინერმა სკამი ფიცხლად გასწია უკან.

— სად არის?

— გარეთ, რუმინეთის პავილიონთან.

— ჯაშუში ხომ არ არის?

— არა ჰგავს.

გარეთ ერთად გავიდნენ. ფოთლებისგან გაძარცულ ხის ძირში ორმოცდაათიოდე ხლის მაძაკაცი იცდიდა.

— შტაინერი თქვენა ხართ? — ჰკითხა შტაინერს.

— არა, — უპასუხა შტაინერმა. — რატომ კითხულობთ?

კაცმა თვალი შეავლო.

— წერილი უნდა გადმოგცეთ. თქვენი ცოლისგან.

პორტმონედან წერილი ამოიღო და შტაინერს უჩვენა.

— ხელწერას ალბათ იცნობთ.

შტაინერი მთელი ძალ-ღონის დაძაბვით ცდილობდა სიმშვიდე შენარჩუნებინა, მაგრამ უცბად შიგნით ყველაფერი მოუდუნდა, აუკანკალდა. გაფითრდა. ხელის აწევასაც ვერ ბედავდა; ეშინოდა, ვერ დავიმორჩილებო.

— რა იცით, შტაინერი რომ პარიზშია? — ჰკითხა მარილმა.

— ვენიდან წერილი მოგვივიდა. ვენაში ვილაცას ჩაუტანია ბერლინიდან. ვინც ვენიდან გამოაგზავნა, თურმე სად არ გეძებდათ, ბოლოს შეუტყვია, პარიზში რომ ხართ. — უცნობმა მეორე კონვერტი უჩვენა, რომელზეც ლილოს მსხვილი ხელწერით ეწერა: პარიზი, იოზეფ შტაინერს. — მან სხვა წერილებთან ერთად ესეც გამომიგზავნა. რამდენიმე დღეა თქვენ გეძებთ. ბოლოს კაფე „მორისში" მითხრეს, რომ აქ გიპოვიდით. ნუ გამიმხელთ, რომ თქვენ შტაინერი ხართ. ვიცი, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. თქვენ მხოლოდ წერილი გამომართვით. მინდა მისგან გავთავისუფლდე.

— წერილი ჩემია, — უთხრა შტაინერმა.

— კეთილი.

უცნობმა წერილი მისცა. შტაინერმა თავს ძალა დაატანა, წერილი რომ გამოერთმია. ეს ჩვეულებრივი წერილი არ იყო, ის მსოფლიოს ყველა ერთად აღებულ წერილზე მძიმე იყო. მაგრამ, როგორც კი თითებზე კონვერტის შეხება იგრძნო, ხელს თუ მოაჭრიდნენ, თორემ ისე ველარავინ წაართმევდა.

— გმადლობთ, — უთხრა უცნობს. — მეტისმეტად შეწუხდით.

— არა უშავს. თუ ფოსტამ ჩვენამდე მოაღწია, ადრესატის მოსაძებნად ძალ-ღონეს არ ვიშურებთ, კარგია, რომ გიპოვეთ.

უცნობი დაემშვიდობა და წავიდა.

— მარილ, — მიმართა მეგობარს აღელვებულმა შტაინერმა. — ჩემი ცოლისგანაა! პირველი წერილია! რას უნდა ნიშნავდეს ეს? მას ხომ ჩემთვის წესით წერილი არ უნდა მოეწერა!

— გახსენი...

— ჰო. აქ დარჩი. დალახვროს ეშმაკმა, რამე ხომ არ შეემთხვა?

შტაინერმა კონვერტი გახია და კითხვა დაიწყო. წერილი ისე ჩაათავა, არ გაანძრეულა, ოღონდ სახე თანდათან ეცვლებოდა. გაუფითრდა, ყბა მოეღრიცა, ნაკვთები დაეძაბა, ძარღვები დაებერა.

წერილიანი ხელი ძირს დაუშვა. ერთხანს უხმოდ იჯდა და იატაკს ჩასჩერებოდა. მერე თარიღს დახედა.

— ათი დღე... — თქვა მან. — იგი საავადმყოფოში წევს. ათი დღის წინ ცოცხალი იყო.

მარილმა შეხედა, ელოდა, რას იტყოდა.

— მწერს, ველარ გადავრჩებიო. ამიტომ გადაუწყვეტია მოეწერა. დამალვას აზრი აღარ აქვსო. არ მწერს, რა სჭირს. იწერება, თავად მიხვდებიო. ეს მისი უკანასკნელი წერილია...

— რომელ საავადმყოფოში წევს? — ჰკითხა მარილმა. — არ იწერება?

— დიახ, იწერება.

— ახლავე დავრეკოთ. საავადმყოფოში. სხვა გვარით.

შტაინერი გაჭირვებით წამოდგა.

— უნდა გავემგზავრო.

— ჯერ დაურეკე. მოდი, „ვერდენში" წავიდეთ.

შტაინერმა ტელეფონზე საუბარი შეუკვეთა. ნახევარ საათში შეაერთეს. სატელეფონო კაბინაში ისე შევიდა, თითქოს მის წინ ჯურღმული იყო. იქიდან მთლად ოფლით გაწუწული გამოვიდა.

— ჯერ ცოცხალია, — ამოღერღა მან.

— თავად მას ელაპარაკე? — ჰკითხა მარილმა.

— არა, ექიმს.

— შენი გვარი გაუმხილე?

— არა. ვუთხარი, ნათესავი ვარ-მეთქი. ოპერაცია გაუკეთებიათ. არ გადარჩებაო. დიდი-დიდი კიდევ სამი-ოთხი დღე იცოცხლოსო, თქვა ექიმმა. ამიტომ მომწერა წერილი. არ ეგონა, თუ ასე ჩქარა მივიღებდი. დალახვროს ეშმაკმა! — წერილი ისევ ხელში ეჭირა. გარშემო ისე მიმოიხედა, თითქოს პირველად იყო „ვერდენის" ჭუჭყიან ფოიეში. — მარილ, ამ საღამოსვე მივდივარ.

მარილმა გაკვირვებით შეხედა.

— გავიქცევ, კაცო? — წყნარად უთხრა მერე.

— არა. საზღვარზე გადავალ. მე ხომ პასპორტი მაქვს.

— პასპორტი ველარაფერს გიშველის, როცა იმათ ხელში ჩავარდები. ეს შენც კარგად იცი.

— დიახ.

— მაშასადამე, ისიც იცი, რას ნიშნავს შენი იქ წასვლა!

— დიახ.

— გარდაუვალ დაღუპვას.

— ისედაც დაღუპული ვარ, თუ ის მოკვდა.

— ეგ სიცრუეა! — მარილი უეცრად სასტიკად გაცხარდა. — შეესაძლოა უგულობად მოგეჩვენოს, რასაც მე გირჩევ, შტაინერ, მაგრამ მაინც... მისწერე, დაურეკე, მაგრამ აქედან ფეხი არ მოიცვალო.

შტაინერმა ჯიუტად გააქნია თავი. მარილისთვის ბოლომდე არც მოუსმენია.

მარილმა მხარში ჩაავლო ხელი.

— შენ ვერაფერს უშველი, თუნდაც მის გვერდით იყო.

— უნდა ვნახო.

— რას ამბობ, ადამიანო! შენს დანახვაზე ხომ ჭკუიდან შეიშალა. ახლა მას აღარ ეკითხები? რას არ ილონებდა ალბათ, ოღონდ შენ აქ დარჩე.

შტაინერი ქუჩას გაჰყურებდა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა. მერე აწრაფად შემობრუნდა.

— მარილ, — მიმართა მეგობარს და თვალები აუცრემლდა, — ამქვეყნად ერთადერთი ისა მყავს. ის ცოცხალია, ჯერ კიდევ სუნთქავს, თვალს ახელს, აზროვნებს, მე კი აქ ვარ, მისგან შორს. ორიოდე დღეში ის მოკვდება, მისგან აღარაფერი დარჩება, მიწაში ჩადებენ როგორც ხრწნად, უცხო გვამს და აღარ იარსებებს. მაგრამ ჯერ ცოცხალია, აქ არის, ორიოდე დღე კიდევ დარჩენია. ეს მისი უკანასკნელი დღეებია, და ამ დროს მე მასთან არ ვიყო?! გამიგე, მასთან უნდა გავემგზავრო, სხვანაირად წარმოუდგენელია. დალახვროს ეშმაკმა, საყარო გადაბრუნდება, მასთან თუ არ ვიქნი, უბრალოდ, წავხდები, მეც მოვკვდები!

— არ მოკვდები. მოდი, დეპეშა გაუგზავნე. შენს ფულს ჩემი ფულიც მიუმატე, გამოართვი კერძსაც და ყოველ საათს დეპეშები უგზავნე, მთელი გვერდები, წერილები მისწერე, ყველაფერი გააკეთე, მაგრამ აქ დარჩი!

— ჩემი გამგზავრება საშიში არაა, მე პასპორტი მაქვს და მისი მეშვეობით უკან დავბრუნდები.

— სისულელეებს ნუ ჩმახავ! კარგად იცი, რომ საშიშროება დიდია. მათ იქ მაგარი ორგანიზაცია აქვთ შექმნილი.

— მე მივემგზავრები, — მტკიცედ უთხრა შტაინერმა.

მარილი შეეცადა მკლავში ხელი ჩაევლო და თან წაეყვანა.

— წამო, ორიოდე ბოთლი შნაპსი დავლიოთ! დათვერი! გპირდები, ყოველ ორ საათში ტელეფონზე დავრეკავ.

შტაინერმა მსუბუქად მოიცილა მისი ხელი.

— შემეშვი, მარილ. საქმე სხვაგვარადაა. განა არ მესმის, რასაც ფიქრობ. ეგ ჩემთვისაც ნათელია, აბა, გიჟი ხომ არა ვარ. ვიცი, რა რისკზეც მივდივარ, მაგრამ ათასჯერაც უფრო საშიში რომ იყოს, მაინც წავალ, და არავის ძალუძს ამაში ხელი შემიშალოს. ნუთუ ეს არ გესმის?

— ჰო, — ჩაიბურტყუნა მარილმა, — რა თქმა უნდა, მესმის! შენს ადგილზე მეც წავიდოდი!

შტაინერმა ჩემოდანი ჩაალაგა. ის მთიდან დაძრულ ნიალვარს ჰგავდა, რომელსაც აქამდე ყინული ბოჭავდა. თითქოს სიზმარშიაო, ბუნდოვნად აცნობიერებდა, რომ ვილაცას ტელეფონზე ელაპარაკა, რომელიც იმავე შენობაში იყო, სადაც მარი იმყოფებოდა. წარმოუდგენლად ეჩვენებოდა, რომ მისი საკუთარი ხმა მარისთან სულ ახლოს გაისმოდა

ყურმილის შავ ნიჟარაში. ყველაფერი არარეალური იყო: ისიც, რომ ტანსაცმელს ალაგებდა გასამგზავრებლად, ისიც, რომ მატარებელში ჩაჯდებოდა, და ისიც, რომ დილით იქ ჩავიდოდა, სადაც მარი იყო.

მგზავრობისათვის აუცილებელი ერთი-ორი ხელი ტანსაცმელი უთავბოლოდ ჩაყარა ჩემოდანში და ჩაკეტა. მერე რუთთან და კერნთან ავიდა მაღლა. მათ უკვე ყველაფერი შეეტყოთ მარილისგან და შეწუხებულები დასვდნენ შტაინერს.

— ბალლებო, — მიმართა მათ შტაინერმა, — მე მივემგზავრები. ამას დიდი ხანია ველოდი და, მართალი რომ გითხრათ, ეჭვი არასდროს შემპარვია, რომ ასეც მოხდებოდა. თუმცა ეს ამბავი ცოტა სხვანაირად წარმომედგინა. — დაურთო მან. — მაგრამ ეს ჯერ მეც არ მჯერა. მხოლოდ ვიცი.

შტაინერი დაბნეულად, სევდიანად იღიმებოდა.

— მშვიდობით, რუთ.

რუთმა ხელი გაუწოდა. იგი ტიროდა.

— საოქმელი ბევრი მქონდა, შტაინერ, მაგრამ ახლა ყველაფერი გადამავიწყდა. დარდი მომერია. ამას არ წაიღებთ? — მან შავი პულოვერი გაუწოდა შტაინერს. — სწორედ დღეს დავამთავრე.

შტაინერმა გაიღიმა და წამით ისევ ძველ შტაინერად იქცა.

— სულზე მომისწრო, — უთხრა მან. მერე კერნს მიუბრუნდა. — მშვიდობით, ბალლო. ცხოვრება ზოგჯერ ხანტად მიიზლაზნება, ზოგჯერ კი თავბრუდამხვევი სიჩქარით მიაქანებს ადამიანს. ასე არაა?

— არ ვიცი, შენ რომ არა, აქამდე თუ მოვალწევდი, შტაინერ, — მადლიერებით უთხრა კერნმა.

— აუცილებლად მოალწევდი. მაგრამ კარგია, მაგას რომ მეუბნები. გამოდის, დროს შენთვის უქმად არ ჩაუვლია.

— დაგვიბრუნდით! — უთხრა რუთმა. — მეტს ვერაფერს გეტყვით. დაგვიბრუნდით. ბევრს ვერაფერს შეგპირდებით, მაგრამ გახსოვდეთ, რაცა გვაქვს, ის თქვენიცაა! მუდამ!

— კეთილი. ვნახოთ. მშვიდობით, ბალლებო. ყურები არ ჩამოყაროთ.

— სადგურზე გაგაცილებთ, — შესთავაზა კერნმა.

შტაინერი შეყოყმანდა.

— მარილი მაცილებს. თუმცა კარგი, თქვენც წამოდით! — კიბეზე ჩავიდნენ. ქუჩაში შტაინერი შემობრუნდა და სასტუმროს გაქუცულ ნაცრისფერ ფასადს შეხედა. — „ვერდენი"... — ჩაიბურტყუნა მან.

— მომეცი, ჩემოდანს წამოგიღებ, — შესთავაზა კერნმა.

— ვითამ რატომო, ბალლო. მე რა, თავად ვერ წამოვიღებ?

— მომეცი, — არ მოეშვა კერნი. მერე ნაძალადევი ღიმილით დაურთო: — შუადღისას ხომ დარწმუნდი, როგორ მოვლონიერდი.

— ჰო, დავრწმუნდი. უჰ, შუადღიდან რამდენი დრო გასულა!

შტაინერმა ჩემოდანი მისცა. ხვდებოდა, კერნს უნდოდა მისთვის ესიამოვნებინა და იმწუთას ისეთი უბრალო რამის გარდა, როგორიცაა ჩემოდნის წამოღება, სხვა ვერაფერი მოიფიქრა.

სადგურზე ზუსტად მატარებლის გასვლის წინ გავიდნენ. შტაინერი ვაგონში ავიდა და სარკმელი დაბლა ჩამოუშვა. მატარებელი ჯერ არ დაძრულიყო, მაგრამ ბაქანზე დარჩენილი კერნი, რუთი და მარილა გუმანით გრძნობდნენ, რომ შტაინერი მათ სამუდამოდ ემშვიდობებოდა. კერნი ანთებული თვალებით შეჰყურებდა, თითქოს ცდილობდა მისი ხმელი, ვაფკაცური სახე გულში აღებეჭდა. ეს სახე მრავალი თვეთან დაჰყვებოდა, ასწავლიდა და, თუკი კერნი ცოტათი მაინც გამოიწრთო, ეს შტაინერის დამსახურება იყო. იგი შესცქეროდა მშვიდ, უდრეკ კაცს, რომელიც თავისი ნებით ყულფში ჰყოფდა თავს, და არც ერთ მათგანს არ სჯეროდა, რომ სასწაული მოხდებოდა და შტაინერი გადარჩებოდა.

მატარებელი დაიძრა. ხმას არც ერთი არ იღებდა. შტაინერმა გამომშვიდობების ნიშნად ხელი მაღლა ასწია. ბაქანზე დარჩენილი სამეული მატარებელს მისჩერებოდა, ვიდრე იგი მოსახვევში არ გაუჩინარდა.

— დალახვროს ეშმაკმა! — ჩახლეჩილი ხმით თქვა ბოლოს მარილამ. — წამოდით, შნაპსი უნდა დავლიო. ადამიანის სიკვდილს ბევრჯერ შევსწრებივარ, მაგრამ კაცი რომ შეგნებულად თავს იკლავდეს, ეს ჯერ არ მინახავს.

ისინი სასტუმროში დაბრუნდნენ. კერნი და რუთი რუთის ოთახში ავიდნენ.

— რუთ, — მიმართა კერნმა მცირე დუმილის შემდეგ, — უცბად თითქოს ყველაფერი დაცარიელდა და აცივდა. თითქოს მთელი ქალაქი ერთბაშად გაუკაცრიელდა.

*

სალამოს მამილო მორიცს ესტუმრნენ, რომელიც კარგა ხანია საწოლიდან ველარ დგებოდა.

— დასხედით, ბავშვებო, — უთხრა სტუმრებს. — ყველაფერი ეკვე ვიცი. რას იზამ. ყოველი ადამიანი თვითონ განაგებს საკუთარ ბედს.

მორიც როზენტალმა იცოდა, ველარ ადგებოდა. საწოლი ისე დაადგმევინა, ფანჯარაში ცქერა შეძლებოდა. სანახავი ბევრი არაფერი იყო. ფანჯარაში მხოლოდ გადაღმა კვარტალის ნაწილი ჩანდა, მაგრამ სხვა გასართობი არაფერი გააჩნდა და ამიტომ მისთვის ესეც ბევრს ნიშნავდა. მოპირდაპირე სახლის ფანჯრებს უყურებდა, მისთვის ცხოვრების განსახიერებად რომ ქცეულიყო, უყურებდა დილიდან, როცა მათ აღებდნენ, უყურებდა ამ ფანჯრებში გამოჩენილ სახეებს და უკვე ყველას ცნობდა. სახემოღუშულ გოგოს, რომელიც ფანჯრებს წმენდდა; დასუსტებულ ახალგაზრდა ქალს, რომელიც შუადღიდან თითქმის ფეხმოუცვლელად იჯდა ფარდებგადაწეულ ფანჯარასთან და ქუჩას მისჩერებოდა; მელოტ კაცს ზედა სართულიდან, რომელიც სალამოობით ღია ფანჯარასთან ვარჯიშობდა, და სხვებსაც. იგი ხედავდა, როგორ ინაცვლებოდა სალამოს ფარდებს მიღმა შუქი, ხედავდა მოლიცლიცე ლანდებს. სალამოობით ზოგიერთ ფანჯარაში წყვდიადი იდგა, თითქოს მიტოვებული ბუნაგებიაო. სხვაგან შუქი გვიანობამდე ენთო. ეს სანახაობა და ქუჩიდან შემომავალი ყრუ გუგუნი წარმოადგენდა მისთვის გარე სამყაროს, რომელსაც იგი მხოლოდ ფიქრებით ეკუთვნოდა და არა სხეულით. მეორე სამყარო — მოგონებათა სამყარო — მის ოთახში, კედლებზე

იყო გაკრული. უკანასკნელი ძალ-ღონის მოხმობითა და მოახლის დახმარებით ყველა ფოტო და ნახატი, რაც კი გააჩნდა, ჭიკარტებით კედლებზე დაემაგრებინა.

საწოლის თავთან მისი ოჯახის წევრების გამოსუნთქული ფოტოები ეკიდა: მშობლების, ცოლის, რომელიც ორმოცდაერთ წლის წინათ გაძოეცალა ხელიდან, შვილიშვილის, რომელიც ჩვიდმეტი წლისა მოუკვდა, რძლისა, რომელმაც მხოლოდ ოცდათსუთმეტ წლამდე იცოცხლა. მოკლედ, ამ მხარეს გარდაცვლილთა ფოტოები იყო. მორიც როზენტალი, უთვისტომო და დაჩაჩანაკებული, მათ შორის იწვა სიკვდილის მოლოდინში. მოპირდაპირე კედელზე რაინის ხეობის პეიზაჟებსა და ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილ ფერად ილუსტრაციებს შორის, რომლებზედაც ციხესიმაგრეები, სასახლეები, რაინზე მზის ამოსვლა და წვიმიანი დღე იყო გამოსახული, რაინისპირა პატარა პროვინციული ქალაქის — გოდესბერგის ფოტოების სერიაც ეკიდა.

— არ ვიცი, როგორ მოვიქცე, — დარცხვენით თქვა მორიც როზენტალმა. — წესით აქ პალესტინის სურათებიც უნდა მეკიდოს, ორიოდე ცალი მაინც. მაგრამ რაღაც გული არ მთხოვს.

— რამდენ ხანს ცხოვრობდით გოდესბერგში? — ჰკითხა რუთმა.

— თვრამეტი წლის ასაკამდე. მერე სხვაგან გადავედით.

— მოგვიანებით?

— მოგვიანებით იქ აღარ დავბრუნებულვარ.

— მას მერე კარგა ხანი გასულა, მამილო მორიც, — გაუკვირდა რუთს.

— ჰო. მაშინ ამქვეყნად გაჩენილი არ იყავი. დედაშენი თუ იქნებოდა დაბადებული.

საოცარია, გაიფიქრა რუთმა, დედაჩემი რომ დაიბადა, ეს სურათები უკვე მოგონებებს აღძრავდა ამ მაღალშუბლიანი ადამიანის ტვინში, ვინაც მძიმე ცხოვრება განვლო და ჩაიფერფლა, ეს მოგონებები ახლაც ამ ბებერ თავში მოჩვენებებივით დაბორიალობენ, თითქოს ზოგის სიცოცხლეზე უფრო გაუხუნარი არიანო.

კარზე დააკაკუნეს.

ოთახში ედიტ როზენფელდი შემოვიდა.

— ედიტ, — მიმართა მორიც როზენტალმა, — ჩემო მარადიულო სიყვარულო! საიდან მოდიხარ?

— სადგურიდან, მორიც. მაქსი გავამგზავრე. ჯერ ლონდონში ჩავა, იქიდან კი მექსიკაში.

— მაშ მარტო დარჩენილხარ, ედიტ...

— ჰო, მორიც. ყველანი დავაბინავე, ამიერიდან ყველას საშუშაო აქვს.

— რით დასაქმდება მექსიკაში?

— მუშად მიდის. მაგრამ მერე შეეცდება ავტობიზნესში ჩაერთოს.

— კარგი დედა ხარ, ედიტ, — შეაქო მცირე ხნის შემდეგ მორიც როზენტალმა.

— როგორც ყველა დედა, მორიც.

— აწ რას აპირებ?

ცოტას დავისვენებ. მერე საქმე გამომიჩნდება. აქ, სასტუმროში ერთი ჩვილია. ორი კვირის წინ დაიბადა. დედამისი მალე სამუშაოზე უნდა გავიდეს. ასე რომ, სადაცაა ბებო გავხდები!

მორიც როზენტალი ოდნავ წამოიწია.

— ჩვილი? ორი კვირისა? და უკვე საფრანგეთის მოქალაქე! რასაც ოთხმოცი წლის ასაკშიც ვერ მივაღწიე. — გაიღიმა. — მერე იავნანა გახსოვს, ედიტ?

— დიახ.

— ის იავნანა, ჩემს ვაჟიშვილს რომ უმღერე მაშინ. დიდი დრო გავიდა მას შემდეგ. ერთხელაც ხომ არ იმღერებდი, ედიტ? ზოგჯერ პატარა ბავშვივით ვგრძნობ თავს. უსიმღეროდ ვერ ვიძინებ.

— რა გიმღერო, მორიც?

— სიმღერა ღატაკ ებრაელ ბავშვზე, ორმოცი წლის წინათ რომ იმღერე. მაშინ ახალგაზრდა და ლამაზი იყავი. თუმცა ახლაც ლამაზი ხარ, ედიტ.

ედიტ როზენფელდმა გაიღიმა, სავარძელში მოხერხებულად მოიკალათა და აკანკალებული ხმით ძველებური ებრაული სიმღერა დაიწყო. მისი სუსტი ხმა ძველ მუსიკალურ ზარდახშასავით ყლრიალებდა. მორიც როზენტალი ბალიშებზე მიწოლილი უგდებდა ყურს. თვალები დაეხუჭა. მშვიდად სუნთქავდა. ხნიერი ქალი ხმადაბლა მღეროდა სევდიან, გულისამაჩუყებელ სიმღერას:

ებრაელის ციცქნა ბიჭო,
ტკბილად გამოიძინე.
გაიზრდები, ქიშმიშს და ნუშს
გასაყიდად გაგატან.

რუთი და კერნი მდუმარედ უსმენდნენ. ოთახში ჭარიტივით შემოიჭრა წარსული. ორმოცმა წელმა, ორმოცდაათმა წელმა ჩაიტროლა მოხუცი ქალის მოხუც კაცთან საუბარში, და ორივეს ბუნებრივად მიაჩნდა, რომ ამ წლებმა უკვე განვლეს. ხოლო მათ გვერდით მჯდომ ორ ოცი წლის ახალგაზრდას, ვისთვისაც ერთი წელიწადიც კი რაღაც უსასრულო და წარმოუდგენლად ხანგრძლივი დრო იყო, შიშის ლანდი გაუკრთა გულში: რომ ყველაფერი წარმავალია, ყველაფერი გაქრება და დროის მსახერალი ხელი ერთხელ მათაც მისწვდება...

ედიტ როზენფელდი წამოდგა და მორიც როზენტალისკენ დაიხარა. მოხუცს ჩასძინებოდა. ქალი ერთხანს დასცქეროდა მსხვილ ნაკვთებიან ბეგრულ სახეს.

— წავიდეთ, — უთხრა მერე ახალგაზრდებს, — ძილი ვაცადოთ.

ედიტ როზენფელდმა შუქი ჩააქრო. ჩუმად გავიდნენ ბნელ დერეფანში და თავ-თავიანთი ოთახებისკენ გაემართნენ.

კერნმა მარილთან ერთად პავილიონიდან მიწით დატვირთული ურიკა გამოაგორა. გამოსასვლელში ორმა მამაკაცმა შეაჩერა.

— ერთი წუთით, გეთაყვა! თქვენც... — მიმართა ერთმა მარილს.

კერნმა უხალისოდ გააჩერა ურიკა. მიხვდა, რისთვისაც იყვნენ მოსულები. ამგვარ კილოს კარგად იცნობდა. სადაც უნდა ყოფილიყო დედამიწის ზურგზე, ულრმესი ძილიდანაც კი მყისვე გამოფხიზლდებოდა, საწოლთან ეს წყნარი, თავაზიანი, კატეგორიული ხმა რომ გაეგონა.

— გთხოვთ, საბუთები გვიჩვენოთ.

— თან არა მაქვს, — უპასუხა კერნმა.

— ეგებ ჯერ თქვენი საბუთები წარმოგედგინათ, — მიმართა მათ მარილმა.

— რა თქმა უნდა, სიამოვნებით! აი, ნახეთ. მე მგონი, საკმარისი უნდა იყოს. მე პოლიციიდან ვარ. ეს კი შრომის სამინისტროს ინსპექტორია. თქვენთვის გასაგები უნდა იყოს, რომ ფრანგი უმუშევრების სიმრავლე ვალდებულებს კონტროლის...

— გასაგებია, ბატონო. სამწუხაროდ, მე მხოლოდ ბინადრობის ნებართვა შემიძლია წარმოგიდგინოთ. მუშაობის ნებართვა არა მაქვს. ეჭვი არ მეპარება, თქვენ არც ელოდით, რომ მექნებოდა... — თქვა მარილმა.

— სავსებით მართალი ბრძანდებით, ბატონო, — თავაზიანად უპასუხა ინსპექტორმა, — არ ველოდით. მაგრამ ჩვენთვის ესეც კმარა. თქვენ შეგიძლიათ მუშაობა განაგრძოთ. ამ განსაკუთრებულ შემთხვევაში, რაც დაკავშირებულია მსოფლიო გამოფენის მშენებლობასთან, მთავრობა არც ისე მკაცრად მისდევს დადგენილების პარაგრაფებს. ბოდიში, სელი რომ შეგიშალეთ.

რას ბრძანებთ, ეს ხომ თქვენი მოვალეობაა.

— შეიძლება თქვენი საბუთი ვნახოთ? — მიუბრუნდა ინსპექტორი კერნს.

— არ მაქვს.

— არავითარი მოწმობა?

— არა.

— არალეგალურად ჩამოხვედით?

— სხვა გზა არ მქონდა.

— ძალზე ვწუხვარ, — უთხრა პოლიციის ოფიცერმა, — მაგრამ პრეფექტურაში წამოსვლა მოგიწევთ.

— ასეც ვფიქრობდი, — უპასუხა კერნმა და მარილს შეხედა. — რუთს შეატყობინეთ, რომ პოლიციაში წამიყვანეს. როგორც კი მოვახერხებ, დაუყოვნებლივ დავბრუნდები. არ შეშინდეს.

კერნი გერმანულად ლაპარაკობდა.

— არაფერი საწინააღმდეგო არ მაქვს, თუ ერთმანეთისთვის რამის თქმა გინდათ, — თავაზიანად შესთავაზა მათ ინსპექტორმა.

— თქვენს დაბრუნებამდე რუთს მე მივხედავ. — გერმანულადვე უთხრა მარილმა კერნს. — ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. მეგობარო, ეცადეთ ბაზელის მიმართულებით გაგაგზავნონ. უკან ბურგფელდის გავლით დაბრუნდით. საიდანმე დარეკეთ სენტ-ლუისის სასტუმრო „შტაიფში" და ტაქსი შეუკვეთეთ მიულჰაუზენამდე, იქიდან კი ბელფორტამდე. ეს ყველაზე ხელსაყრელი მარშრუტია. თუ სანტეში წაგიყვა-

ნეს, როგორც კი მოახერხებთ, დაუყოვნებლივ შემატყობინეთ. კლასმა-ნის დახმარების იმედიც იქონიეთ. ახლავე დავურეკავ.

კერნმა თავი დაუქნია.

— მე მზადა ვარ, — მიუბრუნდა პოლიციის ოფიცერს. ამ [illegible]-ბელმა კერნი თანამშრომელს ჩააბარა, რომელიც შორიახლოს უცდიდა.

ინსპექტორმა მარილს გაუღიმა.

— მშვენიერ გამომშვიდობებას დავესწარი, — უნაკლო გერმანუ-ლით უთხრა მან მარილს. — როგორც ჩანს, ჩვენი საზღვრები კარგად გცოდნიათ.

— სამწუხაროდ, — მიუგო მარილმა.

მარილი ვაზერთან ერთად ბისტროში იჯდა.

— მოდით, თითო შნაპსიც დავლიოთ! დალახვროს ეშმაკმა, სას-ტუმროში მისვლა მეშინია! ასეთი რამე ადრე არ დამმართნია! რას და-ლევთ? კონიაკს თუ პერნოს?

— კონიაკს, — ამაყად განუცხადა ვაზერმა. — ანისულის ნაყენი რა კაცის საკადრისია.

— საფრანგეთში ასე არ ფიქრობენ. — მარილმა ოფიციანტი მო-იხმო და კონიაკი და პერნო შეუკვეთა.

— თუ გნებავთ, რუთის მე ვეტყვი, — შესთავაზა ვაზერმა. — ჩვენს წრეში ყოველ წუთს ვინმეს აპატიმრებენ, და ცოლის ან შეყვა-რებულისათვის ცუდი ამბავის შეტყობინებას მიჩვეული ვართ. ყველას ჯობია, თავიდან დიდ საზოგადო საქმეზე ჩამოაგდოთ სიტყვა, რომელიც მსხვერპლს მოითხოვს.

— რა საზოგადო საქმეს გულისხმობთ?

— რა თქმა უნდა, ჩვენს მოძრაობას, მასების რევოლუციურ აგი-ტაციას!

მარილი ერთხანს ყურადღებით აკვირდებოდა კომუნისტს.

— ვაზერ, — მშვიდად მიმართა მერე, — ამ გზით ვერაფერს მი-აღწევთ. ეს ლამაზად მარტო სოციალისტურ მანიფესტში გამოიყურე-ბა და არა ცხოვრებაში. სულ დამავიწყდა, პოლიტიკაში რომ ხართ გა-დაგარდნილი. შნაპსი გადავკრათ და დროზე წავიდეთ! რამეს მოვა-ხერხებ.

დანახარჯი გადაიხადეს და თოვლ-ქუყაში სასტუმრო „ვერდენის-კენ“ გასწიეს. ვაზერი „კატაკომბაში“ გაუჩინარდა. მარილი ნელა აუყვა კიბეს.

რუთის კარზე დააკაკუნა. ქალიშვილმა ისე სწრაფად გააღო, თით-ქოს კარს უკან იდგაო. სახეზე ღიმილი გაუქრა, ხელთ მარილი რომ შერჩა.

— მარილ... — გაუკვირდა მას.

— მე ვარ. არ მელოდი?

— მეგონა, ლუდვიგი იყო. წუთი წუთზე უნდა მოვიდეს.

— ჰოო...

მარილი ოთახში შევიდა. თვალი მაგიდისკენ გაექცა, რომელზეც თეფშები, პური და დაჭრილი ძეხვი ეწყო, ვაზაში ორიოდე ყვავილი

იდო. სპირტქურაზე შემოდგმულ ქვაბში წყალი თუხთუხებდა. მერე მზეურა რუთზე გადაიტანა, რომელიც მოლოდინით შესცქეროდა. დაბნეულმა მარილმა ანგარიშმიუცემლად მალლა ასწია ვაზა.

— ყვავილები... — წაილუღლუღა მან. — კიდევ ყვავილები...

— ყვავილები პარიზში იაფია, — უთხრა რუთმა.

— ჰო. მაგრამ ამ მითქვამს. მხოლოდ... — მარილმა ისე ფრთხილად დადგა ვაზა მაგიდაზე, თითქოს იაფფასიანი სქელი მინა კი არა, ფაიფური იყო. — საქმე ძალზე გართულდა...

— რა?

მარილმა არ უპასუხა.

— ვიცი, — მოულოდნელად განუცხადა რუთმა, — ლუდვიგი პოლიციამ დაიჭირა.

მარილი მისკენ შებრუნდა.

— ჰო, რუთ.

— ახლა სად არის?

— პრეფექტურაში.

რუთმა უხმოდ აიღო პალტო, ჩაიცვა, ჯიბეებში რალაც-რალაცები ჩაიწყო და მარილის გვერდის ავლით კარისკენ წასვლა დააპირა. მარილმა შეაჩერა.

— ახლი არა აქვს, — აუხსნა მან. — ამით ვერაფერს უშველით ვერც მას და ვერც საკუთარ თავს. პოლიციაში ჩვენი კაცი გვყავს. ის იზრუნებს მასზე. თქვენ აქ დარჩით!

— აქ რა გამაძლებინებს! მისი ნახვა უნდა მოვასწრო! დაე დამპატიმრონ! ასეთ შემთხვევაში ერთად გადავალთ საზღვარზე! — მარილმა მაგრად ჩასჭიდა ხელი. ორივენი ფოლადის ზამბარასავით იყვნენ დაჭიმული. გაფითრებული სახეები დაძაბულობისგან ჩამოუგრძელდათ. მერე რუთი ერთბაშად მოეშვა. — მარილ... — უსუსურად წაილუღლუღა მან. — რა ვქნა?

— თქვენ აქ დარჩით. კლასმანი უკვე პრეფექტურაშია. ამბავს ის შეგვატყობინებს. მათ მხოლოდ მისი გაძევება შეუძლიათ ქვეყნიდან. ასე რომ, ორიოდე დღეში დაბრუნდება. მე მას დავპირდი, რომ თქვენ აქ დაელოდებით. იმედია, წინდახედულად მოიქცევით.

— ჰო, ეგრე ჯობია. — რუთს თვალები ცრემლით აევსო. პალტო გაიხადა და იატაკზე დააგდო. — მარილ, — თქვა მან, — რატომ გვექცევიან ასე? ჩვენ ხომ არავისთვის არაფერი დაგვიშავებია!

მარილმა ფიქრიანად შეხედა.

— ვფიქრობ, მთავარი მიზეზიც ესაა. — უპასუხა მან. — ჩემი აზრით, ნამდვილად ასეა.

— ციხეში ჩასვამენ?

— არა მგონია. ამას კლასმანის მეშვეობით შევიტყობთ, დილამდე უნდა დაველოდოთ.

რუთმა თავი დაუქნია და პალტო ნელა აიღო იატაკიდან.

— კლასმანს სხვა არაფერი უთქვამს?

— არა. მაშინვე პრეფექტურაში გაიქცა.

— დილით მასთან ერთად პრეფექტურაში მეც ვიყავი. გამომიძახეს. — რუთმა პალტოს ჯიბიდან ფურცელი ამოიღო, გააფურა და მარილს გაუწოდა. — ამის გულისთვის.

ეს იყო ბინადრობის ნებართვა რუთის სახელზე, ოთხი კვირის ვადით.

— ლტოლვილთა კომიტეტმა გამიხერხა. მე ხომ ვადაგასული პასპორტი მაქვს. ეს ამბავი კლასმანმა დღეს შემატყობინა. რამდენიმე თვეა ამაზე დარბოდა. მინდოდა ლუდვიგი გამეხარებინა. ამიტომ დავდგი ყვავილები მაგიდაზე.

— აბა, ამიტომ! — მარილი საბუთს დაჰყურებდა. — ესაა ერთდროულად წყეული ბედნიერება და შეჩვენებული უბედურება. მაგრამ უფრო ბედნიერებაა. ეს ნამდვილი სასწაულია, იშვიათი იღბალია. იცოდეთ, კერნი აუცილებლად დაბრუნდება. ხომ გჯერათ ჩემი?

— დიახ, — უპასუხა რუთმა. — ცუდს მუდამ კარგი მოსდევს. აუცილებლად დაბრუნდება.

— ძალიან კარგი. ახლა წავიდეთ, სადმე ვისადილოთ. ცოტაც დავლიოთ — ბინადრობის ნებართვისა და კერნის სადღეგრძელო. ის გამოცდილი ჯარისკაცია. ჩვენ ყველანი ჯარისკაცები ვართ. ხომ მართალს ვამბობ?

— დიახ.

— კერნი თუნდაც ორმოცდაათჯერ სიხარულით გააძევებინებდა თავს ქვეყნიდან იმ საბუთის გულისთვის, თქვენ რომ ხელში გიჭირავთ. ამაში ხომ ეჭვი არ გეპარებათ?

— არა. მაგრამ თავად მე ასჯერ ვიტყოდი უარს ამ საბუთზე, ოღონდ...

— ვიცი, — გააწყვეტინა მარილმა. — ამაზე მაშინ ვილაპარაკოთ, როცა ივი დაბრუნდება. ეს უპირველესი ჯარისკაცული წესია.

— უკან დასაბრუნებელი ფული აქვს?

— ჩემი ვარაუდით, უნდა ჰქონდეს. ჩვენ, ძველ ჯარისკაცებს, განსაკუთრებული შემთხვევისთვის მცირე თანხა მუდამ თან დაგვაქვს. თუ გამოელევა, კლასმანი შეუგზავნის. ისაა ჩვენი მეწინავე და მზვერავი. დროა წავიდეთ! ზოგჯერ ვფიქრობ, განსაკუთრებით ამ ბოლო ხანს, რა გვეშველებოდა, ადამიანს შნაპსი რომ არ გამოეგონებინა!

შტაინერი ძალზე შემართული და დაძაბული იყო, როცა მატარებელი საზღვარზე გაჩერდა. მებაჟეებმა ზერელედ, აჩქარებით შეამოწმეს ვაგონი. მათ პასპორტები მოითხოვეს, შტემპელი დაუსვეს და კუპე დატოვეს. მატარებელი ნელა დაიძრა. შტაინერი მიხვდა: მისი ბედი გადაწყდა, უკან დასაბრუნებელი გზა მოჭრილი იყო.

მალე კუპეს ორი გერმანელი მოხელე მოადგა და შტაინერს მიესალმა.

— გთხოვთ, პასპორტი გვიჩვენოთ.

შტაინერმა პასპორტი ამოიღო და იმ მოხელეს გაუწოდა, რომელიც უფრო ახალგაზრდა ჩანდა.

— რა მიზნით მიემგზავრებით გერმანიაში? — ჰკითხა მეორემ.

— ნათესავების სანახავად.

— პარიზში ცხოვრობთ?

— არა, გრაცში. პარიზში ნათესავთან ვიყავი.

— რამდენ ხანს დარჩებით გერმანიაში?

— დაახლოებით ორი კვირა. მერე გრაცში დავბრუნდები.

— ვალუტა გაქვთ?

— დიახ. ხუთასი ფრანკი.

— პასპორტში უნდა გქონდეთ აღნიშნული. ფული ავსტრიიდან წამოიღეთ?

— არა, ბიძაშვილმა მომცა პარიზში.

მოხელემ პასპორტი დაათვალიერა, შიგ რაღაც ჩაწერა და შტემპელი დაუსვა.

— ისეთი რამე ხომ არ გაქვთ, რაც ბაჟის გადახდას ექვემდებარება? — ჰკითხა მეორემ.

— არა, არაფერი. — შტაინერმა ჩემოდანი ჩამოიღო.

— სხვა, უფრო დიდი ბარგი არა გაქვთ?

— არა, სულ ეს არის.

მოხელემ ხერელედ გადაქექა ჩემოდანი.

— ჟურნალები, წიგნები ან სხვა რამ ნაბეჭდი ხომ არ მოგაქვთ?

— არა.

— გმადლობთ. — ახალგაზრდა მოხელემ პასპორტი დაუბრუნა. ორივე დაემშვიდობა და წავიდა. შტაინერმა ამოისუნთქა. უცებ იგრძნო, ოფლში ცურავდა.

მატარებელმა სიჩქარეს უმატა. შტაინერი საკარძლის საზურგეს მიეყრდნო და სარკმელში გაიხედა. დაღამებულიყო. დაბლა დაშვებულ ცაში ღრუბლები მიცურავდნენ. აქა-იქ ვარსკვლავები ციმციმებდნენ. უკან რჩებოდა სუსტად განათებული პატარა სადგურები. ჩაიქროლა სემაფორის წითელმა და მწვანე სინათლეებმა. აბრიალდა რელსები. შტაინერმა სარკმელი დაუშვა და თავი გარეთ გაყო. მყისვე სახეზა და თმაში ქარი ეძგერა. შტაინერმა ღრმად შეისუნთქა, ჰაერი სხვანაირი ეჩვენა. სხვანაირი იყო ქარი, სხვანაირი იყო ჰორიზონტი, სხვანაირი იყო სინათლე. ალვის ხეები გზის გასწვრივ ნაცნობებივით უქნევდნენ ტოტებს. თვით გზებიც თითქოს მისი გულისკენ მიემართებოდნენ. შტაინერი ღრმად ისუნთქავდა ჰაერს. დასცხა, სისხლი აუჩქროლდა. უცნობი, მაგრამ არა უცხო, არემარე წამოიმართა მის თვალწინ. დალახვროს ეშმაკმა, გაიფიქრა შტაინერმა, რა მემართება, როგორ დამრიეს ხელი გრძნობებმა! დაჯდა, სცადა დაეძინა, მაგრამ თვალს რული არ მოეკიდა. ჩაბნელებული არემარე გარეთ ეძახდა, თავისკენ იზიდავდა. გონებაში სახეები და მოგონებები ამოტივტივდნენ. როდესაც მატარებელმა რაინის სიდი გრუხუნით გადაიარა, ომის მძიმე წლები მოაგონდა. მოციმციმე და მოდუდუნე მდინარემ ასობით სახელი ამოსძახა, ან ვამქრალი, ლამის მივიწყებული სახელები: ამხანაგებისა და სამხედრო ნაწილების, ბანაკებისა და ქალაქების — სახელები წარსულის უკუნეთიდან. ეს იყო მოგონებათა შემოტევა, და შტაინერიც უნებურად ჩაითრია წარსულის მორევში. შეეცადა თავი დაეხსნა, მაგრამ ამაო,

კუპეში მარტო იყო. სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. გალიაში გამომწყვდეული მხეცივით წრიალებდა. არ ეგონა, წარსულის მოგონება თუ ასე ძლიერ იმოქმედებდა მასზე. ნებისყოფა დაძაბა, შეეცადა თავის მდგომარეობას ჩაფიქრებოდა, რა ელოდა ხვალ, როგორ შეეღწია უბნაურად საავადმყოფოში, ვისთვის მიეკითხა დასახმარებლად.

მაგრამ იმწუთას ყველაფერი ეს საოცრად ბუნდოვანი და ირეალური ეჩვენებოდა. როგორც კი შეეცდებოდა გულისყურის მოკრებას, ფიქრის ძაფი უწყდებოდა. თვით საფრთხეც, რომელიც გარდაუვალი იყო და რომლისკენაც თავად მიექანებოდა, როგორღაც გაფერმკრთალდა, აბსტრაქტულად წარმოესახა. ძალა არ შესწევდა, ძარღვებში აჩქროლებული სისხლი დაეწყნარებინა და ფიქრის უნარი დაებრუნებინა. პირიქით, სულ უფრო და უფრო ითრევდა მორევი, სადაც მისი სიცოცხლე პირქუშ როკვასა და მისტიკურ დაბრუნებას შორის ტრიალებდა. საკუთარ თავთან ჭიდილს შეეშვა. იცოდა, ეს იყო მისი უკანასკნელი ღამე. ბოლ ყველაფერი სხვა რამით დაიჩრდილებოდა... ეს იყო უკანასკნელი ნათელი ღამე შეუცნობელ მომავალში, გრძნობათა ქარიშხალში, ეს იყო უკანასკნელი ღამე გარდაუვალი დაღუპვის შემზარავი ცოდნისა და სიცხადის გარეშე.

გაქანებული მატარებლის სარკმელში ღამის დიდებული პანორამა გადაშლილიყო, რომელსაც დასასრული არ უჩანდა. იგი მოიცავდა ამ კაცის ცხოვრების ორმოც წელს, ვისთვისაც ეს წლები უსასრულობას წარმოადგენდა. ჩაქროლილი სოფლები, სადაც შუქი აქა-იქ ბჟუტავდა და კანტიკუნტად ყეფდნენ ძაღლები, ყველა მისი ბავშვობის სოფლები იყო — იქ ყველგან უთამაშია, ყველა მათგანში ზამთარ-ზაფხული გაუტარებია, სამრეკლოები ყველგან მისთვის რეკავდნენ ზარებს. ჩაქროლილი მთვლემარე ჩაშავებული ტყეები მისი ჭაბუკობის ტყეები იყო — მათ მომწვანო-ოქროსფერ ჩრდილქვეშ იკვალავდა პირველ სათავგადასავლო ბილიკებს, მათი კამკამა გუბურები ირეკლავდა მის გაფაციცებულ სახეს, როცა წინწკლებიან, წითელმუცლიან სალამანდრებს უთვალთვალებდა... სოლო ქარი, რომელიც წიფლნარში ქნარს აყლერებდა და ნაძვნარში მღეროდა, ფათერაკების უძველესი ქარი იყო. მქრქალი გზები, რომლებიც ბადესავით ქსელავდნენ მინდვრებს, მისი მღელვარების გზები იყო — ყველა მათგანზე უვლია, მათ გზაჯვარედინებზე უყოყმანია. მისთვის ნაცნობი იყო მათთან განშორება, იმედები და დაბრუნება ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე, იგი იცნობდა სამანებსა და სუტორებს, მათ შიგნით რომ იყო მიმოფანტული; იცნობდა სახლებს, რომელთა ჭერქვეშ გამომწყვდეული შუქი წითლად კიაფობდა ფანჯრებში, როგორც სამშობლოსა და სიმყუდროვის მონატრება; მას ხომ ამ ფანჯრებს მიღმა უცხოვრია. იცნობდა კართა საგდულების დამყოლ სიმსუბუქეს; მან იცოდა, ვინ იყო ის, ვინც ლამპის შუქზე იჯდა და მას ელოდებოდა ოდნავ თავდახრილი და ვისაც ცეცხლისფერი ოქროს თმა უბრწყინავდა — ეს იყო ქალი, რომლის სახეც მუდამ თვალწინ ედგა, სადაც არ უნდა ყოფილიყო, სახე ზოგჯერ ბუნდოვანი და ხშირად ოთქმის უჩინარი, წარხოცილი კაეშნითა და დავიწყების სურვილით, მისი

ცხოვრების ანარეკლი, რომელთან შესახვედრადაც ახლა მიისწრაფოდა, სახე, რომელიც ახლა ღამის ცაზე გამოსახულიყო, თვალები, რომლებიც ღრუბლებში ციმციმებდნენ, ბაგე, რომელიც ჰორიზონტს ექიდას ულხმოდ ელაპარაკებოდა, ხელები, რომლებიც ქარსა და ხეების რწევაში იგრძნობოდა, და ღიმილი, რომელშიც ბუნება და მისი [illegible] უნაპირო გრძნობათა მოზღვავების გამო.

გრძნობდა, როგორ გაულხვა და გაეხსნა ძარღვები, როგორ შეუერთდა მისი სისხლი დაწმენდილ სითხეს, რომელიც გარეთ უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა, შეერია მას და მისგან მოლონიერებული დაბრუნდა უკან ძარღვებში; მისი ხელები წარიტაცა და წაიღო შორეული ხელებისაკენ, მისკენ რომ იყო გამოშვერილი; სისხლი, რომელიც მის სისხლძარღვებში მიმოიქცეოდა, თანდათან ათავისუფლებდა მას სიმარტოვის არტახებისგან, როგორც გაზაფხულის ბობოქარი მთის ნაკადული ათავისუფლებს შებოჭილ მყინვარს, და ამ განუმეორებელ, დაუსრულებელ ღამეში ანიჭებდა მას საყოველთაო ერთობის გამორჩეულ ბედნიერებას და მკერდზე ალექავდა ყველაფერს: მის სიცოცხლეს, დაკარგულ წლებს, სიყვარულის ელვარებას და ურყევ რწმენას, რომ ისევ დაბრუნდებოდა განადგურების შემდეგ.

XX

შტაინერი თერთმეტ საათზე ჩავიდა ქალაქში. ჩემოდანი შემნახველ საკანში ჩააბარა და საავადმყოფოსკენ გაეშურა. მიდიოდა და ქალაქს ვერც ამჩნევდა. უაზროდ უყურებდა ქუჩის ორივე მხარეს ალმართულ სახლებს და მანქანებისა და ადამიანების უსასრულო ნაკადს.

დიდი თეთრი შენობის წინ შეჩერდა. წუთით შეყოყმანდა. პორტალსა და სართულ-სართულ განლაგებული ფანჯრების გრძელ მწკრივებს მიაჩერდა. რომელიღაც მათგანში... თუმცა, ვინ იცის, ალბათ აღარც ერთში... ნებისყოფა მოიკრიბა და შენობაში შევიდა.

— მითხარით, ვეთაყვა, როდიდან იწყება ავადმყოფების ნახვა? — იკითხა მისაღებში.

— რომელი კლასის განყოფილებაში? — ჰკითხა მედდამ.

— არ ვიცი. აქ პირველად ვარ.

— ვისთან მიდიხართ?

— ფრაუ მარი შტაინერთან.

შტაინერი გაკვირვებული დარჩა, მედდამ მშვიდად რომ გადაშალა სქელი ჟურნალი. თითქმის დარწმუნებული იყო, თეთრი პალატის ჭერი ჩამოიქცეოდა ან მედდა მყისვე წამოხტებოდა და დარაჯს ან პოლიციელს დაუძახებდა, როგორც კი შტაინერის გვარს გაიგონებდა.

მედდა ჟურნალს ფურცლავდა.

— პირველი კლასის პაციენტების ნახვა ნებისმიერ დროს შეიძლება, — აუხსნა მან შტაინერს ისე, რომ ძებნა არ შეუწყვეტია.

— ის პირველი კლასის სიაში არ იქნება, — უთხრა შტაინერმა. — ალბათ მესამე კლასისაშია.

— მესამე კლასის ავადმყოფების ნახვის საათები სამიდან ხუთამდეა.

მედდა ეძებდა და ეძებდა.

— რაო, რა გვარი მითხარით? — ჩაეკითხა შტაინერს.

— შტაინერი, მარი შტაინერი. — კაცს უცბად პირი [illegible] დედოფალასავით კოხტა მედდას ისე მიაჩერდა, თითქოს [illegible] ვინაჩენის გამოტანას ელოდა. ეგონა, მედდა ეტყოდა: მოკვდაო.

— მარი შტაინერი, — უთხრა მედდამ, — მეორე კლასი, ოთახი 505, მეექვსე სართული. ნახვა სამიდან ექვსამდე.

— 505. დიდი მადლობა, დაო.

— მადლობად არ ღირს, ბატონო.

შტაინერი ფეხს არ იცვლიდა. მედდა აწკრიალებულ ტელეფონს დასწვდა.

— კიდევ გნებავთ რამე, ბატონო?

— ცოცხალია? — ჰკითხა შტაინერმა.

მედდამ ყურძილს ხელი შეუშვა. ტელეფონი ხმადაბლა წკრიალს განაგრძობდა, თითქოს შიგ პატარა მხეცი წკმუტუნებდა.

— რასაკვირველია, ბატონო, — უპასუხა მედდამ და ჟურნალში ჩაიხედა — თორემ მისი გვარის გასწვრივ აღნიშვნა იქნებოდა. ავადმყოფების გასვლას ზედმიწევნით პუნქტუალურად გვატყობინებენ ხოლმე.

— გმადლობთ.

შტაინერმა ძლივს შეიკავა თავი, რომ არ ეკითხა, ახლავე ასვლა თუ შეიძლებაო. შეშინდა, ვაითუ მიზეზი მკითხონო. ყურადღების მიპყრობას ერიდებოდა. ამიტომ გარეთ გავიდა.

შტაინერი ქუჩაში დახეტიალობდა, ერთთავად ჰოსპიტალს უყურებდა გარშემო. ცოცხალია, ფიქრობდა ის, ღმერთო ჩემო, ცოცხალია! შემდეგ უცბად შეეშინდა, ვინმემ არ მიცნოსო, და მიყრუებული სამიკიტნო მოძებნა. დრო რომ გაეყვანა, საჭმელი შეუკვეთა, მაგრამ პირში ლუკმა არ გადაუვიდა.

კელნერს სახეზე უკმაყოფილება შეეტყო.

— არ მოგწონთ?

— რას ამბობთ, ძალზე გემრიელია. ოღონდ ჯერ ალუბლის არაკი მომიტანეთ.

თავს ძალა დააატანა და ლუკმა გადაყლაპა. მერე გაზეთი და სიგარეტი მოატანინა. გაზეთს ჩააშტერდა, თითქოს კითხულობსო. წაკითხვა მართლაც უნდოდა, მაგრამ მის გადაკეტილ ტვინში არაფერი აღწევდა. თავისი ცხოვრების უმძიმესი საათების გატარება მას ამ ნახევრად ბნელ სარდაფში უწევდა, სადაც იაფფასიანი საჭმელებისა და ამქაავებული ლუდის სუნი იდგა. გონებაში კი წარმოუდგებოდა, სწორედ ახლა, ამ წუთებში როგორ კვდებოდა მარი, ესმოდა, როგორ ეძახდა განწირული ხმით, ხედავდა სიმწრის ოფლით გაწუწულ მის სახეს, ხოლო თვითონ ბილწამულივით იჯდა სკამზე, გაზეთი თვალების წინ აეფარებინა და ტუჩებს იკვნეტდა, რათა არ ამოეგმინა, არ წამომხტარიყო და მარისთან არ გაქცეულიყო. მისი საათის მღოლავი ისარი ბედისწერის ხელი

იყო, რომელიც ლამის გუდავდა, სულს უხუთავდა თავისი ნელი სვლით.

ბოლოს გაზეთი დადო და წამოდგა. კელნერი დახლს მიყუდებოდა და კბილებს იჩიჩქნიდა. სტუმარი რომ ფეხზე წამომდგარი დაინახა, მაშინვე მისკენ გაეშურა.

— ანგარიში მოგართვათ? — ჰკითხა სტუმარს.

— არა, — უპასუხა შტაინერმა. — ერთი სირჩა ლუდის არაყი კიდევ დამისხით.

— კეთილი. — კელნერმა დაუსხა.

— თქვენთვისაც დაისხით.

— უარს არ ვიტყვი.

კელნერმა სირჩა გაივსო და ორი თითით მაღლა ასწია.

— გაგიმარჯოთ!

— ჰო, — გამოეხმაურა შტაინერი, — გაგვიმარჯოს!

შესვეს და სირჩები მაგიდაზე დადგეს.

— ბილიარდს თამაშობთ? — ჰკითხა შტაინერმა.

კელნერმა მუქმწვანე მაუდგადაკრულ მაგიდას გახედა, რომელიც სარდაფის შუაგულში იდგა.

— ისე რა.

— ერთი პარტია ხომ არ გვეთამაშა?

— რატომაც არა? თქვენ კარგად თამაშობთ?

— დიდი ხანია არ მითამაშია. თუ გინდათ, ჯერ ისე ვსინჯოთ.

— თანახმა ვარ.

კიუებს ცარცი წაუსვეს და სასინჯად რამდენიმე ბურთი გაათამაშეს. მერე პარტია დაიწყეს. პარტია შტაინერმა მოიგო.

— თქვენ ჩემზე უკეთ თამაშობთ, — უთხრა კელნერმა. — წინდაწინ ათი ქულა უნდა მომცეთ.

— კეთილი.

თუ ეს პარტია მოვიგე, ჩაუთქვა შტაინერმა, მაშინ ყველაფერი კეთილად დასრულდება: ის ცოცხალი დამხვდება, მე მას ვნახავ, იქნებ გამოჯანმრთელდეს კიდეც...

შტაინერი მონდომებით თამაშობდა და პარტია მოიგო.

— ახლა წინდაწინ ოც ქულას მოგცემთ, — უთხრა კელნერს. ეს ოცი ქულა მის წარმოსახვაში თითქოს მარის სიცოცხლესა და ჯანმრთელობასთან ერთად იმის საწინდარიც იყო, რომ თავს მშვიდობიანად დაალწევდა აქაურობას, თეთრი ბურთების ჯახუნი კი ბედის კლიტის ჩხაკუნი ი. ო. თამაში დაძაბულად წარიმართა. მარჯვე დარტყმების სერიის შემდეგ კელნერს ორიოდე ქულაღა აკლდა საბოლოო გამარჯვებამდე, მაგრამ ბოლო ბურთს ერთი სანტიმეტრით ააცილა. შტაინერმა კიის მოჰკიდა ხელი და თამაშს შეუდგა. თვალები უჭრელდებოდა და რამდენჯერმე შესვენება დასჭირდა. მაგრამ პარტიის ბოლომდე ბურთი არ აუცდენია.

— კარგად თამაშობთ, — შეაქო კელნერმა.

შტაინერმა მადლობის ნიშნად თავი დაუკრა და საათზე დაიხედა. სამ საათს გადაცილებოდა. დანახარჯი ხასწრაფოდ გადაიხადა და წავიდა.

შტაინერი ლინოლეუმდაფენილ კიბეზე ადიოდა. მთელი სხეული უკანკალებდა. მერე კარგა ხანს გრძელ დერეფანს მიუყვებოდა, რომელმაც მოუხვია და შტაინერმა უცებ ცარციკით თეთრი კარი დაინახა. კარმა წინ წამოიწია და გაჩერდა: 505.

შტაინერმა დააკაკუნა. არავინ უპასუხა. კიდევ დააკაკუნა. შიშმა შეიპყრო, უბედურება ხომ არ მოხდაო. მუცლის გვრემა იგრძნო. ტკივილი შეალო.

ნაშუადღევის მზით განათებული პატარა ოთახი სხვა სამყაროდან გადმოტყორცნილ მშვიდობის კუნძულს ჰგავდა. ბობოქარ, წინმსრბოლ დროს თითქოს ყოველგვარი ზეგავლენა დაჰკარგოდა უზომოდ მშვიდ არსებაზე, რომელიც ვიწრო საწოლზე იწვა და შტაინერს უყურებდა. შტაინერი შეტორტმანდა, ქუდი ჩამოუვარდა. უნდოდა დახრილიყო ქუდის ასაღებად, მაგრამ სწორედ ამ დროს, თითქოს ზურგში უბიძგესო, და ისე, რომ ვერც მიხვდა, რას აკეთებდა, საწოლის წინ მუხლებზე დაემვა საყვარელ ადამიანთან დაბრუნებით გულშეძრული და უხმოდ აქვითინდა.

ქალი კარგა ხანს მშვიდად უყურებდა. მერე და მერე აფორიაქდა, შუბლი შეიჭმუხნა, ტუჩები ააცმაცუნა, თითქოს შიშის ტალღამ გადაუარაო. ხელი, რომელიც უძრავად ედო საწოლზე, ასწია, თითქოს შტაინერისთვის უნდა შეეხო, რათა იმის რეალობაში დარწმუნებულიყო, რასაც მისი თვალები ხედავდა.

— მარი, ეს მე ვარ, — უთხრა შტაინერმა.

ქალმა თავის წამოწევა სცადა, თვალებს მისკენ დახრილი კაცის სახეზე აცეცებდა.

— დამშვიდდი, მარი, ეს მე ვარ, — გაუმეორა შტაინერმა. — შენთან მოვედი.

— იოზეფ... — წაიჩურჩულა ქალმა.

შტაინერმა თავი ჩაქინდრა. თვალებიდან ცრემლი ნაკადულივით წამოუვიდა. ტუჩებს იკვნეტდა და სლუკუნებდა.

— ეს მე ვარ, მარი, შენთან დავბრუნდი.

— რომ გიპოვონ... — წუხდა ქალი.

— ვერ მიპოვიან. შემიძლია აქ დავრჩე. მე შენთან დავრჩები.

— ხელი შემახე, იოზეფ... მინდა დავრწმუნდე, რომ აქა ხარ. ხშირად მესიზმრებოდი...

შტაინერმა მისი გალეული, ლურჯად დაძარღვული ხელი აიღო და აკოცა. მერე ქალისკენ გადაიხარა და ტუჩები შეახო მის მოდუნებულ, გაუცხოებულ ბაგეს. როცა გასწორდა, დაინახა, ქალს თვალები ცრემლით ავსებოდა. მარიმ თავი ნელა შეარხია და ცრემლი წვიმასავით დაედინა ბალიშს.

— ვიცოდი, აქ მოსვლა არ შეგეძლო, მაგრამ მაინც სულ გელოდი...

— ამიერიდან მუდამ შენთან ვიქნები.

ქალმა სცადა ხელი ებიძგა.

— აქ შენი დარჩენა არ შეიძლება! წადი. შენ არ იცი, აქ რა ხდება. ახლავე უნდა წახვიდე. წადი, იოზეფ...

— არა, საშიში არაფერია.

— საშიშია, შენზე უკეთ ვიცი. ხომ გნახე, ახლა წადი! ბევრი დრო აღარ დამრჩენია. იმას, რაც მოსახდენია, მე მარტოც შევხვდები.

— ისე გავახერხე, რომ შემიძლია შენთან დავრჩე, მარი. მალე ამნისტია გამოცხადდება და მეც შემეხება.

ქალმა ეჭვიანად შეხედა.

— ეს სიმართლეა, — უმტკიცებდა კაცი. — ვფიცავ, ჩემი. რა თქმა უნდა, საჭირო არაა, ჩემი აქ ყოფნა ვინმეს შევატყობინოთ. მაგრამ თუნდაც ვინმემ შეიტყოს, ეს არც ისე საშიშია.

— სიტყვაც არ დამცდება, იოზეფ. არც არასოდეს დამცდენია.

— ვიცი, მარი. — შტაინერს თავიდან ფეხებამდე ცხელმა ტალღამ დაუარა. — რატომ არ გამეჟარე?

— აბა, მაგას როგორ ვიზამდი! ამისთვის ნუ გამიჯავრდები.

— ეგ შენთვის იყო საჭირო. ცხოვრებას გაგიადვილებდა.

— არ გაჭირვებია. მეხმარებოდნენ. ახლაც ერთადგილიანი პალატა გამიხერხეა. მარტო წოლა ჯობს. შენც მეტხანს შეგეძლება აქ ყოფნა.

შტაინერი დააკვირდა. ქალს სახე დასჭკნობოდა, ძვლები უჩანდა, კანი ცვილივით გაფერმკრთალებოდა, ზედ ლურჯი ტალები აჩნდა, ყელი გაწვრილებოდა და მილეოდა, მხრები ძირს ჩამოშვებოდა, ლავიწები ამოსჩროდა, თვალები ამღვრეოდა, ტუჩები გაფითრებოდა. მხოლოდ ოქროსფერი თმა უბრწყინავდა ძველებურად, თანაც თითქოს გასქელებოდა და გახშირებოდა, თითქოს ქალის სიცოცხლის ძალა მთლიანად მას შეეწოვა, რათა გამოფიტულ სხეულზე გამარჯვება ეზეიმა. ნაშუადღევის მზის შუქზე თმა მოწითალო-ოქროსფერი შარავანდედივით ასხივებდა, როგორც მძაფრი პროტესტი ბავშვურად სუსტი, უღონო სხეულის წინააღმდეგ, რომელსაც ის ზეწარიც კი ემძიმებოდა, ზემოდან რომ ეფარა.

კარი გაიღო და პალატაში მედდა შემოვიდა. შტაინერი ფეხზე ადგა. მედდამ ჭიქით რძისმაგვარი სითხე შემოიტანა და მაგიდაზე დადგა.

— სტუმარი გყოლიათ, — უთხრა ავადმყოფს და ლურჯი თვალები შტაინერს შეანათა.

ავადმყოფმა თავი შეატოკა.

— ბრესლაუდან ჩამოვიდა, — წაიჩურჩულა მან.

— ამ სიშორიდან? ძალიან კარგი. მაშ, ცოტა გულს გადააყოლებთ.

მედდამ თერმომეტრი ამოიღო და ლურჯი თვალები ერთხელაც შეავლო შტაინერს.

— სიცხე აქვს? — ჰკითხა შტაინერმა.

— რას ამბობთ, — ხალისიანად უპასუხა მედდამ. — რამდენიმე დღეა აღარ აქვს.

თერმომეტრი ავადმყოფს ჩაუდო და წავიდა. შტაინერმა სკამი საწოლთან მიაჩოჩა და მარის მიუჯდა. მისი ხელები თავისაში მოიქცია.

— გიხარია, შენთან რომ ვარ? — ჰკითხა და მაშინვე მიხვდა, რა სულელური კითხვა გამოუვიდა, მაგრამ ამაზე მარის არც გაღიმებია.

— ეს ჩემთვის ყველაფერია, — უპასუხა ქალმა.

ისინი ერთმანეთს უყურებდნენ და დუმდნენ. საუბარი თითქმის არაფერი ჰქონდათ. ერთად რომ იყვნენ, მათთვის ესეც ბევრი იყო. მხო-

ლოდ ერთმანეთს ამჩნევდნენ, მათთვის სხვა აღარაფერი არსებობდა. თითოეული მათგანი მეორის არსებაში იყო ჩაძირული. ისინი ერთმანეთს კი არა, თითქოს საკუთარ თავს დაუბრუნდნენ. მათ აღარც მომავალი ჰქონდათ და აღარც წარსული. მათთვის მხოლოდ აწმყო არსებობდა — აწმყო, სიჩუმე, სიმყუდროვე, სიმშვიდე.

ოთახში მედდა დაბრუნდა და დაფაზე ტემპერატურის მრუდი ფაქიზ-ფაქიზ ლო. მისი შემოსვლა არც შეუმჩნევიათ, ისე იყვნენ ერთმანეთის ცქერით გართული.

მზის სხივი ნელ-ნელა გაცოცდა კედელზე, ყოყმანით დაეტოვა ქალის ლამაზად აკიაფებული თმა და ნაზი ფისუნიასავით იქვე, ბალიშზე მოიკალათა, შემდგომ კი უხალისოდ აბობღდა ხევით. შტაინერი და მარი კვლავ ერთმანეთს შესცქეროდნენ. ამასობაში ფანჯარაში ბინდი შემოიპარა და პალატა ლურჯი ფერებით აავსო. ისინი კვლავ ერთმანეთს შესცქეროდნენ და მანამ იყვნენ ასე, ვიდრე პალატის კუთხეებიდან ჩრდილები არ გამოცოცდნენ და თეთრ სახეს, ერთადერთ სახეს ფრთები არ გადააფარეს.

კარი გაიღო და სინათლის ნაკადთან ერთად პალატაში ექიმი და მედდა შემოვიდნენ.

— თქვენი წასვლის დროა, — უთხრა მედდამ შტაინერს.

— ჰო. — შტაინერი წამოდგა და საწოლისკენ დაიხარა. — ხვალ ისევ მოვალ, მარი.

ქალი თამაშით მოქანცული ბავშვივით იწვა, მთვლემარე, ძილღვიძილში მყოფი ბავშვივით.

— ჰო, — გამოეხმაურა იგი, და შტაინერმა ვერ გაიგო, მას უთხრა ეს, თუ ვილაც სხვას, ვისაც სიზმარში ხედავდა. — ჰო, კიდევ მოდი.

შტაინერი დერეფანში ექიმს დაელოდა. ჰკითხა, კიდევ რამდენ ხანს იცოცხლებსო. ექიმმა გამომცდელად შეხედა.

— დიდი-დიდი სამი-ოთხი დღე, — უპასუხა მერე. — საოცარია, აქამდეც რომ გაძლო.

— გმადლობთ. — შტაინერი ნელა დაუყვა კიბეს. გასასვლელთან გაჩერდა. მოულოდნელად მის თვალწინ ქალაქი გადაიშალა. როცა ჩამოვიდა, მისთვის ყურადღება არც მიუქცევია. ახლა კი მთელი ქალაქი მის წინ გადაშლილიყო ცხადად და მკაფიოდ. შტაინერმა დაინახა ქუჩები, დაინახა საფრთხე, ჩუმი, უხილავი საფრთხე, რომელიც ყოველ კუთხეში, ყოველ ჭიშკართან, ყოველ სახლში ჩასაფრებულიყო. იცოდა, ფელ-ფეხი შეკრული ჰქონდა. ისევე როგორც გარეულ ცხოველებს იჭერენ წყაროზე, მისი გამოსაჭერი ადგილი ეს თეთრი ქვის შენობა იყო მის უკან. მაგრამ ისიც იცოდა, რომ თავს უნდა გაფრთხილებოდა, რათა აქ დაბრუნება შეძლებოდა. სამი-ოთხი დღე ერთდროულად არაფერიცაა და მარადისობაც. წამით დაფიქრდა, იქნებ გავბედო და რომელიმე მეგობარს შევხვდეო... მაგრამ მერე საშუალო დონის სასტუმროში წასვლა ამჯობინა. პირველ დღეს ასე უფრო შეუმჩნეველი დარჩებოდა.

კერნი ავსტრიელ ლეოპოლდ ბრუკეხა და ვესტფალელ მენკესთან ერთად ლა სანტეს ციხის საკანში იჯდა. ქალალდის პარკებს აწებებდნენ.

— ბიჭებო, — უცბად თქვა ლეოპოლდმა, — ძაღლივით მომშივდა! სიამოვნებით შევჭამდი ბუბკოს, დასჯის რომ არ მეშინოდეს!

— ათი წუთი კიდევ მოითმინე, — უთხრა კერნმა, — და სალამოს სალაფავსაც მოგვართმევენ.

— ეგ რას მიშველის! შიმშილი მერეც შემაწუხებს. — ... ლეოპოლდმა პარკი გაბერა და ტკაცანით გახეთქა. — ეს რა ... ასეთ დაწყევლილ დროს კუჭი მაინც არ ჰქონდეს ადამიანს. ღორის ბარკალი რომ გამახსენდება, ლამისაა აქაურობა დავლეწო!

მენკემ თავი ასწია.

— მე კი სისხლიანი ბიფშტექსი მენატრება, — განაცხადა მან, — ხახვითა და შემწვარი კარტოფილით. ზედაც ჩაცივებული ლუდი.

— მორჩი! — დაიკვნესა ლეოპოლდმა. — სხვა რამეზე ვიფიქროთ. მაგალითად, ყვავილებზე.

— რატომ მაინცდამაინც ყვავილებზე?

— ნუთუ არ გესმის, რომ ყურადღების გადასატანად რამე ლამაზზე უნდა იფიქრო!

— ყვავილები არ მიზიდავს.

— ერთხელ ვარდების ბაღი ვნახე, — ლეოპოლდი გამწარებით ლამობდა საჭმელზე არ ეფიქრა, — გასულ ზაფხულს პალანცაში, ციხის წინ. ეზიან სალამოს, როცა გაგვათავისუფლეს. წითელი ვარდები, ისეთი წითელი როგორც...

— როგორც უმი ბიფშტექსი, — სიტყვა შეაშველა მენკემ.

— აჰ, დალახვროს ეშმაკმა!

გახალები გაჩსაკუნდა.

— სალაფავიც მოვიდა, — თქვა მენკემ.

კარი გაიღო. კალფაქტორის მაგიერ, რომელსაც საჭმელი დაჰქონდა, საკანში ზედამხედველი შემოვიდა.

— კერნ! — დაიძახა.

კერნი ფეხზე ადგა.

— წამომყევით! მნახველი გესტუმრათ!

— ალბათ, რესპუბლიკის პრეზიდენტია, — იოხუნჯა ლეოპოლდმა.

— უფრო მოსალოდნელია, კლასმანი იყოს. მას ხომ საბუთები აქვს. იქნებ, ცოტა საჭმელიც მოიტანა.

— კარაქი! — აღტაცებით წამოიძახა ლეოპოლდმა. — დიდი ნაჭერი. მზესუმზირას ყვავილივით ყვითელი!

მენკე გაიღრიჭა.

— ლეოპოლდ, კაცო, რა ლირიკოსი ყოფილხარ! ხედავ, უკვე მზესუმზირას ყვავილებზეც ალაპარაკდი.

კერნი ელდანაცემივით გაქვავდა კარში.

— რუთ! — აღმოხდა მას. — აქ როგორ მოხვდი? შენც დაგიჭირეს?

— არა, არა, ლუდვიგ!

კერნმა მალულად გახედა ზედამხედველს, რომელიც გულგრილად მიყუდებოდა კედლის ძგიდეს. მერე რუთისკენ გაემართა.

— ღვთის გულისათვის, რუთ, ახლავე აქედან წადი, — უჩურჩულა გერმანულად. — შენ არ იცი, რაც მოხდა! ყოველ წუთს მოსალოდ-

ნელია დაგაპატიმრონ. ოთხ კვირას მოგისჯიან, მეორე ჯერზე კი ექვს თვეს! ასე რომ, ჩქარა წადი, ჩქარა!

— ოთხ კვირას? — შეშინდა რუთი. — მაშ, ოთხი კვირა უნდა იჯდე?

— რას იზამ! — ილბალმა მიმტყუნა! მაგრამ შენ [illegible] ფიქრებ-ლად ნუ იქცევი! ყოველ წამს მოსალოდნელია საბუთები [illegible]

— მაგრამ მე ხომ საბუთი მაქვს!

— რაო?

— მე ბინადრობის ნებართვა მაქვს, ლუდვიგ!

რუთმა ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და კერნს გაუწოდა. კერნი საბუთს დააკვირდა.

— დიდება შენდა, იესო მაცხოვარო! — თქვა მერე გაჭიანურებით. — მართალი ყოფილხარ! სრული ჭეშმარიტებაა! ეს ისეთივე ამბავია, როგორც მკვდრეთით აღდგომა! მაშ, როგორც იქნა მოახერხე! ვინ დაგეხმარა? ლტოლვილთა დახმარების კომიტეტი?

— დიახ. ლტოლვილთა დახმარების კომიტეტი და კლასმანი.

— ბატონო ზედამხედველო, — მიმართა კერნმა, — შეიძლება პატიმარმა ქალს აკოცოს?

ზედამხედველმა ზანტად გადმოხედა.

— ჩემდა თავად ნება მომიცია, რამდენიც გინდათ. ოღონდ ამ დროს დანა ან ქლიბი არ ჩაგიცუროს ჯიბეში.

— ორიოდე კვირის გულისთვის მაგის ჩადენა არ ღირს.

ზედამხედველმა სიგარეტი დაახელა და ცეცხლი მოუკიდა.

— რუთ! — მიმართა კერნმა. — შტაინერისგან არაფერი ისმის?

— არა, არაფერი. მარილი ამბობს: არცაა გასაკვირი, ბუნებრივია, ვერ მოიწერება. უბრალოდ, ერთ მშვენიერ დღეს დაგვიბრუნდება, მოულოდნელად თავს დაგვადგებაო.

კერნმა ურწმუნოდ შეხედა.

— მარილს ეს მართლა სჯერა?

— ეს ჩვენ ყველას გვჯერა, ლუდვიგ. სხვა რა გზა გვაქვს?

კერნმა თავი დაუქნია.

— მართლაც, სხვა რა გზა გვაქვს! ჯერ ხომ ერთი კვირაც არ გასულა, რაც გაემგზავრა. იმედია, გადარჩება.

— უნდა გადარჩეს. სხვაგვარად ფიქრიც ვერ წარმოიდგენია.

— დროა, — მიმართა მათ ზედამხედველმა. — დღეისთვის საკმარისია.

კერნმა რუთს მკლავში ხელი მოჰკიდა.

— დაბრუნდი! — წასჩურჩულა რუთმა. — მალე დაბრუნდი! აქ, ციხეში დაგტოვებენ?

— არა, საზღვართან გადაგვიყვანენ.

— შევეცდები, შენი ნახვის ნებართვა კიდევ გავახერხო! დაბრუნდი! მიყვარხარ. მალე დაბრუნდი! მეშინია! მინდა შენთან ერთად წამოვიდე!

— ეგ არ გამოვა. შენს საბუთს ძალა მხოლოდ პარიზში აქვს. მე დავბრუნდები.

— ფული მოგიტანე. ბრეტელის ქვეშ მაქვს დამალული. გამოაძვრინე, როცა მაკოცებ.

— მე არაფერი მჭირდება. მეყოფა, რაც მაქვს. შეინახე! ჰარილი მოგხედავს. ამასობაში იქნებ შტაინერიც ჩამოვიდეს.

— დროა! — გაწყრა ზედამხედველი. — ბალლებო, ერთ ჯემართებათ? გილიოტინაზე ხომ არ მიყავხართ!

— სახვამდის! — რუთმა კერნს აკოცა. — მიყვარხარ. დაბრუნდი, ლუდვიგ!

რუთი შებრუნდა და მერხიდან პაკეტი აიღო.

— აი, ცოტა საჭმელი მოგიტანე. ქვევით შეამოწმეს. ყველაფერი წესრიგშია, — უთხრა ზედამხედველს. — მშვიდობით, ლუდვიგ!

— რა ბედნიერი ვარ, რუთ! ღმერთო დიდებულო, რა ბედნიერებაა, ბინადრობის ნებართვა რომ მოგცეს. ახლა თავი სამოთხეში მგონია!

— აბა, ჩქარა! — გაწყრა ზედამხედველი. — დაბრუნდით სამოთხიდან.

კერნმა პაკეტი იღლიაში ამოიჩარა. პაკეტი საკმაოდ მძიმე იყო. კერნი ზედამხედველის თანხლებით საკანში დაბრუნდა.

— იცით, რას გეტყვით, — უთხრა ჩაფიქრებულმა ზედამხედველმა გზაში. — ჩემი ცოლი სამოციისაა, თან პატარა კუზიც აქვს, მაგრამ ეს ზოგჯერ მავიწყდება ხოლმე.

როცა კერნი დაბრუნდა, კალფაქტორი სალაფავიანი ჯამებით უკვე საკნის წინ იდგა.

— კერნ, — უხალისოდ უთხრა ლეოპოლდმა, — დღესაც კარტოფილის წვნიანია, რომელშიაც კარტოფილის ნასახიც არაა.

— ეს ბოსტნეულის წვნიანია, — გაუსწორა კალფაქტორმა.

— თუ გინდა, ყავა დაარქვი, — შეეპასუხა ლეოპოლდი, — მაინც ეიღლაფერს დაგიჯერებ.

— პაკეტში რა გაქვს? — ჰკითხა კერნს ვესტფალელმა მენკემ.

— საჭმელია. ოღონდ არ ვიცი, რაა.

ლეოპოლდს სახე ოქროს ზარდახშასავით გაუბრწყინდა.

— გახსენი! ჩქარა!

კერნმა ზონარი შეხსნა.

— კარაქი! — წამოიძახა აღფრთოვანებულმა ლეოპოლდმა.

— მზესუმზირას ყვავილივით ყვითელი! — დაურთო მენკემ.

— თეთრი პური! ძეხვი! შოკოლადი! — იძახდა აღტკინებული ლეოპოლდი. — და კიდევ: მთელი თავი ყველი!

— მზესუმზირას ყვავილივით ყვითელი, — გაიმეორა მენკემ.

ლეოპოლდმა მის ქილიკს ყური არ ათხოვა და წელში გაიმართა.

— კალფაქტორო, — მედიდურად წარმოთქვა მან, — წაიღეთ უკან თქვენი უბადრუკი სალაფავი და...

— სდექ! — შეაწყვეტინა მენკემ. — რას ჩქარობ! დამიხედეთ ერთი ამ დარდიმანდ ავსტრიელს! მაგიტომ დავმარცხდით 1918 წელს! მომეცით აქეთ ჯამი, — მიმართა მან კალფაქტორს.

მენკემ ჯამები გამოართვა და მერხზე დააწყო. ვვერდით რუთის მოტანილი სანოვაგე დაალაგა. ნატურმორტს დააკვირდა. იქ, სადაც

ᲐᲕᲔᲚᲘ ᲘᲓᲝ, ᲡᲐᲙᲜᲘᲡ ᲐᲓᲠᲘᲜᲓᲔᲚ ᲛᲝᲑᲘᲜᲐᲓᲠᲔᲡ ᲙᲔᲓᲔᲚᲖᲔ ᲚᲣᲠᲯᲘ ᲤᲐᲜᲥᲠᲘᲗ ᲓᲐᲬᲔᲠᲐ: ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲕᲐᲚᲘᲐ — ᲗᲕᲘᲗ ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲐᲪ!

ᲛᲔᲜᲙᲔ ᲒᲐᲘᲦᲠᲘᲦᲐ.

ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘᲡ ᲬᲕᲜᲘᲐᲜᲘ ᲩᲐᲘᲓ ᲩᲐᲒᲗᲕᲐᲚᲝᲗ. ᲔᲠᲗᲑᲔᲚ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲕᲘᲕᲐᲮᲨᲛᲝᲗ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲮᲐᲚᲮᲛᲐ! ᲠᲐ ᲐᲮᲠᲘᲡᲐ ᲮᲐᲠ, ᲙᲔᲠᲜ?

— ᲐᲛᲘᲜ! — Უ�პᲐᲡᲣᲮᲐ ᲙᲔᲠᲜᲛᲐ.

— ᲮᲕᲐᲚᲐᲪ ᲛᲝᲕᲐᲚ, ᲛᲐᲠᲘ.

ᲨᲢᲐᲘᲜᲔᲠᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲘ ᲡᲐᲮᲘᲡᲙᲔᲜ ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲬᲔᲚᲨᲘ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲓᲐ.

ᲛᲔᲓᲓᲐ ᲙᲐᲠᲗᲐᲡ ᲘᲓᲒᲐ. ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲒᲐᲣᲠᲑᲝᲓᲐ, ᲨᲢᲐᲘᲜᲔᲠᲡ ᲐᲠ ᲣᲧᲣᲠᲔᲑᲓᲐ, ᲮᲔᲚᲘ ᲣᲙᲐᲜᲙᲐᲚᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲭᲘᲥᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲭᲘᲠᲐ, ᲬᲙᲐᲠᲣᲜᲔᲑᲓᲐ.

ᲨᲢᲐᲘᲜᲔᲠᲘ ᲓᲔᲠᲔᲤᲐᲜᲨᲘ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ.

— ᲐᲠ ᲒᲐᲘᲜᲫᲠᲔᲗ! — ᲒᲐᲘᲡᲛᲐ ᲛᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲚᲣᲠᲘ ᲮᲛᲐ.

ᲙᲐᲠᲗᲐᲡ ᲝᲠᲘ ᲤᲝᲠᲛᲘᲐᲜᲘ ᲔᲡᲔᲡᲔᲚᲘ ᲘᲓᲒᲐ. ᲝᲠᲘᲕᲔᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲕᲔᲠᲘ ᲔᲭᲘᲠᲐ. ᲨᲢᲐᲘᲜᲔᲠᲘ ᲨᲔᲩᲔᲠᲓᲐ. ᲐᲠ ᲨᲔᲨᲘᲜᲔᲑᲣᲚᲐ.

— ᲠᲐ ᲒᲥᲕᲘᲐᲗ?

— ᲘᲝᲰᲐᲜ ᲰᲣᲑᲔᲠᲘ.

— ᲐᲥᲔᲗ, ᲤᲐᲜᲯᲐᲠᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲝᲓᲘᲗ.

ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲙᲐᲪᲘ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲨᲢᲐᲘᲜᲔᲠᲡ ᲓᲐᲐᲙᲕᲘᲠᲓᲐ.

— ᲔᲡ ᲨᲢᲐᲘᲜᲔᲠᲘᲐ, — ᲗᲥᲕᲐ ᲛᲐᲜ. — ᲔᲭᲕᲘ ᲐᲠᲐᲐ. ᲕᲘᲪᲐᲜᲘ. ᲨᲔᲜ ᲮᲝᲛ ᲛᲘᲪᲜᲝᲑ ᲛᲔ, ᲨᲢᲐᲘᲜᲔᲠ?

— ᲨᲔᲜᲡ ᲗᲐᲕᲡ ᲠᲐ ᲓᲐᲛᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲡ, ᲨᲢᲐᲘᲜᲑᲠᲔᲜᲔᲠ, — ᲛᲨᲕᲘᲓᲐᲓ ᲛᲘᲣᲒᲝ ᲨᲢᲐᲘᲜᲔᲠᲛᲐ.

— ᲓᲘᲐᲮ, ᲕᲔᲠᲪ ᲓᲐᲛᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑ, — ᲩᲐᲘᲮᲘᲗᲡᲘᲗᲐ ᲙᲐᲪᲛᲐ. — ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲨᲔᲜᲘ ᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ! ᲒᲣᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲘᲮᲐᲠᲓᲐ, ᲙᲕᲚᲐᲕ ᲠᲝᲛ ᲒᲘᲮᲘᲚᲔ. ᲐᲮᲚᲐ ᲮᲝᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ? ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲑᲐᲜᲐᲙᲘ ᲒᲐᲕᲮᲡᲔᲜᲘᲗ, ᲡᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲤᲝᲠᲢᲘᲗ.

— ᲔᲭᲕᲘ ᲐᲠ ᲛᲔᲞᲐᲠᲔᲑᲐ.

— ᲮᲔᲚᲑᲝᲠᲙᲘᲚᲘ! — ᲑᲠᲫᲐᲜᲐ ᲨᲢᲐᲘᲜᲑᲠᲔᲜᲔᲠᲛᲐ. — ᲡᲘᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲐᲠ ᲡᲢᲙᲘᲕᲐ, ᲩᲔᲛᲝ ᲙᲐᲠᲒᲝ. ᲒᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲘᲡᲙᲓᲔᲑᲐ, ᲮᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲘᲡᲮᲚᲢᲔ.

ᲙᲐᲠᲘ ᲒᲐᲩᲮᲐᲙᲣᲜᲓᲐ. ᲨᲢᲐᲘᲜᲔᲠᲛᲐ ᲒᲕᲔᲠᲓᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲮᲔᲓᲐ. ᲘᲛ ᲞᲐᲚᲐᲢᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ ᲘᲧᲝ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲪᲝᲚᲘ ᲘᲬᲕᲐ. ᲛᲔᲓᲓᲐᲛ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲮᲔᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲘᲫᲔᲕ ᲣᲙᲐᲜ ᲨᲔᲘᲛᲐᲚᲐ.

— ᲐᲘ, ᲗᲣᲠᲛᲔ ᲠᲐ... — ᲗᲥᲕᲐ ᲨᲢᲐᲘᲜᲔᲠᲛᲐ.

— ᲓᲘᲐᲮ, ᲓᲘᲐᲮ, ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲝ. — ᲮᲘᲗᲮᲘᲗᲔᲑᲓᲐ ᲨᲢᲐᲘᲜᲑᲠᲔᲜᲔᲠᲘ. — ᲑᲣᲓᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲙᲔᲜ ᲘᲬᲘᲓᲐᲕᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲔᲨᲛᲐᲙ ᲩᲘᲢᲣᲜᲘᲐᲡᲐᲪ ᲙᲘ... ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲮᲐᲠᲐᲓ.

ᲨᲢᲐᲘᲜᲔᲠᲘ ᲛᲘᲡ ᲢᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲤᲐᲠᲣᲚ ᲡᲐᲮᲔᲡ, ᲨᲔᲭᲚᲔᲢᲘᲚ ᲜᲘᲙᲐᲰᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲐᲛᲣᲥᲔᲑᲣᲚ ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲣᲠᲔᲑᲡ ᲓᲐᲐᲙᲕᲘᲠᲓᲐ. ᲛᲨᲕᲘᲓᲐᲓ ᲣᲧᲣᲠᲔᲑᲓᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲘᲪᲝᲓᲐ, ᲔᲡ ᲡᲐᲮᲔ ᲠᲐᲡ ᲣᲥᲐᲓᲓᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲯᲔᲠ ᲨᲝᲠᲡ ᲘᲧᲝ, ᲘᲡᲔ ᲨᲝᲠᲡ, ᲗᲘᲗᲘᲚᲘᲡ ᲛᲐᲡ ᲐᲠᲪ ᲔᲮᲔᲑᲝᲓᲐ. ᲨᲢᲐᲘᲜᲑᲠᲔᲜᲔᲠᲛᲐ ᲗᲕᲐᲚᲘ ᲩᲐᲣᲙᲠᲐ, ᲢᲣᲩᲔᲑᲘ ᲛᲝᲘᲚᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲑᲘᲯᲘᲗ ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐᲘᲮᲘᲐ.

— ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘ ᲡᲣᲚ ᲐᲠ ᲒᲐᲬᲣᲮᲔᲑᲡ, ᲨᲢᲐᲘᲜᲑᲠᲔᲜᲔᲠ? — ᲰᲙᲘᲗᲮᲐ ᲨᲢᲐᲘᲜᲔᲠᲛᲐ.

ესესელი გაილმიჭა.

— სინდისი მშვიდადა მაქვს, საყვარელო. განსაკუთრებით მაშინ, როცა შენისთანა ჩიტუნა ხელში ჩამიყარდება. მშვენივრად მძინავს. შენთვის გამონაკლისს გავაკეთებ. ღამით გესტუმრები ხოლმე, რათა ტკბილად ვიჭუკჭუკოთ. კმარა, წაიყვანეთ! — მოულოდნელად ულმობლად ბრძანა მან.

შტაინერი ესკორტის თანხლებით კიბეს ჩაუყვა. შემხვედრი ადამიანები ჩერდებოდნენ და მდუმარედ უთმობდნენ გზას. ქუჩაშიც ხალხი ასევე ხმას კმენდდა მათ დანახვაზე.

შტაინერი დასაკითხად შეიყვანეს. დაკითხვას ხნიერი მოხელე ატარებდა. შტაინერის ანკეტური მონაცემები ოქმში შეიტანა.

— რა მიზნით ჩამოხვედით გერმანიაში? — ჰკითხა მოხელემ.

— ცოლის ნახვა მინდოდა, სანამ ცოცხალი იყო.

— ვინ ნახეთ თქვენი აქაური პოლიტიკური თანამოაზრეებიდან?

— არავინ.

— გირჩევნიათ ეს ახლა ჩემთან თქვათ, ვიდრე იქ გადაგაგზავნიდეთ.

— მე უკვე გითხარით: არავინ.

— ვისი დავალებით ჩამოხვედით?

— მე არავითარი დავალება არა მაქვს.

— რომელ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან თანამშრომლობთ საზღვარგარეთ?

— არც ერთთან.

— რა სახსრებით ცხოვრობდით?

— იმით, რასაც ვიშოვნიდი. ხომ ხედავთ, ავსტრიული პასპორტი მაქვს.

— რომელ ჯგუფს უნდა დაკავშირებოდით აქ?

— ეს რომ მდომოდა, სხვანაირად მოვიქცეოდი. როცა ცოლის სანახავად მოვდიოდი, ვიცოდი, რაც მელოდა.

მოხელე ერთხანს კიდევ ეკითხებოდა. მერე შტაინერის პასპორტსა და მისი ცოლის წერილს უკირკიტა, რომელიც დაკავებისას ჩამოართვეს. შტაინერს შეხედა და წერილი ხელმეორედ წაიკითხა.

— ნაშუადღევს გადაგაგზავნით, — უთხრა ბოლოს და მხრები აიჩეჩა.

— ერთი სათხოვარი მაქვს, — მიმართა შტაინერმა. — ისე, დიდი არაფერია, მაგრამ ჩემთვის ბევრს ნიშნავს. ჩემი ცოლი ჯერ ცოცხალია. ექიმმა თქვა, ერთი-ორი დღე კიდევ იცოცხლებსო. ცოლი დარწმუნებულია, რომ ხვალ მივალ მის სანახავად. თუ არ მივედი, მიხვდება, რომ დამიჭირეს. ჩემთვის არც შეღავათს და არც თანაგრძნობას არ გთხოვთ, მაგრამ მინდა, რომ ჩემი ცოლი მშვიდად მოკვდეს. გთხოვთ, ერთი-ორი დღით აქ დამტოვოთ და ცოლის ნახვის უფლება მომცეთ.

— ეგ არ გამოვა. გაქცევის საშუალებას ვერ მოგცემთ.

— მე ვერ გავიქცევი. პალატა მეექვსე სართულზეა და ერთის გარდა გასასვლელი არა აქვს. ვინც მიმიყვანს, კართან დადგება, და ვერ-

სადაც ვერ გავიქცევი. ჩემთვის არა გთხოვთ. მომაკვდავი ქალის გულისთვის გეხვეწებით.

— ეგ შეუძლებელია, — უპასუხა მოხელემ. — მე მაგის უფლებამოსილება არ გამაჩნია.

— თქვენ ამის უფლებამოსილება გაქვთ. თქვენ შეგიძლიათ განმეორებით დასაკითხავად აქ დამტოვოთ და ცოლთან შეხვედრაში ხელი შემიწყოთ, იმ მოტივით, რომ ცოლთან ეგეებ ისეთი რამ წამომცდეს, რაც თქვენ გაინტერესებთ. ამისთვის ჩემი მცველი გარეთ, კართან დადგება. თქვენს სანდო მედდას კი დაავალეთ ოთახში დარჩეს და ყური დაუგდოს ჩვენს ლაპარაკს.

— ეგ ყველაფერი უაზრობაა. თქვენი ცოლი არაფერს იტყვის და არც თქვენ იტყვით რამეს.

— რა თქმა უნდა, არა. მან სომ არაფერი იცის. სამაგიეროდ მშვიდად დაასრულებს სიცოცხლეს.

მოხელე ჩაფიქრდა. საქმე გადაფურცლა.

— წინა დაპატიმრების დროს VII ჯგუფის თაობაზე დაგკითხეთ. თქვენ არავინ დაგისახელებიათ. მერე უთქვენოდ მივაგენით მიულერს, ბეზეს და ველდორფს. დაგვისახელებთ დანარჩენებს?

შტაინერი დუმდა.

— თუ დაგვისახელებთ დანარჩენებს, დაგტოვებთ აქ ორი დღით და საშუალებას მოგცემთ, ცოლი ინახულოთ.

— კარგით, — უპასუხა შტაინერმა მცირე ყოყმანის შემდეგ.

— მაშინ გისმენთ.

შტაინერი დუმდა.

— დამისახელებთ ორ პირს ხვალ საღამოს და დანარჩენებს ზეგ?

— ზეგ დაგისახელებთ ყველას ერთად.

— პირობას იძლევით?

— დიახ.

მოხელე კარგა ხანს გამომცდელად უყურებდა.

— ვნახოთ, რის გახერხებას შევძლებ. ახლა კი საკანში წაგიყვანენ.

— იქნებ წერილი დაგებრუნებინათ, — სთხოვა შტაინერმა.

— წერილი? არა, საქმეში უნდა იდოს. — მოხელე შეყოყმანდა. — თუმცა მასში არავითარი სამხილი არაა. კარგი, თქვენ გქონდეთ.

— გმადლობთ, — უთხრა შტაინერმა.

მოხელემ ზარი დარეკა და შტაინერის გაყვანა ბრძანა. დასანანია, გაიფიქრა მან, მაგრამ რას იზამ? თავადვე ამოვყოფ თავს ეშმაკის ქვაბში, თუკი ოდნავი ადამიანურობა მაინც გამოვიჩინე, და მოხელემ უცბად მუშტი დაჰკრა მაგიდას.

მორიც როზენტალი საწოლში იწვა. რამდენიმე დღის ტანჯვის შემდეგ ეს პირველად იყო, ტკივილები რომ არ აწუხებდა. მოსალამოვდა, ოებერვლის პარიზის მოვერცხლისფრო-ლურჯ ბინდში პირველი ლამპიონები აციმციმდნენ. მორიც როზენტალი თავის გაუტოკებლად უთვალთვალებდა, როგორ ნათდებოდა თანდათან მოპირდაპირე სახლის ფანჯრები. სახლი უზარმაზარი გემივით მიცურავდა ბინდში, თითქოს სა-

ოკეანო ლაინერი პორტიდან გადისო. ფანჯრებს შორის დარჩენილი კედელი გრძელ, მუქ ჩრდილად გადაფენოდა სასტუმრო „ვერდენს“, თითქოს ჩრდილის საბიჯელაო, რომელზეც მგზავრებს უნდა გაევლოთ გემზე მოსახვედრად.

მორიც როზენტალი უძრავად იწვა. თავის წამოუწევლად დაინახა, უცებ როგორ გაიღო ფანჯარა და ვიღაც, რომელიც [illegible], ზეზე წამოდგა და გარეთ გავიდა. მერე ჩრდილის საბიჯელაზე გადაიარა, გემზე ავიდა, რომელიც ნარნარად ირწეოდა სიცოცხლის გაწელილ მწუხრში. გემმა ღუზა აუშვა და ნელა შესრიალდა ზღვაში. ოთახი ს

რაც უფრო ახლოს მიდიოდა, ჭიშკარი მით უფრო ნათდებოდა და ჩახჩახდებოდა. ეს რა შუქის ეფექტები შემოულიათ საზღვარზე, უკვირდა მორიცს, ველარ მიხვდები, სადა ხარ. ჩანს, ყველგან განათება დაუდგამთ, რათა ადვილად დაგვიჭირონ. წარმოუდგენელი მფლანგველობაა!

— მამილო მორიც, — უთხრა ჭიშკრის მცველმა, — რატომ იმალები?

რალას მეკითხება, გაიფიქრა მორიცმა, როცა კარგად მიცნობს და ისიც იცის, რაც თავს გადამხდა.

— შედი, — უთხრა მცველმა.

— მომისმინეთ, — მიმართა მორიცმა, — მე მგონი, ჯერ არაფერი დაშავებია. ჯერ ხომ საზღვარი არ დამირღვევია. თუ, იქნებ, აქამდე მოვლაც დანაშაულად ითვლება?

— ითვლება, — მიუგო მცველმა.

დავდუპულვარ და ეგ არის, გაიფიქრა როზენტალმა. აქაურობა ყუნძულს ჰგავს, ეტყობა, კუბა უნდა იყოს, ახლა ხომ ბევრი ემიგრანტი ცდილობს იქ მოხვედრას.

— ნუ გეშინია, — გაამხნევა მცველმა, — არაფერი მოგივა. მშვიდად შედი.

— მომისმინეთ, — მიმართა მორიც როზენტალმა, — თავიდანვე უნდა გამოგიტყდეთ, პასპორტი არ მაქვს.

— პასპორტი არ გაქვს?

ნამდვილად ექვს თვეს მომისჯიან, შეშინდა მორიცი მქუხარე ხმის გავონებაზე და თავი მორჩილად ძირს დახარა.

მეკარემ ყვერთხი მაღლა ასწია.

— თუ ასეა, მაშინ ოცი მილიონი სინათლის წელიწადის განმავლობაში საზღვრის პირველ სართულზე ფეხზე დგომისგან გათავისუფლებთ, პირდაპირ რბილ საავარძელში ჩაგსვამთ და ფეხქვეშ ბუმბულის ბალიშს დაგიდებთ.

— ყველაფერი ეგ ძალზე კარგია, — უთხრა მამილო მორიცმა, — მაგრამ არ გამოვა. მე არც ვიზა მაქვს და არც ბინადრობის ნებართვა. მუშაობის ნებართვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

— ბინადრობის ნებართვა არ გაქვს?! ვიზა არ გაქვს?! მუშაობის ნებართვა არ გაქვს?! — ჭიშკრის მცველმა ზარზეიმით აღმართა ხელი. — მაშ, შენ პირველი კლასის ლოჟა გეკუთვნის, შუა ადგილას, ამოთხის ლაშქრის უკეთ დასანახავად.

— ცუდი არ იქნებოდა, — უთხრა მორიცმა. — მით უმეტეს, რომ ოპერაში სიარული მიყვარს. მაგრამ ახლა ისეთ რამეს შეიტყობთ, რაც ყველაფერს წაახდენს. მართლა, ძალიან მიკვირს, ჭიშკარზე აბრა რატომ არ გიკიდიათ, რომ ჩვენთვის აქ შემოსვლა აკრძალულია! მე ხომ ებრაელი ვარ! გერმანიიდან იძულებით გასახლებული. მრავალი წელია არალეგალურად ვცხოვრობ.

ჭიშკრის მცველმა ორივე ხელი ზე აღმართა.

— ებრაელი?! იძულებით გასახლებული?! არალეგალურ მდგომარეობაში?! მაშ, შენ პირადად ორი ანგელოზი და მესაყვირე მოგემსახუ-

რება. — მცველმა ჭიშკარში გასძახა: — უსამშობლოთა ანგელოზო! — და მორიც როზენტალს გვერდში გოლიათური არსება ამოუდგა, რომელსაც ცისფერი სამოსი ეცვა და ისეთი სათნო სახე ჰქონდა, როგორიც აქვს ნებისმიერ დედას მსოფლიოში. — ტანჯულ-წამებულთა ანგელოზო! — ისევ დაიძახა მცველმა, და მამილო მორიცს ფეხებიდან თეთრებში გამოწყობილი არსება ამოუდგა, რომელსაც [illegible] ცრემლით სავსე თუნგი შემოედგა.

— ერთი წამით, — მამილო მორიცი ჭიშკრის მცველს მიუბრუნდა: — თქვენ დარწმუნებული ხართ, ბატონო, რომ იქ, შიგნით, მე არ?..

— ნუ ღელავთ. ჩვენი საკონცენტრაციო ბანაკები შორს, უფრო დაბლა მდებარეობს.

ორმა ანგელოზმა მკლავებში ხელები მოჰკიდა, და მამილო მორიცმა, ძველმა მოგზაურმა, ემიგრაციის ვეტერანმა, გულდამშვიდებულმა შეაბიჯა ჭიშკარში, რომლის შიგნით რაღაც წარმოუგენელი, საოცარი ნათელი იდგა. უეცრად ციდან შრიალით დაეშვა ფერადი ჩრდილები და სიხათლე დაიბინდა...

— მორიც, — დაუძახა კარიდან ედიტ როზენფელდმა. — ბავშვი მოვიყვანე. პატარა ფრანგი. არ გინდა ნახო?

ხმა არავინ გასცა. ქალი ფრთხილად მიუახლოვდა საწოლს. მორიც როზენტალი აღარ სუნთქავდა.

მარი როგორც იქნა გონს მოვიდა. მთელი შუადღე აგონიაში იყო. ამჯერად აშკარად იცნო შტაინერი.

— შენ ისევ აქა ხარ? — ჩაიჩურჩულა შეშინებულმა ქალმა.

— რამდენ ხანსაც მინდა, იმდენ ხანს შემიძლია დავრჩე, მარი.

— ეგ როგორ?

— ამნისტია გამოვიდა. მეც შემეხო. ასე რომ, ნულარ გეშინია. ამიერიდან სულ აქ ვიქნები.

ქალმა ეჭვიანად შეხედა.

— ამას ჩემს დასამშვიდებლად ამბობ, იოზეფ...

— არა, მარი. ამნისტია გუშინ გამოვიდა. — შტაინერი მედდას მიუბრუნდა, რომელიც პალატის სიღრმეში საქმიანობდა. — ასე არაა, დაო, გუშინდლიდან ხომ დაჭერა აღარ მემუქრება?

— ჰო, — წაილუღლუღა მედდამ.

— გთხოვთ, ახლოს მოდით, რათა ჩემმა ცოლმა კარგად გაიგონოს.

მედდა წინწახრილი იდგა.

— ხომ ვთქვი უკვე.

— გთხოვთ, დაო! — წაიჩურჩულა მარიმ.

პალატაში სიჩუმე იდგა.

— გთხოვთ, დაო, — კვლავ წაიჩურჩულა ავადმყოფმა.

მედდა უხალისოდ მივიდა საწოლთან. ავადმყოფი დაძაბულად შეჰყურებდა.

— ხომ ასეა, გუშინდლიდან აქ დარჩენა ხომ შემიძლია? — ჰკითხა შტაინერმა.

— ჰო, — გაჭირვებით ამოღერღა მედდამ.

— და დაჭერის საფრთხეც ხომ აღარ მემუქრება?

— არა.

— გმადლობთ, დაო.

შტაინერმა შეამჩნია, როგორ დაენისლა თვალები ავადმყოფს. ქალს ტირილის ძალაც აღარ შესწევდა.

— ახლა, როცა ყველაფერი კარგადაა, იოზეფ, — ჩურჩულებდა იგი, — სწორედ მაშინ, როცა მე გჭირდები, გტოვებ...

— შენ არ მტოვებ, მარი...

— რომ იცოდე, როგორ მინდა წამოვდგე და თან გამოგყვე.

— ჩვენ მუდამ ერთად ვივლით.

ქალი ერთსანს არ ინძრეოდა, ქმარს მისჩერებოდა. ნაცრისფერი სახე მთლად დალეოდა, კანიღა ჰქონდა ძვლებზე გადაკრული, თმას ერთ ღამეში ელვარება და ფერი დაჰკარგოდა, თითქოს გახუნებულიყო. შტაინერი ყველაფერ ამას კიდეც ამჩნევდა და ვერც ამჩნევდა. მხოლოდ იმას ხედავდა, რომ ქალი ჯერ კიდევ სუნთქავდა და ვიდრე სული ედგა, იგი მისი მარი, მისი ცოლი იყო, მათი ახალგაზრდობისა და განუყრელობის ნათელით გარემოსილი.

პალატაში ბინდი შემოიპარა. კარს იქიდან, დერეფნიდან დროდადრო შტაინბრენერის მოუთმენელი ჩახველება ისმოდა. მარის სუნთქვა გაუძნელდა, წყვეტილად, სვენებ-სვენებით სუნთქავდა, ბოლოს მთლად შეწყვიტა სუნთქვა, თითქოს ნაზმა სიომ დაუბერა და გაყუჩდაო. შტაინერს ცოლის ხელები ეჭირა და გრძნობდა, როგორ უცივდებოდა თანდათან. თვითონაც თითქოს მარისთან ერთად კვდებოდა. როცა წასასვლელად ადგა, რაღაც უგრძნობელი არსება, ცარიელი გარსილა იყო, რომელიც ადამიანივით მოძრაობდა. გულგრილად შეხედა მედდას. გარეთ შტაინბრენერი და მისი თანაშემწე დახვდნენ.

— სამ საათზე მეტი გვალოდინე, — ბუზღუნით უთხრა შტაინბრენერმა. — დარწმუნებული იყავი, ამას ხშირად გაგახსენებ.

— დარწმუნებული ვარ, შტაინბრენერ, ასეთ რამეებში ბადალი არა გყავს.

შტაინბრენერმა ტუჩები მოილოკა.

— მე მგონი, მშვენივრად იცი, რომ „ბატონო ვახმისტრო"-თი უნდა მომმართო, მაგრამ არა უშავს, თუ გინდა „შტაინბრენერი" და „შენ" მიძახე. ოღონდ იცოდე, ყოველი სიტყვისთვის მრავალი კვირის განმავლობაში ცხარე ცრემლს გადენ, ჩემო საყვარელო. ახლა კი მოვიცალი.

ისინი ფართო კიბეზე ჩადიოდნენ. შტაინერი შუაში ეყენათ. წყნარი სალამო იყო. იატაკამდე გაჭრილი ფასადის ოვალური ფანჯრები მოელიავებინათ. გარედან ბენზინისა და მოახლოებული გაზაფხულის სუნი შემოდიოდა.

— მე ხომ უსასრულოდ ბევრი დრო მექნება შენთვის, — დინჯად, კმაყოფილებით განაგრძო შტაინბრენერმა. — მთელი შენი სიცოცხლე, ჩემო ტკბილო. ჩვენი გვარებიც როგორ შეესატყვისება ერთმანეთს: შტაინერი და შტაინბრენერი. ვნახოთ, ეგებ აქედან რამე გამოვიდეს.

შტაინერმა ფიქრიანად დაუქნია თავი. ოვალურად გაჭრილი ღია ფანჯარა მოახლოვდა, გაიზარდა, ცხვირწინ აესვეტა. შტაინერმა მოულოდნელად ხელი უბიძგა შტაინბრენერს, თვითონაც ზედ მიაწყდა და მასთან ერთად სიცარიელეში გადაეშვა.

— შეგიძლიათ მშვიდად აიღოთ ფული, — უთხრა კერნს მარილმა, რომელსაც სახე დალაროდა და დანაღვლიანებოდა. — დაბეჯითებით მთხოვა, თქვენთვის — ორივესთვის გადმომეცა იმ შემთხვევაში, თუ ალარ დაბრუნდებოდა.

კერნმა ტარის ნიშნად თავი გააქნია. ივი ის-ის იყო დაბრუნდა პარიზში. ჭუჭყიანი და ჩამოძონძილი იჯდა „კატაკომბაში" მარილთან ერთად. სატვირთო მატარებლის ვაგონებლის დამსმარედ იმგზავრა დიჟონიდან.

— დაბრუნდება, — თქვა კერნმა, — შტაინერი დაბრუნდება.

— ალარ დაბრუნდება! — გაცხარდა მარილი. — ღმერთო ჩემო, გულიანუ გააწყალეთ ერთი და იმავეს გამეორებით: დაბრუნდება, დაბრუნდებაო! ალარ დაბრუნდება! აი, წაიკითხეთ!

ჯიბიდან დაჭმუჭნილი დეპეშა ამოიღო და მაგიდაზე დააგდო. კერნმა აიღო და გაასწორა. დეპეშა ბერლინიდან იყო გამოგზავნილი „ვერდენის" დიასახლისის სახელზე: „გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს. ოტო", — წაიკითხა მან.

კერნმა გაკვირვებით შეხედა მარილს:

— რას ნიშნავს ეს?

— ეს იმას ნიშნავს, რომ ის ჩავარდა. ჩვენ ასე დავთქვით. ერთი მისი მეგობართაგანი დეპეშას გამოგზავნიდა. ამის წინასწარ მიხვედრა რთული არ იყო. მე ეს თავიდანვე ვუთხარი. ახლა კი, ბოლოს და ბოლოს, გამომართვით ეს ხელის ჭუჭყი!

მარილმა ფული კერნისკენ გააჩოჩა.

— ორი ათას ორას ორმოცდათხი ფრანკია, — აუწყა მან. — აქაც კიდევ რაღაც არის! — ჯიბიდან საფულე ამოიღო და იქიდან ორი ბილეთი ამოაძვრინა. — ეს ბორდოდან მექსიკაში სამგზავრო ბილეთებია, პორტუგალიურ სატვირთო ვიმ „ტაკომაზე". თვრამეტში გადის. ეს კი ის ფულია, რაც ამ ბილეთების ყიდვის შემდეგ მორჩა. ვიზები მზადაა. ლტოლვილთა შემწეობის კომიტეტში დევს.

კერნი ბილეთებს მიაშტერდა.

— მაგრამ... — თქვა დაბნეულმა.

— არავითარი მაგრამ! — გაჯავრებით გააწყვეტინა მარილმა. — საქმე ნუ გააჭირეთ, კერნ! ყველაფერმა ამან ლამის გადამიყოლა! ზღაპრული დამთხვევა მოხდა! სამი დღის წინ. ლტოლვილთა შემწეობის კომიტეტმა მექსიკის მთავრობისაგან თანხმობა მიიღო ეს ორმოცდაათი ემიგრანტის მიღებაზე იმ პირობით, თუ მგზავრობის ფულს თავად ემიგრანტები გადაიხდიდნენ. ასეთი სასწაული ყოველდღე რიდი ხდება. ეს ამბავი კლასმანს გაუგია. მაშინვე თქვენი ვვარები შევატანინეთ სიაში, რომ სხვებს არ დაესწროთ. ხელთ თქვენი ბილეთების ფულიც ვქონდა. ასე რომ... — მარილი გაჩუმდა. — ივონა, ალუბლის არაყი მოგიტანეთ, — მიმართა მერე სქელ ელზასელ ოფიციანტს.

ივონამ თავი დაუქნია და თეძოების რხევით სამზარეულოსკენ გასწია.
— მეორეც გამოაყოლეთ! — მიაძახა მარილმა.
ივონა შემობრუნდა.
— რომ არ გეთქვათ, მაინც მოვიტანდი, ბატონო მარილ.
— კეთილი. კიდევ კარგი, თქვენ მაინც გესმით ჩემი.
მარილი კვლავ კერძს მიუბრუნდა.
— შეგიანხმდით არა, როგორც იქნა? ვალიარებ, რომ ყველაფერი ეს თქვენთვის ფრიად მოულოდნელი იყო. ახლა თუ სამგზავრო ბილეთითა და ვიზით პრეფექტურაში მიხვალთ, საფრანგეთში დროებითი ბინადრობის ნებართვას მოგცემენ მანამ, სანამ გემი არ გავა. მიუხედავად იმისა, რომ არალეგალურად ხართ შემოსული. ესეც ლტოლვილთა შემწეობის კომიტეტის დამსახურებაა. ხვალ დილითვე შეგიძლიათ კომიტეტში მიხვიდეთ. ერთადერთი შანსი გეძლევათ ჯოჯოხეთიდან თავის დასაღწევად.
— მართლაც ჯოჯოხეთია. პირველ ჯერზე — ერთი თვე, მეორე ჯერზე — ექვსი თვე პატიმრობა.
— დიახ, ექვსი თვე, რადგან როდისმე მაინც ხელმეორედ ჩაგიგდებენ ხელში. ამას ვერ გაექცევი! — მარილმა თავი ასწია. მის წინ ივონა იდგა. მაგიდაზე ლანგარი დადგა, რომლითაც ჩვეულებრივი სირჩა და ჩაის ჭიქა მოეტანა. ჭიქა პირამდე აევსო ალუბლის ნაყენით.
— ეს თქვენია! — გაულიმა ივონამ და ცერით ჩაის ჭიქაზე მიუთითა. — ჩვეულებრივ ფასში.
— გმადლობთ! გონიერი ვოდკა ხართ! გული ძალზე დამწყდება, თუ გათხოვების მერე ანჩხლ ქსანთიპეს დაემსგავსებით ან პატიოსანი, დაჩაგრული ცოლის როლი გერგებათ. გაგვიმარჯოს! — მარილმა ერთი მოსმით ჩაის ჭიქა ნახევრამდე დაიყვანა. — გაგვიმარჯოს, კერნ! რატომ არ სვამთ? — ჰკითხა მერე.
მარილმა ჭიქა მაგიდაზე დადგა და თვალებში შეხედა კერნს.
— ეგლა გვაკლია, ახლა აქ ღრიალი მორთოთ! — გაუწყრა მარილი. — ადამიანო, თავმოყვარეობა სულ დაკარგეთ?
— ტირილს არ ვაპირებ! — იწყინა კერნმა. — მაგრამ მართლაც რომ ავტირდე, ვისი რა საქმეა! დალახვროს ეშმაკმა, მეგონა, როცა დავბრუნდებოდი, შტაინერს შევხვდებოდი, თქვენ კი ფულსა და ბილეთებს მჩრით ხელში და მეუბნებით, რომ მეშველა იმიტომ, რომ ის დაიღუპა. ეს ხომ უსინდისობაა! ნუთუ ეს არ გესმით?
— არა, არ მესმის! თქვენ სენტიმენტალურად მსჯელობთ! რა არის აქ გაუგებარი? ცხოვრებაში მუდამ ასეა. ახლა ეს გადაკარით, ისე როგორც იგი გადაკრავდა! დალახვროს ეშმაკმა, თქვენ გგონიათ, მე ქვის გული მაქვს?
— ჰო, კარგი...
კერნმა სირჩა დაცალა.
— ახლა უკეთ ვარ, — თქვა მან. — სიგარეტი არა გაქვთ, მარილ?
— რა თქმა უნდა. აიღეთ...

კერნმა ბოლი ღრმად ჩაისუნთქა. მოულოდნელად „კატაკომბის“ ბინდბუნდში შტაინერის სახე დალახდა. ოდხავ ირონიული, წინ დახრილი, მოლიცლიცე სანთლების ალით განათებული, ისეთივე როგორც დიდი ხნის წინ ვენის საპატიმროში, და თითქოს მისი მშვიდი, მკერდისმიერი ხმაც გაიგონა: „როგორა ხარ, ბალლო?“ ეჰ, გაიფიქრა მან, ეჰ, შტაინერ!

— რუთმა იცის? — ჰკითხა მარილს.

— დიახ.

— სად არის?

— არ ვიცი. ალბათ ლტოლვილთა დახმარების კომიტეტშია. მან ხომ არ იცოდა, დღეს თუ ჩამოხვიდოდით.

— არა. თავადაც არ ვიცოდი, როდის დავბრუნდებოდი. მექსიკაში სამუშაო გვექნება?

— დიახ, ოლონდ როგორი, არ ვიცი. ბინადრობისა და მუშაობის ნებართვა ნამდვილად გექნებათ. ეს გარანტირებულია.

— ესპანურად ერთი სიტყვაც არ გამეგება, — თქვა კერნმა, — თუ იქ პორტუგალიურად ლაპარაკობენ?

— ესპანურად. არა უშავს, ისწავლით.

კერნმა თავი დაუქნია.

მარილი მისკენ გადაიხარა.

— კერნ, — მიმართა მოულოდნელად აღელვებულმა, — ვიცი, ეს ადვილი არაა, მაგრამ დაჟინებით გირჩევთ: წადით! ნულარ ყოყმანობთ! გაემგზავრეთ! ევროპაში არამც და არამც არ ჩარჩეთ! ეშმაკმა უწყის, აქ რა დატრიალდება! ასეთი ბინსი ხელში ალარ ჩაგივარდებათ. ვერც ამდენ ფულს მოაგროვებთ! წადით, ბავშვებო, დამიჯერეთ! აქ...

მარილმა ჭიქა დაცალა.

— თქვენც მოდიხართ?

— არა.

— ეს ფული ხომ სამ კაცს ეყოფა. ცოტა ჩვენცა გვაქვს.

— საქმე ეგ არაა. მე აქ უნდა დავრჩე. ვერ აგიხსნით, რატომ. მე ვრჩები. სულ ერთია, რაც მომივა. ამის ახსნა შეუძლებელია. ამას უნდა მიხვდე, მორჩა და გათავდა.

— მესმის, — უთხრა კერნმა.

— აგერ რუთიც გამოჩნდა, — დაანახა მარილმა. — მოკლედ, გადაწყვეტილია: მე აქ ვრჩები, თქვენ კი მიდიხართ. შევთანხმდით?

— დიახ, მარილ.

— მადლობა ღმერთს.

რუთი წამით გახევდა კარში, მერე კერნს მიაშურა.

— როდის ჩამოხვედი?

— ნახევარი საათია.

უსასრულო და თან გულისცემასავით ხანმოკლე მოხვევის შემდეგ რუთმა თავი მაღლა ასწია.

— გაიგე?

— ჰო, მარილმა ყველაფერი მითხრა.

კერნმა მოიხედა. მარილი გამქრალიყო.

— ისიც გაიგე?.. — ყოყმანით ჰკითხა რუთმა.

— დიახ, გავიგე. ახლა ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ. წავიდეთ! მოდი, სუფთა ჰაერზე გავიდეთ. აქ დარჩენა აღარ შემიძლია. ქუჩაში გავიაროთ.

— კარგი, წავიდეთ.

ისინი ელისეს მინდვრებზე მიდიოდნენ. საღამოს ბინდბინდერცაზე მკრთალი ნახევარმთვარე ეკიდა. გამჭვირვალე თბილ ჰაერს ხალხი გარეთ გამოეყვანა. კაფეების წინ ტერასებზე ტევა არ იყო.

ისინი დიდხანს უხმოდ მიდიოდნენ.

— ხომ არ იცი, მექსიკა სად მდებარეობს? — ჰკითხა ბოლოს კერნმა.

რუთმა თავი გააქნია.

— დაახლოებით. თუმცა მე ისიც აღარ მახსოვს, სად მდებარეობს გერმანია.

კერნმა თვალებში შეხედა. მერე მისი ხელი აიღო.

— გრამატიკის სახელმძღვანელო უნდა ვიშოვოთ და ესპანურის სწავლას შევუდგეთ, რუთ.

— გუშინწინ ბუკინისტებთანაც ვიკითხე.

— ოჰო, ბუკინისტებთანაც იყავი?.. — კერნმა გაიღიმა. — არა უშავს, უიმისოდაც იოლად გავალთ. ასე არაა, რუთ?

რუთმა თავი დაუქნია.

— ასეა თუ ისე, მსოფლიოს ნაწილს მაინც ვნახავთ. შინ რომ დავრჩენილიყავით, ამის საშუალება არ გვექნებოდა.

რუთმა კვლავ დაუქნია თავი.

ისინი მიდიოდნენ და მიდიოდნენ. რონ პუენის მოედანს გასცდნენ. ახლად გამოსხმული მწვანე კვირტები ადრიანად ანთებული ლამპიონების შუქზე წმინდა ელმის ალივით ლიცლიცებდნენ, რომელიც თითქოს მიწიდან ამოსულიყო და წაბლის ხეებს ტანსა და ტოტებზე მოსდებოდა. აქა-იქ დარგული ნარგიზები ციცინათელებივით ანათებდნენ ბინდში. უკვე მაღაზიებს კეტავდნენ. ქუჩაში მილეთის ხალხი ირეოდა. მხრის ქცევა ჭირდა.

კერნმა რუთს გადახედა.

— რა ბევრი ადამიანია ამ ქვეყანაზე, არა, რუთ?

— ჰო, — უპასუხა რუთმა, — საოცრად ბევრი ადამიანი.

ფრანგული პოეზია

ფრანგულიდან

თარგმნა ნანა თარგამაძემ

გიიომ აპოლინერი

•

ჯერ კიდევ ტირის ძველი სამყარო
მშვიდი და მყუდრო, ის გავდა ედემს.
ანტიკვარისთვის, ხანავ ახალო,
ბევრი რამ დაგრჩა ამ ომის შემდეგ.

ამ ომის ხრონგით სავსე კიდობანს
აწმყოს აჩრდილი ფეხდაფეხ მოსდევს
და მეჩვენება, ჩვენი მშვიდობა
ბევრად სასტიკი იქნება ომზე.

დემოკრატიამ არ დააცხანა
და ტირანიას დაურჩა ლუკმად.
და დადგა რაღაც ისეთი ხანა,
როცა არავის არავინ უყვარს.

პოლ ელუარი

შენიღბვა

რა გნებავთ, დიახ, ჩავრაზეთ კარი,
გუშაგიც გვედგა გულუშიშარი.
რა გნებავთ, დიახ, ჩალობეს ქუჩა:
ქალაქი ალყას ვერ გადაურჩა.

რა გნებავთ, დიახ, ჩავაგეთ ხმალი,
ვიყავით ყველა მშიერ-მწყურვალი.
რა გნებავთ, დიახ, ეს ასე იყო:
ჩვენ სიყვარულის ზვავმა წაგვიღო.

ლექსები მშვიდობაზე

I

სვეტედნიერო ქალო, იხარე,
თანამეცხედრე, ომგადახდილი,
კვლავ დაგიბრუნდა მეუღლე შენი
სხივმფენი, მზიდან მოდისო თითქოს,

მოაქვს იმდენი შუქი და სითბო.
„დილა მშვიდობის“ — ღიმილით
ამბობს
და აღარ უჩანს ბოლო მის ამბორს.

II

წმინდა ხარ როგორც მებრძოლის
ფიცი,
მკერდმშვენიერო მეუღლევ ჩემო,
ვინ გაიკვირვებს, რომ დავიჩემო,
შენი ფასი-თქო აწ უკეთ ვიცი.

ბედმა მებრძოლნი სად არ გვატარა,
სიკვდილი ამცდა ბარშიც და მთაშიც.
ჩემი ცხოვრება რა იყო მაშინ?!
ერთი თოფი და ერთიც მათარა.

III

ო, მეგობრებო!
იმ ერთ წუთს, როცა ლხენით და
შვებით
ჩვენს მრგვალ მაგიდას
შემოვუსხდებით —
მე, ჩემი ცოლი, ჩემი ბავშვები,
იმ ერთ წუთს, აბა, როგორ
დავმალო,
მე შემიძლია, რომ ვანაცვალო
ძმადნაფიცობა წლობით ნაგები,
ქვეყნად ვინც კი მყავს ამხანაგები,
თქვენც შეგიბრალებ

როგერ დესნოსი

ყოველდღიური ლექსი

პირველ ტროტუარზე უხვევ
მარჯვნივ,
მარჯვედ გადარბიხარ უხეშ რიყეს,
ეჭეც ხიდი, ჩათავდა მალე,
თვალი მიმოავლე ყველაფერს...
აი, სახლიც, კარზე აკაკუნებ.
უკურებ მსიარულ ხელს.
უკუნეთს თვალებს სთხრის მზე,
დუდუნებს მდორე მდინარე.
რაფაზე ყვავილი კრთის,
მიჰქრის ქუჩაში ავტო.
ერთს რატომ ვერ ამჩნევ შენ,
ჩუმად რომ გაიღო კარი
და წირთხლს მიეყრდნო ქალი,
მასაპინძელი შენი.
მთელი ოთახი სავსეა ჩრდილით.
ასეა, მაგრამ დილის შუქი
მაინც კრთის, როგორც ლაჟვარდი
ცის
სუფრაზე, ბოთლზე, თეფშებზე
და ყველაფერზე.
შენ დგახარ ასე,
მზის სიხასხასე გფენია შუბლზე,
შენ დგახარ ჩუმი,
შენნაირებით სავსე სამყაროს
და შენი რთული სიმარტოვის
ზღურბლზე.

ჟაკ პრევერი

საოჯახო

დედა ქსოვს,
შვილი იბრძვის. ის სჭირდება ომს.
დღეს
არ უკვირს დედას ეს.
მამა? რას შვრება მამა?
მამა საქმოსნობს.
ცოტა საქმეა განა?!
ცოლი თუ ქსოვს,
შვილი თუ სჭირდება ომს,
ის საქმოსნობს.
დღეს
არ უკვირს მამას ეს.
შვილი? რას ფიქრობს შვილი?
არაფერს,
სულაც არაფერს.
დედა თუ ქსოვს,
მამა თუ საქმოსნობს,
თვითონ დასჭირდა ომს.
დღეს
ასეა ეს.
აი, რომ მორჩება
ომი და ქლეტა,
მამამისივით გახდება ისიც
საქმოსანი.
ეს არის
მიზანი.
დედა განაგრძობს ქსოვას,
მამა — საქმოსნობას.
შვილი ვერ განაგრძობს ომს,
ის მოკლეს.
სასაფლაოზე მიდიან მშობლები

ვიშით და გოდებით.
დღეს
არ უკვირთ მათ ეს.
ცხოვრება არ წყდება, გრძელდება...
ომი არ წყდება, გრძელდება...
დედა ისევ ქსოვს,
მამა — საქმოსნობს.

ქსოვა, საქმე და ომი.
ომი, საქმე და ქსოვა...
და ცხოვრებასთან ერთად
სასაფლაო და გლოვა
და მოლოდინი დღეთა
როცა არავინ მოვა.

გრძოლა ანგელოზთან

იქ არ მიხვიდე,
იქ, რაღაცა არ არის რიგზე.
მათ ყოველივე გათვლილი აქვთ
უკვე წინასწარ.
გაგასწორებენ უმალ მიწასთან,
მათ დამარცხება შენი სწყურიათ,
გაყიდულია...
ეს თქვენი მატჩი, გაყიდულია!
და როცა იგი გამოჩნდება ამაყად
რინგზე
მაგნიუმის შარავანდით
დამშვენებული,
არ შეუშინდე.
ვიდრე ადგომას დააპირებ შენი
მერხიდან,
აქეთ-იქიდან,
ძველსა და ჩვეულს —
ისინი ერთად გიმღერებენ
„TE DEUM"-სა
და მთელი ძალით შემოკრავენ
სამყაროს ზარებს.
პირში გესვრიან წმინდა ღვინოს
და დამცირების იგრძნობ სიმწარეს.

დრო არ გექნება, არ გექნება,
არა და არა,
რომ ფრთებში წაწვდე
და აჩვენო შენც შენი ძალა.
გაგაკავებენ უცნაური სრულიად
ქცევით,
ის კი, უეცრად, მუშტს მოგიქნევს
მძლავრად
წელს ქვევით
და შენც მოწყვეტით დაეცემი
სულელურად დაკრეფილი გულზე
ხელებით.
არ აღმოხდება გამარჯვების
ყიჟინა, არა,
ხელაღმართული არ მოყვება რინგზე
სიარულს.
დამარცხებულის ხვედრი გერგო და
ეს გაკმარა.
შენ კი ეგდები საცოდავად იმ სველ
ნახერხში,
იგრძნობ, რომ ძალა აღარ გერჩის
და ველარასდროს შეძლებ
სიყვარულს.

სევდის ჩიტები

ფრთების წვიმა, წვიმის ფრთები,
ველარასდროს ვერ შეხვდებით,
ვინც გიყვარდათ ასე წინათ.
წვიმის ფრთები, ფრთების წვიმა.
რაც წახვედი, აღარ ვიცი,
რატომ ვცოცხლობ, რისთვის
ვიღწვი,
რატომ ვარ და რა ვიქნები.
ფრთების წვიმა, წვიმის ფრთები.

რა ვაკეთო, ან რა მინდა?!
წვიმის ძაძა, ჭვარტლის წვიმა.
(ველარასდროს ვერ შეგხვდები).
ჭვარტლის ფრთები, ჭვარტლის
ფრთები...
ჩიტუნებო, გასწით ჩქარა,
მიატოვეთ ბუდე თქვენი...
(ველარასდროს ვერ შეგხვდები).
რაო, რაო, რატომ „არა"?

არ დაგიდგათ დრო გაფრენის?
დამიცალეთ ჩქარა ბინა,
ჩიტუნებო დილის, ღამის,
სად წახვიდეთ? სადაც გინდათ!
ბული დარდით გასკდეს ლამის.
(ველარასდროს ვერ შეგხვდები).
კარგი, დარჩით, მე კი წავალ...

ფრთების ჭვარტლი, ჭვარტლი
ფრთების...
წავალ არსად... ყველგან წავალ,
ეგებ შეხვდეს ჩვენი გზები...
ჩიტუნებო ჩემი სევდის,
თქვენ აქ დარჩით, თუკი გინდათ,
ფრთების წვიმა, წვიმის ფრთები...
თქვენი იყოს ჩემი ბინა.

ზარმაცი

ყველაფერს, რაც უყვარს მას,
გულით ეუბნება „ჰოს“,
ტიტად აქნევს თავს
და ეუბნება უარს
პროფესორს,
ეკითხებიან, —
ლეს,
კითხვებზე არ ილებს ხმას.
უცებ, გაგიჟდა თითქოს,
სიცილი აუტყდა ბავშვს.
თვალში ჩაუდგა მზე,
მიეარდა დაფას შავს

და რაც ეწერა ზედ
წ ა შ ა ლ ა.
ციფრები წაშალა,
სიტყვები წაშალა,
კითხვები წაშალა,
გვარები წაშალა, —
ათასი ფანდი და ათასი მახე.
და ვუნდერკინდებმაც ტაში რომ
ჰკრეს,
უბედურების შავბნელ დაფაზე,
ცარცით რომ იტევს ათას ფერს,
ბედნიერების დახატა სახე.

●

ბაქვავებული, მწუხარე,
ვიბეში არც ერთი სუ.
ბარტია, ელის უარესს.
თექვსმეტი წლის გოგონა
ლეს და დუმს.

თანხმობის მოედანი.
სითბო. მზე.
თხუთმეტი აგვისტო.
შუადღე.

ანდრე ვერდე

ქვრივი

როდესაც იგი ხუჭავდა თვალებს,
სრული სიცხადით ესმოდა ისევ
ლების ხმა მისი... როგორ
ღრჭიალებს
ხრეში ბილიკზე...
და წააგავდა ეს ხმა ყოველთვის
ვალს, მწუხარე ვალს
ლმოთხოვების.
როდესაც იგი ხუჭავდა თვალებს,

ხიშტებს ხედავდა ბნელ ვერხვებს
შორის...
თუ მტარვალებმა როგორ იძალეს,
თორმეტმა თოფმა დაცლილმა
შორით
აცნობა მალე.
როდესაც იგი ხუჭავდა თვალებს,
ალარ სდიოდა ცრემლი მძივებად.
გადაწყდა მისთვის: გული ავალებს
შურისძიებას.

ვიქტორია ტოკარევა

მოთხრობები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა მურმან ცეცხლაძემ

როცა ჩამოწვა გურუსი...

— „ჩოლკა" გაისწორე! — უბრძანა ირკამ.

— როგორ გავისწორო? — დამნაშავესავით იკითხა ნატაშამ.

— როგორ, როგორ, ღმერთო! — შეწუხებულმა ირკამ ხელები წინსაფარზე შეიმშრალა და ნატაშას ირგვლივ მსუბუქად დატრიალდა, თან ფრანგული სუნამოს სურნელი მოაფრქვია.

ირკას იმ ტიპის გარეგნობა ჰქონდა, რომელზეც ამბობენ, განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ მაინც რაღაცა აქვსო. ირკას ჰქონდა ყველაფერი: მუშაობდა მოსკონცერტში, მასზე შეყვარებული იყო ლამის ყველა მომღერალი და მხატვრული კითხვის ოსტატი, მოგზაურობდა საზღვარგარეთ ხან ერთ, ხან მეორე თაყვანისმცემელიან ერთად, გათხოვებასაც აპირებდა — მზადყოფნაში ჰყავდა სამი თუ ოთხი საქმრო.

ნატაშა კი იმ ტიპის გარეგნობისა იყო, რომელზეც ამბობენ, თითქოს ყველაფერი კარგი აქვს, მაგრამ მაინც რაღაცა აკლიაო. ყველაფერი რომ კარგი აქვს, ასე მიაჩნდა ნატაშას დედასაც და კიდევ რამდენიმე კეთილმოსურნე ადამიანსაც, კაცობრიობის დანარჩენი ნაწილი კი იზიარებდა აზრს, რომ რაღაცა აკლდა. დროთა განმავლობაში კეთილმოსურნე ადამიანებიც კაცობრიობის დანარჩენ ნაწილს მიემხრო, ერთგული დარჩა მხოლოდ ნატაშას დედა. შესანიშნავი თმა გაქვს, უბრალოდ, გვიან შესამჩნევი ხარო, ეუბნებოდა შვილს.

— იჯექი სწორად! — უბრძანა ირკამ.

იგი სამზარეულოდან გავიდა და მალე ფრანგული სუნამოთი ხელში დაბრუნდა, ნატაშასათვის არც სუნამო ენანებოდა და არც თავისი საქმროებიდან რომელიმე, მაგრამ მაინც არაფერი გამოსდიოდა. მომღერლები მღეროდნენ საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერებს, მხატვრული კითხვის ოსტატები კითხულობდნენ — „სიცოცხლევ ჩემო, ნუთუ მესიზმრე?" მეფოკუსეები უჩვენებდნენ ფოკუსებს ასანთის ღერებით.

რაკი ირკას ალარ სწამდა საესტრადო ჟანრისა, სადღაც გამონახა ნამდვილი მამაკაცი, რომელიც ბაბელმანდების სრუტეში დაცურავდა და დათვებზეც დადიოდა სანადიროდ.

— ახლა გაგასურნელოვანებ, — გააფრთხილა ირკამ.

— არ მინდა...

— შენ რა გესმის ნეტავ, — ირკამ ირგვლივ შემოურბინა ნატაშას და სუნამო შეასხურა.

— არ მინდა, — ნატაშას დაენანა სუნამო, რომელსაც „Chat noir" — „შავი კატა" ერქვა, — სულერთია მაინც არაფერი გამოვა.

— ვინ იცის, — შეეპასუხა ირკა, — იგი რომელიღაცა ჭკვიანს ამშენებდა, თანაც უმძიმეს ვითარებაში, უკეთესი ცხოვრების მშენებელია. ასეთებზე პახმუტოვა სიმღერებს წერს, ჩვენთან კი იგი თავის ფეხით მოვა.

— იქნებ არ მოვიდეს? — იმედი ჩაესახა ნატაშას.

სწორედ ამ დროს კარზე ზარის ხმა გაისმა.

ნატაშა შეკრთა და ირკას შეხედა, ირკამ — ნატაშას. გამომეტყველება ორივეს უეცრად უაზრო გაუხდა. შემდეგ ირკა გავარდა წინკარში და ნატაშას ახლა იქიდან მოესმა ხმები. იგი ფუა სამზარეულოში დაბალ ტაბურეტზე იჯდა და არ იცოდა, რა ექნა.

ნატაშამ კონსერვატორია დაამთავრა, შეეძლო ემღერა ნოტებიდან პერანგი ტანზე რბილად ადგა. თმა ალისფერი, სახე კი უძრავი, თითქმის ყველაზე დაბალი ხმაც კი ნებისმიერ აკორდში. აქ, სამზარეულოში კი ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ეს ყველაფერი არავის სჭირდებოდა.

ბოლის კარი გაიღო და უკეთესი ცხოვრების მშენებელი ნამდვილი მამაკაციც შემოვიდა. ნატაშამ შეამჩნია, რომ გაუხამებელი თეთრი პერანგი ტანზე რბილად ადგა. თმა ალისფერი, სახე კი უძრავი, თითქოს გაყინული ჰქონდა და ზედ განაწყენებული კაცის გამომეტყველება ეხატა.

— გაიცანით, — თქვა ირკამ.

— ტოლია, — გაუწოდა ხელი მშენებელმა.

— ნატაშა.

კაცს უხეში თითები ჰქონდა. ნატაშამ ირკას შეხედა.

— დასხედით, — გასცა უადგილო განკარგულება ირკამ.

ტოლია დაჯდა. იგი ჯიუტად დუმდა. ხანდახან კედელს მიაბჯენდა მხრას, კედლიდან კი ჭერზე გადაჰქონდა.

— გვითხარით, — წამოიწყო ირკამ. — მართლა დაცურავდით ბაბელმანდების სრუტეში?

— ჰო, დავცურავდი, — უპასუხა ტოლიამ ცოტა ხნის შემდეგ.

— მაინც როგორ, როგორ, როგორ? — გაუხარდა ირკას.

ტოლია დიდხანს დუმდა, მერე თქვა:

— სკაფანდრებით.

— რისთვის? — გაუბედავად გაიკვირვა ნატაშამ.

— საჭირო იყო... — უკმაყოფილოდ თქვა ტოლიამ.

— დათვებზე სანადირობდაც დადიოდით? — ირკამ არ მისცა საუბარს შენელების საშუალება.

— ჰო, დავდიოდით.

— მაინც როგორ დადიოდით?

ირკას უნდოდა დაემტკიცებინა, რომ სახლში ნამდვილი მამაკაცი ესტუმრა.

— იარაღით, — თქვა ტოლიამ.
— საშიში იყო? — გაუბედავად დაინტერესდა ნატაშა.
— არ მახსოვს, დიდი ხნის წინ დავდიოდი.
ირკამ ამ დროს ყავა ჩამოარიგა.
— კონიაკი მოვიტანე, — თქვა მშენებელმა, — კიბეზე დავდგი.
— რატომ კიბეზე? — ირკამ წარბები აზიდა.
— რა ვიცი, — თქვა მშენებელმა და ნატაშა მიხვდა, რომ ტოლიას შერცხვა.
ირკა გავიდა კიბის მოედანზე და კართან ბოთლი დაინახა.
— შეიძლება აეწაპნათ, — ახსნა დაბრუნებისას.
— ჰოო... — უდარდელად თქვა მშენებელმა.
— ხომ არ გშიათ? — გაუბედავად ჰკითხა ნატაშამ.
— საშინლად! — თქვა ტოლიამ და ყველა გამხიარულდა.

●

როცა ნახევარი ბოთლი კონიაკი დალიეს, ტოლიამ პირველად შეხედა ნატაშას და თქვა:
— გუშინ ერთ კომპანიაში მოვხვდი, იქ ისეთი გოგონა იყო... ბიჭიც ახლდა თან, ტყაკის შარვალი ეცვა. თქვენ არ მოგეწონებოდათ.
— რატომ? — ჰკითხა ნატაშამ.
— იმიტომ, რომ თქვენ სერიოზული ხართ.
„სწორედაც, რომ მომეწონებოდა“, — გაიფიქრა ნატაშამ, მაგრამ არაფერი უთქვამს.
ირკას გაუხარდა, რომ ტოლია ალაპარაკდა.
მან პიკონობა დაიწყო, ისაო, ყოველ ადამიანში ოთხმოცდაათი პროცენტი ის არისო... ხომ ხვდებით?
— რა არისო? — ვერ გაიგო ირკამ.
— ნეხვიო. მე კი ვეუბნები, შენს შედგენილობას სხვებზე ნუ ავრცელებ-მეთქი.
ტოლია დადუმდა. ნატაშა მიხვდა, რომ ის ნაწყენი იყო.
— ნუ მიაქცევთ ყურადღებას, — თქვა ნატაშამ.
— დიახ, საერთოდ, რა თქმა უნდა, — დაეთანხმა ტოლია.
— სად ცხოვრობთ?
— არსად.
— როგორ თუ არსად?
— ძალიან უბრალოდ, ვცურავ და მორჩა.
— კი მაგრამ, სახლი ხომ გაქვთ?
— მქონდა. ახლა კი არ მაქვს. მოდი დავლიოთ.
ყველამ აიღო სირჩა.
— ცოლმა მითხრა: „მომწყინდი“, ჰოდა, მეც წამოვედი.
— დაგენანა? — ჰკითხა ირკამ.
— რა?
— ცოლი.

— დამენანა, — ტოლიამ თვალები მოჭუტა, — ტირილამდე დამენანა. ერთ ღამეს ვილვიძებ და ვხედავ ვტირი, ცრემლები მომდის... ვერ ვიკავებ. ვფიქრობ: ღმერთო, ნუთუ ეს მე ვარ...

— ნუთუ სხვანაირად არ შეიძლებოდა? — ნატაშამ ტოლიას შეხედა.

— ალბათ არ შეიძლებოდა. უცოლოდ როგორმე გავძლებ, უშვილოდ კი ვერასოდეს.

— გასაგებია, — თქვა ნატაშამ. მისთვის გასაგები იყო.

ირკამ რადიომიმღები ჩართო. სიმფონიური ორკესტრი აჟღერდა.

ტოლიას თვალები ცისფერი ჰქონდა, თმა კი ალისფერი. მის უკან ფარდა ეკიდა, ფარდის მიღმა კი ქალაქი იყო — შორეული, ოთხივ კუთხით გაშლილი, ქალაქის შემდეგ იწყებოდა მინდვრები და სოფლები, შემდეგ სხვა ქალაქები.

ნატაშამ უცებ კანით შეიგრძნო ეს ყველაფერი: მანძილი და უსასრულობა.

— კიდევ არა უშავდა, წერილები რომ მომდიოდეს, — თქვა ტოლიამ, — როცა გემზე წერილები მოგდის, თითქოს თოკი გამოგიწოდეს ხმელეთიდანო. არ დაიხრჩობი, არაფერიც არ მოგივა. მაგრამ როცა წერილები არ არის...

— გინდათ მე მოგწერთ? — შესთავაზა ნატაშამ.

ტოლია დადუმდა. მას არ უნდოდა ნატაშას წერილები. აი თუ ცოლი მოსწერდა ან უკიდურეს შემთხვევაში ის — ტყავის მარვლიანი ჩიჩის ახლობელი გოგონა, მაშინ სულ სხვა იყო.

ტოლიას ბევრი რამ შეეძლო: ევლო დათვებზე სანადიროდ, სკაფანდრით დაშვებულიყო ზღვის ფსკერამდე, მას შეეძლო ეცხოვრა საინტერესოდ, მაგრამ არ შეეძლო საინტერესოდ მოეთხრო ამის შესახებ.

— არა უშავს, — თქვა ირკამ, — ყველაფერი კარგად იქნება.

ირკას სურს, ყველასათვის ყველაფერი კარგად იყოს.

●

მეზობლის გოგონა საბავშვო ბაღში წასასვლელად ემზადება. გამოუთრევია შუა ოთახში ყველა სათამაშო და ესაუბრება მათ. ნატაშა სიტყვებს ვერ არჩევს, მაგრამ ხმა და ინტონაცია მკაფიოდ აღწევს. სახლი ბლოკისაა და სმენადობა კარგია.

ნატაშა თვალგახელილი წევს, უსმენს გოგონას და თავის თავზე ფიქრობს. ფიქრობს იმაზე, სამი წლის წინ იგორმა როგორ სთხოვა ხელი და ისიც მაშინვე როგორ დათანხმდა, რადგან იგორი არ იყო მოხალტური. მათ ცხოვრებაში ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეეძლოთ. მაგრამ მეორე დღეს იგორმა დაურეკა, ბოდიში მოუხადა და უთხრა, რომ გადაიფიქრა.

— ხომ არ მიწყრები? — ჰკითხა მან.

— აბა რას ამბობ, — თქვა ნატაშამ, — რა თქმა უნდა, არა...

ამბობენ, ომშიც... და ზოგჯერ ჩვეულებრივ ცხოვრებაშიც, სტუმრიანობისას და მხიარულებისას, ყველაფერი შეიძლება დაასრულოს ტელეფონის ერთმა ზარმა.

— გამ-ხა-დე! — ყვირის გოგონა ზემოთ. ეტყობა, რაღაც ჩააცვეს, ის კი აპროტესტებს.

სამზარეულოდან ნატაშას დედა შემოვიდა. ის მედდად მუშაობს საავადმყოფოში, უყვარს მძიმე ავადმყოფები და სძულს ისინი, რომლებიც სერიოზულად არ არიან ავად. მას უყვარს ის ადამიანები, რომლებსაც აუცილებლად სჭირდებათ მისი დახმარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედამ გაიგონა გოგონას ტირილი:

— ღმერთო, მოუშალეს ბავშვს მთელი ნერვული სისტემა, — მას რომ შვილიშვილი ჰყავდეს, არაფრით არ მოუშლის ნერვულ სისტემას, პირიქით, მხოლოდ მისი ინტერესებით იცხოვრებდა.

— დე, თქვა ნატაშამ, — გინდა ბავშვი დავბადო?

— ვისგან?

ჩემგან.

— იდიოტი! — თქვა დედამ.

რატომ მიბრაზდები, მე ხომ მხოლოდ გკითხე.

მაღვიძარამ დარეკა, იწყება ახალი დღე.

●

სასწავლებელი ძველ, განცალკევებულ შენობაშია მოთავსებული. ადრე ამ სახლში ვაჭატაკებული აზნაური ცხოვრობდა. ოთახები ვიწროა, კიბე დამრეცი. ნატაშას უყვარს ეს ოთახები, დამრეცი კიბე, დაჭიმულ და დაყანგულზამბარებიანი ყავისფერი კარები, სივიწროვე და ხმათა სიჭრელე.

ყველაზე დიდ ოთახში, რომელსაც უწინ აზნაური „დარბაზს" ეძახდა და ახლაც „დარბაზს" ეძახიან, ჯუნდი მეცადინეობს.

აქ ყველაფერი ჩვეულებისამებრაა: იგივე დეკორაცია, ორმოცი სკამი, როიალი. იგივე პერსონაჟები — ორმოცი სტუდენტი, კონცერტმაისტერი პეტია. კონცერტმაისტერობა ისეთი პროფესიაა, რომელიც არ ჩანს. მაგალითად, რადიოში აცხადებენ: „ასრულებს ლემეშევი, როიალთან ბერტა კოზელი". ლემეშევს ყველა იცნობს, ბერტა კოზელს კი არავინ. თუმცა მათ ერთად აცხადებენ.

კონსერვატორიაში პეტია სამი კურსით წინ სწავლობდა. მას „ფეხსახსრიანს" ეძახდნენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ყოველ ხელზე ორ-ორი იდაყვი და ყოველ ფეხზე ორ-ორი მუხლი ჰქონდა და მთლიანად ისე შეიძლებოდა მისი დაკეცვა, როგორც საზომი სანტიმეტრისა. ზარის დარეკვისთანავე იღება კარი და ჩნდება შემდეგი მოქმედი პირი — დეკანი, კლავდია ივანოვნა, მეტსახელად «та штучка». მას უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული, მუსიკასთან არავითარი საერთო არ აქვს, არ შეუძლია ბანის გასაღების ვიოლინოსაში გარჩევა. იგი საერთო ხელმძღვანელია.

მისი ხელმძღვანელობის პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ წელიწადში ერთხელ ან ორჯერ აძევებს რომელიმე ჩამორჩენილ სტუდენტს; წელიწადში ერთხელ ან ორჯერ დამრეცი კიბის ქვეშ ტირილით თავს იკლავს მსხვერპლი, ხოლო ირგვლივ ვიწროდ შეკრულ წრეში მწუ-

ხარე და დაძაბული მდუმარეებით დგანან მსხვერპლის მეგობარ-თანაკურსელები და თითოეულს თავი მის ადგილას წარმოუდგენია.

ამჟამად «та штучка» შემოვიდა და კართან ახლოს, თავიხუფალ სკამზე დაჯდა. სტუდენტები ისე გასწორდნენ, როგორც ჯარის კაცები საჭყობრო დათვალიერებისას.

ნატაშა არ შემობრუნებულა. დაე, ალშფოთდეს დეკანი—შეფურად გადააქნიოს თავი და გამოიგონოს ახალი პრინციპები. ნატაშა კი კიდევ დირიჟორია. მას მხოლოდ ხელები სჭირდება, რათა იქნიოს და სჭირდება გუნდი, რომელსაც ხელი უნდა უქნიოს და კიდევ — კარგი სიმღერა, მეტი არაფერი. დარბაზში გარეშე პირებმა კი ხელი არ უნდა შეუშალონ. გარეშე პირებისაკენ, ისე როგორც მსმენელებისაკენ, დირიჟორი ზურგშექცეული დგას.

«Эх, уж как пал туман», — თქვა ნატაშამ და ხელის მოძრაობით გუნდი წამოაყენა.

იგი ყურადღებით აცქერდება პირველ სოპრანოს, შემდეგ მეორეს. მზერა ერთი სახიდან მეორეზე გადააქვს. ამას ყურადღების მოკრება ჰქვია, მაგრამ ნატაშა არავის ყურადღებას არ იკრებს. უსმენს მთელი გულისყურით: უცდის, როდის შეირხევა მკერდში მომღერალი წერტილი, შემდეგ ეს წერტილი იფეთქებს და წალეკავს ყველაფერს რაც ნეკნებშია — გულს, ფილტვებს. და როცა გული შეიკუმშება, მაშინ სისხლთან ერთად მთელ სხეულს გადაეცემა ალმაფრენა. ნატაშა თითის წვერებამდე ივსება ამ შეგრძნებით და გულგრილი ხდება ყველაფრისადმი, რასაც სიმღერასთან არავითარი კავშირი არ აქვს.

ნატაშამ ხელის მტევანი ჰაერში აიქნია, გუნდს ამოსუნთქვის საშუალება მისცა. პეტიამ პირველი აკორდი აიღო, სოპრანოები დაემორჩილნენ, ჩაისუნთქეს და ლაღად და ალმაფრენით ამღერდნენ.

Эх, уж как пал туман на поле чистое-э...

ნატაშამ ხმა გააბა, ხელები წინ გაიშვირა, თითქოს რაღაც მძიმე უჭირავს ამობრუნებული ხელისგულებითო. შემდეგ ალტებისაკენ შებრუნდა.

...Да позакрыл туман дороги дальние... —

ჩაერთვნენ ალტები. ჩაერთვნენ ზუსტად, დახვეწილად, ისინი სწორედ ასე უნდა ჩართულიყვნენ. ნატაშა ყოველი უჯრედით გრძნობდა ბმებს. არაფრის შესწორება არ იყო საჭირო.

მან ხელები დაუშვა, არ ჩარეულა, არ უმართავს, შესაძლებლობა მისცა ყველას საკუთარი თავისთვის მოეხმინა. ყველა მღეროდა და ნატაშას უცქერდა. მისი სახე ამაღლებული და ლამაზი იყო და ეს გამომეტყველება ყველა მომღერალს გადასდებია.

...Эх, я куда-куда-а пойду,
Где дорожку я широкую-у найду-у, где...

შემდეგ ტრაზაზე ბანები უნდა ჩაებან და უნდა ჩაებან „ფა“-ზე. ეს „ფა“ სხვა ტონალობაში იყო და ბანები მოუმზადებლად ერთვოდნენ. თუ ბანები ვერ მოხვდებოდნენ „ფა“-ზე — სიმღერა გაიბზარებოდა.

ნატაშა პეტიასაკენ იხედება, წამიერად ამჩნევს და რაღაცნაირად გამოკვეთილად ამახსოვრდება მისი მკვეთრი, მიზანსწრაფული გამომეტყველება, ძლიერი მზერა.

პეტია საჭიროზე ოდნავ იმამაღლა აძლევს ოქტავს ბანებში, რათა ხმებმა მოისმინონ „ფა“ და შეიგრძნონ.

ნატაშამ მოსხიპა ხმა. გუნდი გაიყინა და სუნთქვა შეკავეს. ნატაშა აკეთებდა ყველაფერს იმას, რაც მას სურდა და გუნდიც ასრულებდა ყველაფერს, რასაც იგი უბრძანებდა. შეიძლება გაგუდულიყვნენ და მომკვდარიყვნენ კიდევაც. მას 40 სხვადასხვა ადამიანი ათრთოლებული თითის წვერებით ეჭირა და ამ წუთში მთელი სრულყოფილებით გრძნობდა თავის ძალაუფლებას მათზე.

წუთის ბოლო მეოთხედში დაიქნია იდაყვები, მისცა ამოსუნთქვის უფლება და ყველამ მთელი მკერდით ამოისუნთქა. ბანები ხუსტად, მთელი აკორდით ჩაებნენ „ფა“-ზე, ყველაზე დაბალი, ყველაზე ხმადაბალი, მაგრამ ყველაზე ვანმსაზღვრელი ტონით.

...Где доро-жку най-ду-у...

ბოლოს ყველანი უნისონში ერთდებიან და ბოლო ბგერას იქამდე წელავენ და ისე ერწყმიან ერთმანეთს, თითქოს ერთი კაცი მღერისო. ნატაშამ ასწია ორი თითი, როგორც ლოცვა-კურთხევისას, უსმენს და იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს დაავიწყდა, რისთვის დგას. შემდეგ აუჩქარებელი მოძრაობით თითი ბაგეებისაკენ მიაქვს. ხმები დნებიან, დნებიან... მაღე სულ მთლად მიიღევა: ჭერსა და ფანჯრის რაფაზე მიწვება, მაგრამ ნატაშას თითებს ელოდებიან, ნატაშას ტუჩებსა და თვალებს ელოდებიან — აბა გაბედე ურჩობა. და ყველანი წინ მიიწევენ და ინარჩუნებენ ხმას, ინარჩუნებენ მანამ, სანამ ეს შეუძლებელი არ ხდება. მაშინ ნატაშა ძლივს შესამჩნევი მოძრაობით ჰაერში რაღაცას ხაზავს და ხელებს დაბლა უშვებს.

სიმღერა გათავდა. ვიდრე ეს ყველასათვის ნათელი გახდება, კიდევ რამდენიმე წუთი გადის.

●

გაკვეთილი დამთავრდა. ყველანი დაიშალნენ. პეტია ნოტებს ტენის პორტფელში. ნოტები ჯიუტობენ, არ ეტევიან.

ნატაშა ფანჯარასთან მიდის, ყურთამდე ალებს. თოვლი ნაფტალინივით ბრწყინავს, წევს სახურავზე სრულიად თეთრი, ცაზე უფრო ნათელი ფერის.

კარგია, როცა დგახარ და ოდნავ გცივა, როცა სადღაც შორიდან ბრუნდები, როცა უცქერ თეთრ თოვლზე მოსიარულე ადამიანებს, როცა გრძნობ უსაზღვროებას.

ძალიან შორს ჰკიდია ვარსკვლავი, ხოლო მის ქვეშ დედამიწა ჰკიდია, დედამიწაზე კი გაფლატაკებული აზნაურის ყოფილი სახლის მეორე სართულზე, ადამიანებისაგან სამი მეტრის სიმაღლეზე ნატაშა დგას.

სიმღერა გამოუვიდა, მაშასადამე, ნახევარ წელს უქმად არ ჩაუვლია და დღევანდელი დღე არ დაკარგულა. წინ კი ახალი სიმღერაა, რომელიც ამაზე უკეთესი იქნება, იმის შემდეგ კი სხვა იქნება, თანდაც მისი იქნება. აქ მხოლოდ ნატაშაა ყველაფრის ბატონ-პატრონი და არავის შეუძლია ჩაერიოს ან ხელი შეუშალოს.

„გავუძლებ! — გაიფიქრა ნატაშამ, — არა უშავს, გავუძლებ!"

ქუჩაში ორმა მოზარდმა ჩაიარა. ისინი ერთნაირად, ჯიბეებში ხელებჩაწყობილნი მიდიოდნენ.

ნატაშას ზურგს უკან პეტიამ კი ვერაფრით შეძლო ნოტების ჩაწყობა. პორტფელს მუხლებით ეჯაჯგურება.

ნატაშა მივიდა, გამოართვა პორტფელი და ჩაალაგა: პარტიტურა — სიგრძეზე, კრებული — სიგანეზე. შემდეგ მსუბუქად დახურა და პეტიას გაუწოდა. პეტიამ შეცბუნებით შეხედა ჯერ პორტფელს, შემდეგ ნატაშას. იგი დიდხანს უყურებდა ნატაშას და უცებ გაუკვირდა:

— მისმინე, შენ ხომ საოცარი თმა გაქვს, იცი ეს შენ?

— რა ოქმა უნდა, — თქვა ნატაშამ, — მე ხომ, უბრალოდ, გვიან შესაჭრელი ვარ.

კიდევ მოვა ზაფხული

სალამოს ლენინგრადიდან მაიკამ დამირეკა:

— ჩემს ქორწილში ჩამოხვალ?

— ჩემს სურვილსა და შესაძლებლობას შორის განხეთქილებაა, — ვთქვი მე.

— რა?!

— მინდოდა ქურქი მეჩუქებინა შენთვის, შემიძლია მხოლოდ კბილების ჯაგრისი გაჩუქო.

— ჩამომიტანე ჯაგრისი, ჩემი სწორედ ახლახან გამიტყდა.

უცებ წარმოვიდგინე როგორ ჩავალ ლენინგრადში და რარიგად გავაოცებ და გავახარებ ყველას ჩემი ჩასვლით.

— თუ შენ არ იქნები... — მაიკას ხმა ჩაუწყდა.

— ნუ ბღავი, — ვურჩიე მე, შენ მხოლოდ სამი წუთი გაქვს.

— ჩამოხვალ?

— ჩამოვალ.

დილით ჩემს ძმას, ბორკას ვაცილებ სამუშაოზე. ვზივარ სახეზე ჟელებშემოწყობილი და ვუცქერ, როგორ ჭამს და სვამს იგი.

ბორკას თვალები დედისავით ცისფერი, მეტყველი აქვს. მათ ყველაფრის გამოხატვა შეუძლიათ, მაგრამ ბორკა ამ უპირატესობას არ იყენებს და თავისი თვალებით არაფერს გამოხატავს. ზის და ჩანგლის ბნევით ხაჭოს კვერს მიირთმევს.

ჩემი ძმა თავისი სხეულის მონაა. როცა შია ან ეძინება, მას არ სცალია სულიერი ღირებულებებისათვის.

— გემრიელია? — ვეკითხები მე.

— რეზინაა, — ამბობს ბორკა და მეორე კვერის ჭამას იწყებს.

წასვლისას ხურდებს ითვლის.

— დაგიტოვო?

— მაქვს.

— ოც კაპიკს დაგიტოვებ, — დიდსულოვნად მეუბნება ბორკა და გასალებების ჩხარუნით ოთახიდან გადის.

ამრიგად, მე ოცი კაპიკი მაქვს. ამით უნდა ვისადილო, მივიდე რედაქციაში, ვიყიდო მაიკასათვის საჩუქარი და ავიღო [illegible] ლენინგრადის მატარებელზე.

უწინ, როცა დედა ცოცხალი იყო, ის ზრუნავდა ბორკაზე, იმიტომ რომ ბორკა სუსტი და ავადმყოფი გაიზარდა. ახლა მასზე მე ვზრუნავ და ბორკას ვერ წარმოუდგენია, რომ მის გარდა სხვა ვინმეზეც შეიძლება ზრუნვა.

ვზივარ და ვფიქრობ, სად ვიშოვო ფული: უპირველესად ვის აქვს იგი; მეორეც, ვინ მომცემს. შეიძლება ვისესხო ტატიანასაგან, მეზობელია. მას აქვს და მომცემს, მაგრამ ამისათვის ორი საათი წამიყვა.

ტატიანა სიმართლისათვის მებრძოლი ქალია. იგი ჩემთან ყოველთვის ზოგადსაკაცობრიო საკითხებზე მსჯელობს, თანაც მაგრად ვყავარ ხელჩავლებული, რათა არ გავექცე.

თავდაპირველად აინტერესებდა — მიუხედავად საპასუხისმგებლო სამუშაოსი რატომ ღებულობენ ექიმები მცირე ხელფასს. ახლა კი, როცა ექიმებს ხელფასები მოუმატეს, ჩემი მეზობელი ადამიანური უმადურობის საკითხით დაინტერესდა: ადამიანები ხშირად ვერ იმახსოვრებენ კარგს და სიკეთეს ბოროტებით პასუხობენ.

მე არ ვიცი, რატომ ხდება ასე და ყოველთვის სევდა მიპყრობს ხოლმე. ფულისათვის იგორთან მივდივარ — მოპირდაპირე მეზობელთან. იგორმა ჩარხსაშენი ინსტიტუტი დაამთავრა და ჟურნალ „კრაკადილში" მუშაობს, კარიკატურებსა და იუმორისტულ ნახატებს აქვეყნებს.

როცა მექრთამეობის საწინააღმდეგო კამპანია წამოიწყეს, იგორი ხატავდა წითელსიფათიან მექრთამეს. როცა იდგა საკითხი, ღორებისათვის არ ეჭმიათ პური, იგი ისევ წითელსიფათიან მამაკაცს ხატავდა, რომელიც ღორებს კრეხდელსა და ფუნთუშებს უყრის.

— სალამი! — მხიარულად ვამბობ მე.

იგორი შეშფოთებული მიყურებს.

— რამდენი გინდა?

— ოცდაათი მანეთი.

— და მორჩა?

— მორჩა.

იგორი სიხარულით დაეშურა ფულის მოცემას, ეტყობა, ევონა, ათასს მოვთხოვდი.

— ფიქრობდი მეტს მოგთხოვდი?

— ვინც შენ გიცნობს... — იგორი ისევ ჯდება სკამზე, — და შენს გაქანებას...

ყველა ფიქრობს, თითქოს უდარდელად ვცხოვრობ. ახლა ხელში ორი ქალალდი მიჭირავს, ოცდახუთმანეთიანი და ხუთმანეთიანი და რეალურად ვგრძნობ, რომ ლენინგრადში წავალ.

— აბა როგორაა საქმე? — ვეკითხები.

იგორმა მხრები და წარბები მაღლა აზიდა. მან იცის, რაზეც ვეკითხები, და მეც ვიცი, რასაც მიპასუხებს: უკვე ორი წელია დასაქორწინებლად ემზადება და ყველაფერს ანგარიშობს, ამით რას კარგავს და რას იძენს.

— თავი გაანებე, — ვეუბნები მე, — ნუ ანგარიშობ, სულერთია, ყველაფერს მაინც ვერ გაითვალისწინებ.

ჩემს ოთახში ვბრუნდები. ზღურბლთან ტელეფონის ზარის ხმა მესმის. მივრბივარ. სკამს ვაყირავებ, ვიღებ ყურმილს.

— დიას!

— თქვენთან ლაპარაკობს დინ რიდი.

— რა გინდა? — უცებ დაღლილობას ვგრძნობ და ვჯდები.

— გამომყვები ცოლად?

უკვე ვხვდები, რომ რეკავს არა დინ რიდი, არამედ საშკა კლიმოვი, და იმასაც ვხვდები, რომ ამერიკელი მომღერალი ამჟამად მოსკოვშია გასტროლებზე.

საშკა ყველა მოვლენას თავისებურად მაცნობს: როცა გულის გადაბერვა დაიწყეს, საშკამ მაშინვე დამირეკა, ქრისტიან ბერნარდოდ გამეცნო და მკითხა, ხომ არ ისურვებდით ცოლად გამომყოლოდითო!

საშკა შეყვარებულია ჩემზე. ამის შესახებ მთელმა კურსმა იცის და ჩემთვისაც ცნობილია. უწინ მომწონდა ეს, ახლა კი მაღიზიანებს.

— საშკა, — ვეუბნები, — მიდი დეკანატში და უთხარი, რომ მე ერთ კვირას არ ვიქნები.

— აბა სად იქნები?

— ლენინგრადში მივემგზავრები ქორწილში.

— არასაპატიო მიზეზია, — შენიშნა საშკამ. ის კურსზე პროფკავშირულ მუშაობას უდგას სათავეში. იცის კანონები.

— მაშინ უთხარი გასვენებაშია-თქო.

— ვის გასვენებაში?

მე ვიბერტყავ გონებიდან ყველა ნათესავს. ნათესავების მოყვარული არ ვარ, მაგრამ სასიკვდილოდაც ვერ ვიმეტებ.

— ქორწილი რატომ არ არის მიზეზი? — ვევაჭრები მე.

— ქორწილი ხომ შენი არ არის.

— არც გასვენებაა ჩემი.

საოცარია, რითაც არ უნდა დაიწყოს ჩემი და საშკას საუბარი, აუცილებლად ჩხუბით მთავრდება.

— მე რა შუაში ვარ? — გაღიზიანდა საშკა, — წესებს მე ხომ არ ვიგონებ.

მე ვაგდებ ყურმილს. არც საშკა და არც წესები არაფერ შუაშია. უბრალოდ ველოდები, რომ სხვა დარეკავს, ის კი არ რეკავს.

სილამაზის სალონში მივდივარ. მინდა ისეთი ვარცხნილობა გავიკეთო, მიმზიდველად გამოვიყურებოდე.

სალონში რიგია. ყველას სურს მოსაწონი იყოს. ყველა ოსტატ ზოიას უცდის. ჩემთვის სულერთია, ვისთან გავიკეთებ ვარცხნილობას. შემდეგ მაინც ჩემებურად გადავიკეთებ ხოლმე.

ვჯდები სავარძელში მალალი სარკის წინ და მასში ვხედავ ჩემს თავსა და პარიკმახერს. პარიკმახერიც იყურება სარკეში და იქ მხოლოდ საკუთარ თავს ხედავს. მისი გამომეტყველების მიხედვით, ცხადია, იგი ძალზე კმაყოფილია იმით, რასაც სარკეში ხედავს. ბიგუდებს ფხლად და უთანაბროდ ალაგებს, მაგრამ მრცხვენია ვუთხრა ამის თაობაზე. მესმის, რომ სავარძელში სამადლოდ ვარ ჩასმული და საერთოდ პარიკმახერთან შედარებით არაფრად ვლირვარ.

— ორმოცი წუთი ჭირდება გაშრობას, — მაფრთხილებს პარიკმახერი. მესმის, რომ ამ ორმოც წუთს მას თავისი გეგმები აქვს და მე არც კი უნდა ვიფიქრო ამაში ჩემებურად ცხვირის ჩაყოფა.

ფენის ქვეშ ცხელა, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევ. ლექსებს ვთხზავ. ეს ჩემი მთავარი საქმეა ცხოვრებაში. როცა ლექსებს არ ვწერ ანუ ვისვენებ, მაშინ ინსტიტუტში ვსწავლობ. როგორც ბორკა ამბობს — ვსწავლობ ექიმობას. მე, საერთოდ, მიყვარს სხვა ადამიანების ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება: გარიგება, დარიგება, მკურნალობა. მკურნალობა ჯერ არ მიწევს, მაგრამ გარიგება და დარიგება ძალზე ხშირად. ჯერჯეროობით ამისაგან მხოლოდ უსიამოვნება მსვდება.

დაეხმარო ადამიანს — თავისებური ეგოიზმია. მე არ ვიცი, ვის უფრო სჭირდება ეს, ხალხს თუ მე. ალბათ, ორივეს.

ლექსების წერა, საკუთარი „მე"-ს აკვიატება თავისებური ეგოიზმია. მაგრამ ეს მხოლოდ მე მჭირდება. ხალხისათვის სულერთია. მათ არც კი იციან ამის შესახებ.

საკუთარი ლექსების ხარისხი ჯერ ვერ გავარკვიე. რედაქციაში ამბობენ, კარგიაო, მაგრამ არ ბეჭდავენ. ალბათ ეშინიათ, რომ ვერ შეინარჩუნებენ ჟურნალს ჩემი ლექსების დონის გამო.

ორმოცი წუთის შემდეგ სავარძელში ვბრუნდები.

— აგიჩეჩო? — მკაცრად მეკითხება პარიკმახერი.

— ასე და ასე... — გათამამებული, თავის ირგვლივ ხელით ჰაერში რაღაცას ვხაზავ.

— მასე არ ვიცი, — მაწყვეტინებს პარიკმახერი.

— გააკეთეთ, როგორც იცით.

პარიკმახერი აკეთებს როგორც იცის. მე ვლულლუღებ სამადლობელო სიტყვებს, ვუტოვებ გასამრჯელოს და მივდივარ. გარდეროობში ვიღებ სავარცხელს და ვიწყებ აბურდული თმის ვარცხნას.

რიგი ინტერესით მიყურებს. წინდახედულნი ზოიას უცდიან, რომელსაც შუადღის შესვენება აქვს.

ზოია მოლარესთან საუბრობს, კალორიულ ფუნთუშას ჭამს და პირდაპირ ბოთლიდან აყოლებს რძეს. მის ადგილზე მე ბოთლს მაგიდაზე დავდგამდი, დავდებდი ფუნთუშას და ახლავე ორივე ფეხით „მოსფილმს" ვეცემოდი მთავარ როლში გადასაღებად. არასოდეს მინახავს ასეთი იშვიათი სილამაზის ქალიშვილი.

ზოიამ ბოთლი მაგიდაზე დადგა, ფუნთუშა დადო და ჩემთან მოვიდა. ჯიბიდან ლითონის სავარცხელი ამოიღო და დაიწყო ჩემი თმის დალაგება. სარკეში მე მას ვუყურებ, ის ჩემს თმას. რომელიც ახლა ისევე

დაუდევრად არის დავარცხნილი, როგორც პოლონურ ჟურნალ „ეკრანის“ სურათებზეა.

— გმადლობთ, — ვთქვი მე.

— არაფრის, — მიპასუხა ზოიამ და საკარცხელი შეინახა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

რედაქციის დერეფანში მივდივარ, ვკითხულობ ფირნიშებს კარებზე: „მთავარი რედაქტორი“. ეს ის არ არის, უფრო სწორად, ის არის, მაგრამ მე მას არ გამოვუძახივარ. „სალიტერატურო კონსულტანტი ტროფიმოვი ს.ა.“. ამან გამომიძახა.

ვაღებ კარს, მაგრამ ტროფიმოვს ვერ ვხედავ. სამაგიეროდ ვხედავ ორ ყმაწვილს, რომლებიც დივანზე სხედან და საუბრობენ. ერთი მათგანი წვერიანია, მეორეს ქალის მსხვილად ნაქსოვი კოფთა აცვია. ახალგაზრდა ტალანტები.

— მობრძანდით, — მეპატიჟებიან ტალანტები, — დაბრძანდით. ტროფიმოვი ახლავე მოვა.

შევდივარ და ვჯდები, მაგრამ დივანზე კი არა, სკამზე. ფანჯრისაკენ ვიცქირები, მინაში ჩემი თავისა და მხრების კონტურებს ვხედავ.

შემოვიდა ტროფიმოვი და ბიჭებს გაუბა საუბარი. მე კი პორთფელიდან „პრავდა“ ამოვიღე და სათაურების კითხვა დავიწყე. ვკითხულობდი, რათა თვალები სადმე წამელო.

ბიჭები წავიდნენ. ტროფიმოვმა მე დამიწყო ყურება, შემდეგ რაღაცნაირი შეძრწუნებით თქვა:

— როგორი ნიჭიერი ხართ...

ეს საეჭვოდ კარგი დასაწყისი იყო. მე თვალები დავხარე, ველოდები, როდის იტყვის „კარგია, მაგრამ ჩვენ ვერ დავბეჭდავთ“.

— ძალიან საინტერესოა, — თქვა ტროფიმოვმა, — მაგრამ ჩვენ ვერ დავბეჭდავთ...

ლოდინს აზრი აღარა აქვს.

— რატომ? — მას სახეში შევხედე. დავინახე დიდი შუალედი ცხვირსა და ზედა ტუჩს შორის. მოსახერხებელია გასაპარსად.

— წვრილმანი პრობლემებია.

— წვრილმანი — ესეც მსხვილმანია.

ტროფიმოვმა ხელები გაშალა.

— გაუგებარია, სად ცხოვრობს თქვენი გმირი.

— ჩემი გმირი შეყვარებულია, — ვთქვი მე, — შეყვარებულები კი ყველგან დაახლოებით ერთნაირები არიან.

ტროფიმოვმა ენა გააწკლაპუნა, როგორც მასტროიანმა ფილმში „გაყრა იტალიურად“ და ფანჯარაში დაიწყო ყურება.

სალიტერატურო კონსულტანტებად რატომღაც არასოდეს მუშაობენ ნამდვილი პოეტები. ალბათ იმიტომ, რომ არ სცალიათ.

●

რედაქციიდან ლენინგრადის ეაგზალში მივდივარ. ახლა ავიღებ ბილეთს და საღამოს ლენინგრადში გავემგზავრები.

ყოველ ცოცხალ ორგანიზმს დედამიწაზე მოეპოვება ისეთი ადგილი, სადაც მისთვის ყველაფერი კეთილმოწყობილია. ჩემი ადგილი ლენინგრადია.

აქ დავიბადე. ვასილის კუნძულზე ჩემი სახლია, სადაც ყოველ დილით დაგვიანებული გავრბოდი სკოლაში. დედა თავს გამოყოფდა სარკმელში და მომძახოდა: „ნუ გარბიხარ". ეშინოდა, რომ გავოფლიანდებოდი და გავცივდებოდი. ხოლო როცა უკან ვბრუნდებოდი, მეძახდა: „მოდი ჩქარა!" — ეშინოდა, სადილი გაცივდებოდა. დედას ყოველთვის რაღაცის ეშინოდა.

ლენინგრადში ცხოვრობს ჩემი მეგობარი მაიკა. ჩვენი მეგობრობა წმინდა ქალურია. მაიკას ცხოვრებაში ყველაზე დიდი დღესასწაული ის დღეები იყო, როცა მე ორიანს მივიღებდი. და რაკი მაიკა უარესად სწავლობდა, ასეთი დღესასწაულები მე უფრო მეტი მქონდა.

ლენინგრადში განვიცადე პირველი სიყვარული. მე თორმეტი წლის ვიყავი, ის კი — ცამეტის. ეზოში „პონს" ეძახდნენ პატარა ტანისა და დიდი თავის გამო.

შეიძლება არსებობს უფრო ნათელი პირველი სიყვარული და უფრო გულწრფელი პირველი მეგობრობა, მაგრამ სხვა პირველი მე არ მქონია. ყველაფერი რაც შემდეგ იყო — მეორეა.

მე მიყვარს „სპილენძის მხედარი" და ღობე „საზაფხულოსი", სადაც ტურისტები დაჰყავთ ხოლმე. მიყვარს ჩემგან გადაჩხრეკილ-გადაქოთებული ვიბორგსკის მხარე. უბრალოდ, მომწონს ქუჩებში ხეტიალი. მე მათ ვცნობ და ვერც ვცნობ. ამის გამო ნაღველი მიპყრობს და მინდა ვიცხოვრო უფრო უკეთესად, ვიდრე ახლა ვცხოვრობ.

მივდივარ ვაგზლისაკენ და ვიღიმები. წარმოვიდგინე, როგორ შევრბივარ მაიკას ბნელ, კატების სუნიან სადარბაზოში. როგორ მიღებენ კარს. ხმამაღლა გაიოცებენ და ხმამაღლა გაიხარებენ. როგორ მაჭმევენ, მასმევენ და აღტაცებით შემომხედავენ. მე კი ასეთი შემოხედვით თავს მსუბუქად და განცხრომით ვიგრძნობ. თითქოს ცხელ აბაზანაში ვიყო.

შეთრობის შემდეგ მოვუყვები ჩემს მოსკოველ ამბებს. როგორ ვცხოვრობ ბორკას ხელფასზე, როგორ არ მიბეჭდავენ, როგორ ვკარგავ ჭკუას ცოლიან კაცზე. და ისინი მომისმენენ სიცილითა და შურით. უცებ მათაც მოუნდებათ საჭოს კვერების ჭამა, მოუნდებათ უპერსპექტივო სიყვარული.

●

ვუახლოვდები ვაგზალს და ვიღიმები.

მოულოდნელად, როგორც ბანქოს დასტიდან, ჩემს წინ ბოშა ქალი აისვეტა — მუქსახიანი, უხეირო კბილებიანი. კარმენამდე ცოტა აკლდა.

— რატომ ჩქარობ, მშვენიერო? შენ არ გექნება შორეული გზა...

— რატომ? — გაკვირვებით ვუყურებ გუგებზე შავწერტილებიან თვალებში.

ბოშა ქალს სწრაფად გავყავარ ვაგზლის კედლისაკენ. იგი იწყებს აჩქარებულ ლაპარაკს იმაზე, რომ მე უმუალო და უეშმაკო ქალი ვარ —

ამის გამო ჩემი ყველა უსიამოვნება. ვუსმენ, დაძაბულობისაგან ვიჭმუხნები, სიტყვების ნახევარს ვერ ვარჩევ. ის ლაპარაკობს პაუზებისა და ინტონაციების გარეშე, რაღაცნაირი ბუნდოვანი აქცენტით. და ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, თითქოს თავადაც არ ესმის რაზე ლაპარაკობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა, რა? — ვეკითხები მე.

— ფული გაქვს? — განსაკუთრებულად ინტერესდება ბოშა ქალი, თუმცა მანამდე აშკარად სხვა ტექსტს ამბობდა.

ჯიბიდან ხურდას ვიღებ.

— არ გენანება?

წუთით დავფიქრდი, შემდეგ თავს ვაქნევ. არ მენანება, თუკი რამდენიმე გროშის ფასად პროფესიულ ინფორმაციას მივიღებ: რა გადამხდა, რა მომელის რით დავიმშვიდებ გულს.

ბოშა ქალი იწყებს ბუტბუტს. მე ვუცდი. თავისუფლების მოყვარე ტომის კიდევ რამდენიმე ქალს ვხედავ. გამხდრებს — მოძრავი ცხოვრების წესის გამო. დახეტიალობენ თავშალმოხვეულნი, გრძელ ქვედაკაბებში ჩაკარგულნი და ეძებენ ისეთ სულელებს, როგორიც მე ვარ.

ბოშა ქალი სარგებლობს ჩემი ჩაფიქრებით, მწვდება შუბლზე ჩამოშლილ თმაზე, მაგლეჯს იქიდან რამდენიმე ღერს, იწყებს მასზე შებერვას, შემდეგ მეკითხება:

— ვინ გაჩვენო, მტერი თუ მეფე?

ვფიქრობ: სერიოზული მტრები არ მყავს, მეფე კი, კარგია თუ სახეზე მეცოდინება, რათა არ გამომეპაროს შეხვედრისას.

— მეფე!

ბოშა ქალი აკეთებს მოულოდნელ მისტიკურ ჟესტს და მის მშრალ ხელში ვხედავ პატარა სარკეს, რომელიც ჩვეულებრივ „გალანტერიაში“ ოცდაათ კაპიკად იყიდება. სარკეში ჩემი სახის სიმაღლეზე ვიყურები და ვხედავ ცხვირს, პირს და ლოყის კუთხეს.

მეფე იქ არ დამინახავს. მოვემზადე ხმამაღლა გამომეხატა გაკვირვება, მაგრამ ბოშას თავისი პროგრამა ჰქონდა.

— ქალალდის ფული გაქვს?

ჩანთაში იასამნისფერი ოცდახუთმანეთიანი მიდევს, მაგრამ რატომღაც არ მინდოდა ამის შესახებ მეცნობებია ჩემი თანამოსაუბრისათვის.

ბოშა ქალმა შეამჩნია ჩემს სახეზე ბრძოლის კვალი და სწორად გამიგო.

— არ მენდობი?

— ფული არ მაქვს, — ვთქვი გაუბედავად.

— შენ რა, არ მენდობი? — ბოშამ ფართოდ გააღო თვალები შავი, თვალები მწველი.

შემრცხვა. ამოვიღე ფული და ბოშას გავუწოდე, თან ვგრძნობ შინაგანად როგორ ვეწინააღმდეგები ამ საქციელს. მან ხელი წაავლო ტკიცინა ქალალდს, მე ჯერ კიდევ ვერ ვუშვებ ხელს. ჩვენ რამდენიმე ხანს ასე ვიდექით — ის მისკენ ექაჩება, მე ჩემკენ, რას გრძნობდა ამ დროს ბოშა არ ვიცი, ჩემს სულში კი მიმდინარეობდა ბრძოლა ნათელსა და ბნელს შორის, კაცობრიობისადმი ეჭვსა და რწმენას შორის. ნათელმა

საწყისმა გაიმარჯვა. მე თითები გავშალე და ფული შავ მუჭში გაქრა. ბოშამ რატომღაც ახალთახალი ქალალდის ჭმუჭვნა დაიწყო. ჭმუჭნა, ჭმუჭნა, ჭმუჭნა და მალე იგი პატარა ბურთულად აქცია. მე უკვე აღარ ვიყურები გვერდზე და არაფერზე აღარ ვფიქრობ, თვალს აღარ ვაშორებ ამ მუჭს. ბოშამ ამ დროს შეწყვიტა თითების [illegible], გაშალა მუჭი და ცარიელი ხელისგული მაჩვენა. მან ფიკუსი [illegible].

მეშინია დაჯერება, ვეკითხები:

— სად არის ფული?

— გაფრინდა.

— საით?

— იქით, — ბოშა ქალმა სადღაც მაღლა მანიშნა.

გავიხედე იმ მიმართულებით, მაგრამ ფული ვერ დავინახე, დავინახე მხოლოდ მსხვილი, ხეონით განათებული ასოები „ლენინგრადის ვაგზალი".

— მისმინეთ, — წყნარად ვთქვი მე, — დამიბრუნეთ, ძალიან გთხოვთ.

სიტყვა „ძალიან"-ზე ჩემი თვალები ცრემლმა აავსო. ხელები მკერდზე მივიკარი და ამ წუთებში შორიდან ალბათ კამერულ მომღერალს ვგავდი.

უცებ ბოშამ უხეში სიტყვები მომაყარა. ეს მოულოდნელი იყო, მაგრამ არ გამკვირვებია, მე ის უფრო გამიკვირდა, როგორ შეეცვალა თვალები. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ შეიძლებოდა ადამიანს ასეთი თვალები ჰქონოდა.

ჩემს ბოშასთან დანარჩენებმაც იწყეს მოგროვება, თუმცა ჩემთვის ის ერთიც სავსებით საკმარისი იყო. შემოვბრუნდი და ვაგზლის კედელს სასწრაფოდ გავეცალე. ზოგჯერ ვჩერდებოდი, თავს ცხენივით ვაქიცინებდი და ყველა შემხვედრი ბოშად მეჩვენებოდა.

●

ადრე, გასულ წელს, როცა მიმართლებდა ან არ მიმართლებდა, მასთან სახლში, სმოლენსკზე მივდიოდი. ამჟამადაც მასთან მივდივარ, მაგრამ არა სმოლენსკზე, როგორც ადრე, არამედ ტაგანკაზე. იქ მისი სახელოსნოა.

ზარს ვრეკავ და ვშიშობ, არ დამხვდება, მაგრამ ის აქ არის. აღებს კარს და მიყურებს.

— მომესალმე, — ვეუბნები.

ის დუმს. ისეთი სახე აქვს, თითქოს „მთვარის სონატას" უსმენდეს.

წინკარში გვერდი ავუარე, იქიდან ოთახში შევდივარ. იატაკზე სურათებია დალაგებული — ერთი მეორის მიყოლებით. იქნებ ამგვარი წესით აშრობს მათ ან შესაძლოა მისთვის ასე უფრო მოსახერხებელია, თავისი ორმეტრიანი სიმაღლიდან ათვალიეროს საკუთარი ხელთქმნილი.

სურათების წინ ვჩერდები, ვერაფერს ვხედავ შავ-თეთრი ლაქების გარდა.

— სათვალის წასაღებად მოვედი, — ვამბობ და იატაკზე ვიცქირები.

ერთი თვის წინ მასთან მზის სათვალე დამრჩა. ახლა შემოდგომაა, სათვალე არ არის საჭირო. მას ესმის ეს, მე ვიცი, რომ მას ესმის ეს.

ჩვენ ვდუმვართ. იგი მე მიცქერს. მე იატაკს.

უცებ შავ-თეთრი ლაქებიდან იკვეთება ბიჭის ზურგი დათიბულ ხეებს შორის. ბიჭი სკოლაში მიდის. ერთ ხელში ჩანთა უჭირავს, მეორეში — ტომსიკა კალოშებისათვის. მხარზე მოგდებული ჩანთისა და ბეჭის მოხაზულობის მიხედვით ვხედავ. რომ ბიჭს არ უნდა სკოლაში წასვლა.

— მოგწონს?

— გაუგებარია, — ვამბობ, — რომელ ქვეყანაში ცხოვრობს შენი ბიჭი?

— ბიჭებს ყველა ქვეყანაში ერთნაირად ეზარებათ სკოლაში სიარული.

აღარ მინდოდა სურათისათვის მეცქირა.

— მომიტანე სათვალე.

იგი მოშორდა კედელს. ჩემთან მოვიდა. მომეხვია.

ჩემს ლოყას ახსოვს მისი ლოყა. ხელებს — მისი მხრები. თითქოს ოდესღაც მე უკვე ვიყავი ასე, ათასი წლის წინათ. ჩემი პირველი დაბადებისას. იყო ეს ოთახიც. იდგა ასეთივე დაძაბული სქელი სიჩუმე. ის მოცნის. და ესეც მახსოვს. სახეს ვარიდებ.

— არ გინდა.

— რატომ?

— არ გინდა.

თავმოყვარეობის გამო ვეუბნები უარს. ვის სჭირდება ახლა ჩემი თავმოყვარეობა...

— მაპატიე, რომ არ დაგირეკე.

რა საჭიროა მობოდიშება. არ დარეკე და ნუ დარეკე.

მე ვხედავ მის წითლად წამონთებულ ყურს და ლოყის კიდეს. კეფისა და ზურგის ხაზებში რაღაც ბავშვური აქვს. დუმს. საჩვენებელ თითზე მოკლე ძაფს იხვევს. შემდეგ თავს ანებებს ძაფს და პირდაპირ სულში მიცქერის.

— ნუთუ არ გესმის?

მე ყველაფერი მესმის. სმოლენსკზე, მეტროთი ოცი წუთის სავალზე, ცხოვრობს პატარა უცნობი ბიჭი — მისი შვილი.

— მე ყველაფერი მესმის. შენ გინდა მგლებიც მაძღრები იყვნენ და ცხვრებიც უვნებელნი.

იგი დგება. ფანჯარასთან მიდის. მგონი მივალწიე ჩემსას — მას არ ესიამოვნა, მაგრამ მე რა მესაშველა. ამის გამო უფრო უარესად ვარ.

ფანჯარას ბინდი აეკრა. ოთახში ბნელა. ქუჩიდან შემოსულ ლამპიონის შუქზე ჩარჩოს ჩრდილი გაწოლილა იატაკზე და მეჩვენება, რომ ეს ჩვენი სახლია. ჩვენ-ჩვენი საქმეების შემდეგ სალამოობანს შეკრებდით და არ უნდა დავშორდეთ ერთმანეთს. არც დღეს, არც ხვალ და არც არასოდეს.

უცებ ვაცნობიერებ, რომ თუ ახლა შუქს ავანთებ — იატაკზე ჩრდილი გაქრება. გამოჩნდება შიშველი კედლები. ისიც, რომ სახლი ჩემი არ არის. ის ჩემი არ არის. წუთიერი შეგრძნებაა.

მე არ მინდა შუქის ანთება. მინდა ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც ახლაა. ვამბობ:

— აანთე შუქი.

— არ გინდა, — მთხოვს იგი, — ასე უკეთესია.

— გვიანაა. წამიყვანე სახლში.

ნეტამც არ დამეთანხმოს.

●

ჩვენი მანქანა სხვა მანქანებს შორის მიდის და გარეგნულად მათგან არაფრით განსხვავდება.

ის მდუმარედ ეწევა სიგარეტს. სახე გაუცხოებული აქვს, თითქოს ვიჩხუბეთ.

ვუცქერ მის პროფილს, პალტოს სახელოებს და მეჩვენება, რომ უკანასკნელად მივდიოართ ერთად და უკანასკნელად ვხედავთ ერთმანეთს. გულში ვეფერები, ვეუბნები ყველაზე ნაზ და საჭირო სიტყვებს, რომლებიც მისთვის ადრე არასოდეს მითქვამს და ამიერიდან, მით უმეტეს, არ ვეტყვი.

იგი სიჩქარეს უმატებს. მეშინია სიჩქარის, მაგრამ ახლა მინდა უფრო ჩქარა იაროს. მინდა სადმე შევვარდეთ, რათა მეტად აღარ ვიფიქრო. ვეკითხები:

— ჩემს დაკრძალვაზე მოხვალ?

— თუ დრო მექნა... — ამბობს იგი და ჩამოწეული მინიდან პაპიროსს ისვრის.

მანქანას ჩემი სახლის მოპირდაპირე მხარეს აჩერებს. მინდოდა დიდხანს გვემგზავრა, მაგრამ უკვე მოვედით.

— შენ მაინც ვერაფერი გაიგე, — ამბობს ის.

— ნახვამდის, — ვაწვალებ სახელურს და მანქანიდან გადავდივარ.

არსებობს გამოთქმა „ნაძალადევად". ეს ალბათ მაშინაა, როცა ძალა ერთ მხარეს გეწევა, შენ კი მეორე მხარეს მიდიხარ.

ოთახში შევდივარ. არ ვიხდი. ლაბადიან-თავსაფრიანად ვჯდები ტახტზე.

ბორკა გაზეთს დაბლა სწევს და მიყურებს.

— რა მოგივიდა?

— არაფერი.

რა არაეკონომიურადაა მოწყობილი ცხოვრება. ძველ, გაცვეთილ კაბებსაც კი არ ყრიან ხოლმე. ნაჭრებად იყენებენ ოჯახში. ხოლო ისეთი იშვიათობა, როგორიც სიყვარულია, თუ იმას არ სჭირდება, ვისკენაცაა მიმართული, საერთოდ არავის სჭირდება. არავის სჭირდება ჩემი სიყვარული, ტალანტი და ერთგულება.

— შეწყვიტე მოწევა. სული მეხუთება.

— აბა სად წავიდე მოსაწევად? — ბორკა რამდენიმე ძლიერ ნაფაზს არტყამს და პაპიროსს საფერფლეში ხრახნისებური მოძრაობით აქრობს. მის ირგვლივ ცისფერ, მოფარფატე ბურუსში კვამლი დაცურავს.

— გაალე ფანჯარა, — ვთხოვე მე.

— ზურგზე შემცივდება.

— ეგოისტი! — ვგრძნობ, როგორ უმძიმს თვალებს ცრემლების შეკავება, რატომ ხართ თქვენ ყველანი ასე ეგოისტები?

— ეს მე მომმართავ „თქვენობით"? — დაზუსტება სურს ბორკას.

ამ დროს სამზარეულოდან ლაწანი ისმის, თითქოს გაისროლესო. წარეული გამოცდილებიდან გამომდინარე, ვხვდები, ქურიდან ტაფა ჩამოვარდა. იგი კეფირის ბოთლებს დაეცა, ქურის გვერდით რომ ეწყო.

— იცი რა, ან ბოთლები აიღე ან პირიქით, ტაფა დადგი სხვაგან. პირიქით, შენ ყველაფერი გიფრინავს.

ბორკას უყვარს სიტყვა „პირიქით". „მე, პირიქით, გამეხა წინდა" ან „შენ, პირიქით, ყველაფერს უკულმა აკეთებ".

●

ღამით ლენინგრადისაკენ მივემგზავრები. ფული ტატიანამ მომცა, თანაც საკმაოდ სწრაფად, ცხოვრების არსის გაურკვევლად.

— გმადლობთ, — ვთქვი მე.

— არაფერს, — მიპასუხა ტატიანამ.

ასეც ხდება ცხოვრებაში, როცა ადამიანი ხელს უმართავს მეორე ადამიანს, „გმადლობთ" ამბობს ერთი, „არაფერს" პასუხობს მეორე.

მე მივემგზავრები ჩემს ქალაქში, სხვის ქორწილში. საჩუქრად მიმაქვს კვამლისფერი სათვალე, რომელსაც ვერსად ვერ იშოვი. ამჟამად, მართალია, შემოდგომაა, სათვალე არ არის საჭირო, მაგრამ ხომ მოვა კიდევ ზაფხული.

იაპონური ჭოლგა

მალაზიის წინ, რომელსაც „უნივერსამს" ეძახიან, გრძელი რიგი ვაიჭიმა. ადამიანები იდგნენ ერთმანეთის მიყოლებით, განსაზღვრული ინტერვალის დაცვით, ისე როგორც ჯარისკაცები დგანან მწყობრში ბრძანებაზე „თავისუფლად".

მე შევდექი და გავიფიქრე: ვითომ რა მოხდება აი, ახლა რომ ხელი ვუბიძგო ყველაზე ბოლოში მდგომს, ის მიეჯახება თავის წინ მდგომს, ის კიდევ თავის წინ მდგომს, ის კიდევ თავის წინ მდგომს და ერთი წუთის შემდეგ მთელი რიგი პირქვე ისეთი ხმაურით დაემხობა, თითქოს ვილაცამ სავარცხლის კბილებს თითი გაუსვაო.

შემდეგ გავიფიქრე: კი მაგრამ, რატომ უნდა ჩაამხო ადამიანები პირქვე და შენ კი გამარჯვებული კაცივით წაადგე თავს? რატომ უნდა დასცინო ადამიანებს, როცა შეიძლება იცხოვრო მათთან და მათსავით?

გზა გადავკვეთე და რიგის კუდში მოვექეცი. ჩემ წინ ტყაპუჭიანი ზურგი და ონდატრის ბეწვის ქუდიანი თავია. საოცარია პირდაპირ. ტყაპუჭს, სანთლით რომ ეძებო, ვერ იშოვი, მაგრამ მთელი მოსკოვი მაინც ტყაპუჭშია გახვეული. პირადად მე რატინის პალტო მაცვია, რომელიც 1958 წელს შევიკერე. რატინი გამძლე ქსოვილია. შეიძლება მთელი ცხოვრება გაგიძლოს. იმდენი ხანია მაცვია, რომ ძოდიდან გამოსვლაც მოასწრო და შემოსვლაც.

— რას არიგებენ?

შემოვბრუნდი. ჩემ უკან ტყაპუჭში გახვეული გოგონა ჩამდგარიყო რიგში.

„ჰო, მართლა, — დავფიქრდი მეც, — ნეტავ რისთვის დავდექი აქ?“

— მაპატიეთ, ახლავე გავიგებ, — თავაზიანად ვუთხარი გოგონას და ჩემ წინ მდგომ ზურგზე ისე დავაკაკუნე, კარზე რომ იცინან. ონდატრის ბეწვის ქუდიანი თავი შემობრუნდა და დამანახა თავისი დიდცხვირა პროფილი. პროფილში იგი უზნეო ყვავს ჰგავდა.

— ხომ ვერ გვეტყვით, რას არიგებენ?

— იაპონურ ქოლგებს, — მიპასუხა „შავმა“.

— იაპონურ ქოლგებს, — გადავეცი მეც.

— გავიგონე, — არც თუ თავაზიანად მიპასუხა გოგონამ.

გასაგებია, რომ გაივონა, ყრუ ხომ არ არის, მაგრამ ხომ შეეძლო ეთქვა „დიდი მადლობა“, მე კი ვკითხავდი, „ნეტავი კარგია?“

„რა არის კარგი?“

„იაპონური ქოლგა“.

„დიას, ის ძალზე მოსახერხებელია, შეგიძლია დაკეცო და ხელჩანთაში შეინახო“.

„ჯიბეში შეიძლება?“

„გააჩნია როგორი ჯიბე გაქვს“, — მეტყოდა გოგონა.

ეს იქნებოდა ჩვენი საუბრის დასაწყისი, რომელიც შეიძლება გაგრძელებულიყო ერთი წლით, სამი წლით, მთელი ცხოვრება. მაგრამ გოგონამ სამი წუთითაც არ მოინდომა ჩემთან საუბარი, რადგან მე მეცვა არა ტყაპუჭი, არამედ ვიწრო, საყელოდაბრეცილი რატინის პალტო.

ტანსაცმელი ადამიანის გარეგანი სახეა. ჩემი გარეგანი სახე კი, სამწუხაროდ, დამოკიდებულია არა ჩემზე, არამედ ჩემს მდგომარეობაზე და იგი სულაც არ ემთხვევა ჩემს შინაგან „მე“-ს. ეს ორი „მე“ მუდმივ ანტაგონიზმშია და მტანჯავენ, მბორკავენ, თავისუფლებას მართმევენ, ინდივიდუალობას მისპობენ.

ამბობენ, დასავლეთში მილიონერები ძალიან უბრალოდ იცვამენო. მაგალითად, როკფელერს თავისუფლად შეუძლია ჩაიცვას ჩემი პალტო და თავის საქმეზე გაუტიოს. და არც არავის გაუკვირდება. როცა ადამიანს შეუძლია თავს იმის გაკეთების უფლება მისცეს, რაც ნებავს, მას ისიც შეუძლია, ძველი პალტო ჩაიცვას. მე კი ჯერ არც ისე მდიდარი ვარ, რომ ფული არ დავაფასო, არც ისე ბრძენი — არსებობის მიზნის ძიება შევწყვიტო, არც ისე მოხუცი — მიხაროდეს სიცოცხლის, როგორც

ასეთის და არც ისე ახალგაზრდა, რომ მიხაროდეს უმიზეზოდ, ბიოლოგიური ოპტიმიზმით.

მე ვიმყოფები სადღაც სიცოცხლის შუაგზაზე — ყველაზე ტრაგიკულ ასაკში, როცა ვნებები ჯერ კიდევ არ დამცხრალა, დაღლილობა კი უკვე შეიჭრა სულში. ჩემს არსებაში ჩასახლებული ორი „მე“ კი ერთმანეთს გლეჯენ, ანაკუწებენ და მე აღარ მწამს აღარც საკუთარი თავისა და აღარც სხვისი. ამიტომ მიყვარს გრძელ რიგში დგომა, რათა ამოვეფარო ვილაცის ზურგს და ვიარსებო ისე, როგორც ყველა სხვა.

აი, ახლაც გრძელი, საიმედო რიგის კუდში ვდგავარ და გულდამშვიდებული თავს ვარწმუნებ, რომ მართალი ვარ. ხომ არ შეიძლება ამდენი ხალხი, ყველა ერთდროულად შეცდეს. ხომ არ შეიძლება მათ თავიანთი დრო და მოთმინება რაღაც ფუჭ რამეზე დახარჯონ.

უცებ ხალხის რიგს ევროპულ ტანსაცმელში გამოწყობილმა იაპონელმა გოგონამ ჩაუარა. ხელში მოსკოვური წარმოების ქოლგა ეჭირა — ნავი, მაგარი, ხის ზორბა სახელურზე პლასტმასის ბუნიკით.

რიგიდან გამოვედი და იაპონელ გოგონას წინ ავესვეტე.

— გამარჯობა, — მივესალმე გულთბილად, — დილა მშვიდობისა.

გულში ვიმედოვნებდი, გოგონა ქედის მოხრით, მოკრძალებულად, მდაბლად მომესალმებოდა, ისე მდაბლად, რომ მე მის ლამაზ კეფასაც კი დავინახავდი. თანამედროვე იაპონელი გოგონები მამაკაცებისადმი მოწიწების სულისკვეთებით იზრდებიან, არა აქვს მნიშვნელობა, როგორია ეს მამაკაცი. რაც არ უნდა იყოს, ეს ერთადერთი სწორი აზრდაა. მამაკაცებს სულაც არ სჭირდებათ სხვათა ინდივიდუალობა, პირიქით, ისინი ქალებში საკუთარი მეობის გამოხატულებას ეძებენ მუდამ.

— დილა მშვიდობისა, — მიპასუხა გოგონამ სუფთა რუსულით, მაგრამ ქედის მოხრა არც კი უფიქრია. იგი გაერკვნა ცივილიზაციას. მიცქერდა თავისი ხაოცარი თვალებით და ფიქრობდა არა მდაბალ მისალმებაზე, არამედ ეშმაკმა იცის რაზე, იქნებ მსოფლიო ეკონომიკაზე.

— თქვენ რატომ არ ხმარობთ იაპონურ ქოლგას? — ვკითხე მე.

— ჩვენი ქოლგები თქვენი კლიმატური პირობებისათვის არ არის გათვალისწინებული, — მიპასუხა გოგონამ და თავის გზაზე ისეთი მოკლე ნაბიჯებით წაბაკუნდა, თითქოს შარვალი კი არა, კიმონო ცმოდა.

ისევ ჩავდექი რიგში. სულში უცებ ობლობის მიკრობი შემომეჭრა. ეჭვმა შემიპყრო: მჭირდება კი იაპონური ქოლგა, რომელიც შეუფერებელია ჩვენი კლიმატური პირობებისათვის? განა მართალი ვარ, ინსტიქტით რომ ვემორჩილები მოდას? ხომ არ აჯობებს დავძლიო ინსტიქტი და გამოვიდე რიგიდან?

ფიქრი გამყიდველმა შემაწყვეტინა:

— რომელი გნებავთ, ცისფერი თუ წითელი?

— რა? — ვკითხე მე და სანამ გონს მოვეგებოდი, გამყიდველმა ხელებში ცისფერი ქოლგა და რაღაც კოლოფი შემომაჩეჩა.

— ეგ რაღაა? — ვანიშნე კოლოფზე.

— დამატება, — ამიხსნა გამყიდველმა, — იტალიური პლატფორმები.

— რაში მჭირდება?

— დამიწებისათვის, იაპონური ქოლგების კომპლექტში შედის.

მე არც იაპონური ქოლგა მჭირდებოდა და არც პლატფორმები, მაგრამ არ მინდოდა ხელცარიელი წავსულიყავი.

— მხოლოდ ქოლგას ავიღებ, — განვაცხადე მე.

ზურგს უკან რიგმა ყრუდ ამოიგმინა და შემტევი მოძრაობით გვერდზე მიმაჭყლიტა.

როცა რიგიდან გავედი, ქოლგა გავშალე და უცებ ვიგრძენი, რომ რალაცამ ზევით ამქარა. მთელი ძალით დავებჯინე მიწას, მაგრამ, ეტყობა, ჩემი ფეხსაცმელები ძალზე მსუბუქი აღმოჩნდა და მე ავფრინდი.

აფრენის შეგრძნება საკმაოდ ნაცნობი და ჩვეულიც კი იყო ჩემთვის. მე იგი ბავშვობისდროინდელი სიზმრებიდან მახსოვდა.

ქოლგის ცისფერი გუმბათი მყარად დაბჯენოდა საჰაერო ბალიშს, მე ჰაერში ვეკიდე, მივფრინავდი და არ მეშინოდა ჩამოვარდნის.

თავდაპირველად საკმაოდ დაბლა მივფრინავდი, მიწიდან რაღაც ორიოდე მეტრზე და დიდი იმედი მქონდა, რიგში მდგომთაგან რომელიმე ფეხებში ხელს ჩამავლებდა და ჩემი „ამაღლებაც" შეწყდებოდა, მაგრამ ხელი არავის უხლია. იქნებ შეეშინდათ, ვაითუ ჩვენც აგვიტაცოს და ცაში გაგვიყოლიოსო. „ისინი ყველანი ერთად დგანან, მე კი მარტო მივფრინავ", — გავიფიქრე მე.

გავიხსენე, რომ ყოყმანის მძიმე წუთებშიც კი არ მივატოვე რიგი და ახლა, როცა ავფრინდი, თავიც არავის წამოუწევია. კი მაგრამ, რატომ? იმიტომ, რომ ქოლგა ყველას სჭირდება, მე კი არავის ვჭირდები. მართლაც და ჩანთაში მე ვერ ჩამდებ და რაიმე რიგიანზეც ვერ გადამცვლი. სილამაზე მე არ გამაჩნია და არც რაიმე სახეირო. სხვის საწვალებლად გავჩნდი. უნდა მაჭამო, უნდა მელაპარაკო, უნდა გამიგო.

ამასობაში კი ქოლგა საკმაოდ მაღლა აფრინდა. შემეშინდა, ვაითუ საჰაერო ტრასაზე ამიყვანოს და იქ თვითმფრინავს შევენარცხომეთქი.

ცხრასართულიან სახლზე გადაფრენისას თავისუფალი ხელი ტელევიზორის ანტენას ჩავჭიდე და ჰაერში აფართხალებული სახურავზე დავდექი. ქოლგის სახელურზე შვერილს თითი დავაჭირე. ქოლგა მოიჩვარა და ცისფერი გუმბათი ჩამოუვარდა.

მე იგი ანტენაზე დავკიდე. თავად კი სახურავზე ჩამოვჯექი და ფეხები ჰაერში გადავკიდე.

ზემოდან ქალაქი კარგად მოჩანდა.

უცებ დავინახე, რომ რიგი რაღაც სხვანაირი გამხდარიყო. თავდაპირველად ვერ მივხვდი, რა მოხდა. კარგად რომ დავაკვირდი ვნახე, რომ ნივთებსა და ადამიანებს ადგილები გაეცვალათ. ნივთები გრძელ რიგად გაჭიმულიყვნენ და ადამიანებს თავად ირჩევდნენ.

ადამიანები კი ისხდნენ მუყაოს ყუთებში, აი ისეთებში, ტელევიზორებს რომ ფუთავენ და თავამოყოფილები სუფთა ჰაერს ყლაპავდნენ.

— მე აი ის მინდა, ძვირფასსათვალიანი კაცი, თუ შეიძლება, — სთხოვა კანადურმა ტყაპუჭმა.

— ერთი წუთით.

გამყიდველმა ყუთებს შორის გაიარა და ულვაშებჩამოშვებული სათვალიანი კაცი თან გაიყოლა.

ტყაპუჭმა გამყიდველს ფული გაუწოდა, და ისინი წავიდნენ.

— ჩვენ აი ის ჩასუქებული ბიძიკო გვინდა, — სთხოვეს ამერიკულმა ჯინსებმა.

— მე არ წამოვალ, — წამოხტა მსუქანი სატინისშარვლიანი მსუქანი ბიძიკო, — მე ორმოცდათექვსმეტი ზომა ვარ, ეგენი კი — ორმოცდაოთხის.

— მართლაც, — დაეთანხმა გამყიდველი, — დიდი იქნება თქვენთვის.

— კი მაგრამ, ჩვენ ხომ ვიდექით, — აღშფოთდნენ ჯინსები, — რა გამოდის, ტყუილად ვიდექით?

ჯინსების კვალდაკვალ ნეილონის პარიკი ფარფატებდა, მის უკან კი ადგილზე ცმუკავდნენ საზამთრო ავსტრიული პლატფორმები.

— მე ამირჩიე! — უჩურჩულებდა პლატფორმებს ლამაზი ქერა ქალიშვილი.

— მე! — ულვაშიანი შავტუხა ქალიშვილი თავის ყუთში ხტოდა.

„ნეტავ მე ვინ ამირჩევდა? — ვათვალიერებდი ნივთებს და ჩემთვის ვფიქრობდი, — ვჭირდები კი ვინმეს?"

და უცებ რიგში თვალი ჩემს რატინის პალტოს მოვკარი. ჩვიდმეტწლიანი სტაჟის გამოც მას ჩემი სხეულის ფორმა მიეღო: ისეთივე მოხრილი მხრები, ისეთივე წაწვეტებული იდაყვები. როგორ დაძველდა! ზოგან ისე იყო გაცრეცილი, დოლბანდივით გამხდარიყო. სარჩულზე თეფშისოდენა ნაგლეჯები ჰქონდა.

შევხედე ჩემს პალტოს და მივხვდი. თუ მე არ ავიღებდი, მასთან არავინ მივიდოდა და იდგებოდა ასე, გაქუცულ ჯიბეებში გაქუცულ სახელოებგაჩრილი.

ანტენაზე ჩიტი შემოჯდა. ჯერ ფეხები წამოაგდო წინ შასივით და როცა საყრდენი იგრძნო, ფრთები მხოლოდ ამის შემდეგ დაკეცა.

— ისვენებ? — მკითხა ჩიტმა.

— რა შენი საქმეა?

— მე კი აფრიკაში მივფრინავ, — არ ეწყინა ჩიტს, — თუ გინდა, ერთად გავფრინდეთ.

— რა დამრჩენია იქ?..

— როგორც გენებოს... — ისევ არ წყენია ჩიტს.

შემდეგ ფრთები გაშალა. შეიფრთხიალა, ანტენას მოწყდა და ისე მსუბუქად, ისე პათეტიკურად გაფრინდა, თითქოს ჰაერში თავის ხელწერას ტოვებსო.

ირგვლივ მიმოვიხედე, სახურავზე უწესრიგობა იყო. აქა-იქ ეყარა ავურები, დამსხვრეული მინები. რალაც სამშენებლო ნარჩენები. ეტყობა, მშენებლებს დაავიწყდათ ან აღარ მოისურვეს ალაგება.

შევარჩიე მოზრდილი ავური და ქამარში ჩავიტენე წონის მოსამატებლად. შემდეგ ჩამოვსხენი ქოლგა და გავშალე.

ქოლგამ მდორედ მომწყვიტა სახურავს და მალაზიისაკენ ირიბად წამიღო.

გამოვნახე ცარიელი ყუთი და შიგ ჩავჯექი. დავუწყე ლოდინი ჩემს პალტოს. ყუთს გარედან ცისფერი სირჩა ეხატა და ეწერა: «Осторожно. Верх. Не кантовать».

მუდმივობის კანონი

პირველად სემეჩკინი ამ ერთი წლის წინ გამოჩნდა კადრების განყოფილებაში.

— გამარჯობა, — თავაზიანად თქვა მან, — ჩემი გვარია სემეჩკინი, გიორგი ნიკოლაევიჩს მეძახიან. საერთოდ რუსი ვარ, მაგრამ დიდხანს ვცხოვრობდი საქართველოში მაიაკოვსკივით. აქ ყველაფერი წერია.

მან გაუწოდა თავისი ავტობიოგრაფია, სკამზე მოკალათდა და ლოდინისათვის მოემზადა.

კადრების განყოფილების გამგემ, ელენა ივანეს ასულმა ავტობიოგრაფიის კითხვა დაიწყო.

— რა შუაშია აქ ძაღლი? — გაიკვირვა ელენა ივანეს ასულმა — ეს ავტობიოგრაფიაა, საბუთია და არა მხატვრული ნაწარმოები.

— ხომ გახსოვთ როგორ დაიწყო მარქსმა „მანიფესტი“? „აჩრდილი დადის ევროპაში...“, „მანიფესტიც“ ხომ დოკუმენტია, — სემეჩკინმა თითი აიშვირა.

ელენა ივანეს ასულმა ყურადღებით შეათვალიერა თითი:

— შეავსეთ ანკეტა.

— არ არის საჭირო, უკვე შევსებული მაქვს.

სემეჩკინმა ჯიბიდან ფურცელი დააძრო. ფურცელი სასკოლო ირიბხაზიან რვეულიდან ამოეხია და მხოლოდ ერთი გვერდი შეევსო.

— სულ ეს არის? — გაიკვირვა ელენა ივანეს ასულმა.

— რა თქმა უნდა, — თავის მხრივ გაიკვირვა სემეჩკინმაც, — აქ ყველაფერი წერია.

— უნდა მიუთითოთ, გაქვთ თუ არა სახელმწიფო ჯილდოები, გყავთ თუ არა ნათესავები საზღვარგარეთ.

— რა მნიშვნელობა აქვს ამას იმ სამუშაოსათვის, რომელსაც მე შევასრულებ? დაწერე ის, რაც მნიშვნელოვანია: რამდენი წლის ვარ — ასაკს განსაზღვრავს; რა განათლება მაქვს — ზოგჯერ ამასაც აქვს მნიშვნელობა...

— იცით რა, ნუ შემოიღებთ ახალ წესებს. შეავსეთ ანკეტა და დაწერეთ განცხადება.

— განცხადება! რის თაობაზე?

— იმის თაობაზე, რომ ითხოვთ სამუშაოზე მიღებას.

— უცნაურია, რა საჭიროა ამდენი ქაღალდი? რაკი სამუშაოდ ვეწყობი, ბუნებრივია, კი არ მომათრიეს, თავად მოვედი.

— აი ქაღალდი, დაჯექით და დაწერეთ. უგანცხადებოდ არ შეიძლება.

სემეჩკინმა ამოიოხრა და ფურცელზე სკამი დახატა, სკამთან მრგვალთავა კაცუნა. კაცუნას თავის ირგვლივ შარავანდი მიახატა, შარავანდის ირგვლივ კი სხივები.

— როგორ დავწერო?

— ვახლაკოვის სახელზე.

„ვახლაკოვის სახელზე“ — მიაწერა სემეჩკინმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მისამართი უჩვენეთ.

— ვისი?

— თქვენი.

— რისთვის? განა ვახლაკოვი წერილს მომწერს?

„იდიოტი“, გაიფიქრა ელენა ივანეს ასულმა.

— სად მუშაობდით?

— „მოსკონცერტში“.

— რას აკეთებდით იქ?

— ფოკუსებს ვუჩვენებდი. ისეთი მოსაწყენი იყო, სმაც კი დავიწყე.

— თან წერეთ განცხადება.

— ჰოო... — სემეჩკინმა ავტოკალმის ბოლო გაღრღნა და წერა დაიწყო. იგი სწრაფად წერდა. შემდეგ ნაწერი წაიკითხა და ელენა ივანეს ასულს გაუწოდა.

— მე მგონი კარგია, — კმაყოფილებით თქვა მან. ელენა ივანეს ასულმა ჯერ ერთხელ წაიკითხა განცხადება, შემდეგ მეორედ.

— მისმინეთ, — თქვა მან, — სემეჩკინ!

— შეგიძლიათ სახელით მომმართოთ, უფრო მსიამოვნებს...

— მისმინეთ, გიორგი ნიკოლაევიჩ!

— გია.

— თქვენს სამუშაოს ჰქვია რედაქტორ-ორგანიზატორი და არა „ოქროს თევზი“. საიდან მოიტანეთ თევზი?

— ვახლაკოვი თავისუფალი ინიციატივის უფლებას შემპირდა, — ამაყად თქვა გიამ, — გნებავთ ახალი ვარცლი, გნებავთ ახალი ქოხი ან ხომ არ ინებებთ იყოთ ლაღი დედოფალი?

ხახვის ფურცელი მინდა ერთი ტომარა, — დაფიქრებით თქვა ელენა ივანეს ასულმა.

— რისთვის?

— აგარაკზე ვაშლის ხეებს შევაფრქვევ.

— შემოიარეთ ერთ კვირაში, სამშაბათს, მეხუთე სართული, ოთახი 88. თქვენ გექნებათ ერთი ტომარა ხახვის ფურცელი.

ჟურნალი „ლამპა“ სატირული ჟურნალი იყო, ააშკარავებდა ნაკლოვანებებს — დიდს თუ მცირეს, საზოგადოებრივს თუ ინდივიდუალურს.

როცა მკითხველი ხელში იღებდა და კითხულობდა, მაგალითად, თუ რა უსამართლოდ აწამებენ ცოცხალ თევზს, აუცილებლად გამოთქვამდა აღშფოთებას ხმამაღლა: „რა უმსგავსობაა! განა ეს ასე უნდა, ჰა?“ შემდეგ ჟურნალს მუხლებზე იდებდა, ჩაფიქრდებოდა თავის ბედზე და ბევრ საერთოს პოულობდა ცოცხალ თევზთან. იგი ფაციფუცით

ხსნიდა ლურსმნიდან უნგრულ ლაბადას და რედაქციაში გარბოდა. თუ ეს სხვა ქალაქში ხდებოდა, მაშინ წერილს სწერდა რედაქციას.

ხალხი და წერილი უამრავი გროვდებოდა. ყოველი მათგანის უკან ადამიანები იდგნენ თავიანთი ფიქრებით, ცხოვრებით და ითხოვდნენ პასუხს.

სხვა ცხოვრებაში გარკვევისათვის ვახლაკოვს არ ეცალა, ამიტომ სემეჩკინი საგანგებოდ ამ საქმისათვის მოიწვია. სემეჩკინს ყველასათვის უნდა მოესმინა და ყველას მდგომარეობა უნდა გაეთვალისწინებინა და ყველას უნდა მიხმარებოდა.

მას ცალკე კაბინეტი გამოუყვეს, დაუდგეს ორი ტელეფონი: შავი და თეთრი, შიდა და საქალაქო. კაბინეტში დაუდგეს დივანი, ორი სავარძელი და ჩამოუკიდეს ფარდები. სემეჩკინს ფარდები არ მოეწონა, თავისი მოიტანა. როცა სემეჩკინი პირველად გამოცხადდა სამუშაოზე, ყველანი ძალზე გააკვირვა. მას ეცვა ოქროსფერებიანი ჟოლოსფერი ხავერდის ბლუზა, გაქათქათებულ-გახამებული პერანგი. თავზე ოდნავ გვერდულად მოეგდო პატარა ბერეტი, ფეხსაცმელებს კი დიდი ბალთები უმშვენებდა.

შარვალი რომ რეიტუზივით მოტკეცილი ჰქონოდა, ხოლო ბერეტზე სირაქლემას ფრთა, მაშინ გია სემეჩკინი წვეთი წყალივით დაემსგავსებოდა პრინცს.

— რას გავხართ? — გაუკვირდა ვახლაკოვს.

— მე თუ თქვენ? — თავის მხრივ გაუკვირდა გიასაც.

ვახლაკოვს ეცვა ჩვეულებრივი პიჯაკი და ჩვეულებრივი შარვალი, ოღონდ სხვადასხვა ფერისა.

— რა მე? — ვერ გაიგო ვახლაკოვმა.

— თქვენთვის ყავისფერი შარვალი და ლურჯი პიჯაკი შეუფერებელია. ყავისფერს მოუხდებოდა ბარდისფერი ნატი.

— რომელი ბარდისფერი ნატი? — შეცბუნდა ვახლაკოვი, — მე მოხუცი ვარ.

— ეს არ გამოდგება გასამართლებლად, — შენიშნა სემეჩკინმა. — ლამაზი მოხუცებიც არსებობენ. მაგალითად, ჰემინგუეი ძალზე ლამაზი მოხუცი იყო.

— მაგრამ მე არც ისე მოხუცი ვარ, — განაწყენდა ვახლაკოვი, — მე მხოლოდ ორმოცდათვრამეტი წლისა ვარ.

— მით უმეტეს, — აღნიშნა სემეჩკინმა და თავის კაბინეტისაკენ გაემართა.

კართან შეჩერდა და ითხოვა:

— თუ მიკითხეს, გამოაგზავნეთ ოთხმოცდამერვე კაბინეტში.

— კი მაგრამ, სად არის ეს? — ჰკითხა ვახლაკოვმა.

— თქვენ გვერდით.

— მერე, ჩემი ხომ მესამეა, და რატომ არის თქვენი ოთხმოცდარვა? ყველაზე უხეში გამოთვლითაც კი თქვენი მეოთხე უნდა იყოს.

— ოთხი მოსაწყენი ციფრია, სკამს ჰგავს. ხოლო ციფრი რვა მოხდენილია. დაე, ჩემი კაბინეტის კარზე ორი რვიანი იყოს.

გია სემეჩკინის მუშაობაში არსებითი სირთულე ის იყო, რომ მომსყიდველები რამდენიმე წუთს არ სჯერდებოდნენ, მოითხოვდნენ მეტი დრო დაეთმოთ მათთვის. ადამიანს მოსწონს, როცა უსმენენ და უფრო მეტად მოსწონს, როცა უსმენენ და თანაუგრძნობენ კიდეც. ნაცვლად იმისა, რომ პუნქტების მიხედვით გადმოეცათ საქმის არსი, მომსყიდველები იწყებდნენ ზუსტი კონსპექტის გაშლას — დასაწყისიდან ბოლოამდე, ყველა უწვრილესი დეტალით.

მაგალითად, ზეპირი თხრობის ოსტატობას ფლობს ირაკლი ანდრონიკოვი, მაგრამ გიასთან მიღებაზე არ მისულა. გია იძულებული იყო მოესმინა სხვებისათვის, რომლებიც ყვებოდნენ გაცილებით ცუდად, ბევრად უარეს თემებსა და დეტალებზე.

ერთხელ, სამუშაო დღის ბოლოს, ნომერ 88 კაბინეტში მზეჭაბუკი შევიდა. ახალგაზრდა იყო — არა უმეტეს ჩვიდმეტი წლისა, მაღალი — ორანაკლებ მეტრი და ოთხმოცდაათისა. მისი ყოველი მილიმეტრი ბუნებისაგან მკაცრად იყო მოფიქრებული. ეტყობა, ბუნებას ათასწლეული მაინც დასჭირდა, სანამ ასეთ ინდივიდს შექმნიდა.

— გამარჯობა, — მიესალმა მზეჭაბუკი, — რამდენი ხანია გელოდებთ, ჯერ მესამე კაბინეტი, შემდეგ მაშინვე ოთხმოცდარვა, რომელმა იდიოტმა დანომრა ასე.

გია დუმს.

— გავიგე, თქვენ ყველა სურვილს ასრულებთ, — თქვა მზეჭაბუკმა.

— ყველა გონივრულ სურვილს, — ბრაზუსტა გიამ.

— მე გონივრული სურვილი მაქვს: მინდა დიდება და უცხო ქალაქების ნახვა.

— უცხოეთში მივლინება?

— უცხოეთში, — შეუსწორა ჭაბუკმა. მას არ მოეწონა სიტყვა „მივლინება“.

— რის კეთება შეგიძლია?

— მე ლამაზი ვარ.

— სულ ეს არის?

— თქვენთვის ცოტაა?

— ჩემთვის საკმარისია, — აღიარა გიამ.

— სხვებისთვისაც საკმარისია. სილამაზე ისევე იშვიათად გვხვდება, როგორც გენიალობა. მე თავისებურად გენიაც ვარ.

— თქვენ რამენაირად უნდა შეძლოთ თქვენი გენიის გამოყენება.

— მამაკაცის სილამაზეს რა გამოყენება შეიძლება ჰქონდეს? მე ხომ ქალი არა ვარ...

— რატომაც არა, მაგალითად მანეკენად... მოდელების სახლში. ისინი საზღვარგარეთ მოგზაურობენ.

მზეჭაბუკი ჩაფიქრდა, მუხლებზე ხელები აათამაშა. ხელები შავგვრემანი და სრულქმნილი ჰქონდა. ფრჩხილებსაც კი ვერ უპოვიდა ნაკლს.

— მიმიწერეთ თუ შეიძლება ქალალდი, — თხოვა მან.

— რა ქალალდი?

— მოდელების სახლის დირექტორის სახელზე.

გიას არ უყვარდა ქალალდები. მაგრამ უარი ვერ უთხრა. აიღო რედაქციის საგანგებო ბლანკი და მასზე მაგიდასთან მჯდომი მრგვალ-ბერეტიანი კაცუნა დახატა, ბერეტის ირგველივ, სხივებიანი შარავანდი მიახატა. შემდეგ ჩაფიქრდა, მაგიდიდან აიღო შუშხუნებიანი კერამიკის ლარნაკში ყვავილებივით ჩააწყო, ასანთს გაპკრა და შუშხუნებთან მი-იტანა. შუშხუნები გაღვივდნენ, ბოლოები გაუწითლდათ და შემდეგ, უცებ ყველა მიმართულებით უხმაუროდ იწყეს ცეცხლის ფრქვევა. ის-ინი ისეთივე ცივი და ცისფერები იყვნენ, როგორც ვარსკვლავები და მიბჭერილნენ შორს სხვადასხვა ტრაექტორიის ძაფებად.

●

მეორე დღეს მთავარი რედაქტორის კაბინეტში სახელდახელო კრება ჩატარდა.

ვახლაკოვს ნატის პიჯაკი ეცვა და ცდილობდა თითები ბორტებს შიგნით შეეყო, მაგრამ ამაოდ, ღილი აწყდომოდა. იმ ადგილზე, სადაც ღილი იყო ან უნდა ყოფილიყო, ძაფები ქანაობდნენ.

ვახლაკოვმა ხელები ჯიბეებში ჩაიწყო. ის ისე იდგა, როგორც გემის კაპიტანი თავისი მცირერიცხოვანი ეკიპაჟის წინაშე. ეკიპაჟში ყველა ძალიან საყვარელი ადამიანი იყო, მაგრამ მათ ბეზრდებოდათ ყოფილიყვნენ საყვარელი ადამიანები და ჩხუბობდნენ. შემდეგ ბეზრდე-ბოდათ ჩხუბი და ისევ საყვარელ ადამიანებად იქცეოდნენ.

ვახლაკოვი არასოდეს და არავის არ წაჩხუბებია. მას ოვალი ერ-ჩივნა მახვილ კუთხეს. მის ხასიათში დიალექტიკის კანონის მიხედვით შეთავსებული იყო დაპირისპირებულთა წინააღმდეგობანი. უყვარდა სა-კუთარი ცოლიც და სხვა ლამაზი ქალებიც. იყო ტალანტი ადამიანებთან ურთიერთობაში და ხელმოცარული საკუთარ თავთან, ესე იგი, სა-კუთარ შემოქმედებაში. ეხმარებოდა დამწყებ ტალანტებს — ეს კი ნი-შნავდა, რომ მოკლებული იყო შურს და სჯეროდა მომავლის. ადამია-ნებს არ შურთ, როცა იციან, რომ თავად რაღაც შეუძლიათ. ვახლა-კოვს კი არც შურდა და არც თავად შეეძლო რაიმე.

ვახლაკოვი მეფური წარმოშობის გვარია: მისი გვარტომიდან იყო ივანე მეხამის საყვარელი. ვახლაკოვი მალავდა ამ წვრილმანს, მაგრამ მის ალნაგობაში, პიჯაკზე ამწყდარი ღილის მიუხედავად, რაღაც მეფუ-რი გამოსჭვიოდა.

— ციგანკოვა! — მეფურად ბრძანა მან, — შეამოწმეთ ფაქტები.

ციგანკოვამ გაშალა თავისი ბლოკნოტი და რაღაც ჩაიწერა. ის ყოველთვის კეთილსინდისიერად იწერდა თავის ყველა მოვალეობას, მაგრამ არასოდეს ასრულებდა მათ. იგი მუდამ ცუდ გუნებაზე იყო.

გიას ბედნიერი ადამიანები არ უყვარდა. მოსწონდა ის ხალხი, რომლებსაც დახმარება სჭირდებოდათ, რათა გაეკეთებინა მათთვის კე-თილი საქმე და ამგვარად დარჩენილიყო მათ მეხსიერებაში. მაგრამ უფრო მეტად მოსწონდა ადამიანები, რომლებსაც სჭირდებოდა დახმა-

რება, მაგრამ უარს ამბობდნენ დახმარებაზე. ისინი არასოდეს არავის არაფერს თხოვდნენ, რადგან სურდათ დამოუკიდებელნი დარჩენილიყვნენ.

— სემეჩკინ! — შესძახა ვახლაკოვმა, — რა ხდება თქვენთან?

— სად? შეშინდა გია.

— შუშხუნებს ანთებთ, კაცუნებს ხატავთ...

გია დადუმდა.

— რატომ დუჭირთ?

— იმიტომ, რომ ვერ გავიგე, მოგწონთ ეს თუ არ მოგწონთ?

ვახლაკოვმა წარბები შეჭმუხნა. თავადაც არ იცოდა — მოსწონდა ეს თუ არ მოსწონდა.

— უცნაურია როგორლაც, — გაუბედავად თქვა მან. — კი მაგრამ, შუშხუნებს რატომ ანთებთ?

— ლამაზად იწვიან.

— კაცუნები?

— ბეჭედივითაა. ადამიანები ხომ სვამენ ბეჭედს.

ვახლაკოვმა ფრჩხილებით ლოყა გაიკაწრა.

— ხმებს ავრცელებენ, თითქოს თქვენ ყველაფერი შეგიძლიათ. მე ეს არ მომწონს, — აქ ვახლაკოვმა გარკვევით იცოდა თავისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი.

— მე აქ არაფერ შუაში ვარ, — აუხსნა გიამ, — ხმები ადამიანებისაგან განცალკევებულად ცხოვრობენ. ერთმანეთთან არავითარი კავშირი არ აქვთ. ხმები ცხოვრობენ თავისთვის, ადამიანები თავისთვის.

როცა სახელდახელო თათბირი დამთავრდა, ვახლაკოვი სემეჩკინთან მივიდა და იდაყვზე შეეხო.

— გია, — ვახლაკოვმა კარებისაკენ გაიხედა, — თქვენთან თხოვნა მაქვს.

— კაბინეტი ოთხმოცდარვა, — თავაზიანად თქვა გიამ, — საერთო წესისა და რიგის მიხედვით.

— ჩემი საქმე განსაკუთრებულია, — გაანდო ვახლაკოვმა, — თქვენთვის, როგორც სპეციალისტისათვის, იგი განსაკუთრებით საინტერესო იქნება.

— რა სათხოვარია? — ჰკითხა დაინტერესებულმა სემეჩკინმა.

— გამაახალგაზრდავე.

— რაო? როგორ?

— აი... ამჟამად ორმოცდათვრამეტისა ვარ და, ოცდაათისა გამხადე.

— ეს შეუძლებელია.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ეს ეწინააღმდეგება ფილოსოფიის კანონს.

— რომელ კანონს?

— „უარყოფის უარყოფისას". მე არ შემიძლია დიალექტიკის შეცვლა, ეს ჰეგელმა გამოიგონა.

— ხერხემალი მტკივა, — დაიჩივლა ვახლაკოვმა. ეგონა, გიას დაიყოლიებდა თუ კარგად თხოვდა, — ომის დროს კონტუზია მივიღე, ხერხემალი დამიზიანდა და ახლა ნერვზე მაწვება. აი ახლაც ვლაპარაკობ და ხერხემალი ისე მტკივა, კბილის ტკივილი მონაგონია მასთან, ფეხებზეც კი გადადის. თქვით, საინტერესოა ასე ცხოვრება?

გიამ არაფერი უპასუხა. ცხადია, როცა ხერხემალში კბილის ტკივილს გრძნობ, ასეთი ცხოვრება ნამდვილად არ არის საინტერესო.

— ჩაასმევინეთ ხერხემალი თავის ადგილზე, — თქვა გიამ, — ასეთი ოპერაცია კეთდება. მე ვიცი.

— მეც ვიცი, — თქვა ვახლაკოვმა, — მაგრამ საქმე მარტო ეს არ არის.

— აბა, რა არის კიდევ?

— აი, ადრე მეგონა, რომ არ არსებობდა ისეთი პაემანი, რის გამოც შეიძლებოდა თათბირის გაცდენა. ახლა კი პირიქით მგონია, არ არსებობს ისეთი თათბირი, რის გამოც შეიძლება პაემანის გაცდენა...

— შეყვარებული ხართ? — გამოიცნო გიამ.

— ეტყობა, თქვენთვის ეს უცნაურია?

— რამდენი წლის არის?

— ჩემს შვილზე უმცროსია, — ამოღერღა ვახლაკოვმა, — საბავშვო ბაღში მუშაობს აღმზრდელად. ჩეხოვის მხოლოდ „კაშტანკა“ აქვს წაკითხული. ეს ისეთი ბედნიერებაა... მე ისე მომწყინდა ჭკვიანური საუბრები!

გიამ ვერ გაიგო, რას ითხოვდნენ მისგან.

— მეშინია სასაცილო მდგომარეობაში არ აღმოვჩნდე, — აღიარა ვახლაკოვმა.

— აა... — მიუხვდა გია, — ნიგოზი ჭამეთ, გიშველით.

— მე ნიგოზი კი არა, ოცდაათი წელი მინდა!

— კი მაგრამ, საიდან მოგიტანოთ? თუმცა...

— ნუთუ? — ვახლაკოვი წამოიწია.

— არის ასეთი წამალი, — გიამ უკან გაიწია, არ უყვარდა, როცა მასთან ახლოს იდგნენ. — ოშრე, ორგანიზმის უეცარი რეგენერაციის ელექსირი. ამის შესახებ წერდნენ პრესაში. უნდა გადაყლაპოთ აბი და გადახტეთ მეშვიდე სართულიდან. დაიმტვრევით, მაგრამ ელექსირი ამოქმედდება და თვალის დახამხამებაში ათი წლით გაახალგაზრდავებული აღდგებით. თუ გინდათ ოცდაათი წლით გაახალგაზრდავდეთ, სამჯერ გადმოხტომა მოგიწევთ.

— შეიძლება პირველი სართულიდან გადავხტე?

— პირველიდან არ შეიძლება, იმიტომ, რომ არ დაიმტვრევით. მერვედანაც არ შეიძლება, იმიტომ, რომ შეიძლება ველარ აღდგეთ. საჭიროა მეშვიდედან გადახტეთ.

— სხვა ხერხი არ არსებობს?

— შეიძლება არსებობს, მაგრამ მე არ ვიცი.

ვახლაკოვმა ფანჯარაში გაიხედა. ფანჯრის მიღმა რაღაცას აშენებდნენ, ნელა ირწეოდა ამწე.

— ქაღალდი საჭიროა? — ჰკითხა ვახლაკოვმა, — კაცუნებით?

— არ არის აუცილებელი, — თქვა გიამ.
— არც შუშხუნები?
— როგორც გენებოთ.

როცა გია თავის კაბინეტში დაბრუნდა, იქ სვეტლანა იჯდა. ფარდები გაწეული იყო, ოთახი, როგორც ფუჟერი შამპანურით, სავსე იყო თანაბარი, ყვითელი ფერით.

— შეიძლება ჟორა დაგიძახოთ? — ჰკითხა მან, — „გია“ რაღაც ძალლურია.

გიამ შუშხუნები აიღო, ვაზაში ყვავილივით ჩაალაგა და ასანთი მიუახლოვა. შუშხუნებისაგან ყველა მიმართულებით პატარა ვარსკვლავები გაიფრქვა და სხვადასხვა ტრაექტორიით გაფრინდა.

სვეტლანა მათ მდუმარედ უცქერდა და უცებ ატირდა. ის ტიროდა სახეგაქვავებული და გეგონებოდა, ლოყებზე ჩამომდინარე ცრემლებს მასთან არავითარი კავშირი არ აქვსო.

— მე შენთვის ყველაფერს გავაკეთებ, — შეჰფიცა გიამ, — ყველაფერს, რასაც მთხოვ...

— გააკეთე ისე, რომ ის ჩემზე დაქორწინდეს...
— ვინ?
— შენ არ იცნობ.
— არ უყვარხარ? — გაუკვირდა გიას, — აი ტუტუცი...
— ნუ ლანძღავ.
— მაპატიეთ, გეთაყვა.
— ვუყვარვარ, — აუხსნა სვეტლანამ, — მაგრამ კაცებისათვის სიყვარული და ქორწინება ერთი და იგივე არ არის.
— მოდი, მე ვიქორწინებ შენზე, — მოულოდნელად შესთავაზა გიამ.
— გეზარება დამეხმარო. ამიტომ საქმეს აიოლებ.
— რა შემიძლია გავაკეთო?
— მოელაპარაკე: ვეტყვი, რომ შენთან მოვიდეს.
— არ ვიცი, რაზე ველაპარაკო, — იუარა გიამ.
— თუ იგრძნობს, რომ შენ გინდა დაქორწინება, მასაც მოუნდება. იგი ძალზე მოკლებულია დამოუკიდებლობას. ადვილად განიცდის ახვების ზეგავლენას.
— მერედა, რად გინდა ასეთი ქმარი?

სვეტლანამ ოდნავ გაიღიმა და გიას გამჭოლად შეხედა. გიამ პირველად ნახა იგი კარგ გუნებაზე.

●

იმ საღამოს მისდა უნებურად გამოთვრა გია.

პაშასთან დალია — მეზობელთან — თან თავიანთ წინააღმდეგობრივ შეხედულებებს განიხილავდნენ.

პაშა ღამის სკოლაში სწავლობდა, თან ტაქსის მძღოლად მუშაობდა. უცოლო იყო. ოცნებობდა ორშვილიან ულამაზო ქალზე დაქორწინებულიყო. ფიქრობდა, რომ ლამაზი და თავისუფალი ქალი მას არ

გაჰყვებოდა და თუ გაჰყვებოდა, მეორე დღესვე ინანებდა.

გია უფრო თავდაჯერებული იყო. ის, საერთოდ, ქალებს მოსწონდათ, თუმცა არა იმათ, მას რომ სურდა.

ისინი საუბრობდნენ პირად და საზოგადოებრივ ბედნიერებაზე, სიყვარულზე, თავიანთ საქმეებზე და ყოველი სპეციალობის სპეციფიკაზე. პაშას ყველა ადამიანი ტაქსის მგზავრად წარმოედგინა, გიას კი — ცირკის მაყურებლად.

— რატომ წადი „მოსკონცერტიდან"? — ჰკითხა პაშამ.

— მოსაწყენი იყო, — აუხსნა გიამ, — ყოველდღე ერთი და იგივე: იღებ ცარიელ კალათას, ამოიღებ ქათამს.

— ცოცხალს?

— რა თქმა უნდა.

— კი მაგრამ, როგორ გამოგდის?

— მხოლოდ ხელის სიმარჯვე და არავითარი გაიძვერობა.

ისინი სვამდნენ „სტარკას" და მღეროდნენ ომისშემდგომ სიმღერებს, რადგან მხოლოდ მათი ტექსტი იცოდნენ. პაშა „სტარკასაგან" წითლდებოდა, გია კი პირიქით. ფერმკრთალდებოდა. ბავშვობაში იგი ხშირად ავადმყოფობდა ანგინით და სუსტი გული ჰქონდა.

— «На рейде большом легла тишина, и город окутал туман», — გულისყურით, ლამაზად მღეროდა პაშა.

გია, თავისი ოცდაათი წლის ასაკში პირველად ჩასწვდა ამ სიტყვების არსს და წარმოიდგინა ჩამძიმებული, თითქოს მტვრიანი წყალი, ერთადერთი ხომალდი და ჯანღიდან ბუნდოვნად ამოზრდილი ქალაქი.

«Прощай, любимый город! Уходим завтра в море!»

გიას სახე ხელისგულებში ჩაერგო, თვალები დაეხუჭა და არაყისგან აღგზნებული მღეროდა ნაცნობ თუ უცნობ სიმღერებს. უსმენდა საკუთარ თავს, პაშას და ტკბილად და მსუბუქად ნაღვლობდა ვინ იცის რაზე. მას ეცოდებოდა საკუთარი თავიც, საყვარელი ქალაქიც და სვეტლანა ციგანკოვას მბრწყინავი თმაც.

გია ფანჯრიდან გადავიდა სახლში. იგი პაშას აივნიდან თავისაში გადაძვრა. აივნები მოსაზღვრე იყო. თითქმის ერთიმეორის გაგრძელება. ოღონდ მათ ყოფდა ნახევარი მეტრი სიფართის აგურის ნაშენი და ერთი აივნიდან მეორეში რომ მოხვედრილიყო, ეს ნახევარი მეტრი აივნის მოაჯირებით უნდა გადაელახა. რა თქმა უნდა, კარიდან შესვლა მოსახერხებელი იყო, მაგრამ თერთმეტის შემდეგ მეზობლები კარს ჯაჭვით კეტავდნენ და იძინებდნენ. გიას არ უნდოდა მეზობლების გაღვიძება.

●

გავიდა ნახევარი წელი. დადგა გაზაფხული.

ამ დროის განმავლობაში რედაქციაში ბევრი რამ შეიცვალა: ვახლაკოვი ლენინგრადში გაემგზავრა და იქ მეშვიდე სართულიდან გადმოხტა. იგი ოცდაათი წლით გაახალგაზრდავებული დაბრუნდა. უფრო გალამაზდა, მაგრამ პეწი დაკარგა — მოხუცობა უფრო უხდებოდა.

კადრების განყოფილების გამგე ელენა ივანეს ასული ამზადებდა ხახვის ფურცლის ნაყენს. ამბობენ, ეს ნაყენი კლავს ვაშლის მატლებს და ამაგრებს ყუნწებს, თითები და ფრჩხილები ელენა ივანეს ასულს მუქ-ნარინჯისფერი გაუხდა.

სვეტლანა ციგანკოვა გათხოვდა, მაგრამ გუნება არ გამოუკეთდა. უწინდებულად იჯდა, წამწამები დაეხარა და ბლოკნოტში რაღაცას იხიმშავდა. როცა ტელეფონი დარეკავდა, ნელა წამოდგებოდა და მიდიოდა ყურმილის ასაღებად, სიარულშეც ეტყობოდა მოწყენილობა და სიზარმაცე. გიას რატომღაც აღარ ესალმებოდა.

ყველა, ვინც ერთხელ იყო სემეჩკინთან, მეორედაც მიდიოდა. იდგა ზაფხული, ივნისის თვე, როცა კაბინეტში მზეჭაბუკი შევიდა.

მზეჭაბუკს თეთრი, ნასვრეტებიანი პერანგი ეცვა. მარვალიც და ფეხსაცმელებიც თეთრი და ნასვრეტებიანი ჰქონდა.

მზეჭაბუკმა გიას წინ დაუდო დიდი სარეკლამო ჟურნალი, რომლის გარეკანზე მისი ფოტოსურათი იყო. ის ზურგით მიყრდნობოდა გრძელ ავტომანქანას, ავტომანქანიდან კი ქალის სახე და ძალლის დრუნჩი ჩანდა.

— ეს თქვენია? — ჰკითხა გიამ.

— ჟურნალი ჩემია, — თქვა მზეჭაბუკმა, — ძალლიც ჩემია. მანქანა და ქალი კი სხვისი.

— საოცარი ძალლია! — შეაქო გიამ, — კმაყოფილი ხართ?

— ძალლით?

— წარმატებით.

— რომელი წარმატებით?

საუბარი ვერ აეწყო.

— თქვენი, — განუმარტა გიამ.

— იცით რა?.. — ჭაბუკმა ჯიბიდან თეთრი სანთებელა ამოიღო, — წარმატება საინტერესოა როგორც რაღაცის შედეგი. მე კი ეს „რაღაც“ არ მაქვს, მხოლოდ შედეგი მაქვს როგორც კარტოფილის ღერო კარტოფილის ბოლქვის გარეშე.

გია გრძნობდა, უნდა შეკამათებოდა, მაგრამ ვერ მოეფიქრებინა, სახელდობრ რაში.

— მე დავდიოდი სცენაზე, იმიტომ რომ ლამაზი ვარ. ჯუჯებსაც ყველა უცქერს, იმიტომ რომ ისინი ჯუჯები არიან. მერე რა?

— მაგრამ თქვენ ხომ ნახეთ უცხო ქალაქები! მე, მაგალითად, მთელი ცხოვრება ვოცნებობდი მოვხვედრილიყავი იაპონიაში. ამბობენ იქ თურქული აბანოებია.

— ვიყავი თურქული აბანოებში, დიდი ამბავი! — მზეჭაბუკმა ხელი ჩაიქნია, — ეს ყველაფერი ნახო, საინტერესოა იმიტომ, რომ შემდეგ დაბრუნდე და მოუყვე ვინმეს. მთავარია ამ საკითხში ისაა, იყოს ვინმე, ვისაც მოუყვები.

გია მიუხვდა, იგი ვერავის უყვებოდა, უილბლო მზეჭაბუკი იყო.

— გინდა მე მომიყვე?

შეიძლება სწორედ ამიტომაც მოვიდა. მაგრამ მზეჭაბუკმა თავი გააქნია, ამისათვის არ მოვსულვარო.

— როგორ მოვიქცე? — თვალები გიას მიაპყრო. მას მაღლა აზიდული წარბები ჰქონდა.

— იცხოვრე ისე, როგორც ყველა.

— მაგრამ მე უკვე აღარ შემიძლია, როგორც ყველას..

— მაშინ არ ვიცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

დღის ბოლოს ოთხმოცდამერვე კაბინეტში ვახლაკოვმა დარეკა.

— გამოემგზავრე!.. — გასცა მოკლე განკარგულება ვახლაკოვმა, — შენ უნდა თქვა, რომ მე — ეს მე ვარ. რესტორანში არ მიშვებენ.

— არ მინდა წამოსვლა, — მოუბოდიშა გიამ, — ცუდ გუნებაზე ვარ.

— შენ როგორ გგონია, მე კარგად ვარ? ხუთი საათის შემდეგ ხან ერთთან შევდივარ, ხან მეორესთან. არავინ მიჯერებს.

— აჩვენეთ პირადობის მოწმობა.

— მე ხომ პირადობის მოწმობაში მოხუცი ვარ.

გიას აღარაფერი უთქვამს.

— გესმის ჩემი?! — იღრიალა ვახლაკოვმა.

— მესმის, — წყნარად თქვა გიამ.

— წამოიღე პასპორტი, — განაგრძო ღრიალი ვახლაკოვმა, — თავდაპირველად აუხსენი, რომ შენ ეს შენ ხარ, შემდეგ კი, მე რომ მე ვარ!

●

რესტორანში სიწყნარე სუფევდა, გაცილებით მეტი სიწყნარე, ვიდრე მოსკოვის სხვა რესტორანში. როცა შემოსასვლელში ვინმე გამოჩნდებოდა, ყველანი თავს მისკენ აბრუნებდა და უყურებდნენ ვინ მოდისო, აქ ყველა ყველას იცნობდა.

თუ ლამაზი ქალი გამოჩნდებოდა, ჯერ ქალს უცქერდნენ, შემდეგ კი მის თანმხლებს.

როცა გია და ვახლაკოვი შევიდნენ, მათთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ვახლაკოვი ვერ იცნეს. იგი გახდა, პიჯაკი, როგორც საკიდარზე ისე ეკიდა, კისერიც დაუგრძელდა და ცხვირიც პროფილში გაპუტულ არწივს უგავდა.

გია და ვახლაკოვი ხის კიბესთან ახლოს მაგიდასთან დასხდნენ. გვერდით მაგიდასთან ლამაზი ქალი იჯდა და უსმენდა თანამოსაუბრეს, რომელიც ვახლაკოვს ლანძღავდა.

— ბანკეტი... — ყვებოდა თანამოსაუბრე, — ორმოცამდე კაცი. ვახშმის ბოლოს იგი დგება და ამბობს დასკვნით სიტყვას: ჩვენს ქვეყანაში ყველანი თანასწორები ვართ, ამიტომ ყველამ თავ-თავის დანახარჯი უნდა გადაიხადოსო.

— ტყუილია, — ჩაერია ვახლაკოვი, — სულ სხვა რამ ითქვა.

— კი მაგრამ, თქვენ საიდან იცით? — ქედმაღლურად ჰკითხა ქალის თანამოსაუბრემ, — თქვენ რა, იქ იყავით?

ვახლაკოვი დადუმდა და ქალიშვილს შეხედა.

— უცნაურია, — თქვა ქალიშვილმა, — როცა კი მაატიუებდა, ყოველთვის ის იხდიდა ფულს.

— წავიდეთ აქედან, — უთხრა ვახლაკოვმა სემეჩკინს, — ამ ზარეულოს სუნია.

ისინი წამოდგნენ და ყველაზე შორეულ კუთხეში გადასხდნენ.

გაიღო კარი და რესტორანში მაღალი ჭაბუკი შემოვიდა, გიმნაზიელის ქურთუკის მსგავსი გრძელი ორბორტიანი პიჯაკი ეცვა. ხელი დაუქნია ვახლაკოვს და მის მაგიდასთან მივიდა.

— მამა, — თქვა ჭაბუკმა, — ჩემი პერანგი რატომ ჩაიცვა ისევ?

— შენ რა, ვენანება პერანგი მამისათვის?

— არ მენანება, მაგრამ არ მიყვარს, როცა ჩემს ტანსაცმელს წამოიცვამენ.

— როგორ ლაპარაკობ უფროსებთან? — ვახლაკოვს შერცხვა გიასი.

— დედამ მთხოვა შენთვის ეს გადმომეცა... — შვილმა ვახლაკოვს ფული გაუწოდა, — ღვინო არ დალიო, კონიაკი დალიე.

— ვითომ ღვინის დალევა რატომ არ შეიძლებაო? — გაუკვირდა გიას.

— ღვინისაგან ალერგია აქვს, — აუხსნა ვახლაკოვის შვილმა, გამოემშვიდობა და სხვა მაგიდისაკენ გაემართა.

— ესირცხვილება, — თქვა ვახლაკოვმა, — მშობელი მამა ესირცხვილება.

მან ჰაერში ორი თითით გაატკაცუნა, ოფიციანტი მოვიდა.

— რიტოჩკა, მოგვიტანეთ კონიაკი და სხვა დანარჩენი, თქვენ იცით ჩემი გემოვნება.

— მე არაფერი ვიცი, — ცივად მიახალა რიტოჩკამ.

— მე არ დავლევ, პაველ პეტროვიჩ, — იუარა გიამ, — ხვალ სამუშაოზე ვარ.

— ნუ მომმართავ სახელითა და მამის სახელით.

— კეთილი, მითხარით, საშიში ხომ არ იყო გადმოხტომა?

— პირველად საშიშია, მეორედ და მესამე არაფერია. ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს კუჭი ყელში გებჯინება. იქ, სადაც მე გადმოვხტი, ასფალტზე ჩანაჭყლეტი დარჩა. ო! — ვახლაკოვი უცებ გაოცებულდა, — შეხედე, როგორი სიარული აქვს! ასე არავინ დადის მთელ მოსკოვში. მანეკენია. ვალია! — გასძახა მან.

ვალიამ გამოიხედა, ვახლაკოვს შეხედა და გზა განაგრძო. ვახლაკოვი წამოიჭრა სკამიდან და დაედევნა, მაგრამ მალე მობრუნდა.

— ჩერჩეტი, — წყენით თქვა ვახლაკოვმა და ასგრამიანი უცებ, სულმოუთქმელად გადაპკრა, — როგორ ფიქრობ, რისთვის გიხმე აქ?

— აქ რომ შემოგყოლოდით, — თქვა გიამ.

— არა, რას ამბობ... — ვახლაკოვს დაავიწყდა, ხუთიდან თერთმეტამდე ხან ერთი სიფათთან რომ მიდიოდა, ხან მეორესთან — შენთან საქმე მაქვს.

— გისმენ, — განწირული ხმით თქვა გიამ და თავის სავსე სირჩას შეხედა.

— იცი, ცოლი როგორ ვავიცანი? — უცებ ჰკითხა ვახლაკოვმა.

— არა.

— მე დამწყები პოეტი ვიყავი. ის კი მემანქანე. არავინ არ მიბეჭდავდა მის გარდა. ის მიბეჭდავდა და მეუბნებოდა, ეგ ნიჭიერი ხარო.

გიამ თავი დაუქნია. გაიცნობიერა, როგორ მნიშვნელოვანია, როცა შენი სწამთ.

— შემდეგ ბეჭდვა დავიწყე, კრებულებს ვუშვებდი. გვქონდა ფული და ცოლიც აღარ მუშაობდა.

გიამ თავი დაუქნია. მასაც რომ ჰქონოდა ფული, ისიც დაანებებდა რედაქციაში მუშაობას თავს და ჩრდილოეთ პოლუსზე, მეტეოროლოგიურ სადგურში გაემგზავრებოდა. იქ ხალხი ცოტაა და არავის არაფერი უნდა. იქ ყველას ყველაფერი აქვს.

— ახლა კი ჩვენ კაპიკი აღარ გვაქვს. ცოლი ისევ მემანქანეა. შვილს კი ვესირცხვილები.

— რატომ? — გია არ ელოდებოდა ასეთ შემობრუნებას.

— არ მიბეჭდავენ, — ჩურჩულით თქვა ვახლაკოვმა, — მეუბნებიან: წადით სასლში და იმუშავეთ საკუთარ თავზე. შეიძლება ოდესმე თქვენგან რაიმე გამოვიდესო. მე კი ახლაც არაფრით ნაკლებად არ ვწერ, ვიდრე ამ ნახევარი წლის წინ ვწერდი.

— არასასიამოვნო ამბავია, — დაეთანხმა გია.

— ეს კიდევ არ არის ყველაფერი, — განაგრძო ვახლაკოვმა, — ცოლს თავის ნაცნობებთან არ გამოვყავარ, მმალავს, სააბაზანოში მკეტავს. იქ კი დასაჯდომი არაფერია და თანაც ცხელა. ისეც ხდება, რომ საათობით ფეხზე ვდგავარ.

— კი მაგრამ, საბავშვო ბაღის აღმზრდელი სადღაა? — შეახსენა გიამ.

— მიმატოვა, — ალიარა ვახლაკოვმა, — რად ვუნდივარ უსახელო, უფულო. მეუბნება, ახალგაზრდა უშენოდაც ნახევარი მოსკოვი მყავსო.

— თავხედი!.. — აღშფოთდა გია.

— იცი რა არის აღმზრდელი ბავშვთა ბაღში? — ნაღვლიანად შეეპასუხა ვახლაკოვი, — ოცდათექვსმეტი წყვილი რეზინის ჩექმა, ოცდათექვსმეტი პალტო, ოცდათექვსმეტი ქუდი — ეს დილით. შემდეგ ოცდათექვსმეტი თეფში, ოცდათექვსმეტი კოვზი, ოცდათექვსმეტი ჭიქა, — ეს სადილზე, შემდეგ ისევ ოცდათექვსმეტი წყვილი რეზინის ჩექმა, ოცდათექვსმეტი პალტო, ოცდათექვსმეტი ქუდი — ეს გასეირნებისას. იგი იმედოვნებდა, რომ მე როგორღაც შევცვლადი მის ცხოვრებას.

— შეიძლება გაუგო. — დაეთანხმა გია.

— მე არ უნდა გამიგონ? — სასოებით ჰკითხა ვახლაკოვმა.

— შენც შეიძლება გაგიგოთ.

გია უბერეტოდ იჯდა, ხავერდის ქურთუკი და თოვლივით თეთრი პერანგი ეცვა. შინაურულად გამოწყობილ პრინცს ჰგავდა.

— გადამაქციე ისევ მოხუცად, — ხმადაბლა სთხოვა ვახლაკოვმა.

— კი მაგრამ, როგორ? — გაოცდა გია.

— შეიძლება კიდევ ერთხელ გადმოვხტე? ჯანდაბას!

— თუ კიდევ ერთხელ გადმოხტებით, მაშინ იქნებით არა ოცდაათის არამედ ოცის.

— აბა რა ვქნა?

— არაფერიც არ ქნათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახლაკოვი დიდხანს დუმდა, მის თვალებში არაახალგაზრდული კაენშანი ჩასახლებულიყო.

— მეგობრები მე აღარ მყავს, ახლანდელი ოცდაათისანი ჩემთვის უცხონი არიან, ძველი მეგობრები სამოცისანი გახდნენ, უკვე აღარ ვაინტერესებ. ოჯახს ვესირცხვილები, იმან მიმატოვა და ჩათვალე, რომ საქმეც აღარ მაქვს.

— მე ვარ დამნაშავე... — მოიღუშა გია.

— შენ რა შუაში ხარ? — ვახლაკოვმა ხელი ჩაიქნია, — ყოველ ადამიანს ისეთი ცხოვრება აქვს, როგორიც დაიმსახურა. ყველაფრის თავიდან დაწყება რომ შემეძლოს...

— შვილიშვილი გყავთ? — მოულოდნელად ჰკითხა გიამ.

— მყავს. ვაჟი.

— რამდენი წლისაა?

— ერთი წლის. მერე რა?

— გადმოხტი კიდევ სამჯერ, — შესთავაზა გიამ — თქვენ გახდებით ოცის, შემდეგ ათის, შემდეგ წლის. თავიდან იცხოვრებთ. თქვენს შვილიშვილთან ერთად გაიზრდებით.

— როცა სამი წლის შევსრულდები, საბავშვო ბაღში მიმაბარებენ... — ფიქრიანად თქვა ვახლაკოვმა.

მან ვერ შეძლო საბავშვო ბაღის აღმზრდელის დავიწყება.

●

როცა გია შინ ბრუნდებოდა, მუხლები ეკეცებოდა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ზოგჯერ ჩერდებოდა, თავს მაღლა სწევდა, ცას უყურებდა, რათა გარკვეულიყო, სად იყო ზევით და სად ქვევით. უყურებდა ცას და ფიქრობდა: რა არის ბედნიერება? სიყვარული? წარმატება? ახალგაზრდობა? სიყვარული გაიყლის, წარმატებას ეჩვევა, ხოლო თავიანთი ახალგაზრდობის შესახებ ადამიანებმა არაფერი უწყიან. ადამიანები ახალგაზრდები არიან მანამ, სანამ ამის შესახებ არა იციან რა. მაშასადამე, გიას მუშაობას არავითარი აზრი არ აქვს. ცხოვრება ჭოლოდ ბედნიერების ძიებაა, ხოლო თავად ბედნიერება კი არ არსებობს.

გიას არ უნდოდა სახლში მისვლა, სხვაგან წასასვლელიც არ ჰქონდა. იგი პაშასთან წავიდა.

პაშას ფეხბურთელის მაისური ეცვა და მაგნიტოფონის ლენტს აწებებდა.

— რას აწებებ? — ჰკითხა გიამ.

— ჩაიკოვსკის ქორალს.

— როგორ, — გაუკვირდა გიას, — განა ჩაიკოვსკი ეკლესიისათვის ხალტურობდა?

— რატომ ხალტურობდა? წერდა. ხალტურობა მაშინაა, როცა არ სწამთ, რასაც აკეთებენ.

— მეც ალარ მწამს უკვე, რასაც ვაკეთებ, — თქვა ბავშვმა. — მსურდა ადამიანები ბედნიერებად მექცია, მაგრამ უფრო [illegible] დავაბნიე. მაშასადამე, მე მოხალტურე ვარ.

— შენ მეფოკუსე ხარ, — შეუსწორა პაშამ.

— რა შუაშია აქ ერთი მეორესთან?.. რა კავშირი აქვთ მათ?

— აქვს. შენ იღებ ყალბ სიყვარულს, ყალბ წარმატებას და ყალბ ახალგაზრდობას. ჰოდა, გინდა მიიღო ნამდვილი ბედნიერება. იღებ ცარიელ კალათას და გინდა ამოიღო ცოცხალი ქათამი. ფოკუსები შეიძლება აჩვენო სცენაზე, ცხოვრებაში კი ფოკუსების ჩვენება არ შეიძლება.

— აბა რა უნდა აკეთო ცხოვრებაში?

— იცხოვრო.

— ყველაფერი ქრება... — გიამ ხელი ჩაიქნია, — ნამდვილი ახალგაზრდობაც და ნამდვილი სიყვარულიც.

— კი არ ქრება, არამედ გადადის ერთი ფორმიდან მეორეში. ენერგიის მუდმივობის კანონია.

— ეს შენ გამოიგონე?

— მე არა, ლომონოსოვმა გამოიგონა.

პაშამ ეს საშუალო სკოლის პროგრამიდან იცოდა. გადაახვია ლენტი და ლილაკს თითი დააჭირა. მდორედ, მუსიკის თანხლების გარეშე ამღერდა გუნდი.

გია და პაშა უსმენდნენ ჩაიკოვსკის ქორალს. გია იჯდა, პაშა იდგა, პერანგს იკრავდა, ტაქსომოტორების პარკში უნდა წასულიყო.

გია აივანზე გავიდა და თავის აივანზე გადასვლა დაიწყო.

იგი შედგა რკინის მოაჯირზე, აგურის ნაშენს ხელებგაშლილი ჩასჭიდებოდა და ჯვარცმულს ჰგავდა. იდგა ქალაქის თავზე, სახლების თავზე, ხალხის თავზე, ზემოთ კი მხოლოდ ცა იყო, ცაზე კი სხვადასხვა ზომის ვარსკვლავები.

გიამ მარჯვენა ფეხი გააცურა მარჯვნივ. ჩვეულებრივ ფეხის გულით გრძნობდა რკინის ძელს. შემდეგ მარცხენა ფეხიც მიაყოლა, მაგრამ ვერაფერი იგრძნო ფეხი სიცარიელეში ჩაეშვა. გიამ მოწყვიტა ხელები აგურის ნაშენს, მძლავრად და მკვეთრად აიქნია ჰაერში, ამაოდ შეეცადა წონასწორობის შენარჩუნებას.

მაღლა გულსაკლავად ატირდა გუნდი. ვარსკვლავები შეკრთნენ და შუშხუნის ნაპერწკლებივით ირიბად გაფრინდნენ სხვადასხვა ტრაექტორიით.

●

დადგა შემოდგომა.

ვახლაკოვი სადღაც გადაიკარგა. რაღას არ ამბობდნენ, მაგრამ ცოტას თუ სჯეროდა ამ ხმებისა.

სემეჩკინიც ვაქრა. ამბობდნენ, „მოსკონცერტში“ დაბრუნდაო, ჩრდილოეთში გაემგზავრა, მეტეოროლოგიურ სადგურშიო. დანამდვილებით არავინ იცოდა, რა ბედი ეწია სემეჩკინს.

ხოლო ქალაქგარეთ, კადრების განყოფილების უფროსის ელენა ივანეს ასულის აგარაკზე, ბაღში იზრდებოდა არაჩვეულებრივი ვაშლი. ორი მუშტისოდენები, მოვარდისფრო-მოყვითალოები.

ხალხი სადგურიდან ბალიშისპირებით ეზიდებოდა სამურაბე შაქარს და საზიდრებით — წყალს ჭებიდან. სიცხეში ერთის ზიდვაც ძნელი იყო და მეორისაც. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ჩერდებოდნენ იმ ვაშლის ხეებთან, დიდხანს და უსიტყვოდ, ყოველგვარი შურის გარეშე უცქერდნენ, უცქერდნენ და ფიქრობდნენ, რომ ბუნება გონიერია, რაკი შექმნა ასეთი სრულყოფილება, რაც ასე აკლიათ ადამიანებს.

კამილო ხოსე სელა

მოთხრობები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ესპანურიდან

თარგმნა მაკა გოგოლაშვილმა

კარაბინერის დანაშაული

სერაფინ ორტისი, ეს საკმაოდ მაღალი, ოდნავ ფერმკრთალი, შავთმიანი და გამხდარი ბიჭი, ჩვიდმეტი წლისა იყო, როცა ქალაქ ტუის სემინარიაში შევიდა.

მამამისსაც სერაფინი ერქვა და ქალაქში არც თუ კარგი სახელი ჰქონდა გავარდნილი, გენერალ ვეილერის დროს მას თურმე კუბაზე უბრძოლია, სერჟანტის წოდებაც მიუღია და ისეთი გამხდარი და გასაცოდავებული დაბრუნებულა შინ, რომ მის შემხედვარე კაცს ტირილი მოუნდებოდა. ტუიში სერაფინს რატომღაც ბედმა გაუღიმა — ღმერთმა იცის რატომ! — და დონ ბალდომერის, ამ ერთობ გავლენიანი კაცის მოწონება დაუმსახურებია, რომელსაც მარტო პროვინციაში კი არა, მადრიდშიც იცნობდნენ.

დონ ბალდომერომ ორტისი კარაბინერთა კორპუსში მიიყვანა და სასაზღვრო პოსტზე დააწყებინა მუშაობა. სერაფინს განსაკუთრებით არ უყვარდა ძალლები, რომლებიც რატომღაც სულ უყეფდნენ და, პორტუგალიელები, რომლებთანაც ერთიანად შესლა-შემოხლა ჰქონდა. ეს სიძულვილი კარგი თემაა სქელტანიანი წიგნის დასაწერად, მაგრამ ამას ცოტა ხნით მოვეშვათ და უფრო მნიშვნელოვან ამბებზე გადავიდეთ.

ტუიში ჩამოსვლის შემდეგ ხაკისფერ მუნდირში გამოწყობილი და ულვაშმიწებებული სერაფინი უფრო მოკეთებული ჩანდა. სადღა იყო ძველი სერაფინი, ერთ დროს გასაცოდავებული და მალარიით დაავადებული. კარგი გარეგნობით გამოირჩეოდა, თუმცა გამოხედვა თავხედური ჰქონდა, მშვენივრად აეთვისებინა პიკადორის მიხრა-მოხრა, თუმცა მაღალ საზოგადოებაში სულ მარწმუნებდნენ, მას მებრძოლისა არაფერი ეტყობაო, უფრო მეტიც, უსიამოვნო გრძნობასაც კი იწვევსო, მაგრამ მისი საქციელი მოსამსახურე გოგონებზე შეუდარებელ შთაბეჭდილებას ახდენდა.

ტუიში დაბრუნების შემდეგ სერაფინმა ორი გაზაფხული მარტოობაში გაატარა. მესამე გაზაფხულზე კი, ხომ ამბობენ, ღმერთს სამება უყვარსო, დონია ბასილისას მოსამსახურე გოგონაზე, ედუვიხისზე დაქორწინდა.

დონია ბასილისა გაუთხოვარი იყო და მაჭანკლობით ირთობდა თავს. იგი ედუვიხისის მეჯვარეობაზე სიამოვნებით დათანხმდა. სერაფინის მეჯვარეობა კი კარაბინერმა მირიამო ასებომ იკისრა, რომელიც იმხანად უმცროსი ლეიტენანტი და ერთ-ერთი პორტის კომენდანტი იყო. დონია ბასილისამ ახალდაქორწინებულებს საბანი აჩუქა და საზეიმოდ დაპირდა, თქვენს ვაჟს ჩემი ანდერძიდან გარკვეულ თანხას ვაკუთვნებ, თუ იგი მღვდლად კურთხევას ვადაწყვეტსო. ასეთი იყო დონია ბასილისა.

ერთ წელიწადში ქვეყნიერებას პირველი ვაჟი — სერაფინი მოევლინა, მაგრამ არა ის, ვიზედაც მინდა მოგითხროთ, არამედ ის სერაფინი, ოთხი თვის შემდეგ რომ გარდაიცვალა. შემდეგ წელს კი უკვე ნამდვილი სერაფინი დაიბადა. ისეთი საცოდავი და უსუსური იყო, რომ ფიქრობდნენ იმ პირველშობილზე ადრე მოკვდებაო, მაგრამ დროთა განმავლობაში ბავშვი მოლონიერდა და მალე ძლიერი ყმაწვილი დადგა. შემდგომ ამისა ცოლ-ქმარს კიდევ ერთი ვაჟიშვილი შეეძინათ, რომელსაც პიო დაარქვეს. მოგვიანებით კი ტყუპი გოგონები, იზაურა და როზა მოევლინენ ქვეყანას. ამით ყველაფერი დამთავრდა, რადგანაც სულ მალე ედუვიხისი მალტის ციებით გარდაიცვალა.

სერაფინ უმცროსმა დონ ელიოს კომერციულ ფირმაში მსახურად დაიწყო მუშაობა. ელიოს მეტსახელად სატანას ეძახდნენ, მის ფირმას კი „სამოთხე" ერქვა. აქ სერაფინს მუდმივი სამუშაო და კარგი მომავალი ელოდა. მამამისი კი ფიქრობდა, უმჯობესი იქნება ბასილისას ანდერძიდან დაპირებული წილი მაშინ გამოვიყენო, როცა უმცროსი ბიჭი გაიზრდებაო. ჯერაც არ იყო გარკვეული, რა მომავალი ელოდა პიოს, მაგრამ ეკლესიური ცხოვრებით დაინტერესება მას თავიდანვე ეტყობოდა. ბედით კმაყოფილი იყო და იმაზელა ოცნებობდა, როდის ჩაიცვამდა ანაფორას. უკმაყოფილო არც უმცროსი სევაფინი ჩანდა. ბედნიერი იდგა დახლში, სადაც საბნებს, კაბებსა და თავსაფრებს ყიდდა, სოფლიდან ჩამოსულ გლეხებს კი ლურსმნებსა და გათლილ საშენებელ ქვებს სთავაზობდა. დროთა განმავლობაში სერაფინმა პატრონის ნდობა მოიპოვა და მანაც ჯამაგირი თხუთმეტ რეალამდე გაუზარდა. ასე გადიოდა დრო და არავინ უწყოდა, თუ რას უმზადებდა სერაფინს ბედი.

დონია ბასილისა ძალიან მოხუცდა, ერთ მშვენიერ დღეს კი გაცივდა, ლოგინად ჩავარდა და მალევე გარდაიცვალა. დონია დაასაფლავეს, ანაშვილი გადაუხადეს და ანდერძიც გახსნეს. პიოს კუთვნილი ფული მღვდლებს გაუგზავნეს, თავად პიო კი სასულიერო სემინარიაში შეიდა.

უფროსი სერაფინი დიდად გაახარა დონია ბასილისას სიკვდილმა. ფიქრობდა, და არც თუ უსაფუძვლოდ, ეს ამბავი მაისის წვიმასავით მოევლინა და ამით აუცილებლად უზრუნველყოფ შვილების მომავალსო. მამას ყველაზე მეტად სწორედ შვილების ბედი ადარდებდა, თუმცა სხვებს მისი მაინცდამაინც არ სჯეროდათ. ჰოდა, რაკი სერაფინმა ერთი ვაჟი მალაზიაში მოაწყო, მეორე სემინარიაში გაგზავნა, ხოლო ქალიშვილები, მცირეწლოვანების მიუხედავად პორტუგალიელი ელჩის, დონ ესპირიტუ სანტო კასაისის ოჯახში მოახლეებად დააყენა, მას უკვე

შეეძლო ცხოვრებით დამტკბარიყო და მთელი არსებით მისძალებოდა რიბეროს[2] ღვინოს. დიახ, ახლა იგი მეტ დროს დაუთმობდა მანოლიტას, რომელიც მას სულ უფრო და უფრო იზიდავდა. მაგრამ სშირად ბედნიერების მწვერვალზე მყოფ კაცს ბედი უმუსრავს ხოლმე, თანაც ისე მოულოდნელად, რომ ყოველგვარი ცდა რაიმის გამოსწორებისა ამაო ხდება. ამის თქმის საფუძველი გაჩნია. მალე პირ-გარეცვალა და ყველაფერი თავდაყირა დადგა.

ცნობილია, რომ ერთი სიცოცხლე ექვს ახალ სიცოცხლეს ბადებს, ხოლო ერთმა უბედურებამ შეიძლება ექვსი უფრო დიდი უბედურება დაატრიალოს, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ამ უბედურებათაგან უსასრულოდ არც ერთი არ გრძელდება. გვჯერა, რომ საკუთარი ცოდვების გამო კარაბინერი ახლა ჯოჯოხეთის ცეცხლში იხრუკება, მაგრამ ამას დაბეჯითებით ვერ ვიტყვით მის ქალიშვილებსა და ვაჟზე. შესაძლოა მათ ბოლო წუთებში მოინანიეს ცოდვები და ამით დაალწიეს თავი ჯოჯოხეთს.

სემინარიაში ყოფნისას პიოს მუნი შეეყარა და მალე სემინარიის სტუდენტს კი არა, გაქუცულ მაწანწალა კატას დაემსგავსა. ექიმმა ურჩია, ებანავა და პიოც მდინარე მინიოსაკენ გაეშურა. ჰოდა, აქ ისე გულმოდგინედ განიბანა სხეულიც და სულიც, რომ მას შემდეგ ცოცხალი არავის უნახავს. სამოქალაქო გვარდიამ კარგა ხნის შემდეგ იპოვა წყლის ზედაპირზე მოტივტივე გვამი. სერაფინმა შვილის სიკვდილი რომ შეიტყო, საშინლად განრისხდა და ტყვიასავით გავარდა დონია ბასილისას დებთან, დონია დიგნასთან და დონია პერფექტასთან. ქალები წირვაზე წასულიყვნენ. შინ მხოლოდ მოსამსახურე დოლორისა იყო. მულატმა მოახლემ სტუმარი სახლში შეუშვა, მაგრამ კიბეზე ასვლა არ დაანება. კარაბინერი კიბის საფეხურზე ჩამოჯდა და მასპინძლებს დაუწყო ლოდინი. მაგრამ აქ ჯდომა დიდხანს არ მოუწია. გაბრაზებულმა მოახლემ სტუმარი ყვირილითა და ლანძღვით აიკლო, ოთახი თამბაქოს კვამლით რატომ გაბოლეო. სერაფინი იძულებული გახდა მოსაცდელში გამოსულიყო. დებიც მალე დაბრუნდნენ ეკლესიიდან. კარაბინერი ქალებს კი შეეგება, მაგრამ ნამდვილად შეცდა, დედაბრები კურდღლებივით მხდალები იყვნენ. თამბაქოს სუნი რომ ეცათ, პირჯვარი გადაიწერეს, მერე მათ შესახვედრად წამოსული უცნობი მამაკაცი რომ დაინახეს, ისეთი საშინელი კივილი ატეხეს, კაცი იფიქრებდა დასაკლავად მოსდევენო.

სერაფინი ამაოდ ცდილობდა ქალების დამშვიდებას.

— კი მაგრამ... დონია დიგნა, ღვთის გულისათვის, შეჩერდით, სერაფინი ვარ, დონია პერფექტა.

მოხუცები კიდევ უფრო ხმამაღლა მოჰყვნენ კივილს, სულ მთლად გაგიჟდნენ და ქუჩაში გავარდნას ლამობდნენ. სერაფინმა ქალებზე ხელი ჩაიქნია და შინისაკენ გასწია, რათა იქ საბოლოოდ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო.

დიგნა და პერფექტა ყველას არწმუნებდნენ, ეშმაკი სახლში საკუთარი ფეხით გამოგვეცხადა და კარებში გველოდებოდაო. (მეორე დღეს ქალებმა იქაურობას ნაკურთხი წყალი მოაპკურეს). სერაფინი კი ამ

დროს ყველას უყვებოდა (რა თქმა უნდა, იმათ, ვისაც მისი მოსმენის სურვილი ჰქონდა), დედაბრები ნამდვილი ალქაჯები არიანო. სერაფინმა სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა რადაც არ უნდა დასჯდომოდა, მაინც მიეღო დოხია ბასილისას ნაანდერძევი ფული. ამიტომაც ისმო თავისთან უმცროსი სერაფინი და უბრძანა სასულიერო სემინარიაში შესულიყო. ამაზე ბიჭმა უარი განაცხადა, რადგან მამის წინადადებას დიდად არ დაუჯდა ჭკუაში. პირიქით შესთავაზა მამამისს: ან თვითონ შედი სასწავლებლად სემინარიაში, ანდა წმინდა მამებს მოელაპარაკე და ფული გაიყავითო. პირველ ვარიანტზე მამამ მაშინვე თქვა უარი, მეორეზე კი დაფიქრდა, მაგრამ გაახსენდა, რომ დონ ხუაკინი, რომელსაც ტყდლებთან მოლაპარაკება შეეძლო ტუიში აღარ ცხოვრობდა. შვილი მამას დიდხანს არ თანხმდებოდა, მაგრამ ნებისყოფის სიმტკიცით არ გამოირჩეოდა, თანაც გული ეუბნებოდა, თავისი ურჩობით მამის მუშტსაც დაიმსახურებდა და ფულსაც დაკარგავდა. ამიტომაც ბოლოს და ბოლოს მის ნებას დაჰყვა და ახლა მზად იყო, თუკი საჭირო გახდებოდა, საკუთარი თავიც კი გაეღო მსხვერპლად, რათა ფული არ დაეკარგათ. დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ იმხანად სერაფინს ჩვიდმეტი წელი ეესრულებოდა.

ძმის ანაფორა ჩაიცვა, რომელიც ტანზე არც თუ მთლად მორგებული ჰქონდა და მამის დავალების შესასრულებლად ქალბატონ დიგნასთან და პერფექტასთან გაემართა. ქალები მას თავაზიანად შეხვდნენ, ააუბარი გაუბეს, სულიერი სიწმინდის ფასი ცხოვრებაში არაფერიაო. მერე სიტყვა ჩამოაგდეს ეშმაკზე, რომელიც ადამიანებს ყველგან უსაფრდება, აცდუნებს. აი, გუშინაც ჩვენს სახლთან გველოდებოდაო, უთხრეს ბოლოს.

სერაფინი თავს ძლივს იკავებდა, რომ არ გადაეხარხარა. გულში კი ფიქრობდა, თავს მოვიკატუნებ, ყურადღებით მოვისმენ მათგან ეშმაკის ამბავს, რომელიც მამაჩემისგან უკვე ვიცი. მერე ქალებს ხელზე ეამბორა და სახეგაცისკროვნებულმა დატოვა იქაურობა, რადგანაც მასპინძლებმა ის თავაზიანი საქციელისთვის დაასაჩუქრეს და ჯიბეში პესეტა ჩაუდეს. მოსვლისას კი მას კარი დოლოროსამ გაუღო და შემცბარი დარჩა. იქნებ იმიტომ, რომ ამ სანიმუშო ყმაწვილის მამას სახეში წყალი შეასხა?!

სერაფინს სემინარიაში ყოფნა პირველ ხანებში არ გაძნელებია. ის კი ერადა, მოსწონდა კიდეც. ფიქრობდა, ეს ჩემი მოწოდებაა, მაგრამ სულ მალე მოიწყინა. მოენატრა თავისი ჯიხური, საკაჭროდ მოსულ ხალხთან ლაქლაქი და თავად სატანას ყვირილიც კი. ბიჭი ჩამოხმა, ფერი დაკარგა, ალარც ლათინური იზიდავდა და ალარც თეოლოგია. ახლა იმასღა ცდილობდა, როგორმე დრო მოეკლა; დერეფნებში, საკლასო ოთახებსა და სამრეკლოზე დახეტიალობდა და თან თვალები ებლირტებოდა. ყველაფერს დათმობდა, ოღონდაც კი კვლავ თავისუფალი ყოფილიყო. მაგრამ ისიც მშვენივრად მოეხსენებოდა, რომ თავისუფლებას სამ წელიწადზე ადრე ვერ ეღირსებოდა.

ამასობაში კი მამა შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რომ კარგად გამომტყვრალიყო. სულ მალე სმისაგან ცხვირი გაუწითლდა და

ბოროტი აზრები აეკვიატა, ერთი სიტყვით, გალოთდა. სალამობით დონია ბასილისას დებთან დადიოდა სტუმრად. დედაბრებმა სერაფინს ყურები გამოუჭედეს იმ ეშმაკზე საუბრით, კართან რომ დახვდათ. დოლოროსა ყველაფერს ხვდებოდა, შეეძლო სიმართლე ეთქვა, მაგრამ რატომღაც კრინტს არ ძრავდა. სერაფინი ქალებს ამხნევებდა, მფარველობას არ მოგაკლებთო და სანაცვლოდ ფულს სცოხცლავდა. ბოლოს ისე გათავხედდა და ისე დააშინა დედაბრები, რომ მათ ჯიბეში ხელის ფათური უფრო იოლ საქმედ ეჩვენებოდა, ვიდრე ყოველი თვის ბოლოს კომისართან მისვლა და საბუთზე ხელის მოწერა.

დრო ერთფეროვნად მიედინებოდა. დონია დიგნას და დონია პერფექტას ნელ-ნელა ერეოდათ სიბერე.

სერაფინი სალამოობით ისევ დადიოდა მათთან. ქალები რძიანი ყავითა და ნამცხვრით უმასპინძლდებოდნენ. რვამდე ან ცხრის ნახევრამდე რჩებოდა. ამ დროისათვის მოხუცები ჩვეულებისამებრ თოხლო კვერცხს მიირთმევდნენ. სერაფინი მათ ეშმაკზე ლაპარაკით ტვინს რომ გამოულაყებდა, მერე პინტოს დუქნისაკენ გასწევდა ხოლმე საგასშმოდ. სწორედ ამ დუქანში დაუმეგობრდა იგი პორტუგალიელ მძღოლს, სახელად მადურეირას. ეს კაციც სერაფინივით გაიძვერა და ორპირა იყო და ისინიც სწორედ ამ უბრალო მიზეზით დამეგობრდნენ. პორტუგალიელი ორმოცი, ორმოცდახუთი წლისა იქნებოდა. შავთმიანი იყო და ოქროს კბილები ჰქონდა. ერთი შეხედვითაც ეტყობოდა, რომ უკან არაფერზე დაიხევდა. თავისი ქვეყნიდან, ღმერთმა უწყის, რატომ წამოსულიყო, მაგრამ როგორც თვითონ ამბობდა, ამის მიზეზი პაივა კოუსეიროსთან მეგობრობა იყო. უყვარდა, როცა ფული ჩეჩქივით ჰქონდა და ამის გამო ყველაფერზე ხელს მოაწერდა.

სერაფინი მას ხშირად ხვდებოდა პინტოს დუქანში. აქ მადურეირა ხმაურიანი სტუმრების გარემოცვაში ორატორობდა. ხალხი მას ინტერესით უსმენდა და აღფრთოვანებული უკრავდა ტაშს.

თავდაპირველად სერაფინი ამ კაცს დიდად არ დაუინტერესებია. იქნებ იმიტომ, რომ მადურეირა პორტუგალიელი იყო. პირველად შემთხვევით კანდელის ხიდზე შესვდნენ ერთმანეთს, შემდეგ ტუის ერთერთ ქუჩაში, ბოლოს კი ყოველ საღამოს ერთად სვამდნენ პინტოს დუქანში.

მადურეირას მეტსახელად ქაქიანს ეძახდნენ. ბოროტი ენები ამბობდნენ, რომ მან ეს მეტსახელი იმით დაიმსახურა, რომ აფთიაქი წაბილწა, რისთვისაც მეპატრონემ ტომას ბალეხომაც სამუშაოდან დაითხოვა.

პორტუგალიელი მეტსახელის გაგონებაზე ისე ცოფდებოდა, რომ მზად იყო კაციც კი მოეკლა. ერთხელ ვილაცა კატალონიელი, რომელიც შემთხვევით შევიდა დუქანში და რომელსაც „ქაქიანი" მადურეირას ნამდვილი სახელი ეგონა, სიკვდილს ძლივს გადაურჩა, რადგან პორტუგალიელმა არც აცივა, არც აცხელა და დანა გაუყარა. კატალონიელი მაგარი ჯანის პატრონი აღმოჩნდა და მალე გამოკეთდა, თორემ მადურეირას კარგა ხნით მოუწევდა ვირის აბანოში ყურყუტი. პორტუგალიელი და სერაფინი დამეგობრდნენ. ალბათ იმიტომ რომ სუ-

ლიერი ნათესაობა აკავშირებდათ. საღამოობით ბანქოს თამაშობდნენ და სულ იმის ფიქრში იყვნენ, როგორ მოეტყუებინათ ერთმანეთი, რაც მათ სულიერ სიასლოვეს უფრო აშკარას ხდიდა. ერთმანეთის ულიტყვოდ ესმოდათ და საეჭვო საქმეებზე უკვე შეხმატკბილებულად ლაპარაკობდნენ. მადურეირამ მეგობარს ორი სასწრაფო საქმე [illegible] და რაკი ამით სერაფინიც დაინტერესდა, გადაწყვიტეს [illegible] ქონა, დაიწყეს კიდეც. თავს დაესხნენ ტელმო ბალერას, წაართვეს ალმოცი პესეტა, რომელიც ფოსტაში მიეჰქოხდა გადასაგზავნად. ავტობუსის კონდუქტორს კი უმოწყალოდ სცემეს, რადგანაც გაუძალიანდათ, ნებით არ მისცა მათ უფროსობისათვის ჩასაბარებელი ას ათი პესეტა.

სერაფინი აღტაცებული იყო მადურეირას მოხერხებულობით. იგი გონივრულად ირჩევდა მსხვერპლს: ამიტომაც იყო, რომ ვერც კონდუქტორმა და ვერც ფოსტალიონმა მძარცველები ვერ იცნეს.

სერაფინი და მადურეირა კმაყოფილებით იფშვნეტდნენ ხელებს და იმის ფიქრში იყვნენ, სხვების ხარჯზე ბედნიერად და საამურად ეცხოვრად. ნადავლს თანაბრად იყოფდნენ და საკვირველი ის იყო, რომ მადურეირა ამ საკითხში რატომღაც კეთილსინდისიერებას იჩენდა. მეგობრები ახალ საკბილო საქმეებს ეძებდნენ, გეგმებს აწყობდნენ და დარწმუნებული იყვნენ, რომ ბედი მათთვის ერთ-ორ პესეტას ყოველთვის გაიმეტებდა.

მადურეირა ნელ-ნელა ეშხში შედიოდა და სერაფინსაც ნელ-ნელა ითრევდა დიდსა და სარისკო დანაშაულებრივ საქმიანობაში. ორივეს გამდიდრების წყურვილი კლავდა. ამიტომაც გადაწყვიტეს დონია ბასილისას დების გაქურდვა. ხმები დადიოდა ქალები სამკაულებითა და ბონეტებით სავსე ბარდახშას ინახავენო. სერაფინს სინდისი ქენჯნიდა. ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა გაექურდა ის სახლი, სადაც თითქმის ყოველ საღამოს სტუმრობდა. მოხუცებსაც ხომ ის თავიანთ მფარველად ეიჩნდათ? ეტყობა, სერაფინს ჯერ მთლად არ აეღო სინდისზე ხელი, მაგრამ მადურეირა არ ასვენებდა, არ ეშვებოდა, ემუქრებოდა, პოლიციაში დაგაბეზღებო, თავის გასამართლებლად ხმის ამოღებასაც ვერ მოასწრებ, ისე დაგაპატიმრებენო. ბოლოს, კარაბინერი ისე დააშინა, რომ იგი ბოლოს და ბოლოს დათანხმდა, ოღონდ პირობა ჩამოართვა, მოხუცებს თითი არ უნდა დავაკაროთო. დაე, რაც არის, არისო.

ბოროტმოქმედებმა ყველაფერი წინასწარ გათვალეს. თავიანთი ჩანაფიქრის აღსასრულებლად საფრანგეთის მეფის სახელობის დღე შეარჩიეს. გეგმა კარგად იყო მოფიქრებული. დათქმულ დღეს სერაფინი ხოხუცებთან მივიდოდა, დალევდა რძიან ყავას და ეშმაკზე ჩამოაგდებდა სიტყვას. ამ დროს მადურეირა კარზე დააკაკუნებდა და სერაფინს იკითხავდა. ნილაბჩამოფარებული პორტუგალიელი მოხუცებს დაემუქრებოდა და, ვიდრე დაყვირებას მოასწრებდნენ, ხელ-ფეხს გაუკოჭავდა. კარაბინერი თავს ისე დაიჭერდა, ვითომ ქალების დაცვა უნდოდა და ბოლოს ორივენი დებს დერეფნის კარადაში შეკეტავდნენ. ყველაფერი, რომ დამთავრდებოდა, სერაფინი მათ კარადის კარს გაუღებდა და თავს ბოიკოტუნებდა, ვითომ მომხდარით ძალიან შეწუხებული იყო. ერთი კია: ბოროტმოქმედებს აფიქრებდათ მოსამსახურე ქალი დოლოროსა და სე-

რაფინის დაკითხვის პროცესი პოლიციაში, რაც გარდუვალი იყო. მაგრამ გამოსავალი მოძებნეს.

ორი დღით ადრე დოლოროსამ ვალენსიიდან გამოგზავნილი წერილი მიიღო, რომელშიც დის ავადმყოფობის ამბავს ატყობინებდნენ. წერილში ეწერა, საბრალო ერმელიტას კეთრი შეეყარა და უკანასკნელ დღეშიაო. მადურეირას და სერაფინს ეშვი არ ეპარებოდა, რომ ამ წერილის წაკითხვისთანავე დოლოროსა ვალენსიაში გაემგზავრებოდა.

მეორე სელისშემშლელი გარემოებაც მოაგვარეს. მოხუცებს ეშვი რომ არ აელოთ, სერაფინიც ცოტა ხნით გაკოჭილი უნდა ყოფილიყო, ვიდრე მადურეირა მოხუცებს კარადაში არ შეკეტავდა. მოგვიანებით კი კარაბინერი მოსამართლის წინაშე განაცხადებდა, მძარცველები ორნი იყვნენო. დონია დიგნას და დონია პერფექტას კი ცოტა ხნით კარადაში ყოფნა მოუწევდათ. განა რა უნდა მოსვლოდათ იქა? იმედია, არ დაიხოცებოდნენ! თქვეს და შეასრულეს კიდეც.

დონია დიგნამ სერაფინს ოხვრით გაულო გრძელი ჯაჭვით დაბმული კარი და მოუბოდიშა:

— იცით, რომ ჩვენი დოლოროსა შინ არ არის?

— არა, არ ვიცი.

— შემოუთვალეს შენი და კვდებაო, ჰოდა, ვალენსიაში გაემგზავრა.

— მართლა?

— საცოდავს თურმე კეთრი შეჰყრია. თქვენ იცოდით ეს ამბავი?

— აზრზე არ ვიყავი, დონია დიგნა.

— თურმე არაფერი არა ვართ ადამიანები, ორტის, ისღა დაგვრჩენია, ღმერთს მივუძღვნათ თავი.

ამ სიტყვების გაგონებაზე სერაფინს თითქოს შიგნით რაღაც ჩასწყდაო. სენტიმენტალური ადამიანი ნამდვილად არ ეთქმოდა, ჰოდა, უცნაური რამ დაემართა: მზად იყო იმ წუთში იქიდან თავქუდმოგლეჯილი გაქცეულიყო. თუმცა, არა, არ გაქცეულა და მაგიდას მიუჯდა. წინ დიდი და ლამაზი ჭიქით რძიანი ყავა ედგა.

დონია დიგნა კი საუბარს განაგრძობდა:

— ახლა უკვე იცით, რაც დაემართა საბრალო ერმელიტას.

— დიახ, დიახ.

— რა უბედურებაა. ჯერ მხოლოდ ორმოცდათერთმეტი წლისაა და უკვე უნდა აღესრულოს. ღმერთმა აცხონოს მისი სული.

— საბრალო ქალი!

სერაფინმა ალარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო ან რა ეთქვა. მერე დაბნეულმა ცხელი ყავა გადაისხა და ხველა აუვარდა.

დონია დიგნა ისევ განაგრძობდა:

— აი, ხომ ხედავთ?! განა შეიძლება აქ წყნარად იცხოვროს კაცმა?

— ოჰ, ოჰ! — ოხრავდა დონია პერფექტა, რომელიც იქვე იჯდა და ლამპის შუქზე წინდას ქსოვდა. დიგნა კი ენას არ აჩერებდა.

— მერწმუნეთ, ორტის, ჩვენ უკვე ხანდაზმული ხალხი ვართ. ზოგჯერ ვფიქრობ, მართალია უფალი ჯერჯერობით გვწყალობს, მაგრამ ყოველ წუთს შეუძლია წაგვიყვანოს ჩვენს საცოდავ დასთან-მეთქი.

სერაფინი შიშმა შეიპყრო, დიახ, ეს უცნაური და დაუძლეველი შიში იყო, რომლის მსგავსიც არასოდეს განეცადა. ცდილობდა თავს მორეოდა და მხნეობა მოეკრიბა. განა შეიძლება, კარაბინერს რაიმესი ეშინოდეს?! — ეუბნებოდა საკუთარ თავს, მაგრამ შიში ვერა და ვერ დაეძლია. ის კი არა, უკვე საკუთარი თავის რწმენას და წინასწორობასაც კარგავდა: ნეტავ მადურეირამ უკანასკნელ წუთს ხელი [illegible] თავის განსრახვაზე.

— და კიდევ ეს მაცდური ეშმაკი... მამისათა, ძისათა და სულისა წმინდისათა, ამინ! ამბობენ წმინდანებიც ვერ უძლებდნენ მათ ცდუნებასო. თქვენ ასე არ ფიქრობთ, ორტის?

სერაფინს ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ღრმა ძილიდან გამოერკვაო:

— დიახ, რა თქმა უნდა. ცდუნება ჰქონდათ და თანაც როგორი. მზარავს კიდეც ამაზე ფიქრი.

დონია დიგნა უცებ გამხიარულდა და ცნობისმოყვარეობით ჰკითხა ორტისს, კიდევ რა იცი ეშმაკზე.

— ორტის, იქნებ კიდევ გაიხსენოთ რაიმე? სატანაზე ყოველთვის ერთობ საინტერესო ამბებს ჰყვებით ხოლმე!

სერაფინმა თავს ძალა დაატანა და ძლივს ამოილულლულა.

— წმინდა პეტრე გამახსენდა.

— როგორ, წმინდა პეტრეც მათ შორისაა?!

— არის და მერე როგორ!!!

— კი მაგრამ, ვინ იყო მოციქული წმინდა პეტრე, წმინდა პეტრე ნოლასკო?

— რა შეკითხვაა! ვინ უნდა ყოფილიყო. წმინდა პეტრე წმინდა პეტრეა.

— მაპატიეთ, ეს სულ ჩემი უცოდინარობის ბრალია.

დონია ჰერფექტა ისევ და ისევ ვიშვიშებდა, დიგნა კი თავს აბეზრებდა სტუმარს შეკითხვებით. სერაფინი ლაპარაკად იქცა. თითონაც არ იცოდა, რას ლაპარაკობდა. დიგნას სახეში ვერ უყურებდა და სიტყვები ყელში ეჩხირებოდა. უნდოდა დაუყოვნებლივ გასცლოდა იქაურობას და აღარასოდეს დაბრუნებულიყო, მაგრამ პორტუგალიელის ეშინოდა. მართალია, ამ შიშის აღიარება არ სურდა, მაინც იძულებული იყო ბედს დამორჩილებოდა.

სერაფინს ეტყობოდა, ღელავდა. როგორც ალსასრულის დღეს, თვალწინ დაუდგა მთელი თავისი ცხოვრება, უცნაური და უაზრო. თუმცა არც ჰქონია მცდელობა ყოველივე გაეხსენებინა. მას ახლა გენერალი ვეილერი წარმოუდგა თვალწინ. ტანმორჩილი, მაგრამ ლომივით ძლიერი, შეუდრეკელი სულის ადამიანი. გაახსენდა მისი სიტყვები გმირობასა და მიზანსწრაფვაზე.

სერაფინმა გადაწყვიტა ნებისყოფა და გამბედაობა მოეკრიბა:

— დონია დიგნა, ხომ არ მიწყენთ, რომ წავიდე?

სერაფინს სინდისი ქენჯნიდა, ერთი წუთითაც აღარ უნდოდა აქ დარჩენა.

— დღეს ხიდზე უნდა ვიმორიგეო, საუბარი ხვალ გავაგრძელოთ.

— ვწუხვარ, ორტის! თქვენი მოსმენა ერთობ მსიამოვნებს.

— რას ვიზამთ, დონია დიგნა! ხომ იცით მოვალეობა...

— იქნება ცოტა ხანს კიდევ დარჩეთ?! აი, ნახეთ, ერთი ჭიქა ხერესი უნდა დაგისხათ. რაო, იქნება არ გიყვართ ხერესი?

— ნუ წუხდებით დონია დიგნა!

— რას ამბობთ, განა არ იცით, რომ ეს ჩემთვის შეწუხება არ არის. აი, ნახავთ, რა ღვინოა...

დონია დიგნამ კარადას მიაშურა. სწორედ ამ დროს კარზე ზარი დარეკეს. ქალმა ყურები ცქვიტა.

— უცნაურია, ვინ შეიძლება იყოს ასეთ დროს?

დონია პერფექტამ ისევ ამოიოხრა:

— ნეტავ ინსპექტორის ქალიშვილები ხომ არ არიან?! რა ცუდია, რომ დოლოროსა არ არის.

სერაფინს შიშისგან ენა ჩაუვარდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და ამოილუღლუღა:

— დონია დიგნა, თქვენ ნუ შეწუხდებით. მე გავაღებ.

კარაბინერის ნაბიჯებმა კიბეზე ბრაგაბრუგივით გაიხმიანა. მოაჯირს დაყრდნობილი, ნელა აუჩქარებლად ჩადიოდა. დონია დიგნამ დაიყვირა:

— ჯაჭვის გახსნა შეგიძლია?

სერაფინმა არ უპასუხა. უკვე კართან იდგა. ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. ამ წუთში თვით ეშმაკსაც კი მიჰყიდდა სულს, ოღონდაც ამ ტანჯვას ბოლო მოღებოდა. ამის იმედი ჯერაც არ დაჰკარგვოდა, კარს ყური მიადო და ფრთხილად იკითხა:

— ვინ არის?

— გამიღე, მშვენივრად იცი, რომ მე ვარ.

— არ გაგიღებ, არ მინდა და არ გაგიღებ!

— გამიღე-მეთქი, გეუბნები! ჰა, მიღებ, თუ არა?

სერაფინი დაიბნა. შეშინებულმა და ნირწამხდარმა წინააღმდეგობის გაწევა ველარ გაბედა. ახლალა ხვდებოდა, მადურეირას პატარა ბავშვივით ჰყავდა გამოჭერილი. შეთანხმების მიუხედავად პორტუგალიელი უნილბოდ იყო. მან სიძულვილით ალსავსე მზერა მიაპყრო სერაფინს, ერთი შეუკურთხა და უბრძანა ზემოთ ასულიყო.

— ბოზის შვილო, არარაობავ, კაცი არ ყოფილხარ!

კარაბინერი კიბეზე ავიდა. გვერდზე მადურეირა მიჰყვებოდა. კიბეზე ჩაქუჩის კაკუნივით გაისმა მათი ნაბიჯების ხმა.

დონია დიგნამ იკითხა:

— ვინ იყო?

პასუხი არავის გაუცია. სერაფინმა და მადურეირამ ერთმანეთს გადახედეს და ამით ყველაფერი თქვეს. ამ წუთებში პორტუგალიელი იმ

კონკისტადორს ჰგავდა, რომელსაც მატერიკი დაეპყრო. დიახ, თავისი შინაგანი ბუნებით იგი მართლაც დამპყრობელი იყო. სერაფინ ორტისი...

მადურეირას ხელში ჩაქუში მოემარჯვებინა, სერაფინს კი დერეფნიდან ქოლგა წამოელო.

დონია დიგნამ ისევ იკითხა:

— ვინ იყო?

პორტუგალიელი სასტუმრო ოთახში შევიდა და მონოლოგი წამოიწყო, რომელიც ხანმოკლე არ უნდა ყოფილიყო.

— ეს მე ვარ, სენიორა! არ გაინძრეთ და არ იყვიროთ, თუ გინდათ, რომ არაფერი დაგიშავდეთ. ჰო, ახლავე ფული უნდა მომცეთ!

და უცებ ელდანაკრავი მოხუცების კივილმა იქაურობა შეძრა. მადურეირამ დონია დიგნას თავში ჩასცხო ჩაქუჩი და იატაკზე დააგდო. მერე ამასაც არ დასჯერდა და ქალს რამდენიმე დარტყმა კიდევ მიაყენა, მკვლელი მზაკვრულად იცინოდა და ოქროს კბილებს აჩენდა, ხოლო პერანგი სისხლში ჰქონდა ამოთხვრილი. ამასობაში სერაფინი დონია პერფექტასთან ასწორებდა ანგარიშს და კაცმა რომ თქვას, ამას უფრო უხერხულობის გამო სჩადიოდა. ორტისმა ქალს ქოლგით სცემა. დონია პერფექტამ ხმის ამოღებაც კი ვერ მოასწრო, ისე განუტევა სული. სერაფინს მთლად დაუბნელდა გონება. მწვენებოდა, თითქოს დონია პერფექტა ჯერ ისევ ცოცხალი იყო და სულ უფრო და უფრო გამეტებით ურტყამდა. ბოროტმოქმედები გაიქცნენ და ფულიც გაიტაცეს, თუმცა ვიდრე ელოდნენ, იმაზე გაცილებით ნაკლები.

რამოდენიმე ხნის შემდეგ სერაფინ ორტისი ალოიას მთაზე მკვდარი იპოვნეს. თავი ჩაქუჩით ჰქონდა გაჩეხილი, მადურეირა კი მიიმალა.

ამ ვერაგულმა მკვლელობამ ხალხი აღაშფოთა.

---

1. ვეილერი და ნიკოლაუ, ვალერიანო — ესპანელი გენერალი (1838—1930), მონაწილეობდა სანტო დომინგოსა და კუბის სამხედრო კამპანიებში, აწყობდა რეპრესიებს კუბელი რევოლუციონერების წინააღმდეგ.

2. რიბეროს ღვინო — ღვინო, რომელსაც აწარმოებენ ორენსეს პროვინციაში. ეს ადგილი განთქმულია თავისი ღვინოებით.

3. მდინარე მინიო — მდ. ესპანეთში (გალისიაში), ჩაედინება ატლანტის ოკეანეში.

4. პაივა კოუსეირო, ენრიკე მიტჩელი — (1861—1944). პორტუგალიელი პოლიტიკოსი, მებრძოლი და მონარქი. მონაწილეობდა პორტუგალიასა და აფრიკას შორის წამოწყებულ ომებში.

ფორთოხალი ზამთრის ხილია

ფორთოხალი ზამთრის ხილია. ფორთოხლისფერი მზე მთებს მიეფარა და სამყაროს გზებს გაუყვა, უხილავი და შორეული სამყაროს გზებს. ბორცვის ძირში, სადაც მოჯირითე ცხენებს ფლობენ ბალახების კვალი დაეჩნიათ, ძველი სამრეკლოს გასწვრივ ოციოდე ჩაფრენილი, საძირკველმორყეული სახლი საღამოს ბინდ-ბუნდში ჩამწკრივებულიყო. ისინი იმ სულით ავადმყოფებს ჰგავდნენ, რომელთა ხორციც დროთა განმავლობაში ნაკელის მტვრად უნდა ქცეულიყო. ერთ დროს ტანწერწეტა და ამაყი, ამჟამად კი დანგრეული და გაშიშვლებული სამრეკლო ბრძოლაში დამარცხებულ მეომარს ჰგავდა. ქარი, თითქოს ერთობაო, შეჩვენებასავით დაატყდებოდა ხოლმე მას თავზე, ერთ-ორ მორყეულ ქვას გამოაცლიდა და შორს გადატყორცნიდა; ქვები კი წყევლა-კრულვით ეხლეჩოდნენ სახლების კრამიტებს, სახლებისა, რომელთაც პატრონი აღარასოდეს გამოუჩნდებოდა.

სამრეკლოს თავზე წეროს დაცარიელებული ბუდე გაზაფხულის მზის პირველ წითელ სხივებს ელოდა. ეს სხივები შორეული ქვეყნებიდან შინისაკენ უხმობდნენ ფრინველებს, დიახ, იმ უცნაურ ფრინველებს, ბეჯითი ბავშვებივით რომ შეესწავლათ დროის კალენდარი წეროს ბუდე თითქოს ქვაში ამოეშენებინა. უსწორმასწოროდ დაწყობილი უამრავ გამხმარ ტოტს არც მთებიდან მონაბერი ქარისა ეშინოდა და არც ჭექა-ქუხილისა. მიტოვებულ ბუდეს უფლის მადლი უზარმაზარი ფრინველივით დასტრიალებდა თავზე.

ღამღამობით ამ სახლების ფანჯრებიდან მკრთალი სინათლე გამოდიოდა. აქ დარაბებს მჭიდროდ არ ხურავდნენ, თუმცა არავინ იცის, რატომ?! იქნებ იმიტომ, რომ არ უნდოდათ ილუზიის, შიშისა თუ იმედის ჩახშობა! დიახ, აქ დარაბებს ღიად სტოვებდნენ სურვილებით აღსავსე გულის მსგავსად, რომელიც მარტოობაში ვერა და ვერ ჰპოვებდა ნუგეშს.

თვალს თუ მოჭუტავდი, ფანჯრებში გამომკრთალი სინათლის წვრილი ზოლები უკუნეთში დაბმულ ლანდებად ან ირლეესულ ხმლებად მოგეჩვენებოდა. ამ ლანდებს თითქოს ადამიანის, ცხენისა თუ მგლის თვალები ჰქონდათ, რომელთა მზერაშიც სიძულვილის ეკალ-ბარდები ირეკლებოდა. ამ ლანდების შემყურე ადამიანს ნერვები გაწყდებოდა, ნერვები, ჩვენს ტვინში ათასნაირად რომ იტოტებიან.

სუსხიანი ქარი ფერდობზე დაეშვა და ქუჩებში გაიშლიგინა. მერე მშიერი ძაღლივით, სტვენა-სტვენით დაურბინა მინავლული მოგონებებით სავსე ზეთისხილის ჭალას, ძველისძველი ვერცხლივით თუ ანტიკური მონეტასავით თუთუნისფრად რომ კიაფობდა. სწორედ ამ ჭალიდან მდინარემდე გადაჭიმულიყო ქვის ყორე, რომელიც ესტებან მორაგონის ცხვრებს ღამღამობით შემოჩვეული რუხი მგლისგან იცავდა.

ესტებან მორაგონი, მეტსახელად ტინტო, ახალგაზრდა კაცი იყო და სულ მალე დაოჯახებას აპირებდა. ქვის ყორე, სადაც მაყვლის ჯაგნარს გაედგა ფესვები, ბოთლის ნამსხვრევებითა და აბურდული მავთულებით იყო მოფენილი.

ბრგე პიკატელის დაბალჭერიანი, ნესტიანი დუქანი პატრონივით პირქუშად გამოიყურებოდა. და ბნელი და ხმაურიანი იყო. მეტისმეტად ქერათმიან პიკატელს უკვე ორმოცდაათი წელი შესრულებოდა. დიდად მჭამელი კაცი არ ეთქმოდა, თუმცა ბევრს ეწეოდა, სვამდა და თან ბოთამაში, ჩაშშვები და დიდი მექალთანეც ბრძანდებოდა, ამიტომაც ცოლი ხშირად შეახურებდა ხოლმე. პიკატელს აფრიკის ბრძოლებში მონაწილეობა, არუიტის მთაზე ფეხში ტყვიაც მოხვედრილა და დაკოჭლებულიყო ნაყვავილარი, ჩოფურა სახე ჰქონდა და ერთთავად ხველება ახრჩობდა.

აი, მხოლოდ ესაა, რის თქმაც პიკატელზე შეგვიძლია.

— მათხოვრობაში ამოგხდეს სული!

— . . .

— თვალები დაგიბრმავდეს!

— . . .

— ჭირი გეცეს!

— . . .

— ძირძიტა ამოგვიდეს ენაზე!

ამ დროს პიკატელი დასლში იჯდა.

— სეგურეხა, იქნებ მოკეტო?!

— მოვკეტავ, როცა თავად მომინდება!

პიკატელი პრაქტიკული ადამიანი იყო და იცოდა, როგორ დაეშოშმინებინა ცოლი.

— იქნებ ერთხელ კიდევ გაგვეხსენებინა დედაშენი, ჰა, სეგურეხა?

ამ სიტყვების გაგონებაზე სეგურეხა უმალ ჩაჩუმდებოდა ხოლმე. პიკატელის ცოლი დაბალი, მსუქანი, ოფლიანი და გავაგანიერი, ენაგარტალა ქალი იყო. პატიოსნებით გამორჩეულ სეგურეხას ახალგაზრდობაში მომხიბვლელობა და ფერხორცი არ აკლდა თურმე. ჩხუბის შემდეგ სეგურეხა სამზარეულოში შეიკეტებოდა ხოლმე და ყველაფერი წყნარდებოდა.

ტინტო და პიკატელი არ მეგობრობდნენ. ტინტოს საცოლეს ერთ სახლ პიკატელის სახლში მოახლედ უმუშავია. თუ ჭორებს დავუჯერებთ, ერთხელ პიკატელი სამზარეულოში შესულა და ტინტოს საცოლისათვის უთქვამს: გოგო, ნეტა რა თავს იკლავ მუშაობით, მიაფურთხე საქმეს, ყველაფერს სეგურეხა გააკეთებს. სხვა რისი მაქნისიაო.

ხმები დადიოდა, ტინტოს საცოლე ერთ დღეს ატირებული გამოვარდა პიკატელის სახლიდანო. სეგურეხას ჯოხით ისე უცემია ქალი, რომ კინალამ ხერხემალი გადაუმტვრევია მისთვის. ამ ამბის შემდეგ სეგურეხა ვითომ ხალხში ამბობდა: ნამდვილი ლორია. ჭუჭყიანი და უსირცხვილო. ჩემს პიკატელთან ერთად თავლაში კოტრიალობდაო.

ხალხი კი თითქოსდა ეკითხებოდა სეგურეხას:

— დეიდა სეგურეხა, ნუთუ თქვენი თვალით ნახეთ?

პიკატელის ცოლიც ვითომდა პასუხობდა:

— არა, არ მინახავს! ჩემი თვალით რომ მენახა, ნამდვილად მოვკლავდი. დიახ, მოვკლავდი-მეთქი.

სწორედ ამ მიზეზის გამო იყო, რომ პიკატელი და ტინტო არ მეგობრობდნენ.

პიკატელს დუქნის ჭერზე უამრავი ძეხვი და ბუზსაჭერი ქაღალდი ჰქონდა ჩამოკიდებული. ეს მწერები ხომ განსაკუთრებით ევლისსა და აგვისტოში გვაბეზრებენ ხოლმე ბზუილით თავს!

ტინტო მკვეთარა და ცრუპენტელა იყო. კარგად ცეკვავდა პასადობლეს, აფრიანი ქუდი ესურა და ბადით კალმახსაც ეჭერდა. თვალის დახამხამებაში შეეძლო ღორის დაკოდვა. ბიტურებს მასხა პირდაპირ გზაზე უგებდა და ოსტატურად იფურთხებოდა.

ასეთი მრავალმხრივი ნიჭი მას ოჯახიდან მოსდევდა. მამამისს უზარმაზარი ძუ მგელი თურმე ჯოხით ჰყავდა მოკლული.

— კი მაგრამ, სად ურტყამდი? — ეკითხებოდნენ ხოლმე მეგობრები.

— პირდაპირ სულში, ბიჭებო! ასე თუ არ ყოფილიყო, მიწა გამისკდეს და შიგ ჩამიტანოს!

ერთხელ ტინტოს მამამ ორ ტიკ ღვინოზე სანაძლეო დადო. სამსამ სენტიმოდ საპონი, მარილი, ლენტი, ლურსმნები, შაქარი, წიწაკა, წებო, პატრუქები, ღორის ქონი, საწერი ქაღალდი, ანილინის საღებავი, ორცხობილები, ნავთი, ზუმფარის ქაღალდი შეუჭამია და ზედ ის სამი სენტიმოც დაუყოლებია, რომელიც მეპატრონემ დახლის უჯრიდან საგანგებოდ ამოიღო. მამას სანაძლეო მოუგია და წაგებულს მისთვის საერთო ჯამში ექვსი რეალი გადაუხდია.

ამ ამბის შემდეგ მამა აფთიაქში შესულა და სამ სენტიმოდ სოდიანი ხსნარი დაულევია.

ახლა ის იყო, ტინტო პიკატელის დუქანში შევიდა:

— ეი, პიკატელ...

პიკატელმა იგი შეხედვის ღირსადაც არ გახადა. მხოლოდ უთხრა:

— ეუსებიო დამიძახე.

ტინტო კუთხეში დაჯდა.

— ეი, ეუსებიო!

— რა გინდა?

— ერთი ჭიქა თეთრი ღვინო მომიტანე და თუ გაქვს, რაიმე მისატანებელიც მოაყოლე!

— ძეხვი გინდა?

პიკატელი დახლიდან გამოვიდა. ხელში ღვინით სავსე ჭიქა ეჭირა.

— შემიძლია, ცოტა ვირთევზაც მოგართვა!

ტინტო კედელს მიეყრდნო და სკამი ორ ფეხზე ააქანავა.

— არა, არ მინდა! არც ძეხვი მინდა და არც ვირთევზა.

ტინტომ კვესი ამოიღო, ჩამქრალ სიგარას მოუკიდა და კმაყოფილმა კვამლის გრძელი ბოლქვი გამოუშვა.

— აი, ის ბუზებიანი ქაღალდი მომიტანე. დღეს რაღაც ბუზებს ჭამის გუნებაზე ვარ.

პიკატელმა ღვინით სავსე ჭიქა მაგიდაზე დადგა.

— ეგ ქაღალდი ჩემია და არ ვყიდი!

— ბუზებიც შენია?

— ბუზებიც ჩემია!

— უკლებლივ შენია?

— დიახ, ჩემია! შენ რაში გეკითხება ეგ ამბავი?

იმ დღეს პიკატელის დუქანში რა დატრიალდა, არავინ იცის და თუ იცის კიდეც, ამაზე ლაპარაკი არ უნდა. პოლიციელი დუქანში რომ შევარდა, მეპატრონე დახლის ქვეშ იხილა. სახეზე ალისფერი სისხლი ჩამოსდიოდა.

პოლიციელმა ფეხზე წამოაყენა პიკატელი, რომელსაც მიტკლის ფერი ედო.

— რა მოხდა?

ჭრილობიდან მოწანწკარე ალისფერი სისხლი შემზარავი სიზმრის ასოციაციას იწვევდა. პიკატელი გიჟს ჰგავდა, თვალებს აელმეზდა და ჩუმად იმუქრებოდა.

— სად გაქვს ყველაზე მტკივნეული ადგილი?! აი, სწორედ ყველაზე მტკივნეულ ადგილში უნდა გაგიყარო დანა!

პოლიციელი ტინტოს მიუახლოვდა. ის კვლავაც კუთხეში იჯდა და პიკატელის მხარეს არც კი იყურებოდა.

— რას ჭამ?

— ბუზებიან ქალალდს. რაო, ბატონო პოლიციელო, რატომ გაინტერესებთ, რას ვჭამ?

ფორთოხალი ზამთრის ხილია. ფორთოხლისფერი მზე დიდხანს უსმენდა პიკატელის გოდებას.

— სად გაქვს ყველაზე მტკივნეული ადგილი?! აი, სწორედ ყველაზე მტკივნეულ ადგილში უნდა გაგიყარო დანა!

სეგურეხამ პიკატელს ანისულის ბაყენიანი საფენები დააგო და სისხლდენა შეუჩერა, შემდეგ კი სიცხის დასაკლებად ძმრით დაზილა.

— სად გაქვს ყველაზე მტკივნეული ადგილი?! აი, სწორედ იქ, ყველაზე მტკივნეულ ადგილში უნდა გაგიყარო დანა!

— რას ამბობ?

პიკატელს თვალები დახუჭული ჰქონდა და არც კი ესმოდა სეგურეხას ხმა.

— სად გაქვს ყველაზე მტკივნეული ადგილი?! აი, სწორედ იქ, ყველაზე მტკივნეულ ადგილში უნდა გაგიყარო დანა!

ტინტო პოლიციის განყოფილებაში ირწმუნებოდა, არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის, გარდა იმისა, რომ ბუზების ჭამა მოვინდომეო.

— შემიძლია დედა დავიფიცო, სენიორ კაპრალო! შევჭამდი ბუზებს და როგორც მოვედი, ისევე ჩუმად წავიდოდი.

კაპრალი გუნებაზე ვერ იყო. დილაუთენია სწორედ იმ დროს წამოაგდეს ლოგინიდან, როდესაც სიზმარში თავისი კაპიტანი ესიზმრებოდა და ეუბნებოდა. — ძალლონე არ დაიშუროთ! რთულ საქმეს განდობთ! ასეთ საქმეებს მხოლოდ კეთილსინდისიერ ხალხს ანდობენ ხოლმე.

კაპრალი ბოლომდე მაინც ვერ მიხვდა, რა ბუზებზე იყო ლაპარაკი.

— კარგი, მოდი, ახლავე გავარკვიოთ, რატომ გინდოდა ბუზებიანი ქალალდების ჭამა.

ტინტო შეეცადა, რაც შეიძლება დამაჯერებლად ეპასუხა:

— სენიორ კაპრალო! იცით, ეს აზრი უეცრად მომივიდა თავში! ის ხალხი, რომელიც ცნობისმოყვარეობით ეკითხებოდა სეგურეხას მისი ქმრისა და ტინტოს საცოლეს ამბავს, ახლა ქვის ყორესთან შეკრებილიყო, ზეთისხილის ჭალიდან მდინარემდე რომ გრძელდებოდა.

ერთი საათის წინ პიკატელი სწორედ ამ მაგთულხლართიან ყორეს გადმოახტა. ხელში მჭრელი დანა ეჭირა. დანის მოელვარე პირი საღამო ყამს იმ ფანჯრების ჭუჭრუტანებიდან გამომზირალი შუქივით ელავდა, რომელთა დარაბები ბოლომდე არასოდეს არ იკეტებოდა. ვინ იცის, იქნებ ადამიანები შეგნებულადაც კი ტოვებდნენ მათ ღიად, რათა შურისძიებას, შიშსა და უიმედობას გზა ხსნილი ჰქონოდა.

პიკატელი ჩუმად იფურთხებოდა. მან ქვის ყორე გადმოლახა, რათა ტინტოს ტერიტორიაზე გადმოსულიყო.

— სად გაქვს ყველაზე მტკივნეული ადგილი?! აი, სწორედ ყველაზე მტკივნეულ ადგილში უნდა გაგიყარო დანა!

პიკატელი იქვე მორჩილად მდგარ ცხვრებს მიუახლოვდა; მის გულს ჩუსტად ისე გაუდიოდა ბაგაბუგი, როგორც იმ წუთებში, როდესაც ტინტოს საცოლესთან ერთად თავლაში შეიკეტებოდა ხოლმე.

პიკატელმა ცხვრებს ვნებათა ღელვით შეპყრობილ, ეჭვიან და მრუშ სულთანივით ისე ჩაუარა, თითქოს მხეცლების გარემოცვაში ყოფილიყო. მერე იგრძნო, უცებ ბოლმა ბურთივით როგორ გაეჩხირა ყელში.

— სად გაქვს ყველაზე მტკივნეული ადგილი?! აი, სწორედ ყველაზე მტკივნეულ ადგილში უნდა გაგიყარო დანა!

პიკატელმა განმარტოებით მდგარ ცხვარს ზურგზე ხელი გადაუსვა. ცხოველის მზერაში მან, ჯერ იყო და, სეგურეხას მზერა დაინახა, მერე კი ტინტოს საცოლის თვალები გაახსენდა, როდესაც მას საჯინიბოს ფუნით მოთხვრილ იატაკზე ეუფლებოდა.

პიკატელს უეცრად ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს საფეთქლებში ჩაქუჩს ურტყამდნენ. უძრავად მდგარი ცხვარი მის დანახვაზე ისე დაფრთხა, თავლაში მის დანახვაზე ტინტოს საცოლე რომ ფრთხებოდა ხოლმე.

პიკატელს თვალებზე ბინდი გადაეფარა... ცხვარმაც იგრძნო მისი ვერაგული მზერა...

საქმე ერთ წუთში მოთავდა. პიკატელმა დანა ძლიერად მოიქნია და ცხვარს ფაშვში გამოუსვა. ცხოველი შეტოკდა და მიწაზე დაენარცხა.

პიკატელის შემზარავი ხარხარი მთებში ექოდ გაისმა. ეს ხარხარი უზარმაზარი, გახელებული მამლის ყივილს ჰგავდა.

ხალხს კი ისევ და ისევ გაემართა მითქმა-მოთქმა იმის თაობაზე, რომ პიკატელსა და ტინტოს საცოლეს შორის რაღაც საიდუმლო კავშირი მართლა არსებობდა. ბრბო იმ ყორესთან შეგროვილიყო, ჭალიდან მდინარემდე რომ ჩადიოდა.

პოლიციელმა, რომელიც ახალ ამბავს ყოველთვის სულ ბოლოს იგებდა ხოლმე, ძლივს გაარღვია ხალხი.

— რა მოხდა?

— ისეთი არაფერი. პიკატელმა ტინტოს ყველა ცხვარი დაუხოცა.

დიახ, ფორთოხალი ზამთრის ხილია.

ფორთოხლისფერი მზე ჯერ კიდევ უხილავ და შორეულ სამყაროს გზებზე დაბორიალობდა, ხოლო როდესაც მთებიდან გადმოიხედა, პიკატელს უკვე კარგა შორს მიეტოვებინა ბორცვიცა და პირქუში, უსაპური, ჩაყამებული სახლებიც.

ახლა იგი სომნამბულასავით მიუყვებოდა შორეულ სამყაროსაკენ მიმავალ გზებს და ისევ ლუღლუღებდა:

— სად გაქვს ყველაზე მტკივნეული ადგილი?! აი, სწორედ ყველაზე მტკივნეულ ადგილში უნდა გაგიყარო დანა!

ფორთოხლისფერი მზე მას გულგრილად უნათებდა გზას.

ეჭვი არ არის: ფორთოხალი ნამდვილად ზამთრის ხილია.

ოჰ, ეს თხეები!

ხუთი საათი იქნებოდა. ძველი პროვინციის დედაქალაქში ლიტერატურულ-სამეცნიერო საზოგადოებას უკვე დაემთავრებინა შეკრება. დონ სერვანდოს, ლიტერატურის თეორიის მასწავლებელს და, როგორც თვითონ ირწმუნებოდა, ნუნიეს დე არსესა და დონ რამონ დე კამპოამორის სულიერ მეგობარს, დამქანცავი მჭევრმეტყველებითა და, რაღა თქმა უნდა ღვთის წყალობით, უკვე საკარძლებში მიეწვინა დამსწრეთა საში მეოთხედი. ხოლო დონ მანუელს, ტრონკოსოს სანოტარო კანტორის ენადაშაქრულ მწერალს ჩვეულებისამებრ უკვე წარმოეთქვა ლამაზ-ლამაზი სიტყვები ბნელი ღამის შავ მოსასხამზე.

აი, უკვე რამდენი წელია, ეს მეგობრული თავყრილობა ამ ორი კაცის გამოჩენას ელოდებოდა, რათა სხდომა გახსნილად გამოეცხადებინა და დარბაზის კარიც ჩაეკეტა. მის წევრებს, წინდახედულ კონსერვატორ ბატონებს დიახაც რომ მოსწონდათ პროგრესი, მაგრამ იგი, რაღა თქმა უნდა, კარგად გააზრებული უნდა ყოფილიყო. ისინი დღითიდღე სრულყოფილებისაკენ ილტვოდნენ. გულმოდგინედ ვარჯიშობდნენ, რაა მათი მიხრა-მოხრა და ჩვეულები საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს არ გასცდენოდა. უკვე მოეწიათ თავიანთი კუთვნილი სიგარეტი, გადაეთვალიერებინათ „ლა ტარდეში“ გამოქვეყნებული ნეკროლოგები და ყავაც დეელიათ. ამ თავყრილობაზე უსიტყვო წესი თუ შეთანხმება დამკვიდრებულიყო, სახელდობრ: სიტყვა არავის არ უნდა დაეძრა, სანამ საზოგადოების ყველა წევრი არ მოიყრიდა თავს.

ისილაკდნენ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებს და მხოლოდ ხანდახან თუ შეეხებოდა ხოლმე საუბარი ალფონსო XII[2]-ის საყვარლებს ან სახელგანთქმული მაცანტინის[3] საოცარ მოაერხებულობას.

დონ სერვანდო, რომელიც ყოველთვის იგვიანებდა, გამოსასვლელად ემზადებოდა, მაგრამ თმაგაბურძგნულმა დონ დანიელმა ხელით მეგობრულად ანიშნა გაჩუმებულიყო და თვითონ ითხოვა სიტყვა.

— ბატონებო, ეს პრობლემა დიდი ხანია მოსვენებას არ მაძლევს. აწორედ ამიტომ ვმუშაობდი მასზე ასე გულმოდგინედ წლების განმავ-

ლობაში. გუშინ ღამით საბოლოოდ ჩავწვდი საკითხის არსს და ახლა, თუ ნებას მომცემთ, მოგახსენებთ...

დონ დანიელი წვერიანი ექიმი იყო. ერთი ჩვეულებრივი რესპუბლიკელი. რომელსაც სამეფო კარზე დიდი გავლენა ჰქონია, მაგრამ დროთა განმავლობაში ქალმა დანიელს თურმე ისე მოაბეზრა თავი, რომ ექიმმა მოთმინება დაკარგა და ქალბატონს ყველაფერი პირში შეასხა. განრისხებულმა ქალმა დონ დანიელს სახეში გოგირდმჟავა შეასხა. ძმებობდნენ ამ შემთხვევამ ექიმს საშინელი ჭრილობა დაუტოვა ყელსა და სახეზეო. ძნელი სათქმელია, ეს ამბავი სინამდვილეს შეეფერებოდა თუ არა. ერთი კია, რომ არც ყელსა და არც სახეზე მას ნაიარევის კვალიც კი არ ემჩნეოდა.

საზოგადოების წევრებმა დონ დანიელს ხელით ანიშნეს, სიტყვა გაეგრძელებინა და მანაც აღელვებული ხმით წარმოსთქვა:

— ბატონებო, მშვენივრად მოგეხსენებათ რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ცუდ დღეშია. ეს ახალი ამბავი არ არის და მარტო წუწუნითაც საქმეს ვერ ვუშველით. გამოსავალი უნდა მოვძებნოთ. შევეცდები მოკლედ ჩამოვაყალიბო ჩემი აზრი და იმ ღონისძიების მნიშვნელობა დაგანახოთ, რომლის განხორციელებაში მთავრობაც უნდა დაგვეხმაროს.

ჩემო მეგობრებო! ესპანეთი ის ქვეყანაა, სადაც დაუყოვნებლივ უნდა დავხოცოთ ყველა თხა. ვფიქრობ, სამომავლოდ ეს აუცილებლად უნდა განვახორციელოთ. ბატონებო, ესპანეთში ცხოვრების დონე ერთობ დაბალია იმის გამო, რომ აქ მრეწველობა არ არსებობს. თუ გადავხედავთ განვითარებულ ქვეყნებს, დავინახავთ, რომ ისინი დღითიღე იფურჩქნებიან. ინგლისმა, გერმანიამ და საფრანგეთმა თავიანთი მოქალაქეების ცხოვრების დონე წარმოუდგენლად აამაღლეს. ჰოდა, გეკითხებით, ბატონებო, რატომ არ არსებობს ესპანეთში მრეწველობა? პასუხი ერთმნიშვნელოვანია: მრეწველობა ესპანეთში იმიტომ არ არსებობს, რომ ესპანელი ვაცი ნაკლებად შრომისმოყვარეა. მაგრამ რას ნიშნავს ეს? იგი ზარმაცია, თუ თანდათანობით დაკარგა შრომის სურვილი?

ამ საკითხზე ბევრი ვიფიქრე, ჰოდა, ახლა ჩემი მოსაზრება მინდა თქვენც გაგიზიაროთ. თუმცა ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი ვარაუდი არც თუ მთლად ჩამოყალიბებული მაქვს. პაი, პაი, რომ ესპანელს შრომის ტრფიალი არ ეთქმის. მოდი, თავს ნუ მოვიტყუებთ და ნუ ვიტყვით, თითქოს ეს ასე არ არის. შრომისადმი მოთხოვნილების დაკარგვამ ესპანელი ერი გააღატაკა. ნუ შეშინდებით ჩემი თეზისი კონსტრუქციულია. მაშ, რატომ გაღატაკდა უძველესი და კეთილშობილი ესპანელი ერი? ამაზე ორი აზრი არ არსებობს. იმიტომ, რომ ესპანელი ერი არ მიირთმევს ხორცს, ხოლო ხორცს იმიტომ არ მიირთმევს, რომ ესპანეთში მესაქონლეობა არ ვითარდება. დიახ, ამ ქვეყანაში არ არსებობს მესაქონლეობა საძოვრების სიმცირის გამო. თუ არ ჩავთვლით ჩრდილოეთის სანაპიროს ზოგიერთ მხარეს, ესპანეთში საძოვრები ან გადამწვარია ან საერთოდ არ არის. შეიძლება ამ საქმის გამოსწორება? იმედი ვიქონიოთ, რომ შეიძლება. იქნებ მოვძებნოთ მიზეზი, რომელმაც ეს ყველაფერი გამოიწვია. ჩვენს სამშობლოში საძოვრები უბრა-

ლოდ იმიტომ არ არის, რომ აქ წვიმები იშვიათია. შეიძლება მისაყვედუროთ და თქვათ: განა ესპანელებს რა დანაშაული მიუძღვით ისეთი, რომ მათ მიწაზე ციდან არ გადმოედინება ის წყალობა, რომელსაც წვიმა ჰქვიათ?! ამის ახსნა ძნელი არ არის. ჩვენს ველ-მინდვრებს იმიტომ არ აწვიმს, რომ ტყეები არა გვაქვს. ჰოდა, ეს საკითხი, ბატონებო, ჩვენი მთავრობის ჩარევის გარეშე ვერ მოგვარდება.

ესპანეთში ტყეები იმიტომ არ არის, რომ საკმარისია ხის ყლორტი ამოიწვეროს, რათა მზის სითბოთი დატკბეს, ხოდა მოვა ამ დროს თხა და ფესვიანად შეახრამუნებს, უნდა შეველიოთ თხებს, თუკი გვინდა, ცხოვრებას ფეხი ავუწყოთ. ამ შემთხვევაში მე სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ.

დონ დანიელმა მძიმედ დახარა თავი. ხუმრობა ხომ არ არის, იგი ამ საკითხზე წლების განმავლობაში გულმოდგინედ მუშაობდა. იმ დღეს მან მეგობრების განსაკუთრებულად დიდი პატივისცემა დაიმსახურა.

შენიშვნები:

1. ნუნიეს დე არსე-გასპარი (1834—1903) და რამონ დე კამპოამორი (1817—1901) — ესპანური პოსტმოდერნიზმის წარმომადგენლები პოეზიაში.
2. ალფონსო XII — ესპანეთის მეფე (1857—1885).
3. მაცანტონი და ეგია, ლუისი (1856—1926) — ცნობილი ესპანელი ტორეადორი.

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ᲘᲜᲒᲔᲒᲝᲠᲒ ᲒᲐᲮᲛᲐᲜᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘᲓᲐᲜ

თარგმნა ᲦᲣᲚᲣ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲛᲐ

ᲓᲦᲔᲜᲘᲐᲓᲐᲒ

ომს დღეს არავის უცხადებენ,
ომს აგრძელებენ. გაუგონარი
ყოველდღიურ მოვლენად იქცა.
გმირი
ბრძოლას არ ეკარება. სუსტია ახლა
ცეცხლის ხაზზე მხნე მეომარი,
მოთმინებაა დღის უნიფორმა,
ჯილდო — იმედის შესაბრალისი
ვარსკვლავია მკერდს მიბნეული.

მას ანიჭებენ,
როცა ირგვლივ აღარც რა ხდება,
როდესაც სდუმან დაფდაფები,
უჩინარი გამხდარა მტერი
და უსასრულო იარაღით
აღჭურვის ჩრდილი
ცას მოსდებია.

მას ანიჭებენ
ბაირაღთა მიმტოვებელ
მოღალატეებს,
მოყვასის წინ ჩადენილი
მამაცობისთვის,
ბიწიერი საიდუმლოს გაცემისათვის,
ნებისმიერ ბრძანებათა დაუდევარი
მოპყრობისათვის.

ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲝ, ᲒᲐᲛᲐᲜᲓᲔ, ᲛᲘᲗᲮᲐᲠ!

ლაღსალმიანი ქუდი შენი ლივლივებს ქარში,
შენს უსარქმელო თავს ღრუბლებიც ეგებებიან,
გულს კი სულ სხვაგან დაუდევს ბინა,
ახალ ენაზე მეტყველებენ ბაგენი შენი,
ცახცახა ბალახს გაზაფხული აყელყელავებს,
ასტრებს დაფურცლავს ზაფხულის ქროლვა,
ფურცელ-ფანტელით დაბრმავებული აღაპყრობ
სახეს,

ხან იცინი და ხან კი სტირი და იღუპები,
მეტი რაღა უნდა შეგემთხვეს —

სიყვარულო, გამანდე, მითხარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარშავანგი მოზეიმე გაოცებით შლის უცხო
ბოლოს,
მტრედი ბუმბულის საყელოს აშლის,
ღულუნით სავსე, ფართოვდება თითქოს ჰაერი,
მამალი იხვი გაბმულად კივის,
მთელს შემოგარენს ატკბობს ველური თაფლის
სურნელი,
პარკშიც თითოეულ კვალზე ოქროს მტვერი აყრია.

საქვირითოდ მოადგა თევზი, მოსწყდა ქარავანს
და მღვიმეებით მიაშურა მარჯნის სარეცელს.
ვერცხლის ქვიშათა ჰანგზე როკავს აქ მორიელი.
ჭიამაია სასურველს ყნოსვით გრძნობს შორიდანვე;
მეც რომ მქონოდა მისი ალღო, ვიგრძნობდი უმალ,
რომ მას ბაკნის ქვეშ ფრთებიუბრწყინავს,
და შორეული მარწყვის ბუჩქნარს მივაშურებდი!

სიყვარულო, გამანდე, მითხარ!

წყალმაც კი ენა ამოიდგა,
ტალღამ ჩაჰკიდა ტალღას ხელი,
ვენახში ყურძნის მწიფს მტევანი, სკდება და ცვივა.
ასე გულდინჯად ლოკოკინა ტოვებს ნიჟარას!

ქვამაც კი იცის, ქვა რით მოალბოს!

ო, სიყვარულო, ამიხსენი, რასაც ვერ ჩავწვდი:
ეს უმძიმესი მოკლე ხანი ფიქრს შევალიო,
აღარ შევიგრძნო სიყვარული და აღარც გავცე?
ეგონოს მავანს, რომ აღარავის ენატრება?

შენ მეუბნები: სულ სხვა გონსა აქვს იმედი მისი...
ნუ, ნუ მიხსნი. ვიცი და ვხედავ, რომ სალამანდრა
ყოველნაირ ცეცხლს გადალახავს.
შიში არ დევნის და ტკივილიც არ ეკარება.

სიტყვებო, ჰეი

სიტყვებო, ჰეი, გამომყევით,
ჩვენ ხომ საკმაოდ გავიმანძილეთ,
ღრმად შევიჭერით, გავსწიოთ ისევ,
განვაგრძოთ კვლავაც გზა
უსასრულო.

არ ჩანს ნათელი.

სიტყვა
კი მაინც
აიყოლიებს მომდევნო სიტყვებს,
ფრაზა სდევს ფრაზას.
სამყარო ითხოვს,
ძირფესვიანად
გამოიხატოს,
ბოლომდე ითქვას.
თქვენ იმდუმარეთ.

სიტყვებო, მომყეთ,
რომ არ დარწყულდეს
ერასოდეს სიტყვის წყურვილი
და შესიტყვებას მიეგოს სიტყვა!

ახლა მცირე ხანს დაანებეთ
გრძნობებს დუმილი,
და გულის კუნთსაც
აპატიეთ ფეთქვა სხვანაირი.

დაანებეთ, გთხოვთ დაანებოთ.

უზენაესი სმენისთვისაც,
არავითარი, გიმეორებთ,
სიკვდილის მიმართ არ დაგცდეთ
სიტყვა;
მომყევით მხოლოდ, არა
პირმოთნედ,
არც მწარე სიტყვით,
არც სანუგეშოდ,
არც უნუგეშოდ.
არა ალნიშვნით,
მაგრამ მაინც ითქვას სათქმელი —

ოღონდ ეს არა: სურათი
მტვერწაყრილი, მარცვალთრიალი
ცარიელი, კვდომის სიტყვები.
აღკვეთეთ სიტყვა მომაკვდინები,
ჰეი, სიტყვებო!

ჰაინრიხ ფონ კლაისტი

მარკიზა ფონ ო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანულიდან

თარგმნა რუსუდან გეჟაშვილმა

ანოტაცია

ჰაინრიხ ფონ კლაისტი (1777—1811) გერმანული რომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელია. ავტორია არაერთი პიესის, ნოველისა თუ მოთხრობისა. წინამდებარე ნოველა მწერალმა გამოაქვეყნა 1808 წ. ნოველა გამოირჩევა რთული წინააღმდეგობრივი ხასიათით. ერთი მოულოდნელი შემთხვევა მკვეთრად ცვლის მთავარი გმირის მთელ ცხოვრებას. მოვლენათა უჩვეულო განვითარება ემსახურება ბედისწერის იმ იდეების გამოხატულებას, რომელიც საერთოდ დამახასიათებელია კლაისტისათვის.

ზემო იტალიის ერთ დიდ ქალაქ მ-ში მარკიზა ფონ ო. — შესანიშნავი რეპუტაციის მქონე ქვრივი ქალბატონი და ასევე შესანიშნავად აღზრდილი შვილების დედა გაზეთში იუწყებოდა, რომ თავადაც არ იცის, როგორ აღმოჩნდა ფეხმძიმედ და თუ მომავალი ბავშვის მამა გამოჩნდებოდა, თანახმა იყო ცოლად გაჰყოლოდა მას ოჯახური შეხედულებებიდან გამომდინარე.

ქალი, რომელიც გამოუვალმა მდგომარეობამ იძულებული გახადა ეს საყოველთაოდ დასაცინი ნაბიჯი ეგზომ დამაჯერებლად გადაედგა, ახლდათ მ.-ის ციტადელის კომენდანტის ბატონ გ-ს ქალიშვილი. სამიოდე წლის წინ მან დაკარგა ძვირფასი მეუღლე მარკიზი ფონ ო., რომელიც საოჯახო საქმეების გამო იმყოფებოდა პარიზში. ამის შემდეგ ქალმა თავისი სათაყვანებელი დედის ფრაუ ფონ გ-ს სურვილით დატოვა ქმრისეული სახლი ქალაქ ვ-ს მახლობლად და თავის შვილებთან ერთად დაბრუნდა მშობლებთან ციხე-სიმაგრეში. აქ იგი მთელი არსებით მიეცა ხელოვნებას, წიგნებს, შვილების აღზრდასა და მშობლებზე ზრუნვას და მანამდე ცხოვრობდა სრულ განმარტოებაში, ვიდრე ომმა* არ იფეთქა და იქაურობა თითქმის ყველა სახელისუფლო ჯარებით, მათ შორის რუსებითაც, არ გაივსო. როცა პოლკოვნიკმა გ-მ ციხე-სიმაგრის დაცვის ბრძანება მიიღო, ქალიშვილს შესთავაზა, ან შენს

---

* იგულისხმება სუვოროვის ლაშქრობა იტალიაში 1799 წელს, როდესაც მან აიღო ქალაქები: მილანი, ტურინი, მანტუა...

მამულში გადადი დედაშენთან და შვილებთან ერთად ან შენი ძმის მამულშიო, რომელიც ვ-ს ახლოს მდებარეობდა, მაგრამ ვიდრე ქალები გაარკვევდნენ, ნაკლები საფრთხე სად ელოდათ — რუსების მიერ ალყაშემორტყმულ ციხე-სიმაგრეში თუ მიყრუებულ მამულში — რუსებმა კომენდანტს დანებება მოსთხოვეს. კომენდანტმა [illegible] გამოუცხადა, თქვენი აქ ყოფნა მე ველარ დამაკავებსო და [illegible] ტყვიებითა და ყუმბარებით უპასუხა. მოწინააღმდეგემაც არ დააკლო ხელი, ყუმბარები სეტყვასავით დააყარა ციტადელს, ცეცხლი წაუკიდა საწყობებს და ბელთ იგდო ერთ-ერთი გარე სიმაგრე. როცა დარწმუნდნენ, კომენდანტი დანებებას არც ახლა აპირებსო, ციხე-სიმაგრე იერიშით აიღეს ღამით.

სწორედ იმ დროს, როცა რუსები ქვემეხების ქუხილით ციტადელში შეიჭრნენ, კომენდანტის სახლის მარცხენა ფრთას ცეცხლი წაეკიდა, რამაც ქალები აიძულა, დაეტოვებინათ ეს ადგილი. პოლკოვნიკის მეუღლე ქალიშვილს მაშინ დაედევნა, როცა იგი შვილებიანად კიბეზე ჩარბოდა და დაუძახა, სარდაფში შევაფაროთ თავიო, მაგრამ ამ დროს სახლში ყუმბარა აფეთქდა და ირგვლივ თითქოს ყველაფერი მიჩუმდა უცებ. მარკიზა ორი ბავშვით სასახლის წიხა მოედანზე აღმოჩნდა. იქ ცხარე ბრძოლა მიმდინარეობდა. შაშხანებიდან გამოვარდნილი ცეცხლის ენები ღამის წყვდიადს ანათებდა. დაბნეული მარკიზა ისევ ცეცხლმოკიდებულ შენობაში შევარდა, აქ კი, საუბედუროდ, როცა იგი უკანა კარიდან გასვლას ლამობდა, მტრის მსროლელთა რაზმს გადაეყარა. ქალის დანახვაზე ჯარისკაცები შეჩერდნენ, თოფები მხარზე გადაიკიდეს, მარკიზას ხელი სტაცეს და საძაგელი მანჭვა-გრეხით თან გაიყოლეს. ერთმანეთის მოცილე საშინელი ხროვა ქალს აქეთ-იქით ექაჩებოდა, მარკიზა ამაოდ უხმობდა საშველად შეშინებულ, უკვე ჭიშკარს გადაღმა მიმალულ თავის მსახურებს. იგი სასახლის უკანა ეზოში გაათრიეს და მათთან ძიძგილაობისგან ღონემიხდილი ქალი ის იყო მიწაზე უნდა დაეგდოთ, რომ მოულოდნელად ერთი რუსი ოფიცერი გაჩნდა იქ. მის ყურს მისწვდენოდა ქალის უღონო ყვირილი. ოფიცერი დაერია ნადავლის გადასაქელად გამზადებულ გამხეცებულ ჯარისკაცებს და მიფანტ-მოფანტა. მარკიზამ ცით მოვლენილ ანგელოზად მიიჩნია იგი. ერთ გამხეცებულ ჯარისკაცს, რომელიც ქალის ულამაზეს სხეულს ეპოტინებოდა, ოფიცერმა დაშნის ვადა ჰკრა სახეში და ჯარისკაციც სისხლის ფურთხებითა და ბარბაცით გაშორდა იქაურობას. შემდეგ ოფიცერმა მშვენიერი ფრანგულით მიმართა ქალს, ნება მომეცით ხელი შეგაშველოთო. ყოველივე განცდილ-გადატანილისაგან ენაწართმეული მარკიზა ოფიცერმა სასახლის როგორღაც გადარჩენილ ფრთაზე გადაიყვანა. აქ კი ქალმა გონი დაკარგა. ვიდრე შეშინებული მსახურები მოცვივდებოდნენ, ოფიცერმა ექიმის მოყვანა ბრძანა, თითონ კი ისევ ბრძოლის ველს დაუბრუნდა.

მალე ციხე-სიმაგრემ ფარ-ხმალი დაყარა და კომენდანტმაც, რომელიც მხოლოდ იმიტომღა სწევდა წინააღმდეგობას, რომ შეწყალების იმედი არ ჰქონდა, ძალაგამოცლილმა დაიხია სასახლის კარიბჭისაკენ, საიდანაც უცებ სახეალეწილი რუსი ოფიცერი გამოვარდა და შეაძახა,

დაგვნებდიო. კომენდანტმა მშვიდად მიუგო, მხოლოდ ამ მოთხოვნასლა ველოდებოდიო, თავისი დაშნა გადასცა და სასახლეში შესვლის ნება ითხოვა, ოჯახის ამბავი მინდა შევიტყოო. რუსმა ოფიცერმა, რომელიც, ეტყობა, იერიშს მეთაურობდა, კომენდანტს თხოვნაზე უარი არ უთხრა, ოღონდ თან ბადრაგი გააყოლა, თავად კი თავის ერთ-ერთ რაზმთან ერთად გაეშურა იქითკენ, სადაც ჯერ კიდევ იგრძნობოდა წიხლის ალმდეგობა. სწორედ იქ გადაწყდა ბრძოლის ბედიც. რუსები ციხე-სიმაგრის ყოველ კუთხე-კუნჭულს დაეუფლნენ. მალე მან ბრძანება გასცა, ჩაექროთ ხანძარი, თითონაც ისეთი სიმარდითა და მონდომებით ჩაერთო ამ საქმეში, რომ ყველანი შიშით შესცქეროდნენ ცეცხლმოკიდებულ სახურავზე მდგარი ოფიცერი რეზინის მილით ხელში როგორ მიმართავდა წყლის ჭავლს ცეცხლმოდებული ადგილებისაკენ. არსენალიდან დენთით სავსე კასრები და ყუმბარებიც გამოიგორა და ამის შემყურე აზიელებს შიშის კანკალიც აუტეხა. ამასობაში კომენდანტმა სახლში შეაღწია და რომ გაიგო თავის ქალიშვილს თავს გადამხდარი ამბავი, ძალზე აღელდა. მარკიზა რუსი ოფიცრის გამოძახებული ექიმის მოსვლამდეც მოეგო გონს, ფრიად გაუხარდა, თავისიანები უვნებელი რომ იხილა, ლოგინში მხოლოდ იმიტომ ვწევარ, თქვენ რომ დაგამშვიდოთო. ძალიან მინდა, ჩემს მხსნელს მადლობა ვუთხრაო. ქალმა უკვე იცოდა, რომ ის გრაფი ფ. გახლდათ, მსროლელთა კორპუსის პოდპოლკოვნიკი, არაერთი ორდენის კავალერი. მარკიზამ მამას სთხოვა, გრაფს გადაეცი, ციტადელის დატოვებამდე სასახლეში წუთით შემოიაროსო. კომენდანტმა გულთან მიიტანა ქალიშვილის სურვილი, დაუყოვნებლივ დაბრუნდა ციტადელში და რადგან გრაფი ხშირად იცვლიდა ადგილს სხვადასხვა განკარგულებების გასაცემად, მხოლოდ მაშინღა მოიხელთა იგი გულაჩუყებული ქალიშვილის დანაბარების გადასაცემად, როცა ეს უკანასკნელი თავის შეთხელებულ რაზმს ათვალიერებდა. გრაფმა თავის მხრივაც გამოთქვა სურვილი შეხვედრისა, მოუთმენლად ველი იმ წუთს, საქმეებს როგორც კი მოვილევ, მინდა ჩემი მისდამი თაყვანისცემა პირადად გამოვუცხადოო. მოიკითხა, თავს როგორ გრძნობს ქალბატონი, მაგრამ ამ დროს ოფიცრებმა მოირბინეს და სასწრაფოდ გადასცეს ახალი ბრძანება და გრაფიც კვლავ საბრძოლველად გაქანდა. მეორე დღეს, დილით, ჩამოვიდა რუსეთის ჯარების მთავარსარდალი და ციტადელი დაათვალიერა. კომენდანტისადმი ღრმა პატივის ნიშნად, მან სინანული გამოთქვა, რას იზამთ, არ გაგიმართლათო, ენდო მასპინძლის პატიოსან სიტყვას და გაათავისუფლა იგი, სადაც ინებებთ, გზა ასნილი გაქვთო. კომენდანტმა მადლობა მოახსენა და დასძინა, დიდად დავალებული ვარ თქვენგან და განსაკუთრებით ახალგაზრდა გრაფ ფ-სგან, მსროლელთა კორპუსის პოდპოლკოვნიკისაგან. გენერალმა იკითხა, კი მაგრამ, ასეთი რა მოხდაო, და როცა კომენდანტის ქალიშვილზე მხეცური თავდასხმის ამბავი მოახსენეს, უკიდურესად განრისხებულმა სასწრაფოდ გამოიძახა გრაფი ფ. ჯერ შეუქო კეთილშობილური საქციელი, რაზეც ახალგაზრდა ოფიცერს სახეზე მთლად ჭარხლისფერი დაედო, შემდეგ კი უბრძანა, იმპერატორის სახელის შემარცხვენელი ავაზაკები დახვრეტის ღირსნი არიან და დაშისახელე ისინიო.

გრაფი შეცბა, ღამე იყო, ფანრების მკრთალ შუქზე მათი სახეები ვერ გავარჩიე და გვარებსაც ამის გამო ვერ ვიტყვიო. გენერალმა იცოდა, რომ სასახლის გარშემო ხანძარი გიზგიზებდა და გაოცდა, ერიად, როგორ ვერ დაინახა, შენიშვნა მისცა, საკუთარ ჯარისკაცებს ოფიცრები ხმაზეც უნდა სცნობდნენ სიბნელეშიო, დაავალა, ეს საქმე უყურადღებოდ არ დატოვოთ, დაწვრილებით გამოიკვლიეთო. ამ დროს ვილაცამ უკანა რიგებიდან გამოიღწია და გენერალს მოახსენა, გრაფ ფ-ს მიერ დაჭრილი ერთ-ერთი ავაზაკი დერეფანში იპოვეს იატაკზე და ახლა ცალკე ოთახშია დამწყვდეულიო. გენერალმა მისი მოყვანა ბრძანა ბადრაგის თანხლებით, დიდხანს დაკითხვა საჭირო არ არისო და მას შემდეგ რაც იმ დაჭრილმა თავისი ბანდის სხვა ოთხი წევრიც დაასახელა, გენერალმა ბრძანა, ხუთივე დაეხვრიტათ. ამის მერე გენერალმა მცირე რაზმი დატოვა ციტადელში, დანარჩენებს კი უბრძანა დაძრულიყვნენ. ოფიცრები სასწრაფოდ თავ-თავიანთ ნაწილებში გაცვივდნენ. ამ საერთო არეულობაში გრაფი კომენდანტს მიეახლა და მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ ამგვარ ვითარებაში მარკიზასთან შეხვედრას ვერ ახერხებს და სთხოვა, უმორჩილესი მოკითხვა გადაეცა მისთვის. სულ რაღაც ერთ საათში, ციხე-სიმაგრეში ერთი რუსიც აღარ იყო.

სანამ კომენდანტის ოჯახი იმაზე ფიქრობდა, გრაფისადმი მადლიერების გრძნობა როგორ და როდის გამოეხატა, შეიტყვეს, რომ გრაფი ციტადელის დაბომბვის დღესვე მოწინააღმდეგეთა ჯართან შერკინებისას სასიკვდილოდ დაჭრილიყო. ამ ამბავმა ისინი ძალიან დაამწუხრა. ამბის მომტანს საკუთარი თვალით უნახავს, სასიკვდილოდ მკერდში დაჭრილი გრაფი როგორ მიჰყავდათ პ-საკენ, სადაც სარწმუნო წყაროებით, იგი მაშინ გარდაიცვალა, როცა ჯარისკაცებს საკაციდან გადმოჰყავდათ. კომენდანტი თავად გაემგზავრა ფოსტაში ამ ამბის დაწვრილებით გასაგებად და შეიტყო, რომ სასიკვდილოდ დაჭრილ გრაფს დაუყვირია: „ჯულიეტა, მიწია ცოდვამ!" ამის შემდეგ სამუდამოდ დადუმებულან მისი ბაგენი. მარკიზა ძალზე შეწუხდა იმის გამო, რომ არ მიეცა შემთხვევა, ფეხებში ჩავარდნოდა თავის მშველელს. თავს საყვედურობდა, გრაფმა რომ არ შემოიარა სასახლეში, თავმდაბლობით მოუვიდა, მე უნდა მომეძებნა იგიო. ებრალებოდა უბედური თანამოსახელე ქალიც, ვისზეც გრაფი სიკვდილის წინაც ფიქრობდა; მარკიზა ეცადა ეპოვა იგი და ეს ამაღელვებელი შემთხვევა მოეთხრო, მაგრამ ამაოდ. თავადაც კარგა ხანი დასჭირდა, ვიდრე ამ ამბის დავიწყებას შეძლებდა.

გ-ს ოჯახს მოუწია დაეცალა სახლი რუსი გენერლისათვის. გადაწყვიტეს, კომენდანტის ერთ-ერთ მამულში გადასახლებულიყვნენ, რაც მარკიზას ყველაზე მეტად სურდა, მაგრამ რაკიღა პოლკოვნიკს სოფელში ცხოვრება არ უყვარდა, ქალაქში იქირავეს ბინა და გადაწყვიტეს მუდმივად დარჩენილიყვნენ აქ. ცხოვრება კვლავ თავის წესით წავიდა. მარკიზამ კვლავ განაახლა დიდი ხნის შეწყვეტილი მეცადინეობა შვილებთან, თავისუფალ დროს კი ისევ თავის მოლბერტსა და წიგნებს უჯდა. მაგრამ მოულოდნელად უცნაურმა ავადმყოფობამ შეუტია, თუმცა გარეგნულად ავადმყოფობისა არა ეტყობოდა რა. საზოგადოებაში

ველარ ჩნდებოდა, გულისრევას, თავბრუსხვევას და გონების დაკარგვას უჩიოდა, ვერ კი მიმხვდარიყო, რა ხდებოდა მის თავს. ერთხელ დილით, როცა მთელი ოჯახი ჩაის მიირთმევდა და მამა უცებ ოთახიდან ერთი წუთით გავიდა, ხანგრძლივი ფიქრიდან გამორკვეულმა მარკიზამ დედას უთხრა: „რომელიმე ქალს ჩემნაირი გრძნობა რომ ჰქონოდა, აი-ესეთი, როგორიც ახლა დამეუფლა, ვიფიქრებდი, ფეხმძიმედაა-ფეხმძიმეს ფონ გ-ძ უპასუხა, ვერ გავიგეო. მარკიზამ კიდევ ერთხელ აუხსნა დედას, ეს-ესაა ისეთი რამ ვიგრძენი, როგორიც მეორე შვილზე ორსულობისასო. ქალბატონმა გ-ძ მიუგო, ალბათ ფანტასტუსს* დაბადებო და გაიცინა. „მორფეუსი ან მისი ამალიდან რომელიმე სიზმარი იქნება მამამისი", — უპასუხა მარკიზამ ასევე სუმრობით. ოთახში პოლკოვნიკი შემოვიდა და ქალებმაც საუბარი შეწყვიტეს. რამდენიმე დღეში მარკიზაც გამოკეთდა და ეს შემთხვევა აღარც გახსენებიათ.

გავიდა ხანი, და სწორედ მაშინ, როცა მათთან კომენდანტის ვაჟი მეტყველ ფონ გ. სტუმრობდა, ერთ დღეს კამერდინერმა გამოაცხადა, გრაფი ფ. გეახლათო. გაოცებისაგან ყველანი დამუნჯდნენ. კამერდინერი ირწმუნებოდა, არაფერი მომჩვენებია, თავად ვიხილე იგი და ახლა მოსაცდელ ოთახშიაო. კომენდანტი წამსვე წამოდგა და თავად გაემართა სტუმრისკენ. მართლაც, მალე გამოჩნდა იგი, ყმაწვილი ლმერთივით მშვენიერი, ოდნავ ფერმკრთალი. რა თქმა უნდა, გაოცების დაფარვა არავის უცდია, უფროსმა გ-ებმა ისიც უთხრეს, მკვდარი გვეგონეთო. როგორც ხედავთ, ცოცხალი გასლავართო, მიუგო გრაფმა. შემდეგ მოწიწებით მიუბრუნდა ქალიშვილს და უპირველეს ყოვლისა ჰკითხა, როგორ ბრძანდებითო. მარკიზამ დაარწმუნა, მშვენივრად გახლავარ და მხოლოდ ის მაინტერესებს მკვდრეთით როგორ აღსდექითო. გრაფი მაინც არ მოეშვა, დარწმუნებული იყო ქალმა სიმართლე არ უთხრა, რადგან სახეზე მოთენთილობა ეხატა, უთხრა, ან მე ვცდები, ან კიდევ ეს ავადმყოფობის და წუხილის ნიშანიაო. იმ გულითადობით აღფრთოვანებულმა მარკიზამ, რითაც გრაფმა ეს სიტყვები წარმოთქვა, უპასუხა, ჩემი მოთენთილი გამომეტყველება მართლაც ერთი კვირის წინ გადატანილი ავადმყოფობით აიხსნება, მაგრამ, ვფიქრობ, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, რაზეც გრაფმა სიხარულით ანთებულმა მიუგო, იმედი მაქვს, ასეც იქნებაო და მოულოდნელად ჰკითხა, ცოლად თუ გამომყვებითო? მარკიზა სახტად დარჩა, რა უპასუხოს? სახეშეფაკლულმა გადახედა დედას, რომელმაც არანაკლებ დაბნეულმა, ქმარსა და ვაჟს შეავლო თვალი. ამასობაში გრაფი მარკიზასთან მიიჭრა, საოცნელად დასწვდა მის ხელს და მოუთმენლად ჰკითხა, ხომ გაიგეთ, რასაც გთხოვთო. კომენდანტმა აღელვებულ გრაფს თავაზიანად შესთავაზა სკამი. ქ-ნმა გ-ძ მორიდებით შეჰბედა, „ჩვენ ისევ მოჩვენება გვგონიხართ, იქნებ გვიამბოთ, როგორ აღსდექით იმ საფლავიდან, ბ-სთან". გრაფი მარკიზას ხელს დაეხსნა, დაჯდა და თქვა, გარკვეული ვითარების გამო, მოკლედ გიამბობთ ყველაფერსო. მკერდში მძიმედ დაჭრილი ბ-ში წაუყვანიათ, სადაც რამდენიმე თვე თავადაც არ ჰქონდა

* სიზმრის ბერძნ. ღმერთი, მორფეუსის ვაჟი.

გადარჩენის იმედი. მთელი ეს სანი მხოლოდ მარკიზა იყო მისი ერთადერთი საფიქრალი. ერთდროულად ტკივილიცა და სიხარულიც ახლდა მარკიზას გახსენებას, გამოჯანმრთელებული ბოლოს და ბოლოს ჯარს დაუბრუნდა. იქაც არ ასვენებდა მარკიზაზე ფიქრი. რამდენჯერ აუღია ხელში კალამი, რათა პოლკოვნიკისა და მარკიზასადმი თავისი გულის ნადები მიეწერა, მაგრამ ხან რა უშლიდა ხელს, ხან რა. ხან ნეაპოლში გაგზავნეს, იქიდან კიდევ სად გაგზავნიდნენ, არც უწყოდა, იქნებ კიდევ უფრო შორს, კონსტანტინოპოლში, შესაძლოა პეტერბურგშიც კი. ასე ცხოვრება ნამდვილად აღარ შეეძლო, უნდა მიჰყოლოდა გულის კარნახს და გზად შემოევლო, რათა თავისი დასახული მიზნის ასასრულებლად ნაბიჯი გადაედგა. ერთი სიტყვით, იმედოვნებს, მარკიზა გააბედნიერებს, ამიტომაც გადაჭრით ითხოვს დადებით პასუხს.

კომენდანტმა ხანგრძლივი დუმილის შემდეგ თქვა, რომ გრაფის წინადადება ფრიად სერიოზული და მაცდუნებელიც კი ჩანს, მაგრამ მისმა ქალიშვილმა მეუღლის, მარკიზ ფონ ო-ს გარდაცვალების შემდეგ გადაწყვიტა, მეორედ აღარ გათხოვილიყო. მაგრამ რადგან სულ ცოტა ხნის წინ გრაფმა ქალს ესოდენ დიდი სამსახური გაუწია, სავსებით შესაძლებელი იყო, მის ქალიშვილს თავისი გადაწყვეტილება გრაფის სასარგებლოდ შეეცვალა. კომენდანტმა მარკიზას სახელით მოსაფიქრებელი დრო ითხოვა. გრაფი აღელდა, ეს მოწყალე პასუხი მართალია იმედით მავსებს და სხვა ვითარებაში ალბათ თავს ბედნიერადაც ჩავთვლიდი, მაგრამ ახლა ეს იმედი მეცოტავება, რადგან მიზეზთა და მიზეზთა გამო, რისი გამხელის უფლებაც არა მაქვს, მსურს უფრო გარკვეული პასუხი მოვისმინო, ნეაპოლში წასასვლელად ცხენები უკვე იტალიაში შებმული მელოდება და თუ ამ სახლში რაიმე ჩემს სასარგებლოდ მეტყველებს — და თან მარკიზას შეხედა — ნუ გამიშვებთ თანხმობის გარეშეო. ესოდენ დაჟინებული თხოვნისგან ოდნავ შეცბუნებულმა პოლკოვნიკმა მიუგო, მარკიზას მადლიერების გრძნობა, მართალია, იმედის მომცემია, მაგრამ გარკვეულ ზღვრამდე, იგი ცხოვრებისთვის ესოდენ მნიშვნელოვან ნაბიჯს აჩქარებითა და დაუფიქრებლად ვერ გადადგამს, ჩემი აზრით, საბოლოო პასუხის გაცემამდე მარკიზამ ახლოს უნდა გაგიცნოთო. ამიტომაც მივლინების დამთავრების შემდეგ კვლავ მ-ში გიწვევთ გარკვეული ხნით სტუმრად. და თუ მარკიზა დარწმუნდება, რომ ბედნიერი იქნება თქვენთან, უსათუოდ მიიღებთ დადებით პასუხს. გრაფს სიწითლემ გადაუარა და თქვა, რომ მთელი გზა მხოლოდ ასეთ დასასრულს უწინასწარმეტყველებდა თავის მოუთმენელ სურვილს. მისდა სამწუხაროდ, უხერხულ როლში, ამჟამად რომ იმყოფება, მისთვის ნამდვილად სასურველია, უფრო ახლოს გაიცნონ. ცხოვრებაში მან მხოლოდ ერთადერთხელ ჩაიდინა უღირსი საქციელი, რომელიც არავისთვის გაუმხელია და ამჟამად გამოსწორებას ცდილობს. ერთი სიტყვით, ღირსეული კაცია და ყველას სთხოვს, ირწმუნონ მისი.

კომენდანტმა გულწრფელად მიუგო: გვჯერა თქვენი, იშვიათად შევხვედრივარ ახალგაზრდას, ასე მოკლე ხანში ამდენი კარგი თვისება გამოემჟღავნებინოსო. ამასთანავე დასძინა: მჯერა, ამ მოკლე დროში თუკი რამ პატარა ეჭვი მაინც არსებობს, ისიც ვაიფანტები, ამასთან,

საჭიროდ მიმაჩნია ჩემს ოჯახს მოველაპარაკო და ასევე თქვენს ოჯახსაც, ეს არის ჩემი პასუხი. გრაფმა უპასუხა, რომ მშობლები არა ჰყავდა და ამ მხრივ დამოუკიდებელი იყო. ჰყავდა ბიძა, გენერალი კ., რომლის თანხმობაშიც ეჭვი არ ეპარებოდა. ისიც დაუმატა, რომ მნიშვნელოვანი შეძლების პატრონი გახლდათ და მზად არის იტალია თავის სამშობლოდ აღიაროს. კომენდანტმა თავაზიანად დაუკრა თავი, თავისი სურვილი კიდევ ერთხელ განუმარტა და სთხოვა, მივლინებიდან დაბრუნებამდე ამ თემაზე საუბარი შეეწყვიტათ. გრაფმა ხანმოკლე დუმილის შემდეგ — ამ დუმილისას ძლიერი მღელვარება ეტყობოდა — მარკიზას დედას მიუბრუნდა: ყველაფერი ვიღონე, ეს მივლინება რომ თავიდან ამეცილებინა, სარდალსაც მივმართე, ბიძაჩემ კ-საც, მაგრამ ვერაფერს გავხდი. მათი აზრით, სწორედ მივლინებით თუ გავიქარვებდი იმ ნაღველს, ავადმყოფობამ რომ დამიტოვა. სინამდვილეში კი სწორედ ამ მივლინების გამო ვარ უბედური. ამის გაგონებაზე მასპინძლები დაიბნენ, არ იცოდნენ, რა ეპასუხათ. გრაფმა შუბლი მოისრისა და გააგრძო, რაიმე იმედი რომ მქონდეს სურვილთან მიახლოებისა, გამგზავრებას ერთი ან მეტი დღითაც გადავდებდი. ჯერ კომენდანტს გადახედა, შემდეგ მარკიზასა და დედამისს. კომენდანტმა უკმაყოფილო მზერა შეავლო და არაფერი უპასუხა. მისმა მეუღლემ კი უთხრა: „წადით, წადით, გრაფო, გაემგზავრეთ ნეაპოლში, დაბრუნებისას ცოტა ხნით გაგვაბედნიერეთ თქვენი სტუმრობით, და შემდეგ ყველაფერი მოგვარდება“.

გრაფი ცოტა ხანს დუმდა, ჩანს ფიქრობდა, რა ელონა. შემდეგ წამოდგა, სკამი გვერდით გადადგა და თქვა: ჩემი იმედი ნაადრევი აღმოჩნდა და არ შემიძლია თქვენს წინადადებას არ დავეთანხმოო. შემდეგ განაგრძო, რომ იგი დავალებას შეასრულებს: დეპეშებს ც-ში მთავარ ბინაზე გადააგზავნის, რათა იქიდან სხვა შიკრიკმა მიიტანოს ადგილზე, ოვითონ კი მასპინძლების თავაზიანი მოპატიჟებით ისარგებლებს და სიამოვნებით გაატარებს რამდენიმე დღეს მათ ოჯახში. ამ სიტყვების წარმოთქმისას მან კომენდანტს შეხედა, კომენდანტმა კი უთხრა: არ მინდა, მარკიზასადმი სიყვარულმა რაიმე უსიამოვნება მოგიტანოთო. ამასთანავე დაუმატა, თქვენი საქმეებისა თქვენ უკეთ მოგეხსენებათო და ერთი სიტყვით, დეპეშების გაგზავნის შემდეგ, შეგიძლიათ თქვენთვის გამოყოფილ ოთახებში დაბინავდეთო. ამ სიტყვების გაგონებაზე გრაფი გაფითრდა, კომენდანტის მეუღლეს თავაზიანად ეამბორა ხელზე, სხვებს თავი დაუკრა და გავიდა.

მისი ოთახიდან გასვლის შემდეგ ყველანი დაბნეულობამ შეიპყრო. დედამ თქვა, შეუძლებელია, ნეაპოლში მისატან დეპეშებს ც-ში მხოლოდ იმიტომ აგზავნიდეს, რომ მ-ში გზად გავლილმა ხუთწუთიანი საუბრისას ვერ შეძლო მისთვის სრულიად უცნობი ქალისაგან თანხმობა მიელო ცოლობაზე. მეტყველმა აღნიშნა, ასეთი არასერიოზული საქციელისათვის, არც მეტი, არც ნაკლები, გრაფს პატიმრობა ელისო. და სამსახურიდან დათხოვნაცო, დაუმატა პოლკოვნიკმა. მაგრამ ვიმედოვნებს არ მოხდება, რადგან დეპეშების გადაგზავნამდე გრაფი ალბათ კიდევ ერთხელ დაფიქრდებაო. დედამ რომ შეიტყო, რა საშინელება ემუქრე-

ბოდა გრაფს, შეშფოთდა ფრიად, გრაფი დეპეშებს მაინც გადააგზავნის, რადგან ეტყობა, ერთი მიზნისკენ მიმართული ნება უბიძგებს ასეთი მოქმედებისაკენ. ფრაუ ფონ გ-მ სთხოვა თავის ვაჟს, ახლავე უკან გაჰყოლოდ და ურჩია, ეს საბედისწერო ნაბიჯი არ გადადგა. მეტყველმ უპასუხა, ჩემს რჩევას საწინააღმდეგო შედეგი მოჰყვებოდა, გამარჯვების იმედი უფრო გაუცხოველდებაო. მარკიზაც ამ აზრისა იყო, თუმცა არწმუნებდა ძმას, თუ არ ჩაერევი, გრაფი დეპეშებს უსათუოდ გაგზავნის, რადგან გრაფს საკუთარი სისუსტის გამომჟღავნებას ურჩევნია უბედურება დაატყდეს თავს. ყველანი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ გრაფის საქციელი მეტად უცნაური იყო, და რომ, ეტყობა, გრაფი დაჩვეული იყო ქალთა გულების დაპყრობას ერთი შეტევით, ცივ-სიმაგრესავით. იმავ წამს, სადარბაზოსთან კომენდანტმა გრაფის შეკაზმული ეტლი დაინახა. ოჯახის წევრებს ფანჯარასთან მოუხმო და გაკვირვებული მოუბრუნდა ის იყო შემოსულ მსახურს, გრაფი კიდევ აქ არისო? მსახურმა მიუგო, ქვედა სართულზე საერთო ოთახშია ადიუტანტთან ერთად, წერილებს წერს და ლუქავსო. კომენდანტმა დაბნეულობას სძლია და მეტყველესთან ერთად სწრაფად ჩაირბინა ქვევით. გრაფი საწერად მოუხერხებელ მაგიდაზე აწესრიგებდა თავის წერილებს, კომენდანტმა შესთავაზა, იქნებ ჩემს კაბინეტში გვმუშავაო, და საერთოდ, რით შეიძლება დაგეხმაროთო? გრაფმა მადლობა გადაუხადა, საქმე უკვე მოვამთავრეო. შემდეგ საათი იკითხა, წერილი დალუქა, ადიუტანტს ჩანთა გადასცა და კეთილი მგზავრობა უსურვა. რომ დაინახა, ადიუტანტი მიდისო, კომენდანტმა თვალებს არ დაუჯერა: „გრაფ, თუ მეტად მნიშვნელოვანი მიზეზი არ გაქვთ.“ „მაქვს და თანაც როგორი!“ სიტყვა ჩამოართვა გრაფმა, ადიუტანტი კარეტამდე მიაცილა და კარი გაულო. „ასეთ შემთხვევაში მე დეპეშებს მაინც...“ განაგრძო კომენდანტმა, „ეს შეუძლებელია, — გრაფმა ადიუტანტს ხელი შეაშველა კარეტაში ასვლისას, — დეპეშებს უჩემოდ ნეაპოლში არაფითარი მნიშვნელობა არ აქვს, ამაზეც ვიფიქრე; დაიძარი!“ „ბიძათქვენის წერილები?“ გამოსძახა ფანჯრიდან გადმოხრილმა ადიუტანტმა. „მ-ში დამხვდება“, მიუგო გრაფმა. „წადი!“ — დაიძახა ადიუტანტმა და კარეტაც დაიძრა. გრაფი ფ. კომენდანტს მიუბრუნდა, პატივს ხომ არ დამდებთ და ჩემს ოთახამდე ხომ ვერ მიმაცილებთო. დაბნეულმა პოლკოვნიკმა უპასუხა, ეს თავად ჩემთვის იქნება დიდი პატივიო და გრაფისა და თავის ხალხს მოუხმო, რათა ბარგისთვის მიეხედათ. შემდეგ გრაფი სტუმრებისათვის განკუთვნილ ოთახებამდე მიაცილა და ცივად დაემშვიდობა. გრაფმა ჩაიცვა, იქაურ გუბერნატორთან ვაემგზავრა და მთელი დღე არ გამოჩენილა, შინ მხოლოდ ვახშმამდე ცოტა ხნით აღრე დაბრუნდა.

მთელი ამ ხნის მანძილზე ოჯახი აფორიაქებული იყო. მეტყველი იხსენებდა, რა მიზანმიმართულად პასუხობდა გრაფი კომენდანტის ზოგიერთ გამონათქვამს და მიაჩნდა, რომ გრაფს წინასწარ ჰქონდა გააზრებული ყველაფერი და ვერაფრით ვერ გაეგო, რატომ ჩქარობდა დაქორწინებას. კომენდანტმა თქვა, ამ ამბისა მეც ვერაფერი გამიგიაო და ამაზე ნულა ვილაპარაკებთო. დედა წამდაუწუმ ფანჯარაში იყურებოდა, გრაფს ელოდა, იქნებ ჭკუაზე მოვიდეს და ყველაფერი კეთილად დამ-

თავრდესო. ბოლოს, როცა უკვე ჩამობნელდა, დედა ხელსაქმით გართული ქალიშვილს მიუჯდა, მარკიზას ეტყობოდა, საუბარს გაურბოდა. მაგრამ დედამ მაინც ჰკითხა ჩუმად, ამ ამბისა თუ გესმის რამეო. მარკიზამ მორცხვად ანიშნა კომენდანტზე, რომელიც აღელვებული აკვირდებოდა ბოლთას. „მამას რომ ემარჯვა და გრაფი როგორმე ნეაპოლში გამგზავრებულიყო, ყველაფერი კარგად იქნებოდა". „ნეაპოლში?" — იკითხა კომენდანტმა, რომელმაც ყური მოკრა ამ სიტყვებს. — მე რა უნდა გამეკეთებინა, მღვდელი მომეყვანა თუ დამეპატიმრებინა და ბადრაგით გამეგზავნა ნეაპოლში?" „ეგ არა, — უპასუხა მარკიზამ, — მაგრამ დაჟინებული თხოვნითა და გონივრული რჩევებით იქნებ გადაგეთქმევინებინა", — მარკიზა კვლავ თავის ხელსაქმეს მიუბრუნდა. შებინდებისას, როგორც იქნა გრაფიც გამოჩნდა. ყველანი ხელსაყრელ წუთს ეძებდნენ, რათა პირველივე თავაზიანი სიტყვების შემდეგ საუბარი კვლავ მის გამგზავრებაზე ჩამოეგდოთ, და თუ ჯერ კიდევ გვიან არ იყო, გადაწყვეტილება შეეცვლებინებინათ. მაგრამ ამაოდ, ვახშამმა ისე ჩაიარა, მიზანს ვერ მიაღწიეს. გრაფი მოხერხებულად ირიდებდა თავს მისთვის არასასიამოვნო თემაზე საუბარს. ხან კომენდანტს ესაუბრებოდა ომზე, ხან მეტყველებს — ნადირობაზე. როდესაც ქალაქ პ-სთან თავის დაჭრის ამბავს იხსენებდა, კომენდანტის მეუღლეს ჰკითხა, როგორ გრძნობდით თავს იმ პატარა ქალაქში, ალბათ საკმარისად ვერ გიელიდნენო. გრაფმა არ დაახანა და ერთი-ორი ისეთი საგულისხმო წუთები გაიხსენა, რომლებიც ადასტურებდნენ მის სწრაფვას მარკიზასადმი. ხშირად მელანდებოდა ჩემს სასთუმალთან მჯდომარე, სიცხით გათანგულს ერთხელ გედის სახით მომეველინა, იმ გედის სახით, ჯერ კიდევ პატარამ ბიძაჩემის მამულში რომ ვნახეო. განსაკუთრებით დაამახოვრდა ერთი ამბავი, პატარა გრაფს გედისთვის ტალახის გუნდა უსვრია, მაგრამ გედმა წყალში ჩაყვინთა და კვლავ დაიბრუნა თავისი ქათქათა ფერი. მარკიზას გრაფი ხშირად ცეცხლმოდებულ ტალღებში მოცურავეს ხედავდა და თინკათი, გედის სახელით უხმობდა, მაგრამ ამაოდ. გედი თავის სტიქიაში იყო, ლაღად ცურავდა და მკერდით მიაპობდა ტალღებს. უცებ გრაფი სახეზე წამოჭარხლდა, თავდავიწყებით მიყურს მარკიზაო, შემდეგ გაჩუმდა და თეფშს ჩაამტერდა. როგორც იქნა, ვახშმობა დასრულდა და ყველანი წამოიშალნენ. გრაფმა უფროს ქალბატონთან ხანმოკლე საუბრის შემდეგ ყველას თავი დაუკრა და თავის ოთახს მიაშურა. ყველანი კვლავ გაოცებულნი დარჩნენ და არ იცოდნენ, რა ეფიქრათ. კომენდანტმა თქვა, გრაფს ალბათ თავისი გავლენიანი ნათესავების იმედი თუ აქვს, თორემ სხვაგვარად, სამსახურიდან სამარცხვინო დათხოვნა ელისო. ფრაუ ფონ გ-მ თავის ქალიშვილს ჰკითხა, ბოლოს და ბოლოს ძალიან მაინტერესებს, რა აზრისა ხარ გრაფზეო, შეგიძლია, რაიმე ისეთი შემოგვთავაზო, რომ უბედურება თავიდან ავიცილოთო. ამაზე მარკიზამ უპასუხა: „დედაჩემო! ეს ხომ შეუძლებელია; ვწუხვარ, რომ ჩემი მადლიერება ასეთი მკაცრი გამოცდის წინაშე დადგა. მე ხომ უკვე რახანია გადავწყვიტე, აღარ დავქორწინდე, სულაც არ მინდა კვლავ სასწორზე შევაგდო ჩემი ბედი, მით უმეტეს ასე დაუფიქრებლად!"

მეტყველემ შენიშნა, თუ მარკიზას გადაწყვეტილება საბოლოოა, იგი აუცილებლად გრაფსაც უნდა მოვახსენოთო. ამაზე პოლკოვნიკის მეუღლემ მიუგო, რაკილა ამ ახალგაზრდა კაცმა, რომელიც, გარდა იმისა რომ კარგი პიროვნება ჩანს, იტალიაში ცხოვრების სურვილიც გამოთქვა, ჩემი აზრით, მისი წინადადება ანგარიშგასაწევია. [illegible] ამდენად, მარკიზას გადაწყვეტილებაც საინტერესოაო. მეტყველე [illegible] ფრთხილად მიუჯდა და ჰკითხა, გრაფი თუ მოგწონს, ან საერთოდ რა აზრისა ხარ მასზეო. თითქმის დაბნეულმა მარკიზამ მიუგო: „მომწონს და არც მომწონს", — და დასძინა, იქნებ სხვათა აზრიც გაგვიგო მასზეო: „ვთქვათ, გაკითხვა-გამოკითხვით დავადგინეთ მისი პიროვნება და ჩვენს საერთო შთაბეჭდილებასა თუ შეხედულებას მიესადაგა იგი, ნეაპოლიდან ჩამოსულმა გრაფმა კვლავ რომ გთხოვოს ცოლობა, შენ რას უპასუხებდი?" — ჰკითხა დედამ. „რადგან ესოდენ დიდი სურვილი აქვს... — ქალი აღელდა, თვალები აუელვარდა, — რადგან მისგან დავალებულიცა ვარ, დავთანხმდებოდი". ამის გამგონე დედამ სიხარული ვეღარ დაფარა, რადგან დიდი სურვილი ჰქონდა ქალიშვილის მეორედ გათხოვებისა. მეტყველე აღელდა, თუ მარკიზა მხოლოდ მოვალეობის გამოა თანახმა, სწორედ ახლაა საჭირო წინდახედულება, რათა სისულელე არ ჩაიდინოსო. დედაც დეთანხმა, მაგრამ ამავე დროს აღნიშნა, ბოლოს და ბოლოს არც ისე სარისკო ნაბიჯს გადადგამს, ამ ყმაწვილმა კეთილშობილება გამოავლინა იმ ღამეს, რუსებმა რომ ციტადელი აიღეს. ამდენად, არა მგონია, რაიმე უკადრისი იკადროსო. მარკიზა აღელვებული ჩანდა და იატაკს ჩაშტერებოდა. „პირობა უნდა მივცეთ, — დედამ ქალიშვილს ხელი ჩასჭიდა, — რომ მის ჩამოსვლას დაელოდები". მარკიზამ მიუგო: „მე კი მივცემ ამ პირობას, დედა, მაგრამ ვშიშობ, ეს არ დაამშვიდებს მას, ჩვენ კი დაგვაბნევს". „ეგ საქმე მე მომანდე! — ხალისით უთხრა დედამ და ქმარს შეხედა. — ლორენცო, შენ როგორ ფიქრობ?" — ქალბატონმა ადგილიდან წამოდგომა დააპირა. კომენდანტი ლაპარაკში არ ერეოდა, ფანჯარასთან იდგა და ქუჩაში იყურებოდა. მეტყველემ გამოაცხადა, ამ უწყინარი პირობით გრაფის სახლიდან გაცილებას მე მოვაგვარებო.

„მიდიო, მიდიო, დაფაცურდით! — აყვირდა უცებ კომენდანტი, — გამოდის, კიდევ ერთხელ უნდა დავნებდე ამ რუსს!"

დედა გახარებული წამოხტა, ჯერ ქალიშვილი, შემდეგ კი ქმარი გადაკოცნა, რომელსაც ცოლის საქმიანმა იერმა ღიმილი მოჰგვარა. დედას ისლა აფიქრებდა, ეს ყოველივე გრაფისთვის როგორ მოეხსენებინათ. მეტყველის წინადადებით, გრაფის მოსახმობად კამერდინერი აფრინეს, რომელსაც გრაფმა პასუხად მიუგო, მაქვს პატივი, გეახლოთო. და ის იყო კამერდინერი დაბრუნდა, რომ სიხარულით ფრთაშესხმული გრაფიც გამოჩნდა. ოთახში შესვლისთანავე გრძნობამორეულმა მოიყარა მუხლი მარკიზას წინაშე. კომენდანტი რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ გრაფი უმალ ფეხზე წამოდგა და მიუგო, ჩემთვის ყველაფერი გასაგებიაო. კომენდანტი გადაკოცნა, მის მეუღლეს ხელზე ეამბორა, შემდეგ მარკიზას ძმას გადაეხვია და თხოვა, სამგზავრო კარეტა მომიმზადეთო. თანაც დასძინა, ეს ჩემთვის დიდი პატივისცემა იქნებაო. ვაჟის

ამგვარმა საქციელმა მარკიზა მართლა აღაფრთოვანა, მაგრამ მაინც უთხრა: „მე არ მეშინია, გრაფ, რომ თქვენი ნაჩქარევი იმედები ფრიად მორს...“ „არაფერია, არაფერი! — შეაწყვეტინა გრაფმა, — არაფერი მოხდება, თუ ჩემს შესახებ მოღწეული ამბები საწინააღმდეგო იქნება იმ გრძნობებისა, რა გრძნობითაც მომიწვიეთ ახლა“. კომენდანტი გაწყვეტილ კაცს გულითადად გადაეხვია. მეტყველემ დაუყოვნებლივ შესთავაზა თავისი საფოსტო ეტლი. ერთ-ერთი მსახური კი ფოსტაში აფრინა ცხენების შესაკვეთად, განსაკუთრებული ანაზღაურების დაპირებით. — და იმდენი სიხარული იყო ამ გამგზავრებაში, რაც ნაკლებად თუ ყოფილა ოდესმე დახვედრისას. გრაფმა იმედი გამოთქვა, რომ დეპეშებს ბ-ში ჩაუწერებდა, იქიდან კი ნეაპოლში უმოკლესი გზით ჩავიდოდა. ნეაპოლში კი ყველაფერს ვიღონებ, რათა შემდეგი მივლინება კონსტანტინოპოლში თავიდან ავიცილო, ბოლოს და ბოლოს ავადმყოფობას მოვიმიზეზებ და ჩემი ვარაუდით, თუ არ რაიმე დაბრკოლება, ოთხ-ექვს კვირაში მ-ში ვიქნებიო. ამასობაში მსახურმაც მოახსენა, კარეტა მზად არიაო. გრაფმა ქუდი იღლიის ქვეშ ამოიდო და მარკიზას მიუახლოვდა: „ახლა კი ნაწილობრივ დავმშვიდდი, ჯულიეტა, — ქალის ხელი თავის ხელებში მოიქცია. — თუმცა ჩემი სანუკვარი სურვილი იყო, გამგზავრებამდე დავქორწინებულიყავით“. „დაქორწინებულიყავით?“ — წამოიძახა ყველამ ერთხმად. „დიახ“, — დაუდასტურა გრაფმა, მარკიზას ხელს ეამბორა და ქალის შეკითხვაზე, ხომ არ შეიშალეთო, უპასუხა, დადგება დღე, როცა ყველა ყველაფერს გაიგებთო. მარკიზას მშობლები ის იყო უნდა გაბრაზებულიყვნენ გრაფზე, რომ იგი გულთბილად გამოემშვიდობა ყველას და ითხოვა, ჩემს სიტყვებს დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევთო, და წავიდა.

რამდენიმე კვირა გავიდა. მთელი ეს ხანი ოჯახის წევრებს ამ ამბის გამო თავში ათასნაირი ფიქრი უტრიალებდათ. კომენდანტმა თაეზიანი ბარათი მიიღო გრაფის ბიძისაგან, გენერალ კ-საგან. თავად გრაფმაც მოიწერა ნეაპოლიდან. გრაფის შესახებ მოძიებული ამბები უმეტესად მის სასარგებლოდ მეტყველებდნენ. ცოტაც და, ნიშნობასაც ვადაიხდიდნენ, მაგრამ მარკიზას კვლავ დარია ხელი ავადმყოფობამ, ამჯერად უფრო ძლიერად. იგი ამჩნევდა, რა საოცარი სისწრაფით ეცვლებოდა ტანის აღნაგობა. ეს ყველაფერი დედას გულახდილად გაანდო, თან გაოცებული ეკითხებოდა, ნეტა რა უნდა იყოს ამის მიზეზიო.

დედას განსაკუთრებით აღელვებდა ქალიშვილის ასეთი უცნაური ავადმყოფობა და ურჩია, ექიმს ეჩვენეო. მარკიზა კი ბუნებით ოპტიმისტი იყო, უექიმოდაც გამოვკეთდებიო და დედის რჩევას ყური არ ათხოვა. რამდენიმე დღე საშინელ წამებაში გაატარა. რალაცნაირი სისუსტის შეტევები სულ უფრო უხშირდებოდა და მოსვენებას აკარგვინებდა. ბოლოს მამამისის ნდობით აღჭურვილი ექიმი მოაყვანინა. ექიმს შინ მარტო დახვდა. საგარეული შესთავაზა, უამბო ყველაფერი, თან ხუმრობით დაუმატა, რასაც ფიქრობდა თავის ამჟამინდელ მდგომარეობაზე. ექიმმა გამომცდელი მზერა შეავლო ქალს, ერთხანს დუმდა, ხოლო როცა დაკვირვებით გასინჯა, ერთობ სერიოზულად უთხრა, არ ცდებითო. მარკიზას შეკითხვაზე, ეს როგორ გავიგოო, მან ყველაფერი

გარკვევით აუხსნა და თან ღიმილით მოახსენა, სავსებით ჯანმრთელი ბრძანდებიო და არავითარი ექიმი არ გესაჭიროებათო. ქალმა ჩაიცვა, ექიმს მკაცრად შეავლო თვალი, სასწრაფოდ ზარს ჩამოკრა და სტუმარს მიმართა, წაბრძანდითო. შემდეგ ხმადაბლა, თითქოს ექიმს საუბრის ღირსად არა თვლისო, წაიბუტბუტა, თქვენთან ასეთ რამეზე ხუმრობა სულაც არ მეხალისებაო. ექიმმა კი წყენითა [illegible] იქნებოდა, ხუმრობისადმი სხვა დროსაც ისევე ნაკლებად ყოფილიყავით განწყობილი, როგორც ახლა ხართო. ექიმმა აიღო თავისი ქუდი და ჯოხი და დამშვიდობებას აპირებდა, რომ მარკიზა დაემუქრა, თქვენს უკადრის საქციელს მამას მოვახსენებო. ექიმმა მშვიდად განაცხადა, ჩემი მოსაზრების დაცვის იმედი ყოველთვისა მაქვს და შემიძლია დავიფიცო კიდეცო. შემდეგ კარი გააღო, მაგრამ გასვლისას ხელთათმანი დაუვარდა, მარკიზამ დრო იხელთა და ჰკითხა: „ექიმო, როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო?“ ამაზე ექიმმა უპასუხა, ვითარების მიზეზებს მე ვერ აგიხსნითო. თავი დაუკრა და გავიდა.

მარკიზა მეხდაცემულივით იდგა. ძალა მოიკრიბა, მამასთან მივალო. მაგრამ ექიმის სერიოზულად ნათქვამმა დამამცირებელმა სიტყვებმა მთელი სხეული მოუდუნა და მოსხლეტით ჩაეშვა დივანზე. გულდასმით გადაავლო თვალი გასული წლის მოვლენებს და ამ ფიქრებში წასულს ეგონა, ჭკუიდან ვიშლებიო. ბოლოს დედაც გამოჩნდა და შეშფოთებულმა ჰკითხა აღელვების მიზეზი. მარკიზამაც ყველაფერი მოახსენა. ქ-ნმა გ-მ ექიმს უსირცხვილო და უღირსი უწოდა, ქალიშვილს მოუწონა გადაწყვეტილება, ყოველივე მამისათვის ეთქვა, მარკიზამ ისიც უთხრა, ექიმი სრული სერიოზულობით ლაპარაკობდა და, როგორც ჩანს, მზად იყო, თავისი გიჟური მოსაზრება მამაჩემთანაც გაემეორებინაო. მეტისმეტად აფორიაქებულმა ქ-ნმა გ-მ ჰკითხა, ასეთი „რა საშინელებაა!“ — შეძახა დედამ. „ბოროტება! შეცდომა!“ — განაყოფიერდებიან და მათ გვამთა წიაღში გაჩნდება ჩანასახი!“ — უპასუხა მარკიზამ. „ჰოდა, მაშინ ჩემო სულელო გოგონი, რაღა გაღელვებს, — დედამ შვილი გულში ჩაიკრა. — როცა სუფთა სინდისი გაქვს, იქ ექიმის დიაგნოზი არაფერს ნიშნავს, თუნდაც მთელი კონსულიუმისა. ან შეცდა, ან ბოროტი ადამიანია. დამშვიდდი. მაინც აჯობებს, მამას გავუმხილოთ“. „ო, ღმერთო! რა დამამშვიდებს, — ლამის კრუნჩხვა მოერია მარკიზას. — განა ჩემი შინაგანი შეგრძნებები, ჩემთვის კარგად ნაცნობი შეგრძნებები, ჩემსავე წინააღმდეგ არ ლაპარაკობენ? განა მეც იგივეს არ ვიფიქრებდი, სხვისაგან რომ გამეგო მსგავსი რამ?“ „რა საშინელებაა!“ — შეძახა დედამ. „ბოროტება! შეცდომა! — განაგრძო მარკიზამ. — კი მაგრამ, რატომ, ჩვენ ხომ ყოველთვის ღირსეულ კაცად მიგვაჩნდა იგი, ასე რატომ უნდა ეტკინა ჩემთვის გული? მე ხომ მას მუდამ ნდობით ვეკიდებოდი, მუდამ კეთილად ვიყავი განწყობილი მის მიმართ, როცა კი გვესტუმრებოდა ხოლმე, გულით ვხვდებოდი. პირველივე სიტყვებზე ეტყობოდა, კეთილი განზრახვით მოვიდა, სურდა დამხმარებოდა და არა დღემდე განცდილ ყველა იმ ტკივილზე უფრო ძლიერი ტკივილი მოეყენებინა. არჩევანი რომ შეიძლებოდეს, — დედა გაოგნებული მიშტერებოდა, — ისევ ვამჯობინებდი, დიაგნოზში

უნებური შეცდომა დაეშვა და არა სიბოროტით მოსვლოდა ეს. განა შეიძლება, ექიმი, თუნდაც საშუალო დონის, შეცდეს ასეთ რამეში?!" — პოლკოვნიკის მეუღლემ ოდნავ მკაცრად მიუგო: და მაინც არც ერთი და არც მეორე არ უნდა გამოვრიცხოთ". „დიახ, ჩემო საყვარელო დედა, — მთლად სახეაჭარხლებულ მარკიზას ღირსებაშელახული ადამიანის ცრემლი ჩაუდგა თვალებში, დედას ხელები დაუკოცნა, — ყველაფერი ისე გადაება ერთმანეთს, რომ ალბათ ექვი უნდა გამიჩნდეს კიდეც. მაგრამ ვფიცავ, — რადგანაც ჩემგან ითხოვენ მტკიცებას, ჩემი შეილებივით სუფთა მაქვს სინდისი; მაპატიეთ და, თქვენზე უფრო სუფთაც კი, ღირსეულო დედავ. და მაინც გთხოვთ, მოაყვანინოთ ბებიაქალი. დე, მან განსაჯოს, ვინ მტყუანია და ვინ მართალი. და რაც არ უნდა თქვას, დავემშვიდდები". „ბებიაქალი! — წამოიძახა შეწუხებულმა ქ-ნმა გ-მ". სუფთა სინდისი და ბებიაქალი!" — ქალს ლამის ენა წაერთვა. „ჰო, დედა! — მარკიზა მის წინ მუხლებზე დაემხო. — თანაც ახლავე, სანამ გავგიჟებულვარ". „სიამოვნებით, — მიუგო პოლკოვნიკის მეუღლემ, — ოღონდ მოვითხოვ, ჩემს სახლში არ იმშობიაროს!" ამ სიტყვებით იგი წამოდგა და გასვლა დააპირა. მარკიზა ხელებგაშლილი დაედევნა, იატაკზე დაემხო და მუხლებზე შემოეხვია. ტკივილისაგან გამწარებული ენამზეობას მოჰყვა: „თუკი ჩემი უმწიკვლო ცხოვრება, — რომლისთვისაც მუდამ მაგალითს წარმოადგენდა თქვენი ცხოვრება, ოდესმე იწვევდა თქვენს კეთილგანწყობას ჩემდამი, თუკი დედაშვილური გრძნობა კვლავაც ფეთქავს თქვენს გულში, გევედრებით, ვიდრე ჩემი ცოდვა არ გამოაშკარავებულა, ნუ მიმატოვებთ ამ საშინელ წუთებში". „კი მაგრამ, რაღა გაშფოთებს ნეტავ? მხოლოდ ექიმის დასკვნა? მხოლოდ შინაგანი შეგრძნებები?" „მხოლოდ ეგ, დედა", — მარკიზამ მკერდზე მიიდო ხელი. „სხვა არაფერი, ჯულიეტა? აბა კარგად დაფიქრდი. მძიმე დანაშაულიც კი შეიძლება აპატიო ადამიანმა და ბოლოს და ბოლოს, მეც გაპატიებ ალბათ, მაგრამ შენ თუ ახლა ნაირ-ნაირ ზღაპრებს მოიგონებ დედის გულის მოსაგებად, თანაც ისეთ ზღაპრებს, ბუნების ყველა კანონს რომ ეწინააღმდეგება, ეს სამარცხვინოდ მიმაჩნია და ვერც ვერასოდეს გაპატიებ, რამდენიც არ უნდა მეფიცო და დამიმძიმო ისედაც დამძიმებული გული, რომელსაც შენი ჯერ კიდევ სჯერა, „ნეტავ ციური სამყარო ისე გადაიშალოს ჩემ წინაშე, როგორც მე გადაგიშალეთ გული, ძვირფასო დედა, არასოდეს არაფერი დამიმალავს თქვენთვის". „ჩემო საყვარელო შვილო, როგორ ამიჩუყე გული, — ქალიშვილი წამოაყენა, აკოცა და გულში ჩაიკრა. — მაშ რილასი გეშინია? წამოდი, ეტყობა, ძალიან ავად ხარ". საწოლთან მიყვანა დაუპირა, მაგრამ შვილი გაუძალიანდა. თვალთაგან ცრემლი ღვარად დაედინა და დედას უთხრა, სრულიად ჯანმრთელი ვარ, არაფერი მჭირს რაღაც უცნაური მდგომარეობის გარდაო. „მდგომარეობა? — ისევ აყვირდა დედა, — რომელი მდგომარეობა? თუ საკუთარ წარსულში ეჭვი არ გეპარება, მაშ რაღა გაგიჟებს და გაშინებს? შინაგანი შეგრძნებაო, რომ ამბობ, ხომ შეიძლება გატყუებდეს?" „არა, არა! არ მატყუებს! — შეეპასუხა მარკიზა. — და როცა ბებიაქალს მოაყვანინებთ, გაიგებთ, რომ ეს სამარცხვინო განჩინება მართალია". „მოდი, ჩემო გოგო, — დედას

შვილის სიტყვებმა შიში მოჰგვარა, — მოდი, ჩაწექი ლოგინში. რასაც შენ ფიქრობ, ექიმმა გითხრა? როგორ გიხურს სახე, მთლად კანკალებ!" — და შვილი გულში ჩაიკრა მისი სიტყვების უაზროებაში დარწმუნებულმა. მარკიზამ კი თვალცრემლიანმა გაულიმა და უთხრა: „საყვარელო, სანატრელო! გონება როდი დამიკარგავს! ექიმმა მითხრა, რომ ფეხმძიმედ ვარ. მოაყვანინე ბებიაქალი და თუკი იტყვის, ტყუილია, მაშინვე დავმშვიდდები".

„კარგი, კარგი, რადგან ასე გინდა, — პოლკოვნიკის მეუღლემ შიში ძლივს დაძლია, — ახლავე მოვა და სიცილად არ ეყოფა ეს ამბავი. გეტყვის სულელი მეზღაპრე ყოფილხარო". შემდეგ ზარს ჩამოჰკრა და მსახური გაგზავნა ბებიაქალის მოსაყვანად.

დედის მკლავებში მისვენებულ მარკიზას ჯერ კიდევ ძალუმად უცემდა გული, როცა ბებიაქალი გამოჩნდა. პოლკოვნიკის მეუღლემ მაშინვე უამბო, რა უცნაურ წარმოდგენას შეეპყრო მისი შვილი. მარკიზა იფიცება, უმწიკლო და უდანაშაულო ვარ, მაგრამ რაღაც ისეთი აუხსნელი შეგრძნებები მაქვს, მიმაჩნია, ამ საქმეში ჩახედულმა ადამიანმა გამოიკვლიოს ჩემი მდგომარეობაო. ბებიაქალი თავის საქმეს შეუდგა, ავადმყოფს სინჯავდა და თან ლაპარაკობდა ახალგაზრდულ ვნებებზე, ადამიანთა ვერაგობაზე. ხოლო როცა თავისი საქმიანობა დაასრულა, თქვა, მსგავსი შემთხვევები უკვე მჭონიაო. მსგავს ვითარებაში ჩავარდნილ ახალგაზრდა ქვრივებს თავი ისე მოაქვთ, თითქოს უკაცრიელ კუნძულზე ცხოვრობდნენ. თან მარკიზას ამშვიდებდა და ეუბნეოდა, შენი ყოჩაღი მეკობრე, ღამით რომ ავწვია კუნძულზე, ალბათ მალე გამოჩნდებაო. ამ სიტყვებზე მარკიზა უგონოდ დაეცა. ქ-ნ გ-ს დედობრივმა გრძნობამ სძლია და ბებიაქალის დახმარებით შვილი მოასულიერა. ხოლო როცა მარკიზა გონს მოეგო, დედის გულში მაინც იძალა ალშფოთებამ. „ჯულიეტა! — განწირული ხმით შესძახა მან. — ნუთუ არ გამიმხელ, ვინ არის მამა?" — ბედს შერიგებული მზად იყო ეპატიებინა შვილისთვის ეს საქციელი, მაგრამ როცა მარკიზამ თავისთვის ჩაილაპარაკა, ნამდვილად გავგიჟდებიო, დედა დივანიდან წამოვარდა. „წადი! გამშორდი, უნამუსო! წყეულიმც იყოს ის დღე, შენ რომ გაჩენილხარ!" — და ამ სიტყვებით ოთახიდან გავიდა. მარკიზას თვალთ დაუბნელდა და სასოწარკვეთილი ჩაეკონა ბებიაქალს მკერდში. ხმაადაკანკალებულმა ჰკითხა, ასეთ შემთხვევებში როგორ მოქმედებენო ბუნების კანონები, ან გაუცნობიერებელი ფეხმძიმობა თუ გაგიგონიათო. ბებიაქალს გაეღიმა, მოსასხამი გაუსწორა და უთხრა, იმედია, მარკიზას ასე არ მოსვლიაო. ცხადია, არაო, მიუგო მარკიზამ, უბრალოდ მაინტერესებს, საერთოდ თუ არის ასეთი რამ შესაძლებელიო. ბებიაქალმა უპასუხა, რომ გარდა წმინდა მარადიულ ქალწულისა, ასეთი რამ არც ერთ ქალს არ შემთხვევიაო. მარკიზა კანკალმა აიტანა. რატომღაც მოეჩვენა, რომ ახლავე უნდა ემშობიარა. შიშისაგან აცახცახებული ბებიაქალს მიჰკვროდა და ემუდარებოდა, ნუ მიმატოვებო. ბებიაქალი ამშვიდებდა და არწმუნებდა, მშობიარობამდე ჯერ კიდევ დიდი დროა და თუ მომენდობით, გასწავლით, როგორ გადაურჩეთ ბოროტ ენებს, როგორ შეინარჩუნოთ სახელი საზოგადოებაშიო. ბოლოს იმედი გამოთქვა, ყველაფერი კარ-

გად იქნებაო. ეს დასამშვიდებელი სიტყვები ისედაც გაუბედურებულ მარკიზას პირდაპირ გულში დანასავით ესობოდა. ბოლოს ძალა მოიკრიბა და ენადგაკრეფილ დედაკაცს უთხრა, თავს უკეთა ვგრძნობ და მარტო დამტოვეო.

ბებიაქალი ის იყო ოთახიდან გავიდა, რომ მარკიზას დედის ბარათი მოუტანეს. „ბატონ ფონ გ-ს სურვილია, არსებული მდგომარეობის გამო, მარკიზამ დატოვოს მამისეული სახლი. აქვე უგზავნის მისი საადგილმამულო ქონების დამადასტურებელ საბუთებს და იმედოვნებს, რომ ღმერთი იმ რისხვისაგან დაიფარავს, ოდესმე კვლავ იხილოს იგი". წერილი ალაგ-ალაგ ცრემლით იყო დასველებული; კუთხეში გადაშლილი იყო სიტყვა: „ნაკარნახევი". მარკიზას სიმწრის ცრემლები წასკდა. იგი უსამართლობის გამო, რასაც მისი მშობლები, ეს კეთილშობილი ადამიანები უნებურად სჩადიოდნენ. ატირებული წავიდა დედის სამყოფელისკენ. უთხრეს, მამათქვენთანაა და ისიც მამამისის ოთახებისაკენ წალასლასდა. კარი დაკეტილი დახვდა და ძალაწართმეული ქალიც იქვე დაეცა მუხლებზე. ზეცას შეჰღაღადა და წმინდანებს მოუხმო საკუთარი უცოდველობის დასამოწმებლად. რამდენიმე წუთს ასე იყო დაჩოქილი, რომ ოთახიდან მეტყველი გამოვიდა და გაავებულმა მიახალა დას, ნუთუ ვერ გაიგე, მამას შენი დანახვა აღარ სურსო. მარკიზას აღმოხდა: „ძმაო, საყვარელო! — შემდეგ აქვითინებული შეიჭრა ოთახში და შესძახა: — ძვირფასო მამა!" თან ხელები მისკენ გაიწოდა. კომენდანტმა ზურგი შეაქცია და თავი საძინებელ ოთახს შეაფარა. როცა ქალი უკან დაედევნა, გამშორდიო, დაუყვირა და კარის მიჯახუნებას აპირებდა, მაგრამ რომ დაინახა ხვეწნა-მუდარად ქცეული ქალიშვილი არ ანებებდა კარის დაკეტვას, წუთით მიატოვა და ეცა მოპირდაპირე კედელს, რაზეც დამბაჩა იყო ჩამოკიდებული. ქალიშვილი მამას ფეხებში ჩაუვარდა და აკანკალებული ხელები მოხვია მუხლებზე, ამ დროს როგორლაც დამბაჩა გავარდა და ტყვია გრიალით მოხვდა ჭერს. „ღმერთო დიდებულო!" — შესძახა მარკიზამ, მიცვალებულივით გაფითრებული წამოდგა და მამის სამყოფელს სწრაფად გაშორდა. „ახლავე შემიკაზმეთ ეტლი!" — გასცა ბრძანება თავის ოთახში შესვლისთანავე; სულის მოსათქმელად ღონემიხდილი ჩაეშვა სავარძელში, მერე ბავშვებს სწრაფად ჩააცვა და უბრძანა, ბარგი შეეკრათ. უმცროსი გოგონა მუხლებს შორის ჩაიყენა და შალი შემოახვია. როცა ყველაფერი მზად იყო და ეტლში ჩასხდომას აპირებდნენ, მეტყველი გამოვიდა და კომენდანტის სახელით მოითხოვა, ბავშვები აქ დაეტოვებინა. „ჩემი შვილები? — მარკიზა წამოდგა. — გადაეცი შენს უგულო მამას, შეუძლია ახლავე მოვიდეს და მომკლას, სხვანაირად იგი შვილებს ვერ წამართმევს!" — და საკუთარ უდანაშაულობაში დარწმუნებულმა ბავშვები ეტლისაკენ ამაყად წაიყვანა. ძმამ მათი შეჩერება ველარ გაბედა და ისინიც გაემგზავრნენ.

ამ უჩვეულო ვანცდის მეშვეობით შეიცნო ქალმა საკუთარი თავი. უცებ ამაღლდა იმ სიმდაბლიდან, რომელშიც ის ბედმა ჩააგდო. სუფთა ჰაერმა მღელვარება ჩაუცხრო. შვილებს კოცნიდა, ეალერსებოდა თავის ყველაზე ძვირფას მონაპოვარს. კმაყოფილებას ჰგვრიდა იმის გახ-

სენება, საკუთარ უცოდველობაში დარწმუნებულმა როგორ დაახევინა ძმას. ყველაფრისდა მიუხედავად, მარკიზას ნათელი გონება შერჩენოდა და იგი საშყაროს ყოვლისმომცველ, წმინდა და აუხსნელ წესრიგს დამორჩილდა. ის მიხვდა, რომ ოჯახს თავის უდანაშაულობაში ველარ დაარწმუნებდა და ბედს შეურიგდა. შეიგნო, რომ [illegible] საკუთარ თავში უნდა ეპოვა ნუგეში, რათა თავი არ დაეღუ[illegible] ჩამოსვლიდან რამდენიმე დღე იყო გასული, როცა მიიღო გმირული გადაწყვეტილება — ამაყად შეხვედროდა ცხოვრების ყოველ შემოტევას. განიზრახა, გულში ჩაეკლა ყველაფერი და მთელი ძალისხმევა მიეძღვნა თავისი ორი შვილის აღზრდისათვის და აგრეთვე ღმერთის ნაბოძები მესამე ბავშვისთვისაც დედობრივი სიყვარული არ მოეკლო. მან ყველაფერი წინასწარ მოამზადა იმისათვის, რომ მშობიარობის შემდეგ, ერთ-ორ კვირაში აღედგინა თავისი ლამაზი, მაგრამ ამჟამად დიდი ხნის მიტოვებული, მოუვლელი მამული. და ახლა ხის ჩრდილს შეფარებული პატარა ქუდებისა და წინდების ქსოვისას იმაზე ფიქრობდა, როგორ მოეწყო ოთახები. წიგნები რომელ ოთახში დაელაგებინა, მოლბერტი სად დაედგა. გრაფ ფ-ის ნეაპოლიდან დაბრუნების დრო ჯერ არ დამდგარიყო. მარკიზა უკვე ბედს იყო შერიგებული, გადაწყვეტილი ჰქონდა სიკვდილამდე მონაზონივით განმარტოებაში ეცხოვრა, კარისკაცს უბრძანა, სახლში არავინ შემოეშვა. მხოლოდ ერთი ფიქრი უკარგავდა მოსვენებას, პაწაწინა არსება, რომლის წარმოშობაც კი თავისი იდუმალებით უფრო ზეციურს ჰგავდა, ვიდრე მიწიერს და რომელიც ქალს სრულიად უმწიკვლოდ ჩაესახა. ამ პაწია არსებას მთელი ცხოვრება სამარცხვინო დაღდასმულს უნდა გაეტარებინა. ამიტომაც ერთი ახირებული აზრი მოუვიდა, — გადაწყვიტა მოეძებნა ბავშვის მამა. ამის გაფიქრებაზე თვითონვე ისე შეეშინდა, რომ საქსოვი ხელიდან გაუვარდა. ღამეებს თეთრად ათენებდა, თავის ჩანაფიქრს უტრიალებდა, გადაედგა თუ არ გადაედგა ეს ნაბიჯი, ამ მოუსვენარ ფიქრებში ცდილობდა მისთვის დამამცირებელ გადაწყვეტილებას შეგუებოდა. სულ უფრო და უფრო შეუძლებელი ეჩვენებოდა იმ ადამიანთან რამენაირი კავშირიც კი, ვინც ასე ვერაგულად მოექცა. რა წარმომავლობისა და საზოგადოებისაც არ უნდა ყოფილიყო ის კაცი, სულერთია გარეწარის მეტი არავინ ჩაიდენდა ასეთ საქმეს. და მაინც, დამოუკიდებლობა სულ უფრო და უფრო იპყრობდა მის სულს, სწამდა, ძვირფასი ქვა როგორ ჩარჩოშიც არ უნდა ჩასვა, ის მაინც ინარჩუნებს თავის ღირსებას, მაინც ძვირფასია. ერთ დილას კი როცა მან კვლავ იგრძნო, როგორ გაფაჩუნდა მის სხეულში ნორჩი სიცოცხლე, ღონე მოიკრიბა და „ინტელიგენტის ფურცელში" გამოსაქვეყნებლად გააგზავნა ის უცნაური განცხადება, მოთხრობის დასაწყისში რომ გაეცნო მკითხველი.

გრაფმა ფ-მ, რომელიც გადაუდებელმა საქმეებმა ნეაპოლში შეაჩერეს, მარკიზას მეორედ მისწერა, და თხოვდა რაც არ უნდა მომხდარიყო, თავისი მდუმარე პირობის ერთგული დარჩენილიყო. როგორც კი კონსტანტინოპოლში გამგზავრება აიცილა და სხვა საქმეებიც მოაგვარა, მან სასწრაფოდ დატოვა ნეაპოლი და გაეგზავნა მ-ისაკენ, სადაც დათქმული ვადიდან სულ რაღაც ერთი-ორი დღის დაგვიანებით

ჩავიდა. მის დანახვაზე კომენდანტი დაიბნა, რაღაც საქმე მოიმიზეზა და სტუმარი მეტყევეს შეატოვა. მეტყევემ იგი თავის ოთახში შეიყვანა და მცირეოდენი მოკითხვის შემდეგ ჰკითხა, თუ იცით, ოქვენს არყოფნაში რა მოხდა ჩვენს სახლშიო. ფერგამკრთალმა გრაფმა მიუგო, არაფერი ვიციო. მაშინ მეტყევემ უამბო იმ სირცხვილზე, რაც მარკიზამ ოჯახს თავს დაატეხა და რაც ჩვენმა მკითხველმა უკვე შეიტყო. გრაფმა შუბლზე შემოირტყა ხელი. „რატომ ავითრიე ფეხი! — წამოიძახა გულწრფელად. — ნიშნობა რომ მომხდარიყო, მთელი ეს უბედურება აგვცდებოდა!“ მეტყევეს ლამის თვალები გადმოსცვივდა ბუდიდან, ნუთუ ისე გაგიჟდით, რომ თანახმა ხართ, ასეთი ულირსი ქალი ცოლად შეირთოთო. გრაფმა მიუგო, რომ მარკიზა ბევრად უფრო ღირსეული პიროვნებაა, ვიდრე მთელი ის გარემო, რომელმაც მისი დამცირება განიზრახა, მარკიზა სუფთაა, მის უდანაშაულობაში ეჭვიც არ მეპარება, დღესვე წავალ ვ-ში და ჩემს თხოვნას გავუმეორებო. მაშინვე ქუდს სტაცა ხელი და მეტყევეს, — რომელმაც იგი შერეკილად ჩათვალა, — თავი დაუკრა და წავიდა.

გრაფმა ცხენით გაქუსლა ვ-სკენ. ჭიშკართან შეჩერებულს კარისკაცმა მოახსენა, მარკიზა არავის ღებულობსო. გრაფმა ჰკითხა, ეს უარი უცხოებზე და ოჯახის მეგობრებზე ერთნაირად ვრცელდებაო? არავითარი გამონაკლისი არ არსებობსო, უპასუხა მსახურმა და თან მრავალმნიშვნელოვნად დასძინა: იქნებ გრაფი ფ. ბრძანდებითო? გრაფმა გამომცდელად შეავლო თვალი კარისკაცს და უცებ იუარა, თავის მსახურს კი კარისკაცის ვასაგონად ხმამაღლა მიმართა, მაშინ სასტუმროში გავჩერდები და იქიდან წერილობით ჩევატყობინებ ჩემს ჩამოსვლასო. როცა კარისკაცი თვალს მიეფარა, გრაფი ჩუმად გაჰყვა სახლს უკან მდებარე ბაღის გრძელ გალავანს, ერთი პატარა ჭიშკარი ღია დახვდა და ისიც ბაღში შევიდა, ხეივანი გადაჭრა და უკანა კარით სახლში შესვლას აპირებდა, რომ უცებ ხის ჩრდილს თავშეფარებული და პატარა მაგიდასთან მიმჯდარი მშვენიერი და იდუმალებით მოცული მარკიზა დაინახი. გრაფი ჩუმად მიუახლოვდა ქალს, სამიოდ ნაბიჯიდა აშორებდა სასურველ არსებას, რომ მარკიზამ მოიხედა და გაოცებისა და მოულოდნელობისაგან სახეშეფაკლულმა შესძახა: „გრაფ ფ.!“ გრაფი ერთ ხანს გაუნძრევლად იდგა და ილიმებოდა. შემდეგ მორიდებით მიუჯდა გვერდით და ქალი რომ არ შეცბუნებულიყო, ნაზად მოხვია ხელი წელზე. მარკიზა უცებ ვერც გაერკვა. „საიდან, გრაფ?“ — ჰკითხა მორცხვად თავდახრილმა. „მ-დან, — გრაფმა საყვარელი არსება თავისკენ მიიზიდა. — უკანა ჭიშკარი ღია იყო, თქვენი პატიების იმედი მქონდა და შემოვედი. „მ-ში არაფერი გითხრეს?..“ — ჰკითხა კაცის მკლავებში მომწყვდეულმა მარკიზამ. „ყველაფერი მითხრეს, ჩემო სანატრელო, მე კი თქვენს უმწიკვლობაში სავსებით დარწმუნებული...“ „როგორ?“ — შესძახა მარკიზამ, ხელიდან დაუსხლტა გრაფს, — და მაინც მოხვედით?“ „დიახ, წამოვედი, მთელი ქვეყნის, თქვენი ოჯახისა, და თავად თქვენი სურვილის წინააღმდეგ, ჩემო ნეტარებავ“. — გრაფმა ცეცხლოვანი კოცნა უძღვნა ქალს მკერდზე.

„გამშორდით!“ — შესძახა მარკიზამ. „ისე მჯერა შენი, ჯულიეტა, თითქოს ყოვლისმცოდნე ვიყო, თითქოს ჩემი სული შენს არსებაში

ცხოვრობდეს...“ „თავი დამანებეთ!“ — შეაწყვეტინა მარკიზამ. „მე მოვედი, — გრაფს ქალისთვის ხელი არ გაუშვია, — რატომ ჩემი წინადადება გაგიმეოროთ, შეისმინეთ ჩემი ვედრება, გამაბედნიერეთ, გახდით ჩემი“. „ახლავე აქედან გამეცალეთ!“ — იმძლავრა ქალმა, მკლავებიდან გაუსხლტა და გაექცა. „საყვარელო, ძვირფასო!“ — ჩურჩულით მისდევდა ვაჟი. „ნუთუ ვერ გაიგეთ?!“ — მარკიზამ ხელი შეაქცია და კვლავ გაეცალა. „მხოლოდ ერთი სიტყვა მითხარით“, — გრაფი ქალის ჩამოსხმულ მკლავს წაეტანა. „არაფრის მოსმენა არ მსურს“, — აღშფოთებული მარკიზა კვლავ დაუსხლტა, მკერდზე ხელი ჰკრა, შემდეგ კარისკენ გაიქცა და გაუჩინარდა.

გრაფიც გაეკიდა, იქნებ მარკიზას დაეწიოთ, მაგრამ კარი ცხვირწინ მიუჯახუნეს და უმალ ურდულის ჩხაკუნიც გაისმა. გრაფი ერთ ხანს იდგა და არ იცოდა, რა ეღონა მისთვის ესოდენ რთულ წუთებში. გადავიდეს ღია ფანჯრიდან და იქამდე სდიოს ქალს, სანამ მიზანს არ მიაღწევს? უჭირდა უკან დახევა, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა. ბრაზობდა საკუთარ თავზე, ხელი რატომ გავუშვი, როგორ დამისხლტაო. განადგურებული მოცილდა კარს და ცხენების მოსაძებნად ბაღიდან გავიდა.

გრაფმა იგრძნო, გულახდილი აღსარების მცდელობა საბოლოოდ რომ ჩაეშალა და იმედგაცრუებული, გამალებით მიაქროლებდა ცხენს. თან იმ წერილზე ფიქრობდა, რომლის დაწერაც ახლა მოუწევდა. გრაფმა კვლავ მ-ისაკენ გასწია. საღამო ხანს უიმედობით შეპყრობილი გრაფი ერთ რესტორანში შევიდა და იქ მეტყველს გადაეყარა. მეტყველმ მაშინვე ჰკითხა, ვ-ში თქვენმა საქმემ წარმატებით თუ ჩაიარაო. გრაფმა მოკლედ უპასუხა, არაო, მაგრამ თავაზიანობის გამო, დაუმატა, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა, მარკიზასათვის წერილობით მიემართა და მალე ალბათ ყველაფერი გაირკვეოდა. მეტყველმ მიუგო, აშკარაა, მარკიზასადმი ვნებებს დაუბრმავებიხართ, თუმცა ქალი სხვა არჩევანს ელისო. მან მსახური იხმო და ახალი გაზეთები მოატანინა, შემდეგ ის გაზეთი გაუწოდა, სადაც მარკიზას განცხადება იყო გამოქვეყნებული ბავშვის მამის თაობაზე. გრაფმა გადაიკითხა და სისხლი მოაწვა სახეზე. ერომანეთის საწინააღმდეგო გრძნობებმა შეიპყრეს. მეტყველმ ჰკითხა: „თქვენ როგორ ფიქრობთ, ადრესატი მოიძებნება?“ „უეჭველად!“ — გრაფი ფურცელს ისე დაშტერებოდა, თითქოს მის აზრს ხარბად ნთქავსო. შემდეგ ფურცელი მოკეცა, ფანჯარასთან მივიდა და თქვა: „ძალიან კარგი, ახლა კი ვიცი, როგორ მოვიქცე!“ — შემობრუნდა, მეტყველს თავაზიანად გამოემშვიდობა და იმედიანი განწყობით გავიდა რესტორნიდან.

ამასობაში კომენდანტის სახლში დიდი აურზაური იდგა. პოლკოვნიკის მეუღლე ქმრის გულცივობისა და თავისი სისუსტის გამო ძალზედ ჯავრობდა. საკუთარი თავისთვის ვერ ეპატიებინა, მეუღლეს რომ დამორჩილდა და ქალიშვილი ბარბარისულად გააძევა სახლიდან. კომენდანტის საძინებელ ოთახში თოფის გავარდნისთანავე ქ-ნ გ-ს გული წაუვიდა, ხოლო როცა გონს მოეგო, ქმარმა მხოლოდ ის უთხრა, ვწუხვარ, რომ ტყუილად შეგაშინეო და თოფი მაგიდაზე დააგდო. შემდეგ,

როცა ბავშვების ამბავსაც მოუყვა, ქალი აღშფოთდა, შვილების წართმევის უფლება ჩვენ არ გვაქვსო. მოსულიერებულმა უმორჩილესად სთხოვა ქმარს, ვეცადოთ, ოჯახში აყალმაყალი და უსიამოვნება არ იყოსო. კომენდანტი ხმას არ იღებდა, შემდეგ უცებ მეტყველს მიუბრუნდა და მრისხანედ უთხრა: „წადი და აქ მომგვარე ისინი!“ როცა ბარაფი ფ.-ის მეორე წერილი მოვიდა, კომენდანტმა ბრძანა, მარკიზასთვის ვ-ში გადაეგზავნათ. შემდეგ შიკრიკისაგან შეიტყო, მარკიზას წერილი გვერდზე გადაუდია და უთქვამს: კარგითო. პოლკოვნიკის მეუღლე, ვისთვისაც ბევრი რამ გაუგებარი იყო, განსაკუთრებით კი მარკიზას სწრაფვა ასეთი ქორწინებისაკენ, ნიადაგ ცდილობდა ამ საკითხზე საუბრის ჩამოგდებას. კომენდანტმა კი ისეთ კილოზე, უფრო ბრძანებას რომ ჰგავდა, სთხოვა, ამის თაობაზე ხმა არ ამოეღო. მარკიზას პორტრეტიც ჩამოხსნა, ჯერაც რომ ეკიდა კედელზე, და განაცხადა, მისი სიყვარული გულიდან ამოვიშალე, ქალიშვილი მე აღარ მყავსო. მერე იყო და, გაზეთში მარკიზას ეს უცხაური განცხადებაც გამოჩნდა. დედა მეტად აღელვებული შეხვდა ამ ცნობას და გაზეთით ხელში, რომელიც მას კომენდანტისაგან მოუტანეს, ქმრის ოთახში შევიდა და ჰკითხა, რას ფიქრობ ამ ამბის თაობაზეო. მაგიდასთან მიმჯდარ კომენდანტს სამუშაოდან თავი არ აუწევია: „ო, ის უდანაშაულოა“. „როგორ! — შესძახა ფრიად გაოცებულმა ქ-ნმა გ-მ, — უდანაშაულო?“ „მას ეს ძილში დაემართა, — უთხრა და არც ამჯერად აუღია თავი სამუშაოდან“. „ძილში? და ასეთი საშინელი ამბავი შეიძლება ძილში მოხდა?“ „სულელო!“ — იყვირა კომენდანტმა, დაჭმუჭნილი ფურცლები მოისროლა და გავიდა.

ერთ დილით საუზმობისას ქ-ნი გ. ახალ გაზეთებს ათვალიერებდა და უცებ ერთ გაზეთში ასეთ პასუხს წააწყდა:

„თუ მარკიზა ფონ ო. ამა თვის სამ რიცხვში, თერთმეტ საათზე თავისი მამის, ბატონ გ-ს სახლში მისვლას ინებებს, მაშინ ის, ვისაც იგი დაეძებს, თავად ჩაუვარდება ფეხებში“.

პოლკოვნიკის მეუღლემ ბოლომდე ვერც ჩაიკითხა განცხადება, თითქოს ენა ჩაუვარდაო, უსიტყვოდ გაუწოდა ქმარს გაზეთი. პოლკოვნიკმა სამჯერ გადაიკითხა, თითქოს საკუთარ თვალებს არ უჯერებსო. „ლორენცო, ღვთის გულისათვის, მითხარი, რას ფიქრობ ამაზე?“ — ჰკითხა ქალმა. „ო, სირცხვილო!“ — კომენდანტი ფეხზე წამოდგა. — ო, ეს ცბიერი თვალთმაქცი ქალი, ძუკნა ძაღლზე უსირცხვილო, მელიაზე ეშმაკი, ეს კიდევ ცოტაა მისთვის! მერედა, როგორი გამომეტყველება აქვს, როგორი თვალებით იყურება, თითქოს ქერუბიმივით უმანკო მყავდეს!“ — მძვინვარებდა კომენდანტი. „თუ ეს ეშმაკობაა, რა აქვს ჩაფიქრებული, ამით რაღას მიაღწევს?“ — ჰკითხა მეუღლემ. „რას მიაღწევს? თავისი ულირსი სიცრუე უნდა დაგვაჯეროს, — უთხრა პოლკოვნიკმა, — ორივეს, ჩვენს ქალიშვილსაც და იმ კაცსაც, დაზეპირებული აქვთ ალბათ ის ზღაპარი, სამ რიცხვში, თერთმეტ საათზე რომ უნდა გვიამბონ. მე კი უნდა ვუთხრა, ჩემო საყვარელო შვილო, მე ეს არ ვიცოდი, ვინ იფიქრებდა, მაპატიე, მიიღე ჩემი ლოცვა-კურთხევა და დამიბრუნდი. ტყვიას მივახლი იმას, ვინც იმ დღეს ჩემი სახ-

ლის კარს შემოაღებს! მაგრამ არა, სჯობს მსახურებს ვუბრძანო, არ შემოუშვან". ქ-ნმა გ-მ გაზეთი კიდევ ერთხელ გადაიკითხა და თქვა: თუ ორი სასწაულიდან ერთ-ერთი უნდა დავიჯერო, უმჯობესია შემთხვევითობას ვარჩევდი, ჩემი ქალიშვილის ეგზომ მდაბალ საქციელს. კომენდანტმა უყვირა: „თუ შეიძლება, გაჩუმდი! არ მსურს ამაზე ლაპარაკი!" — და ოთახიდან გავიდა.

რამდენიმე დღის შემდეგ კომენდანტმა მარკიზას წერილი მიიღო ამ საგაზეთო გამოხმაურების თაობაზე. იგი იწერებოდა: რადგან მოკლებული ვარ მამის სახლში გამოჩენის წყალობას, დიდად დამავალებთ, თუ მას, ვინც სამში დილით გამოჩნდება, ჩემთან ვ-ში გამოაგზავნითო. ცოლიც იქ იყო, როდესაც კომენდანტმა ეს წერილი მიიღო და ქმარს ამკარა დაბნეულობა შეატყო სახეზე. თუ მარკიზას მხრიდან ეს მოტყუებაა, მაშინ მამამ რაღა უნდა დასწამოს ქალიშვილს, როცა მას, როგორც ჩანს, სულაც არ ჰქონდა მამისგან პატიების იმედი. ამ დასკვნით ძალამოცემულმა და გათამამებულმა ქალმა გადაწყვიტა განეხორციელებინა სამოქმედო გეგმა, რომელსაც უკვე რახანია დაატარებს ეჭვებით სავსე გულში. სანამ პოლკოვნიკი უაზროდ დასცქეროდა წერილს, ცოლმა უთხრა, ერთი აზრი მომივიდა თავში და თუ შეიძლება ორი დღით წავა ვ-ში, თუ იმ კაცს ჩვენი შვილი მართლა არ იცნობს, მე მივხვდები, რაც არ უნდა უტიფრად იცრუოსო. განრისხებულმა კომენდანტმა წერილი დახია და ცოლს უთხრა: კარგად მოგეხსენება, არაფერი რომ არ მესაქმება მასთანო. შემდეგ ბაკუწები კონვერტში ჩაყარა, მარკიზას მისამართი დააწერა და პასუხის ნაცვლად გაუგზავნა შიკრიკის ხელით. ამ სასტიკი სიჯიუტით აღშფოთებულმა ქ-ნმა გ-მ გადაწყვიტა თავისი გეგმა ქმრის უკითხავად განეხორციელებინა, რადგან კაცის ასეთი სიმკაცრე საქმეს არ წაადგებოდა. ქალმა კომენდანტის ერთი მონადირე იახლა თან და მეორე დღეს, დილაადრიან, როცა ქმარს ჯერ ისევ ეძინა, ვ-სკენ გაემგზავრა. როცა იგი მარკიზას სახლის ჭიშკარს მიუახლოვდა, მსახურმა მოახსენა ქალბატონი არავის იღებსო. ქ-ნმა გ-მ უპასუხა: „ეს ამბავი ჩემთვის ცნობილია, მაგრამ მაინც უნდა მიხვიდე და მოახსენო, რომ ქ-ნი გ-აა მოსული-თქო", რაზეც დარაჯმა მიუგო, არა მგონია, მიგიღოთ, მარკიზა კაციშვილს არ იღებსო. ქ-ნმა გ-მ უთხრა, მე დედა ვარ და დაუყოვნებლივ მოახსენე, დროს ნუ კარგავო. ის იყო მსახური სახლისკენ გაემართა, და როგორც თვითონ ფიქრობდა, ამაოდ ირჯებოდა, რომ ჭიშკრისკენ მომავალი მარკიზაც გამოჩნდა. დედა რომ დაინახა, მისი ეტლის წინ მუხლებზე დაეცა. ქ-ნი გ. მონადირის დახმარებით ეტლიდან გადმოვიდა და გულაჩუყებულმა წამოაყენა შვილი. გრძნობამორეული მარკიზა დედის ხელს დასწვდა და აცრემლებული შეუძღვა სახლში. „ძვირფასო დედა! — შესძახა მან, დივანზე მიუთითა, თან ცრემლს იმშრალებდა. — ეს რა ბედნიერი დღე გამითენდა, როგორ გამახარეთ, ვერ წარმოიდგენთ!" დედამ გულში ჩაიკრა და განუცხადა, რომ ბოდიშის მოსახდელად მოვიდა მისდამი გამოჩენილი სისასტიკის გამო. „ბოდიშის მოსახდელად?" — მარკიზას დედის ხელზე ამბორი სურდა, მაგრამ დედამ არ დაანება. „მეც და მამაშენიც, არამარტო გაზეთში გამოქვეყნებულმა ბოლო განცხადებამ დაგ-

ვარწმუნა შენს უდანაშაულობაში, არამედ ისიც უნდა გითხრა, რომ ჩვენდა გასაოცრად და სასიხარულოდ, ის გუშინ ჩვენს სასლშიც გამოჩნდა". „ვინ? — მარკიზა დედას გვერდით მიუჯდა. — ვინ ის გამოჩნდა თვითონ?" და მოლოდინისაგან სახე დაეძაბა. „ის, — გაიმეორა ქ-ნმა გ-მ, — იმ პასუხის ავტორი, თვით ის, ვისდამიც იყო შეჩივლებულ-ება". „კი მაგრამ, ვინ არის იგი?" — ჰკითხა აფორიაქებულმა მარკიზამ. ქ-ნმა გ-მ მიუგო: „მინდოდა, თავად გამოგეცხო. აბა დაფიქრდი, გუშინ ჩაის სუფრას ვუსხედვართ, თან ამ უცნაურ წერილს ვკითხულობთ გაზეთში, უცებ ჩვენთვის კარგად ნაცნობი ადამიანი გაუბედავად შემოდის ოთახში, ჩვენს ფერხთით ეცემა. არც კი ვიცოდით, რა გვეფიქრა ამის შემხედვარეთ და ვკითხეთ კიდეც, რა ხდება-თქო. მან მოგვახსენა, მე ის ულირსი ადამიანი ვარ, ვინც მარკიზა მოატყუა, კარგად ვიცი, სასტიკი სასჯელი მეკუთვნის, და თავად მოვედი ამის სათხოვნელადო. „კი მაგრამ, ვინ არის ის? ვინ? ვინ?" — შეაწყვეტინა მოთმინება დაკარგულმა მარკიზამ. „როგორ გითხრა, — განაგრძო დედამ, — ერთი კარგად აღზრდილი ასალგაზრდაა, რომელიც, ვერც წარმოვიდგენდით, თუ მსგავს ულირს საქციელს ჩაიდენდა. მაგრამ ნუ შეიცხადებ, როცა გაიგებ, რომ ის დაბალი ფენიდანაა და არც ერთი იმ მოთხოვნას არ პასუხობს, შენს მეუღლეს რომ წაუყენებდი". „და მაინც, ის მთლად ულირსი არ იქნება, — უთხრა მარკიზამ, — რაკილა ჩემზე ადრე თქვენ გამოგიტყდათ. მაგრამ ვინ არის ის, ვინ? ბოლოს და ბოლოს მეტყვით, თუ არა?" „ვინდა, ლეოპარდო, — უთხრა დედამ, — მონადირე, მამაშენმა დიდი ხანი არ არის რაც ტიროლიდან გამოიწერა და როგორც ალბათ უკვე შეამჩნიე, თან ჩამოიყვანე, რომ შენთვის საქმროდ წარმომედგინა". „მონადირე ლეოპარდო!?" — დაეჭვებულმა მარკიზამ შუბლი მოისრისა. „რამ შეგაშფოთა? — ჰკითხა დედამ, — განა გაქვს ეჭვის საფუძველი?" „კი მაგრამ, როგორ, სად, როდის?" — იკითხა დაბნეულმა მარკიზამ. „ლეოპარდოს სურს, ყველაფერი მხოლოდ შენ გიამბოს. — უპასუხა დედამ. — სირცხვილი და სიყვარული მას ნებას არ აძლევს, შენს გარდა ვინმე სხვას გაუმხილოს ეს ამბავი. თუ გინდა, გავალო წინა ოთახი, ის შემოსასვლელში მოუთმენლად იცდის, და შეგიძლია თავად ათქმევინო, მე გავალ". „ღმერთო, დიდებულო! — შესძახა მარკზამ: — ერთხელ შუადღისას სიცხისაგან მოთენთილს ჩამეძინა და გაღვიძებისას დავინახე, როგორ გაშორდა ჩემს დივანს!" — და მან თავისი პატარა ხელები სირცხვილისაგან აალებულ სახეზე აიფარა. ამის გამგონე დედა მის წინ მუხლებზე დაეშვა. „ო, ჩემო შვილო, სანატრელო, მშვენიერო! — შვილს ხელები შემოხვია. — მე ულირსმა კი რა არ ვიფიქრე", — სახე მის კალთაში ჩარგო. შეშფოთებულმა მარკიზამ ჰკითხა: „დედა, რა დაგემართათ?" დედამ განაგრძო: „ო, ანგელოზებრ წმინდაო, ჩემი ნათქვამიდან არც ერთი სიტყვა არ არის მართალი, ჩემს მდაბალ სულს ამგვარი უმანკოების დაჯერება როგორ ძალედვა. შენგან ხომ გარდა უმანკოებისა, სხვა არა გამოსჭვივის რა, და ეს თვალთმაქცობა იმისთვის მოვიგონე, რათა მერწმუნა შენი". „დედა, ძვირფასო!" — აღელვებულმა მარკიზამ დედის წამოყენება სცადა, მაგრამ იგი გაჯიქდა: „არა, მანამდე ვიქნები შენს ფეხებ-

თან დამხობილი, სანამ არ შევიტყობ, რომ ჩემი მდაბალი საქციელის პატიება შეგიძლია, ჩემო ანგელოზო". „მე, რა თქმა უნდა, გაპატიეთ, დედა! ადექით! — შესძახა მარკიზამ, — გეფიცებით". „მინდა ვიცოდე, შეგიძლია თუ არა ძველებურად გიყვარდე? გესმის, ჯულიეტა?" „დედა, საყვარელო!" — მარკიზა თვითონაც მის წინ დაეშვა მუხლებზე. — თქვენდამი სიყვარული არც ოდეს გამნელებია. არყვენ დამიჯერებდა ესოდენ წარმოუდგენელ ამბავს! ბედნიერი ვარ, რომ ირწმუნეთ ჩემი უდანაშაულობა! „მაშინ... — ქ-ნი გ. შვილის დახმარებით წამოდგა, — ხელის გულზე გატარებ, ჩემო სიცოცხლე, სამშობიარო სარეცელსაც ჩემთან დაიდგამ, და ალბათ თავადის მეუღლეც რომ ყოფილიყავი, მაშინაც კი არ მოგივლიდი ეგზომ სასოებით. სიკვდილამდე აღარ მოგშორდები. მთელ ქვეყანას ვამცნობ შენს ამბავს, არ მინდა მეტი პატიები, ვიდრე შენი სირცხვლია, ოღონდ კვლავ გიყვარდე და დაივიწყო ჩემი სისასტიკე". მარკიზა უსასრულო ალერსითა და ფიცით ცდილობდა მის დამშვიდებას, მაგრამ საღამო მოახლოვდა, ღამემაც მოატანა, და როდის-როდის ძლივს დააშოშმინა დედა. მეორე დღეს, — აღგზნებული ასაკოვანი ქალბატონის მღელვარება რომ დაცხრა, — დედა, შვილი და შვილიშვილები დიდის ამბით გაემგზავრნენ მ-ისაკენ. მგზავრობით კმაყოფილნი ჩანდნენ, თან კოფოზე შემომჯდარ ლეოპარდოზე ხუმრობდნენ. დედა წაეხუმრა შვილს, ერთი-ორჯერ შევამჩნიე, როგორ წითლდები მისი განიერი მხრების დანახვაზეო. მარკიზამ ამოიოხრა: „ეჰ, ვინ იცის, სამ რიცხვში, თერთმეტ საათზე ბოლოს და ბოლოს ვინ გვეახლება!" მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდნენ მ-ს, ხუმრობის ხალისი მით უფრო ეკარგებოდათ იმ ვადამწყვეტი მოვლენების გამო, რაც მათ მოელოდათ. დედას თავისი გეგმების შესახებ ჯერ არაფერი უთქვამს შვილისთვის, ქალიშვილი თავისი ოთახისაკენ გაგზავნა, უთხრა, მოწესრიგდი და მეც მალე მოვალო. ერთი საათის შემდეგ გახარებული დაბრუნდა: „ასეთი არაფერი მინახავს! აი, ესეც შენი ურწმუნო თომა!" — დედა ვერ მალავდა კმაყოფილებას, — ამდენი დრო კი დამჭირდა მისი დარწმუნებისათვის, ახლა კი ზის და ტირის". „ვინ ტირის?" — ჰკითხა მარკიზამ. „სხვა ვინ იტირებს, თუ არა ის, ვისაც ყველაზე დიდი მიზეზი აქვს ამისა, — უპასუხა დედამ, — და თვითონ რომ არ მომეწმინდა ცრემლები მისთვის, ოთახიდან გამოსვლისას ალბათ სიცილი ამიტყდებოდა". „და ეს ყველაფერი ჩემ გამო ხდება? — მარკიზა წამოდგა, — მე კი უნდა ვიჯდე?" „ფეხი არ გაადგა აქედან, — უთხრა დედამ. — ის წერილი რომ მიკარნახა, კარგი იყო? მოვიდეს აქ თავისი ფეხით, თუ უნდა რომ კიდევ მნახოს ცოცხალი". „დედიკო, დედა". „არ მივუტევებ, რატომ ეცა დამბაჩას?" „დედიკო, გაფიცებთ..." „არ არის საჭირო, — ქ-ნმა გ-მ ქალიშვილი კვლავ სავარძელში ჩასვა. — და თუ საღამომდე არ გამოჩნდა, ხვალ შენთან ერთად მოვდივარ". მარკიზას დედის საქციელი მეტად მკაცრად მოეჩვენა, მაგრამ უცებ დედამ უთხრა: „დამშვიდდი, — რადგან მოესმა ქვითინი, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა. — უკვე მოდის!" „სად არის? — მარკიზამ ყური მიუგდო. — ვინ არის კართან? ეს ხმები?.." „რა თქმა უნდა, — უთხრა დედამ. — უნდა რომ კარი გავუღოთ". „გამიშვით!" — მარკი-

ზა წამოხტა. „თუ გიყვარდე დაჯექი, ჯულიეტა"; და ამ დროს სახეზე ცხვირსახოცაფარებული კომენდანტიც შემოვიდა. დედა ქალიშვილს გადაეფარა და ქმარს ზურგი შეაქცია. „მამა, საყვარელო!" — შესძახა მარკიზამ და ხელები მისკენ გაიწოდა. „ფეხი არ მოიცვალო ადგილიდან, გესმის თუ არა?" — უთხრა დედამ. კომენდანტი კი იდგა და ტიროდა. „დაე, მოინანიოს თავისი სისასტიკე, რატომაა ასეთი უმოწყალო? მე მიყვარს იგი, მაგრამ მიყვარხარ შენც; პატივს ვცემ მას და პატივს გცემ შენც. თუ არჩევანის წინაშე დავდგები, მაშინ შენ უკეთესი ხარ, და ამიტომაც შენთან დავრჩები". კომენდანტი მოიკუნტა და ისე ამოიგმინა, ლამის კედლები შეზანზარდნენ. „ღმერთო ჩემო!" — მარკიზა დედას დაემორჩილა, ცხვირსახოცი აიღო, ცრემლი ღვარად დაედინა. ქ-ნმა გ-მ თქვა: „მამაშენს ახლა ლაპარაკის თავი არ აქვს!" — და განზე გადგა. მარკიზა წამოდგა, მამას გადაეხვია და სთხოვა, დამშვიდდიო. თან თვითონაც ქვითინებდა. შემდეგ შეეცადა, მამა სავარძელში ჩაესვა, მაგრამ იგი მდუმარედ იდგა ერთ ადგილზე და თავდახრილი მწარედ ტიროდა. მარკიზამ გულუბრყვილო ბავშვივით მიმართა დედას: „ავად გახდება"; პოლკოვნიკის ცოლიც კი გატყდა, როცა ქმრის გატანჯული სახე დაინახა. ხოლო როცა ქალიშვილი არ მოეშვა მამას და ძალით ჩასვა სავარძელში, იგი მაშინვე ფეხებში ჩაუვარდა და ალერსი დაუწყო. დედა კვლავ ალაპარაკდა, ჭკუის სასწავლებელი იქნება მისთვის დღევანდელი დღე, ახლა ხამდვილად ყველაფერი რიგზეაო, ოთახიდან გავიდა და მამა-შვილი მარტო დატოვა.

გარეთ გასულმა ქალმა თვალზე მომდგარი ცრემლი შეიმშრალა, წყოთავდა, მესტისმეტად გადავაჭარბე, ქმარს უკმეხად ველაპარაკე, ცუდად არ გახდესო და ექიმის გამოძახება გადაწყვიტა. საღამოსთვის, თუკი რამ გამამხნევებელი და დამამშვიდებელი წამალი იცოდა, ქმარს ყველაფერი მოუმზადა, თან სამზარეულოში ფუსფუსებდა, ლოგინიც გაუთბო, ეგონა, სადაც არის გამოჩნდება ქალიშვილთან ერთად ხელჩაკიდებულიო. ვახშამი უკვე გაეწყო, მაგრამ კომენდანტი ჯერ არ ჩანდა. ქალი მიიპარა მარკიზას ოთახთან, ერთი ვნახო, რა ხდებაო. კარს მიეყურადა და მარკიზას ჩურჩული გაიგონა, გასაღების ჭუჭრუტანიდან დაინახა, იგი მამის კალთაში იჯდა, რაც დედას სხვა დროს არ ენახა. ბოლოს კარი შეაღო და მათ შემხედვარეს გული სიხარულით აღეავსო. მამის მკლავებში მოქცეულ მარკიზას თავი გადაეწია და თვალები დაეხუჭა, ხოლო ფართოდ თვალგახელილი და თვალცრემლიანი მამა შეყვარებულივით ნაზად და მხურვალედ კოცნიდა ტუჩებში. შვილი დუმდა, დუმდა მამაც, რომელიც ისე დახრილიყო, ისე ეძებდა მის ტუჩებს და კოცნიდა, როგორც თავის პირველ სიყვარულს. ღვთიური სიხარულით აღსავსე დედა სავარძლის უკან შეუმჩნეველად იდგა და ხმას არ ღებულობდა, რათა მის სახლში მობრძანებული სანუკვარი შერიგებისთვის ხელი არ შეეშალა. ბოლოს მათ მიუახლოვდა, სავარძლის საზურგეზე გადაიხარა და ქმარს გვერდიდან შეხედა, იგი თავდავიწყებით ეალერსებოდა თავის ქალიშვილს. ქ-ნ გ-ს დანახვაზე კომენდანტს სახე შეეჭმუხნა, თავი დახარა და ეტყობა ცოლისთვის რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ქალმა შესძახა: „ნეტავ რა კოპებს იკრავ!" და თავის მხრივ ქმარს კო-

ცნა აჩუქა. მისმა ხუმრობამ წერტილი დაუსვა გულისამაჩუყებელ მოზღვავებულ გრძნობებს. მამა-შვილი ვახშამზე მიიპატიჟა და ისინიც სასადილო ოთახში ნეფე-პატარძალივით შევიდნენ. ვახშამზე კომენდანტი ზედმეტად მხიარულობდა, თუმცა დროდადრო სლუკუნებდა, ცოტას ჭამდა და თეფშს ჩაშტერებული ლაპარაკობდა, [illegible] ხელს ეთამაშებოდა.

მაგრამ მეორე დღეს მათ წინაშე წამოიჭრა კითხვა, ბოლოს და ბოლოს ვინ მოვა თერთმეტ საათზე, ხვალ ხომ ის საბედისწერო სამი რიცხვი იყო. დედა, მამა და ძმაც, რომელიც აგრეთვე დასთან შესარიგებლად ჩამოსულიყო, — დაჟინებით მოითხოვდნენ ქორწინებას თუ, რა თქმა უნდა, ის პიროვნება ასე თუ ისე შესაფერისი იქნებოდა მათი ოჯახისთვის. შესაძლებელი და შეუძლებელიც უნდა ეღონათ მარკიზას ბედნიერებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ ის პიროვნება, მიუხედავად ოჯახის მხრიდან მხარდაჭერისა, მარკიზაზე დაბალი წარმომავლობისა და შესაძლებლობის აღმოჩნდებოდა, მშობლები უარს იტყოდნენ ქორწინებაზე. ასეთ შემთხვევაში, ისინი ამჯობინებდნენ, მარკიზა კვლავ შინ დაეტოვებინათ და ბავშვიც ეშვილათ. მარკიზა კი, ეტყობა, სიტყვის გატეხვას არ აპირებდა და სურდა ბავშვისათვის შეენარჩუნებინა მამა, თუ, რა თქმა უნდა, ის პიროვნება მთლად ნაძირალა არ იქნებოდა. საღამოს დედამ იკითხა, უცნობს როგორ შევხვდეთო? კომენდანტის აზრით, მართებული იქნებოდა, თერთმეტი საათისათვის მარკიზა მარტო დაეტოვებინათ. მარკიზა კი სხვაგვარად ფიქრობდა, მშობლებიც და ძმაც მის გვერდით უნდა ყოფილიყვნენ, რადგან იმ პიროვნებასთან მას არავითარი სასაიდუმლო არ გააჩნდა. მისი აზრით, ეტყობა იმ კაცსაც ასე სურდა, რადგან განცხადებაში შეხვედრის ადგილად სწორედ მამის სახლი დაასახელა. მარკიზამ გულწრფელად აღიარა ნამდვილად მოსაწონი გადაწყვეტილებაა იმ კაცის მხრიდანო. დედამ შვილს თხოვნით მიმართა, კაცები უხერხულ მდგომარეობაში რომ არ აღმოჩნდნენ, იქნებ არ დავასწროთ შეხვედრას, მე კი, შენი სურვილისამებრ სტუმრის მიღებისას შენს გვერდით ვიქნებიო. ხანმოკლე დაფიქრების შემდეგ გადაწყდა, ასეც მოქცეულიყვნენ.

და აი, დაძაბული მოლოდინით აღსავსე დამის შემდეგ, დადგა საბედისწერო სამი რიცხვიც. საათმა რომ თერთმეტჯერ ჩამოჰკრა, საზეიმოდ გამოწყობილი ქალები, — თითქოს ნიშნობას ელიანო, — სასტუმრო ოთახში ისხდნენ უკვე. გული ისე ძლიერ უცემდათ, ბაგაბუგს გაიგონებდა კაცი, დღის ხმაური რომ არა. ის იყო მეთერთმეტჯერ ჩამოჰკრა საათმა, რომ ოთახში ლეოპარდო შემოვიდა, — ის ლეოპარდო, მამამ რომ გამოიწერა ტიროლიდან. მის დანახვაზე ქალებს ფერი ეცვალათ. „გრაფი ფ. გეახლათ“ — მოახსენა მან. „გრაფი ფ.?“ — ერთხმად წამოიძახეს გაოცებულებმა. მარკიზამ იყვირა: „დაკეტეთ კარი! მისთვის ჩვენ შინ არა ვართ“. წამოხტა და კარის დაკეტვა თავად დააპირა, ლეოპარდოს ხელი ჰკრა, მაგრამ გრაფი უკვე მის წინ იდგა იმავე საომარ სამოსში გამოწყობილი, ორდენებითა და იარაღით ასხმული, როგორც ციტადელის დაბომბვის დროს. დაბნეული მარკიზა ცოტაც და, დაეცემოდა. სკამზე დატოვებულ თავის ცხვირსახოცს ხე-

ლი დაავლო და გვერდით ოთახში გაქცევა დააპირა, მაგრამ ქ-ნი გ. ხელში სწვდა: „ჯულიეტა!“ — თითქოს რაღაცას მიხვდაო, მღელვარებისაგან ენა წაერთვა. იგი გრაფს მიაშტერდა: „გთხოვ, ჯულიეტა!“ — თან შვილს ხელს არ უშვებდა. „ვიღას ველოდებით?“ მარკიზამ მყისვე მიუგო: „ყოველ შემთხვევაში ამას არა!“ — და [illegible] ცლოვანი თვალები მიანათა, სახეზე კი მკვდრის ფერი [illegible] მის წინაშე მუხლი მოიყარა, მარჯვენა ხელი გულზე მიიდო და ერთ ხანს ასე იყო, სახეაალებული, თავდახრილი და დადუმებული. „სხვას ვიღას ველოდებით, ღმერთო, რა ბრძენი და ბრიყვები ვართ!“ შესძახა პოლკოვნიკის ცოლმა. მარკიზა წამოდგა და გრაფს სახეზე დააშტერდა: „დედა, ახლა კი ნამდვილად შევიშლები!“ „სულელო“, — დედამ ქალიშვილი ცივისკენ მიიბიდა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. მარკიზა შემობრუნდა, სახეზე ხელები აიფარა და დივანზე დაეცა. „ჩემო საბრალოვ, რა მოგდის? რა მოხდა ისეთი, რასაც არ ელოდი?“ გრაფი პოლკოვნიკის მეუღლეს შესცქეროდა, ჯერ ისევ დაჩოქილი მისი კაბის კალთას სწვდა და კოცნა დაუწყო. „ძვირფასო! მოწყალეო! ღირსეულო ქალბატონო!“ — ჩურჩულებდა იგი და სახეზე ცრემლი ედინებოდა. პოლკოვნიკის მეუღლემ მიმართა: „წამოდექით, წამოდექით, გრაფ, და დაამშვიდეთ მარკიზა. ასე და ამგვარად ყველანი შევრიგდებით, ყველაფერი მოგეტევებათ და დავიწყებას მიეცემა“. გრაფი თვალცრემლიანი წამოდგა, თავი ისევ მარკიზას წინაშე დახარა და იმგვარი სასოებით აიღო მისი ხელი, თითქოს უცხო რამ ნაკეთობა ყოფილიყოს და მისი შეხება შებღალავსო. ქალმა კი იყვირა: „წადით! წადით! წადით! — და წამოდგა: „ვინმე ნაძირალას უფრო მოველოდი, ვიდრე... ეშმაკს! — თითქოს ჭირიანი ყოფილიყოს, სასწრაფოდ გაშორდა, ოთახის კარი გამოაღო და დაიყვირა: — კომენდანტს დაუძახეთ!“ „ჯულიეტა!“ — შვილის შეჩერება სცადა გაოცებულმა დედამ. სახეშეშლილი მარკიზა ხან გრაფსა და ხანაც დედას უცქერდა, მის გულს ბაგაბუგი გაუდიოდა, სახე აალებოდა. ალბათ ფურიაზე უარესად გამოიყურებოდა. ამ დროს პოლკოვნიკი და მეტყევე შემოვიდნენ. „ამ კაცს, მამა, მე ვერ გავყვები ცოლად!“ — უთხრა მარკიზამ, როცა ისინი ჯერ კიდევ შემოსასვლელში იდგნენ. კედელზე, კარს უკან ჩამოკიდებულ ჭურჭელს მისწვდა, ნაკურთხი წყალი აპკურა მამას, დედას, ძმას და გაუჩინარდა. ამ უცნაური საქციელით გაოცებულმა კომენდანტმა იკითხა, რა მოხდაო, და მოულოდნელობისაგან გაფითრდა, როცა ამ გადამწყვეტ წამს ოთახში გრაფი ფ. დაინახა. დედამ გრაფს ხელი მოჰკიდა და ქმარს უთხრა: „ნურაფერს იკითხავ, ლორენცო, ეს ყმაწვილი კაცი გულით ინანიებს ყოველივეს, რაც მოხდა. დალოცე, და ყველაფერი ბედნიერად დასრულდება“. გრაფი გასვენებული იდგა. კომენდანტმა მას თავზე ხელი დაადო, წარბები აუთამაშდა, ტუჩები ცარცივით თეთრი გაუხდა. „აგშორებოდეს ზეციური რისხვა... — თქვა მან ქორწილს როდის აპირებთ?“ „ხვალ, — გრაფის ნაცვლად უპასუხა დედამ, რადგან იავად გრაფს ენა

წარმოეთქმა თითქოს. — ხვალ ან დღეს, როგორც შენ იტყვი, გრაფისთვის, ვინც თავის საქციელს გულწრფელად ინანიებს, უახლოესი დრო იქნება სასურველი". „მაშინ სიამოვნებით შეგხვდებით ხვალ თერთმეტზე ავგუსტინეს ეკლესიაში!" — უთხრა კომენდანტმა. გრაფი თავი დაუკრა და სამივენი მარკიზას ოთახისკენ გაეშურნენ, გრაფი მარტო დარჩა. ამაოდ ეცადნენ, მარკიზას უცნაური საქციელი ეხსნათ. სიცხიანი იწვა და ქორწინებაზე არაფრის გაგონება არ სურდა. მარტო დამტოვეთო, იხვეწებოდა. კითხვაზე, რატომ შეცვალა მან ასე უცებ თავისი გადაწყვეტილება, ან რითი იყო გრაფი სხვებზე უარესი, მარკიზამ ფართოდ გახელილი, დაბნეული თვალებით შეხედა მამას და არაფერი უპასუხა. მარკიზას მოაგონეს, ხომ არ დაგავიწყდა, დედა რომ ხარო? ამაზე ქალმა მიუგო, ახლა საკუთარ თავზე ფიქრი უფრო მმართებს, ვიდრე ბავშვზეო და ყველა ანგელოზი და წმინდანი დაიფიცა, არ გავთხოვდებიო. მამამ აღელვებულ ქალიშვილს უთხრა, მიცემული სიტყვა არ უნდა გატეხოო. შემდეგ იგი მარტო დატოვა და ხვალინდელი ჯვრისწერისათვის თადარიგის დაჭერას შეუდგა. გრაფთანაც ყველაფერი წერილობით მოაგვარა. საქორწინო ხელშეკრულების თანახმად, გრაფს უარი უნდა ეთქვა მეუღლის ყოველგვარ უფლებებზე, მაგრამ ამავე დროს უნდა ეტვირთა ყველა ის მოვალეობა, რასაც მისგან მოითხოვდნენ. გრაფმა კომენდანტს ეს ფურცელი ცრემლებით დასველებული დაუბრუნა თავისი ხელმოწერით.

მეორე დილას, როდესაც კომენდანტმა ფურცელი მარკიზას გადასცა, მარკიზა უკვე თითქმის დამშვიდებულიყო. ჯერ ისევ ლოგინში წამომჯდარმა და ხელებაკანკალებულმა რამდენჯერმე გადაიკითხა, დაფიქრდა, გვერდზე გადადო, ისევ გახსნა და გადაიკითხა. შემდეგ განაცხადა, თერთმეტ საათზე ავგუსტინეს ტაძარში ვიქნებიო. ადგა, ჩაიცვა, შემდეგ თავისიანებთან ერთად უსიტყვოდ ჩაჯდა ეტლში და გაიმგზავრა.

გრაფს მხოლოდ ეკლესიის შესასვლელთან ჰქონდა უფლება ოჯახს შეერთებოდა. მარკიზა მთელი საზეიმო ცერემონიალის განმავლობაში საკურთხეველს მიშტერებოდა, თვალიც კი არ შეუვლია იმ კაცისთვის, ვისაც ბეჭედი გაუცვალა. ცერემონიალის დასრულების შემდეგ გრაფმა თავის ხელი შესთავაზა ქალს, მაგრამ ეკლესიიდან გამოსვლისთანავე გრაფინიამ თავი დაუკრა ნიშნად განშორებისა. კომენდანტმა გრაფს ჰკითხა, თუ მექნება პატივი ქალიშვილთან თქვენი ხილვისაო, რაზეც გრაფმა რაღაც გაუგებარი ჩაილაპარაკა, შემდეგ საზოგადოებას ქუდი მოუხადა და გაუჩინარდა. მან მ-ში იქირავა სახლი, რამდენსამე თვეს დაჰყო ისე, რომ კომენდანტის სახლში არც გამოჩენილა. გრაფინია მამისეულ სახლში დარჩა საცხოვრებლად. და მალე ვაჟიც შეეძინა. თავისი ღირსეული და ყოვლად სამაგალითო საქციელის წყალობით, რასაც გრაფი ამ ოჯახთან ურთიერთობისას ავლენდა, მას პატივი დასდეს და ბავშვის ნათლობაზე მიიწვიეს. საწოლში წამომჯდარმა გრაფინიამ მას მხოლოდ ერთი წამით მოჰკრა თვალი, როდესაც გრაფი ღია კარში გა-

მოჩნდა და მოწიწებით მიესალმა ქალს. მან ორი ფურცელი ჩააგდო პატარა საწოლში, სადაც ბავშვისთვის მიტანილი საჩუქრებიც ელაგა. როგორც მისი წასვლის შემდეგ გაირკვა, ერთ-ერთის მიხედვით ოცი ათასი რუბლი აჩუქა პატარას, მეორე კი გახლდათ ანდერძი, რითაც ვაქის დედა გრაფის სიკვდილის შემთხვევაში, მთელი მისი ქონების მემკვიდრედ ცხადდებოდა.

ამ დღის შემდეგ ქ-ნ გ-ს სურვილით, გრაფს უფრო ხშირად იწვევდნენ ოჯახში, ისე რომ, სალამო არ გავიდოდა, გრაფი არ სტუმრებოდათ. როგორც ეტყობოდა, მას უკვე აპატიეს, ახალგაზრდა კაცი კვლავ მფარველობდა გრაფინიას — თავის მეუღლეს, ერთი წლის შემდეგ კიდევ ერთხელ მიიღო თანხმობა და კიდევ ერთი ქორწილი იზეიმეს, უფრო მხიარული, ვიდრე პირველი.

შემდეგ მთელი ოჯახი ვ-ში გადასახლდა და მალე პირველ პატარა რუსს სხვებიც მიჰყვნენ რიგრიგობით. ერთხელ სიმშვიდისა და სიმყუდროვის გარემოში გრაფმა ცოლს ჰკითხა, იმ საბედისწერო სამ რიცხვში მზად იყავი უკანასკნელი ნაძირალაც კი მიგეღო, ჩემს დანახვაზე კი ისე გაიქეცი, თითქოს ეშმაკი დაგენახოს. რატომ მოიქეცი ასე? ქალმა ქმარს ყელზე შემოაჭდო ხელები და უთხრა, ახლა ეშმაკად არ მომეჩვენებოდი, მაშინ, პირველი ნახვისას ანგელოზი რომ არ მგონებოდიო.

ტატიანა სუხოტინა

ქალიშვილის მოგონებები

თარგმნა ნანა ზარჩია-ბოღევაძემ

7. ნოემბერი. დილის 11 საათი.

ეს-ეს არის მოვბრუნდით მორდვინოვებისაგან, სადაც ღამე გავათიეთ, რადგან ქარბუქში ვერ შევძელით უკან დაბრუნება. იქით ფეხით წავედით, დონს გავყევით, პირქარი გვცემდა, ძლიერი ქარბუქი მძვინვარებდა, იქიდან კი უკვე ველარ გამოვაღწევდით.

დედამ წერილი გაგზავნა „რუსკიე ვედომოსტიში" და მალე ერთ მშვენიერ დღეს ოთხას მანეთამდე გამოუგზავნეს, მერე კიდევ სტრახოვმა მისცა ასი მანეთი, ამას დაემატა სპექტაკლ „განათლების ნაყოფის" ყოველდღიური მთლიანი შემოსავალი, რომელიც გამიზნული იყო დამშეულთათვის, მაგრამ ყველაზე გრანდიოზული შემოწირულებანი, ალბათ, ინგლისიდან მოვა, რადგან მამამ წერილი მიიღო, ინგლისელები შეწირულებას სთავაზობდნენ. მამამ თანხმობა გაუგზავნა და მისწერა, რომ იმ ფულს, რომელიც აქ არ დასჭირდებათ, იგი გადასცემს უფრო გაჭირვებული გუბერნიის ეროობას. ისევ არ მომწონს მამაჩემისა და ფულის ხსენება ერთად. საძრახი მეჩვენება, მდიდარ ქალიშვილს რომ ურჩია, 200 ათასი დასწვიო, გაცილებით უფრო ესადაგება მის შეხედულებებს. აქ კი რაღაც კომპრომისია, თუმცა ნათლად ვერ გამომითქვამს, რაში გამოიხატება ეს კომპრომისი.

გუშინ და დღეს არაფერი გამიკეთებია — ეს მტანჯავს. მთელი ორი დღე ვიღაცამ უნდა იშიმშილოს მხოლოდ იმის გამო, რომ გუშინ მე ვშფოთავდი, მამა რომ მარტო გავუშვი მორდვინოვებთან, დღეს კი მრცხვენია მეორედ ვუბრძანო ცხენების შებმა; განა ეს მიზეზია და თუ ოდნავ მაინც შესაძლებელი იქნება, ნასადილევს ან ფეხით წავალ ან გავემგზავრები ეკატერინენსკოეში სასადილოს გასახსნელად.

ძლიერი ქარბუქია და ალბათ არ გამიშვებენ, მაშინ უნდა დავწერო ის, რაც მინდოდა; გაზეთებს მივწერ, როგორ უნდა გამოვიყენო გამოგზავნილი ფული. უკვე მივიღე ფულადი განცხადება ექვს მანეთზე. აქ თავმოყვარეობა და ლიტერატურა ზვერდზე უნდა მოისროლო და დაწერო მარტივად და რაც შეიძლება მართლად ყველაფერი, რასაც ხედავ, იმიტომ, რომ ეს აუცილებლად საჭიროა. ჯერ ერთი, ბევრნი, რომლებიც ამბობენ არ არსებობს შიმშილიო, გაიგებენ რომ არსებობს და თანაც როგორი შიმშილი! მეორეც, რაკი საქმეში გამოვცადეთ დახმარების ისეთი ფორმა, როგორიც არის სასადილოები, მაზე დაწვრილებით უნდა ეუწყოთ ყველას და ვინ იცის, ეგების სხვებმაც მოგვბაძონ, მესამეც, ეგების ვიღაც-ვიღაცებს სიბრალულის გრძნობა და დახმარების სურვილი აღუძრას, რაიც მუდამ სასურველია.

გაგრძელება. დასაწყისი ის. „საუნჯე" № 1-2, 3-4.

აქ-ისე ძალიან ცივა, წერაც მიძნელდება.

საღამოს შვიდი საათია. თუმცა ძნელია, მაგრამ ნასადილევს ეკატერინენსკოეში წავედი და მიხარია. ამოვირჩიე ქოხი, სადაც სასადილო იქნება, მამასახლისთან მივედი და ვუთხარი, საზიდარი გამოჰყავი სურსათის ჩამოსატანად-მეთქი. რამდენიმე გლეხიც ვნახე და დღეს შიმშილის საკითხის კიდევ ერთი მხარე აღმოვაჩინე. გლეხებმა უკვე იციან, რომ გაზაფხულისთვის მიწა შემოეჭმებათ, ამიტომაც არ უფრთხილდებიან არც ცხენებს, არც თესლს. ვთქვათ და რომც სურდეთ, მაინც ვერ შეძლებდნენ. მაშინ რა მოხდება?

ხშირად ვფიქრობ, ნეტავ რით დამთავრდება ეს წელიწადი-მეთქი. და ვერც წარმომიდგენია, რა დღეში ჩაცვივდებიან გლეხები. მათ მეურნეობაში ხომ ქვა ქვაზე აღარ დარჩება. ხოლო კულაკები, ვაჭრები, მავანი მეწისქვილეები და სხვები რომლებმაც ახლა გროშებზე იყიდეს პურიც, საქონელიც, — გამდიდრდებიან და გლეხებს სულ დაიმონებენ, თუ რა თქმა უნდა გლეხები ამის ნებას მისცემენ და არ აღუდგებიან, რაც საკვლევით შესაძლებელი და მოსალოდნელია.

ობოლენსკისაგან წერილი მივიღე — ცენზურა ჩემს კრებულს რაღაც დაბრკოლებებს უქმნის, მაგრამ იმედი მაქვს, ვაჯობებთ.

ახლა მოვიდა გლეხი და მითხრა, ორი დღეა არაფერი მიჭამიაო. მალე ასეთები ბევრნი იქნებიან.

კიდევ ერთი ნიშანი სიღატაკისა — საღამოობით იშვიათად თუ გამოჩნდება ქოხში სინათლე...

8 ნოემბერი. საღამოს რვა საათი.

ვიფიქრეთ და ჩვენ-ჩვენს ოთახებში წავიდ-წამოვედით. დილით დედას წერილი გავუგზავნე და ჩერნოვიდან გამოგზავნილი დედაჩემის, აპუხტინისა და სხვების წერილები წავიკითხე.

დედა მწერს, მამას სტატია გაუშვეს, მე და სტრახოვმა ფეტთან ვისადილეთო, იქ წაიკითხეს და ძალიან მოეწონათ ეს სტატია, აპუხტინი სწერს მამას: ჩემთვის პირადი უბედურებაა ის ამბავი, რომ თქვენ, შემოქმედი ადამიანი, მქადაგებლად გადაიქეცით და რომ თქვენი ქადაგება თქვენთან ერთად მოკვდება, ხოლო თქვენი მხატვრული ქმნილებები მუდამ მოახდენენ გავლენას ადამიანთა ცხოვრებასა და განვითარებაზეო. წერილი მეტად თავაზიანად, სიფრთხილით და შეძლებისდაგვარად მოფიქრებულად არის დაწერილი, მაგრამ იგრძნობა, რომ წერილის ავტორი განცხრომის მოყვარული ადამიანია, შეშფოთებული იმის გამო, რომ სურთ ყველა სიამე წარსტაცონ. მას ძალზე უკვირს როგორ შეუძლია მამას ასეთი რამ დაწეროს: „არ არის საჭირო გემრიელი ჭამა". მისთვის ყოველგვარი აკრძალვა სიხარულის მომნიჭებელი კი არა, რაღაც აღმაშფოთებელია და უსამართლო. იგი წერს, რა საჭიროა ასე მოიქცე, შენს თავს ცუდი გაუკეთო და არ ეცადო, სხვებს კარგი გაუკეთოო. თითქოს მხოლოდ მაშინ მოიპოვებს კაცი უზრუნველსა და ყოველივე ამქვეყნიური სიამით სავსე ცხოვრებას, როცა საკუთარ სიცოცხლეს გაიღებ მსხვერპლად სხვათა ბედნიერებისათვის.

მოსკოვიდან ჩამოვიდნენ ვანია და პეტია რაევსკეები, ი. ალ. ბერგერი. დედამ მათ წერილი გამოატანა, ითხოვე ბავშვს სიცხე ჰქონია, მაგრამ ფილატოვს უთქვამს, ეს ინფლუენცია არისო და სამ დღეში საესებით გაუვლითო,

დედას სამი ათას მანეთზე მეტი შეუკრიბავს და ჩვენ გამოგვიგზავნა ათასი მანეთი მოროზოვისაგან და ორას სამოცდაცამეტი მანეთი მამაჩემის სტატიისათვის „რუსკიე ვედომოსტისაგან“. ლამის დამათროს ამდენმა ფულმა, მაგრამ თან არც მსიამოვნებს, სად უნდა წავიღოთ, როგორ გავანაწილოთ.

დღეს ჩამოვიდნენ ეკატერინენსკოედან მარაგის წასაღებად და ხვალ გაიხსნება ჩემი „თავშესაფარი“, მაგრამ იქვე მეორეც უნდა გაიხსნას, თორემ სოფელი დიდია — სამოცდათექვსმეტი კომლი ცხოვრობს.

11 საათი. ძილი მერევა, მაგრამ უსათუოდ უნდა მივწერო წერილი რეპინს, სონია მანონოვას, და დავამთავრო სვეჩინთან გასაგზავნი წერილი; მამამ მე მომანდო ეს საქმე, უნდა ვაცნობო რა კეთდება ჩვენთან, და ვკითხო როგორ იყენებენ მასთან სიმინდს. მამამ აქაურ „თავშესაფარში“ შვრიის კისელი გააკეთებინა, რასაც დიდი მოწონება ჰქონდა. კერძი ყუათიანია და თანაც იაფი, ამიტომ გვინდა სხვაგანაც შემოვიღოთ მისი კეთება.

დღეს ივან ივანეს ძემ გასაყიდი შეშა აღმოაჩინა, ძალიან მიხარია, თორემ არ იციან ტორფით ღუმელის დანთება. ან იქნებ, არც შეიძლება. ივან ივანეს ძემ ეპიფანიდან ხაბაზი გამოიწერა, და სუროგატებისაგან პურის სხვადასხვა სინჯებს ამზადებინებს. ყველაზე უკეთესი გამოდგა კარტოფილიანი პური — ორ ფუთ პურის ფქვილს ურევენ წინასწარ მოხარშულ და დასრესილ ორ ფუთ კარტოფილს, ჩინებული პური გამოდის. ჩვენ სადილად ასეთ პურს გვაძლევენ და ნამდვილი პურისაგან თითქმის არ განსხვავდება. ხელსაყრელი იმითაც არის, რომ უფრო იაფია და მაშინ, როცა კარტოფილის გადატანა ყინვაში არ შეიძლება, სამაგიეროდ კარტოფილის პურისა შესაძლებელია. სცადეს პურის გამოცხობა ჭარხლის ნარჩენებისაგან, რომელსაც შაქრის ქარხნებში ფუთს ორ კაპიკად ყიდიან, და ფრიად ყუათიანია, მაგრამ პირველი სინჯი არ გამოდგა, პურის ცომი ჩავარდა და ნოტიო გამოვიდა, ახლა კი შევეცდებით ბორშჩი მოვხარშოთ. წამოიჭრა საკითხი, შეიძლება თუ არა მოყინული კარტოფილისა და შაქრის ჭარხლის მოხარშვა, ვსინჯეთ და აღმოჩნდა, რომ თუ გაუმლღვალს პირდაპირ მოვხარშავთ, ვერც განასხვავებ გაუყინავისაგან.

ბევრს რასმე გვასწავლის წლევანდელი წელიწადი, მაგრამ ნეტავ როგორ დამთავრდება იგი?

9 ნოემბერი. დღის 2 საათი.

დღეს დილით ეკატერინენსკოეში წავედი და უკან რომ ვბრუნდებოდი, ასეთი აზრი მომივიდა: რა მოხდება, თუნდაც ერთი „თავშესაფარი“ გავხსნა ისეთი, რომ წინასწარ არ შევადგინო მსურველთა სია და ყველა მსურველი შევუშვათ შიგ. ეს იმიტომ მომაფიქრდა, რომ სი-

ნდისის ქენჯნა ვიგრძენი: ხელთ მიპყრია იმ ადამიანების ბედი და საკუთარი ფუფუნებიდან გამომდინარე ვმსჯელობ, ვის ნაკლებად და ვის მეტად შია-მეთქი. საერთოდაც, არასდროს ისე არ მრცხვენოდა მდიდარი რომ ვიყავი, როგორც მაშინ, როცა მოდიოდნენ დედაბრები და მუსლეებში მივარდებოდნენ ორშაურიანისა ან ნატეხი პურის გამო. [illegible] მაგიდის უჯრაში ასობით მანეთი მედო, რომელზედაც მათი ბედი იყო დამოკიდებული. არა, არ უნდა მქონდეს ფული, აქ რაღაც სხვა ამბავია, ტყუილად კი არ გეთაკილება, როცა ფულთან გაქვს საქმე.

მამამ ძალიან მოიწონა ჩემი გეგმა. სასადილოში განურჩევლად ყველანი რომ შევიდნენ, ივან ივანეს ძეს კი ეშინია, არეულობა იქნებაო, მაგრამ მაინც უნდა ვცადო. ვორკის ავირჩევ, რადგან ახლოსაა და ყოველდღე შემეძლება წასვლა. მამამ თქვა, თავდაპირველად მეც ასეთი გეგმა მქონდაო.

კვირადღე, 17 ნოემბერი. ღამის 12 საათი.

სიცხე მაქვს 38,40, მაგრამ თავს საკმაოდ სასიამოვნოდ ვგრძნობ. ყურებში რაღაც მიგუგუნებს და საფეთქლებში მირტყამს. დღისით ისე მტკიოდა ზურგი, რომ ვიწექი საწოლში და ტკივილისა, მოუთმენლობისა და სიბრაზისაგან ვტიროდი. მოვიდა მამა, სთხოვა მარია კირილეს ასულს კარგად დაზილეთო, რის შემდეგაც ჩამეძინა.

გუშინ საღამოს მამამ, იმ კაცმა, ბოგოიავლენსკიმ, ჩისტიაკოვმა და მე ბევრი ვისაუბრეთ იმაზე, რა ელის რუსეთს და თუმც მამა ამბობდა, რამდენსაც არ უნდა ვეცადოთ, წინ მაინც გარდუვალი დაღუპვა არისო — ამან როდი წარმიკვეთა სასო. სხვებს როცა ვუსმენ და თვითონაც ვფიქრობ, არ შემიძლია არ დავეთანხმო ამ აზრს, მაგრამ ვფიქრობ მაინც არსებობს რაღაც იმედი, თუ ადამიანების უმეტესობა არ დაზოგავს ძალ-ღონეს რაიმეს მისაღწევად, მაშინ დანარჩენებიც გამოიღებენ ხელს, მათ მაგალითს მიბაძავენ და ვინ იცის, ეგების დაღუპვას გადავრჩეთ. ის მაშინებს, რომ ეს სიღარიბე და შიმშილი მავანთათვის ადამიანების დამონების გზაა და ყოველივე იმით დასრულდება, რომ ან ისევ გაჩნდებიან ყმა-გლეხებზე უარესი მონები, ანდა აჯანყება მოხდება, რაც ჩემის აზრით და ეპოქის სულისკვეთების მიხედვით, საფასებით მოსალოდნელია.

სწორედ გუშინ ვესაუბრე ყველა ამ ხალხს და გავიფიქრე, მე ხომ სულ ახლახან ჩავვარდი ჭკუაში, — დარბაისელი ადამიანები მიზიარებენ თავიანთ მოსაზრებებსა და შეხედულებებს, აზრს მეკითხებიან. რა დასამალია, რომ არც ისე დიდი ხანია, რაც საკუთარი შეხედულებები გამიჩნდა.

მამა ხშირად ამბობს და წერს თავის წერილებში, რომ ეს საქმე ახლა რომ აკეთებს, მთლად ის არის, რისი გაკეთებაც სურდა, მხოლოდ დათმობაზე წასვლაა და სხვა არაფერი, მიხარია, ჩანს არ შევმცდარვარ.

ისევ ვიღებთ შემოწირულებას და ეს ამბავი მაშინებს. ამჟამად ჩვიდმეტი სასადილო გვაქვს. რამდენიმე დღის წინათ მე და ჩისტიაკოვი სასადილოს გასახსნელად წავედით ორ შორეულ სოფელში — გრიაზ-

ნოვკასა და ზაბოროვკაში. ზაბოროვკა განსაკუთრებით ღატაკი სოფელია. თითქმის ყველას ნელ-ნელა შემოეწვათ თავიანთი სახლ-კარი. ზოგიერთს კი სულაც არ ჰქონია. შევედი ერთ-ერთ ასეთ ქოხში: ქმარი ცოლი და ხუთი ბავშვი ცხოვრობს. მარტო ერთი სულის სამყოფი მიწა აქვთ. ქოხი საკუთარი არ არის — ძმისგან უქირავებიათ წელიწადში ძვიდ მანეთად. მამა და ქალიშვილი ზაფხულში საქონელს ამწყებდნენ, მწყემსავდნენ და ოცდათხუთმეტი მანეთი მიულიათ, მაგრამ უკვე დაუხარჯავთ. ახლა არაფერი აქვთ. პური მაშინ აქვთ, როცა მეზობლები ასესხებენ. ვუთხარი, „თავშესაფარი" იხსნება და ბავშვები გაუშვით-მეთქი. გაუხარდათ და მადლობა გვითხრეს. გამახსენდა ერთ-ერთ ქოხში რომ მითხრეს შვიდ კაცს ერთი ქალამანი გვაქვსო და ვკითხე, რას ჩაიცმევთ იქ წასასვლელად-მეთქი: მამამ გოგონა ხელში აიყვანა, ქურქის კალთა შემოახვია და მითხრა: აი, ასე წავიყვან თვითეულსო.

თან შალი მქონდა წაღებული და დავუტოვე. ჯერ გაშეშდნენ, ვერ მიხვდნენ, რომ ვაჩუქე, მერე კი ატირდნენ. ყველა ასე ტირის, როცა რაიმეს აჩუქებ. ძალიან სასიამოვნო იყო ჩემთვის ეს შალი რომ დავუტოვე, — ერთადერთი სიკეთეა, რაც შეგვიძლია მოიმოქმედო, გასცე საკუთარი — არა საკუთარი ფული, არამედ ის, რაც გჭირდება და რასაც იკლებ სხვისი გულისთვის. და ეს არც შურს აღძრავს — გავეცი რაც მქონდა —სხვა შალი არა მაქვს, ვერც ვერავინ მომთხოვს და არც მოლოდინი ექნება, იქნებ მეც მაჩუქოსო, ახლა მე ტყაპუჭები უნდა შევუკვეთო, ეს სულ სხვა საქმე იქნება, ვინც კი გაიგებს, რომ ტყაპუჭები მაქვს, ეცდება შემთხვევა ხელიდან არ გაუშვას და მომთხოვოს. მე კი ვერ მივხვდები რომელს უფრო მეტად სჭირდება. ზაბოროვკაში თითქმის ყველანი ჩაუცმელნი და ფეხშიშველნი არიან. და სწორედ იქ უნდა გავანაწილო ეს ტყაპუჭები.

იმ ქოხის გვერდით, რომელზედაც ახლა ვწერდი, ასეთივე ქოხი დგას, მაგრამ უფრო პატარაა, თანაც ერთფანჯრიანი. იქაც შევედი — პატრონი შინ არ იყო. ავადმყოფი დედაკაცი (ვგონებ, ჭლექიანი) ბავშვს ძუძუს აწოვებს. იქვე არიან მოზრდილი ბავშვები და მეზობლის გოგო. ქალმა მითხრა, გუშინს აქეთ არაფერი გვიჭამიაო, ბავშვები მშივრები არიან, ქმარი წისქვილში წავიდა, ერთი ფუთი ჭვავი უნდა დააფქვევინოს, გუშინ რომ მოგვცესო. ამას რომ მეუბნება, ქალი ტირის, გოგო უსმენს და ცრემლი სცვივა. უფროს ბავშვებს ასაკის შეუფერებელი სერიოზული და სევდიანი გამომეტყველება აქვთ. მხოლოდ პაწია, ძუძუთა ჩვილი იღიმება, დედას პირსა და ნიკაპზე უცაცუნებს ხელს, რათა ყურადღება მიიქციოს.

ბავშვები განსაკუთრებით მებრალება. გუშინ სამი ბავშვის სანახავად ვიყავი, რომლებსაც აგერ მეორე კვირაა ღებინება აქვთ და კუჭის აშლილობა აწუხებთ. წვანან ღუმელზე ერთმანეთის გვერდით ისეთი თვინიერნი, საცოდავნი, საწყალნი. დედა ქვრივია. დღეს ჩემთან მოვიდა — მივეცი ბურღული, ჩაი, ბლითები, წამალი და პურის ფულად ერთი უზარმაზარი, რაც მეტს. გაძღევდეს. უფრო და უფრო ტიროდა. საცოდავი, საცოდავი ხალხი. მაოცებს მათი მორჩილება, მაგრამ ვფიქრობ, მორჩილებასაც ექნება დასასრული.

ელენა პავლეს ასულმა მითხრა, მოსკოვში ძალიან უკვირთ აქ ცხოვრების რომ არ გვეშინია, ჩვენ კი მარტონი დავდივართ და ვერაფერს ვერა ვხედავთ, გარდა ალერსიანი დამოკიდებულებისა. საერთოდ, ქალაქელებს ის საქმე, რაც აქ კეთდება, საკვლევით უკულმართად ეჩვენ. ძალიან მინდა გაზეთებში დავწერო მრავალი ჩემი დაკვირვების ამბავი, მაგრამ ცოდნა არ მყოფნის. სხვათა შორის, იმის გასაცხადებლად არ იქნებოდა ურიგო, რომ უკვე სამი კვირაა აქ ვცხოვრობ და არც ერთი მთვრალი არ მინახავს.

ბოლო ხანებში გამიქრა შეშფოთების ის მძიმე გრძნობა, აქ ჩამოსვლის პირველ დღეებში რომ მაწუხებდა; მაშინ უბრალოდ დედაჩემის გამო ვწუხდი. ახლა იგი მშვიდად და ჯანმრთელად არის, და მეც დავმშვიდდი. მომენატრა დედაც და ბავშვებიც. მოსკოვში ჩავიდოდი, მაგრამ დედა ნებას არ მაძლევს მარტო დავტოვო მამაჩემი და თანაც მალე ალბათ კელანი ჩავალთ იქ. მეშინია მოსკოვში მხატვრობამ არ გამიტაცოს და ვაითუ აღარ მომესურვოს აქეთ დაბრუნება — მაგრამ თუ კი ეს მოხდება, თავს ვაიძულებ.

1893

10 ივლისი. იასნაია პოლიანა.

დღეს უფრო მეტად ვინემ ოდესმე დავრწმუნდი, რომ ტალანტი ვერ განვითარდება თანდაყოლილი ნიჭისა და თავგადადებული დაძაბული შრომის გარეშე. მე არ ვიცნობ არც ერთ ნიჭიერ კაცს, ვინც თავისი ხელოვნების ფორმაზე მთელი ძალით დაძაბულად, ყოველდღიურად არ შრომობს. დღეს ვუყურებდი, როგორ გადააკეთა რანდენჯერმე მამამ ერთი წინადადება ხან ასე, ხან სხვაგვარად, მერე ისევ და ისევ დაუსრულებლად. — და რეპინიც ასე იქცევა, როცა ხატავს. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ვერასოდეს ვერ მივაღწევ სრულყოფილების ვერავითარ დონეს: მე არა მაქვს ამის ნიჭი, არა მაქვს იმის უნარი, რომ ფორმას ასეთი მნიშვნელობა მივანიჭო. ხშირად მიკვირს, რომ მამას ასე ძლიერად აქვს გამჯდარი ეს თვისება. ჩემის აზრით, მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ როცა შინაარსი გიყვარს, გინდა ყველაზე სრულყოფილი ფორმა მოუძებნო.

6 დეკემბერი.

მამა ამბობს, რომ მხატვრობასა, მუსიკასა და ლიტერატურაში არსებობს თითო დიდი თვალთმაქცი, მხატვრობაში — რაფაელი, მუსიკაში — ვაგნერი, ხოლო ლიტერატურაში — შექსპირი.

4 დეკემბერი.

მამამ დიდი ხანია მითხრა და ჟენიამ ჩაწერა თავის დღიურში, საკუთარი თავის გამოცდა, ყოველთვის ასე შეიძლებაო. უნდა წარმოიდგინო, რომ შენი ამქვეყნად ცხოვრების ბოლო დღეა. მაგრამ ამის წარმოდგენა ვერ შევძელი: ვერაფრით ვერ ვიჯერებ, რომ უცებ მოვკვდები და აღარ ვიქნები.

28 დეკემბერი.

გუშინ საღამოს **ის კაცი** მოვიდა ჩემთან ოთახში და სხვათაშორის მიამბო, რომ მამასთან ერთად სასეირნოდ ყოფილა და მისთვის შეუჩივლია, ცხოვრება მოსაწყენიაო, — უფრო სწორად, მოსაწყენი კი არ არის, არამედ ცხოვრება არ გეძახის, არ გიპყრობს ერთიანად, თითქოს არც არსებობსო. მამას უპასუხნია, რომ ცხოვრობ ზოგჯერ ასე უბრძოლველად მთელი წელიწადი ანდა წლები მხოლოდ ერთი წუთის გულისთვისო. ეს ჭეშმარიტებაა.

1894

24 იანვარი. გრინოვკა.

გუშინ საღვურში დიდხანს ვორჭოფობდით, გავემგზავროთ თუ არაო, რადგან ძლიერად ქროდა. ორივენი ვყოყმანობდით და მერე როგორღაც უხალისოდ გადავწყვიტეთ წავსულიყავით.

მაგრამ როგორც კი დავიძარით, საშინელმა შიშმა და ნაღველმა მომიცვა. ჯერ ერთი, მამას ნაბდის ჩექმები დაგვავიწყდა, მარტო მაღალყელიანი ფეხსაცმელები და კალოშები ეცვა. როგორც კი გავემგზავრენით, ამოვარდა ქარიშხალი, ჩამოწვა წყვდიადი, ხან ნამქერი ავარდება, ხან შიშველი მიწა ჩანს, ქარი ზუზუნებს, თოვლის ფანტელები ირევა, — ძალიან შემეშინდა: თავს ვკიცხავდი, ეს რა ეგოისტი ადამიანი ვარ, მამაზე სულაც არ ვზრუნავ, დამავიწყდა მისი ნაბდის ჩექმები, არ დავიჯინე, დამის გასათევად დავრჩეთ-მეთქი, შემეშინდა, მარხილიდან გადმოძვრომა მოგვიწევს, მამა გაცივდება და ავად გახდება-მეთქი. და აი, დავისაჯე კიდეც ჩემი ეგოიზმის გამო.

მაგრამ ყველაფერი კეთილად დასრულდა. თბილად ვიყავით, გზისპირა ზოლიანი ბოძები ჩანდა, დავმშვიდდით და ვსაუბრობდით.

ვლაპარაკობდით „პოსრედნიკის"[2] მოსალოდნელ დევნაზე. მამა ამბობდა, ჩვენ ვერ გავუგებთ მთავრობის ხალხს, ისევე როგორც მათ არ ესმით და ეშინიათ კიდეც ისეთი ხალხისა, როგორიც „პოსრედნიკელები" არიან, ისინი ხომ არაფერს კარგავენ, თუნდ გადაასახლონ ან დააპატიმრონ. მათ არაფრის დაკარგვის არ ეშინიათ, ვერც ვერაფერს წაართმევ: ვერც ვერავითარ პირობებს, ვერც ღვინოს, ვერც პაპიროსს და ვერც ქალებს, მათ არაფერი აქვთ ისეთი, რის გამოც დათმობაზე წავიდოდნენ, ან რითაც მოისყიდდი.

26 იანვარი.

ახლა დიდხანს ვისაუბრეთ მე და მამამ. მაგრამ გული მთლად ვერ გადავუშალე, რადგან ცრემლი მახრჩობდა და არ შემეძლო ის მეპასუხა, რაც მინდოდა. თავის მწერლობაზე მელაპარაკებოდა, მითხრა, მოახლოებულ სიკვდილს სავსებით თავისუფლად ვუცქერდი და მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობ, დავწერო ის, რაც ვიცი და რაც სხვებმა არ იციან, — და რაკი ხელს არ მიშლის არც პატივმოყვარეობა, არც შიში, არც რაიმე ამდაგვარი, ეს ჩემთვის სულ ადვილიაო. და საერთოდაც, ცხოვრებას ახლა შეხედოო. არ ვიცი, როგორ გამომიწვია და მათქმევინა, ყველაზე

მეტად გაორების გრძნობა მტანჯავს, რასაც გამუდმებით ვგრძნობ-მეთქი. მაგალითად, ჩემს სულში დიდი ხანია მწიფდება კერძო საკუთრების საკითხი. სავსებით გულწრფელად და შეგნებულად ვისურვებდი და საჭიროდაც მიმაჩნია მისგან გავთავისუფლდე, მაგრამ უცებ გამიელვებს ხოლმე ფიქრი, ხომ შეიძლება ისეთი სურათები დავხატო, [illegible] ათასობით მანეთს გადამიხდიან-მეთქი, ჰოდა, უცებ შემშურდება, რომ ვილაცას კარგი ცხენები ჰყავს და ა. შ. სულ ასე ვფიქრობ აქ, ამ ბავშვებს, რომ ვუყურებ, ბევრსა ვფიქრობ ალბრდაზე, და ისევ ირევა ჩემი ფიქრები და ისევ გაორება მიპყრობს. მამა მეუბნება, რომ ამის გამო სასოწარკვეთას ნუ მიეცემი, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ შენს სულში შინაგანი ჭიდილი ხდებაო.

შემდეგ რატომღაც (დღეს ძალზე გამოშტერებული ვარ, არაფერი მახსოვს, ჩაწერა კი მინდოდა, რაც მამამ თქვა) სიყვარულისა და ქორწინების საკითხზე ჩამოვარდა სიტყვა, ვთქვი, ამ საკითხშიც იგივე მემართება, რაც ფულის საკითხში-მეთქი, და მამამ მკითხა: უფრო მტკიცე რომელია, ვუთხარი, სიყვარული-მეთქი. გაეხარდა, რაღაცები გამომკითხა და შემდეგ თქვა: თქვენ, ქალიშვილები, სათანადოდ ვერ აფასებთ საკუთარ უმწიკვლოებას, ვერც წარმოგიდგენიათ რა სიმდაბლეა ქალისთვისაც და კაცისთვისაც ეს ფიზიკური სიახლოვე და რომ ეს მთელ ცხოვრებას დაღს ასვამსო. ვუთხარი, ეს ყველაფერი ვიცი და ყოველთვის ვგრძნობდი ჯერ ინსტინქტურად, შემდეგ უფრო შეგნებულად-მეთქი და მუდამ მოხარული ვიქნები, რომ არ გავთხოვდი-მეთქი. მამამ მითხრა: „არადა სულ მზად ხარ ვინმე შეიყვარო“. ვუთხარი, ეს სიმართლეა, მაგრამ თავს ამის ნებას არასოდეს ვაძლევდი-მეთქი.

მამამ მითხრა, ზოგჯერ მებრალები, რაკი არ განგიცდია ქორწინებისა და განსაკუთრებით დედობის სიხარული. ვისურვებდი შენც გაგეგო ამ შაქარყინულის გემო.

ამ საუბარმა დამამშვიდა და მანუგეშა, თითქოს თავზე ხელი გადამისვესო. მივდივარ დასაძინებლად. გული მწყდება, რომ ძალიან გამოვსულელდი ამ ბოლო ხანს. ცხოვრება მხოლოდ ერთია, მე კი ასე უსარგებლოდ ვფლანგავ.

27 იანვარი. ხუთშაბათი.

მამამ დღეს მკითხა: „ტანია, ასე რატომ შემომაწვა ნაღველი გულზე დღეს?“ ვერაფერი ვუპასუხე, მაგრამ თავს ვუსაყვედურე, ეს ჩემი ბრალია, მოწყენილი რომ არის, მე ვგვრი სევდას შეუცნობლად, ჰიპნოზურად.

მამა ძალიან ალერსიანად მეტაცევა, მეკითხება: „რატომ გახდი?“ მთხოვდა მეჭამა რამე, რძე დამელია. სონიას უბრძანა, კარგად აჭამეო. „თორემ ჩამოხმა“, — თქვა და კეფაზე თმა ამიჩეჩა.

29 იანვარი.

მამამ გუშინ გვითხრა, იმღერეთო. ახლა სონია მოვა და მე აკომპანიმენტს გავუკეთებ. ძალიან სასიამოვნო ხმა აქვს და პირველ დღეებში სული ამიფორიაქა.

მამამ ლევს კარგი წერილი გაუგზავნა, ეს წერილი მე გადავიწერე. ამას წინათ ეზოში შევხვდით ერთმანეთს მე და მამა და გამოველაპარაკეთ, თურმე ერთსა და იმავეზე ვფიქრობდით: გაგვაკვირვა რამდენი მონა მუშაობდა ბატონებისთვის. ამ ამბავმა განსაკუთრებით აქ განგაცვიფრა, რადგან ორივენი როგორც ბავშვს ისე ვუყურებთ ილიას, თურმე ნუ იტყვი და მის განკარგულებაში ყოფილა ხერეოხული, მომთმენი, ქანცგაწყვეტილი ადამიანები. ილიას ხელთაა ამ ადამიანების ბედი, რასაც მოისურვებს, იმას გაუკეთებს. გამახსენდა, რომ ოვსიანიკოვოში ჩემს მამულს ივან ალექსანდრეს ძე გამგებლობს და ამან ისევ მომაგონა კერძო საკუთრების არსებობა და ისიც რომ აუცილებლად უნდა მოვიშორო. ვიცი, უფრო ადვილი და სასიხარულო იქნებოდა ამის გაკეთება ჩემთვის, მაგრამ რატომღაც მეშინია ნაბიჯი გადავდგა. რაც მთავარია, იმიტომ მეშინია, რომ ვფიქრობ, ვაითუ მერე უცებ სხვაგვარად დავიწყო-მეთქი ფიქრი და გული დამწყდეს იმაზე, რაც გავაკეთე.

31 იანვარი.

ახლა მამას მის დღიურებზე ველაპარაკებოდი, ვთხოვე, ოდესმე რომელიმე მათგანი წასაკითხად მომეცი-მეთქი. მითხრა: „ჰო", თუმცა ისე წვრს, რომ არავინ წაიკითხოს. ვკითხე: „სიკვდილის შემდეგ?" მაშინ, რასაკვირველია, მიპასუხა. სონიამ ჰკითხა: „ოღონდ არ უნდა დავბეჭდოთ, ხომ?" არ ვიცი, — გვიპასუხა. მე: „ანდერძით მე და მაშას გვიტოვებ? მამა: „და ჩერტკოვს". მამა ამბობს: არავის ისე არ ესმის ჩემი, როგორც ჩერტკოვსა და რუსანოვსო. რუსანოვს უფრო მხატვრულობის მხარე ესმისო, ჩერტკოვს კი მორალური მხარეო, ჩერტკოვი ზოგჯერ ზედმეტი მოკრძალებითაც არჩევს ყველაფერს, რაც მე შეხება, მაგრამ საამაგიეროდ არაფერი გამორჩებაო.

რატომღაც მერე ჩემს სამეჯნურო ამბებზე ჩამოვარდა სიტყვა და მამამ ჩემი საქმროები ჩამოთვალა — ათამდე დავთვალეთ. მამას უხაროდა, რომ მე ასე კეთილად ავუარე მათ გვერდი. და მირჩია, მომავალშიც ასე მოიქეცი.

ვგრძნობ, როგორ თანდათანობით მშორდება მოსკოვის ყველანაირი დაღლილობა. აქ ვისვენებ, და რაღაცნაირი აპატიური, დუნე და ცარიელი დღეები მისდევს ერთმანეთს. მამა ამბობს, შინაგანი ჭიდილი ხშირად ძალიან ცრმად ხდება სულში და ვინემ არ დასრულდება შეიძლება ვერც იგრძნოთ. გული არ გაიტეხოთ, მითხრა. მე სულაც არა ვარ მოწყენილი და ასეც ვუთხარი.

მამამ კარგი წერილი მისწერა კ. ბოლს გულგატეხილობასა და სევდიანობაზე. ეს წერილიც და კიდევ რამდენიმე სხვა, გადავიწერე.

უსიამოვნოდ ვფიქრობ მოსკოვზე. ისევ იგივე ნერვებდაძაბული ყოფნა მელის დილიდან საღამომდე. ისევ ხატვა მელის, რაშიაც ვაქსოვ ყველაფერს, რაც გამაჩნია — ყურადღებასა და ძალას. კვლავ მამაჩემის საქმეები უნდა ვაკეთო. წერილებზე პასუხი გავცე, რაღაცრაღაცები შევამოწმო. ზოგჯერ ვთარგმნი კიდეც და შუალედებში კი უნდა მივიღო სტუმრები, სტუმრები დაუსრულებლად. მოვალ სკოლიდან — ვერც

„ისადილებ მშვიდად, ვერც წაიკითხავ რასმე, ვერც წერილს დაწერ — არაფერს არ გაცლიან. მარტო მხოლოდ მაშინ ხარ, როცა მიასხიცკის ქუჩას მიუხვევ ფეხით. მამა ამბობს უნდა დაინახო და დააფასო საზოგადოებრივი ცხოვრების უპირატესობაო. მე კი გული მწყდება, ჩემი ცხოვრება ასე ფუჭად რომ მიედინება, არავის არ სჭირდება, და თანაც მძიმე ტვირთად მაწევს.

3 თებერვალი. იასნაია პოლიანა.

გუშინ 12 საათისათვის უკვე აქ ვიყავით. როდიონოვიჩმა ჩამოგვიყვანა წყვილად შებმული გალაღებული ჭაკი ცხენებით. დაგვხვდნენ მაშა, მარია ალექსანდრეს ასული და ხოხლოვი სამოვრითა და შვრიის ფაფით. ძალიან მესიამოვნა იასნაიაში რომ შევედით. „პრეშპექტი", ცხენები, სახლი, ოთახები — ყველაფერი ისე ნაცნობი და საყვარელია.

დღეს ჭასთან ბევდი, შერეულ ტყეში, სიცოცხლე მიხაროდა. შემხვდნენ გლეხები, რომელთაც ახლა უამრავი შეშა ჩამოაქვთ ზასეკიდან — ჯანსაღნი, ფეროვანნი, თავმდაბალნი — ხახლოვის შემდეგ ამან დამამშვიდა. პოლკა ბალხინი, კონსტანტინ რომაშკინი, პაშკა დავიდოვი ლამაზები, მხიარულნი არიან.

ამ დღეებში მამამ მითხრა, როცა ჩემს ნაწერებს ხელს მოვაწერ, აუცილებლად ყველაფერი უნდა გადაწერო, რათა ხელთ გვქონდეს მთლიანი ეგზემპლიარი დასრულებული სახითო; თორემ ზოგჯერ როცა რაღაცის გასწორებას ვიწყებ, ავრევ ხოლმე, ადრინდელს ველარ ვუბრუნდები, გადაჯაბნილსა და ჩასწორებულ-გადასწორებულსო. ეს უნდა დავიხსომო.

5 თებერვალი. იასნაია პოლიანა.

ყველანი წავედით — მამაც, — აგაფია მიხეილის ასულთან დღეობის მისალოცად. ბოლოს აგაფიასთან მარტო მე დავრჩი, გამოვკითხე მამაჩემის დედის ამბები. მითხრა, ყველაზე მეტად შენ გგავდა, მაგრამ უფრო დაბალი იყოო. უფრო სწორად, ტანსრული ქალი ეთქმოდაო. აგაფია წამდაუწუმ იმეორებდა, ბებიაშენი „განსწავლული", ქალი იყოო, იცოდა ენები, ფორტეპიანოზე მშვენივრად უკრავდა, ლანძღვა არ ეხერხებოდაო.

რა გულდასაწყვეტია, რომ ასე უმწეონი ვართ აღვადგინოთ ის, რაც ადრე იყო. დროთა განმავლობაში ისეთი სრულყოფილი ფოტოგრაფიები, ფონოგრაფები და ა. შ. იქნება, რომ შესაძლებელი გახდება ადამიანი ცოცხალივით აღადგინო.

5 თებერვალი. ღამის 12 საათი.

ჰო, ცუდ გუნებაზე ვარ. დღეს ისევ ვიეჭვიანე მაშასა და მამაჩემზე. თუ მამა მასთან შევა და ჩემთან არა, არ მსიამოვნებს. ასე მგონია, არ ვუყვარვარ, და მოსაწყენი პიროვნება ვარ-მეთქი. ამიტომ ვცდილობ უფრო ჭკვიანი, მხიარული და ლამაზიც კი გავხდე. რა სისულელეა! ეს ეჭვიანობის გრძნობა ჩემთვის სავსებით ახალია და უცნაურია, რომ

მხოლოდ მაშაზე ვეჭვიანობ. ნუთუ ყველა ცუდი ადამიანური გრძნობა უნდა გამოვცადო?

9 თებერვალი.

ხშირად ვგრძნობ, მინდა მოვიშორო სიმკაცრე საკუთარი თავის მიმართ, აგერ კიდევ პაპა გვ ისე აღგზნებული ქადაგებს ხალხზე, სუსტი არსებანი, მიყვარსო, მაშაც ამასვე ამბობს, ცოტა შემთვრალნი მიყვარსო, რადგან მორჩილნი და დამცირებულნი არიანო. პოშა თავს ნებას აძლევს გრძნობებად დაიღვაროს მაშასთან, გვაიძულებს რომანსები ვიმღეროთ ორ ხმაში, არ სცილდება მაშას, თვალებში შეციციანებს და დნება მის დანახვაზე.

პაპა ყვირის, უნდა ცხოვრობდე, უნდა გიყვარდეს, უნდა გული შეგიღონდეს სილამაზის დანახვაზე — რომ ეს ღმერთია! ანუ სილამაზეა ღმერთი. არ მიყვარს ის ადამიანები, ჭკუას რომ გასწავლიან: „ძმებო, შეწყვიტეთ ხორცის ჭამა", — ის ადამიანები, რომლებიც სრულყოფილნი არიან. ასეთები ეკლესიაში კედლებზე უნდა გააკრა ხატების ნაცვლადო. ყველაზე დიდ აღტაცებას მგვრის ახალგაზრდა ქალიშვილის დანახვა, ვის გვერდითაც კაცი დგას და ამ კაცს ეს ქალიშვილი უყვარსო. ვიცი, პაპა ბევრ რასმე მეჭვრმეტყველების გამო ამბობს და კიდევ იმიტომ ამბობს, რომ გააკვირვოს მარია ალექსანდრეს ასული, რომელიც ვიშვიშებდა: რა სიმდაბლეაო — მაგრამ ბევრს რასმე პაპა მართლაც ასე ფიქრობს და ერთ-ორ რამეში მართალიც არის. სახელდობრ მართალი იყო იმ საკითხში, რასაც მამა ამბობდა: ცარიელი მსჯელობები შინაგანი ლტოლვის გარეშე არაფრად ღირს და სიყალბის მეტს არას მოიტანენო. ეს იმ ამბავს დაემსგავსება, ერთმა კაცმა ავადმყოფი რომ აიყვანა მოსავლელად, აქაოდა კეთილ საქმეს ვაკეთებო, ისე გააწამა, ავადმყოფი ეხვეწებოდა, თავი დამანებე, დაე მოვკვდე, ოღონდ მომასვენეო. ეს სულაც არ ნიშნავს იმას რომ აღარ ეცადო სრულყოფილებას მიაღწიო, თავის ნებაზე მიუშვა გრძნობები და ინსტინქტებს დაემორჩილო.

მიხარია, რომ გვერდით მიდგას ადამიანი, ვინც ასე უმოწყალოდ მკაცრია საკუთარი თავის მიმართ და ვისგანაც მეც გადამედო ეს თვისება. ძალიან მიყვარს იგი და თანაც მიყვარს კარგად, ისე მიყვარს, როგორც მამა მეუბნებოდა გუშინ ლევისადმი თავის სიყვარულზე: მისი (ლევის) სულიერი ცხოვრებისა და შეხედულებების სულ პატარა ცვლილებასაც კი ვგრძნობ, თვალყურს ვადევნებ, ვხედავ ყოველგვარ მერყეობას, და გული მტკივა, როცა უკან იხევს და მიხარია, როცა იგი უახლოვდება ჭეშმარიტებასო. მაგრამ მის ფიზიკურ მდგომარეობაზე სრულიად არ ვფიქრობ და ვერც ვზრუნავო. მამამ თქვა სხვაგვარი სიყვარულიც არსებობს, ასეთი სიყვარულის დროს მხოლოდ იმაზე ზრუნავენ, რომ ადამიანი ჯანმრთელი, ჩაცმულ-დახურული და მაძღარი იყოსო. ზოგჯერ სიყვარულის ეს ორი სახესხვაობა ერთმანეთს უახლოვდება, მაგრამ აჯობებდა ლევთანო. მერე გაიცინა და თქვა: „აი გული მწყდება, ტანიას რომ კბილები სტკივა".

16 თებერვალი.

ვაგონში სმოლენსკსა და ვარშავას შორის, გზად პარიზისაკენ.

სამი დღის წინათ ვერც ვიფიქრებდი პარიზს გამგზავრებას, მაგრამ, აი უცაბედად მომიხდა... გამაცილეს მამამ, დედამ, მამამ, კოლია ობოლენსკიმ და დუნაევმა. ამიღეს ბილეთი, ჩამსვეს მეორე კლასის ქალთა განყოფილებაში, სადაც სრულიად მარტო აღმოვჩნდი. გვერდით მამაკაცთა განყოფილებაში ორი კაცი იყო.

ჯერ მხიარულად ვიყავი, მაგრამ მესამე ზარის შემდეგ გული ამიფანცქალდა. შემეშინდა ამ ჩემი ბებრების დატოვება, რომელთა სიცოცხლეც ბეწვზე ეკიდა. თანაც ორივენი ისე წუხდნენ ჩემზე, რომ მათი შეშფოთება მეც გადამედო, ჩემს გამო კი არა, მათ გამო შევწუხდი. გამიკვირდა მამა რომ ასე წუხდა.

17 თებერვალი. პარიზი.

რა ხდება მოსკოვში? ან ლიოვა რას აკეთებს?

მოსკოვში გეს დატოვებაც მენანებოდა. მე ივი მიყვარს... ჩამოიტანა სურათი „ჯვარცმა", რომელიც უზარმაზარ შთაბეჭდილებას ახდენს ყველაზე, ორი ჯვარია და არც არის ჯვარი, მესამე არ ჩანს, ასე რომ ქრისტე კი არ არის სურათის ცენტრში, ცენტრი გადატანილია მასა და ავაზაკს შორის. წარმოდგენილია ის წუთი, როცა ქრისტე კვდება. ეს უკვე ცოცხალი ადამიანი აღარ არის, თუმცა თავი ჯერ ისევ მაღლა უჭირავს და სხეული მთლიანად არ მოშვებია. ავაზაკს მისკენ მიუბრუნებია თავი და ხედავს, რომ ის ადამიანი, ერთადერთი ადამიანი, ვინც ოდესღაც სიყვარულიანი სიტყვა უთხრა, კვდება, რომ იგი კარგავს სულ ახლახან შეძენილ მეგობარს, ავაზაკი შეძრწუნებულია და სასოწარკვეთილებისაგან ყვირილი აღმოხდება.

სურათი ძალიან ძლიერია და თან ახალიც. ორივე ჯვარცმული ადამიანი მიწაზე დგას. ავაზაკი მილურსმნული არ არის, თოკით მიუბამთ. ძალიან კარგად არის დახატული, მაგრამ უნდა გამოვტყდე, ჩემზე არ მოუხდენია ძლიერი შთაბეჭდილება; მხოლოდ გული დამწყდა. დამენანა დაკარგვა სიცოცხლისა, სულიერი შთამბეჭდაობისა. სურათს რომ შეხედა, მამა აღტირდა, იგი და გე შემოსასვლელში ეხვეოდნენ ერთმანეთს და ორივენი ტიროდნენ.

25 თებერვალი.

სახლიდან ყოველდღიურად ვღებულობ წერილებს.

აქ ახლა უფრო უკეთ მესმის, ვიდრე ოდესმე, მთელი ქვეყნიერების ყველა კუთხიდან რატომ მოემართება ხალხი მამასთან. არსად არ არის ისეთი სინათლე, როგორსაც იგი აფრქვევს და თუ სადმე ვარსკვლავები ბრწყინავს, ეს ვარსკვლავებიც მისი ანთებულია. დღეს ლევმა მითხრა, ზოლასთან მიმიწვიესო, მაგრამ გავიფიქრე, რატომ უნდა მივიდეს მასთან, ახალი რა უნდა უთხრას, ან საინტერესო და ჭკუის სასწავლი-მეთქი. და ასევეა ყველა იქაური სახელგანთქმული ადამიანი.

16 მარტი. მოსკოვი.

„სევერნი ვესტნიკში“ წავიკითხე „ომსა და მშვიდობაზე“ დაწერილი ტურგენიევის წერილის ნაწყვეტი, ახენკოს რომ გაუგზავნია. ტურგენევი აქებს მხატვრულ მხარეს და კიცხავს ფსიქოლოგიურს, როგორც ეს შეეფერის ჭეშმარიტ ესთეტს.

მამა პარიზში მწერდა, რომ სურვილი აღეძრა დაწეროს ქრისტიანული მოძღვრება ბავშვებისათვის, მაგრამ შემდეგ გაჩუმდა. ალბათ, არ დაწერს. სულ ტულონზე მუშაობს, რომელიც არც მას და არც სხვა ვინმეს მაიცდამაინც არ მოსწონს. იქ ბევრი რამ არის კარგი, მაგრამ მე ყოველთვის გული მწყდება, როცა პოლემიკური არაკეთილმოყვრული ტონი აქვს. როგორ მწადია, რომ დაწეროს ნაწარმოები, საკვებით სუფთა ყოველგვარი დაგისა და პოლემიკისაგან და შიგ ჩადოს მთელი სიყვარული, სილამაზე და სიკეთე, რაც მუდამ ასე მშვენიერად გამოსდის და სულს გითრთოლებენ, იმიტომ რომ გულწრფელია, და ამ გრძნობებით აქვს სავსე გული. ხელოვანი თუ მეღირსება ეს? ყოველთვის მეშინია, რომ რაიმე მოხდება და ეს ხელს შეუშლის.

3 აპრილი.

ჩერტკოვების მამულიდან პოშა ჩამოვიდა, ცნობა ჩამოიტანა, რომ ხვალ მამა და მაშა ჩამოდიან და თან მამაჩემის წერილი გადმოიცა. წერილი გრძელია, სამ ჯერზე არის დაწერილი, ღამლამობით და საშინლად დამწყვიტა გული. ბას ეშინია ჩემი ნახვაც და ჩემი სულიერი მდგომარეობისაც, ეშინია, რომ საკუთარ თავთან ჭიდილი მოუხდება მისი სიყვარულისა და საზოგადოებრივი აზრის წინაშე შიშის გამო — და ჩანს, რომ ეს მას გულსაც ტკენს და ძალზე წყინს კიდეც. მე კი მეშინია, რომ ასე სწრაფად და იოლად ჩამოშცილდა მთელი ჩემი გატაცება.

ვშიშობ, უფრო ცუდი რამის თქმა მოუხდება, ვიდრე მამას ჰგონია, ანუ იმის თქმა, რომ არავითარი საფრთხე არ არსებობს, არამედ იყო მხოლოდ სიყვარულობანას თამაში. შეუგნებლად გრძელდებოდა მთელი ეს ხანი და მხოლოდ იმვიათად გამოერეოდა წუთები, როცა ვგრძნობდი, რომ საკუთარი თავის ჰიპნოზირება იყო საჭირო, რათა შეშენარჩუნებინა ეს გრძნობა, ახლა კი როცა მომესურვა, ყოველივემ გამიაროს, დავინახე, რომ გრძნობის ნატამალიც არ ღარჩენილა და რამ უნდა გამიაროს.

11 აპრილი.

ირომენკო ჩამოვიდა მამას დასახატავად. ხვალ დაიწყებს.

11 მაისი. იასნაია პოლიანა.

ჩემი ბოლო დღიური მამამ მთლიანად წაიკითხა და ვგრძნობ, რომ ჩემზე გული გაუტეხია. მითხრა, რომ უკვე იმდენად საინტერესო და პატივსაცემი პიროვნება აღარა ვარ მისთვის, როგორიც ადრე ვიყავი, მაგრამ ვგრძნობ რაც იგულისხმება ამ ნათქვამს მიღმა, რომ ამიერიდან აღარ მცემს პატივს და ცოტა ნაკლებადაც ვუყვარვარ. მთელი ცხოვრება ვგრძნობდი, რომ იგი ტყუვდება, რომ უკეთესი ადამიანი ვგონივარ,

ვიდრე სინამდვილეში ვარ, მეშინოდა და მსურდა, თვალები ახელოდა, ეს ახლა კი ვნანობ და თან მიხარია, რომ ეს მოხდა. მაგრამ ამას რომ ვწერ, კტირი. მამამ დაინახა, რომ სულელი და სუსტი პიროვნება ვარ და თუმცა კი კარგია, რომ ილუზია დამთავრდა, მეწანება მისი დამოკიდებულების დაკარგვა.

15 მაისი.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲒᲘᲒᲝᲜᲐᲫᲔ

გე ამბობს — და ყველანიც (მე კი არა მჯერა, რომ მამას მე გაცილებით მეტად ვუყვარვარ, ვიდრე მაშა) ამ ცოტა ხნის წინათ სწორედ ის-ის იყო დავასრულე დღიურის წერა, შემოვიდა და მკითხა, რას წერო. ვუთხარი, დღიურს ვწერ-მეთქი. მკითხა რაზეო? დავიწყე და უცებ ტირილი ამივარდა; ძალზე შეშინდა და შეცბა, დამიწყო დამშვიდება, რომ იოტისოდენადაც არ შეცვლილა მისი გრძნობა ჩემდამი, რომ ის, რაც მას ჩემი სულის ხატად მიაჩნია უწინდებურად უყვარს, და რომ ახლაც ასე რომ გვიყვარს, რომ ეს ძალიან კარგია და რომ ვერასოდეს დაიკარებს ამას. მითხრა, რიცა შენი დღიური წავიკითხე, დავინახე, რომ აღარ გიჩერგავ ინტერესსა და პატივისცემას, რომ მუდამ ასეთი თავისთავში დაჯერებული ვარ და კიდევ რაღაცები. დედამ გაიგონა თავის ოთახში ველურივით რომ ვღრიალებდი და მოვიდა ამბის გასაგებად, რა მოუვიდა.

3 ივნისი. იასნაია პოლიანა.

ამას წინათ მე და მამა ვსაუბრობდით. დაინახა, რომ მიწყენილი ვიყავი და მანუგეშებდა. მითხრა, გულს ნუ გაიტეხო, რომ ჯერ კიდევ იმდენად მომხიბვლელი ხარ, რომ შეგიძლია სასოწარკვეთილებას არ მიეცეო. მამაჩემისაგან ამის თქმა სულაც არ მჭირდებოდა, — მე მუდამ სიმკაცრეს ველი მისგან და მაქვს კიდეც. მინდოდა ეთქვა, რომ სიყვარული სრულიადაც არ მჭირდება, რომ სიყვარული აწი ალარც მოვა და არც უნდა მოვიდეს. მუდამ ამას ჩავჩიჩინებ საკუთარ თავს, მაკრამ სასუსტის წუთებში მარტოსულად ვგრძნობ თავს და მეშინია.

ირგვლივ უამრავი ადამიანი დაიჭირეს, ბევრიც გაჩხრიკეს. ბულიგინი კრაპივნოში ჩასვეს ორი კვირით იმის გამო, რომ ფარი განაცხადა თავისი ცხენები წაეყვანა ჩასაწერად. კუდოიავიევი ციხეშია, რადგან მაჩემის თხზულებები გადაწერა, სოპოტკო პეტერბურგშია დაჭერილი, მიზეზი არ ვიცით. ალბათ ჩვენამდეც მოაღწევს ეს საქმე. ამას უშიშარად ძველი და ცოტა კიდეც მიხარია. მაგრამ უფრო სარწმუნოა, რომ ჩვენ ხელს არ გვახლებენ, და „პოსრედნიკის“ თანამშრომლებს დაერევიან, სწორედ ამის შეშინია.

ვფიქრობ, ჩემთვის კარგი იქნებოდა ასეთი შესურება, თორემ ძალიან ნაზი და ეგოისტი გავხდი; გამუდმებით მხოლოდ საკუთარ თავზე ვფიქრობ. ყველაზე მეტად დედას გამო შეშინია ამ შემთხვევაში — ძალიან დაიტანჯებოდა და ვერც იმ ნუგეშს პოვებდა, რომ ეგი საკუთარი რწმენის გამო ჩავარდა ამ ყოფაში. მამა ხშირად ამბობს, რომ მიხარუ-

ლი ვიქნებოდი მეც თუ დამიწყებენ დევნასო. მაგრამ მგონია, რომ მასაც გაუძნელდებოდა.

22 ივნისი.

გუშინ მამამ მითხრა, მუდამ ასე მეჩვენება, რომ ჩემს ცოლს უნდა დამთავრდეს, დაინგრეს და რომ, მაგალითად, ამ მიწაზეზმი, არავინ არ იცხოვრებსო, ამ დღეებში კი ვფიქრობდი და სულ თვალწინ მედგა ეს მინაშენი უჩარჩოო დაჭედილი ფანჯრებით. შესაძლებელია რომ გადაგვასახლონ.

1896

7 აპრილი. კვირადღე. მოსკოვი.

საღამოს იყო ტრიო: ტანეევი, გრაჟიმალი და ერლიხი. უკრავდნენ ჰაიდნის ტრიოს, და გრაჟიმალი და ტანეევი ბეთჰოვენის სონატას. ჩინებულად უკრავდნენ. ვფიქრობ, არსად ისე მონდომებით არ უკრავენ, როგორც მაშინ, როცა მამაჩემი უსმენთ.

მამასთან რაღაც ახლოს ვერა ვარ.

8 აპრილი.

მამასთან ურთიერთობა გამომიკეთდა. ახლა მე და სუხოტინს ფილოსოფოსზე გვიამბობდა, ამ ფილოსოფოსმა ამჟამად ძალიან გამიტაცა. მამას მისი ერთი ნაცნობის ასულმა თავისი მამის ოთხი წიგნი გამოუგზავნა, რადგან ბევრ საერთოს ხედავს მისი მამისა და ტოლსტოის ნააზრევში.

19 აპრილი.

მამამ წერილი გაუგზავნა ორ მინისტრს: მურავიოვსა და გორჩაკოვს, სადაც თხოვდა, რომ ჩემი თხზულებების გამო მე გამდევნეთ, და იმათ კი თავი დაანებეთო კარგი წერილია (ორივე ერთნაირია), არა ქედმაღლური, არამედ უბრალო და ჭკვიანური. ამ დღეებში კიდევ ორი ადამიანი დააპატიმრეს...

რაღაც ამ ბოლო ხანში დამიჩლუნგდა თანაგრძნობისა და აღშფოთების გრძნობა, რადგან მეტისმეტად მრავალი შემთხვევაა. რას უნდა ფიქრობდნენ ან გრძნობდნენ ადამიანები, ამ დევნაში რომ მონაწილეობდნენ? ან იქნებ ისინი მეტისმეტად დაკავებულნი არიან სხვადასხვა-გვარი კორონაციებით, საქორწილებით, მუნდირებით, წარმოებებით, რათა წამით დაფიქრდნენ:

გუშინ „ზიგფრიდზე" ვიყავით... მამამ ვერ გასძლო მეორე მოქმედებამდე და ლანძღვა-გინებით, დღეს საღამოსაც რომ გრძელდებოდა, გაიქცა თეატრიდან სერგეი ივანეს ძესთან ერთად. მეც საშინლად მომწყინა და დავიღალე, მაგრამ ბოლომდე გავუძელი და აწი აღარასოდეს აღარ წავალ ვაგნერის მოსასმენად.

მამა დღეს კითხულობდა ჩეხოვის ახალ მოთხრობას „სახლი მეზონინით"[8] და არ მსიამოვნებდა, რომ ამ მოთხრობაში სინამდვილეს

ვჭვრეტდი და რომ გმირი ქალი ჩვიდმეტი წლის გოგონა იყო. აი ჩეხოვი — ამ ადამიანს კი ნამდვილად პირველქმნილი სიყვარულით შევიყვარებდი. ასე პირველი შეხვედრისთანავე არასოდეს არავინ ჩამძრომია სულში, როგორც ის. კვირას პეტროვსკებთან ვიყავი მისი სურათი რომ მენახა. თვითონ კი მხოლოდ ორჯერ მყავს ნანახი.

7 მაისი. იასნაია პოლიანა.

მამამ სულ დაანება თავი ველოსიპედით სიარულს. მიხარია, რადგან ვიცი, რაოდენ სასიამოვნოა, როცა საკუთარ თავს რაიმეზე უარს ეუბნები. ჩვენც დავმშვიდდებით და ისე შეწუხებულები აღარ ვიქნებით, მთელი საღამოები, რომ ველოდით წვიმაში და ყოველის მხრით ვაგზავნიდით ხალხს მის მოსაძებნად...

პეტერბურგში ეროს კვირას დავყავი და წამოსასვლელად რომ ვემზადებოდი, მამაჩემისაგან ასეთი შინაარსის დეპეშა მივიღე: „პეტერბურგს მოემგზავრებიან სამარელი მალაკნები, დარჩი დეხმარე მათ". ცოტა კი მეუხერხულებოდა ჩემი მასპინძლების სტუმართმოყვარეობის ბოროტად გამოყენება, მაგრამ მალაკნებისთვის შემწეობის აღმოჩენა ჩემს უხერხულობაზე უფრო მნიშვნელოვანი საქმე იყო. და დავრჩი. მალაკნების ჩამოსვლამდე მთელი დღე მათ დასახმარებელ გზებს ვეძებდი და ვფიქრობდი, რა გზას დავადგე, ვის მივმართთ-მეთქი. ვიცოდი, რომ ხელმწიფეს მიღებული ჰქონდა მამაჩემის წერილი, რომელშიც დაწვრილებით აღწერდა სამ მალაკანს ბავშვები როგორ წაართვეს, ვიცოდი, კონიმ ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო, მათთვის სენატში, რომ უხტომსკიმ თავის გაზეთში დაბეჭდა მამაჩემის წერილი ამ საქმეზე, და ვიცოდი, რომ არავინ და არსაიდან არ გამოხმაურებიათ. სხვა გზები უნდა მეძებნა. რადგანაც, საქმე, როგორც ჩანდა, პობედონოსცევზე იყო დამოკიდებული, გადავწყვიტე პირდაპირ მასთან მივსულიყავი.

თავდაპირველად სტახოვიჩის გოგონებს დავეთათბირე, მათ მოიწონეს ჩემი გეგმა, შემდეგ ალექსანდრ ვასილის ძე ოლსუფიევთან მივედი რჩევის საკითხავად. მასთან დამხვდნენ ალექსეი ვასილჩიკოვი, მიტია ოლსუფიევი და თავადი კანტაკუზენი. ვუთხარი ჩემი საქმისა, გრაფმა კიდევ ერთხელ დამიმოწმა, რომ მან ხელიდან ხელში გადასცა წერილი ხელმწიფეს და მითხრა, პობედონოსცევთან თქვენი მისვლა საქმეს არაფრით ზიანს არ მოუტანს, რადგან მაინც ეს საქმე მის ხელთ არისო. ვკითხე, ხომ არ იკადრებს პობედონოსცევი დახმარების ნაცვლად, მალაკნების სასწრაფოდ გადასახლებას-მეთქი. ოლსუფიევმა მიპასუხა, ამის უფლება მას არა აქვსო. ვასილჩიკოვმა და მიტიამ ძალიან წამაქეზეს. ვასილჩიკოვმა კი მითხრა, ღმერთმა უწყის, რას არ მივცემდი უჩინმაჩინის ქუდით თქვენს პაემანზე რომ დამასწრონო. მაშინ გადავწყვიტე ტელეფონით დავლაპარაკებოდი და მეკითხა, როდის შეიძლება პობედონოსცევის ნახვა. მან პაემანი მეორე დღეს დამინიშნა 11-დან 12 საათამდე.

მეორე დღეს ავდექი, ჩავიცვი, გავემზადე წასასვლელად, რომ უცებ მოვიდნენ მალაკნები და გადმომცეს მამაჩემის წერილი, მამა მწერდა, მეინდორფის, უხტომსკისა და კონის შემწეობით მემოქმედნა, ბო-

ლი ორთან მისატანი წერილებიც გამოგზავნა და ამით თავგზა ამირია. როცა ოლსუფიევებთან ვიყავი, იმაზე გვქონდა საუბარი, რომ თუ საჭიროა ამ საქმის გახმაურება, მაშინ უხტომსკის მივმართოთ, მაგრამ საეჭვოა გახმაურებამ ამ საქმეს არგოსო, უფრო საფიქრებელია, რომ ზიანი მოუტანოს. მაშინ გადავწყვიტე, მამაჩემის წერილისგან დამოუკიდებლად მემოქმედა და მხოლოდ კონისთან შემეტანა წერილი, თანაც მეთქვა რა გადავწყვიტე.

კონიმ მითხრა, რჩევა რომ გეკითხათ ჩემთვის, რა გავაკეთოო, რჩევას არ მოგცემდითო, მაგრამ ჩემთან მოსვლა საქმეს არას ავნებსო. მაჩვენა კანონი, რომლის თანახმადაც ყველა მშობელი ვინც მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე არიან მონათლულნი და თავის შვილებს სხვა რწმენით ზრდიან დაჭერილ უნდა იქნან, თანაც ბავშვები უნდა ჩამოერთვას. შემდეგ მირჩია, ვისი მეშვეობით მემოქმედნა, თუკი მოვისურვებდი შეწყალების თხოვნას მისი უმაღლესობის სახელზე, და ისე გამომისტუმრა, რომ წარმატების იმედი არ მქონდა. მისგან პირდაპირ სეკლესიო უწყების სახლში წავედი ლიტეინაიაზე.

შევედი წინკარში და ვუთხარი კარისკაცს, რომ გრაფის ასულს ტოლსტაიას მინი ნახვა სურს. კარისკაცმა მკითხა: „ტატიანა ლევის ასულს?“ „დიახ!“ „მობრძანით, გელით“. შევედი კაბინეტში, სადაც მაშინვე შემოვიდა პობედონოსცევი.

იგი უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდი, მხნედ გამოიყურება, თანაც ცქვიტია, მარჯვე. გამომიწოდა ხელი, სკამი ჩემსკენ გამოსწია და მკითხა, რით შემიძლია გემსახუროთო. მადლობა ვუთხარი მიღების გამო და მოვახსენე, ბაბამ მალაკნები გამომიგზავნა და დამავალა დავეხმარო. ვუთხარი მათი ამბავი და ისიც საიდან არიან.

— ოჰ, ვიცი, ვიცი, — თქვა პობედონოსცევმა, — ეს სამარელმა მღვდელმთავარმა მეტისმეტი გულმოდგინება გამოიჩინა, — ახლავე მივწერ გუბერნატორს ამის თაობაზე. ვიცი, ვიცი. თქვენ მხოლოდ მათი გვარები მითხარით და ახლავე მივწერ.

წამოხტა და სწრაფი ნაბიჯით გაემართა საწერი მაგიდისაკენ. ისე გამაოგნა ასე სწრაფად რომ დამთანხმდა ჩემის თხოვნის შესრულებაზე, რომ მთლად დავიბენი; თან კი მქონდა მალაკნების წერილობითი თხოვნის შავი პირი, მაგრამ გვარები მიწერილი არ იყო. ვუთხარი და თან დავსძინე, არაფრით არ ველოდი ჩემს თხოვნას ასე სწრაფად თუ მოჰყვებოდა შედეგი, მხოლოდ იმის იმედი მქონდა, რომ მირჩევდით რა მელონა-მეთქი. აქვე დავსძინე, რომ გლეხებს უნდათ წერილობითი თხოვნა გაუგზავნონ მის უმაღლესობას და ვკითხე, მირჩევთ თუ არა გაგზავნას-მეთქი. მან მოისმინა ასეთი შინაარსის თხოვნა.

„თქვენო იმპერატორის უდიდებულესობავ, ყოვლადმოწყალეო ხელმწიფევ!

1897 წ. 21 აპრილს, დღისით ჩვენს სოფელში ურიადნიკი ჩამოვიდა და მოითხოვა ჩვენი ერთადერთი ვაჟიშვილი, ხუთი წლის ბიჭუნა, რათა ქალაქს წაეყვანა. ბიჭი ამ დროს ავად იყო, მაღალი სიცხე ჰქონდა, და არ დავანებეთ ურიადნიკს მისი თავი. მეორე დღეს, შუადღისას, ჩამოვიდა უბნის ბოქაული და ისევ ჩვენი ბიჭი მოითხოვა, თან დაგვე-

მუქრა, თუ წინააღმდეგობას გამიწევთ, დაგაპატიმრებთო. ავიყვანეთ ავადმყოფი ბავშვი და ქალაქში წამოვიყვანეთ. ქალაქში მე და ჩემს ცოლს გამოგვიცხადეს, რომ შვილი წაგვართვეს იმის გამო, რომ მართლმადიდებლობიდან 1889 წელს მალაკნებად დავეწერეთ და რომ ბავშვს მხოლოდ მაშინ დაგვიბრუნებენ, როცა მართლმადიდებლობას დავუბრუნდებით. იგივე გვითხრეს მონასტერშიც, სადაც ჩვენი ბავშვი მოათავსეს. როცა მონასტერში განვაცხადეთ, რომ ჩვენ ვაღიარებთ იმ რწმენას, რომელსაც ჭეშმარიტად და საჭიროდ მივიჩნევთ ჩვენი უკვდავი სულის სახსნელად და ვერ შეეიცვლით ჩვენი პირმშოს დაბრუნების გამოც თქვა, ამის შემდეგ აღარ გვიშვებდნენ ჩვენს ბიჭუნასთან და უკანასკნელად მხოლოდ რამდენიმე წუთით გვანახეს.

ვვარაუდობთ რა, რომ ეს სავსებით კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაა და თქვენი უმაღლესობის ნება-სურვილს არ გამოხატავს, გემუდარებით, ყოვლადმოწყალეო სელმწიფევ, უბრძანოთ გამოასწორონ ჩვენს მიმართ ჩადენილი უსამართლობა და დაგვიბრუნონ ჩვენი ერთადერთი შვილი".

თხოვნა რომ მოისმინა, პობედონოსცევმა მითხრა, გაგზავნა არ არის საჭირო, რადგან ამ საქმეზე საკმარისად ითქვა და დაიწერა, და რომ, ბოლოს და ბოლოს ეს საქმე მაინც მასთან მივა და როგორ გადაწყვეტს მასზე იქნება დამოკიდებული. შემდეგ მითხრა, მონასტერში ბავშვები ისე კარგად გრძნობენ თავს, რომ შინ დაბრუნება არც სურთო.

ეს შეიძლება, მაგრამ მშობლებისათვის უდიდესი უბედურებაა — შვილის მოშორება-მეთქი.

— დიახ, დიახ, მესმის. ეს სულ სამარელი არქიელის ზედმეტი გულმოდგინების გამო მოხდა. თქვენმეტ მშობელს წაართვეს შვილი. ჩვენთან საამისო კანონიც არ არსებობს.

მე კი ახლახან ვნახე ეს კანონი კონისთან, ვერ მოვითმინე და ვუთხარი: — მაპატიეთ, მაგრამ ეს კანონი ვგონებ, არსებობს, თუმცა საბედნიეროდ არასოდეს გამოუყენებიათ.

— დიახ, დიახ. თქვენ გამომიგზავნეთ მალაკნების სახელები და მე სამარაში მივწერ.

დავფიქრდი, კიდევ რაიმე ხომ არა მაქვს შესაკითხი-მეთქი და რაკი არაფერი მომაფიქრდა, ავდექი და დავემშვიდობე. პობედონოსცევი კიბემდე გამომყვა, მკითხა, პეტერბურგში დიდი ხნით ჩამობრძანდითო და ან სტუმრად ვისთან ბრძანდებითო. კიბის თავში მდგარი ისევ დამემშვიდობა. უცებ, როცა უკვე დაბლა ვიყავი ჩასული და ქურქს ვიცვამდი, ისევ გამოვიდა და გადმომძახა:

— რა გქვიათ?

— ტატიანა.

— მამის სახელი?

— ლევის ასული.

— მაშ თქვენ ლევ ტოლსტოის ქალიშვილი ბრძანდებით?

— დიახ.

— მაშ თქვენ ბრძანდებით სახელგანთქმული ტატიანა?

გამეცინა და ვუთხარი, აქამდე ეს არ ვიცოდი-მეთქი.

— აბა, ნახვამდის.

წამოვედი. გზაში სულ მეცინებოდა, და ვერ მომეფიქრებინა, რატომ მოიკატუნა თავი, რომ თითქოს არ იცოდა ვის ელაპარაკებოდა, მაშინ როცა კარისკაცმა მოახსენა, ვინც ვიყავი; თანაც ვუთხარი, რომ მამამ მალაკნები გამომიგზავნა-მეთქი. მერე კი თვითონვე მიფიქრია ამაზე რამდენიმე რამ ითქვა და დაიწერაო.

კონიმ, რომელიც მეორე დღეს დილით მოვიდა ჩემთან პობედონოსცევის საქციელი ასე ამიხსნა, პობედონოსცევს რომ ლევ ტოლსტოის შვილად შეეცანი, მისთვის უხერხული იქნებოდა არ ეთქვა რაიმე მის შესახებ, და მაშინ ისიც უნდა ეთქვა, რომ მან იცის, ტოლსტოიმ წერილი რომ გაუგზავნა ხელმწიფეს, და ისიც, რომ ეს საქმე დიდი ხანია სენატშია, და ახსნა-განმარტებაც უნდა მიეცა, ამდენი ხანია რატომ არავისგან არ არის არავითარი პასუხი. ასე კი, თითქოს უცნობ თავადის ასულთან საუბარში, მისთვის უფრო მოსახერხებელი იყო, მაშინვე დაემთავრებინა საქმე. იქნებ კიდეც გაუხარდა, რომ პირდაპირ მას მივმართე და ამით საშუალება მივეცი მაშინვე შეეწყვიტა საქმე.

შინ რომ მივედი, მალაკნების გვარები ჩამოვწერე და მათი ხელით წერილი გავუგზავნე პობედონოსცევს, რომელშიაც ვთხოვდი ეპასუხა ვისთან და როდის უნდა მისულიყვნენ პასუხების მისაღებად. ვინ მისცემდა მათ რწმუნებას უკან წაეყვანათ თავიანთი შვილები. პობედონოსცევმა მიიღო მალაკნები. ესაუბრა („ნაზად მასლაათობდაო", ასე თქვა ერთმა).

სხვათა შორის, უთქვამს, თქვენს შვილებზე ნუ სწუხართ, ისინი მონასტერში უფრო უკეთ არიან, ვინემ შინო. და რომ მათ თვითონვე არა სურთ იქიდან წამოსვლაო. ამის პასუხად ერთ-ერთ მალაკანს უთქვამს: შეიძლება ჩიტი ისე შეაჩვიო გალიას, რომც გაუშვა, ისევ უკან შეფრინდეს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თავისუფლებს პატიმრობა სჯობდეს. პობედონოსცევმა ასეთი წერილი გამომიგზავნა:

„მოწყალეო ხელმწიფევ ტატიანა ლევის ასულო! ვურჩიე გლეხებს, რომ ტყუილუბრალოდ ფულს ნუ ხარჯავენ აქ, (მიშა ოლსუფიევმა იხუმრა, რომ შეეძლოს სიამოვნებით გირჩევდათ თქვენც პეტერბურგში „ნუ იხარჯებითო". ნუ ელოდებიან, არამედ უკან გაბრუნდნენ და სამარაში, გუბერნატორთან იკითხონ საქმის ვითარება, რომელსაც დღესვე მივწერე მათი ამბავი და ვფიქრობ, უეჭველად, დაუბრუნებენ ბავშვებს.

უმორჩილესი მსახური კ. პობედონოსცევი".

მალაკნები მესამე დღეა გაემგზავრნენ მოსკოვის გავლით სამარაში და ახლა ისღა დაგვრჩენია სამარის გუბერნატორის სახელზე გაგზავნილი პობედონოსცევის წერილის პასუხს დაველოდოთ.

11 მაისი. ჰელსინფორისი.

9-ში გამოვემგზავრე ჩქარი მატარებლით იასნაიადან, დავტოვე მაშა — მაღალი სიცხე რომ ჰქონდა, თავი სტკიოდა და მამა— ცოტა დაბნეული, რაკი მარტო რჩებოდა ავადმყოფ მაშასთან.

პეტერბურგში დილიდან საღამომდე გავჩერდით, ვუყიდე მაშას საქორწინო სმოკინგი, მივედით საელჩოში, გემთა სააგენტოში და ბარო-

ნესა იესკულთან. გვითხრა რომ მისმა ნათესავმა გორემიკინმა აცნობა, რომ ტოლსტოისაგან წერილი მიიღო. როცა ბარონესას უკითხავს: „რა შინაარსის არისო", უპასუხნია „მთავრობის გამოწვევა". ბარონესამ ჰკითხა, პასუხს თუ გაუგზავნიო, მან თურმე უარყოფის ნიშნად თავი გააქნია. ბარონესამ თქვა, რომ მთავრობა შეტისმეტად მავნედ მიიჩნევს მამაჩემის მოძღვრებას, რადგან შედეგი ის არის, რომ ჯარს აცხედებენ სამხედრო სამსახურზე. მთავრობამ კი არ იცის როგორ მოიქცეს მსგავს შემთხვევებში...

4 აგვისტო.

ახლა ტელეფონით გადმომცეს დედაჩემის, მაშასა და მამაჩემის ღია ბარათები, მამა აი რას მწერს: „მინდა წერილი მოგწერო, სულელო, მოუსვენარო ტანია. თუ სულს უხარია, ამ ქვეყნად ყველაფერი სასიხარულოა. ჩვენც შევეცადოთ ასე მოვიქცეთ. მე ვცდილობ და შენც ეცადე. და ყველაფერი კარგად იქნება. გკოცნი ნაზად, გიკოცნი შენს ჭაღარა თმას. ლ. ტ."

15 მარტი. იასნაია პოლიანა.

მამაზე გულისტკივილით ვფიქრობ. ცუდად ვუხდი სამაგიეროს ჩემდამი სიყვარულის გამო. დღეს სინაზისა და მღელვარების გრძნობით აღსავსე ვფიქრობდი მასზე, თუ მე გულს არ ვიტეხ, თუ ვცდილობ ზნეობრივი და პატიოსანი ვიყო, უმთავრესად მისი წყალობით არის. თუ არ მისი სიყვარული, სასოწარკვეთილების წყვდიადში ჩავეშვებოდი და, რასაკვირველია, ათასგზის უფრო ცუდ დღეში ვიქნებოდი ვინემ ახლა ვარ.

24 მარტი.

კალუგიდან ჩამოსულმა, მამაჩემის წერილი მივიღე. ისეთი ნაზი და კეთილი, რომ უცრემლოდ ვერ წავიკითხე. და ახლაც, რამდენჯერაც გადავიკითხე, იმდენჯერ ავტირდი. ჰო, ის ისეთი მეტოქეა ჩემი სიყვარულისა, ვისაც ვერავინ დაამარცხებს.

17 ივნისი.

მამამ დღეს სელი მოაწერა თავის სტატიას ხელოვნებაზე, მაგრამ ვფიქრობ, რომ ვიდრე სრულად დაამთავრებდეს, კარგა ხანი გაივლის.

2 აგვისტო. იასნაია პოლიანა.

გადავწერე მამაჩემის ძველი უცხოური წერილები და ისე მალამოდ დამედო გულზე მისი ღრმა აზრები, ხშირად გულუბრყვილოდ რომ არის გამოთქმული, იმის გამო რომ საკმარისად კარგად არ იცის ინგლისური, და წერის დროს ორთოგრაფიულ შეცდომებსაც უშვებს. ზოგიერთი დედას აქვს გადაწერილი წვრილის ხელით, ზოგიერთი გასწორებულიც აქვს.

უცნაურია შეუღლება ამ ორი ადამიანისა! იშვიათად შეიძლება შეხვდე ესოდენ განსხვავებული ბუნების და თან ასე მჭირდოდ დაკავში-

რებულთ ერთმანეთთან. ყველაზე საუკეთესო წუთებშიც, როცა დედას სურს მამას გაჰყვეს და ცდილობს გამოხატოს მისი ფიქრები და შეხედულებები, გაგიკვირდება, რა ცოტა ესმის დედას მამაჩემისა და რა შორს არის სინამდვილისაგან დედაჩემის წარმოდგენა მამის შეხედულებებზე. ზოგჯერ ვბრაზობ დედაზე ამის გამო, მაგრამ ეს სიმკაცრეა ჩემის მხრივ და თანაც აზრი არა აქვს.

1898

4 თებერვალი. მოსკოვი.

ამ დღეებში დავბრუნდი პეტერბურგიდან, სადაც „პოსრედნიკის" საქმეზე ვიყავი. გავჩერდი სტახოვიჩთან — იმიტომ გამგზავნეს, რომ სუვორინისათვის მეთხოვა ეყიდა ნაღდ ფულზე „პოსრედნიკის" თვითეული გამოცემის თუნდაც ასი ცალი. ეს შესაძლებლობას მოგვცემდა ბეჭდვისა და ქაღალდის ფული გადაგვეხადა, და ყველაფერი ვალით არ გაგვეკეთებინა, რაც არახელსაყრელია. სუვორინმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და შეგვპირდა ორასიდან ექვსას ცალამდე და ზოგჯერ უფრო მეტსაც ვიყიდიო, თანაც ჩვენს გამოცემებზე ისეთსავე განცხადებებს გამოაქვეყნებდა, როგორც თავისაზე. მან თავისი ლოჟა დამითმო მცირე თეატრში, ვიდრე პეტერბურგში დავყოფდი, ამიტომაც მხოლოდ ორჯერ დავესწარი: „ჩაძირულ ზარს" და „ახალ სამყაროს". პირველი— სისულელე და უზნეობაა, მეორე—სიბილწე და უნიჭობა.

ვნახე რეპინი. მასთან ვისაუბრეთ ზოსია სტახოვიჩმა, მიშა ოლსუფიევმა და მე. არც ერთი თავისი ნამუშევარი არ უჩვენებია, იქნებ იმიტომ, რომ უცებ მოვიდნენ დრაგომიროვი და მისი ქალიშვილები და საერთო საუბარი გაჩაღდა. იგი ისევ თავის „ცდუნებაზე" მუშაობს, შარშან ზამთარში რომ ვნახეთ და მამამ ურჩია თავი დაანებეო. რეპინი სულ თხოვს მამას სიუჟეტი მომეციო. ამისათვის ჩამოვიდა მოსკოვში, შემდეგ კიდეც მომწერა და ვიდრე პეტერბურგში ვიყავი, რამდენჯერმე მომაგონა. გუშინ მამამ მითხრა, ერთი სიუჟეტი მომაფიქრდა, თუმცა სავსებით არ მაკმაყოფილებსო. ეს ის წუთებია, როცა დეკაბრისტები სახრჩობელაზე აჰყავთ. ახალგაზრდა ბესტუჟევ-რიუმინი გაიტაცა მურავიოვ-აპოსტოლმა, უფრო მისმა პიროვნებამ, ვიდრე იდეებმა, და სულ მუდამ მასთან ერთად იყო, მხოლოდ სიკვდილით დასჯის წინ გატყდა, ატირდა, მურავიოვმა ხელი მოჰხვია და ასე ორივენი ერთად გაემართნენ სახრჩობელებისაკენ.

ვისადილეთ იაროშჩენკოსთან. ხმა დაუკარგავს, მაგრამ მაინც ყოჩაღია. ვნახე მასთან მოხუცი შიშკინის პორტრეტი, სიკვდილის წინა წუთებში, და ვეზუვის ყელი.

5 თებერვალი.

მამა ჰაინეს კითხულობს და გუშინ ერთი ლექსი მითხრა, ზეპირად რომ უსწავლია.

„რა არის ხელოვნება" „პოსრედნიკში" ცალკე წიგნად დაბეჭდა რის გამოც ერთ კვირაში 5000 ცალი გაიყიდა.[12]

8 მარტი.

მამამ მალაკნებისაგან წერილი მიიღო, ბავშვები დაუბრუნებიათ.

1900

3 ნოემბერი. კოჩეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ გაემგზავრა აქედან მამა იულია ივანეს ასულ იგუმნოვასთან ერთად. 18 ოქტომბრიდან გუშინდლამდე დაჰყო ჩვენსა. უცხაური გრძნობა მქონდა: მრცხვენოდა რომ ვუღალატე, მაგრამ არ ვნანობდი. გულახდილად ძალზე ცოტა ვილაპარაკე, მეშინოდა ვაითუ მკიცხავს ან იქნებ დარდობს ჩემს გათხოვებას. ამის თქმას აზრი არ ჰქონდა, რადგან ვშიშობ ჩემთვის გაემხილა და რომც გაემხილა მოსმენა ფრიად მატკენდა გულს.

9 ნოემბერი. გასპრა.

მამა ავად არის, ციება სჭირს. მასთან არიან ექიმები ალტშულერი და ელპატიევსკი.

10 ნოემბერი.

მამა უკეთ გრძნობს თავს. დღეს იჯდა მაღლა თავის აივანზე. მასთან იყო დუსაბორი, რომელმაც მიატოვა თავისი კანადელი ძმები, და ჩავიდა იაკუტკსში, მაგრამ ახლა აღარ იცის რა გააკეთოს, ნანობს, კანადიდან რომ წამოვიდა.

მამას ძალიან აწუხებს რევმატიზმი.

30 ნოემბერი.

მამა ჩივის: ხელ-ფეხი მტკივაო.

13 დეკემბერი.

მამა ჩამოვიდა იალტიდან, სადაც ექვსი დღე დაჰყო იმიტომ, რომ დაბრუნება ვერ შეძლო იმდენად სუსტად ჰქონდა გული. მაჯის ამოვარდნა აწუხებს და დღეს ალტშულერი ისე შეშინდა, რომ ქაფურის ნემსი მოამზადა შესაშხაპუნებლად.

23 დეკემბერი.

მამა გაცილებით უკეთ არის. რევმატიული ტკივილები და ციება აღარ აწუხებს. გულიც კარგად აქვს.

1903

20 ოქტომბერი. იასნაია პოლიანა.

გუშინ საღამოს მამამ შექსპირის წინაალმდეგ დაწერილი თავისი სტატია წაგვიკითხა. ვუსმენდით ალექსანდრ სერგის ძე ბუტურლინი, ზოსია სტახოვიჩი და ჩვენ. ამის შემდეგ ზოსია მამას ეკამათა დღეს დი-

ლით კი მამამ ისევ გადახედა შექსპირის ზოგიერთ ნაწარმოებს და ზოსიას რამდენიმე შენიშვნას დაუთანხმა.

საღამოობით მე და მამა ბანქოს ვთამაშობთ. დღისით კი ძალზე დაკავებული ვარ, მიშასთვის საკუთარი პორტრეტის ასლს ვხატავ და მამას წერილებს ვარჩევ ჩემი მოგონებებისათვის.

დღეს საღამოს მიშა-ძმა იყო ორი საათით. [illegible] ბალალაიკასა და გიტარაზე უკრავდა, შემდეგ კი ათასნაირი რომანსი იმღერა, სხვათა შორის, ერთი მისი შეთხზული იყო ლინას სიტყვებზე, რომელიც მამას ძალიან მოეწონა.

მამა საოცრად ალერსიანად მეპყრობა, იცინის ჩემს ხუმრობაზე და ბებერ მამლაყინწას მეძახის.

1904

5 იანვარი. იასნაია პოლიანა.

ჩვენს ჩასვლამდე ერთი დღით ადრე იასნაიაში ბრაიანი (ამერიკელი სოციალისტი, შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატი). ყოფილა. იგი მამას ძალიან მოსწონებია. მასზე ვერაფერს დავწერ, მეშინია რაიმე არ ავურიო. სხვისი გადმონაცემის მიხედვით ძნელია წერა. მივდივარ დასაძინებლად.

16 თებერვალი.

იაპონიასთან ომი. რუსეთში გამოცოცხლებაა და პატრიოტული ენთუზიაზმი იგრძნობა. გული მეწურება, რომ ომი ისევ შესაძლებელია...

მამა ცხენით მიდის ტულაში დეპეშების ჩამოსატანად.

18 ივნისი.

15-ში ყუმბარით მოკლეს შინაგან საქმეთა მინისტრი პლევე. ძნელია, არ გაგეხარდეს ეს ამბავი.

ამ დღეებში ჩვენთან იყო დაღუპული „პეტროპავლოვსკიდან გადარჩენილი მეთაური იაკოვლევი. სიმპათიური ადამიანია, თავმდაბალი და მართალი კაცი ჩანს, მაგრამ სულიერ მოთხოვნილებებს ჯერ არ გაუღვიძია მის არსებაში.

14 ოქტომბერი. კოჩეტი.

17 სექტემბერს მიშა, ალა და მე იასნაიადან პეტერბურგს გავემგზავრეთ. პეტერბურგში ჩემს ძველ ნაცნობთან, პოლიციის დეპარტამენტის ახლანდელ დირექტორთან ალექსეი ალექსანდრეს ძე ლოპუხინთან მივედი, რათა მეთხოვა დაშკევიჩის რუსეთში დაბრუნების ნება. საუბარში ლოპუხინმა განაცხადა, რომ „გადაწყვეტილია, არ გადევნონ ტოლსტოველობა". როგორ მოგწონთ! ამ სვიატოპოლკ-მირსკიმ და ლოპუხინმა, რომელსაც უნივერსიტეტის პირველი კურსიდან ვიცნობდი, როგორც არარობასა და უმაქნის ბიჭს — გადაწყვიტეს, რომ შეიძლება „ტოლსტოველობა" არ დევნონ".

ვთხოვე ასევე ბირიუკოვისა და ჩერტკოვის გამოც. და ლოპუხინი შეეპირდა, ბირიუკოვს დაბრუნების შესაძლებლობას მივცემთ და პო-

ლიციის აშკარა ზედამხედველობის ქვეშ აღარ გვეყოლებაო.

მამა ჯანმრთელად არის, მხნედ, აგროვებს ბრძენთა და ფილოსოფოსთა გამონათქვამებს. ერთი თვეა გაზეთებს არ კითხულობს, დიდხანს გაუძლებს?

23 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ ორი საინტერესო მომსვლელი იყო.

1. ერთი დანიელი სანაძლეოზე ფეხით რომ უნდა ჩასულიყო უგროშოდ ვლადივოსტოკიდან კოპენჰაგენში. ვას ეს მანძილი ერთ წელიწადში უნდა გაევლო, მაგრამ გუშინ ვადა ამოიწურა და სანაძლეო წააგო. მიაქვს მხოლოდ სურსათი საკვებად.

2. მლვდელი, ადრე სატუსაღოშია ნამსახური. თავდაპირველად მამა ცივად შეხვდა, მაგრამ შემდეგ, ალბათ აღარ მოისურვა უპატივცემულოდ მოქცეოდა და სერიოზულად ესაუბრა. უეჭველია იმიტომ დაიარება, რომ მამას მოქცევის იმედი აქვს, ან იქნებ პოლიციური მიზანიც ამოძრავებს. როცა ჩაიზე მარტონი დავრჩით, ჩემი მოქცევაც სცადა, მაგრამ ვუთხარი, იმისათვის, რომ მართლმადიდებლურ ეკლესიას ზურგი აქციო, საკმარისია იცოდე, თუ როგორ დევნის ეკლესია ამ რწმენის გამო, თვითონვე რომ წარმოშობს და ის სისასტიკე ქრისტეს სახელით რომ სჩადის. ძალზე პრიმიტიულ ხერხს მიმართავდა. საიმისოდ რომ უბრალოებითა და გულწრფელობით მოახდინოს ზემოქმედება, მას უშუალობაც აკლია და არც სათანადო რწმენა გააჩნია.

ვაკეთებ ასლებს და გადავწერე მამაჩემისადმი გამოგზავნილი წერილები სხვადასხვა ხალხის მიერ. გუშინ ვიპოვეთ ტურგენევის გამოუქვეყნებელი წერილები, მამას რომ გამოუგზავნა სხვადასხვა დროს 56 წლიდან დაწყებული.

18 ნოემბერი.

დღეს საშას წერილი მივიღე, მწერს, რომ წაუკითხა მამას ჩემი წერილები გეზე და მამამ დაავალა გადმომცეს რომ კარგია, რომ მამამ ხაზი გაუსვა იმ ადგილებს, რომლებიც განსაკუთრებით მოეწონა, მაგრამ წერილის შემოკლებაც შეიძლებაო, თუ გამოვტოვებ რეცენზიების გამოხმაურებას გეს ნახატებზე.

1905

13 ოქტომბერი.

საღამოობით ვკითხულობთ კუპრინის „ორთაბრძოლას", თანაც უმეტესად მამა კითხულობს. მოსწონს და მისი აზრით, კუპრინი გორკიზე უფრო ნიჭიერია.

22 ოქტომბერი.

გუშინ ნ. ნ. გუსევი ჩამოვიდა, მოსკოვიდან და ტულიდან ფრიად საშფუთარო და შემაშფოთებელი ახალი ამბები ჩამოიტანა. მოსკოვსა და ტულაში „პატრიოტები" ანუ „შავრაზმელები" ებრძვიან რევოლუციო-

ნერებსა და სოციალ-დემოკრატებს. ტულაში ამას დაერთო ებრაელთა საკითხი, გუსევის სიტყვით, გუშინ ტულაში სროლა ყოფილა და ორმოცამდე კაცი დაიღუპაო.

იმ დღესაც მიშა ორიოლში რომ იყო, იგივე მომხდარა და იქაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყოლია.

მამა ბასოვოში გაემგზავრა, რათა შარაგზაზე ტულიდან მომავალ ხალხს გამოჰკითხოს ახალი ამბები.

1909

8 ივნისი. კოჩეტი.

დღეს საღამოს შვიდი საათი იქნებოდა, რომ ჩამოვიდნენ მამა, დედა, გუსევი, დუშან პეტრეს ძე მაკოვეცკი და ილია ვასილის ძე.

მამა მხნედ არის, ყველაფერი აინტერესებს. საიდუმლოდ მითხრა, რომ მხატვრულის დაწერა მსურსო.

10 დეკემბერი.

მამა კოჩეტიდან 3 ივლისს გაემგზავრა. ვფიქრობ, ჩვენთან კარგად გრძნობდა თავს. მნახველები ცოტანი იყვნენ, არავინ ერეოდა მის გონებრივ სამუშაოში, არც არავინ აუტანდა ძალას და არც მბრძანებლობდა. საკუთარით თავისუფალი იყო, ირგვლივ კი სიყვარულსა და ალერსს გრძნობდა, თვითეულს სურდა რითიმე ესიამოვნებინა. მსურდა ერთი შეკითხვა მიმეცა, მაგრამ ვერ ვუბედავდი და შემთხვევას ვუცდიდი, უფრო ადვილად და ბუნებრივად გამომსვლოდა. ასეც მოხდა, როცა მელენსკში გავყევი. ორივენი პატარა სამცხენიან ეტლში ვისხედით, მამა ძალზე აღფრთოვანებული იყო, ყველაფერი მოსწონდა: ამინდიც, ადგილმდებარეობაც, ცხენებიც, ისიც, ეტლი რომ არ ინჯღრეოდა. და რაღაც-რაღაცას მეკითხებოდა ჩემს ცხოვრებაზე. ერთი შეკითხვა როგორღაც ასე წამოიწყო: „მსურდა შენთვის ერთი ინტიმური ამბავი მეკითხა...“ როცა ვუპასუხე (ახლა აღარც კი მახსოვს რა შემეკითხა, ისე კი ძალიან ადვილად ვუპასუხე), მერე ვუთხარი:

— აი, მეც მინდა ერთი ინტიმური ამბავი გკითხო.

— რა ამბავი? სიამოვნებით გიპასუხებ.

— რატომ გწადია, რომ შენი სიკვდილის შემდეგ შენმა მემკვიდრეებმა უარი თქვან ლიტერატურული საკუთრების უფლებასა და მიწაზე?

— საიდან იცი, რომ მე ეს მწადია?

— ერთხელ თვითონ თქვი ჩემი თანადასწრებით: „რისი იმედი აქვთ ჩემს ვაჟიშვილებს? თუ წიგნების...“ და არ დაასრულე. და მივხვდი, რომ ამგვარი სულისკვეთების ანდერძის დატოვებას აპირებ. (გარდა ამისა, საშამ მაჩვენა დღიურებში ჩაწერილი იგივე სურვილი, მაგრამ საშა რომ არ გამემხილა, არაფერი მითქვამს“.)

— რატომ მეკითხები ამას?

— იმიტომ, რომ ვშიშობ ვაითუ შენმა სურვილმა, რათა ჩემმა ძმებმა გააკეთონ ის, რაც თვითონ არ გაგიკეთებია, ცუდი გრძნობები აღძრას,

ის, რაც თვითონ არ გაგიკეთებია შენს სიცოცხლეში ოხოვ მემკვიდრეებს ამის გაკეთებას.

— ჰო, მაგრამ მგონია, რომ ჩემი სიკვდილი მათ გულს მოეფერება.

— მაშინ, დაე, თვითონ დაფიქრდნენ. ყველამ იცის, რომ მთელი სიცოცხლე ამის მოსურნე იყავ და იმათ ვისაც უნდა [illegible], დაე თავისი ნებით აღასრულოს ეს სურვილი.

— მე ხომ, კაცმა რომ თქვას, ანდერძი არცა მაქვს. ეს სურვილივით ჩავიწერე. კანონის თანახმად შესრულება არც არის აუცილებელი.

— ვიცი, მაგრამ იმათ ვინც ვერ შესძლებს დაემორჩილოს შენს ამ სურვილს, გაუჭირდებათ მის საწინააღმდეგოდ იმოქმედონ, როცა ეს სურვილი ასე კატეგორიულად არის გამოთქმული.

— დიახ, დიახ, დავფიქრდები. ძალიან მადლობელი ვარ შენი, რომ მითხარი; მართალი ხარ... რა კარგია, რომ მითხარი. ვნახავ, სადა მაქვს ეს ჩაწერილი.

მეტი აღარაფერი გვითქვამს ამაზე და სხვა თემაზე დავიწყეთ ლაპარაკი.

როგორღაც სიტყვამ მოიტანა და ვთქვი, რომ ზოგჯერ ერთის კეთილდღეობისათვის, სხვები გავიწყდება. მე ვეუბნები: „ჰო, მართლა, როგორ არის ის საკითხი, რომელზედაც ვლაპარაკობდით...“

— რა საკითხი?

— აი, შენ გსურდა, რომ ჩემს ძმებს მიწა გლეხებისათვის გადაეცათ, გლეხებისათვის...

— ახ, არა! უნდა გამოვტყდე, რომ ეს რეაბილიტაციისათვის... თუმცა—რა რეაბილიტაცია უნდა იყოს?

გავუმეორე:

— რა რეაბილიტაცია? იტყვიან — თვითონ არ გააკეთა, შვილებისაგან კი მოითხოვა...

— ჰო, ჰო, რასაკვირველია.

შემდეგ იასნაიაში რომ ჩავედი ივლისში და საერთო განწყობილება მძიმე იყო, მითხრა, რომ საშინლად აწუხებს მიწის საკუთრება. გაკვირვებული დავრჩი.

— მამა! შენ ხომ აღარაფრის მფლობელი აღარა ხარ!

— როგორ? იასნაია პოლიანა?

— არა, იგი ხომ შენს მემკვიდრეებს გადაეცი, როგორც ყველაფერი სხვა. შემაწყვეტინა და მითხრა:

— აბა, მომიყევი ყველაფერი, როგორია საქმის ვითარება.

ვუამბე, რომ მან იასნაია თავდაპირველად დედასა და ვანიკოს არგუნა სანახევროდ. ხოლო მერე, ვანიკოს სიკვდილის შემდეგ ვანიკოს წილი ხუთ ძმას ერგო. უდიდესი ყურადღებით მისმენდა და ხანდახან ჩამკითხავდა ხოლმე: ნამდვილად იცი, რომ ასეა, რასაც მეუბნებით. ვუმტკიცებდი ასეა და თუ გინდა დამამტკიცებელ საბუთებს გიჩვენებ-მეთქი.

საუბრის დასასრულს ვუთხარი, ალბათ, ძალიან გიხარია, ასე რომ არის-მეთქი. მაგრამ მითხრა: „არა, მსურდა გლეხებისათვის ნაჩუქრობის წერილი მიმეცა“.

ეს იყო ერთი იმ პერიოდთაგან, როცა განსაკუთრებული სიმღერითა და მტკივნეულად გრძნობდა ფუფუნებაში ცხოვრების მთელ სიმძიმეს, მაშინ როცა მთელი სულით უნდოდა უბრალოდ ეცხოვრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1910

5 თებერვალი, იასნაია პოლიანა.

რამდენიმე დღის წინ ჩვენთან იასნაიაში სახალხო ბიბლიოთეკა გახსნეს, პაველ დოლგორუკოვი ჩამოვიდა ამის გამო და მამას სიტყვით მიმართა, უხერხული იყო და მამა ამას გრძნობდა. და საერთოდაც ამ ბიბლიოთეკას გულცივად შეხვდა, თქვა ეს წვრილმანი არისო!

22 ივნისი. კოჩეტი.

მამამ კოჩეტში 2-დან 20 მაისამდე დაჰყო. 7 მაისს ჩამოვიდა ჩერტკოვი და მამას გამგზავრებამდე დარჩა. დედა ჩერტკოვის შემდეგ ჩამოვიდა და მასზე ადრე წავიდა 5 მაისს.

მამა ტკბებოდა, მთხოვნელები და მნახველები რომ არ მოდიოდნენ და საერთო კეთილმეგობრული და მშვიდი განწყობილება სუფევდა. მას იასნაიაში ყოფნა განსაკუთრებით უმძიმს, ჩემთან 18 დღე დაჰყო და მერე ჩერტკოვთან გაემგზავრა. გული მტკივა, როცა ვამბობ, რომ მამასა და დედას სიამოვნებით ერთმანეთისაგან შორს ყოფნა. დედას ვრცელი წერილი მივწერე, შევეცადე მოიარებით, სიყვარულით განმემარტა, რომ სისულელეა, უაზრობაა, მეუღლეობას რომ მისდევს, მაგრამ პასუხად მომწერა, ტრაგიკული არაფერი ხდება, მამა ოდნავადაც არ იტანჯება და 48 წელიწადი ერთად ცხოვრების შემდეგ საიდან მოვიგონეთ, რომ თითქოს რაღაც მოხდა. კიდევ ერთხელ დავინახე, რომ ის, რაც მას ოცდახუთი წელი არ ესმოდა, მისთვის ბოლომდე გაუგებარი დარჩა. სწორედ დღეს ვნახე წერილი, რომელშიც 1905 წელს დაახლოებით იმასვე ვწერდი, რასაც ახლა, მაგრამ მაშინ ის წერილი არ გამიგზავნია.

ვიყავი იასნაიაში 2-დან 5 ივნისამდე. მამას დედაზე ველაპარაკებოდი, იგი მუდამ უხალისოდ და იშვიათად გველაპარაკება დედაზე. მაგრამ ახლა იმდენად უმძიმდა, რომ გულახდილად მითხრა ყველაფერი. და ჩემთან, ვგონებ, უფრო უადვილდება დედაზე ლაპარაკი, ვიდრე ვინმე სხვასთან, რადგან იცის, რომ დედას არ ვკიცხავ, არამედ მებრალება. ამბობდა, რომ მისი ცხოვრების ერთადერთი მიზანია, ყველასთან სიყვარულით იცხოვროს და მით უმეტეს დედასთან, ვის გვერდითაც ნახევარი საუკუნე იცხოვრა, მაგრამ ეს ძნელია მისთვის.

ერთხელ კარზე დავუკაკუნე — არ შემიშვა და მკითხა: რა გინდაო? ვუთხარი, რომ ბოლომდე არ წამიკითხავს მისი პიესა. ძალზე ალელვებულმა მიპასუხა, წასაკითხი არაფერი არ არის, ძალიან ცუდია და საერთოდ, ყველაფერი სიბილწეა. ვკითხე: რა არის სიბილწე? „სულში ვგრძნობ სიბილწეს, უნდა წავიდე აქედან, ეს ერთადერთია, რის გაკეთებაც შესაძლებელია“. თურმე სეირნობიდან შინ რომ ბრუნდებოდა, შეეჩეხა ჩერქეზს, რომელმაც მოიყვანა მოხუცი პროკოფი, იმიტომ რომ მან რაღაც ხის გამხმარი ღერო აიღო“.

წავედი. როცა დედა შემოვიდა ჩემთან ოთახში ვუთხარი, რომ მამა ძალიან აღელვებულია და არც აღელვების მიზეზი დამიმალავს. ვიდრე ჩვენ ვლაპარაკობდით, შემოვიდა მამა და მითხრა, მოვედი გითხოვო არავის უთხრა ჩემი ნათქვამი, რომ ყველაფერი კარგად არის და არაფერი მომხდარა.

მე კი გაბ'ხრახ ვუთ:ხარი დედას. თორემ ისე ხდება, რომ მამა თვითონ არაფერს ეუბნება, მაგრამ მოიწყენს, ჩუმად არის, ცუდ გუნებაზეა. დედა ამას უბრალოდ უგუნებობას მიაწერს, ან კუჭის ან ღვიძლის ტკივილს, და არა იმას, რომ იგი მეტისმეტად იტანჯება, ებრძვის საკუთარ თავს, საკუთარ სურვილს წავიდეს და მიატოვოს მთელი ეს აუტანელი ცხოვრება.

იასნაია პოლიანას მეგობრები და სტუმრები

ამ წიგნს ვუძღვნი ჩემს გარდაცვლილ მეგობარს დუშან პეტრეს ძე მაკოვეცკის, ყოფილ ექიმს და მეგობარს მამაჩემისას.

ნაწილობრივ, დუშან პეტრეს ძის დაჟინებული თხოვნის შედეგად დავწერე ეს ნარკვევები. დუშან პეტრეს ძე არასოდეს არ უშვებდა შემთხვევას ხელიდან და ეხვეწებოდა ლევ ნიკოლოზის ძეს ყველა ახლობელ ადამიანს, ჩაეწერა ყველაფერი, რაც გაახსენდებოდა ლევ ტოლსტოიზე ან მასთან საუბრიდან.

თუკი ვინმე რომელიმე ეპიზოდის მოყოლას დაიწყებდა ლევ ტოლსტოის ცხოვრებიდან, დუშანი მაშინვე აღელდებოდა, ეხვეწებოდა მონათხრობი ჩაიწერეთო. „ეს ახლავე გააკეთეთ, ნუ გადადებთ, წადით და ახლავე ჩაიწერეთ, თორემ დაგავიწყდებათ", ამბობდა იგი.

ბევრს რვეულს აძლევდა საჩუქრად და სთხოვდა, „ჩანაწერები" გაეკეთებინათ ლევ ნიკოლოზის ძეზე.

მიზეზთა გამო, რომელთა მოტანა აქ არ შეიძლება, მე არ ვიწერდი ხოლმე მამის საუბრებსა და საქციელს და ამიტომ სრულად ვერ განვახორციელე დუშან პეტრეს ძის ოცნება „ჩანაწერებზე". მაგრამ მინდოდა ჩანახატები გამეკეთებინა ზოგიერთ პირთა, მამასთან რომ დაიარებოდნენ. ამ წიგნში თავმოყრილი ნარკვევები შემთხვევით დაიწერა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზეზთა გამო, მაგრამ უმეტესწილად დუშან პეტრეს ძის წაქეზებით.

დაე მკითხველი ნუ გამკიცხავს სიჭრელის გამო. მე რომ დრო და შესაძლებლობა მქონოდა დამეწერა ნარკვევების ციკლი, რომლებიც ჩაფიქრებული მაქვს, მათ უფრო მიზანშეწონილად დავაჯგუფებდი; ვინ იცის, ეგების ოდესმე მოვახერხო ამის გაკეთება...

ივან სერგეის ძე ტურგენევი

ჩემს სიყმაწვილეში ტურგენევი ახალგაზრდობის ყველაზე საყვარელი მწერალი იყო. იმ ხანებში იგი ჯერ ისევ წერდა და აქვეყნებდა და მისი ყოველი ახალი რომანის გამოჩენა უდიდესი მოვლენა იყო მთელი მკითხველი ახალგაზრდობისათვის. ახალგაზრდები ამაოდ ელოდნენ ახალ გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს. მგზნებარედ მსჯელობდნენ მის მიმართულებაზე, არჩევდნენ მისი გმირებისა და გმირი ქალების ხასიათებს, და ახალგაზრდობა ისე ეჩვეოდა რომანს, რომ თითქოს ეს რომანი მისი ცხოვრების ნაწილს შეადგენდა. საუბარში კარგა ხანს იყენებდნენ სიტყვებს მისი ახალი რომანიდან, და ყველანი არა მარტო ცდილობდნენ მიებაძათ ტურგენევის გმირებისათვის, არამედ ბევრნი თავისდაუნებლიეთ კიდეც ემსგავსებოდნენ მათ.

ივან სერგეისძესთან ნაცნობობა უდიდეს ბედნიერებად ითვლებოდა, ხოლო ჩვენ, როგორც მწერლის შვილებს, თითქოს უნდა გვქონოდა სხვებზე მეტად ამის შესაძლებლობაც და უფლებაც გვცნობოდა ტურგენევი, მაგრამ ამ სიხარულს მოკლებულნი ვიყავით, რადგან ოდესღაც, დიდი ხნის წინად მამა და ტურგენევი წაჩხუბებულან. ჩხუბის მიზეზი არ ვიცოდით, ვიცოდით მხოლოდ ის ამბავი, რომ მამამ ტურგენევი დუელში გამოიწვია, ტურგენევმა კი არ მიიღო ეს გამოწვევა.

ნახევრადბავშვური სული, როგორიც იყო იმ ხანებში ჩემი სული, ახლოს არ იკარებდა ყალბ ცრურწმენას, თითქოს წყენა სისხლმა უნდა ჩამორეცხოს. სავსებით თანავუგრძნობდი ტურგენევს, ვინაც უარი განაცხადა დუელზე და ვერ მივხვდარიყავი რატომ ითვლებოდა დუელზე უარის თქმა სირცხვილად.

შემდეგ გავიგე, რომ მამამ წერილი მისწერა ტურგენევს, თხოვდა დაევიწყებინა ძველი წყენა და შერიგებოდა.

მამა მიამბობდა, რომ ის პირველი წერილი ტურგენევისადმი გაგზავნილი, ვიდაც საერთო ნაცნობს რომ გააცანა, დაიკარგა და იგი ძალზე გაკვირვებული და ნაწყენი იყო, რომ ისევ მოდიოდა ხმები, რომ ტურგენევი მისდამი კეთილმეგობრულად არ იყო განწყობილი.

მოგვიანებით, საკუთარი „სულიერი დაბადების" გარდამავალ ხანაში, როგორც მამა უწოდებდა თავისი ცხოვრების ამ პერიოდს, მამამ, რაკი სურდა სიხარების მოძღვრებას მიჰყოლოდა, მოისურვა შერიგებოდა ყველას, ვისთანაც რაიმე გაუგებრობა შემთხვეოდა. მან მეორე წერილი გაუგზავნა ტურგენევს. ეს წერილი ამჯერად მიიღო ტურგენევმა და მამას ძალზე სასიამოვნო პასუხი მოუვიდა:

ტურგენევი იწერებოდა, რომ მამას წერილმა იგი „გაახარა და გული აუჩუყა". უდიდესი სურვილი მაქვს და მზად ვარ განვაახლო ჩვენი ადრინდელი მეგობრობა და მაგრად გართმევთ ხელს, თქვენ რომ გამომიწოდეთ".

ზაფხულის დასასრულს — ეს იყო 1878 წელს ტურგენევი პარიზიდან რუსეთში უნდა დაბრუნებულიყო და შეგვპირდა, რომ ჩვენთან უსათუოდ მოვიდოდა.

იყო თუ არა იმ ზაფხულს, თუ მხოლოდ ერთი ან ორი წლის შემდეგ მოვიდა, აღარ მახსოვს. მახსოვს მაშინ მოზარდი ვიყავი — ჯერ

კიდევ არ ვიყავი მოწიფული, — ტურგენევი კი მოხუცი მახსოვს. დიდ პირისახეზე არშიასავით შემოვლებოდა ხშირი, ჭალარა კულულები, თვალებში სიკეთე და ალერსი ჩადგომოდა. მაგრამ დაღლილი გამომეტყველება ჰქონდა და თავის ასაკთან შედარებით უფროსი ჩანდა. როცა არაფერი არ შთააგონებდა, მისი უზარმაზარი სხეული ფეხზე ადგებოდა, თვალები ჩაუქრებოდა და გულგრილად იყურებოდა. სწორედ ეს კონტრასტი მის მხიარულ ხასიათსა, ცოცხალ მიხვრა-მოხვრასა, ბრწყინვალე საუბარსა და შინაგან სევდას შორის, რომელიც დროადრო გამოკრთებოდა ხოლმე საუბრის დროს და ხშირად სჩანდა გამოხედვასა და თვალების გამომეტყველებაში, ტურგენევის ყველაზე დამახასიათებელი თვისება იყო.

ის, რასაც ტურგენევი ჯერ ისევ 1885 წელს წერდა მამას ერთი წერილის ბოლოს, ამტკიცებს, რომ მისი სევდა გარეგანი კი არ იყო, არამედ ღრმად ჰქონდა სულში გამჯდარი.

„...ეხ, საყვარელო ტოლსტოი! — წერს იგი, — თქვენ რომ იცოდეთ, როგორ მიმძიმს ცხოვრება და რა მოსაწყენია! ჩემგან აიღეთ მაგალითი: არ მისცეთ ცხოვრებას საშუალება გაგისხლტეთ ხელიდან და ღმერთმა დაგიფაროთ ამგვარი გრძნობა: რომ ცხოვრება უკვე გათავდა, მაშინ როცა ამასთანავე გრძნობთ, რომ იგი არ დაწყებულა, ხოლო წინ კი გაქვთ — ახალგაზრდობის, განუსჯელობის, სიბერის მთელი უნაყოფო გალერეა სიცარიელესთან ერთად. როგორ უნდა მოიქცეთ, ასეთ უბედურებაში რომ არ ჩავარდეთ, არ ვიცი. და საერთოდაც, იქნებ არც გიწერიათ ამ უბედურებაში ჩავარდნა! მიიღეთ მაინც ჩემი გულწრფელი სურვილები ნამდვილი ცხოვრებისა და ჭეშმარიტი ბედნიერებისა. ამას გისურვებთ ღრმად და დამსახურებულად უბედური ადამიანი...“ (ეს წერილი არ შესულა ტურგენევის წერილების კრებულში. საერთოდაც როცა მამაჩემისადმი გამოგზავნილ ტურგენევის ნამდვილ წერილებს ვარჩევდი, დავინახე, რომ მრავალი მისი წერილი, — ჩემი აზრით — ძალზე, ყველაზე საინტერესო — არ გამოუქვეყნებია ლიტერატურულ საზოგადოებას ტურგენევის წერილების კრებულში. ვკითხე მამას ასე რად მოხდა-მეთქი? იმიტომ ხომ არა, რომ იმ წერილებს, რომლებიც არ დაბეჭდილა, უფრო ინტიმური ხასიათი ჰქონდა, ვინემ სხვებს, რომლებიც დასაბეჭდად გადასცა. მიპასუხა, რამდენადაც მახსოვს, ეს შემთხვევით მოხდა ასე, და რომ მან დასაბეჭდად მისცა ის წერილები, ხელთ რომ ჰქონდა, როცა მოსთხოვეს).

ტურგენევის შეხვედრა მამაჩემთან გულითადი და სასიხარულო იყო. რამდენადაც მახსოვს და რამდენადაც შემეძლო მაშინ თვალი მიმედევნებია, მამასა და ტურგენევს შორის აღსდგა ყველაზე მეგობრული და ყველაზე ნაზი ურთიერთობა, არც ერთ სერიოზულ საკითხზე აღარ საუბრობდნენ, თითქოს ცდილობდნენ მხოლოდ იმ საგნებს შეხებოდნენ, რომელთა გამოც არ შეიძლებოდა მათ შორის უთანხმოება მომხდარიყო.

მახსოვს ტურგენევი ბევრს ეკამათებოდა იმხანად ჩვენთან სტუმრად მყოფ თაეადს ლ. დ. ურუსოვს, მაგრამ მამა ცოტას მონაწილეობდა ამ კამათში. პირიქით, რამდენადაც მახსოვს, მამა კეთილი ირონიით ეკიდებოდა ურუსოვის ცდებს, თავის რწმენაზე „მოექცია“ ტურგენევი.

ურუსოვი მამაჩემის ძალზე ახლო მეგობარი იყო. მათი ნაცნობობის პირველივე დღეებიდანვე იგი მამაჩემის შეხედულებათა მგზნებარე მომხრედ იქცა, ის, რასაც მამა წერდა და ამბობდა იმ ხანებში, ურუსოვის სულში მუდამ პოულობდა გამოძახილს, თითქოს მამა სწორედ იმას წერდა და ამბობდა, რაც თანხვდებოდა ურუსოვის რწმენასა და შეხედულებებს. ეს სწორედ რომ ახალი აღმოჩენა იყო ურუსოვისათვის. იგი მხოლოდ თვითონ კი არ ტკბებოდა საკუთარი მოქცევით, არამედ სურდა თავისი ბედნიერება გაეზიარებინა ყველასათვის, ვისაც კი ხვდებოდა.

ჩვენს სახლში ტურგენევი რომ დაინახა, ურუსოვმა ველარ მოისვენა და სცადა მოექცია იგი. ტურგენევს კი კამათი სულაც არ სურდა. ცდილობდა აერიდებინა ურუსოვის გამომწვევი კილო და ერთხელ კიდეც გავიგონე, როგორ შესჩიოდა მამას ურუსოვზე, თან კეთილად ეცინებოდა,

სულო ჩემო, — ეუბნებოდა იგი, — ეს თქვენი ტრუბეცკოი (ურუსოვის ნაცვლად) ნამდვილად ჭკუიდან შეიშლის.

როგორც ჩანს, ტურგენევს სურდა ჩვენს სახლში დასვენება, და მას უფრო სიამოვნებდა ჩვენთან ერთად სეირნობა, ჩემს ძმასთან ჭადრაკის თამაში, დეიდაჩემის სიმღერის მოსმენა და საუბარი რაგინდრა თემაზე, ვიდრე ფილოსოფიურ საკითხებზე.

მახსოვს ბევრს საუბრობდნენ ლიტერატურაზე.

ტურგენევი, რათა შეემოწმებინა ვისიმე მხატვრული ალღო, ყოველთვის ამას ეკითხებოდა.

— პუშკინის „ღრუბელში" რომელი სტრიქონია ცუდი?

მახსოვს მამამ მაშინვე დაუსახელა:

„ რასაკვირველია! — დაუდასტურა ტურგენევმა, როგორ შეეძლო პუშკინს ასეთი ლექსი დაეწერა. ელვა არ ეხვევა, ეგრაგნება — ეს არ ქმნის სურათს...

მახსოვს, ამის შემდეგ იგივე შეკითხვა ფეტს გაუმეორა. ფეტი ოთახში არც იყო შემოსული და მამას გამარჯობაც არ ეთქვა, რომ შეეკითხა:

— აბა, ერთი, აფანას ათანასეს ძევ, პუშკინის „ღრუბელში", რომელი სტრიქონია ცუდი? ფეტი არც დაფიქრებულა, მაშინვე მშვიდად უპასუხა:

— რასაკვირველია,

ტურგენევი ბევრს ლაპარაკობდა მოპასანზე, აღფრთოვანებული იყო მისი ნაწარმოებებით და გვიამბობდა მისი ცხოვრების ამბებს. მან პირველმა მიუთითა მამაჩემს მოპასანზე, როცა მოპასანი ჯერ კიდევ დამწყები, ახალგაზრდა მწერალი იყო.

ტურგენევმა მისცა მამას მოპასანის რომანი „ტელიეს სახლი" და ურჩია წაიკითხეო. მაგრამ მაშინ მამაზე ამ წიგნს შთაბეჭდილება არ მოუხდენია. არ ვიცი ეს იმიტომ მოხდა, რომ მაშინ იგი შორს იდგა ყოველგვარი მხატვრული ინტერესებისაგან ან იქნებ, რომანის მეტისმეტად ბინძურმა შინაარსმა აუცრუა გული. მაგრამ ის კი ვიცი, რომ ამ წიგნის წაკითხვას არავითარი ზემოქმედება არ მოუხდე-

ნია. რამდენიმე წლის შემდეგ მამამ წაიკითხა „ცხოვრება" ამავე ავტორისა, და სულ სხვა შთაბეჭდილება მოახდინა. ისე აღფრთოვანა ამ წიგნმა, რომ მაშინვე მოისურვა რუსულ ენაზე ეთარგმნა, და მე მისი ხელმძღვანელობით რედაქცია გავუკეთე ამ თარგმანს „პოსრედნიკის" გამოცემისათვის.

მახსოვს საუბრები გარშინზე. იგი სწორედ ის-ის იყო გამოჩნდა ლიტერატურულ ჰორიზონტზე და ტურგენევმა ურჩია მამას წაეკითხა მისი მოთხრობები. არც მოპასანის რომანებზე და არც გარშინის მოთხრობებზე ტურგენევს თავისი აზრი არ გამოუთქვამს, არ უნდოდა წინასწარი ზემოქმედება მოეხდინა მამაჩემის აზრზე.

გარშინი მამამ მაშინვე დააფასა" და ამის შემდეგ ყოველთვის კითხულობდა ყველაფერს, რასაც გარშინი აქვეყნებდა. (შემდგომ მამამ გაიცნო გარშინი და მაგრამ მათი ნაცნობობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე გარშინი სულიერად დაავადდა. უკანასკნელად გარშინი იასნაია პოლიანაში ცხენით ჩამოვიდა ტულიდან, მეეტლესათვის რომ წაერთმია. მამა და დედა შინ არ იყვნენ, ჩვენი აღმზრდელი პედაგოგი ქალები, შინამოსამსახურე საგონებელში ჩაგდო ამ უცნაური ახალგაზრდა კაცის გამოჩენამ. არავინ არ მიიწვია სახლში, მახსოვს რა შეშინებული და შემცბარი ვუყურებდი ამ ლამაზსა და ფაზრო გამომეტყველების კაცს, უქუდოდ რომ იჯდა შეუკაზმავ ცხენზე; უკან რომ ბრუნდებოდა არყის ხეების ხეივანში, იგი ძლიერად იქნევდა ხელებს, და რაღაცას გამოთქმით ამბობდა.

მახსოვს, რა საოცრად ხატოვანად და თავშესაქცევად ყვებოდა ტურგენევი. ერთხელ ვვიამბო, ერთმა ცნობილმა რუსმა ბანოვანმა როგორ ჩაგდო გულისხმაში მასკარადზე. ამ ბანოვანის ჭკუა-გონებით, მიხვრა-მოხვრით, ლამაზი აღნაგობით მოხიბლულმა ტურგენევმა ოცნებად გაიხადა, მისი პირისახე ენახა. რასაკვირველია, ისეთივე მიმზიდველი ჰყავდა წარმოდგენილი, როგორც სხვა მხრივ იყო. დიდხანს ემუდარებოდა, ნიღაბი მოიხსენითო, და ქალიც დიდხანს არ თანხმდებოდა. ბოლოს დაუთმო და აიწია ნიღაბი.

— წარმოიდგინეთ, რა საშინელება დამემართა, — წამოიძახა ტურგენევმა, როცა ამ პოეტური ხატების ნაცვლად, მე რომ შევიქმენი, დაინახე კაბაში გამოწყობილი ფინელი გლეხი. უეჭველია, ქალმა იგრძნო თავისი შეცდომა, რადგან შემდგომში მასკარადებზე, რომლებზეც დასწრება ძალიან უყვარდა, აღარ იხსნიდა ნიღაბს, ალექსეი ტოლსტოიც, რომელიც ამ ბანოვანმა პირველად იხილა და მოხიბლა მასკარადზე, სადაც მისი „იდუმალება" ნაკვთებს უფარავდა, ასევე აღფრთოვანდა და მიუძღვნა ლექსი „მეჯლისის სმაურში".

აი კიდევ მეორე მონათხრობი ტურგენევისა.

თურმე სადღაც მიემგზავრება წაფელით და გზაში ფორანზე მჯდარი გლეხი შეხვედრია, თავი გადმოუგდია ფირნის ხელადან. ხელები უმწეოდ უყანყალებს, პირ-სახე ნაცემი და დასისხლიანებული აქვს. ველური, ჩახრინწული ხმით იგინება. მეეტლე დააკვირდა გლეხს, კოფოზე მჯდარი შებრუნდა ტურგენევისაკენ და შენიშნა: ხელით ნამუშევარია ივან სერგეის ძევ".

მახსოვს ტურგენევი ერთ-ერთი ჩამოსვლის დროს, ადრეულ გაზაფხულზე საზიდარზე იჯდა დედასა და მამასთან ერთად. (გუთნის შოლტა!?)

შელამებულა. მამა თოფით ხელში (მაშინ იგი ჯერ ისევ ნადიროდა ველზე, წვრილ ჯერ გაუშლელ ვერხვნარში) შორიახლოს — დედაჩემი და ივან სერგეის ძე დგანან. ჩვენ ბავშვები იქვე — არც ისე შორს, კოცონს ვანთებთ ხმელი ტოტებისაგან. ყველანი ჩურჩულით ლაპარაკობენ რათა არ დააფრთხონ აქეთ მომფრინავი ტყის ქათმები.

ბედმა გაუმართლა. ყოველწუთს ისმის განსაკუთრებულად მსუბუქი, გამჭვირვალე სტვენა ტყის ქათმებისა და შემდეგ დამახასიათებელი კრიახი. ამ წუთებში ყველანი ყურადქცეულები და სუნთქვაშეკრულნი არიან... ბახ! — გაისმის სროლის ხმა... მეძებარი ძაღლი წრიალებს და გარბის მოკლული ფრინველის საძებნელად. შემდეგ ისევ ყველაფერი თავის ადგილზე დგება.

ტურგენევს ბეზრდება ჩუმად ყოფნა და წელა ელაპარაკება დედაჩემს. მათ საუბარში გამოერია სიტყვა „სიყვარული", რამაც ჩემი ნახევრად ბავშვური გული ააღელვა და უფრო ძალუმად ააძგერა. (ტურგენევი დედაჩემს ეუბნებოდა რომანებს რატომ ველარ წერდა. ეუბნებოდა, სიყვარულზე წერა მხოლოდ მაშინ შეიძლება როცა თვითონ თრთი სიყვარულისაგან. და რაკი ეს სიყვარული უკვე ველარ უთრთოლებს გულს, მასზე წერაც აღარ შეუძლია).

რას ამბობს ნეტავი ეს ლამაზი მოხუცი სიყვარულზე? რა როლი შეასრულა სიყვარულმა მის ცხოვრებაში? ბუნდოვნად ვიცი, დიდებული მომღერალი ქალი რომ უყვარდა დიდხანს და ძალიან ერთგულად[22] — წარმოვიდგინე, როგორ არაჩვეულებრივად პოეტური და ამაღლებული სიყვარული უნდა ჰქონოდათ და რაოდენ ბრწყინვალე და შინაარსიანი იქნებოდა მათი ცხოვრება პარიზში, ამ დედაქალაქთა დედაქალაქში.

საღამოვდება. ნესტი და სიბნელე მოიპარება. ტყის ქათმები არ მოფრინავენ და ჩვენც შინ ვბრუნდებით.

ტურგენევის ჩამოსვლა 1881 წლის ზაფხულში, იასნაია პოლიანაში უფრო ცხოვლად მახსოვს და რამდენიმე სურათი ჩამრჩა გონებაში.

დილაა. მივედი სახლის წინ მდგარი ტირიფის ძირას. ყავის დასალევად და რას ვხედავ: გრძელ ძელზე, დიდ ჩილიკაზე რომ არის გადებული შუაში, ერთი მხრიდან მამაჩემი სტენა, მეორე მხრიდან კი — ტურგენევი. ყოველ ახტომაზე ძელი გადაიწონება და ზევით ისვრის საპირისპირო მხარეზე მდგარს. ხან მამა აფრინდება მაღლა, ხან ტურგენევი. მაღლა ამხტარი ისევ ძელზე ეცემა ფეხებით და გადაწონის ხოლმე, მაშინ კი საწინააღმდეგო ბოლოში მდგარი ახტება მაღლა და ა. შ.

ტურგენევს ნეკრესის ქარები აწუხებდა და ამიტომ უზარმაზარ ძალიან ფართო ცხვირიან ფეხსაცმელებს იცვამდა, ყოველ ახტომაზე ერთმანეთზე მიდგმული ორი უზარმაზარი ფეხი ხვდება ძელს და ირხევა. მშვენიერი ჭალარა კულულები. დღემდე ნათლად ვხედავ ამ ორ დამახასიათებელი აღნაგობის ადამიანს, ბავშვური გასართობით გატაცებულთ.

მეორე სურათი: ტურგენევი ურუსოვს ეკამათება. ისინი სასადილოში სხედან ჩაის დასალევი მაგიდის წინ. ურუსოვი ისე აღგზნებული

ამტკიცებს რაღაცას, რომ სკამიდან ჩამოცურდა, რომელზედაც ირწეოდა და ახლა იატაკზე მჯდარი აგრძელებს კამათს, მაგიდის ქვეშიდან რაღაცას ხელით უჩვენებს და თან უყვირის ტურგენევს. მაგრამ ივან სერგეის ძემ ველარ მოითმინა და სიცილისაგან გადაკოტრიალდა, რამაც კიდეც შეწყვიტა კამათი, რაც ტურგენევისათვის მეტად სასიამოვნო იყო.

ამ ზაფხულს იასნაია პოლიანაში მეფობდა ხალისი, სიმღერები, ცეკვები, რომანების სულისკვეთება — ერთი სიტყვით სულისკვეთება ადრეული სიჭაბუკისა. ფლიგელში ცხოვრობდა დეიდაჩემი ტ. ა. კუზმინსკაია, თავისი ოჯახითურთ და მათ გარდა სახლში უამრავი ახალგაზრდა იყო სტუმრად. ყველანი მოზარდები ვიყავით და ერთმანეთზე შეყვარებულნი. თითქმის ყოველ საღამოს ვცეკვავდით და დეიდაჩემი მღეროდა. მას მშვენიერი ხმა ჰქონდა. ჩემი უფროსი ძმა მიუჯდებოდა ფორტეპიანოს აკომპანიმენტის გასაკეთებლად, სხვები კი დავსხდებოდით დარბაზის ღია ფანჯრებთან და ვუსმენდით. მახსოვს ზაფხულის ამ საღამოებში სული მეფლითებოდა მღელვარებისაგან, რაღაც გაურკვეველი ოცნებებისა და გრძნობებისაგან, რაღაც ტკბილი ნაღველისაგან, რასაც მომახვევდა ხოლმე დეიდაჩემის მშვენიერი ხმა და რომანსების მგზნებარე სიტყვები.

ერთ საღამოს ცეკვები გაიმართა და ტურგენევმა დედა გაიწვია კადრილის საცეკვაოდ. მახსოვს უცებ ერთ-ერთი ფიგურის შესრულების დროს, ცერა თითები გაუყარა ქილეტის ჭრილში და კანკანის რამდენიმე ძალზე სასაცილო ილეთი გააკეთა. ყველანი აღვფრთოვანდით, მე კი ჩემს მეწყვილესთან ერთად ივან სერგეის ძეს თაყვანისმცემელი ვიყავი, და უბრალოდ სიხარულისაგან თავგზა დაკარგული მქონდა.

დეიდაჩემის სიმღერას ტურგენევი მუდამ აღფრთოვანებული ისმენდა.

— რა უბედურება მჭირს! — მითხრა ერთხელ, — ყველა სხვა მუსიკაზე მეტად სიმღერა მიყვარს, თვითონ კი ყელში ხმის ნაცვლად საყმაწვილოიანი გოჭი მიზის.

მახსოვს ერთ საღამოს, აღგზნებულნი სიმღერებისა და ცეკვების შემდეგ ყველანი ანუ მთელი ახალგაზრდული ჯგუფი ერთად ვისხედით და რაღაცაზე ჩუმად ველაპარაკებოდით ერთმანეთს. ტურგენევმა დაგვინახა, მოვიდა და ჩვენთან ერთად დაჯდა. — აი რას გეტყვით, — გვითხრა მან, — მოდით თითოეულმა ჩვენთაგანმა გვიამბოს ჩვენი ცხოვრების ყველაზე ბედნიერ წუთებზე.

ვიფიქრეთ, ივან სერგეის ძე დაიწყებდა. დაგვთანხმა და ერთი თავისი სიყვარულის ისტორია გვიამბო. თავდაპირველად იგი უბედური იყო, ეჭვი აწამებდა და ორჭოფობდა, მაგრამ ერთხელ როცა თვალებში ჩასედა საყვარელ ქალს, მის მზერას შეეფეთა. იმდენი სიყვარული გამოკრთოდა ამ თვალებში, რომ ტურგენევმა იგრძნო, რომ დასრულდა მისი ტანჯვა და შემდგომ მთელი ცხოვრება, როცა ამ შემთხვევას იგონებდა, სწორედ ამ წუთს მიიჩნევდა თავისი ცხოვრების უბედნიერეს წუთად.

ტურგენევის ამ ნაამბობის შემდეგ თვითეული ჩვენთაგანი, რომელსაც ან მარილა უყვარდა ვინმე, ან თავი შეყვარებული ეგონა. მეორეს უძღვნიდა და ან იჭერდა ამ სიყვარულით სავსე თვალებს და წარმოიდგენდა ხოლმე, რომ თავისი სიცოცხლის უბედნიერეს წუთს განიცდიდა.

იასნაია პოლიანადან რომ გაემგზავრა, ტურგენევმა წერილი გამოუგზავნა მამას, და მათ შორის ისევ გაჩაღდა მიწერ-მოწერა. თითქმის ყოველ წერილში ტურგენევი პირდაპირ ანდა მინიშნებით თხოვს მამას ხელი მოჰკიდოს ლიტერატურულ შრომას.

1882 წლის 14 მაისით დათარიღებულ წერილში ივი წერს მამას:

„ძვირფასო ტოლსტოი! არ შემიძლია გადმოგცეთ, როგორ ამიჩუყა გული თქვენმა წერილმა. ვეხვევით წერილის თვითეული სიტყვის გამო. ჩემი ავადმყოფობა წითელი ქარეზი, რომლის ლამის მაღლობელი ვარ, იმდენი თანაგრძნობა მივიღე, საშიში სულაც არ არის, თუმც კი საკმაოდ შემაწუხებელია. მთავარი უბედურება ის არის, მკურნალობას ცუდად ემორჩილება და შესაძლოა დიდხანს გაგრძელდეს და მოძრაობის შესაძლებლობა წამართვას. ეს ავადმყოფობა განუსაზღვრელი ვადით მაშორებს ჩემს გამგზავრებას სპასკოეში. მერე როგორ ვემზადებოდი იქ გასამგზავრებლად! მაგრამ ყოველგვარი იმედი ჯერ კიდევ არ არის დაკარგული, რაც შეეხება ჩემს სიცოცხლეს, ალბათ კიდევ დიდხანს ვიცოცხლებ, თუმც ჩემთვის უკვე ყველაფერი დამთავრებულია. თქვენ კი კიდევ დიდხანს უნდა იცოცხლოთ და არა მხოლოდ იმიტომ, რომ სიცოცხლე მაინც კარგი რამ არის, არამედ იმიტომაც, რომ დაასრულოთ საქმე, რისთვისაც ხართ მოწოდებული და რომლის ოსტატიც თქვენს გარდა სხვა არავინ გვყავს. ვიგონებ მარშან რომ შემპირდით სანახევროდ — და არ მინდა ვიფიქრო, რომ თქვენ ის არ შეასრულეთ. ბევრი წერა არ შემიძლია, მაგრამ თქვენ გეხმიეთ ჩემი...“

იმავე წლის სექტემბერში ტურგენევი წერს:

„...გავიგე, რომ თქვენი სტატია, „რუსკაია მარში“ რომ უნდა გამოქვეყნებულიყო, ცენზურის განკარგულებით დაწვეს. მაგრამ იქნებ ანაბეჭდი გადაგირჩათ. ხომ არ დამდებთ პატივს და ხომ არ გამომიგზავნით აქ (უმჯობესია პარიზში, 50) ფოსტით? და მაშინვე უკან დაგიბრუნებთ. ძალიან მსურს ამ სტატიის წაკითხვა.

ამ წერილს იასნაია პოლიანაში გიგზავნით, რადგან ვვარაუდობ, რომ თქვენ, ვიდრე არ დაზამთრდება, არ დაბრუნდებით მოსკოვში. ალარ გეკითხებით, ხომ არ შეუდექით მხატვრულ საქმიანობას, რადგან ვიცი ეს საკითხი არც მაინცდამაინც გსიამოვნებთ, მაგრამ ძალიან მსურს რაიმე ვიცოდე თქვენზე, თქვენს ჯანმრთელობაზე, ისევე როგორც ყველა თქვენიანზე, რომელთაც გთხოვთ გადასცეთ ჩემი სალამი“.

მამამ ერთი ნაცნობი მანდილოსნის ხელით გაუგზავნა ტურგენევს პარიზში თავისი „აღსარება“, თან სთხოვდა ტურგენევს წაეკითხა ეს წიგნი და არ გაბრაზებულიყო, არამედ ცდილიყო მის თვალსაზრისზე დამდგარიყო და გაეგო მისი“.

ტურგენევმა ასე უპასუხა:

„რომ თქვენს სტატიას სწორედ ისე წავიკითხავ, როგორც თქვენ გსურთ, ამაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ვიცი, რომ ამ სტატიას წერდა ძალიან ჭკვიანი, ძალიან ნიჭიერი და ძალიან გულწრფელი ადამიანი. შემიძლია არ დავეთანხმო, მაგრამ უწინარეს ყოვლისა შევეცდები გავიგო და სწორედ მის ადგილზე დავდგე. ეს ჩემთვის ჭკვისასწავლიც იქნება და საინტერესოც, ვიდრე ის, რომ საკუთარი [illegible] გეუბნო, ანდა ვეძებო რა განსხვავებანი არსებობს ჩემსა და მას შორის. გაბრაზება კი — სრულიად წარმოუდგენელია. ბრაზობენ მხოლოდ ასალგაზრდები, რომლებსაც წარმოუდგენიათ, რომ სინათლე იმდენია, რამდენიც მათ ფანჯრებში შემოდის. მე კი ამ დღეებში 64 წლისა შევსრულდები. ხანგრძლივი ცხოვრება გასწავლის ყველაფერს ეჭვის თვალით არ შეხედო (რადგან ყველაფერზე ეჭვის თვალით ყურება ნიშნავს მხოლოდ საკუთარი თავის გწამდეს) ხოლო საკუთარ თავში დაეჭვება. — ნიშნავს სხვა რამ იწამო და გჭირდებოდეს კიდეც. ეი ასეთი სულისკვეთებით წავიკითხავ თქვენს ნამოღვაწევს“.

„...ისევ შევუდექი შრომას. როგორ გავიხარებდი, რომ გამეგო, რომ თქვენც ასევე შეუდექით. რასაკვირველია, მართალი ბრძანდებით! უწინარეს ყოვლისა საჭიროა იცხოვრო მართებულად(?) როგორ საჭიროა, მაგრამ ერთი მეორეს ხელს არ უშლის“.

მაგრამ ტურგენევმა, ჩანს, ვერ გაიგო „აღსარება“ და არ გაიზიარა მამის შეხედულებები. მამას მისწერა:

„მინდოდა დიდი წერილი მომეწერა თქვენთვის თქვენი „აღსარების“ პასუხად მაგრამ არ დამისრულებია და არც დავასრულებ, სწორედ იმიტომ, რომ საკამათო ტონი არ მიეცეს...“

იმავე დროს გრიგოროვიჩს ატყობინებდა თავის აზრს „აღსარებაზე“.

„ამ დღეებში მივიღე ერთი ძალზე მომხიბვლელი მოსკოველი ბანოვანის ხელით გამოგზავნილი ის „აღსარება“ ტოლსტოისა, რომელიც ცენზურამ აკრძალა. უდიდესი გულისყურით წავიკითხე: შესანიშნავი რამ არის გულწრფელობით, სიმართლითა და დამარწმუნებელი ძალით. მაგრამ მთლიანად არასწორ წანამძღვრებაზე აგებული — და ბოლოს და ბოლოს ადამიანი მიჰყავს ყოველგვარი ცოცხალი ადამიანური ცხოვრების ყველაზე პირქუშ უარყოფასთან... ესეც თავისებური ნაჰილიზმია... და მაინც ტოლსტოი ითქმის თანამედროვე რუსეთის ყველაზე შესანიშნავი ადამიანია“.

რა ხშირად ვეკითხებოდი საკუთარ თავს, ისევე როგორც სხვები, ჩემის აზრით: რა იყო მიზეზი ასე ხშირად რომ ჩხუბობდნენ მამა და ტურგენევი?

ლიტერატურულ პაექრობაზე, მგონია, საერთოდ არაფერია. ტურგენევმა მაშინვე, როგორც კი მამამ პირველივე ნაბიჯები გადადგა ლიტერატურულ სარბიელზე, აღიარა მისი უდიდესი ნიჭი და არც არასოდეს უფიქრია მეტოქეობა გაეწია მისთვის. იმ ხანიდან მოკიდებული, როცა ჯერ კიდევ 1854 წელს წერდა კოლბასინს: „ღმერთმა მხოლოდ სიცოცხლე აცადოს ტოლსტოის და მე მტკიცედ მწამს, კიდევ გაგვაკვირვებს სულელას“. იგი განუწყვეტლივ ადევნებდა თვალს

მამაჩემის ლიტერატურულ მოღვაწეობას და მუდამ აღფრთოვანებული აქებდა.

„როცა ეს მაჭარი დაღვინდება, — წერს ტურგენევი 1856 წელს დრუჟინინს", ღმერთების საკადრისი სასმელი დადგება".

1857 წელს პოლონსკის წერს:

„ეს ადამიანი შორს წავა და ღრმა ნაკვალევს დატოვებს".

და ამასთან ერთად ეს ორი ადამიანი ვერასოდეს ვერ ეწყობოდნენ ერთმანეთს...

როც კითხულობ ტურგენევის წერილებს, მამამ რომ გამოუგზავნა, ხედავ, რომ მათი ნაცნობობის დასაწყისშივე მათ შორის გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, რომელთა დავიწყებას და შენელებას მუდამ ცდილობდნენ, მაგრამ რომლებიც ზოგჯერ ცოტა ხნის მერე — ისევ იჩენდა თავს, და ისევ თავიდან უნდა გაერკვიათ ურთიერთობა და შერიგებულიყვნენ.

1856 წელს ტურგენევი წერს მამას:

„თქვენი წერილი, საკმაოდ გვიან მივიღე, საყვარელო ლევ ნიკოლოზის ძევ... დავიწყებ იქიდან, რომ ფრიად მადლობელი ვარ თქვენი ცალკე იმისათვის, რომ წერილი დაწერეთ და იმისთვისაც, რომ გამომიგზავნეთ. მუდამ მეყვარებით და დავაფასებ თქვენს მეგობრობას, თუმც თვითეული ჩვენთაგანი ერთმანეთის გვერდით კიდევ დიდხანს იგრძნობს მცირე უხერხულობას და ეს ალბათ ჩემი ბრალია, საიდან წარმოდგება ეს უხერხულობა, ახლა რომ ვახსენე, ვფიქრობ, თვითონვე გესმით. ერთადერთი ადამიანი ხართ, ვისთანაც გაუგებრობა მომხდა. და ეს სწორედ იმის გამო, რომ არ მინდოდა მხოლოდ უბრალო კეთილმეგობრული დამოკიდებულებით შემოვფარგლულიყავი, — უფრო შორს და უფრო ღრმად წასვლა მოვინდომე, მაგრამ ეს ფრთხილად ვერ გავაკეთე, შეგეხეთ, შეგაშფოთეთ და რაკი საკუთარი შეცდომა შევნიშნე, უკან დავიხიე, ეგების ვიჩქარე კიდეც. აი, რამ წარმოშვა ეს „უფსკრული" ჩვენს შორის. მაგრამ ეს უხერხულობა — მხოლოდ ფიზიკური შეგრძნებაა — მეტი არაფერი. და თუ როცა შეგხვდებით, თვალებში ისევ დაიწყებენ სტუნვას ჭინკა ბიჭები, განა იმიტომ, რომ ცუდი ადამიანი ვარ .გარწმუნებთ, სხვაგვარად ამის ახსნა არ შეიძლება. მხოლოდ აქვე დავსძენ, რომ გაცილებით ხნიერი ვარ თქვენზე, სხვა გზით მოვდიოდი...

გარდა საკუთარი, ეგრედწოდებული ლიტერატურული ინტერესებისა, — ამაში დავარწმუნდი, შეხების წერტილი ძალზე ცოტა გვაქვს. მთელი თქვენი ცხოვრება მომავლისაკენ მიისწრაფის, მთელი ჩემი ცხოვრება კი წარსულზეა დაფუძნებული... შეუძლებელია თქვენ გამოგყვეთ, ვერც თქვენ გამომყვებით — ესეც შეუძლებელია. მეტისმეტად დაშორებული ხართ ჩემგან და ამას გარდა, თვითონაც ძალზე მყარად დგეხართ საკუთარ ფეხზე, რომ სხვისი მიმდევარი გახდეთ. შემიძლია დაგარწმუნოთ, არასოდეს მიფიქრია, რომ თქვენ ბოროტი ხართ, არასოდეს შემპარვია ეჭვი რომ ლიტერატურული შური გამოძრავებთ. მე თქვენ (მაპატიეთ ამ გამოთქმისათვის) გაბრალებთ ბევრ რასმე უაზრობას, მაგრამ არასოდეს ცუდი არაფერი მიფიქრია. თქვენ კი თავად

მეტისმეტად შორსმჭვრეტელი ბრძანდებით, რომ არ იცოდეთ, თუ ჩვენ ორში რომელიმეს უნდა შურდეს მეორესი, — ყოველ შემთხვევაში მე არა...

მომდევნო წელს ტურგენევი მამას წერილს უგზავნის, რომელიც ჩემის აზრით მამაჩემისა და ტურგენევის ურთიერთობის გასაღებს წარმოადგენს.

„...მწერთ, რომ ფრიად კმაყოფილი ბრძანდებით, რომ არ დაუჯერეთ ჩემს რჩევას და არ გახდით მხოლოდ ლიტერატორი. არ გეკამათებით, ეგების მართალიც ხართ, მაგრამ მე, ცოდვილი ადამიანი, რამდენსაც არ ვიმტვრევ თავს, ვერაფრით ვერ მომიფიქრებია, ვინა ხართ თქვენ, თუ არა ლიტერატორი? ოფიცერი? მემამულე? ფილოსოფოსი? ახალი რელიგიური მოძღვრების ფუძემდებელი? ჩინოვნიკი? საქმოსანი? გეთაყვათ, გამომიყვანეთ ამ მძიმე მდგომარეობიდან და მითხარით რომელია უფრო მართალი ამ ჩემი ვარაუდიდან? ვხუმრობ, სინამდვილეში კი მსურს, რომ, ბოლოს და ბოლოს, გასცეროთ ბოლომდე გაშლილი იალქნებით“...

ასე მგონია, ტურგენევი, როგორც მხატვარი, მამაჩემში ხედავდა მხოლოდ მის უზარმაზარ ლიტერატურულ ტალანტს და არ უნდოდა ელიარებინა, რომ ტოლსტოის ჰქონდა რაიმე უფლება სხვა რომ ყოფილიყო, გარდა მხატვარი-ლიტერატორისა. მამაჩემის ყოველგვარი სხვა მოღვაწეობა თითქოს გულს ტკენდა ტურგენევს, და ბრაზობდა მამაჩემზე, რომ მამა ყურად არ იღებდა მის რჩევა-დარიგებას და მარტო ლიტერატურულ მოღვაწეობას არ მისდევდა. ტურგენევი მამაჩემზე ბევრად უფროსი იყო, უშიშრად ალიარა, ნიჭიერებით მასზე დაბლა რომ დადგა და მხოლოდ ერთს მოითხოვდა მამისგან, რათა მას მთელი თავისი სასიცოცხლო ძალა შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის მიეძღვნა.

მამას კი მისი დიდსულოვნებისა და მორჩილებისა გაგონებაც არ სურდა. ყურს არ უგდებდა და იმ გზას მიჰყვებოდა, საითკენაც მიუთითებდა საკუთარი სულიერი მოთხოვნილებები. თვითონ ტურგენევი გემოვნებითა და სასიათით საკსებით საწინააღმდეგო ბუნებისა გახლდათ, ვიდრე მამაჩემი. რადგანაც რამდენადაც ბრძოლა საერთოდ შთააგონებდა და ძალას აძლევდა მამას, იმდენადვე უცხო იყო ეს ტურგენევისათვის.

ვფიქრობ, ის ამბავი, რომ ტურგენევი ასე ხალისით მიემგზავრებოდა რუსეთიდან და საზღვარგარეთ ცხოვრობდა, დამყარებული იყო სწორედ იმაზე, რომ ტურგენევს ბრძოლის ეშინოდა. მოვლენები, რომლებიც იმ ხანებში ვითარდებოდა რუსეთში, ტურგენევს არ მოსწონდა. ამბობდა, რომ რუსეთში მას მტერი ჰყავს — ბატონყმობა, მაგრამ რაკი ბრძოლის სურვილი არა ჰქონდა ვფიქრობ, გაუცნობიერებლად, არჩევდა გაშორებოდა ყოველივე იმას, რაც მას აწამებდა, სტანჯავდა, ვინემ ბრძოლაში ჩაბმულიყო. შორიდან უთვალთვალებდა რა ხდებოდა რუსეთში, და ემზადებოდა რუსეთის ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ მრავალი მისი გეგმა გეგმადვე რჩებოდა.

„...გადავწყვიტე მთელი მომავალი წელიწადი მივუძღვნა გლეხებთან საბოლოო გაყოფის საქმეს, — წერს ივან სერგეის ძე მამას 1857 წლის ნოემბერში — თუნდაც ყველაფერს მათ მივცემ, „ბატონი“ კი

ალარ ვიქნები. ეს სავსებით მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, და სოფლიდან არსად წავალ, ვიდრე ყოველივეს არ დავასრულებ"...

მომდევნო წელიწადს 17/29 იანვარს ტურგენევი რომიდან ატყობინებს მამას:

„აღსრულდა თითქმის, რასაც დიდი ხანია ველოდებოდი — და ბედნიერი ვარ ამ დროს რომ მოვესწარი... აღარაფერს გეტყვით იმ საკითხზე, რამაც ალბათ, უკვე ყურები გამოგიყრიათ, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ეს საქმე იმაზე უფრო მეტად გვაინტერესებს, ვიდრე თქვენ ყველას, რომლებიც მანდ იმყოფებით, ყოველ ცნობას ხარბად ვეწაფებით, ლაპარაკსა და კამათს დასასრული არა აქვს. მე კიდევ მემორიალი დავწერე," გავგზავნე უკვე (ეს ჩვენს შორის დარჩეს. საქმე ეხება ჟურნალის დაარსებას, მხოლოდ გლეხთა საკითხის დამუშავებას რომ მიეძღვნება) ერთი სიტყვით ყველანი ციბრუტივით დავტრიალდით. წერილი გავუგზავნე ჩვენს წინამძღოლს"...

რამდენადაც ვიცი; ვერც ერთი განზრახვა ვერ განახორციელა. ხელოვნება მთლიანად ნთქავდა მის ცხოვრებას და სხვა ყველაფერი მისთვის მხოლოდ უცხაური საქმე იყო.

მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემისათვის ნიშანდობლივი ეთიკური მისწრაფება, ვფიქრობ საკმაოდ უცხო იყო ტურგენევისათვის, იგი მაინც ძალზე აფასებდა მამასთან ურთიერთობას და მუდამ ცდილობდა კეთილგანწყობილება შეენარჩუნებინა.

„არ ეგების მიწერ-მოწერა შევაჩეროთ, — წერდა იგი 1856 წელს, — გვითხარით, რას აკეთებთ? იქნებ ისევ გაგიტაცათ დათვების განადგურების საქმემ, როგორც ოდესღაც მეურნეობამ, მეტყევეობამ გაგიტაცათ და ა. შ.?

1856 წლის მარტში ტურგენევი წერს:

„ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, გეტყვით, საყვარელო ტოლსტოი, რომ თქვენმა წერილმა ძალზე გამახარა. წერილმა მაგრძნობინა, რომ დასრულდა შრუდი თუ არა გულცივი დამოკიდებულება მაინც, ჩვენს შორის რომ სუფევდა. განვლილ გაუგებრობებს წერტილი დაესვა".

მაგრამ როგორც კი მათ შორის მეგობრული ურთიერთობა მყარდება, ტურგენევი მაშინვე უბრუნდება თავის შეგონებებს. ზემოთ მოტანილი წერილის შემდგომ, აი რას სწერს მამას:

„...გამახარა იმის გაგებამ, რომ ხელოვნებას უბრუნდებით: თვითეული ადამიანი ისე შეუქმნია ღმერთს, რომ მან ერთი საქმე უნდა აკეთოს. და სპეციალობა ყოველი ცოცხალი ორგანიზმის ნიშანია. თქვენი სპეციალობა კი უწინარეს ხელოვნებაა, ეს რასაკვირველია, არ გამორიცხავს, რომ შეგიძლიათ პედაგოგობასაც მისდიოთ, განსაკუთრებით ისეთი პირველყოფილი სახის პედაგოგებს, როგორიც შესაძლებელია და სჭირდება ჩვენს რუსეთს".

და ბოლოს, ლამის სიკვდილის წინა ღღით, ფანქრით წერს მამას თავის ბოლო წერილს, ძალა არ შესწევს ხელი მოაწეროს სისუსტის გამო და ხელმოწერის ნაცვლად ვერც ამთავრებს სიტყვას „დაეღალე"... სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე უგზავნის მამას წერილს,

რათა უთხრას, რაოდენ მოხარული იყო, რომ წილად ხვდა ყოფილიყო მისი თანამედროვე და რათა გააგებინოს თავისი უკანასკნელი გულწრფელი თხოვნა. „ჩემო მეგობარო დაუბრუნდით ლიტერატურულ მოღვაწეობას — თხოვს იგი და ისევ იმეორებს: — „ჩემო მეგობარო, რუსეთის მიწაწყლის დიდი ძწერალო, ყურად იღეთ ჩემი თხოვნა“...

მამას, რამდენადაც ვიცი, არ უპასუხია ამ წერილზე. [illegible] ტურგენევი აღარ იყო ცოცხალი...

ნიკოლაი ნიკოლაის ძე

პირველად ნ. ნ. გე მოსკოვში ვნახე, ჩვენს სახლში, 1882 წელს.

მაშინ ის-ის იყო თვრამეტი წელი შემისრულდა. მახსოვს საციგურაოდან დავბრუნდი, ციგურები ხელში მეჭირა, მამის კაბინეტისაკენ გავემართე და რომელიღაც შინაურმა მითხრა, მასთან მხატვარი გე არისო. მითხრეს, რომ იგი საგანგებოდ მამის გასაცნობად ჩამოვიდა თავისი მამულიდან, ჩერნიგოვის გუბერნიიდან.

მამამ წარმადგინა ნიკოლაი ნიკოლაის ძესთან, რომელიც ალერსიანად მომესალმა და მამას მიუბრუნდა:

— თქვენ იმდენი რამ გააკეთეთ ჩემთვის და ისე მიყვარხართ, სანაცვლოდ მეც მინდა რაიმე გაგიკეთოთ, რაც ჩემს ძალ-ღონეს არ აღემატება, აი, შეც დავხატავ თქვენს ქალიშვილს.

თავით ჩემზე მიანიშნა. შემდეგ ორი-სამი შეკითხვა მომცა და მაშინვე მისდამი ნდობა და სიახლოვე ვიგრძენი.

მაშინ ორმოცდათერთმეტი წლისა იყო. უკვე თითქმის მთლად გამელოტებული, საფეთქლები გასჭაღარავებოდა, მაგრამ თვალები ახალგაზრდულად უბრწყინავდა.

იმ ხანებში მხოლოდ ის ვიცოდი, რომ გე დიდი მხატვარი იყო, აკადემიაში აღზრდილი და თავისი ნახატისათვის „საიდუმლო სერობა“ სახელმწიფო ხარჯზე იტალიაში გაგზავნეს. ვიცოდი, რომ ის იყო ყველაზე უფრო დიდი მოღვაწე და დამაარსებელი „მოძრავი გამოფენების“. და იმავე წლის გაზაფხულზე, როცა გავიცანი, სრულიად რუსეთის გამოფენაზე ვნახე“ „საიდუმლო სერობა“ და მეორე ცნობილი სურათი „პეტრე პირველი და მეფისწული ალექსეი“. ორივე ნახატმა ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, ამიტომ გეს გაცნობა ჩემთვის ფრიად საგულისხმო ამბავი იყო.

მისმა სურვილმა დავეხატე ფრიად მაამა, მაგრამ მამაჩემმა სთხოვა დედაჩემის სურათი დაეხატა.

დაუხანებლად, იმავე თუ მეორე დღეს, დაიწყო სეანსები.

ნიკოლაი ნიკოლაის ძესთან ერთად ჩამოვიდა მისი მეუღლე ანა პეტრეს ასული. ტანდაბალი, ქერაკულულებიანი მანდილოსანი, ვინაც ძალზე გაბედული და შეუპოვარი იყო, როცა რაიმეს ამტკიცებდა ამიტომ ქმარი ხუმრობით „პროკურორს“ ეძახდა, თავისი ქმრის მსგავსად ანა პეტრეს ასულმაც ძალზე სწრაფად გამონახა ყველასთან საერთო ენა.

ანა პეტრეს ასული მუდამ ესწრებოდა ქმრის მუშაობას და ისიც ხშირად ეკითხებოდა ხოლმე რჩევას.

— აბა, ანუკა, ეტყოდა ქმარი, — მოდი ერთი ნახე, რა ვერ გავაკეთე კარგად.

ანა პეტრეს ასული დაჯდებოდა მის ადგილას, შეხედავდა ვერ პორტრეტს, ჰერე დედაჩემს და თავისი მშვიდი, მაგრამ ... ენა ეტყოდა შენიშვნებს. თითქმის ყოველთვის ეთანხმებოდა ნიკოლაი ნიკოლაის ძე და მაშინვე შეასწორებდა ნახატს.

უცხოთაგან შენიშვნების მიცემის განსაკუთრებული უფლება ჰქონდა ჩემს უფროს ძმას, იმხანად სტუდენტს. ყოველდღე გამოძებნიდა ხოლმე რაიმეს გასაკრიტიკებელს და გეც მორჩილად უსმენდა. ხან ეტყოდა, დედაჩემი სარგაფაყლაპულივით ზისო, ხან მეტისმეტად ახალგაზრდად გამოიყურებაო.

ნიკოლაი ნიკოლაის ძე სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა, უყვიროდა: „ბარბაროსო! ბოროტო!" მაგრამ მაინც უცვლიდა პოზას და პირისახეზე ნაოჭებს უმატებდა.

ბოლოს ნახატი თითქმის მზად იყო. დედაჩემი სავარძელში ზის მაქმანებიანი ხავერდის კაბა აცვია, მაგრამ ერთ დილას ნიკოლაი ნიკოლაის ძე ყავის დასალევად შემოვიდა სასადილოში და გამოგვიცხადა, პორტრეტი არაფრად არ ვარგა და უნდა გავანადგურო.

— არა, ეს შეუძლებელია, — ამბობდა იგი, — ზის ქალბატონი ხავერდის კაბაში გამოწყობილი, და მარტო ის გრძნობა, რომ ამ ქალბატონს 40 ათასი მანეთი უდევს ჯიბეში. უნდა დახატო ქალი, დედა. ეს კი რასა ჰგავს, უმსგავსოებაა და მეტი არაფერი.

გვიამბო, წინადღით დასაძინებლად დავწექი და ჩვეულებისამებრ ძილის წინ სახარება ავიღე წასაკითხად, მაგრამ ვერ წავიკითხე, რადგან პორტრეტზე ფიქრი მაწვალებდაო. და მხოლოდ მაშინ დავმშვიდდი, როცა გადავწყვიტე, რაც გავაკეთე იმას გავანადგურებ და მუშაობას თავიდან დავიწყებ-მეთქი.

ამგვარად ის პორტრეტი გაანადგურა და მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დახატა ახალი. სურათზე გამოხატულია დედაჩემი შავი მოსასხამით, დგას და ხელში უჭირავს ჩემი უმცროსი და საშა, რომელიც მაშინ სამი წლისა იყო.

2

სეანსების დროს გე ბევრს გვესაუბრებოდა ხოლმე თვითეულს.

სხვათა შორის გვიამბო, თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე მამაჩემის სტატიამ მოსკოვში ჩატარებული აღწერის საკითხზე. და რომ ამ სტატიამ სრულიად შეცვალა მისი მსოფლმხედველობა და წარმართობიდან ქრისტიანად მოაქცია.

სიცოცხლის ბოლომდე იგონებდა ამ ამბავს და შეინარჩუნა გულთბილი მადლიერების გრძნობა, რასაც ხშირად ეუბნებოდა ხოლმე მამას, უფრო ხშირად კი ჩვენ, მის შვილებს, რაკი ეშინოდა, საკუთარი გრძნობების მალიმალ გამომჟღავნებით უსიამოვნება არ მიეყენებინა მამაჩემისათვის.

ძნელი სათქმელია, რა ზემოქმედება მოახდინა მამამ, გეს სულიერ-ზნეობრივ გარდაქმნის საქმეში. მეტისმეტად ახალგაზრდა გახლდით, მათი პირველი ნაცნობობის ჟამს, რათა ნათელი წარმოდგენა შეგქმნოდა ყოველივე ამაზე. ამჟამად კი ასე მგონია, რომ გესა და მამაჩემის სულიერი გარდაქმნის გზებზე თავდაპირველად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიემართებოდა, მაგრამ ერთი მიმართულებით. ორივენი მხატვრები იყვნენ, ორივეს წარსულში უკვე შექმნილი ჰქონდათ დიდი ნაწარმოებები, რომელთაც მათ, როგორც მხატვრებს, დიდება მოუტანეს, და ორივემ, მოყირჭდათ რა ეს დიდება, დაინახეს, რომ იგი ვერ შესძენდა აზრს სიცოცხლესა და ბედნიერებას. მამაჩემმა რამდენიმე წელი მტანჯველურ ძიებასა და იჭვებში გაატარა. რამდენადაც ვიცი, გესაც იგივე სჭირდა. სიცოცხლის რამდენიმე წელი ისე გავიდა, რომ არც ერთი ნახატი არ შეუქმნია, ცხოვრობდა თავისთვის მალოროსიის ხუტორში და ნაღვლობდა ამ ცხოვრებაში საქმე და მიზანი რომ არა ჰქონდა.

იგი გზის გასაყართან იდგა და როგორც კი დაინახა მამის სტატიების მიხედვით რომ მამაც იმავე შინაგან ჭიდილს განიცდიდა, რასაც თვითონ, შეიცნო საკუთარი თავი და გახარებული და აღტაცებული მივარდა მამას იმ იმედით, რომ მამა დაეხმარებოდა თავი დაეღწია წყვდიადისათვის, ამ ბოლო სანებში რომ დაეუფლა. მის სულს. ეს ასეც მოხდა. და თუმცა დროდადრო გაღიზიანდებოდა ხოლმე ან მარტოობის გრძნობა მოიცავდა ხოლმე ადამიანებში მყოფს, რომლებიც არ იზიარებდნენ მის შეხედულებებს, მაინც მუდამ ჰყოფნიდა ძალა დაეთრგუნა საკუთარი თავი და ისევ მშვიდად და მხიარულად ყოფილიყო.

1886 წელს მწერდა: „როცა აღმოვაჩინე სიცოცხლის აზრი, უკან რომ მოვიხედე შემეზარა, სად ვიყავი, ახლა ყოველ წუთს, ყოველ წამს სულ უფრო და უფრო მატულობს სინათლე, შუქი, ურომლისოდაც უკვე აღარ შემიძლია ცხოვრება, და ეს ისეთი ბედნიერებაა, რომ ამ ბედნიერების გარეშე ვერ ვიქნებოდი ასე მშვიდი, გონიერი, თავსაც გავიტანჯავდი და რაც ყველაზე უარესია სხვებსაც გავსტანჯავდი...“

სხვა წერილში იგი მწერს: „ჩემი გაღიზიანება, გამოწვეული ცხოვრების დისონანსისაგან, ჩემსა თუ ჩემს ირგვლივ მყოფთა ცხოვრებასა და უწმინდეს ჭეშმარიტებას შორის, ცხრება. უფრო მშვიდი და უკეთესი ვხდები, უფრო მესმის სახარება და უდიდეს სიხარულს განვიცდი, რაკი მისით ვსულდგმულობ...“

ხშირად ამბობდა, თუმცა ზოგჯერ სრულიად მარტო აღმოვჩნდები ჩემი შეხედულებებით, მაინც ვგრძნობდი, რომ ის, რაიც მისი სიტყვებით მისთვის სიცოცხლეზე ძვირფასი იყო, მიიზიდავდა მისკენ ადამიანებს, განსაკუთრებით კი უბრალო და დაჩაგრულ ხალხს. „ჭეშმარიტება ყველაზე ღრმა გაგებით არა მხოლოდ ესმით სუფთა გულის უბრალო ადამიანებს, — წერდა იგი ერთ-ერთ თავის წერილში, — არამედ საფუძვლად უდევს მათ ცხოვრებას“.

მას შემდეგ, რაც გე და მამაჩემი დაუახლოვდნენ ერთმანეთს, შეიძლება ითქვას, რომ მათი შეხედულებები მუდამ თანხვდებოდნენ და ბევრ რამეში მათი გზებიც ერთად იყრებოდა.

„ვხედავ, ჩემო ძვირფასო, რაოდენ მტკიცედ მიდიხართ, რაოდენ კარგად, წერდა იგი მამაჩემს 1884 წლის მაისში, — და მეც თქვენ გამოგყვებით უკან, თუმცა კი დამიჩეჩქვავენ ცხვირს, მაგრამ მაინც ფორთხვით წამოვალ".

სხვა წერილებში იგი წერს: „ვცხოვრობთ ერთი რწმენით და ერთი გონებით".

„ვიმედოვნებ, საყვარელო მეგობარო, რომ ცურვა-ცურვით მოვაღწევ იმ ადგილამდე, სადაც თქვენ დგეხართ, არც მიგატოვებთ, არც ჩამოგრჩებით და მწამს, რომ ღმერთი შემეწევა".

„თქვენ, ძვირფასო, ნათელო ლევ ნიკოლოზის ძევ, თვითონაც არ უწყით, რამდენი სინათლე შეგაქვთ იქ, სადაც კეთილი ნიადაგია. რადგან ნათლად, ცხადად და უბრალოდ კეთდება ყოველივე. ღვთის ნება-სურვილის აღსრულება უფრო ადვილია, ვინემ რელსებზე გორვა (მდინარეების მიყოლა)".

რაკი ერთი და იგივე ამოსავალი წერტილი ჰქონდათ, ანუ ქრისტეს მოძღვრების რწმენა, გეგა და მამაჩემის შეხედულებები ხშირად ერთგვარად ვლინდებოდა მათ ცხოვრებაში.

მამაჩემივით გეც ვეგეტარიანელი შეიქმნა და სიკვდილამდე ცდილობდა ხორცი არ ეჭამა, მამაჩემივით, გეც ცდილობდა, რაც შეიძლებოდა ნაკლებ ესარგებლა დაქირავებული მსახურებით და თვითონ იკეთებდა, რის გაკეთების ძალიც შესწევდა. გეც აღიარებდა ფიზიკური შრომის აუცილებლობას და გარდა ამისა, რომ თავის სუტორში მინდვრად, ბაღში მუშაობდა, ფუტკრებს უვლიდა და ა. შ. მან თავის ხელობად აირჩია ღუმელების აწყობა. იგი კარგად აკეთებდა ამ საქმეს და უყვარდა კიდეც. ეფიქრობ რომ თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში არა ერთი ათეული ღუმელი ააწყო თავისი შინაურებისათვის და აგრეთვე სხვა გლეხებისთვისაც. ერთხელ მომწერა: „ამ კვირაში ხელოვნებისათვის ხელი არ მიხლია, — ღუმელს ვაკეთებდი და არ დამიმთავრებია. მძიმე საქმეა და ეს მახარებს. გრძნობ, რომ ყველა მშრომელის თანასწორი ხარ და ამას რა სჯობს. ჩვენთან, იასნაია პოლიანაში, ერთი უბედურ ქვრივ ქალს აუწყო ღუმელი. მამაჩემმა, ჩემმა დამ, მე და იმსანად ჩვენთან მცხოვრებმა მეგობრებმა განვიხრახეთ ერთი ქვრივოხერი დედაკაცისათვის, ცეცხლგამძლე ქოხი აგვეშენებინა თიხისა და ჩალისაგან. გე გამოვიძახეთ ღუმელის გასაკეთებლად, მახსოვს რა მხიარულად და მხნედ მუშაობდა, უტყაპუნებდა სველ თიხას და მალლა მდგარი ღუმელზე ათასნაირ სუმრობებს გადმოგძახოდა.

უბრალო ხალხს გე არა მარტო სიყვარულით, არამედ პატივისცემითაც ეპყრობოდა. როცა რომელიმე ნახატს დაასრულებდა, ყოველთვის დაუძახებდა მეზობელს გლეხებს, უჩვენებდა თავის ნამუშევარს და აურადღებით ისმენდა მათ აზრს.

„ჩემთვის მათი გამოხმაურება მუდამ ჯილდოა, წვალების საფასურია, წერდა იგი მამას, — და ვინ მოიგონა, რომ გლეხები და გლეხის ქალები და საერთოდ უბრალო ხალხი, — უხეში და უზრდელი არისო? ეს მხოლოდ სიცრუეა, ვეჭვობ რომ ბოროტი სიცრუეა. არსად და არა-

სოდეს შევხვედრივარ ესოდენ დელიკატურობასა და სიფაქიზეს. ეს სიმართლეა, რომ უნდა დაიმსახურო, რათა ადამიანურად მოგეპყრონ, რომ ბატონში ადამიანი დაინახონ, მაგრამ როცა დაინახავენ მარტო დელიკატურები კი არ არიან, არამედ ნაზნიც".

გემ და მამაჩემმა ერთდროულად შეწყვიტეს თამბაქოს მოწევა. ამ მრავალწლიან ჩვევაზე გამარჯვებამ გე აღაფრთოვანა. ამბობდა, როცა დავიღლებოდი, დასასვენებლად პაპიროსს მოვკიდებდი ხელსო, ახლა კი, როცა წვეს თავი დაანება, მხოლოდ სხვა საქმიანობაზე გადადიოდა. „ისვენებ, მაგრამ მაინც ცხოვრობ, წერდა ივი მამას, ადრე კვამლში ვახრჩობდი ყოველგვარ ცოცხალ აზრს; და ეს ყველაფერი თქვენი დამსახურებაა. გახსოვთ კია, როგორ ვხვნეშოდით პატარა, ნამცეცა კაბინეტში მახდომნი..."

მამაჩემივით გეც ერთგული დარჩა თავისი სულიერი ცხოვრების გამოვლენის იმ ფორმისა, როგორც დაიწყო. მის მთავარ საქმიანობად ხელოვნება დარჩა. ხელოვნება ახლა მისთვის გადაიქცა მხოლოდ სახარების სიუჟეტების გამოსახატავ ფორმად და მხოლოდ იმ აზრით შეიცვალა სახე, რომ გე ნაკლები სიმკაცრით ეკიდებოდა ფორმას და მთელ თავის ძალ-ღონეს თავისი ნახატების შინაარსს ახმარდა.

მას მუდამ უყვარდა ქრისტე. ამის საბუთია მისი პირველი ნახატი „საიდუმლო სერობა" მაგრამ ადრე, თუ მის სიტყვებს დავიმოწმებთ მას უყვარდა და ესმოდა ქრისტე მხოლოდ გულით, ბოლოს კი გონებით შეიცნო.

ქრისტეს პიროვნება მგზნებარედ და ნაზად უყვარდა, როგორც თავისი ახლობელი ადამიანი, მთელი სულითა და გულით საყვარელი. ხშირად, ცხარე კამათის დროს ნიკოლაი ნიკოლაის ძე ამოიღებდა ჯიბიდან სახარებას, რომელსაც მუდამ თან ატარებდა და საუბრისათვის სათანადო ადგილს წაიკითხავდა.

„ამ წიგნში ყველაფერია, რაც ადამიანს სჭირდება, — ამბობდა ივი, სახარებას რომ კითხულობდა, ხშირად მსმენელს უყურებდა და ისე ამბობდა, წიგნში არც იხედებოდა. პირისახე ისეთი შინაგანი სიხარულით ჰქონდა გაცისკროვნებული, რომ ცხადად ჩანდა რაოდენ ბედნიერი და ახლობელი იყო მისთვის წაკითხული სიტყვები. თითქოს ზეპირად იცოდა სახარება, მაგრამ მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველთვის როცა კითხულობდა, ისევ და ისევ ჭეშმარიტ სულიერ ტკბობას ეძლეოდა. ამბობდა, სახარებაში არა მარტო ყველაფერი მესმის, არამედ როცა ვკითხულობ ისეთი შეგრძნება მაქვს თითქოს საკუთარ სულში ვკითხულობდე და შემიძლია უფრო და უფრო აემაღლდე ღმერთისკენ, შევერწყა მას.

3

გეს განსხვავებული თვისება იყო ხალხის, ადამიანების სიყვარული. ყოველ ადამიანში აღმოაჩენდა ხოლმე სიკარგეს. „უმშვენიერესი ჭაბუკია", „შეუდარებელი ადამიანია", „უმშვენიერესი ადამიანია" — ეს ჩვეულებრივი ეპითეტი იყო, ნიკოლაი ნიკოლაის ძე რომ

იყენებდა საუბარში. როცა მუშაობდა და ვინმე მივიდოდა მასთან რჩევისა თუ თხოვნით, მაშინვე მიანებებდა თავის სამუშაოს და მთელ ყურადღებას მიმსვლელს უთმობდა, რა მოსაწყენიც და უინტერესო ადამიანი არ უნდა ყოფილიყო.

„ადამიანი ტილოზე უფრო ძვირფასია", მითხრა ერთხელ, როცა გული დამწყდა ვილაცამ საქმეს რომ მოწყვიტა.

გეს საოცარი ნიჭი ჰქონდა ადამიანებზე ზემოქმედება მოეხდინა, ეიძულებინა მოესმინათ და ეპოვა სულიერი სიახლოვის ის წერტილები, სადაც უთანხმოება არ შეიძლებოდა წარმოშობილიყო. იგი მშვენივრად ლაპარაკობდა და თავის სიტყვებში მუდამ გულსა და სულს აქსოვდა. ზოგიერთს აკვირვებდა, ზოგჯერ კი აღიზიანებდა კიდეც, რომ გეს შეეძლო პირველი შეხვედრისთანავე ადამიანებთან ახლო ურთიერთობა დაემყარებინა. ისეთი უბრალო და კეთილი იყო, მამაჩემის სიტყვებს თუ დავიმოწმებ, ამგვარ დამოკიდებულებას შეუჩვეველთ არ უყვარდათ მისი გულწრფელობა და ზოგჯერ ეგონათ, ამ სიკეთის მიღმა რაღაც ეშმაკობა იმალებაო.

ხშირად მისალმებისას კოცნიდა ხალხს, შორიდან რომ იცნობდა იმათაც კი. მახსოვს, ერთხელ ჩემთან ერთად შემოვიდა „პოსრედნიკის" რედაქციაში ჩვენს მეგობრებთან, სადაც წარუდგინეს ერთი ჭაბუკი, ახლახან რომ მიეღოთ რედაქციაში. ნიკოლაი ნიკოლაის ძე მიესალმა და საკოცნელად წაიწია, ახალგაზრდამ გაკვირვებითა და უნდოდ შეხედა, ჯერ უკან დაიხია, მაგრამ როგორც კი დაინახა ნიკოლაი ნიკოლაის ძის სიკეთითა და ალერსით სავსე პირისახე გახარებულმა თვითონაც აკოცა.

ფულს გე სავსებით გულგრილად უცქეროდა. როცა მისგან ყიდულობდნენ სურათს ანდა პორტრეტს, უმთავრესად იმიტომ უხაროდა, რომ ეს მისი ნამუშევრის აღიარება და დაფასება იყო.

რადგან შინ მკაცრი ვეგეტარიანელი იყო, თავისთვის თვითონ იმზადებდა კერძს და თითქმის მათხოვარივით იცვამდა. ამიტომ ბევრი ფული არ სჭირდებოდა. რამდენჯერ მე და ჩემს დას ამოგვიკემსავს მისი ტანსაცმელი, დედაჩემს კი შეუკერავს წყვილი მოკლე შარვალი (პანტალონი), რომლითაც ძალიან ამაყობდა. მე შალის პერანგი მოვუქსოვე, სიკვდილამდე ჟილეტის მაგიერ რომ აცარებდა. უხეში ტილოს პერანგს იცვამდა გადაკეცილი საყელო რომ ჰქონდა და ძველ გაქექილ პიჯაკს.

ასე ჩაცმული დადიოდა მოსკოვსა და პეტერბურგში და არასდროს არავის გულისთვის არ იცვლიდა, თუმცა სხვადასხვაგვარ საზოგადოებაში უხდებოდა ყოფნა.

4

გე თავისი სიცოცხლის უმეტეს ნაწილს სოფელში აცარებდა. მაგრამ ზამთრის მიწურულს უსათუოდ მიემგზავრებოდა პეტერბურგს, „მოძრავი გამოფენის" გახსნაზე. არასოდეს აუვლია ჩვენთვის გვერდი, ყოველთვის შემოგვივლიდა-ხოლმე, სადაც არ უნდა ვყოფილიყავით

მოსკოვსა თუ იასნაია პოლიანაში. ზოგჯერ ჩვენსა დიდხანს ცხოვრობდა და თანდათან ისე შევეთვისეთ, რომ ყველა ინტერესი — სიხარული თუ მწუხარება საერთო გახდა. ჩვენი ოჯახის უმცროს წევრებს მუდამ „შენობით“ ელაპარაკებოდა, ხოლო ჩვენ, უფროსებს მხოლოდ ჩვენი ნაცნობობის ბოლო წლებში მოგვმართა „შენობით“.

როცა ერთმანეთს ვცილდებოდით, წერილებს ვწერდით ხოლმე. რაც ჩვენსა ხდებოდა, მუდამ ყველაფერს ვაგებინებდით. ფეკლისტოვი აზრსა და რჩევას, და ისიც სასწრაფოდ გვიგზავნიდა პასუხს.

ერთხელ, იასნაია პოლიანაში, მაშამ განიზრახა სამი უმთავრესი სურვილი გამოეკითხა ყველასათვის. თვითონ მამამ მხოლოდ ორის მოფიქრება შეძლო: 1) უყვარდეს ყველა; 2) უყვარდეს ყველას; მახსოვს ჩემმა ძმამ მიშამ, მაშინ სულ პატარა რომ იყო, თქვა: „გამოდის, რომ მამას ერთი სურვილი ჰქონია; პირველი, მეორე კი ისედაც აქვს“, მე წერილობით შევეკითხე გეს მისი სამი მთავარი სურვილი და ასეთი პასუხი მივიღე: „სურვილს რაც შეეხება, შემიძლია გითხრა, რომ ჩემი პირველი სურვილია, რომ კარგ ადამიანებს თავიანთ ოჯახებში ჰქონდეთ ის სიხარული და სინათლე, როგორიც შეიძლება ჰქონდეს ადამიანს, ვინც ირწმუნა და შეიყვარა ქრისტე. ჩემი მეორე სურვილია, რომ საყვარელი ლევ ნიკოლაის ძე ჯანმრთელად იყოს, მესამე კი — რათა ღმერთმა მაკურთხოს დავასრულო ჩემი სამუშაო, რასაც ვაკეთებ ყველასთვის ქრისტეს ნათლის სახელით. იქნებ, რომ დავფიქრებულიყავი რამე უკეთესი მომეფიქრებინა, მაგრამ განგებ არ დავუფიქრდი, არამედ ვთქვი ის, რაც თავში მომივიდა“.

გე ხშირად ატარებდა ჩვენთან ერთად შემოდგომას, რადგან მინდვრის სამუშაოები ხუტორში მოთავდებოდა და ის კი ჯერ არ შედგომოდა სატვას. დედაჩემი ძმებთან ერთად მოსკოვს მიემგზავრებოდა, ისინი გიმნაზიებში სწავლობდნენ და იასნაია პოლიანაში ვრჩებოდით მამა, მაშა, მე და ხშირად ნიკოლაი ნიკოლაის ძე გე. ამ სანებში შინაურ საქმეთა გარდა, მხოლოდ წერილობით საქმიანობას ვეწეოდით და ნიკოლაი ნიკოლაის ძეც გვეხმარებოდა. საღამოობით მოგვქონდა ფოსტა და ყველანი ერთად ვარჩევდით. მამა წერილებს სამ ჯგუფად ანაწილებდა: წერილები, რომლებზედაც თვითონ გასცემდა პასუხს, სხვები, რომლებზედაც ჩვენ უნდა გვეპასუხნა და მესამე — უპასუხოდ დაგვეტოვებინა.

ზოგჯერ მამა თვითონ მიემგზავრებოდა ფოსტაში.

ერთხელ ცხენით წავიდა სადგურში, მე, მაშა და ნიკოლაი ნიკოლაის ძე კი შინ ვისხედით სამოვართან და ველოდით. სადგურ კოზლოვ-ზასეკამდე ნახევარი ვერსია. მამა საღამოს ცხრა საათზე წავიდა, ფოსტის მატარებელი კი თერთმეტ საათზე მოდიოდა. დარეკა თერთმეტმა საათმა, გახდა თორმეტის ნახევარი, მამა კი არ ჩანს. სამივენი საშინლად ღელავთ და ბოლოს ნიკოლაი ნიკოლაის ძემ გადაწყვიტა, წავიღ საჯინიბოში და გავიგებ ის ცხენი ხომ არ მობრუნებულა, რომლითაც მამა წავიდაო. მე და მაშა დარბაზში დავრჩით და აღელვებული ველოდით გეს დაბრუნებას. რამდენიმე წუთის შემდეგ მესმის კარის ვაღების ხმა წინ კარში ნ.ნ. ყვირის სრულიად შეცვლილი ხმით: ტანია,

ცხენი მოვიდა! რასაკვირველია, სამთავემ რაღაც საშინელება წარმოიდგინეთ, გავიქეცით საჯინიბოში და ვუბრძანეთ რაც შეიძლება სწრაფად შეეგბათ ცხენი „კატკაში“ (ასე ვეძახით ეტლს) ჩავსხედით და ის იყო უნდა გავფრენილიყავით მამის მოსაყვანად, ჩვენის აზრით სადმე გზაზე რომ ეგდო მარტო, რომ უცებ გამოჩნდა ფეხით მომავალი — ცოცხალი და უვნებელი. თურმე ცხენი მიუბამს, მაგრამ ვიღაცა მამა აადგურში მისულა, ცხენი დამფრთხალა, მომავალ მატარებელს დაუფრთხია, მიუგლეჯია თოკი და შინ გამობრუნებულა. რაღა უნდა ექნა მამას ფეხით წამოსულა, და ამიტომაც შეაგვიანდა. მახსოვს მეწყინა, მაგრამ, პირველად იმის გასაგებად რომ წავიდა, ცხენი თუ დაბრუნდაო, ჩვენს დასამშვიდებლად კი არ გამოეშურა, მაგრამ გეს შევხედე და შეშფოთდა; სიხარულისა და ბედნიერებისაგან გაბრწყინებული უყურებდა მამას. ჩანდა, რა გულმხურვალედ უყვარდა მამაჩემი და რაოდენ ბედნიერი იყო უვნებელს რომ ხედავდა.

პეტერბურგიდან მოსკოვში ჩამოდიოდა ჩვენთან. და ისევ იგივე ცხოვრება იწყებოდა. ნიკოლაო ნიკოლაის ძეს ყველგან ეპატიჟებოდნენ და ისიც ვერავის ეუბნებოდა უარს. მახსოვს, ჩემი მეგობრები მხატვრებისა და ქანდაკების სკოლიდან, სადაც რამდენიმე წლის განმავლობაში დავდიოდი, როგორ ელოდნენ გეს ჩამოსვლას, წინასწარ ამზადებდნენ სხვადასხვა საკითხს მასთან განსახილველად. ჩვეულებრივად, შეკრების ადგილად ირჩევდნენ სკოლის რომელიმე მოსწავლის ბინას, სადაც სხვა ამხანაგებიც იყრიდნენ თავს, გეს ძალიან უყვარდა ეს თავყრილობები „წარმოიდგინეთ, — მიამბობდა მე ერთი ასეთი თავყრილობის ამბავს, — პაწია ოთახი გაჭედილი ახალგაზრდობით. რადგან სკამები ცოტა ჰქონდათ, სკამზე მხოლოდ მე დამსვეს, სხვები კი ჩემს ირგვლივ იატაკზე დასხდნენ. რაზე აღარ ვსაუბრობდით და, რასაკვირველია მხატვრობაზეც. მეკითხებოდნენ, რა აზრისა ვარ მხატვრობაში პეიზაჟის მნიშვნელობაზე, და მხატვრის მიერ ფოტოგრაფის გამოყენებაზე. ოვითეულ ამ ახალგაზრდას მოტანილი ჰქონდა საკუთარი ეტიუდები და ესკიზები და რჩევას მეკითხებოდა“.

ეს ახალგაზრდა მხატვრები ყველანი, ნიკოლაი ნიკოლაის ძის აზრით, „უმშვენიერესი ჭაბუკები“ იყვნენ, და მათ ნაწარმოებებს უმეტესწილად აქებდა. განსაკუთრებით მშვენიერი შთაბეჭდილება მოუხდენია მასზე ერთ-ერთ ესკიზს, რომელზეც გამოსახული იყო პეტრე დიდი, როდესაც იგი ლედი ჰამილტონის მოკვეთილ თავს ჰკოცნიდა. „ეს შემზარავად ძლიერია, — ამბობდა იგი, — ეს ეშმაკმა უწყის, რაოდენ ძლიერია, — ამბობდა იგი, — ეს ეშმაკმა უწყის, რაოდენ ძლიერია.

ზოგჯერ გე კიევში ჩადიოდა, სადაც ასევე უამრავი ნაცნობ-მეგობარი ჰყავდა.

„ვიყავი კიევში, სადაც სტუდენტების ჯგუფმა მიმიწვია — მწერდა 1892 წლის ნოემბერში, — მოსკოვეს ჩავსულიდავი და განმემარტა მათთვის ბევრი რამ ლევ ნიკოლოზის ძის მოძღვრებიდან, და რაც მთავარია, ის, რაც იქნება არც იყო მისი. რამდენიმე საღამოს მქონდა ასეთი საუბრები, ესწრებოდა ოცდახუთამდე სტუდენტი, ახალგაზრდა მანდილოსნები, ქალიშვილები. არავის არ ეწევა პაპიროსს. სამი საათი ვე-

საუბრებოდი თემაზე, ორი საათი კი ახსნა-განმარტებას ვაძლევდი. გული ჩემი სარობდა ესოდენ ივირფასი ვითარებისაგან.

გარდა ამისა სამხატვრო სკოლაში ასამდე კაცი მელოდა. მეხოვდნენ განმემარტა მხატვრობის ინტერესები. ის ამბავი კი არ მახარებს, რომ მეძახიან, ის მახარებს, რომ ჭეშმარიტება, ესოდენ ფასეული ჩემი და ჩემი ძვირფასი მეგობრებისათვის, სულ უფრო და უფრო მეტად ეუფლება მკვირცხლი გონების ადამიანებს...

გეს უყვარს ხელოვნება, უყვარდა ყველა მისი სფერო და გამოვლინება. უყვარდა ლიტერატურა, ბევრს კითხულობდა და ხშირად გამოგზავნილ წერილებში გვიზიარებდა წაკითხულის შთაბეჭდილებას. ერთი ხანობა მე და იგი დ ანუნციომ გავიტაცა, მაგრამ ეს დროებითი გატაცება იყო. მოპასანს მუდამ აღტაცებული კითხულობდა, ძალზე აფასებდა და პირველი კლასის მწერლების გვერდით აყენებდა. მამაჩემზე ხომ სათქმელიც არაფერია. ყველაფერს, რასაც მამა წერდა, გე მამინვე, ჯერ კიდევ მელანშეუშრობელს კითხულობდა ხარბად და აღფრთოვანებით. თითქმის ყველა წერილში გვთხოვდა გავუგზავნოთ ის, რაც მამამ დაწერა. ბევრი რამ, რაც რუსეთში არ დაბეჭდილა გემ საკუთარი ხელით გადაიწერა თავისთვის. თვითონაც სცადა ძალა მწერლობაში და გერცენზე მისი მოგონებები „სევერნი ვესტნიკში“ დაიბეჭდა. აპირებდა ასევე ხელოვნებაზე დაეწერა, ანუ მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „მხატვრისა და კრიტიკის დამოკიდებულებაზე ხელოვნებასთან“, მაგრამ დრო არ ეყო.

მუსიკა ძალიან ძლიერად ზეშეექმედებდა. მახსოვს როგორ იღვრებოდა ცრემლებად როცა ფორის სიმღერას ისმენდა, დეიდაჩემის ტ. ა. კუზმინსკაიას შესრულებით, მაგრამ, რასაკვირველია, მისთვის უპირველესი მხატვრობა იყო. მაგრამ უდიდესი შთაგონებით მუშაობდა და ბოლომდე, ვიდრე ჩაფიქრებულ სურათს არ დასრულებდა, ეს შთაგონება არ უნელდებოდა. და ის-ის იყო თითქმის დამთავრებული ჰქონდა ერთი სურათი, რომ გეს უკვე, როგორც თვითონ ამბობდა „სიუჟეტების მთელი გროვა“ უტრიალებდა თავში, რომლებიც ტილოზე გადატანას ითხოვდნენ.

ვიდრე ტილოზე ხატვას დაიწყებდა, ნიკოლაი ნიკოლაის ძე ბევრს ფიქრობდა თავის ნახატზე, გვიამბობდა და გვწერდა თავის ჩანაფიქრზე, უამრავ ესკიზებს ხატავდა, და როცა მის წარმოდგენაში უკვე მზად იყო, სწრაფად, სულმოუთქმელად შეუდგებოდა ჩანაფიქრის აღსრულებას. მას უძვირფასესი თვისება ჰქონდა, რა გატაცებითაც არ უნდა ემუშავა, კრიტიკულ დამოკიდებულებას არასდროს კარგავდა. თუ ნახატი არ აკმაყოფილებდა, ისევ და ისევ თავიდან ხატავდა. ხშირად უთქვამს, თუ მხატვარს ენანება თავისი შრომა, ვერაფერს შექმნისო. ზოგიერთ თავის ნახატს, რომელიც რატომღაც არ მოსწონდა, დაუნანებლად ანადგურებდა. ასე მაგალითად სურათი „რა არის ჭეშმარიტება“, ნახატ „მოწყალეებას“ დაახატა ბევიდან. იმ ხანებში, როცა „რა არის ჭეშმარიტება?“ ჰქონდა ჩაფიქრებული მას შესაფერი ტილო არ აღმოაჩნდა. „მოწყალება“ კი კარგა ხნის დამთავრებული ჰქონდა და სახელოსნოში ეკიდა. მან უკვე გული შეაჯერა ნახატს, უკვე თვალი

შეაჩვია, გონება და გული ახალი თემით ჰქონდა სავსე. ტილოს ზომა შესაფერისი იყო დიდხანს აღარ უფიქრია და ძველ ტილოზე ახალი ნახატი შექმნა.

წერილებში ხშირად შემოგვჩიოდა, როგორ იტანჯებოდა მუშაობის დროს, მაგრამ ყოველთვის დასძენდა ხოლმე, სანაცვლოდ, როცა შევძლებ იმის გამოხატვას, რაც მსურდა, ისეთ აღტაცებასა და ტკბობას განვიცდი, რომ ყოველგვარი ტანჯვა მავიწყდებაო.

მისი აზრით კარლეილი მართალი იყო როცა ამბობდა, რომ შემოქმედება შეუცნობელია. „რამდენჯერ — ეძებ, ეძებ და მაინც თითქოს ერთ ადგილზე დგახარ, — გვწერდა ერთხელ, — და უცებ, თითქოს შუქი მიადგაო, — ყველაფერს არაჩვეულებრივად ნათლად ხედავ, თანაც (სრულიად ძალდაუტანებლად)... როცა შინაგანი ჭიდილი სულში დაცხრება, უცებ სულიდან წარმოჩინდება ნათელი სახება, რომელიც მაშინვე სავსე და უკვე მზად არის... და რა საოცარი რამ არის — ამ სახებაში მე მაინც ვჭვრეტ მთელ წრეს ჩემი დაუსრულებელი შრომისა. მაშასადამე ამაოდ არ მიტანჯნია".

იმაზე, რაც სურდა გამოეხატა თავისი სურათებით, გე ისე გატაცებით და შთაგონებით გვიამბობდა, რომ — უნდა გამოვტყდე — ნახატს როცა ვნახავდი უფრო სუსტი მეჩვენებოდა ჩემს წარმოდგენასთან შედარებით. ეგების ეს ნაწილობრივ იმის გამოც ხდებოდა, რომ ნიკოლაი ნიკოლაის ძე თავის ბოლო ნახატებში იმდენად იყო გატაცებული შინაარსით, რომ ფორმა ამ შინაარსისა, მისთვის დიდად საინტერესო არ გახლდათ, არც მნიშვნელოვანი და ამ ფორმას რამდენადმე დაუდევრად ექცეოდა. მე კი, რაკი მხატვრობას მივდევდი, ჩემდა უნებურად შესრულების სრულყოფას ვეძიებდი.

ბოლო წლების მისი რამდენიმე ნამუშევარი უცენზურად მიიჩნიეს და გამოფენიდან ჩამოხსნეს.

ეს მისთვის ფრიად გულსატკენი იყო. რამდენი შრომა გასწია, რამდენი ძალა დახარჯა, რამდენი ცრემლი დაალვარა და უცებ ამ ძიების ნაყოფის ჩვენებას უკრძალავენ! მაგრამ ივი აქაც ცდილობდა კარგი მხარე აღმოეჩინა და ხალისიან წერილებს გვიგზავნიდა.

„თქვენი წერილი სწორედ დღეს მივიღე, როცა ძალიან მჭირდებოდა, — მწერდა პარიზში, მას შემდეგ როცა გამოფენიდან ჩამოუხსნეს „რა არის ჭეშმარიტება?" — ამხანაგებთან ახლახან დავბრუნდი მეტისმეტად გულნატკენი. ჩემი თავმოყვარეობა კი არ შელახულა, არამედ ის განსაკუთრებული გრძნობა, რომელსაც განიცდი, როცა გრძნობ, და ხედავ, რომ ადამიანები — წყვდიადში არიან, წყალწაღებულებივით ხელს თვითონვე გიშლიან, რომ ამოათრიო და ამიტომაც იღრჩობიან..."

8

თავისი დიდი ტილოების გარდა, რომლებიც თითქმის ყველა სახარების სიუჟეტზე იყო შექმნილი, გემ ამავე თემაზე უამრავი ნახატი, ეტიუდი და ესკიზი შექმნა.

ერთი ხანობა მიზნად დაისახა სახარებისათვის ილუსტრაციები

ლახატა. ისინია პოლიანაში ნასწირით შესრულებული ნახატების მთელი სერია ჩამოიტანა, რომლებიც მთელ დარბაზში ჩამოჰკიდა ირგვლივ, რათა თანამიმდევრობით და მოხერხებულად გვენახა თვითეული. ზოგიერთი ნახატი საოცრად ძლიერი იყო და უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა. აღელვებული და გულათრთოლებული დაატარებდა ნიკოლაი ნიკოლაის ძე მამაჩემს ერთი ნახატიდან მეორისაკენ და მის ახსნას ჭლოდა. და მამაჩემსაც მუდამ აღაფრთოვანებდა და მოსწონდა — გეს ნაჭუშევრები, რადგან წყარო, საიდანაც გამომდინარეობდა ნიკოლაი ნიკოლაის ძის სახეები, მისთვის მახლობელი და გასაგები იყო.

ერთი ხანობა დააპირა დაეხატა შვიდი სურათი საერთო სათაურით: „ამაღლებული ქადაგება". 1886 წლის სექტემბერში მამას სწერს: „ორი დღეა ვერაფერზე ვერ ვფიქრობ, გარდა „ქადაგებისა". ვცადე შემექმნა ერთ სურათად და მხოლოდ მაშინ შევიმეცნე იმ ახალი ფორმით, უცებ რომ ნათლად დავინახე: თვითეული მცნება განსაკუთრებულად იქნება შექმნილი და თვითეულზე, ელვარებასა და სინათლეში, ქრისტეს მიერ იქნება აღსრულებული. ისეთი კარგი რამ არის გეთსიმანიის ბაღი, რომ სიხარულისაგან ავტირდი, ღმერთმა რომ ჩამაგონა".

სურათების ხატვა დაიწყო ზეთის საღებავებით ორ ტონში და პირველი გამოხატავდა: მოწაფეებითა და ხალხით გარშემორტყმული ქრისტეს ქადაგებას, ხოლო მეორე უნდა ყოფილიყო ილუსტრაცია სიტყვებისა: „ნეტარ არიან უქონელნი" (ღატაკნი, უპოვარნი, ხოლო დანარჩენი ხუთი უნდა შექმნილიყო ქრისტეს ხუთი მცნების მიხედვით.

პირველი — მათეს სახარების 5 თავი 21-26 სტრიქონი — გამოხატავდა შემდეგს: ადამიანს, ვიღრე საკურთხეველს მსხვერპლს შესწირავდეს, ახსენდება, რომ არსებობს მეორე ადამიანი, მასზე განრისხებული და პატიებას თხოვს თავის მტერს. მაგრამ ის ამაყად აქცევს ზურგს და ყურადღებას არ აქცევს მთხოვნელს. ზეცაში, კი ხილვასავით ალასრულებს ამ მცნებას ქრისტე, რომელიც ფეხებს ჰბანს იუდას.

მეორე მცნება — იმავე თავის 27-32 სტრიქონი ასეა გამოხატული: სურათის ნაწილში მუშები ცოლი და ქმარი — მოდიან და მათ შესახვედრად მოემართება მდიდარი, რომელიც შედგა და ვნებიანად უყურებს მუშის ცოლს. მეორე პლანზე პირველ ჯგუფს მისდევს სასოწარკვეთილი ქმრისაგან მიტოვებული მდიდრის ცოლი, ზეცაში, როგორც აღქმის ალსრულება ქრისტემ ზურგი აქცია სატანას, მის ცდუნებას რომ ცდილობდა. სატანას გარს ეხვეევიან ქალები და მხსნელის გვირგვინს სთავაზობენ.

მესამე მცნება — (33-37 სტრიქონი) ასე გამოისახებოდა: სურათზე: დაბლა-ეროდი, მოწყენილი წევს მეომრის წინ რომელიც ეროდიას ადასტურებს იოანე ნათლისმცემლის თავს. ზევით ქრისტე გეთსიმანის ბაღში, სიტყვებით: „და იყოს ნება შენი".

დარჩენილი ორი სურათი არ დაუხატავს, ხოლო ის სამი, რომლებიც ვახსენე, არ დაუსრულებია.

ამ ნახატებს გარდა, გემ შესანიშნავი ილუსტრაციები გააკეთა მამაჩემის მოთხრობისათვის „რა აცოცხლებთ ადამიანებს?" ცალკე ალბომში რომ გამოცა.

ჩვენთან სტუმრად ყოფნის დროს, გემ ნახშირითა და საღებავებით რამდენიმე ჩვენი მეგობრის პორტრეტი მოხაზა და მათ შორის ჩემიც. მამაჩემის მშვენიერი სურათი, ახლა ტრეტიაკოვის გალერეაში რომ ინახება, რამდენიმე სეანსში დახატა მოსკოვში ყოფნის დროს იმ ხანებში, როცა მამა თავის კაბინეტში მუშაობდა. მახსოვს როგორი კმაყოფილი იყო გე, რომ მუშაობის დროს მამას ზოგჯერ ავიწყდებოდა მისი იქ ყოფნა და ზოგჯერ ბუტბუტებდა კიდეც, საკუთარ თავს ელაპარაკებოდაო.

ერთ ზაფხულს იასნაია პოლიანაში გემ მამაჩემის ბიუსტის გამოძერწვა დაიწყო. ძალიან გაიტაცა ამ საქმეშიმ. მახსოვს, ერთხელ დილით, როცა ბიუსტი დაამთავრა და ფლიგელში შეიტანა, სადაც მეყალიბეს უნდა ჩამოესხა, გე დარბაზში იჯდა და ყავას სვამდა. უცებ მაშინვე, როგორც კი მამაჩემი შემოვიდა დარბაზში და გემ თვალი ჰკიდა მის პირისახეს, წამოვარდა ადგილიდან და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაბალ კიბეებზე მოჰკურცხლა. დავუძახე, რა დაგემართა-მეთქი, მაგრამ არც მოუხედავს ისე გარბოდა და ყვიროდა: „მეჭეჭი! მეჭეჭი!“ ცოტა ხანში ფლიგელიდან მშვიდად და სახეგაბრწყინებული დაბრუნდა: „მეჭეჭი არის!“ ზარზეიმით გამოაცხადა მან.

თურმე მამაჩემს რომ შეხედა; შეამჩნია რომ პირისახეზე მეჭეჭი ჰქონია, და რაკი აღარ ახსოვდა, გაუკეთა თუ არა როცა აქანდაკებდა, გაქანდა ფლიგელში რათა მეჭეჭი დაემატებინა, თუ ჯერ მეყალიბეს არ ექნებოდა ჩამოსხმული, მაგრამ თურმე მეჭეჭი არ დავიწყებია, და გეც დამშვიდდა.

9

ჩვენთან ნაცნობობის დროს გემ დახატა ხუთი დიდი სურათი: „რა არის ჭეშმარიტება?“ „თანამდებ არს სიკვდილისა“, „სინდისი“, „საიდუმლო სერობის შემდგომ“ და „ჯვარცმა“.

სურათში „რა არის ჭეშმარიტება?“ გეს სურდა გამოეხატა კონტრასტი ფუფუნებაში მცხოვრებ ფუქსავატ ადამიანსა, ვინაც ჭეშმარიტებას არად დაგიდევს და მეორე ადამიანს შორის, ვინც მხოლოდ ამ ჭეშმარიტებით ცოცხლობს და ვისთვისაც მთელი ცხოვრება ამ ჭეშმარიტებას უნდა ემორჩილებოდეს.

ამ ნახატმა დიდი აურზაური გამოიწვია. ჰყავდა მგზნებარე თაყვანისმცემლებიც და დაუძინებელი მტრებიც. აი, რას წერდა მამაჩემი ამ სურათზე ერთ-ერთ კერძო წერილში:

„სურათის აზრი ასეთია: ქრისტემ ღამე თავის მწვალებლებთან გაათია, სცემდნენ, ერთი უფროსისაგან მეორესთან მიჰყავდათ და ბილოს, დილით პილატეს მიჰგვარეს. პილატეს, წარჩინებულ რომაელ ჩინოვნიკს, მთელი საქმე უჩანს უმნიშვნელო არეულობად, ებრაელთა შორის რომ იჩინა თავი, არსმა საქმისა, არ შეიძლება იგი დააინტერესოს. მაგრამ ეს არეულობა უნდა აღგავოს, როგორც რომის ხელისუფალთა წარმომადგენელმა მას არ სურს გადამწყვეტი ზომების მიღება და გამოიყენოს სიკვდილით დასჯის უფლება, მაგრამ როცა გააფთრებულმა

ებრაელებმა მოითხოვეს იესოს დასჯა, იგი დააინტერესა საკითხმა. ყოველივე რამ გამოიწვიეთ? მან უსმო იესოს პრეტორიაში და მოისურვა თვითონ მისგან გაეგო, რით აღაშფოთა ასე ებრაელნი. როგორც ყოველი წარჩინებული ჩინოვნიკი, წინასწარ რომ გამოიცნობს ძიზეზს და თვითონვე ამბობს, იგი დაჟინებით იმეორებს, რომ ებრაელები იმან აღაშფოთა, რომ იესო თავის თავს იუდეველთა მეფეს უწოდებს. იგი ორჯერ შეეკითხა იესოს, თვლის თუ არა თავს მეფედ. იესო ხედავს, ყველაფერი ამის დასტურია, რომ შეუძლებელია ამ ადამიანმა გაუგოს, ხედავს, რომ იგი სულ სხვა სამყაროს ადამიანია, მაგრამ მაინც ადამიანია და იესოს არ აძლევს თავის თავს ნებას მას „ლუსკუბა" (ტაგრუელი) უწოდოს და დაუმალოს ის სინათლე, რომელიც ამ ქვეყნად მოიტანა, და მის შეკითხვაზე: არის თუ არა მეფე, რაც შეიძლება მოკლედ აცნობს თავისი მოძღვრების არსს (იოანე, 18, 37). „მე იმად დავიბადე და იმად მოვედი ამ ქვეყნად, რათა დავამოწმო ჭეშმარიტება. ყოველი, ვინც არს ჭეშმარიტებისაგან, ისმენს ლაღადისს ჩემსას".

აკრიტიკებს რა იმ წლის „მოძრავ გამოფენას" ერთ-ერთ პატარა პეტერბურგის გაზეთში, დ. მორდოვცევი წერს:

„ამ გამოფენაზე სხვა რომ არაფერი ყოფილიყო ნ. ნ. გეს ნახატის „რა არის ჭეშმარიტება?" გარდა მაშინაც კი თავისუფალი ფუნჯის შემოქმედების განვლილი წელიწადი არ შეიძლებოდა უნაყოფოდ ჩაგვეთვალა. მე სხვა ნახატებზე არას ვიტყვი. როცა ადამიანის სულს მთლიანად ავსებს რომელიმე ერთი ძლიერი შთაბეჭდილება, იგი დროებით გამოდევნის ხოლმე სხვას ყველაფერს. და მართლაც, შთაბეჭდილება, ჩემს მიერ განცდილი, როცა „რა არის ჭეშმარიტებას" ვუყურებდი, იმდენად უზარმაზარია, რომ სხვაგვარად არ ძალმიძს შევაფასო გეს ქმნილება, თუ არ როგორც უდიდესი მოვლენა არა მხოლოდ ხელოვნების სფეროში, არამედ ფილოსოფიის ისტორიის სფეროშიც. დააკვირდით შემკითხველსა და მოპასუხეს. პირველი — ეს გახლავთ გამაძღარი, გაზულუქებული რომაელი ლუკულუსის დროისა; რას წარმოადგენს მისთვის ჭეშმარიტება? როცა ამ ჩამოძენძილმა, განაწამებმა და ნაცემმა უპოვარმა, ვინც მასვე გადასცეს განსასჯელად პირში ეთხრა და ჭეშმარიტებაზე ჩამოუგდო სიტყვა, რომაელი, რომლისთვისაც უცხო არ იყო ყოველგვარი აბუჩად აგდება ჭეშმარიტებისა, მხოლოდ გამაძღარი კაცის ირონიით შეხვდა საცოდავი უპოვარის სიტყვებს ჭეშმარიტებაზე თქმულს, „რა არის ჭეშმარიტება? რა თავში ვიხლი? რას მელაპარაკები ჭეშმარიტებაზე?"

მაგრამ მოპასუხე!... არასოდეს დამავიწყდება მისი სახე, თვალების გამომეტყველება! ისინი დღემდე თან მდევენ და დარწმუნებული ვარ კიდევ დიდხანს არ მომასვენებენ, როგორც ხილვა, ერთიანად რომ აგაფორიაქებს და შეგძრავს. ასეთი სახე და ასე მეტყველი თვალები შეიძლება მხოლოდ მას ჰქონდეს, ვისზედაც მხატვარს ძალზე ბევრი უფიქრია, და რაიც მან, ჩემის აზრით, ასე ღრმად შეიგნო. გაიხსენეთ: მას, ამ მოპასუხეს, მთელ ღამეს აწამებდნენ, სტანჯავდნენ, ურტყამდნენ პირისახესა და თავში, თმებს აგლეჯდნენ, დასცინოდნენ. ნაწამებს მთელი ღამე არ დაუძინია. ბოროტად დასცინოდნენ, აბუჩად იგდებდნენ,

აფურთხებდნენ პირისახეში, სიძულვილს მიაგებდნენ. გათენების წინა ღამეს შემზარავი სასიკვდილო აგონიისაგან ძრწოდა მისი სული, ლოცულობდა, რათა არ რგებოდა ტანჯვის ფიალის დაცლა, რისთვისაც, კაცმა რომ თქვას, მოევლინა ამ ქვეყანას. განა შეიძლება იგი სხვაგვარად ეახლოს დიდ პილატეს, თუ არა ისეთი როგორიც იგი გვემ დახატა?

...და ეს ღვთისნიერი ტანჯული, ვინაც იტვირთა ათასწლოვანი დანაშაული თავისი ხორციელი საშშობლოისა, იუდეველთა და დანაშაულობანი ამაყი, ღრმად შემცოდე და გარყვნილი რომისა — დედამიწაზე თავისი ღვთაებრივი მისიის გადამწყვეტ ჟამს — ალაპარაკდა ჭეშმარიტებაზე — ნაცემი, ნაფურთხები, ჩამოფლეთილი, ფეხშიშველი, ხელზე შერჩენილი აქვს თოკის ნაგლეჯები, რომლითაც ხელები შეუკრეს, — ეს საოცარი ადამიანია, მერე მეფე რომ უწოდა თავს, და გასაგებია, როცა იმან, ვის ხელშიც იყო მისი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი, ქარაფშუტულად რომ დაჰკარგა რწმენა ადამიანის ყოველგვარი ჭეშმარიტებისა, ჰკითხა: „რა არის ჭეშმარიტებაო?“ — რა უნდა ეპასუხნა ამ ფუქსავატურ შეკითხვაზე იმას, ვინც სიკვდილზე მიდიოდა ამ ჭეშმარიტების გამო, თუ არა ისე შეეხედა შემკითხველისათვის, როგორც ამას ხედავთ ნ. ნ. გეს შესანიშნავ ტილოზე, რომელიც განცვიფრებთ თავისი შემზარავი რეალურობით? შემკითხველისათვის ეს ხომ ფუჭი შეკითხვა იყო, — იქიდანაც ჩანს, რომ პასუხს არც ელოდება, ისე მიდის. ასევე გამოხატა ჩემის აზრით, მხატვარმაც: სანახევროდ შებრუნებული, შემკითხავს სახეზე არ ეტყობა არც ყურადღება, არც მოლოდინი — იგი გულგრილია ჭეშმარიტებისადმი“...

რეცენზენტი თავის სტატიას სრულიად მოულოდნელად შეკითხვით ამთავრებს. „საინტერესოა იმის ცოდნა, ნახა თუ არა ეს ნახატი ლევ ტოლსტოიმ?“

ამ სურათმა ისე გაიტაცა ერთი ვექილი, ვინმე მ-ნი ილინი, რომ თხოვდა ნიკოლაი ნიკოლაის ძეს ნება მიეცა საზღვარგარეთ წაეღო.

გეს ძალიან გაეხარდა ეს წინადადება და მისცა სურათი ბ-ნ ილინს, რომელიც ძალიან მოეწონა. მამამ ვიღაც-ვიღაცეებს თავის ნაცნობთაგან წერილი მისწერა გეს სურათზე და სთხოვდა შესაძლო დახმარება გაეწიათ, რომ გამოფენაზე წარმატება ჰქონოდა. აი, რას წერს იგი კენანს ნიუ-იორკში.

„...ჩემი წერილის მიზანი ასეთი გახლავთ: ამ ზამთარს პეტერბურგში მოძრავ გამოფენაზე გამოჩნდა ნ. გეს ნახატი „ქრისტე პილატეს წინარე“, სათაურით „რა არის ჭეშმარიტება?“ იოანე 18, 38. იმაზე, რომ არაფერი ვთქვა, რომ სურათი დიდი მხატვრის მიერ არის შექმნილი (აკადემიკოს პროფესორის) რომელიც ბოლო თავისი ნაწარმოებებით: „საიდუმლო სერობა“, — ამ სურათმა, გარდა შესრულების ოსტატობისა, ყველას განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ძირითადი აზრის გამოხატვის სიძლიერით და საგნისადმი ახლებური და გულწრფელი დამოკიდებულებით... ამ სურათს საშინლად ესხმოდნენ თავსა იმდენად აღშფოთდნენ ყველა საეკლესიო მსახურნი და ხელისუფალნი, რომ მეფის ბრძანებით გამოფენიდან ჩამოხსნეს და ჩვენება აკრძალეს.

ამჟამად ერთმა ვექილმა ილინმა (პირადად არ ვიცნობ) გადაწყვიტა საკუთარი სახსრებისა და რისკის ფასად სურათი ამერიკაში წამოიღოს, ხოლო გუშინ მივიღე წერილი რომ სურათი უკვე გაგზავნა. ჩემი წერილის მიზანი ის გახლავთ, რომ თქვენი ყურადღება მიგაპყრო ამ ნახატს, რომელიც, ჩემის აზრით ქრისტიანული მხატვრობის ისტორიაში მთელს ეპოქას ქმნის და თუ ეს ნახატი, რაშიც თითქმის დარწმუნებული ვარ, იმავე შთაბეჭდილებას მოახდენს როგორსაც ჩემზე ახდენს, გთხოვთ დაეხმაროთ და განუმარტოთ ამერიკის საზოგადოებას მისი შინაარსი.

სურათის აზრი, ჩემი შეხედულებით, ასეთი გახლავთ: ისტორიულად იგი ასახავს იმ წუთს, როდესაც იესო, — უძილო ღამის შემდეგ, როცა გათოკილს ადგილიდან ადგილზე მიათრევდნენ, სცემდნენ, — პილატეს მიჰგვარეს. პილატე, რომაელი გუბერნატორი, ჩვენი ციმბირელი გუბერნატორების მსგავსად, რომელთაც თქვენც იცნობთ, მხოლოდ მეტროპოლიის ინტერესებით ცხოვრობს, და რაღა თქმა უნდა, ზიზღითა და რამდენადმე ბილწი თვალით უყურებს იმ ამბოხებებს, თანაც რელიგიურს, უხეში ცრუმორწმუნე ხალხისა, რომელსაც თვით მართავს. სწორედ ამ დროს საუბრობენ. (იოანე, 18, 33-38), რომელშიც კეთილ გუბერნატორს სურს იქცეს კეთილ პრინცად ანუ გულმოწყალე ხელისუფლად და დაეშვეს თავის ქვეშევრდომთა ბარბაროსულ ინტერესებამდე და როგორც ეს საპატიო გვამთ სჩვევიათ, თვითონვე წინასწარ შეიქმნა წარმოდგენა იმაზე, რაზედაც ეკითხება და თვითონვე წინასწარ ამბობს ისე, რომ პასუხიც არ აინტერესებს. შემწყალე ღიმილით ვარაუდობს, რომ ყველაფერს ამბობს: „მაშ, შენ მეფე ხარ?“ იესო ნაწამებია, და საკმარისია ერთხელ შეავლოს თვალი ნაპატივებ, თვითკმაყოფილ, ფუფუნებაში ცხოვრებისაგან გამოლენჩებულ პირისახეს, რათა იგრძნოს ის უფსკრული, მათ რომ აშორებს, და იგრძნოს, რომ შეუძლებელია ანდა საშინლად ძნელი პილატესათვის მისი მოძღვრების გაგება. მაგრამ იესოს ახსოვს, რომ პილატეც — ადამიანია და ძეა შეცდომილი, მაგრამ ძმა, და ამიტომ არა აქვს უფლება არ გადაუშალოს ის ჭეშმარიტება, რომელსაც ხალხს ასწავლის. და იესო იწყებს საუბარს (37). მაგრამ პილატე აჩერებს სიტყვა „ჭეშმარიტებაზე“. რა შეუძლია უთხრას ამ ჩამოგლეჯილმა მათხოვარმა მას რომაელი პოეტებისა და ფილოსოფოსების მეგობარსა და თანამოსაუბრეს — ჭეშმარიტებაზე? პილატეს არც აინტერესებს ბოლომდე მოისმინოს სისულელე, რა შეიძლება უთხრას ამ უგვანმა ებრაელმა, და ცოტა არც სიამოვნებს, რომ ამ მაწანწალას ჰგონია, შეუძლია ჭკუა ასწავლოს რომაელ დიდგვაროვანს. ამიტომაც სასწრაფოდ შეაწყვეტინებს სიტყვას და მიუთითებს, ჭეშმარიტების სიტყვასა და მცნებაზე ფიქრობდნენ უფრო ჭკვიანი, უფრო სწავლული და უფრო დასვეწილი გემოვნების ადამიანები, ვიდრე თვითონ და მისი ებრაელები არიან, და დიდხანია გადაწყვიტეს, რომ შეუძლებელია ცოდნა იმისა, თუ რა არის ჭეშმარიტება, რომ ჭეშმარიტება — ფუჭი სიტყვაა. და თქვა რა: „რა არის ჭეშმარიტება?“ — ქუსლებზე შემობრუნდა ეს კეთილი და თვითკმაყოფილი გუბერნატორი და წავიდა. იესოს კი ებრალება ადამიანი

და ამინებს სიცრუის ის უფსკრული, რომელიც აშორებს მასა და მისთა მსგავსთ ადამიანებს ჭეშმარიტებისაგან და ეს პირისახეზე ზედ აწერია.

ჩემის აზრით, სურათის ღირსება ის არის, რომ მართალია (რეალისტურია როგორც ახლა ამბობენ) ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით... ქრისტიანულ მხატვრობაში ეს ნახატი ეპოქას იმიტომ ქმნის, რომ ამყარებს ახალ დამოკიდებულებას ქრისტიანულ სიუჟეტებთან, როგორც ისტორიულ მოვლენებთან, როგორც მრავალს უცდია და მუდამ მარცხით დასრულებულა იმიტომ, რომ ნაპოლეონის მიერ ხელმწიფობაზე სელის აღება ანდა ელისაბედის სიკვდილი წარმოადგენენ რაღაც უფრო საპატიოს, პატივდებულ გვამთა გამოსახავენ და იმიტომ. მაგრამ ქრისტე იმ ხანებში როცა მოღვაწეობდა არათუ პატივდებული არ გახლდათ, არამედ შეუმჩნეველიც იყო და ამიტომაც მისი ცხოვრების ამსახველი ნახატები, ვერასოდეს იქნება ისტორიული ნახატი.

დამოკიდებულებამ ქრისტესადმი, როგორც ღვთისადმი, მრავალი ნახატი წარმოშვა, რომელთა უმაღლესი სრულქმნილება კარგა ხანია უკან დაგვრჩა. თანამედროვე ხელოვნებას აღარ შეუძლია ასე შეხედოს ახლა ქრისტეს. და აი ჩვენს დროში შეეცადნენ ასახონ ქრისტეს ცხოვრებისა და მოძღვრების ზნეობრივი გაგება (მცნება). გემ კი ქრისტეს ცხოვრებაში იპოვა ისეთი მომენტი, რომელიც მაშინ მნიშვნელოვანი იყო მისთვის, მისი მოძღვრებისათვის და რომელიც სწორედ ასევე მნიშვნელოვანია ახლა თვითეული ჩვენთაგანისათვის და მეორდება ყველგან, მთელ მსოფლიოში. ადამიანის ზნეობრივი, გონივრული შეგნება, ცხოვრების შეუმჩნეველ სფეროებში რომ ვლინდება, ებრძვის დახვეწილ, კეთილ და თვითკმაყოფილ ძალმომრეობას, რომელიც თრგუნავს ამ შეგნებას. და ასეთი მომენტი უამრავია და შთაბეჭდილება, წარმოქმნილი ასეთ მომენტთა ასახვისაგან, ძალზე ძლიერი და ნაყოფიერია...

თავისი მოგზაურობის დასაწყისში ნახატს დიდი წარმატება ჰქონდა და სადღაც, ვგონებ გერმანიაში, მუშათა საზოგადოებამ გადაწყვიტა გესთვის შეეკვეთა „რა არის ჭეშმარიტების?“ ასლი. მაგრამ ამერიკაში ბ-ნ ილინს არ ეყო ფული რეკლამისათვის, და ისიც, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, მრავალ ჭირვარამგამოვლილი, უნდა დაბრუნებულიყო რუსეთში. ამ მარცხმა გააბოროტა ბ-ნი ილინი და რატომღაც დაადანაშაულა ნიკოლაი ნიკოლაის ძე, რომელსაც უამრავჯერ დიდი უსიამოვნება მიაყენა და ყოველივე იმით დააგვირგვინა, რომ მის წინააღმდეგ ცილისწამებით სავსე მთელი წიგნი დაწერა.

გემ, რასაკვირველია, შეუნდო ყველაფერი და უდრტვინველად გადაიტანა როგორც ცილისწამება, ისევე მატერიალური ზარალი და დანაკარგი.

სურათი შეიძინა ტრეტიაკოვმა და გამოპფინა თავის გალერეაში, სადაც ამჟამადაც ინახება.

10

სურათში „სიკვდილის ღირსია“ გეს სურდა დაეხატა ქრისტე, რომელიც გონებაში ლოცულობს თავის მტერთა გამო და ღმერთს ევედ-

რება შენდობის ძალა მისცეს. რადგან მათ „არა იციან. რას იქმიან“. იგი კუთხეში დგას კედელზე მიყრდნობილი და წვერი ხელში უჭირავს. მის გვერდით მიდის სინედრიონი მთელი თავისი დიდებულებით. მეკვდ-ლიმთავრები ახა და კაიაფა მობრძანდებიან ზეიმურად, მსაჯულთა თანხლებით, იმ შეგნებით, რომ აღასრულოს თავისი ვალი და სასამართლომ სამართლიანი გადაწყვეტილება გამოიტანა. მხოლოდ ნიკოდე გრძნობს რაც ხდება, და სახეზე ხელებაფარებული ცის ცვალების მარცხენა კუთხეში. ვილაც ბერიკაცი, ქრისტეს გვერდით რომ ჩაუვლის, მიხრწნილ თითს მაღლა იშვერს და რაღაცას ემუქრება. მეორე პირისახეში აფურთხებს, მათ მილმა გახვნილია კარი, საიდანაც მოსჩანს სამხრეთის მუქ-ლაჟვარდისფერი ხეცა.

სურათი „სინდისი“ — ერთადერთია გეს ბოლო დროის ნამუშევართაგან, რომელზედაც ქრისტე არ არის დახატული. ამ ნახატის შინაარსს გე ასე გადმოგვცემს: „იუდა კვადაკვალ მიჰყვება ბრბოს, ქრისტე რომ მიჰყავს, მაგრამ ბრბო სწრაფად მიდის. მოწაფეები — იოანე და პეტრე — კვალდაკვალ მიჰყვებიან, ხოლო კარგა მოშორებით მათგან ნელი ნაბიჯით მიემართება იუდა: არც გაქცევა შეუძლიან, და არც დატოვება. სული ეფლითება; უცებ ჩახვდა თავისი საქციელის მთელ სიმძიმეს და შეზარა ყოველივემ. რა აკეთოს? საით წავიდეს? წინ — არ შეიძლება, უკან — გზა არა აქვს“. „იუდა ნაღდი მოღალატეა, — გვწერს გე ერთ-ერთ წერილში, — ჩუმი, შესახედავად მშვიდი, მაგრამ სიმშვიდე დაკარგული, დამკარგავი იმისა, რითაც ცხოვრობდა, რაც უყვარდა და არც შეუძლია ჩამოშორდეს, და არც შეუძლია მასთან დარჩეს, — თვითონვე მოიკვეთა თავი საუდამოდ. ასეთ უსულო გვამს მხოლოდ ერთი გამოსავალი აქვს — მოკვდეს. ისიც მოკვდა“.

ამ სურათსაც ისევე აქებდნენ და ესხმოდნენ თავს, როგორც „რა არის ჭეშმარიტება?“ ნ. კ. მიხაელოვსკიმ „რუსკიე ვედომოსტში“ დაწერა სტატია, რომელშიც მკაცრად აკრიტიკებს სურათს „სინდისი“ და მასხარად იგდებს. მაგრამ მგზნებარე ქომაგნიც გამოუჩნდნენ და კარგა ხანს პრესაში გაცხოველებული პოლემიკა მიმდინარეობდა მის გარშემო. აი როგორ აღწერს რომელილაც გაზეთში ამ სურათის შთაბეჭდილებას, ერთ-ერთი მომხრე:

„უსაზღვრო სიყვარულით შთაგონებული სიტყვები, რომლებითაც იგი (იესო ქრისტე) შეეგება თავის გამცემსა და თავის მტრებს, ყურში მკაფიოდ ჩაესმის ცოდვილ იუდას. მაცხოვრის უცოდველი პიროვნება წარსდგა ახლა იუდას წინარე მთელი თავისი დიდებულებით. გამოღვიძებული გონება უფრო და უფრო აჩენდა მის ცოდვას. მტანჯავი ფიქრი უფრო და უფრო ძლიერად ეუფლება, რომ მან უცოდველ სისხლს ულალატა. იუდას სულში ბორგავს ათასნაირი გრძნობები და ფიქრები. მას სტანჯავს საკუთარი დანაშაულის შეგნება, მეკავშირეებზე გაბოროტებულია და ხალხისაც რცხვენია. ღამის წყვდიადი და სიჩუმე კიდევ უფრო აძლიერებენ მტანჯველურ გრძნობას. არც ერთი თანაგრძნობის სიტყვა არ ესმის იუდას: ყველამ ზურგი აქცია. იგი მარტოა, სრულიად მარტო ამ უზარმაზარ სამყაროში. იუდას სულის მომცველ ჯოჯოხეთურ წამებას იგი გაშტერებამდე მიჰყავს. როცა გაჰყურებს უხეშსა

და ულმობელ ბრბოს იუდეველთა და მეომართა, იესო რომ მიჰყავთ და თითქმის მიეფარნენ თვალს, იუდა ფიქრობს, რა უნდა ქნას? და აი სწორედ ეს საინტერესო მომენტი აქვს ასახული გეს თავის სურათში.

ლაბადამოსხმულ იუდას ფიგურა, დაკვირვებულ მკითხველზე ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს, მხატვარმა განსაცვიფრებელი ოსტატობით ასახა მოღალატის დათრგუნვილი სულიერი მდგომარეობა. ეს ფიგურას რომ უყურებ, ნათლად გრძნობ იმ ჯოჯოხეთურ ტანჯვას, რასაც იუდა განიცდიდა სინდისის გაღვიძების წუთებში...“

„სინდისის“ მომდევნო სურათი იყო „საიდუმლო სერობის შემდეგ“. ეს სურათი ჩემის აზრით უძლიერესია გეს ყველა ნახატს შორის იმ განწყობილებით რომელიც ცხადად იგრძნობა. სამწუხაროდ, იგი კერძო პირმა იყიდა, ხოლო ტრეტიაკოვის გალერეაში მხოლოდ მისი ესკიზია შენახული. შინაარსი ასეთია: საიდუმლო სერობის შემდეგ მთვარიანი სამხრეთის ღამეს ქრისტე გარეთ გამოვიდა, თავი ზეცისკენ აუწევია და ხელები მჭიდროდ გადაუჭდვია. იცის რაც მოელის და მზად არის. ახალგაზრდა იოანე შემფოთებული გაჰყურებს წყვდიადს და იუდას დაეძებს, რაც იმის დასტურია, რომ იოანე ვერ ისვენებს. ქრისტეს დანარჩენი მოწაფეები მშვიდად ჩამოდიან პარმაღის კიბეებზე. ისინი ნეტარებენ იმით, რაც ახლა უთხრა მათმა მოძღვარმა, მაგრამ არც ერთი არ გრძნობს რომ აღსასრული ასე ახლოს არის...

ასე მგონია ყველაზე საყვარელი ნაწარმოები თვითონ ნ. ნ. გესათვის იყო „ჯვარცმა“. ამ სურათზე იგი უფრო მეტად მუშაობდა, ვიდრე სხვებზე. რამდენჯერმე გადახატა მთლიანად ძირის-ძირობამდე, გამუდმებით ეძიებდ იმ ფორმას, რომელიც მთელი სისავსით გამოხატავდა მის ჩანაფიქრს. ხატვა დაიწყო 1889 წლის ზამთარში და ისეთი გზნებითა და გულმოდგინებით მუშაობდა, როგორც არასდროს არც ერთ ნახატზე არ უმუშავნია. დღისით ხატავდა, საღამოობით კი ესკიზებს აკეთებდა. 1890 წლის იანვარში იგი წერს, რომ სურათი დაასრულა და „გამოვედი იმ განსაკუთრებული სამყაროდან, სადაც ვქმნიდი“. 1892 წლის შემოდგომაზე გე ჰწერს:

„სურათი ჩემი თავიდან დავხატე და ეს ბოლო ბიძგი ჩემმა ძვირფასმა მეგობარმა, ხოლო თქვენმა მამამ — ლევ ნიკოლოზის ძემ მომცა, როცა მომწერა ამბავი ერთი შვედის ნახატისა, სადაც ჯვარცმულნი დგანან, ამ ამბავმა განმაცვიფრა. დიდი ხნია მსურდა ასე გამეკეთებინა, ვეძებდი გამართლებას და ვიპოვე კიდეც რიჩისთან (არის ასეთი სიძველეთა ლექსიკონი) და რენანთან, და გავაკეთე. ამავე ხანებში ველოდი შვედის ნახატს და ძალზე გამიკვირდა, მსგავსი ვერაფერი რომ ვერ ვიპოვე მასთან. შვედის ნახატი ძველებურ მსჯელობას ემყარება, კათოლიკურს, როგორც მე ვეძახი, ანუ მთელი გარემოცვა ძველია და ჩანაფიქრიც ძველია — მთელი სურათი გაკეთებულია ტანჯვისადმი სიბრალულის გასაღვიძებლად — ეს კი უკვე ცოტაა და მივიღე რა ახალი ბიძგი შვედის ნახატის მოლოდინში შევადგინე ახალი სურათი ჩა-

ნაფიქრითაც და გარემოებითაც. ახალი იმიტომ, რომ მაყურებლის სულში აღვიძებს ანდა უნდა გააღვიძოს სურვილი ისევე სრულქმნილნი ვიყვეთ, როგორც ამას სჩადის მონანიე ყაჩაღი.

სურათი წარმოადგენს შემდეგ სანახაობას: სამივე ფიგურა დგას მიწაზე, ფეხები მილურსმული აქვთ ბოძზე და ხელები კი კიდენზე მხოლოდ ორს, მესამე კი თოკით არის მიბმული, რადგან ჯვრის კიდენი უფრო მოკლეა. პირველი ყაჩაღი ქრისტეს ეუბნება: „მომიგონებდე მე, უფალო", — თავი ჩაუქინდრავს და სტირის. მგრძნობიარესა და მოყვარულ ქრისტეს მისკენ მიუბრუნებია თავისი ნატანჯი სახე, სავსე სიყვარულითა და სიხარულით, მესამე კი წელში გასწორებულა, რათა დაინახოს თავისი ამხანაგი და მისი ცრემლის დამნასავი გაოგნებულია.

ფიგურები კედელთან დგანან პერსპექტივაში და მზით არიან განათებულნი. სურათი ნათელია, შორს ჩანან მსახურნი, რომლებიც შემოხვევიან იმას, ვინაც მოიგო ქრისტეს ტანსაცმელი, და უკანა პლანზე შეჯგუფებულან...

ერთი თვის შემდეგ გემ სურათი ისევ მთლიანად გადააკეთა და მომწერა: „საყვარელო ძვირფასო ტანია, რაკი ასე წვრილად მოგწერეთ ჩემი სურათის ამბავი, ისევ უნდა შემატყობინოთ, საბოლოოდ რა გამოვიდა როცა ჩემი ჩანაფიქრი განვავითარე, თორემ ასე მოხდება: იმ სურათს კი ვერ ნახავთ, რომლის ნახვასაც მოელით, არამედ სულ სხვა სურათი შეგრჩებათ, და ეს შეგაცბუნებთ, ყველაფერი გადავაკეთე და ის მანუგეშებს... რომ ამ მხრივ ჩემს ძვირფას მეგობარს ლევ ნიკოლოზის ძეს ვგევარ, არ შემიძლია შევჩერდე უფრო და უფრო ამაღლებულის ძიების დროს...

განვიცდი რა ყაჩაღის მდგომარეობას, რაც ძნელი არ არის, რადგან თავად გახლავართ ასეთი (ნ. ნ. გემ ორი ფოტოსურათი გამომიგზავნა :ერთს — ქრისტეს თავი აქვს, მეორეს — ყაჩაღისა. პირველს მიწერილი აქვს „იგი", მეორეს „მე") მე მივედი მის სიკვდილამდე ანუ კვდომამდე ანდა უკანასკნელ წუთამდე. და სწორედ აქ ვიპოვე სურათი მართებულიც, ძლიერიც და კარგიც..."

მაგრამ ძიება არც აქ შეუწყვეტია და კიდევ მთელი წელიწადი გრძელდებოდა.

ნ. ნ. გე ბევრს წვალობდა ჯვრების ხატვისას და ერთი ხნობა გადაწყვიტა ჯვრები არ დაეხატა, გამოესახა ქრისტე და ორი ყაჩაღი, ახლახან რომ აიყვანეს გოლგოთაზე. სურდა დაეხატა სამი ტანჯული სულის ძრწოლა: ქრისტე ლოცულობს, ერთი ყაჩაღი ცახცახებს მხოლოდ ფიზიკური საშინელების მოლოდინში, მეორე კი დგას გულმოკლული, იგრძნო, რომ ცუდად იცხოვრა და ამიტომაც ჩავარდა ასეთ ცუდ დღეში.

„თვითონვე ვტირი, სურათს რომ ვუყურებ", — წერს იგი მამას თავისი სურათის ამ ვარიანტთან დაკავშირებით.

„ჯვარცმაზე" მუშაობის ჟამს ზეთის საღებავებით შესრულებული დიდი ესკიზების გარდა, დაუგროვდა კიდევ რამდენიმე ალბომი, სავსე იმავე სურათის ესკიზებით. ერთი ესკიზი ასეა შესრულებული: ჯვარცმულმა ქრისტემ უკვე განუტევა სული, ყაჩაღი ჯერ ცოცხალია, ქრისტეს სული დახრილა მის თავთით, ეხვევა და ჰკოცნის (ეს სურათი

მოთავსებულია მისი ვაჟიშვილის მიერ გამოცემულ ნ. ნ. გეს ნახატებისა და სურათების ალბომში. „ეს რომ დავხატე, ვიგრძენი, რომ ჭკუას ვკარგავდი, გვითხრა ნიკოლაი ნიკოლაის ძემ ამ ესკიზზე, — და დროებით მივატოვე სამუშაო“.

ბოლოს, 1893 წლის 10 აგვისტოს იგი მწერს.

— სურათი საბოლოოდ ვიპოვე და ორი დღე სულერთ[illegible] ვიყიარებოდი; — სულ მეჩვენებოდა, რომ იმაზე მეტი გავაკეთე ვიდრე მეგონა... შევჩერდი სიტყვებზე: „დღეს ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში“, სწორედ ეს შევქმენი. ვიმედოვნებ დავასრულო და არა მაქვს არავითარი სურვილი კვლავ ძიებისა, კმაყოფილი ვარ და მუშაობის ხალისიც დამიბრუნდა“.

„ჯვარცმის“ საბოლოო ვარიანტის შინაარსი ასეთია: ტილოზე მხოლოდ ორი ფიგურაა: ქრისტე და ყაჩაღი. ქრისტე მილურსმულია ასო T მსგავსად ჯვარზე, ყაჩაღი კი მიბმულია ასეთსავე ჯვარზე, ორივე ჯვარცმული მიწაზე დგას. მეორე ყაჩაღი გემ მოსპო, რადგან მისი აზრით ზედმეტი იყო და მხოლოდ ხელს შეუშლიდა იმას, რის გამოხატვაც სურდა. ნ. ნ. გე ცდილობდა მის მიერ დახატული ყაჩაღის სახით გადმოეცა ის, რასაც თვითონ განიცდიდა, მის ადგილზე რომ ყოფილიყო.

„და აი მე წარმოვიდგინე ადამიანი, — გვიამბობდა ჩვენ, — ბავშვობიდან ბოროტებაში რომ ცხოვრობდა, ბავშვობიდანვე აღზრდილი ისე, რომ უნდა ძარცვო, შური იძიო, ძალით უნდა დაიცვა თავი, მაგასაც ხომ ასე ექცეოდნენ და უცებ, იმ წუთში, როცა უნდა მოკვდეს, მას ესმის სიყვარულისა და შენდობის სიტყვები, რაც წამში ცვლის მთელ მის მსოფლმხედველობას. მას სწყურია ისევ მოისმინოს, თავისი ჯვრიდან მიიწევს მისკენ, ვინაც ახლა შუქი და სიმშვიდე ჩაუღვარა სულში. მაგრამ იგი ხატავს, რომ ამ ადამიანის მიწიერი ცხოვრება სრულდება, რომ მან უკვე გადაატრიალა თვალები და სხეული ჯვარზე ჩამოეკიდა. ყაჩაღი შეძრწუნებული ყვირის და ეძახის, მაგრამ უკვე გვიანია.

„...მე გამოვცადე ეს საშინელება და სასოწარკვეთილმა, როცა ანეჩკა კვდებოდა, — დასძინა ნიკოლაი ნიკოლაის ძემ, როცა თხრობა დასრულა, — და სწორედ ეს მინდოდა აღმებეჭდა ყაჩაღის სახეზე“.

„ჯვარცმა“ ნიკოლაი ნიკოლაის ძემ პეტერბურგში ჩაიტანა მოძრავ გამოფენაზე, მაგრამ მთავრობის ბრძანებით ჩამოხსნეს. ნ. ნ. გეს ნაცნობმა ოჯახმა შესთავაზა სურათი კერძოდ გამოეფინა მათ ბინაში. გე მადლიერების გრძნობით ალსავსე დაეთანხმა და მთელი ის ხანი, რაც სურათი იმ სახლში იდგა, მის წინ მუდამ მაყურებელთა ზღვა ირეოდა. ალბათ მოძრავ გამოფენაზე იმდენი ხალხი ვერ ნახავდა. და ყოველ შემთხვევაში ისე შესამჩნევი არ იქნებოდა უამრავ სხვა სურათთა შორის. აქ კი მარტო ეს ნახატი იყო, მნახველები მხოლოდ მის სანახავად მოდიოდნენ. და ამას გარდა, აქ მუდამ იმყოფებოდა ნიკოლაი ნიკოლაის ძე, თანაც უხსნიდა, ეუბნებოდა მნახველებს თუ რისი გამოხატვა სურდა, და ამით აძლიერებდა სურათის მიერ შექმნილ შთაბეჭდილებას.

12

პეტერბურგში თავისი ნახატის გამოფენის შემდეგ გე ჩვენთან ჩამოვიდა მოსკოვში. ეს იყო 1894 წლის გაზაფხულზე. ძალზე დაღლილი და დასუსტებული გვეჩვენა, თუმცა არაფერს უჩიოდა. როგორც ჩანს, ყოველდღიურმა ახსნა-განმარტებებმა ნახატის „ბოგანოვ-ქანცი" გაუწყვიტა. გულგრილი მოაბეზე ვერ იქნებოდა, იგი ხომ მთელ სულსა და გულს აქსოვდა თავისი ნახატების შინაარსში, რასაც მნიშვნელოვან და საპატიო საქმედ მიიჩნევდა.

თავისი ნახატი მოსკოვშიც ჩამოიტანა იმ განზრახვით, რომ აქაც ეჩვენებინა საზოგადოებრიობისათვის ისევე, როგორც პეტერბურგში როცა საამისოდ შენობას ეძებდა, ამ დროის განმავლობაში ნ. ნ. ჩვენთან ცხოვრობდა და ისვენებდა.

იმ ზაფხულს მოსკოვში მხატვართა პირველი ყრილობა იყო. მე ამ ყრილობის წევრი გახლდით, ვესწრებოდი ყველა კრებას, და რაკი ცოტაოდენ მონაწილეობას ვიღებდი „პოსრედნიკის" წიგნთგამომცემლობის მხატვრულ განყოფილებაში, დავარწმუნე „პოსრედნიკის" ერთი მონაწილე წაეკითხა მოხსენება სახალხო სურათებზე ისე, რომ ამ საქმეზე მოეხიდა მხატვრები. ამ მოხსენებას წარმატება კი ჰქონდა, მაგრამ მცირე შედეგი გამოიღო.

როცა გე ჩამოვიდა, მოვინდომე ისიც ჩამეება ამ საქმეში და მეიძულებინა მონაწილეობა მიეღო ყრილობის მუშაობაში. მაგრამ გე გულცივად შეხვდა ერთსაც და მეორესაც.

— არა, ტანია, — მითხრა მან, — მე იქ არაფერი მესაქმება. იქ დიდი თავადი თავმჯდომარეობს და არ მსურს მასთან შეხვედრა.

გული გამიტყდა.

— ჩემი აზრით, სწორედ თქვენ უნდა იყოთ იქ, — ვარწმუნებდი, — თქვენ ერთ-ერთი დამაარსებელი ბრძანდებით „მოძრაგი გამოფენისა", თქვენი ძმა იქ დიდხანს ვერ იბოგინებს, — თქვენ კი შეგეძლოთ ახალგაზრდობისათვის რაიმე სასარგებლო გეთქვათ.

ნ. ნ. დასაძინებლად წავიდა, არაფერი გადაუწყვეტია ისე, მაგრამ მეორე დილას, როცა ყავის დასალევად მივედი, მხიარული და თვალებგაბრწყინებული იჯდა.

— ტანია, მთელი ღამე ვფიქრობდი, — მითხრა მან, — და, აი, ნახავ დღეს იმათ რას ვეტყვი. — როცა მამა მოვიდა, იმასაც გააგებინა; „ტანიამ მთხოვა მხატვართა ყრილობაზე სიტყვით გამოვიდე და წუხელ გადავწყვიტე, რომ ასეც მოვიქცევი.

იმ დღეს ყრილობის ბოლო სხდომა საღამოს იყო დანიშნული და შემდეგ ყრილობა იხურებოდა.

ნასადილევს მე და ნიკოლაი ნიკოლაის ძე ისტორიის მუზეუმში წავედით, სადაც ყრილობა იყო გახსნილი. დიდი თავადი არ ესწრებოდა, დავსხედით მე და ნიკოლაი ნიკოლაის ძე მოვისმინეთ რამდენიმე მოხსენება, შემდეგ თავმჯდომარეს კაცი გავუგზავნეთ, რომ ნ. ნ. ვეს სიტყვით სურდა გამოსვლა.

მაშინვე გამოგვიგზავნეს კაცი, ვინაც იგი კათედრამდე მიაცილა. ადგილიდან ვუყურებდი როგორ გამოვიდა ხალხში, ისევ იგივე უხეში

პერანგი და გაქექილი პიჯაკი ეცვა, მაგრამ როგორც კი დაინახეს უცებ ისეთი ოვაცია გაუმართეს, ატყდა ყვირილი და ბრახუნი, რომ ნ. ნ. გე მეტად აღელდა. დავინახე სახეზე სიწითლემ როგორ გადაკრა და როგორ გაუბრწყინდა ახალგაზრდული თვალები. როცა ცოტა ჩაწყნარდნენ, გე ორივე ნიდაყვით კათედრას დაეყრდნო, თავგამეტებულ[illegible]ასწია და დაიწყო:

ხელოვნება ყველას გვიყვარს...

ვერც მოასწრო სიტყვის დასრულება, რომ ტაშისცემა, შეძახილები, ბრახუნი, კიდევ უფრო გაძლიერდა. ნიკოლაი ნიკოლაის ძემ ვერ შეძლო სიტყვის გაგრძელება, რამდენჯერმე დაიწყო, მაგრამ ისევ ტაშს უკრავდნენ და ყვიროდნენ.

ფრაკებში გამოწყობილი სხვადასხვა დიდგვაროვანთა შაბლონური სიტყვის შემდეგ, რომლებიც თავიანთ გამოსვლას ასე იწყებდნენ: „მოწყალეო ქალბატონებო და მოწყალეო ბატონებო", — და ა. შ. გეს სიტყვამ მაშინვე გააერთიანა ყველა დამსწრე და მისმა ლამაზმა, ორიგინალურმა გარეგნობამ ყველაზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.

გამოსვლის აზრი ის იყო, რომ მხატვარს, რომელიც თავს ხელოვნებას უძღვნის, არ უნდა ჰქონდეს იოლი ცხოვრების იმედი, არამედ ამ მოწოდებას როცა იტვირთავს, ცხოვრებაში უამრავ სიძნელეს უნდა მოელოდეს და გამუდმებული ბრძოლისათვის უნდა იყოს მზად. გემ იმაზეც ილაპარაკა რა დიდ სიკეთეს სჩადიან ადამიანები, რომლებიც დროულად გაუმართავენ ხოლმე ხელს და გაამხნევებენ მისი ცხოვრების მძიმე წუთებში. კეთილად მოიხსენია პ. მ. ტრეტიაკოვი, რომელსაც არა მარტო ფულით, რამედ თავისი კეთილი თანაგრძნობით შეეძლო მხარში ამოდგომოდა მხატვარს გაჭირვებისა და სასოწარკვეთის ჟამს. ისე თბილად და გულითადად ლაპარაკობდა, რომ ბევრს ცრემლი მოერია, და როცა კათედრიდან ჩამოვიდა ისეთივე ტაშითა და ზარზეიმით გამოაცილეს, როგორც შეხვდნენ.

გაზაფხული იყო, თბილი ღამე და მე და ნ. ნ. გე ფეხით მივედით სახლში ალექსანდროვის ბაღის გავლით. ჩუმად მივდიოდით, შევყურებდი და ვფიქრობდი, რომ მხოლოდ იმ ადამიანს ძალუძს სხვებზე ზემოქმედების მოხდენა, რომელიც გეს მსგავსად მუდამ იწვოდა ადამიანებისა და ყოველივე იმის სიყვარულით, რაიც ამ ადამიანთა სულს სჭირდებოდა.

ამ შეკრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ აღმოვაჩინეთ შენობა გეს ნახატის გამოსაფენად. და ისიც წავიდა, რომ მოეწყო. როცა ყველაფერი მზად იყო, გემ ნება დართო ყველა მსურველს მისულიყო და ენახა ნახატი. აღელვებული გავემართენით ჩვენც „ჯვარცმის" სანახავად, რომელზედაც ამდენს მოგვითხრობდა და გვწერდა ნიკოლაი ნიკოლაის ძე და რომელზედაც ამდენი ხანი იმუშაა.

ახლაც იგივე დამემართა, როგორც ყოველთვის—მოლოდინი ცოტა არ გამიმართლდა. ნახატს რომ ჩემზე ზემოქმედება მოეხდინა, იგი უფრო ძლიერი უნდა აღმოჩენილიყო იმ წარმოდგენაზე; რაიც ნიკოლაი ნიკოლაის ძის მოთნათხრობმა შემიქმნა. ხოლო ის, რაც ჩემს წარმოდგენაში აღმოცენდა ამ მონათხრობთა მიბაძვით, უფრო სრულ-

ყოფილი გახლდათ შესრულებითაც და გამომსახველობითაც, ვიდრე ის რაიც ვიხილე.

მამაჩემს ასე არ დამართნია, ვიდრე, მე, ჩემი და და კიდევ რამდენიმე მეგობარი სახელოსნოში ვიყავით, მოვიდა მამა, რომელსაც გე მოუთმენლად ელოდა. მამა განაცვიფრა ნახატმა, პირისახეზე ეტყობოდა, ებრძოდა საკუთარ მღელვარებას. ნიკოლაევ ნიკოლაის ძე ხარბად შეჰყურებდა, და მამაჩემის მღელვარება მასაც გადაედო. ბოლოს ერთმანეთს გადაეხვივნენ და დიდხანს ვერაფერი უთხრეს ერთმანეთს, რადგან ცრემლები ახრჩობდათ.

„ჯვარცმა" მოსკოვში რამდენიმე კვირას იდგა, და ამ ხნის განმავლობაში სახელოსნოში მუდმივად ხალხი ირეოდა. ხშირად მივდიოდი, რადგან მაინტერესებდა თვალი მიმედევნებინა რა შთაბეჭდილებას ახდენდა ნახატი საზოგადოებაზე, აგრეთვე იმიტომაც, რომ დამყავდა ჩემი ამხანაგები სკოლიდან. შთაბეჭდილებები — უკიდურესად განსხვავებული იყო, ზოგს ძალზე არ მოსწონდა, ზოგიც ფრიად აღტაცებული რჩებოდა.

მახსოვს, რომ ამ გაზაფხულზე, მაისში, თუ არ ვცდები, ნ. ნ. გე და მამაჩემი იასნაია პოლიანაში გაემგზავრნენ, სადაც მცირე ხანი დაჰყო და თავის ხუტორში წავიდა ჩერნიგოვის გუბერნიაში.

მალე მეც წავედი იასნაიაში, მაგრამ გე იქ აღარ დამხვედრია.

არ გვეწერა, კიდევ გვენახა ერთმანეთი.

2 ივნისს სალამოს დეპეშა მოგვიტანეს. მამა ოთახში არ იყო, ვიყავით დედაჩემი, მაშა და მე. დეპეშა მოკლე იყო. ნ. ნ. გე ვაჟიშვილი, გვაუწყებდა რომ მამამისი გარდაიცვალა 1 ივნისს შუადამისას (1894 წ.)

გონს ვერ მოვსულიყავით ამ ამბის გაიგებნი და ჩუმად ვისხედით. უცებ მამაჩემის ნაბიჯის ხმა გავიგონეთ, კიბეზე რომ ამოდიოდა. გული ჩამწყდა, და ვთხოვე რომელიმემ გააგებინეთ მამას ეს ამბავი-მეთქი, რადგან ვგრძნობდი, ხმა და ენა არ მემორჩილებოდა. ჩემმა დამაც უარი განაცხადა. და მახსოვს როგორი უცნაური, არაბუნებრივი ხმით უთხრა დედამ:

— აი ამათ უსიამო მოვალეობა დამაკისრეს, გაუწყო ამბავი, რომელიც გულს გატკენს, — გადასცა მამას დეპეშა.

მალე დეპეშის მიღებიდან, მამამ მიიღო წერილი, გეს უფროსი ვაჟიშვილის პეტრე ნიკოლაის ძისა, რომელიც აღწერდა, როგორ გარდაიცვალა მამამისი. მისულა შინ უფროსი ვაჟიშვილისაგან წამოსული, თავი ცუდად უგრძვნია, დაწოლილა და ისე გათავებულა, ცნობაზე არ მოსულა.

მამამ უპასუხა პეტრე ნიკოლაის ძეს:

„ძალზე მადლობელი ვარ თქვენი, პეტრე ნიკოლაის ძევ, წერილისათვის, რომელშიც დაწვრილებით მატყობინებთ ჩემი საყვარელი მეგობრის უკანასკნელი დღეებისა და წუთების ამბავს. თითქმის არც განმიცდია ესოდენ მტკივნეულად ვისიმე დაკარგვა როგორც ამჟამად განვიცდი. ვერაფრით შევეჩვიე და დღეში რამდენჯერმე ვიხსენებ, პირველ წუთს არ მჯერა და ყოველთვის ისევ ახლიდან განვიცდი მისი დაკარგვის მტანჯველ გრძნობას. განვიცდი იმასაც, რასაც თქვენ მწერთ,

თითქოს ვინანიებდე და ნაგვიანებად ვწუხდე იმას, რომ თითქოს არასაკმარისად მიყვარდა, უფრო სწორად არასაკმარისად ვამჟღავნებდი ჩემს სიყვარულს მისდამი, რადგან მთელი სულით მიყვარდა. მაგრამ თვითონ კი მართლაც მეტისმეტად მოსიყვარულე იყო და ზოგჯერ მგონია, რომ ჯეროვნად ვერ ვაფასებდი ამ ბედნიერებას. განსაკუთრებით სამძიმოა მისი სიკვდილის დაჯერება, რადგან არ მყოლია სხვა კაცი, — ჩემი ადამიანური თვალთახედვით, — მასზე უფრო სავსე სულიერი ძალებითა და მომავლის გრძნობით. მის სულს არანაირად არ ერწყმოდა სიკვდილზე ფიქრი. გული მწყდება, რომ არ გაუკეთებია ყველაფერი, რაიც სურდა და შეეძლო, მაგრამ ჩანს, ეს არც იყო საჭირო. ჩანს, არსებობს სხვა, უმაღლესი მოსაზრებანი, ჩვენთვის შეუცნობელნი, რომელთა მიხედვით იგი ახლა უნდა წასულიყო ამ ქვეყნიდან. მე ეს მწამს.

მისმა სიკვდილმა ჩემზე და ყველაზე ამაღლებული ზემოქმედება მოახდინა, როგორც მოქმედებს ხოლმე მუდამ დიდი ადამიანის სიკვდილი, ვისაც არა მარტო შინაგანი ნიჭი აქვს, არამედ სუფთა გული და ისეთი საოცარია, როგორიც მამაოქვენი იყო. როგორ იმოქმედა ყველაზე მისმა დაღუპვამ. ყოველის მხრიდან — სტრახოვი, ლესკოვი, სტასოვი, ვესელიტსკაია, მომდის წერილები და ვხედავ, რომ მისმა სიკვდილმა ყველაზე იგივე ამაღლებული და გულის მომლბობი ზემოქმედება მოახდინა, როგორც ჩემზე, თუმცა კი ცოტა უფრო ნაკლები.

სტასოვს სურს დაწეროს მისი ბიოგრაფია ანდა ნარკვევი მის მოღვაწეობაზე და თუმცა ეს არც ისე საფუძვლიანი იქნება, — მაინც კარგია, რადგან მას ესმის თუნდაც ერთი მხარე მამათქვენის სიდიადისა.

კარგი ჰქენით, რომ გამომიგზავნეთ მისი სურათები: ჯერ არ მივიღია, როგორც კი მივიღებთ, რაც საჭიროა ყველაფერს გავაკეთებთ. მე უკვე ვწერ წერილს ტრეტიაკოვს, რათა ავუხსნა ვეს, როგორც მხატვრის მნიშვნელობა, რათა მან შეისყიდოს და მოათავსოს თავის გალერეაში ყველაფერი, რაც დარჩა. იმედი მაქვს წერილს დღესვე დავამთავრებ და გავუგზავნი.

გმადლობთ, როგორც მეგობარს რომ მომმართეთ და ყველაფერი აღწერეთ. თქვენ მუდამ ძვირფასი იქნებით ჩემთვის. როგორ არის კოლეჩკა? გვეგონა, რომ ჩამოვიდოდა. ამიტომაც არ მომიწერია ჯერ. ჩემი სალამი გადაეცით თქვენს მეუღლეს.

თქვენი მოსიყვარულე ლ. ნ. ტოლსტოი.

13 ივნისი. 1894 წ.

შემდეგ მივიღეთ უმცროსი ვაჟის ნიკოლაი ნიკოლაის ძის წერილი, ვისაც ყველანი მეგობრულად კოლეჩკას ვეძახდით. იგი მამაჩემს წერდა, რომ მას გადასცემს უფლებას, როგორც სურს ისე განაგოს ნ. ნ. ვეს ნახატები, რომლებიც მას სედა წილად მამისაგან მემკვიდრეობით, ხოლო ორს გვიგზავნის იასნაია პოლიანაში.

მამა უკვე სურათის მიღებამდე ფიქრობდა მათ ბედზე და ამის თაობაზე ორი წერილი გაუგზავნა პ. მ. ტრეტიაკოვს. აი ისიც:

პ. მ. ტრეტიაკოვს
14 ივნისი, 1894 წ.

პაველ მიხეილის ძევ, ხუთი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც გავიგე ვეს სიკვდილის ამბავი და გონზე ვერ მოვსულვარ.

ამ ადამიანის არსებაში ჩემთვის შერწყმული იყო ორი ბრალოვნება, სამიც კი. 1) ყველაზე უფრო საცინო, უმწიკვლო და უმშვენიერესი ადამიანი, ვისაც კი ვიცნობდი; 2) მეგობარი, ნაზად რომ ვუყვარდი და ნაზად მიყვარდა არა მარტო მე, არამედ მთელს ჩემს ოჯახს დედიანპატარიანად; 3) მთელი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი მხატვარი, რუსეთზე არას ვამბობ; გეს სწორედ ამ მესამე მნიშვნელობაზე მინდოდა მეუწყებინა თქვენთვის ჩემი აზრები. გთხოვთ ნუ იფიქრებთ, რომ მეგობრობამ დამაბრმავა: ჯერ ერთი, იმდენად მოხუცი და გამოცდილი გახლავართ, რომ შემიძლია განვასხვავო გრძნობა შეფასებისაგან, მეორეც რად მჭირდება მეგობრობის გამო ესოდენ დიდი მნიშვნელობა მივაწერო. ხელოვნებაში; ჩემთვის საკმარისი იქნებოდა შემექო, როგორც ადამიანი, რასაც ვაკეთებ კიდეც და რაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია.

თუ ვცდები, განა იმიტომ ვცდები, რომ ჩემი მეგობარი იყო. არამედ იმიტომ, რომ ყალბი წარმოდგენა მქონია ხელოვნებაზე. იმავე წარმოდგენის მიხედვით, რაიც ხელოვნებაზე გამაჩნია, გე უკვე აღემატება ყველა მის თანამედროვე მხატვარს რომლებსაც მე ვიცნობ რუსი იქნება თუ საზღვარგარეთელი, როგორც მონბლანი ჭიანჭველების ბუდეს. ეშიშობ, რომ ეს შედარება უცნაური და არასწორი მოგეჩვენებათ, მაგრამ თუკი ჩემს თვალსაზრისზე დადგებით, მაშინ უსათუოდ დამეთანხმებით. ხელოვნებაში, გარდა გულწრფელობისა, ანუ იმის გარდა, რომ მხატვარი თავს არ იკატუნებდეს, თითქოს უყვარდეს იგი, რაიც უყვარს, და სწამდეს იგი, რაიც არა სწამს, — როგორც იკატუნებენ თავს მრავალნი თითქოს რელიგიური მხატვრები, — გარდა ამ თვისებისა, რომელიც გეს გააჩნდა უმაღლეს ხარისხში, ხელოვნებაში არსებობს ორი მხარე: ფორმა-ტექნიკა, და შინაარსი აზრი: ფორმა-ტექნიკა ჩვენს დროში უდიდესად სრულყოფილად არის შემუშავებული. და ტექნიკის ოსტატებიც ამ ბოლო დროს, როცა სწავლება მასებისათვის უფრო ხელმისაწვდომი გახდა, მრავლად გამოჩნდნენ, დროთა ვითარებაში ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. მაგრამ ადამიანები, რომლებიც ფლობენ შინაარსს, ანუ მხატვრულ აზროვნებას ანუ ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენების ახლებურად გაშუქების უნარს, ასეთი ადამიანები, ტექნიკის გაძლიერებასთან დაკავშირებით, რითაც კმაყოფილდებიან მცირედ განვითარებული მოყვარულები; თანდათან მცირდება და ბოლო ხანებში იმდენად ცოტანი არიან, რომ ყველა, არა მარტო ჩვენი გამოფენები, არამედ საზღვარგარეთაც ავსებულია ანდა ისეთი სურათებით, გარეგნულ ეფექტებზე რომ არიან დამყარებულნი, ანდა ეს არის პეიზაჟები, პორტრეტები, უაზრო ჟანრის ნაწარმოებები, და გამოგონილი ისტორიული თუ რელიგიური ნახატები, როგორიც აქვთ უდეს, ანდა ბეროს ან ჩვენს ვასნეცოვს. გულწრფელი, შინაარსიანი ნახატები აღარ არის. გეს მთავარი ძალაა — გულწრფელობა, ყველასთვის გასაგები, ნათელი და მნიშვნელოვანი შინაარსი.

ამბობენ, რომ მისი ტექნიკა სუსტია, მაგრამ ეს არ არის მართალი. შინაარსიანი ნახატის ტექნიკა მუდამ ცუდი გვეჩვენება, განსაკუთ-

რებით იმათ, ვისაც შინაარსი არ ესმის. გეს კი ეს მუდამ ემართებოდა. რიგითი მაყურებელი ითხოვს ქრისტე-ხატს, რომელზედაც ილოცებდა; ის კი სთავაზობს ქრისტეს — ცოცხალ ადამიანს, და მნახველსაც მოლოდინი არ უმართლებს და დაუკმაყოფილებლობის გრძნობა ეუფლება იმის მსგავსად, ადამიანი ღვინის დასალევად რომ [illegible] კი პირში წყალს ჩაასხამენ, ადამიანი მაშინვე ზიზღით [illegible] წყალს, თუმცა წყალი უფრო სასარგებლო და უკეთესია ღვინოზე.

ამ ზამთარს სამჯერ გახლდით თქვენთან გალერეაში და ყოველთვის ჩემსუნებურად შევჩერდებოდი ხოლმე „რა არის ჭეშმარიტება?“ წინ, ეს ჩემდა უნებურად ხდებოდა და არა იმიტომ რომ გე ჩემი მეგობარია, მავიწყდება კიდეც, რომ ეს მისი ნახატია. ამ ზამთარს ჩემთან ორი ჭკვიანი და განათლებული გლეხი ჩამოვიდა, ეგრეთწოდებული მალაკნები, ერთი — სამარიდან, მეორე — ტამბოვიდან. ვურჩიე თქვენს გალერეაში მოსულიყვნენ. და ორივე თუმც მე არაფერი მითქვამს გეს ნახატზე, ორივენი სხვადასხვა დროს იყვნენ, — ყველაზე მეტად გააკვირვა გეს სურათმა „რა არის ჭეშმარიტება?“

ამ ჩემს აზრს იმიტომ გიზიარებთ, რათა გირჩიოთ შეიძინოთ ყველაფერი, რაც დარჩა გესაგან, რათა თქვენმა ეროვნულმა რუსულმა გალერეამ არ დაჰკარგოს თავისი საუკეთესო ფერმწერის ნაწარმოებები, მას შემდეგ რაც არსებობს რუსული ფერწერა.

ძალზე ვწუხვარ, რომ ამ ზამთარს არ მინახიხართ. გისურვებთ ყოველივე კარგს.

ქვენი მოსიყვარულე ლევ ტოლსტოი.

გაგრძელება იქნება

წერილები

რუსუდან გეჟაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰაინრიხ ფონ კლაისტის გოგბოძარი ხატი გერმანულ ლიტერატურაში

(1777—1811)

იგი „...იყო ყმაწვილი კაცი ბავშვური სახითა და უცნაური, ნაკლებად მიმზიდველი მანერებით", — ამბობს თომას მანი. მელანქოლიური, პირქუში, გაბმულ საუბარს ძნელად თუ ახერხებდა.

„ნაჩქარევი იქნებოდა ასეთი საქციელის მიხედვით დაგვესკვნა, რომ საზოგადოებასთან ამგვარად გაუცხოებული კაცის სახით, საქმე გვაქვს გენიალურ, განსაკუთრებული ამოცანით დატვირთულ, ღრმა პრობლემებით ტანჯულ ხელოვანთან" (თ. მანი).

იშვიათია მსოფლიო ლიტერატურაში ისეთი მწერლები, რომლებიც ესოდენ გაუცხოებულნი არიან თავიანთი დროის ლიტერატურული მიმდინარეობისაგან და ამავე დროს ასე ახლობელნიც. სწორედ ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება გერმანული რომანტიზმის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი ჰაინრიხ ფონ კლაისტი. იგი არა ჰგავს არც „ვაიმარელ კლასიკოსებს" და მთლად არც თავად რომანტიკოსებს. იქნებ ის თავისებური მხატვარი რეალისტიცაა? კამათი ამის თაობაზე კვლავაც მიმდინარეობს.

„ის იყო უდიდესი, საოცრად გაბედული, გერმანულ ენაში ღრმად მწვდომი პოეტი. უბადლო, შეუდარებელი პროზაიკოსი და სრულიად განუმეორებელი მთხრობელი. ...თუმცა მეტად უიღბლო საკუთარ თავისადმი მოთხოვნებით, რამაც დაასუსტა იგი მიუღწეველისადმი ჭიდილში, საშუალამო ფსიქოგენურ დაავადებამდე მიიყვანა და ადრეული სიკვდილი განუწესა", — ამბობს ისევ თომას მანი თავის ლიტერატურულ წერილში კლაისტის შესახებ.

ყველა შემთხვევაში ის XIX-ს-ის დასაწყისის ყველაზე რთულ მწერალთა რიცხვს განეკუთვნება. მისი პიესები გამსჭვალულია ციებ-ცხელებასავით ძლიერი ქარიშხლიანი განწყობით, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური დაძაბულობით, კატასტროფის მოლოდინით. ამ ტრაგიკული პოეტის კალმიდან იშვა აგრეთვე იუმორესკა „გატეხილი დოქი", ესოდენ ნათელი და მზით გასხივოსნებული პიესა „ჰერმანის ბრძოლის" სისხლიანი სცენების შემდეგ.

კლაისტის ბევრი თაყვანისმცემელი, მათ შორის შტეფან ცვაიგი, ფი-

ქრობს, რომ მისი ნოველები არ ჰგვანან მის პიესებს. თუ მწერალი დრამატურგიაში მძლავრ ვნებებს აძლევს ამოფრქვევის ნებას, ნოველებში იგი თავშეკავებისა და თვითდისციპლინის განსახიერებაა.

ჰაინრიხ ფონ კლაისტი დაიბადა 1777 წლის 18 ოქტომბერს ოდერის ფრანკფურტში სამხედრო პირის დიდგვაროვან ოჯახში. 1792 წელს მან, ოჯახური ტრადიციისამებრ, პრუსიულ გვარდიაში დაიწყო სამსახური. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ბრძოლაში. უდაოდ დიდი გავლენა იქონია ყმაწვილის შემდგომ განვითარებაზე მღელვარე ატმოსფერომ საუკუნის ბოლოს. იგი დიდად აფასებდა საფრანგეთის რევოლუციური მოვლენების მნიშვნელობას, რაც გამოძახილს მის სამშობლოშიც პოულობდა. მისი წერილებიდან ცნობილია, რომ იგი გატაცებით სწავლობდა ფრანგ განმანათლებელთა ფილოსოფიას.

კლაისტი მონაწილეობდა იმ ომში, რომელიც საფრანგეთის ახალგაზრდა რესპუბლიკამ ძველ ევროპას გამოუცხადა. იბრძოდა მაინცის ალყაში. ჯერ კიდევ სულ ყმაწვილი კაცი (15-16) წლისა), ომის საშინელებათა მნახველი, წერს: „ზეცავ, მოგვეც შენ მშვიდობა, რათა ამ ქამისათვის, როს ჩვენ ესოდენ ამორალურად ვქცევთ, კაცთმოყვარული საქმეებით გადახდა შევძლოთ“. და უკვე 21 წლის ლეიტენანტი გადადგომას ითხოვს. იგი ჯერ ინტენსიურ კითხვას და განმანათლებლურ საქმიანობას მიჰყოფს ხელს, ხოლო შემდეგ კლაისტისთვის ლიტერატურა იქცევა მშფოთვარე შემოქმედებად, ვნებად, ტრაგედიად, ბედისწერად.

ნათესავები საყვედურობდნენ, რომ ის ვერ ამართლებდა ისტორიულ პრუსიულ გვარს; ვინ იცის, რა დამსახურებები აქვთ ოფიცერ თუ გენერალ კლაისტებს ომში, მაგრამ ის ერთი არის ყველაზე გამორჩეული მისი გვარის თანავარსკვლავედში; იგია ავტორი „ნენთესილეასი“, „მიხაელ კოლჰაასის“ და „რობერტ მისკარის“. იგია ჭეშმარიტად ბობოქარი შემოქმედი რომელმაც საუკუნოდ უკვდავყო ფონ კლაისტების გვარი.

1799 წელს იგი გადადგა სამხედრო სამსახურიდან. 1801 წელს კლაისტი მოგზაურობს გერმანიაში, შვეიცარიასა და საფრანგეთში. 1802 წლიდან იწყება მისი ლიტერატურული მოღვაწეობა.

შვეიცარიაში იგი გაეცნო ცნობილ მწერალს ლუდვიგ ვილანდის ვაჟს, რომელმაც იგი შემდგომ ვაიმარში წაიყვანა. აქ იგი სვდება გოეთესა და შილერს. ისინი ხომ მიდრეკილნი იყვნენ კეთილშობილურ — ჰუმანურისკენ, კლასიცისტური ზნეობრივისკენ. თ. მანის თქმით: „ვერაფერს ნახავთ უფრო არისტოკრატულსა და წარმატებულს, ვიდრე გოეთეს „იფიგენიაა“. ...მაგრამ ვთქვათ სიმართლე: ეს ერთადერთი კლაისტია, რომლის ყოვლად მშვენიერ ფარგლებში, საკუთარი თავის უარმყოფელ შემოქმედებაში გამოსჭვივის ძალაუფლება, პირველყოფილი რღვევა (თუ: რყევა), მითიური თრთოლვა, ნეტარი ძრწოლა ანტიკური ტრაგედიისა“. მაგრამ როდესაც ჭაბუკმა მწერალმა გოეთეს დიდი ძრწოლით თავისი „პენთესილეა“ წარუდგინა, ვაიმარელი ბრძენი გულგრილად შეხვდა მას. იქნებ ბრძენისა და ცეცხლოვანი რაინდის შეხვედრა გვეწოდებინა ამ შეხვედრისათვის, როდეს-

აც გრძენმა უგულებელყო ჭაბუკის ოსტატური ნააზრევი და მას „განუკურნებელი სენით შეპყრობილი უაზრობა“ უწოდა. გენიალური ხშირად ერევათ ავადმყოფურში, რადგან მოგეხსენებათ, იგი ყოველდღიური მოვლენა არ გახლავთ. კლაისტს ეკუთვნის სიტყვები: „ყოველი დარტყმა როდი უნდა აიტანოს ადამიანმა, და მას, ვისაც ღმერთი ჩასჭიდებს, ვფიქრობ შეუძლია ჩაიძიროს ან ამოიოხროს კიდეც. რადგან გულგრილობა სიქველეა — მხოლოდ ათლეტთა“. კლაისტი ავტორია, როგორც ვიცით, მთელი რიგი მნიშვნელოვანი დრამატული ნაწარმოებებისა, როგორიცაა: „შროფენშტაინების ოჯახი“, „რობერტ მისკარი“, „ამფიტრიონი“, „გატეხილი დოქი“ და სხვა.

ანტიკურ თემაზე შექმნილი დრამატული ნაწარმოები „პენთესილეა“, ჩემი აზრით, კლაისტის ბობოქარი სულის ყველაზე თვალსაჩინო და ღიბლიანი გამოვლინებაა. საოცარი ექსპრესიითაა დახატული გმირთა ემოციები, ამორძალთა წინააღმდეგ მებრძოლი აქილევსი და მისი ამალა. ქალური მომხიბვლელობით აღსავსე და იმავდროულად ბრძოლის ველური ჟინით შეპყრობილი ამორძალთა დედოფალი პენთესილეა. ეს იყო შემძვრელი პიესა, რამაც მრავლისმნახველი და ცივი გერმანელები მართლაც ააღელვა და აგერ საუკუნეებია არ კარგავს თავის ელვარებას. „ჩვენ ვანადგურებთ იმას, რაც გვიყვარს“, ზოგად ფორმულასავით გაისმის პენთესილეას ამოძახილი, რაც სწორედ ჩვენს დროს შეესაბამება“, — ამბობს ქრისტა ვოლფი. და, მართლაც, დრამაში ყველაზე შთამბეჭდავი გახლავთ ფინალური სცენა, როდესაც პენთესილეა ძაღლებს მიუსევს თავის საყვარელ აქილევსს, რომელიც პირუტყვებისგან დაფლეთილი კვდება, ქალი დაემხობა მის სხეულს და თავს იკლავს.

გერმანელ კლასიკოსებს ელინიზმი მანამდე იდეალურ ჰარმონიად მიაჩნდათ. „ასეა, თითქოს კლაისტმა არა მხოლოდ „პენთესილეა“, არამედ ჯერ კიდევ „ამფიტრიონიც“ ამ აზრის საწინააღმდეგოდ დაწერა: სწორედ ეს შენიშნა გოეთემ, კერძოდ, ის, რომ იგი წვლილს კი არ შეიტანდა ანტიკურობისა და თანამედროვეობის გამთლიანებაში, არამედ უმალ თანამედროვეობას გათიშავდა ანტიკურობისაგან. ფიქრობდა, რომ კლაისტი სულაც არ ესწრაფოდა იმავე მიზანს, რა საზომითაც კლასიკოსი საკუთარ ნაწარმოებებს აფასებდა“ (ქრისტა ვოლფი).

მეტად თავისებურია ტრაგედიაში ანტიკურობის ახლებური გაგება. კლაისტმა ელინური სამყარო დახატა, როგორც ბარბაროსული ეპოქა, როგორც დემონური ხასიათების საუფლო. მწერალი ვერ ეგუებოდა და იქნებ არც სურდა შეგუება ბობოქარი ვნებების დაცხრომასთან, რომლებიც ხშირად ულმობელი და არაადამიანური იყო. მისი შემოქმედება ხშირად ცალსახად როდი ასახავს თავად ავტორის მოსაზრებას, იგი მუდამ კამათისაკენ, წინააღმდეგობებისაკენ გვიხმობს.

„ამფიტრიონის“ შესახებ მისი გამოსვლის დღიდან ამბობდნენ, რომ დღემდე არ უნახავთ ესოდენ ცოცხალი სახეები გერმანულ ლიტერატურაში. ეს გახლდათ კომედია კვლავ ანტიკურ თემაზე, მოლიერის „ამფიტრიონის“ გადამუშავებული ვარიანტი.

როგორც ზემოთ ვთქვით, მნიშვნელოვანია კლაისტის ნოველები და მოთხრობები, მათ შორის: „მიხაელ კოლჰაასი“, „მიწისძვრა ჩილეში“, „ნიშნობა სან დომინგოში“ და სხვ.

ნოველა „მარკიზა ფონ ო...“ პირველად გამოქვეყნდა თავად კლაისტის მიერ ჟურნალ „ფებუსში“ 1808 წელს. მოქმედება ვითარდება იტალიაში სუვოროვის შეჭრის დროს 1799 წელს. ნოველა გამოირჩევა რთული წინააღმდეგობრივი ხასიათით. ნაწარმოების ცენტრში დგას მოულოდნელი ბეჭთხვევა, რომელიც მკვეთრად ცვლის ადამიანის მთელ ცხოვრებას. მოვლენათა უჩვეულო განვითარება ემსახურება ბედისწერის იმ იდეების განხორციელებას, რომელიც საერთოდ დამახასიათებელია კლაისტისათვის.

სიუჟეტი ნასესხებია მონტენის „გამოცდილებანი“-დან, სადაც ანალოგიური ამბავია მოთხრობილი სოფლის ქვრივზე ბორდოსთან ახლოს და მის მსახურზე, რომელმაც თავისი დიასახლისი ღრმა ძილში იხილა, ვერ გაუძლო ცდუნებას და დაეუფლა მას. მონტენთან ქვრივმა განაცხადება გააკეთა ეკლესიაში, რომ ხელი აქვს, მისთხოვდეს მისი მომავალი შვილის მამას. მსახურმა მოინანია თავისი საქციელი, მათ იქორწინეს და ბედნიერად ცხოვრობდნენ.

როგორც ეანრობრივად, ასევე ენობრივად და აზრობრივადაც სრულიად განსხვავებულ ამპლუაში გვევლინება მწერალი თავისი საქვეყნოდ განთქმული ფილოსოფიური ესეით „მარიონეტული თეატრის შესახებ“. ამ წერილის დიდი მნიშვნელობა პირველად ე. ტ. ჰოფმანმა შეაფასა 1812 წელს, მაგრამ მისი ნამდვილი მნიშვნელობა სწორედ XX ს-ის დასაწყისში გამოვლინდა. რილკე ერთერთ წერილში მას ხელოვნების დიდ ნაწარმოებს (Meisterwerk) უწოდებს, რომელიც თანდათან სულ უფრო გაგვაოცებს. ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი ამბობდა, რომ ასეთი რანგის ფილოსოფიური ნაშრომი არც საფრანგეთში, არც იტალიასა ან ინგლისში და არც სადმე შექმნილა პლატონის მითების შემდეგო. ეს გახლავთ ცხოვრების ამაოებაზე შექმნილი ფილოსოფიური ნააზრევი, სადაც პარალელებია გავლებული მარიონეტების თამაშსა და ადამიანთა ყოფას შორის, და ყოველივე ეს არაჩვეულებრივად სხარტი და საოცარი მიგნებებით.

ჰაინრიხ ფოლ კლაისტმა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი შტრიხებით გაამდიდრა გერმანული ლიტერატურა და ხელი შეუწყო მის შემდგომ განვითარებას.

ნიკოლოზ ბერდიაევი

რუსულიდან თარგმნა და კომენტარები

ლაურაბ ზაურ კიღაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუფლო სულისა და საუფლო კეისრის

განსხეულებული შესავალი

ბრძოლა ჭეშმარიტებისათვის

*

ჩვენს ეპოქაში ჭეშმარიტება[1] არ უყვართ და არც ეძებენ. ჭეშმარიტებას სულ უფრო და უფრო ცვლის სარგებელი და ინტერესი, ლტოლვა ძალამოსილებისაკენ. ჭეშმარიტება რომ არ უყვართ, ამისი მიზეზი მხოლოდ ნიჰილიზმი და სკეპტიკური დამოკიდებულება არ არის, არამედ ისიცაა, რომ მას ცვლის რაღაც რწმენა და დოგმატიკური მოძღვრება, რომლის გულისთვისაც მიმართავენ სიცრუეს და სჯერათ, ეს ბოროტება კი არ არის, სიკეთეა. გულგრილობა ჭეშმარიტებისადმი ადრევეც განისაზღვრებოდა დოგმატიკური რწმენით, რომლის გამოც შეუძლებელი იყო ჭეშმარიტების თავისუფალი ძიება. ევროპულ სამყაროში მეცნიერება ვითარდებოდა ვითარცა ჭეშმარიტების თავისუფალი კვლევა-ძიება, დამოუკიდებლად მისი სარგებლისა და მოხმარების. მაგრამ მეცნიერებაც თანდათანობით გადაიქცა ანტირელიგიურ დოგმატიკურ მოძღვრებათა იარაღად, ასე, მაგ., მარქსიზმისა ან ტექნიკური ძალამოსილობის. თუ ჩვენი მეცნიერება გამოირჩევა სიცრუით, ეს სიცრუე ფრიად ღირსშესანიშნავია. სიცრუის დამკვიდრება ხდება ვითარცა წმინდა მოვალეობა მაღალი მიზნების მოსაპოვებლად. ბოროტების გამართლება ხდება სიკეთის სახელით. ეს, რაღა თქმა უნდა, არ ახალია. ისტორიას ყოველთვის უყვარდა ბოროტების გამართლება თავისი უმაღლესი მიზნების მოსაპოვებლად (გონების მზაკვრობას ეძახდა ამას ჰეგელი). მაგრამ ჩვენს დროს ეს ყოვლისმომცველი შეიქმნა, ფილოსოფიურად საკმაოდ ახალი ის არის, რომ შერყეულია თავად ჭეშმარიტების იდეა. მართალია, ამ მხრით ჭეშმარიტების უარმყოფელთა წინამორბედები ძველი სოფისტები იყვნენ, მაგრამ ისინი სულ მალე დაამარცხეს პლატონმა, არისტოტელემ, პლოტინმა, ე. ი. ხსენებული დამარცხება მოხდა ბერძნული აზროვნების მწვერვალზე. პოზიტივისტთა და ემპირიკოსთა შეხედულებები იყო წინააღმდეგობრივი და განუსაზღვრელი, მაგრამ, არსებითად, ისინიც აღიარებდნენ მის უეჭველობას, ისევე, როგორც ამის საპირისპირო ფილოსოფიური მიმდინარეობანი, რომელთათვისაც ჭეშმარიტება იყო აბსოლუტური. ჭეშმარიტების ძველი განზომილება შეირყა პრაგმატულ ფილოსოფიაში, მაგრამ არ გამოირჩეოდა რადიკალურობით და ჰქონდა წარმავალი

---

[1] კომენტარები იხ. ამ ნაწილის ბოლოს.

მნიშვნელობა. ჭეშმარიტებამ გაცილებით დიდი რყევა განიცადა მარქსთან და ნიცშესთან, თუმცა ეს რყევა იმათთან სულ სხვადასხვა მიმართულებით ხდებოდა. მარქსი ამტკიცებდა ჭეშმარიტების ისტორიულ რელატივიზმს ვითარცა კლასთა ბრძოლას დიალექტიკის ნიადაგზე, რომელიც მან ჰეგელისგან აიღო. მარქსისტების მიერ პრაქტიკულად ფართოდ გამოყენებული დიალექტიკური სიცრუე დიალექტიკური მატერიალიზმითაა გამართლებული, რომელიც, თუმცა დიდ წინააღმდეგობაშია თავისივე ფილოსოფიურ საფუძვლებთან, აღიარებულია ვითარცა საბოლოოდ მოპოვებული აბსოლუტური ჭეშმარიტება. მარქსისტების მიერ მიკვლეული ჭეშმარიტებისადმი დოგმატიკური დამოკიდებულება არსებობს, რაიც მოგვაგონებს კათოლიკური ეკლესიის დამოკიდებულებას თავიანთი დოგმატიკური ჭეშმარიტებისადმი. მაგრამ მარქსისტული ფილოსოფია praxis[2] ფილოსოფიაა და თავისი ჭეშმარიტება გამოყენებული აქვს ვითარცა იარაღი რევოლუციური პროლეტარიატის ბრძოლისა, რომელსაც სხვა ჭეშმარიტება აქვს, ვიდრე ბურჟუაზიულ კლასებს, მაშინაც კი, როდესაც საუბრობენ საბუნებისმეტყველო ჭეშმარიტებაზე. ნიცშემ გაიგო ჭეშმარიტება ვითარცა გამოხატულება ბრძოლისა ძალამოსილების ნებისთვის, მისი აზრით, ეს არის ქმნადი ღირებულება და ჭეშმარიტება ემსახურება ზეკაცთა რასის ჩამოყალიბებას. სიცოცხლის ირაციონალური ფილოსოფია, არსებითად, არ არის დაინტერესებული ჭეშმარიტებით, მაგრამ ამ ფილოსოფიაში ჭეშმარიტების გარკვეული წილია, იმ ჭეშმარიტებისა, რომლის შემეცნება სიცოცხლის ფუნქციაა. ეგზისტენციალური ფილოსოფია უფრო საინტერესოა, რადგან მომავლითაა ორსული და მიელტვის არა ჭეშმარიტების ძველ ობიექტივისტურ გაგებას, არამედ სუბიექტურ-ეგზისტენციალურს. მაგრამ ეს ჭეშმარიტების უარყოფას არ ნიშნავს. კერკეგორის მიხედვით, სუბიექტურსა და ინდივიდუალურშია აბსოლუტური ჭეშმარიტება. ეგზისტენციალური ფილოსოფიის უახლესი მიმდინარეობანი ჭეშმარიტებასთან მიმართებებით ძალიან წინააღმდეგობრივია. ჰეიდეგერი, ვისაც ეგზისტენციალურ ფილოსოფოსად ვერ ვაღიარებთ, ჭეშმარიტებისადმი მიძღვნილ თავის ბროშურაში მიელტვის ჭეშმარიტების ონტოლოგიურ და ობიექტივისტურ გაგებას. მაგრამ ჭეშმარიტების კლასიკური გაგება ახალი ტერმინოლოგიითა გამოხატული და თავისებური და უფრორე დახვეწილი ხასიათისაა, ბოლოს და ბოლოს მასთან გაუგებარია, რად შეუძლია ადამიანს (Dasein) ჭეშმარიტების შეცნობა. თავისუფლებაზე დაყრდნობილი ჭეშმარიტება ეწინააღმდეგება ჭეშმარიტების ონტოლოგიურ გაგებას, რომელთანაც სიმძიმის ცენტრი არსის თანდათანობითი გამომზეურებაა. ეგზისტენციალებისგან განსხვავებით ჰაიდეგერი თუმცა ახლებურად გამოხატულს, მაგრამ მაინც იზიარებს ჭეშმარიტების ძველ გაგებას. ფილოსოფოსთა ფართო გულუბრყვილო წრეში ზეიმია რელატივიზმისა და ისტორიზმის, რომელშიც სიმართლის გარკვეული წილია ჭეშმარიტების ძველ სტატიკურ გაგებასთან შედარებით, მაგრამ ამავე დროს ოდინდელი სიცრუის კიდევ უფრო მეტი წილიცაა. ისტორიზმს არ ძალუძს გაიგოს ისტორიის აზრი, რადგანაც საერთოდ აზრის უარმყოფელია. ჩვენს დროს ასე გაბატონებულ პოლიტიკაში ჩვეულებრივ ჭეშმარიტებასა და სიცრუეზე,

სიკეთესა და ბოროტებაზე კი არ ლაპარაკობენ, არამედ „მემარჯვენეობაზე“ ან „მემარცხენეობაზე“, „რეაქციონერობაზე“ ან „რევოლუციონერობაზე“, თუმცა ასეთი კრიტერიუმი ყოველგვარ აზრსაა მოკლებული. იმ ჭაოსს, რომელშიც ახლა ჩაძირულია სამყარო და ამისდა კვალად აზრიც, კი უნდა მივეყვანეთ იმ გაგებამდე, რომ არსებობს შეუმუსრავი კავშირი ჭეშმარიტებისა და ლოგოსის, აზრის. დიალექტიკა წარმოუდგენელია, თუ არა გვაქვს აზრი, ლოგოსი, რომელმაც უნდა გაიმარჯვოს დიალექტიკურ განვითარებაში. სწორედ ამიტომაა დიალექტიკური მატერიალიზმი ტერმინების წინააღმდეგობრიობა. რელატიკიზმის მიერ შექმნილი ისტორიული განვითარება შეუძლებელია, თუ არ იქნება ლოგოსი, აზრი ისტორიული განვითარებისა. ხსენებული აზრი არ შეიძლება ჩაჭდეული იყოს თავად განვითარების პროცესში. ჩვენ ვხედავთ, რომ ძველი, სტატიკური, ობიექტური გაგება ჭეშმარიტებისა სიცრუითაა აღბეჭდილი და ამან გამოიწვია ჭეშმარიტების უარყოფა საბოლოოდ. მაგრამ ჭეშმარიტება სუბიექტურ-ეგზისტენციალური, დინამიკური გაგების ხანს მარადიული ხდება და იძენს ახალ აზრს. ბოლოს და ბოლოს დიდ სიღრმეზე საცნაურდება, რომ ჭეშმარიტება, მრთელი ჭეშმარიტება არის ღმერთი, რომ ჭეშმარიტება არ არის თანაფარდობა და იგივეობა, შემმეცნებლის მსჯელობა მომარჯვებული სუბიექტის და ობიექტური რეალობის, ობიექტური ყოფიერების, არამედ შესვლაა ღვთაებრივ სიცოცხლეში, რომელიც სუბიექტისა და ობიექტის მიღმა არსებობს. მეცნიერულ შემეცნებას, ჩვეულებრივ, განსაზღვრავენ როგორც შემეცნებას ამა თუ იმ ობიექტის. მაგრამ ეს განსაზღვრება არ არის ღრმა და ჩვენი ობიექტივირებული სამყაროს პირობებისადმია მისადაგებული, მაგრამ სიღრმეში გარესამყაროს ყველაზე უფრო პოზიტიურ, ზუსტ მეცნიერულ შემეცნებას [illegible] ლოგოსის ანარეკლი სხივი.

ძველი, ტრადიციულ შეხედულებების მიხედვით, არსებობს ობიექტური კრიტერიუმი ჭეშმარიტებისა. ჭეშმარიტება თითქოს ობიექტივისტურობასთან არის გაიგივებული. ჭეშმარიტების ეს ობიექტივისტური გაგება და ჭეშმარიტების შემეცნება დამახასიათებელია არა მარტო ეგრეთ წოდებული გულუბრყვილო რეალიზმისთვის, რომელსაც უარყოფს შეტი ნაწილი ფილოსოფიური მიმდინარეობებისა. უფრო გავრცელებულია ის მოსაზრება, რომ შემეცნება შესაბამისია თანდათანობით გამომზეურებული ობიექტური რეალობისა. კანტის კრიტიკა უარყოფს ადგვარ ობიექტივიზმს და ჭეშმარიტებას ხედავს გონების თავის თავთან შესაბამისობაში, ის განისაზღვრება გონების კანონებთან დამოკიდებულებით და აზრთა შორის ერთმანეთთან შეთანხმებით. მაგრამ კანტი მაინც იზიარებს ობიექტივიზმს, საერთო ვალდებულებას, რომელიც ტრანსცენდენტურ გონებასთან არის დაკავშირებული. სუბიექტურისა და ობიექტურის ცნებანი კანტთან წინააღმდეგობრივია და არ არის საკმარისად გამომზეურებული. ვინდელბანდის, რიკერტისა და ლასკის ნეოკანტიანური სკოლების მიხედვით, ჭეშმარიტება ფასეულობაა, მაგრამ არასწორადაა განმარტებული და დაჰკრავს არაშემოქმედებითი ნორმატივიზმის ელფერი. ჰუსერლი მიელტვის გონების ობიექტურ იდეალიზმს, თავისებურ პლატონიზმს, რომელიც მოწყვეტილია პლატონისეულ მითებს. ობიექტივიზმის მე-

უფებას, რეალისტური თუ იდეალისტური ფორმით, მუსრავს მხოლოდ ეგზისტენციალური ფილოსოფია, თუმცა კი სხვადასხვა მიმართულებას ღებულობს და შეუძლია ობიექტივიზმის ახალი ფორმით გამოგვეცხადოს, ასე, მაგ., როგორც ეს პაიდეგერთანაა ძველი ტერმინოლოგიის განთავისუფლების ხანს. მხოლოდ კირკეგორთან არის ჭეშმარიტება სუბიექტურობასა და ინდივიდუალობაში, თუმცა კი ეს მოსაზრება არაა ფილოსოფიურად დამტკიცებული. პირველადვე ეს უნდა ვთქვათ, ჭეშმარიტება არ არის შესაბამისობა შემმეცნებელში ობიექტურად მოცემული რეალობისა. არასდროს არც არავის აუხსნია თუ როგორ შეუძლია ყოფიერების რეალურობას გადავიდეს შემეცნების იდეალურობაში. როდესაც მე ვამბობ, ჩემ წინ მაგიდაა, ესე იგი, რაღაც კერძო რეალობაა, მაგრამ არ არის შესაბამისობა ამ მაგიდასა და ჩემს მტკიცებას შორის, რომ ეს მაგიდაა. ამ მოკრძალებულ ცნობას მაგიდის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, პრაგმატული მნიშვნელობა აქვს. არსებობს ჭეშმარიტების შემეცნების საფეხურები დამოკიდებული ადამიანთა ერთობლიობის საფეხურებსა და საერთოდ სამყაროსთან მათ ერთობლიობაზე. მაგრამ ჭეშმარიტება არ არის ასევე შესაბამისობა გონებისა თავის თავთან და თავის საერთო ვალდებულების კანონებთან. ჭეშმარიტებას, რომელსაც უნდა დაექვემდებაროს ყოველი კერძო ჭეშმარიტება, არა განყენებულ-გონებრივია, არამედ სულითაა ცხებული. სული კი სუბიექტისა და ობიექტის რაციონალიზირებული დაპირისპირების მიღმაა. ჭეშმარიტება არ არის აზრის ცხრაკლიტულში ყოფნა, არც გონების გამოუვალ მორევში ტრიალი, ის არის ცხრაკლიტულის გახსნა და გამომზეურება. ჭეშმარიტება ობიექტური კი არა, ტრანსსუბიექტურია. შემეცნების მწვერვალზე ჩვენ ავალთ არა ობიექტივაციის, არამედ ტრანსცენდენტურობის გზით. საშუალო ნორმალური ცნობიერება შეგუებულია სამყაროს ობიექტივისტურ მდგომარეობას და შემეცნების ლოგიკური საერთო ვალდებულება სოციოლოგიური ხასიათისაა. მე არაერთხელ ვწერდი, რომ შემეცნება ადამიანების სულიერ ერთობლიობაზეა დამოკიდებული. მაღალი საფეხურის სულიერი ერთობლიობის ადამიანების წინაშე გამომზეურდება ჭეშმარიტება, რომელიც ობიექტურია, უფრო სწორად, ობიექტური სამყაროს ტრანსცენდენტირებაა. ის, რასაც „ყოფიერებას" უწოდებენ, არ არის საბოლოო სიღრმე. ყოფიერება უკვე რაციონალური აზრის პროდუქტია და დამოკიდებულია გონების მდგომარეობასა და სამყაროს მდგომარეობაზე. ყოფიერება უფრორე ღრმა სულიერი არსებობაა, ანუ სულიერი ცხოვრებაა, რომელსაც მიეკუთვნება პრიმატი ყოფიერებაზე. მრთელი ჭეშმარიტება სამყაროს გამოსახულება ან რეალობა კი არ არის, არამედ სამყაროს აზრის ზეობაა. აზრი არ არის ლოგიკის ზეობა, რომელიც მისადაგებულია სამყაროს დაცემულობასთან და რომელიც ლოგიკური კანონების, უპირველეს ყოვლისა, იგივეობის კანონების მარწუხებშია მოქცეული. ღვთაებრივი ლოგოსი ზეიმობს ობიექტური სამყაროს უაზრობაზე. ჭეშმარიტება სულის ზეიმია. მრთელი ჭეშმარიტება არის ღმერთი, და სხვები ამ მრთელი, ღვთაებრივი, ლოგოსით ცხებული ჭეშმარიტებისა ადგას მეცნიერულ, კერძო შემეცნებასაც, რომელიც მიმართულია სამყაროს მოცემული ობიექტური სინამდვილისკენ. ჭეშ-

მარიტების გამომზეურება არ არის სულის შემოქმედების აქტი ობიექტური სამყაროს მონობის მძლეველი. შემეცნება აქტიური პროცესია და არა პასიური. ფენომენოლოგია, არსებითად, მოითხოვს შემეცნებლის პასიურობას და აქტიურობას თვლის ფსიქოლოგიზმად. აი, რატომაა ჰუსერლის ფენომენოლოგია არასასურველი ეგზისტენციალური ფილოსოფიისთვის. შემეცნების შემოქმედებითი აქტიურობა სულაც არ არის იდეალიზმი, უფრო პირიქითაა.

ჭეშმარიტების შემეცნება არ არის რაციონალური ცნებების გამომუშავება. უპირველეს ყოვლისა, შეფასებაა. ჭეშმარიტება არის სინათლე ლოგოსისა, თავად ყოფიერებაში სხივების მომფენელი; ტრადიციულ ტერმინოლოგიის თუ მოვიშველიებთ, ან არსებობის სილრმეში, ან სიცოცხლეში. ერთიანი, მრთელი ჭეშმარიტება მრავალ ჭეშმარიტებადაა დაშლილი. სფეროს, ერთი სინათლის სხივით განათებულს (ცალკეულ მეცნიერებას), შეუძლია უარყოს სინათლის წყარო, ლოგოსი — მზე, მაგრამ უამწყაროდ ვერ განათდებოდა. შემეცნების სხვადასხვა სფეროს შემმეცნებლები აღიარებენ ლოგიკასა და მის კანონებს, რომელიც უკვდავია მათი აზრით, მაგრამ შეუძლიათ უარყოფა ლოგოსის, მრთელი სულიერი გონება-სიტყვისა. თუ ლოგიკის კანონები, იგივეობის კანონი და კანონი მესამის გამორიცხვისა ნიშნავს აუცილებელ შეგუებას ჩვენი დაცემული სამყაროს პირობებში, სული იმ სფეროშია, რომელიც ლოგიკური კანონების მიღმაა, მაგრამ სულში ლოგოსის სინათლეა. მე უკვე მრავალგზის ვწერდი, ლოგიკური საერთოვალდებულება სოციოლოგიური ხასიათისაა და ამ საერთოვალდებულებისა და დამაჯერებლობის საფეხურების სულიერი შესაბამისობის შესახებ, ნათქვამის გამეორება ახლა არ მინდა. მაგრამ აი რისი წარმოჩენაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. არც მატერიალიზმს, არც ფენომენოლოგიას (პოზიტივიზმს, სხვადასხვა ტიპის მიხედვით), არც ჰაიდეგერის ტიპის ეგზისტენციალიზმს არ ძალუძს ჭეშმარიტების პრობლემის წარმოშობის დასაბუთება. ახლა ძალიან მნიშვნელოვანია ჰაიდეგერი. სრულიად გაუგებარია, როგორ შეუძლია ადამიანს (Dasein) სამყაროს სიმდაბლეზე ამაღლება, გამოვიდეს Das Man-ის სამეფოდან. ამისათვის ადამიანში უნდა იყოს უმაღლესი საწყისი, მისი ამმაღლებელი სამყაროს სიმდაბლეზე. ანტირელიგიური ტიპის ეგზისტენციალისტები ისეთი მდაბალი წარმოდგენისა არიან ადამიანზე, ხედავენ მას მხოლოდ და მხოლოდ ქვეენა საწყისის მონა-მორჩილს, რომ გაუგებარი ხდება თავად შემეცნების პრობლემის წარმოჩენა, ჭეშმარიტების გასხივციერვნება. რასაც არ უნდა ვფიქრობდეთ ადამიანზე, ჩვენ ვართ იმის მოწმე, რომ ადამიანი კიდევაც იმეცნებს ჭეშმარიტების ნათელს და კიდევაც ეცემა შეცნობათა და ცდომილებათა სიბნელეში. რადაა შესაძლებელი შემეცნების ტრაგედია, ყოველთვის რად არ გვინათებს ლოგოსის სინათლე ადამიანის შემეცნების გზა-სავალს, იგი სომ სულიერი არსებაა და უნდა ჰქონდეს ზეობა სამყაროზე. შემეცნება არ არის ინტელექტუალური პროცესი, მასში მოქმედებს ყოველი ძალა ადამიანისა, მისი ნებელობითი არჩევანი, ჭეშმარიტებასთან მიახლოება და დაცილებაა. დეკარტს ესმოდა შეცდომების დამოკიდებულება ნებაზე. სრულიად მცდარია პრაგმატიზმის შეხედულება, რომ ჭეშმარიტება იქნებ საზიანოც იყოს ყოველდღიური ცხო-

ვრების მოსაწყობად. ქრისტიანული ჭეშმარიტება შეიძლება ძალიანაც საშიში ყოფილიყო, შეიძლება მას დაენგრია კიდევაც სახელმწიფოები და ცივილიზაციები; და ამიტომ, ქრისტიანობის წმინდა ჭეშმარიტება მიესადაგა ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას და დამახინჯდა, შესწორდა ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ საქმე, როგორც ამბობდა დოსტოევსკის ᲓᲘᲓᲘ ᲘᲜᲙᲕᲘᲖᲘᲢᲝᲠᲘ. ᲗᲣᲙᲘ ჩვენ ამის გვჯერა, ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐ გადაგვარჩენს, ოღონდ სულ სხვანაირად. ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ მიმართებით ხდება დაყოფა „ღმერთისა“ და „კეისრის“, სულისა და სამყაროსი. მაგრამ სხვა მხრივ, იმ ზუსტ მეცნიერებაში, რომელიც სამყაროს ბუნებას შეისწავლის, ჩვენ ახლა მეცნიერების ნამდვილი ტრაგედიის მოწმენი ვართ. XX საუკუნის ფიზიკისა და ქიმიის დიდი აღმოჩენებით ტექნიკის თავბრუდამხვევ წარმატებას ვაღწევთ. მაგრამ ხსენებული წარმატება სიცოცხლეს განადგურებას უქადის და ემუქრება თავად ადამიანის ცივილიზაციის არსებობას. ეს მოგვიტანა ატომის გახლეჩამ და ატომური ყუმბარის გამოყენებამ. მეცნიერება ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡ თუ არა, ჭეშმარიტებათა აღმომჩენია, ხოლო თანამედროვე სამყარო სულ უფრო და უფრო ბნელში ეშვება. მრთელ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ადამიანი ვერ ხდება წილნაყარი, ცალკეულ ჭეშმარიტებათა შეცნობა კი მას ვერ შველის. სამყაროს ორად ცრუ განაწილებისას, რაც სათავეა არაჩვეულებრივი სიცრუისა, მეცნიერული აღმოჩენები და ტექნიკური გამოგონებანი სულ ახალი და ახალი ომების საშიშროებას შეიქმს. ქიმიკოსებს შეეძლოთ უანგაროდ აღმოეჩინათ ჭეშმარიტება, თუნდაც ნაწილობრივი, მაგრამ მიიღეს ატომური ყუმბარა, რომელიც დაღუპვით გვემუქრება. ეს ხდება კეისრის საუფლოში. გადარჩენა შეუძლია მხოლოდ მრთელი ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡ სინათლეს, რომელიც ᲡᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲤᲚᲝᲡ გაგვიხათებს.

ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲝᲑᲐ

თუკი ჩვენ უარვყოფთ ეგრეთწოდებულ ობიექტური ჭეშმარიტების კრიტერიუმს გულუბრყვილო რეალიზმის მხრითაც, რაციონალური რეალიზმის მხრითაც, ტრანსცენდენტურ-კრიტიკული იდეალიზმის მხრითაც, სულაც იმიტომ კი არა, რათა ღრმა რეალურობის საპირისპიროდ დავამკვიდროთ ნებისმიერი „სუბიექტურობა“, „ფსიქოლოგიზმი“, როგორც ამას ჰუსერლისთან ვხედავთ, ღრმა რეალურობა სუბიექტურობაშია, იმ სუბიექტურობაში, ობიექტივაციის მიღმა რომ არის. ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐ სუბიექტურია და არა ობიექტური. ობიექტურობა ხდება აუცილებლობის სამყაროს, „კეისრის“ საუფლოს შესაბამისად, იმასთან შეგუებით, რომ მოცემული სამყარო ასე ცუდად და მრავალმხრივ დანაკუწებულია. „სუბიექტურობა“ საპირისპიროა ჭეშმარიტებისა და ღრმა რეალურობის, „სუბიექტურობა“ დახშულია, ტრანსცენდენტურობის უნარსაა მოკლებული, საკუთარი თავიდან გამოსვლა სწორედ გარედან განსაზღვრულობაა. თავის თავში გამოკეტილი ადამიანი არათავისუფალი არსებაა, სიღრმით არ განისაზღვრება, არამედ გარესამყაროსეული აუცილებლობით, სადაც ყველაფერი დაფლეთილია, მტრულადაა ერთმანეთის მიმართ განწყობილი, სიღრმიდან ამოვარდნილია, ე. ი. არც არის სულიერი. როდესაც ეგზისტენციალისტები ჰაიდეგერი, სარტრი და სხვანი ამბობენ, ადამიანი (Dasein) შემოგდებულია სამყაროში და კიდევაც განწირულია ამ სამყაროშივე, ისინი გულსხმობენ იმ

ობიექტივირებას, რომელშიც ადამიანის ბედი ჩიხშია მოქცეული, ამოგდებულია ღრმა რეალურობიდან. ამის შესახებ თითქმის შეუძლებელია კამათი, საბოლოოდ თავისუფალი არჩევანისაა ეს საქმე, მე არც შემიძლია ასეთ ფილოსოფიას ეგზისტენციალური დავარქვა, რადგანაც ის ობიექტურობის ტყვეობაშია. ხსენებული ფილოსოფიის განსხვავება ძველ კლასიკურ ონტოლოგიურ ფილოსოფიასთან ის არის, რომ ეს ახალი მიმდინარეობა თვლის, სამყარო უაზრობასთანაა წილნაყარი, ხოლო იმ ძველთა მიხედვით კი, თავიდათავი იყო ობიექტურობა გონებისა და ყოფიერების არსის. ეს არის ფილოსოფიური აზროვნების ძალიან სერიოზული კრიზისი. მაგრამ ის პირველი და მეორე მიმართულებაც რჩება ობიექტურობის ტყვეობაში, ობიექტივირება ქმნის სხვადასხვა სამყაროს, რომელსაც აქვს დიდი თუ მცირე ხარისხის რეალურობა ან მოჩვენებითობა. შეცდომაა ის აზრი, რომ კაცობრიობა ცხოვრობს ერთი და იგივე ობიექტურ, გარედან მოცემულ სამყაროში. ადამიანი ცხოვრობს, მეტწილად ფიქტიურ სამყაროში, რომელიც, თუკი ცალკ-ცალკე ავიღებთ, არც არის შესაბამისი რთული და მრავალფეროვანი სინამდვილისა. ფიქტიურობისა და ფანტასმაგორიულობის წილი განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ იმ ხარისხის მიხედვით, თუ რამდენადაა მიმართული ერთისკენ, რომელსაც გამოდევნილი აქვს სხვა დანარჩენი. სამყაროს აღქმაში უნივერსალიზმი ძალიან იშვიათი მოვლენაა. სხვადასხვა სამყაროში ცხოვრობენ კულტისა და თეოლოგიის მსახურნი, მეცნიერები და გამომგონებლები, პოლიტიკური მოღვაწეები, სოციალური რეფორმატორები და რევოლუციონერები, მწერლები და ხელოვანნი, საქმოსნები, სამეურნეო მუშაკნი და ა. შ. ამ ადამიანებს ხშირად არც ძალუძთ ერთმანეთის გაგება. სამყაროს აღქმა, აგრეთვე, დამოკიდებულია ადამიანთა რწმენასა და იდეოლოგიურ მიმართულებაზე. კათოლიკეს აღქმა სულ სხვაა და მარქსისტის სულ სხვა, ასევე ლიბერალისა და სოციალისტის, მატერიალისტის ან სპირიტუალისტის და ა. შ. კლასთა მიხედვითაც სამყაროს აღქმა არ არის ერთნაირი, კაპიტალისტს თავისი შეხედულება აქვს, მუშას ან ინტელიგენტს თავ-თავისი. ადამიანები უფრო ხშირად, ვიდრე ჰგონიათ, ცხოვრობენ აბსტრაქციების, ფიქციებისა და მითების საუფლოში. ყველაზე უფრო რაციონალური ადამიანებიც მითებით ცხოვრობენ. თავად რაციონალიზმიც ერთ-ერთი მითთაგანია. რაციონალური აბსტრაქცია სულ ადვილად გარდაისახება მითებად. ასე, მაგალითად, მარქსიზმიც მითებად გარდასახული აბსტრაქციებითაა სავსე. ადამიანის ცნობიერება მოძრავია, ხან ვიწროვდება, ხან ფართოვდება, ხან ერთზე აქვს შეჩერებული ყურადღება, ხან გაფანტული აქვს. საშუალო ნორმალური ცნობიერება ერთ-ერთი აბსტრაქციაა. გონების რაციონალურობაც ერთ-ერთი მითთაგანია. ყოველგვარი რწმენის უარყოფა, უმაღლესი, სულიერი, ღვთაებრივი სამყაროს განქიქება, ყოველგვარი სასოების უკუგდება თითქოსდა გმირობა და უშიშობაა, მაგრამ ესენიც ჩვენი დროის ერთ-ერთი მითთაგანია, ერთ-ერთი ხერხთაგანია თავის დამშვიდებისა. ადამიანი არის არაცნობიერად მზაკვარი არსება და ვერ არის მთლად „ნორმალური", სულ ადვილად ატყუებს თავსაც და სხვასაც, უფრორე მეტად კი საკუთარ თავს. ცნობიერების მიმართულებისდა კვალად განსაკუთრებული მსო-

ფლმხედველობის, სწორად ილუზიორული მსოფლმხედველობის შექმნას პრაგმატისტული სასიათი აქვს, რაც არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი რეალურობის შეცნობისას.

XIX საუკუნის 70-იან წლების რუსი სოციოლოგები, რომლებიც სოციოლოგიურ მეცნიერებებში აკრიტიკებდნენ ნატურალიზმს, თავის მხრივ სოციოლოგიაში ამკვიდრებდნენ.[3] სოციოლოგიაში კლასობრივი ლაიმსახურეს კიდევაც ამით მარქსისტების დაცინვა. ხსენებული მარქსისტები თავიანთ თავს, თუმცა მცდარად, ობიექტივისტებად თვლიდნენ. სოციოლოგიაში კლასობრივი შეხედულება ასევე სუბიექტივისტური მეთოდია. სოციოლოგიაში რუს სუბიექტივისტებს ფილოსოფიურად არ შეეძლოთ დაესაბუთებინათ თავიანთი შეხედულება, რადგანაც პოზიტივისტები იყვნენ, მაშინ კი პოზიტივიზმი იყო გაბატონებული. მაგრამ სოციოლოგიაში სუბიექტური მეთოდის მხარეზე უდავო ჭეშმარიტება იყო. უფრო მეტიც, საერთოდაც შეიძლებოდა ფილოსოფიაში სუბიექტივისტური მეთოდის დამკვიდრება. ეგზისტენციალისტური ფილოსოფია არის სუბიექტივისტური მეთოდი ფილოსოფიაში, ისინი ამტკიცებდნენ სამყაროს შემეცნების შესაძლებლობას ადამიანურ არსებობაში და ადამიანის არსებების მეშვეობით, ის ანტროპოცენტრულია. ამას ფსიქოლოგიზმს უწოდებენ და სრულიად უსაფუძვლოდაც უარყოფენ. ფსიქოლოგიზმი ნატურალისტურ მიმართულებად რჩება. საკმაოდ დასაბუთებულად ამისთვის უკვე ეთიციზმი შეურქმევიათ, მაგრამ ეს არ არის სწორი. ეთიციზმი არ არის მრთელი, ინტეგრალური შეხედულება, რომელიც სულიერია და ადამიანის არსებობის ხანს წარმოჩენილი სულიერების სიღრმიდან სჯის. სული სუბიექტივიზმისა და ობიექტივიზმის შესახებ ჩვეულებრივი კამათის მილმაა. შეფასება არის შემეცნების გზა ეგრეთწოდებული სულის მეცნიერებებისა, მაგრამ ეს შეფასება სულზე, ნიმოქმედებს და არა ობიექტივაციის სფეროზე, რომელიც არსებობს არა მარტო ბუნებრივ მოვლენებში, ფსიქიკურ და სოციალურ მოვლენებშიც. ისტორიული სამყარო, ანუ, უფრო სწორად, ისტორიული სამყაროები, რომლებიც ობიექტიდან შეიმეცნება, უკვე ობიექტივაციასთანაა წილნაყარი. ისტორიის ჭეშმარიტი ფილოსოფია, რომელიც განთავისუფლებულია ობიექტივაციისაგან, მესიანური და პროფეტიულია, ე. ი. სულიერია. სულიერ, ღრმა ეგზისტენციალურ შემეცნებაში ისსნება ჭეშმარიტება და აზრი, ობიექტურმა შემეცნებამ იცის მხოლოდ საუფლო კეისრის და არ იცის საუფლო სულისა. საკითხავი აქ ეს არის, არსებობს თუ არა ნამდვილი, არა ობიექტური, არა ილუზიორული და არა ფიქტიური რეალობა? არსებობს, რა თქმა უნდა, მაგრამ ის არა „ობიექტურია", და არც „სუბიექტურია" ამ სიტყვების ცუდი გაგებით, ის არის სუბიექტისა და ობიექტის უკვე მეორეული განაყოფის მხარეს, ინდური ტერმინოლოგიით ეს არის ატმანი და ბრაგმანი. ამ რეალობას ყველა ვარაუდობს, ეროვნულისდაც ჩვენ გადაშვებული ვართ ილუზიორულ საუფლოში, „ობიექტივაციის" ფაქტუმებში, ვმორჩილებთ მოჩვენებით ობიექტურ ძალაუფლებას, რაიც არის კიდევაც სუბიექტივიზმი ამ სიტყვის ცუდი გაგებით. ჩვენ მნიშვნელოვანწილად ვცხოვრობთ ილუზიების სამყაროში, „ობიექტურში", რომელიც შექმნა არასწორი მიმართულებით მიმავალმა, ობიექტური აუცილებლობის მონობაში მოხვედ-

რილმა სუბიექტმა. ყოველი რელიგია იბრძოდა ამ მონობის წინააღმდეგ და მერე თავადაც შექმნეს ობიექტივაციის ახალი მონობა, საფუძვლად იმ ფილოსოფიისა, რომელიც სულის საუფლოს მიეკუთვნება და არა კეისრის საუფლოს, ძევს განცდილი სულიერ-რელიგიური გამოცდილება და არა მარტო კირკეგორისა და ნიცშეს გამოცდილება, როგორც ეს იასპერს უნდოდა. მე სულაც არ მინდა ამით უარვყო კირკეგორისა და ნიცშეს უდიდესი მნიშვნელობა.

ახალი ფორმაციის ეგზისტენციალისტებს შეუძლიათ თქვან, რომ ჩემი ფილოსოფიური მოსაზრება ითვალისწინებს ღმერთის მითს და სულის მითს, დაე ეს მითებად მონათლონ. ეს მე ნაკლებად მაწუხებს. ეს არის მითთაგან ყველაზე უფრო უნივერსალური და მრთელი. მთავარი ისაა, რომ ეს არის, აგრეთვე, მითი ჭეშმარიტების არსებობის შესახებ, ყოველისოდაც ძნელია რაიმე ჭეშმარიტებაზე საუბარი, არა მარტო ჭეშმარიტებაზე, არამედ ჭეშმარიტებებზეც. მითის რეალურობა ღმერთზე, სულზე, ჭეშმარიტებაზე არ შეიძლება დავამტკიცოთ და არც არის საჭირო. ეს საბოლოო არჩევანის საქმეა და თავისუფლებას გულისხმობს. საფუძველი მაქვს საკუთარ თავს ეგზისტენციალისტად ვთვლიდე, თუმცა მნიშვნელოვანწილად შემიძლია ჩემს ფილოსოფიას სულის ფილოსოფია დავარქვა და კიდევ უფრო მეტად ესქატოლოგიურ ფილოსოფიად მივიჩნიო. მაგრამ ახლანდელი ეგზისტენციალისტებისაგან ჩემი რადიკალური განსხვავება ეს არის, ისინი ფიქრობენ, რომ ადამიანის ღირსებაა უშიშრად შეეგებონ სიკვდილს ვითარცა საბოლოო ჭეშმარიტებას. ადამიანი ცხოვრობს იმიტომ, რათა მოკვდეს, მისი სიცოცხლე სიკვდილისკენ მიმავალი გზაა. ჯერ კიდევ ფროიდი ამბობდა, სიკვდილის ინსტიქტი ყველაზე ძლიერია ადამიანში, რომლის შესახებაც ძალიან ცუდი წარმოდგენა ჰქონდა ჰაიდეგერის მიხედვით, [illegible] ოუკი რამაა ამაღლებული Das Man-ის სიმდაბლეზე, მხოლოდ სიკვდილია ჭეშმარიტად. ე. ი. ამ მოვლენაში ის უფრო დიდ სიღრმეს ხედავდა, ვიდრე სიცოცხლეში. ადამიანი სასრულის მქონე არსებაა, ესასრულობასთან ის წილნაყარი არ არის და სიკვდილი იმის სტრუქტურას მიეკუთვნება. სარტრი და სიმონ დე ბოვუარი განწყობილნი არიან სიკვდილი სიკეთედ მიიჩნიონ. ჩემის აზრით, ხსენებული თანამედროვე მიმართულება სულის დამარცხება, დაცემა და სიკვდილის თაყვანისმცემლობაა. ნამდვილად, ადამიანის ღირსება სიკვდილთან უშიშრად მიგებებაა, ამ სამყაროში სიკვდილთან თავისუფლად შეყრაა, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს სიკვდილზე საბოლოო გამარჯვების სახელით, იმისთვის, რათა არ იყოს სიკვდილის ზეობა. ყველა რელიგია იბრძოდა სიკვდილის წინააღმდეგ. ქრისტიანობა ხომ, ძირითადად, აღდგომის რელიგიაა. იმ თანამედროვე მიმართულებას, რომლის მიხედვითაც, სიცოცხლის საბოლოო სიტყვა სიკვდილის ზეობაა, უნდა დავუპირისპიროთ ნ. ფიოდოროვის, სიკვდილის წინააღმდეგ ამ დიდი მებრძოლის, ძალიან რუსული აზრები. ის არა მარტო აღიარებდა აღდგომას, არამედ აქტიურ აღდგომასაც. მარქსისტებზე მაღლა ეგზისტენციალისტები დგანან, რადგან მათთვის ასე თუ ისე მაინცაა სიკვდილის პრობლემა, რაიც მარქსისტების მიხედვით არც არსებობს. მარქსისტებისთვის კოლექტივში დანთქმა და აქტიურობა სპობს თავად სიკვდილის

საკითხს, მაგრამ ასეთი მოსაზრების მიუხედავად, იმათთან, რაც უნდა იყოს, ან არის სიკვდილის გაღმერთება. თუკი არ არის აღდგომა და მარადიულ სიცოცხლესთან ზიარება ყველა იმათი, ვინც ამ ქვეყნად მოვლენილი იყო, მაშინ არც უკვდავებაა და სამყარო უაზრო და აბსურდულია. დღევანდელი ეგზისტენციალისტები ხედავენ სამყაროს ხსენებულ აბსურდულობას და უაზროობას. სარტრს სურს გამოსავალი ნახოს ადამიანის თავისუფლების აღიარებაში, რომელიც მისი თავისუფლებით არ განისაზღვრება. ადამიანი მდაბალი არსებაა, მაგრამ თავისუფლების მეშვეობით მას შეუძლია გარდაიქმნას, შეუძლია შექმნას უკეთესი სამყარო. როგორც ჩანს, ამან აიძულა სარტრი ელიარებინა ადამიანში იდეალური, სულიერი საწყისის არსებობა. ამის ელიარებლად ეგზისტენციალისტები მატერიალიზმში, თუმცა კი რაფინირებულ მატერიალიზმში დაინთქმებოდნენ. კი შეიძლებოდა სარტრის, კამიუსა და სხვ. აზრები შეგვედარებინა გერცენის ტრაგიკულ ჰუმანიზმთან. გერცენი ფიქრობდა, რომ სამყარო იყო შემთხვევითი და უაზრო, მაგრამ ადამიანს ვითარცა თავისუფალ არსებას შეეძლო უფრო უკეთესი სამყარო შეექმნა. მაგრამ გერცენს, ისევე როგორც შემდგომ ნიცშეს, რელიგიური გვემა-წამება სჭირდა, რასაც ვერ ვხედავთ ახალი ფორმაციის ეგზისტენციალისტებში. უფრო ღრმა ჭეშმარიტება ის არის, რომ სამყარო არ არის უაზრო და არც აბსურდული, მაგრამ კი იმყოფება აბსურდულ მდგომარეობაში. ეს სამყარო, სამყარო, რომელიც ჩვენ წარმოგვიდგება, არის დაცემული სამყარო, სადაც აბსურდულისა და აზრს მოკლებული სიკვდილის ზეობაა. სხვა სამყარო, სამყარო აზრისა და თავისუფლებისა, მხოლოდ სულიერი ცვლის მეშვეობით გამომზეურდება, ამას კი თანამედროვე ეგზისტენციალისტები უარყოფენ. უკვე ვხედავთ სამყაროს აბსურდულობასა და უაზროობას, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ და ამავე დროს უნდა გვჯეროდეს სულისა, რომელთანაც თავისუფლებაა დაკავშირებული, და აზრის, რომელიც დაამარცხებს უაზროობას და გარდაქმნის სამყაროს. ეს იქნება სულის საუფლოს ზეიმი კეისრის საუფლოზე, ჭეშმარიტების ზეიმი არა მარტო სიცრუეზე, არამედ კერძო, დანაწევრებულ ჭეშმარიტებებზე, რომლებსაც აქვთ პირველობის პრეტენზია.

ჭეშმარიტების ძიებისა და მისადმი სიყვარულზე მაღლა არც არაფერი დგას. ჭეშმარიტება, ერთიანი მრთელი ჭეშმარიტება არის ღმერთი, სოლო ჭეშმარიტების შემეცნება არის ღვთაებრივ ცხოვრებასთან ზიარება. ხუნდებახსნილი, ერთიანი, მრთელი ჭეშმარიტების შეცვლას პატარა კერძო ჭეშმარიტებებით, რომლებსაც უნივერსალური მნიშვნელობის პრეტენზია აქვთ, კერპთაყვანისმცემლობისა და მონობისკენ მივყევართ. ამის ნიადაგზე წარმოიშობა სიენტიზმი, რომელიც სულაც არ არის მეცნიერება. ყოველი კერძო ჭეშმარიტება არის მიახლება, თუმცა კი ქვეშეცნეული, მრთელი, უმაღლესი ჭეშმარიტებისადმი. ჭეშმარიტების შემეცნება არ არის მხოლოდ ადამიანური შემეცნება, მაგრამ არც მხოლოდ ღვთაებრივი შემეცნებაა, როგორც ეს არის, ასე, მაგ., ჰეგელის მონისტურ იდეალიზმში, ის შეიძლება იყოს მხოლოდ ღმერთკაცის[1] შემეცნება. ჭეშმარიტების შემეცნება ადამიანის შემოქმედებითი აქტიურობაა, ხსენებული შემეცნება არის აღბეჭდილი ღვთაებრივი სახითა და მსგავსე-

ბით, ანუ, ღვთაებრივ ელემენტს შეიცავს. ეს ღვთაებრივი ელემენტი არის ღვთაებრივი სხვა. ჭეშმარიტების შემეცნება, რომელსაც მიელტვის ფილოსოფია, შეუძლებელია ცნებების მომშველიებელი განყენებული გონების მეშვეობით, ეს შესაძლებელია მხოლოდ სულიერად მრთელი გონებით, ქმედებით, სულისა და სულიერების გამოცდილების გამოყენებით. დასავლეთევროპული აზრი გაბმულია რაციონალიზმისა და ირაციონალიზმის წინააღმდეგობათა ბადეში, სწორედ ეს არის შედეგი სულიერი მთლიანობის გახლეჩისა. ეგზისტენციალისტური ფილოსოფიაც ამავე ბადეშია გაბმული. განსაკუთრებით ეს ცხადლივ ჩანს იასპერთან. ამტკიცებენ, რომ ფილოსოფური შემეცნება ეგზისტენციალისტური უნდა იყოს, მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგანაც შემმეცნებელ გონებას არ შეუძლია შემეცნება არსებობისა, რომელიც ვერც ვერასდროს იქნება ობიექტი. მაგრამ არსებობს შემეცნება უობიექტივაციოდ სულის მეშვეობით, სულიერი შემეცნებით შესაძლებელი, რომელიც დიდ სიმაღლეზე ყოველთვის ხდებოდა. ჩვენ აქ შეგვიძლია ძველი ინდოეთი გავიხსენოთ. სულიერი შემეცნება არის ღმერთკაცის შემეცნება, შემეცნება არა გონებითა და არა გრძნობით, არამედ მრთელი სულით. ჭეშმარიტების ღმერთკაცური შემეცნების უარყოფის ხანს ჭეშმარიტება სარგებელია, ინტერესია, ძალამოსილებისკენ ლტოლვაა. ჭეშმარიტების შემეცნება არის სამყაროს გარდაქმნა, განათება და არა განყენებული შემეცნება, თეორია და პრაქტიკა ამ დროს ერთმანეთს ემთხვევა. ადამიანში არის აქტიური, შემოქმედებითი საწყისი, რომელთანაც შემეცნებაა დაკავშირებული. ეს აქტიური საწყისი სულიერი საწყისია. შემეცნება შეიცავს თეორიულ ელემენტს, და ადამიანს შეუძლია ეზიაროს სულის საუფლოს და არა მხოლოდ კეისრის საუფლოს. წარსულში რომ ფილოსოფოსები საუბრობდნენ თანდაყოლილ იდეებზე, მაშინ, მათი აზროვნების სტატიკური ხასიათის გამო, კარგად ვერ გამოხატავდნენ ადამიანის აქტიურ სულსა და ადამიანის შემეცნებას. ადამიანის სულის ამ აქტიურობის გაუთვალისწინებლად, ადამიანისას ვერც ვერაფერს გავიგებთ, იმის შესაძლებლობასაც ვერ ჩავხვდებით. საოცარია, ადამიანი არ არის იმდენად დათრგუნული სამყაროს ბედითი უსასრულობით, რომ დაკარგოს ჭეშმარიტების შეცნობის შესაძლებლობა. არა მარტო გულმა, გონებამაც ვერ შეძლო მიეკვლია ჭეშმარიტების შემეცნების შესაძლებლობისათვის, ამის გაკეთება მხოლოდ სულს შეუძლია. ბერძნულად vous არის არა მარტო გონება, არამედ სულიც. სული არ არსებობს რაციონალურისა და ირაციონალურის საპირისპირო მბარეს. ნამდვილი ეგზისტენციალური ფილოსოფია არის სულის ფილოსოფია.

თანამედროვე ფილოსოფიას აქვს ტენდენცია ორი სამყაროს დუალიზმის, ნომინალური სამყაროს და ფენომენალური სამყაროს უარყოფისა, ამისი სათავე პლატონიდან მოდის. ხსენებული ტენდენცია სულაც არ არის ახალი, ის დამახასიათებელია ფენომენომალიზმისათვის, ემპირიზმისათვის, პოზიტივიზმისათვის, იმანენტური მონიზმისათვის, მატერიალიზმისათვის, დამახასიათებელია ნიცშესათვის და თანამედროვე ეგზისტენციალებისათვის და სხვა მრავალთათვისაც. ახლა ეს უფრო და უფრო დახვეწილ ფორმებს ღებულობს. ვფიქრობ, ჩვენ აქ გვაქვს ორი ტიპის ფილოსოფიის ძირითადი

დაპირისპირებულობა — ერთი რომ კმაყოფილება მოცემული სამყაროთი და მეორე კი მის ტრანსცენდიტირებას ახდენს. მაგრამ რას ნიშნავს ორი სამყაროს დუალიზმი და როგორ შევუთანხმოთ მას მეცნიერული შემეცნება? უპირველეს ყოვლისა უნდა უკუვაგდოთ ონტოლოგიური დუალიზმი და აგრეთვე სუბსტანციის სტატიკური გაგება. ეს სულაც არ არის დუალიზმი სულისა და მატერიის, სულისა და სხეულის, რომელსაც ჩვენ ვნახულობთ სასკოლო სპირიტიუალისტურ მიმართულებებში. აქ საკითხავია სამყაროს ორი მდგომარეობა, რომლებიც შესაბამისია ორი სხვადასხვა სტრუქტურისა და გონების მიმართულების, უპირველეს ყოვლისა თავისუფლებისა და აუცილებლობის დუალიზმისა, შინაგანი ერთიანობისა და გათიშულობის და მტრობის, აბსურდისა და უაზრობის სამყაროში. მაგრამ სამყარო მხოლოდ ამ მდგომარეობით არ ამოიწურება, რაიც დაცემულობის მდგომარეობაა, შესაძლებელია სამყაროს სხვანაირი მდგომარეობა და ის სხვაგვარ ცნობიერებას მოითხოვს; და არც არის საფუძველი იმის მტკიცებისა, რომ არსებობს მხოლოდ ერთი სამყარო, მთავარია გავითავისოთ, რომ სული სულაც არ არის ის რეალობა, რომლის შეჯერება სხვა რეალობასთან შეიძლება, მაგ., მატერიის რეალობასთან; სულის რეალობა სულ სხვა რამეა, ის არის თავისუფლება და არა ყოფიერება, ხარისხობრივი ცვლილება სამყაროს მოცემულობისა, სამყაროს გარდამქმნელი შემოქმედებითი ენერგია. კიდევ ეს უნდა ვთქვათ, სულის საფუძველი ღმერთია ვითარცა პირველწყარო. სულიერი გამოცდილება ადამიანისა, რომელზეც შეიძლება მეტაფიზიკის დაფუძნება, არის ერთადერთი მტკიცება ღმერთის არსებობისა. სამყარო აუცილებლობის, განდგომის, აბსურდულობის, სასრულის, მტრობისა — არის სამყარო შემოსაზღვრული ცნობიერებისა, ზედაპირზე რომ არის ამოსროლილი და რომლისთვისაც უსასრულობა დაგმანულია. არსებობს კიდევ სამყაროს სიცოცხლის სხვა შრეები, რომლის გახსნა მხოლოდ შეცვლილი ცნობიერების წინარე მოხდება. ამ მხრივ ოკულისტებია მართალი. სამყარო, ერთიანი ღვთაებრივი სამყარო მრავალპლანიანია. მაგრამ ამის შესაძლებლობას როგორ შევუთანხმოთ მეცნიერული შემეცნება? ეს სულაც არ არის დამაბრკოლებელი მეცნიერებისა ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით და არცაა სათავე რამე კონფლიქტისა. მეცნიერება ამ მდგომარეობაში იმეცნებს რეალურ სამყაროს, რომელშიც ის იმყოფება და სამყაროს დაცემულობა სულაც არ არის მისი ბრალი. მეცნიერება ეძებს ჭეშმარიტებას, მასში ლოგოსია არეკლილი. მაგრამ მას გარკვეული საზღვრები აქვს და არის საკითხები, რომელთა გადაწყვეტა და დაყენება არც შეუძლია. კონფლიქტის სათავე იქაა საძიებელი, როდესაც მეცნიერება ადამიანის სიცოცხლეზე პირველობას იჩემებს და ცდილობს ავტორიტარულად გადაწყვიტოს რელიგიის, ფილოსოფიის, მორალის პრობლემები, ცდილობს გასცეს დირექტივები სულიერი შემოქმედების კულტურისათვის. კონფლიქტს სწორედ ეს ქმნის და არა ზუსტი მეცნიერება. არავითარ მეცნიერებას არ ძალუძს თქვას, არსებობს თუ არა სხვა სამყარო. თუკი მეცნიერება უარყოფს სხვა სამყაროს არსებობას, ეს იმიტომ, რომ მეცნიერი დანთქმულია მხოლოდ და მხოლოდ ამ მისთვის მოცემული სამყაროს წიაღში და მოკლებულია სულის თავი-

სუფლებას, რაც ასე სჭირდება სამყაროს სხვა პლანების არსებობის აღიარებისათვის. სიენტიზმი სამყაროსადმი მონობას ქადაგებს. უნდა ვთქვათ, ორთოდოქსული თეოლოგიის მიხედვითაც საჭიროა უარყოფა სამყაროს მრავალი პლანის არსებობისა და სამყაროსადმი მონობას ისიც ქადაგებს. ორიგენეს მოძღვრება მრავალნაირი სამყაროს არსებობის შესახებ გაკიცხულ იქნა. ამასაც იგივე სათავე აქვს. ამრიგად, დანაწევრებული ჭეშმარიტება თავს ერთიან ჭეშმარიტებად თვლის, ხსენებული ჭეშმარიტება მხოლოდ ცნობიერების გაუნელებელი გაღრმავებისა და გაფართოების საშუალებით ხდება; ე. ი. სულიერი აღმავლობის გზით. მოცემული სამყარო, ეს სამყარო კერძოობითია, როგორც კერძოობითია დღე ჩვენი სიცოცხლისა.

თავი I

ადამიანი და ღმერთი, სულიერება

ადამიანის წინაშე საკითხთა საკითხთაგანია საკითხი ღმერთის შესახებ. ხსენებული საკითხი იშვიათადაა მოყვანილი თავისი სიწმინდითა და იმთავითვე მოცემულობით. ის მეტად შედუღაბებულია მომაკვდინებელ სქოლასტიკასთან, ვერბალურ ფილოსოფიასთან, ცნებათა თამამთან. იმათ, ვისაც უნდოდათ ღმერთის იდეის ამაღლება, შემზარავად დაამდაბლეს, რაკიდა ღმერთის არსებობის გარანტია არ არის, ადამიანს ყოველთვის შეუძლია ამის უარყოფა და ეჭვის შეტანა. ღმერთი არ გვაიძულებს, მაღიარეთო, როგორც ამას გვაიძულებენ მატერიალური საგნები, ის ადამიანის თავისუფლებისკენაა მიმართული. ღმერთის რწმენა ეს არის მხოლოდ სულიერი გამოცდილების წიაღში შინაგანი შეხვედრა. უდავოდ უნდა ვაღიაროთ, ყველა ეს ტრადიციული მტკიცება ღმერთის არსებობისა — ონტოლოგიური, კოსმოლოგიური და ფიზიკო-თეოლოგიური არა მარტო უსაფუძვლოა, სულაც არ არის საჭირო და მავნებელიცაა. ღმერთის არსებობის ამ მტკიცებათა კანტისეული კრიტიკა ძალიან დამაჯერებელია და არცაა უარყოფილი ტრადიციული აპოლოგეტიკით. უფრორე ძლიერია ის მტკიცება, რომელსაც შეიძლება ანტროპოლოგიური დავარქვათ. ამის მიხედვით, ადამიანი ის არსებაა, რომელიც ორ სამყაროს განეკუთვნება და ვერ თავსდება აუცილებლობის ამ ბუნებრივ სამყაროში ვითარცა ემპირიულად მოცემული არსება, თავისი თავის ტრანსცენდენტირებას რომ ახდენს და ამ სამყაროდან ვერ გამოყვანილ თავისუფლებას ამჟღავნებს. ეს კი არ ამტკიცებს, გვიჩვენებს ღმერთის არსებობას, რადგანაც ადამიანში სულიერ საწყისს წარმოაჩენს. უფრორე მნიშვნელოვანია ის პირველგრძნობა, რომელიც შეუძლებელია ისე გამოითქვას როგორც საჭიროა. თუ თქვენ ერთი წუთით მაინც წარმოიდგენთ სამყაროს თვითსაკმარისობას, მაგ., მოძრავი მატერიის ვითარცა პირველსაწყისის თვითსაკმარისობას, მაშინვე გაგაოცებთ, თუ როგორ მიუწვდომელია ფიქრისთვის ამ სამყაროს აზრმოკლებულობა, გაურკვევლობა, წყვდიადი. ღმერთის შესახებ ფიქრის უდავო შედეგია: ღმერთის შესახებ შეუძლებელია მსჯელობა იმ რაციონალური ცნებებით, რომლებიც ყოველთვის ამქვეყნი-

ურია და ღმერთის არამსგავსია. სიმართლე აპოფატიკური თეოლოგის მხარეზე იყო მხოლოდ. შეუძლებელია ღმერთის ონტოლოგიური მშენებლობა. ღმერთი არ არის ყოფიერება, რომელიც სულ მუდამ განყენებული აზრის დამუშავების შედეგია. ღმერთი არ არის ყოფიერება, ღმერთი არის სული. ღმერთი ესენცია კი არა, ეგზისტენციაა. ღმერთის შესახებ საუბარი სულიერი ცდის სიმბოლიკის ენითლაა შესაძლებელი. საერთოდაც მეტაფიზიკა შესაძლებელია მხოლოდ ვითარცა სულიერი ცდის სიმბოლიკა, ვითარცა ინტუიტური აღწერილობა სულიერი შეხვედრებისა. არ შეიძლება ღმერთის შესახებ საკითხის განყენებულად დასმა. ადამიანის სიღრმისეული და არა ზედაპირული არსებობა ერთადერთი მტკიცებაა ღმერთის არსებობისა, რადგანაც ადამიანი ანარეკლია ღმერთის ხატისა, თუმცა კი ხშირად ამახინჯებს ამ თავის ხატს. ადამიანი არა მხოლოდ სასრულის მქონე არსებაა, როგორც ამის დამტკიცება სურს თანამედროვე აზრს, ის აგრეთვე სასრულისუქონელი არსებაა, ეს არის სასრულის უქონლობა სასრულის ფორმით, სინთეზი უსასრულობისა და სასრულისა. ადამიანის უკმაყოფილება სასრულით, მისი სწრაფვა სასრულის უქონლობისადმი არის ადამიანში ღვთაებრიობის გამომზეურება, ადამიანური მტკიცება ღმერთის და არა მარტო სამყაროს არსებობისა. ღმერთის გაგება ვითარცა თვითსაკმარისი უძრავი არსებისა, არის შეზღუდული და რაციონალური აზრი, ასეთი გაგება არ არის მოცემული სულიერი ცდით, რომელშიც ღმერთთან დამოკიდებულება ყოველთვის დრამატულია. ადამიანის შეხვედრა ღმერთთან შესაძლებელია არა ყოფიერებაში, რომლის შესახებაც ცნებებით აზროვნებენ, არამედ სულიერ ცდაში. ყოფიერებაში უკვე არის ობიექტივაცია, ანუ მომაკდინებელი განყენებულობა ცნებისა, ანუ იდეალიზებული ბუნებრივი აუცილებლობა და სოციალური ძალდატანება. მხოლოდ სულთან შეხვედრა არის შეხვედრა თავისუფლებასთან, მხოლოდ სულისა და თავისუფლებაში შეხვედრა ღმერთთან არის დრამატული მოვლენა.

●

ადამიანისა და ღმერთის დამოკიდებულება პარადოქსულია და სულაც შეუძლებელია ცნებებით გამოხატვა. ღმერთი ადამიანში იშვა და ადამიანის ზეობა და სრულქმნა ამითაა შესაძლებელი. ასეთია ღმერთკაცობრივი ჭეშმარიტების ერთი მხარე, ის ადამიანის ცდის მეშვეობითაა წარმოჩენილი. მაგრამ არის სხვა მხარეც, ნაკლებად წარმოჩენილი და ნათელი. ადამიანი ღმერთში იშვა და ამით ხდება სრულქმნა ღვთაებრივი ცხოვრებისა. ადამიანს სჭირდება ღმერთი და ღმერთი სჭირდება ადამიანს. საკვარაუდებელია შემოქმედებითი პასუხი ადამიანისა ღმერთისადმი. ღმერთისა და ადამიანის დამოკიდებულება შესაძლებელია მხოლოდ დრამატულად, ე. ი. დინამიკურად გავიგოთ. სტატიკურად ღმერთის აღქმა შეუძლებელია. სტატიკური გაგება რაციონალური და ეგზოთერულია. ბიბლიის სიმბოლიკა მეტად დრამატული და დინამიკურია. სტატიკური ონტოლოგია ბერძნული ფილოსოფიიდანაა ალებული. ვარაუდი ორი ბუნების არსებობისა — ღვთაებრივი და ადამიანურისა — რომლებიც შეიძლება შეერთებულ იქნას და არა გაიგივებული და არა შერწყმული, ობიექტივირების განმახორციელებელი გონებისთვის მიუწვდომელი ჭეშმარიტე-

ბაა, ზეგონებრივია, რადგანაც თავისთავაც გონება მიელტვის ან მონიზმს, ან დუალიზმს. სწორედ აქაა თეოლოგიურ სისტემაში რაციონალურად გასსნილი ქრისტიანობის საიდუმლო და წილახყარია ღვთაებრივისა და ადამიანურ პარადოქსულ და დრამატულ დამოკიდებულებასთან. პარადოქსი ის არის, რომ უმაღლესი ადამიანურობა ღვთაებრივია და ამასთან ერთად გაბომბეურებაა ადამიანისა ადამიანობაში. გონების წინარე წარმოჩენილი ეს წინააღმდეგობა რაციონალურად დაუძლეველია. შეიძლება ვთქვათ, ღმერთი ადამიანურია, ადამიანი კი ადამიანობასაა მოკლებული. ამიტომ, ნამდვილად ღმერთკაცობრივი ადამიანურობა არსებობს მხოლოდ, ძირითადი პრობლემა მხოლოდ ღმეთკაცისა და ღმერთკაცობრივის პრობლემაა და არა ღმერთისა. ღმერთის დამკვიდრება ღმერთკაცობრივის მოუშველებლად, ანუ განყენებული მონოთეიზმი არის კერპთაყვანისმცემლობის ფორმა. ამისდა კვალად, უდიდესი მნიშვნელობა აქვს სწავლებას ღმერთის სამების შესახებ, რაიც უპირველეს ყოვლისა უნდა გავიგოთ მისტიკურად, სულიერი გამოცდილების ტერმინებით, და არა რაციონალურ-თეოლოგიურად. დიდი გერმანელი მისტიკოსები თამამად ამბობდნენ, რომ არ არის ღმერთი უადამიანოდ და რომ ღმერთი აღიგვება ადამიანის აღგვის კვალობაზე (განსაკუთრებით ეკჰარდტი და ანგელუს სილეზიუსი). სულის მეშვეობით უნდა გავიგოთ ეს და არა ნატურალისტური მეტაფიზიკისა და ნატურალისტური თეოლოგიის ტერმინებით. ეს არის სიყვარულის გამოცდილება და არა ცნება. ძირითადი წინააღმდეგობრიობა ჩვენთვის უნდა იყოს არა სქოლასტიკური წინააღმდეგობრიობა ბუნებრივისა და ზებუნებრივის, უცხობი რომ იყო ბერძნული ეკლესიის მოძღვართათვის, არამედ წინააღმდეგობრიობა ბუნებრივისა და სულიერების. ტრანსცენდენტურობის ორი გაგება არსებობს: ან ღმერთი ვითარცა ტრანსცენდენტურობა ჩემი შეზღუდულობის, ვითარცა ი[illegible]ემალებით მოცული, აქტუალური უსასრულობა, რაიც თავად ადამიანში შეიცავს ღვთაებრივ ელემენტს; ან ღმერთი, ვითარცა გარეგანი ონტოლოგიური რეალობა, რაიც გულისხმობს ადამიანის ბუნების განყენებულობას, იმის ყოფნას ღვთაებრივის მიღმა. მხოლოდ პირველი გაგებაა სულიერი, არა კერპთაყვანისცემლური. სრულიად ცრუ და დამამცირებელია ხშირად გამეორებული იდეა, რომ არარაობაა ღმერთის წინაშე ადამიანი, პირიქით, უნდა ვთქვათ, ღმერთის წინაშე, ღმერთისადმი მიმართული ადამიანი ამაღლდება, სიმაღლით სძლევს არარაობას. ღმერთისა და ადამიანის დამოკიდებულების რაციონალურ-ონტოლოგიური მოძღვრებანი გაუსაძლისია, ქრისტიანული თემისთვის იმათ მსჯელობას მხოლოდ პედაგოგიურ-სოციალური აზრი აქვს. ყველაზე უფრო მეტად უნდა უარვყოთ თეოლოგიურ მეცნიერებებში გავრცელებული ის შეხედულება, რომ ღმერთია სამყაროს მიზეზი, პირველმიზეზი. მაგრამ მიზეზიობრიობა და მიზეზობრივი დამოკიდებულება სრულად მიუღებელია იმ დამოკიდებულებასთან მიმართებით, რაიც არის ღმერთსა და სამყაროს შორის, ღმერთსა და ადამიანს შორის. მიზეზიობრიობა კატეგორიაა, მხოლოდ ფენომენთა სამყაროს რომ მიესადაგება და სრულიად ვერ მიესადაგება ნუმენალურ სამყაროს. ეს საკმაოდაა გამორკვეული კანტის მიერ, თუმცა აქ იგი არათანმიმდევრულია თავისთავად საგანსა და მოვლენას შორის

მიზეზობრივი დამოკიდებულების აღიარებისას. ღმერთი არ არის სამყაროს მიზეზი. შეიძლება ესეც ვთქვათ, რომ ღმერთია სამყაროს თავიდათავი, სამყაროს შემოქმედი, მაგრამ ეს სიტყვებიც მეტად არასრულყოფილია. უნდა განვთავისუფლდეთ ყოველგვარი სოციომორფიზმისა და კოსმომორფიზმისაგან. ღმერთი არ არის ძალამოსილი მეუფე ბუნებისა, მოქმედი სივრცესა და დროში, ის არ არის სამყაროს უფალი და საჭეთმპყრობელი, არც თავად სამყაროა და ძალა სამყაროშივე განფენილი, სჯობს ასე ვთქვათ, რომ ღმერთი არის სამყაროს ᲐᲖᲠᲘ და ᲫᲛᲔᲑᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐ, ღმერთი არის ᲡᲣᲚᲘ და ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ. თუ ჩვენ პანთეისტური მონიზმის საწინააღმდეგოდ ვიტყვით, რომ ღმერთი პიროვნებაა, ეს უნდა გავიგოთ არა შეზღუდული ბუნებრივ-ადამიანური აზრით, არამედ კონკრეტულ-სულიერი აზრის მნიშვნელობით, ვისთანაც ჩვენ შეიძლება პირადი ურთიერთობა გვქონდეს. ღმერთთან შეხვედრა და ურთიერთობა შესაძლებელია არა როგორც ურთიერთობა აბსოლუტურთან, არა აპოფატიკური თეოლოგიის ღმერთთან, არამედ კონკრეტულ პიროვნულ ღმერთთან, რომელსაც სხვასთან აქვს დამოკიდებულება. სამყარო უღმერთოდ არის დაუძლეველი წინააღმდეგობა სასრულისა და უსასრულოს, მოკლებულია აზრსა და შემთხვევითია.

ადამიანი არ შეიძლება თვითსაკმარისი იყოს, ეს იმის ტოლფასი იქნებოდა, რომ ის არ არის. ადამიანის საიდუმლო ეს არის: მისი არსებობა დაშაშტკიცებელია ადამიანზე უფრო მაღალის არსებობისა, ადამიანის ღირსება აქაა საძიებელი. ადამიანი ის არსებაა, რომელიც სძლევს თავის შეზღუდულობას, ტრანსცენდენტრებულია უმაღლესისკენ. თუ არ არის ღმერთი ვითარცა ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐ და ᲐᲮᲐᲠᲘ, არც უმაღლესი ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲐ, ყოველივე ხდება გლუვი, არც რა არის, რისკენაც და ვისკენაც ესწრაფვის ამაღლებას. თუკი ადამიანი ღმერთის, მაშინ ნაგეშის მიკვლევა შეუძლებელი ხდება, მძლავრობს ულმერთობა და არარაობა. ყოველი სარისხობრივი ფასეულობა უკვე გვიჩვენებს, ადამიანის გზა არის ის, რაიც ადამიანზეა მაღალია. და ის, რაიც ადამიანზე მაღალია, ანუ ღვთაებრივია, არ არის გარეგანი ძალა, თავს რომ წამოსდგომია და მასზე ბატონობს, და ის, რაიც ქმნის მას სრულიად ადამიანად. არის მისი უმაღლესი თავისუფლება. თავად აქ განსხვავება — ტრანსცენდენტურისა და იმანენტურის, ტერმინოლოგიურად პირობითია და კიდევაც გვიჩვენებს ჩვენი დროის პირობებში დაუძლეველ პარადოქსულობას. ადამიანი თავისი არსებობის განთიადის ჟამიდანვე გულისხმობდა ღვთაებრივის არსებობას, თუმცა კი მეტად უხეში ფორმით. თუ არ არის ᲦᲛᲔᲠᲗᲘ, თუ არ არის სიმართლე, ამ ქვეყანაზე ამაღლებული, მაშინ ადამიანი სრულიად დამორჩილებულია აუცილებლობას ან ბუნებას, კოსმოსს ან საზოგადოებას, სახელმწიფოს. ადამიანის თავისუფლება ის არის, რომ ᲫᲔᲘᲡᲠᲘᲡ საუფლოს გარდა არსებობს კიდევ საუფლო ᲡᲣᲚᲘᲡᲐ. ღმერთის არსებობა ადამიანში სულის არსებობითაა გამომზეურებული და ღმერთი არა ჰგავს არც ბუნების ძალამოსილებას, არც ძალაუფლებას საზოგადოებასა და სახელმწიფოში. აქ არც რა ანალოგიაა, ყოველი ანალოგია ნიშნავს ღმერთის გაგებაში მონურ კოსმოპოლიტიზმსა და სოციომორფიზმს. ღმერთი არის თავისუფლება და არა აუცილებლობა, არა ძალაუფლება ადამიანსა და სამყაროზე, არა ამ ქვეყნად მოქმედი უმაღლესი მიზეზობრიობა. ის,

რასაც თეოლოგები უწოდებენ მადლს და მოჰყავს მიმართებაში ადამიანის თავისუფლებასთან, არის ადამიანში მოქმედი ღვთაებრივი თავისუფლება. უნდა ვთქვათ, რომ ღმერთის არსებობა ადამიანის თავისუფლებათა ქარტიაა, შინაგანი გამართლებაა მისი ბრძოლისა თავისუფლებისათვის ბუნებასა და საზოგადოებასთან. ადამიანის ღირსება ეს არის, ის არ ემორჩილება მასზე უფრორე მდაბალს. მაგრამ ამისთვის საჭიროა ის, რაიც მასზე უფრო მაღალია, თუმცა არა მის გარეთ და არც მასზე ზევით. ჰუმანიზმის შეცდომა ის კი არ არის, რომ ის ამტკიცებს ადამიანის უმაღლეს ღირსებას და მის შემოქმედებით მოწოდებას, არამედ ის რომ ვარაუდობდა ადამიანის თვითსაკმარისობას და ამიტომ მეტად მდაბალი აზრისა იყო ადამიანზე, მას მხოლოდ და მხოლოდ ბუნებასთან წილნაყარ არსებად თვლიდა და არ ხედავდა მასში სულიერ არსებას. ქრისტე გვასწავლიდა, ადამიანი სახეა თავისუფალი სულიერი არსებისა, ადამიანი არ იყო მონა ბუნების აუცილებლობის. თავისუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ გარდა კეისრის საუფლოსი არსებობს კიდევ საუფლო სულისა, ანუ, საუფლო ღმერთისა. ვიმეორებ, ღმერთი არა ობიექტური ყოფიერებაა, რომელსაც რაციონალური ცნებები მიესადაგება. ღმერთი სულია. სულის ძირითადი თვისება კი თავისუფლებაა. სული არ არის ბუნება. თავისუფლება არ არის ჩაწნული ბუნებაში, ის სულშია ჩაწნული. კავშირი ადამიანისა ღმერთთან არა ბუნებრივ-ყოფიერებითია, არამედ სულიერ-ეგზისტენციალურია, სიღრმისეულია — თუ არ არის ღმერთი, არც საიდუმლოა. თუკი არ არის საიდუმლო, სამყარო გლუვია და ადამიანი ორგანიზმილებიანი არსებაა, მთაზე ასვლა არ ძალუძს. თუ არ არის ღმერთი, არც სიკვდილზე გამარჯვებაა, არ არის მარადიული სიცოცხლე, ყველაფერი აზრსაა მოკლებული და აბსურდულია. ღმერთი არის სისრულე, რასაც არ შეუძლია ადამიანი არ მიელტვოდეს. ადამიანის არსებობა მკვდარი დიალექტიკური ლოგიკის მეშვეობით არ ამტკიცებს ღმერთის არსებობას, არამედ გვიჩვენებს, მოწმობს იმის შესახებ. ამა თუ ფორმით სულის საუფლოს და კეისრის საუფლოს გაიგივება არის ცრუ მონიზმი, რომელიც უცილობლად ამკვიდრებს მონობას. დუალიზმი სულის საუფლოს და კეისრის საუფლოს შორის — სრულიად აუცილებელი მტკიცებაა ადამიანის თავისუფლებისა. მაგრამ ეს არ არის საბოლოო დუალიზმი, ეს არის დუალიზმი სულიერ და რელიგიურ გზაზე მიმავალი ადამიანის. საბოლოო მონიზმის დამკვიდრება მოხდება ღმერთის საუფლოში, ის მხოლოდ ესქატოლოგიურად გამომზეურდება.

არა მარტო დახვეწილი გონება, არამედ შედარებით უფრორე ელემენტარული და ნაკლებად განვითარებული გონება უნდა იყოს შეშფოთებული განგებულების შესახებ საიდუმლო სწავლებით, იმით, თუ რამდენად ესმით ღმერთი ვითარცა მეუფე და მმართველი ამ ქვეყნისა. როგორ უნდა დავუკავშიროთ ეს ამ ქვეყნად ბოროტებისა და ვნება-წამების ზარ-ზეიმს? ვფიქრობ, რომ სწორედ ეს არის თავწყარო ათეიზმისა. ჩვეულებრივ აქ გამოსავალს პოულობენ მოძღვრებით ცოდვის შესახებ. მაგრამ ამით არც არაფერი აიხსნება და არც არაფერი გამართლდება. აუხსნელი რჩება ძალა ბოროტებისა. არც არავითარი პროპორციულობა არსებობს ადამიანის ტანჯვა-ვაებასა და იმათ ცოდვილიანობას შორის. ყველაზე უფრო მეტად იტანჯებიან უარესნი კი არა,

უკეთესნი. ისტორიულ ცხოვრებაში და ინდივიდუალურ ცხოვრებაშიც იხსენებენ პერიოდებს, როდესაც ღმერთის ხელი გაუჩინარებულია. გაუსაძლისია ადამიანთა ცხოვრებაში კატასტროფათა ახსნა ღვთის რისხვით და მათი დასჯა. შემზარავად ძნელია გამართლება და ახსნა ყოვლისმძლეველი და ყოვლადკეთილი არსებობისა ყველგან იქ, სადაცაა ბოროტება, ჟამიანობა, ქოლერა, გვემა-წამება, ომიანობის შემზარაობა, რევოლუციები და კონტრრევოლუციები. უნდა გადაფასებულ იქნას ღმერთის განგებულობა ბოროტებისა და გვემა-წამების ამ სამყაროში. მნიშვნელოვანწილად სწორად ფიქრობს კირკეგორი, რომ ღმერთი ამ სამყაროში ინკოგნიტოდ რჩება. ამ სამყაროს მართავს არა ღმერთი ღვთიური კანონებით, არაშეუდ მთავარი ამ ქვეყნისა სამყაროს კანონებით. ეს ქვეყანა ემორჩილება კეისრის საუფლოს და არა სულის საუფლოს. ცოცხალი ღმერთის გამოძახილი შეიძლება გავიგოთ მხოლოდ ესქატოლოგიურად: „და მოვა მეუფება შენი". ის ჯერ კიდევ არ არის. ობიექტების სამყარო, ფენომენების სამყარო და იმაში გამეფებული აუცილებლობა — ოდენ გარეგნული სფეროა, მაგრამ იმის მიღმა დამალულია ღრმა კავშირი ღმერთთან. არ შეიძლება ასე ფიქრი, რომ ღმერთია რაღაცის მიზეზი ამ ქვეყნად, ვითარცა ბუნების ძალებით ის მართავს და ბატონობს, ვითარცა მეფენი და ხელისუფალნი სახელმწიფოში, ახდენს ქვეყნისა და ადამიანის ცხოვრების დეტერმინირებას. ისტორიულ პროცესში, ისტორიულ აუცილებლობაში არ შეიძლება ვივარაუდოთ პროგრესი ღმერთის მიმართებით. ისტორიაში მიმდინარეობს ბრძოლა თავისუფლებისა და აუცილებლობის, ღმერთი კი შეიძლება იყოს მხოლოდ თავისუფლების წიაღში. ის არ არის აუცილებლობის წიაღში. სწორედ აქაა საძიებელი სრული მიზეზი სწავლებისა განგებულობის შესახებ. მადლი არ არის გარედან მოქმედი ძალა, მადლი არ [illegible] ალმოჩენა ღვთაებრივისა ადამიანში. არ არის დაპირისპირება თავისუფლებასა და მადლს შორის, მადლი მხოლოდ ნათლით შეფერილი თავისუფლებაა. მთავარ თემად ამის მოშველიებისას მრავალგზის ვწერდი, შეიძლება ამას დავუპირისპიროთ ბოროტება და პირუტყვულობა და ამისი წინამორბედი ხელთუქმნელი და ამიტომ არა დეტერმინირებული თავისუფლება, ირაციონალური თავისუფლება. მაგრამ თავისუფლება შეიძლება გახდეს ნათლით მოსილი და ღმერთთან წილნაყარი. ამიტომ ისტორია მეტად დრამატულია, ამიტომ აქ სულმუდამაა ჭიდილი და ბრძოლა სულის საუფლოსა და კეისრის საუფლოსი, რომელსაც აქვს ტენდენცია ტოტალიტარული შეიქმნას. ერთნაირად უმართებლოა სამყაროს ცხოვრებაში ყველგან ვხედავდეთ ბოროტი, ეშმაკეული ძალის ზეობას და ვხედავდეთ პროგრესულ ზრდას და ზნეობას ღვთაებრივი კეთილი ძალისა. ისტორიულ პროცესში სული არ ვითარდება პროგრესულად და ცხადლივაა ზარ-ზეიმი ბოროტი პროცესებისა. მაგრამ ყველგან უნდა ვხედავდეთ სულისა და სულიერების სამეფოს. შესაძლებელ ჩანასახს და ფშვინვას. დამოუკიდებლობა ადამიანისა ღმერთთან ითვალისწინებს დრამატულ ბრძოლას სულის საუფლოს და კეისრის საუფლოს შორის, და დუალიზმის ზღუდენის გავლასა და დამკვიდრებას საბოლოო მონიზმისა, რაიც შეიძლება მხოლოდ ესქატოლოგიურად გაიხსნას. ადამიანისა და კოსმოსის დამოკიდებულება ართულებს ამ თემას.

თავი II

ადამიანი და კოსმოსი. ტექნიკა

ადამიანი ბუნების პირმშოა. კოსმოსურ სიცოცხლესთან ის მრავალი სიმითაა დაკავშირებული, დამოუკიდებელია კოსმიური სიცოცხლის ტრიალთან. ადამიანი კვდება ვითარცა ბუნების შვილი და მისი სხეულებრივი შემადგენლობა მატერიასა და სამყაროს სიცოცხლის წიაღში განიბნევა. ადამიანი ბუნების სამყაროში ცხოვრობს და უნდა გაარკვიოს მასთან თავისი დამოკიდებულება. მაგრამ ადამიანის საიდუმლო ის არის, რომ ის არა მარტო ბუნების პირმშოა და არც აიხსნება ბუნების მეშვეობით. ადამიანი აგრეთვე პიროვნებაა, ე. ი. სულიერი არსებაა და ატარებს ღვთაებრივ ხატს. ამიტომ ბუნების წიაღში ადამიანის მდგომარეობა ტრაგიკულია, ადამიანი ამ სამყაროს არა მარტო ერთ-ერთი ობიექტთაგანია, უპირველეს ყოვლისა, ის ობიექტიდან ვერ გამოყვანილი სუბიექტია. ამასთან ერთად ადამიანის დამოკიდებულება კოსმოსთან იმით განისაზღვრება, რომ ის მიკროკოსმოსია, თავის თავში შეიცავს ისტორიას. ადამიანი არ შეიძლება იყოს მხოლოდ რაღაცის ნაწილი, ის არის მთელი. სულიერი საწყისის გამო ადამიანი არ ემორჩილება ბუნებას და იმისგან დამოუკიდებელია, თუმცა კი ბუნების ძალებს მისი მოკვდინება შეუძლიათ. ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ ბუნების პირმშო და სასრულის მქონე რომ იყოს, მაშინ იმის სიკვდილში არაფერი იქნებოდა ტრაგიკული, ტრაგიკული მხოლოდ სიკვდილია უსასრულობისკენ მიმართული უკვდავი არსებისა. მხოლოდ გარედან, ობიექტიდან არის ადამიანი ბუნების ნაწილი, შიგნიდან კი, სულის წიაღიდან — ბუნება მასშია. ამიტომ ადამიანის დამოკიდებულება კოსმოსთან გაორებულია. ის მონაა ბუნების და მეფეა ბუნების. ადამიანის ცენტრალური მდგომარეობა ბუნებაში სულაც არ განისაზღვრება ასტრონომიულად და არ იცვლება კოპერნიკის შემდგომ; სულაც არ არის დამოკიდებული იმაზე, რასაც აღმოაჩენენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი; ადამიანის ეს მდგომარეობა განისაზღვრება სულით. ამიტომ, ძირითადი თემაა — სული და ბუნება, თავისუფლება და აუცილებლობა.

შეიძლება დავადგინოთ ოთხი პერიოდი ადამიანის დამოკიდებულებისა კოსმოსთან: 1) ადამიანი დანთქმულია კოსმიური სიცოცხლის წიაღში, დამოკიდებულია ობიექტურ სამყაროზე, ჯერ კიდევ გამოუყოფელია ადამიანური პიროვნება, ადამიანი ჯერ კიდევ ვერ ფლობს ბუნებას, მისი დამოკიდებულება მაგიური და მითოლოგიურია. (პრიმიტიული მესაქონლეობა და მიწათმოქმედება, მონობა); 2) განთავისუფლება კოსმიური ძალების შეუფეებისგან, ბუნების ძალებისგან, სულებისა და დემონებისგან, ბრძოლა ასკეზის მეშვეობით და არა ტექნიკის (მეურნეობის ელემენტარული ფორმები, ბატონყმური წყობილება); 3) ბუნების მექანიზირება, ბუნების მეცნიერული და ტექნიკური დაუფლება, კაპიტალისტური ფორმით ინდუსტრიის განვითარება, შრომის განთავისუფლება და მისი დამონება საწარმოო იარაღების ექსპლუატაციის მეშვეობით და აუცილებლობა ხელფასის გულისთვის შრომის გაყიდვისა; 4) კოსმიური წესრიგის დაშლა უსასრულოდ დიდისა და უსასრულოდ მცირეს აღმოჩენით, ახალი ორგანიზაციების ჩამოყალიბება,

უკუგდებულია პრიმიტიული ტექნიკა-მანქანები, ბუნებაზე ადამიანის ძალამოსილების შემზარავი ზრდა და ადამიანისავე მონობა საკუთარი აღმოჩენისადმი. ბუნებასთან ადამიანის დამოკიდებულება ტიპოლოგიურია და არა ქრონოლოგიური, თუმცა კი დროთა ცვლას ჰქონდა მნიშვნელობა. მაგრამ ახლა, როდესაც ტექნიკურ ეპოქაში შევაბიჯეთ, კიდევ სხვა შემაძრწუნებელი თემები არსებობს. თუკი ადამიანი უფრთხოდა ბუნების დემონებს და ქრისტემ ის იხსნა ამ დემონთა მძლავრობისგან, ახლა ის უფრთხის სამყაროსეულ ბუნების მექანიზმს. ტექნიკის ძალაუფლება კეისრის საუფლოს უკანასკნელი მეტამორფოზაა. ის უკვე არ მოითხოვს იმ საკრალიზაციას, რასაც წარსულში მოითხოვდა კეისრის საუფლო. ეს არის სეკულარიზაციის უკანასკნელი სტადია, ცენტრის რღვევა და სხვადასხვა ავტონომიური სფეროების წარმოშობა და ერთ-ერთი ამ სფეროს პრეტენზია ტოტალიტარულ აღიარებაზე. ადამიანი ერთ-ერთი ავტონომიური სფეროს ზეგავლენის ქვეშაა. შესაძლებელია, აგრეთვე, ვივარაუდოთ ადამიანის ბუნებასთან დამოკიდებულების მეხუთე პერიოდი. ამ მეხუთე პერიოდში ადამიანი კიდევ უფრო დაეუფლება ბუნების ძალებს, მოხდება რეალური განთავისუფლება შრომისა და მშრომელების, სულისადმი ტექნიკის დამორჩილება. მაგრამ ეს ითვალისწინებს სამყაროში სულიერ მოძრაობას, რაიც თავისუფლების საქმეა.

მე უკვე არაერთგზის ვწერდი იმის შესახებ, რომ ტექნიკის ენით უთქმელმა ძალამოსილებამ ადამიანის ცხოვრების რევოლუციონიზირება მოახდინა. ადამიანი ახლა რომ კრიზისს განიცდის, გამოწვეულია იმით, რომ გაჩნდა შეუსაბამობა ტექნიკასა და ადამიანის სულიერ და ფიზიკურ ორგანიზაციას შორის. ადამიანის სულისა და სხეულის ფორმირება მაშინ მოხდა, როდესაც მისი ცხოვრება ჯერ კიდევ შეესაბამებოდა ბუნების რიტმს, როდესაც მისთვის ჯერ კიდევ არსებობდა კოსმიური წესრიგი. ადამიანი ჯერ კიდევ დაკავშირებული იყო დედამიწასთან.[6] ტექნიკური ეპოქა ტელიურული ეპოქის დასასრულია. ადამიანის ორგანული, ბუნებრივი გარემო, მიწა, მცენარეები, ცხოველები და სხვ., შეიძლება ტექნიკამ შეიწიროს. რაღა იქნება მაშინ? პირველყოფილი დროიდანვე არსებობდა ელემენტარული ტექნიკა: XVIII საუკუნის ბოლოდან კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების შედეგად იწყება მანქანის რევოლუციური შემოჭრა. ტექნიკამ მხოლოდ ჩვენს დროში მოიპოვა ადამიანთა საზოგადოებაზე მადეტერმინირებელი ძალაუფლება და წარმოშვა ტექნიკური ცივილიზაციის ახალი ტიპი. ამას ვერ ვიტყვით XIX საუკუნეზე, რომელიც იყო რთული და წინააღმდეგობრივი, მაგრამ ჰქონდა შენარჩუნებული კულტურის ძველი ტიპი. დღეს შერყეულია კოსმიური წესრიგი, რომლისაც ადამიანებს სჯეროდათ, ამის სჯეროდათ მატერიალისტებს და XIX საუკუნის პოზიტივისტებსაც. ადამიანი ახლებურად დადგა კოსმიური ძალების წინაშე. კოსმოსი, ისე, როგორც ესმოდათ ძველ ბერძნებს, არისტოტოლეს, თომა აქვინელს, დანტეს, უკვე აღარ არსებობს. ბუნება აღარ არის ღმერთის მიერ ჩამოყალიბებული იერარქიული წესრიგი, რომლის მოშველიებაც შეიძლება. ეს ცვლილება კოპერნიკიდან დაიწყო. უკვე პასკალიც იყო შეძრწუნებული სივრცის უსასრულობითა და მწვავედ განიცდიდა ადამიანის გადმოკარგვას ამ უცხო და ცივ უსასრულო სამყაროში. არა ნაკლები შემზარაობა უნდა გაჩენილიყო უსას-

რულად მცირე სამყაროს აღმოჩენის შედეგად. მეცნიერებამ შეაღწია ბუნების შიდა აგებულების, მატერიის სიღრმის წიაღში. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ატომის გახლეჩის სამუშაოს. ატომური ყუმბარის შექმნა ენით უთქმელი კატასტროფებით გვემუქრება. მიშის ზარმა მოიცვა სწავლულები, რომლებიც თავიანთ ლაბორატორიებში თავისუფლად ვერ გრძნობდნენ თავს. მატერიის გახლეჩა ათავისუფლებს უდიდეს ენერგიას. შეიძლება ვთქვათ, რომ მატერია კრავდა, ბორკავდა ენერგიას. ამით მოხდა კოსმიური წესრიგის სტაბილირება. ახლა კი სწავლულები იმას ამბობენ, მეცნიერულ აღმოჩენებსა და ტექნიკის განვითარებას შეუძლია ააფეთქოს კოსმიური წესრიგი, გამოიწვიოს კოსმიური კატასტროფები. ომიანობა აღარ არის ლოკალიზებული მოვლენა ერებსა და სახელმწიფოებს შორის, ის კოსმიური, უფრო სწორად, ანტიკოსმიური მოვლენა ხდება. კოსმიურ წესრიგზე შეხედულების შეცვლას დიდად შეუწყო ხელი ფარდობითობის თეორიის აღმოჩენამ. დასრულდა, აგრეთვე, XIX საუკუნის ევოლუციონისტური ოპტიმიზმი, რომელიც ამტკიცებდა, სასიკეთოაო რაიც კი ხდება ბუნების სამყაროში. ევოლუციონისტური თეორიები შეიქმნა ბიოლოგიურ მეცნიერებათა ნიადაგზე და ჰქონდა ვიწრო თვალსაწიერი. ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფიზიკასა და ქიმიას, და თვალსაწიერი ხდება კოსმიური იმ დროს, როდესაც კოსმოსი თითქმის ინგრევა. ბუნებაზე დამოკიდებულება განისაზღვრება მხოლოდ praxis-ის მეშვეობით, და praxis-სთვის უკიდეგანო შესაძლებლობებია გადაშლილი. ამას ერთნაირად შეუძლია შვას როგორც ოპტიმისტური, ასევე პესიმისტური განწყობილებიანი.

წარმოიშვა ახალი რეალობა, განსხვავებული ბუნების ნეოორგანიული რეალობისგან და ბუნების ორგანიული რეალობისგანაც. ეს ახალი რეალობა ორგანიზებული რეალობაა. ადამიანი უკვე აღარ არის წილნაყარი ღმერთის შემოქმედ ბუნებასთან, არამედ იმ რეალობასთან, რომელიც შვა ადამიანმა და ცივილიზაციამ, ანუ, წილნაყარია მანქანების, ტექნიკის რეალობასთან, რაიც ბუნებაში არ არის. მანქანა იქმნება ძველი ბუნებიდან აღებული მატერიალისტური ელემენტების მეშვეობით, მაგრამ ამავე დროს რაღაც სრულიად ახლითაცაა ცხებული, რაიც არ არის ბუნების წიაღში და არც მიეკუთვნება ძველ კოსმიურ წესრიგს. ადამიანმა უცებ ვერც შეამჩნია, თუ რა შედეგები ექნებოდა ამას. ჭეშმარიტად, კოსმობიოლოგიური მნიშვნელობა აქვს მანქანასა და ტექნიკას. ეს არის შემოქმედების ახალი დღე თუ ახალი ღამე. უფრო სწორად, ღამეა, რადგანაც შეიძლება მზის სინათლე დაიშრიტოს. მაგრამ ტექნიკის როლი ორმხრივია; მას დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობა აქვს. ტექნიკის რომანტიკული უარყოფაც უსუსური და რეაქციულია. ტექნიკის მეცნიერული აღმოჩენები კი არ უნდა უარვყოთ, არამედ სულიერად დავეუფლოთ მას. მხოლოდ თავის კანონს დამორჩილებული ტექნიკის საბედისწერო შედეგია მსოფლიო ტექნიკური ომები და ეტატიზმის ენით უთქმელი ზრდაა. სახელმწიფო ყოვლისშემძლე, სულ უფრო და უფრო ტოტალიტარული ხდება არა მარტო ტოტალიტარულ რეჟიმებში, და არცა სცნობს თავისი ძალაუფლების არავითარ საზღვრებს და ადამიანი მისთვის მხოლოდ საშუალება და იარაღია. ტექნიკის ძალაუფლებას კიდევ ერთი შედეგი აქვს, ადამიანისთვის უმძიმესი, რასაც სრულიად ვერ მიესადაგება ადა-

მიანის სული. ხდება დროის შემზარავი აჩქარება; ადამიანს აღარ ძალუძს მას დაეწიოს. ყოველი წამი მოკლებულია თვითფასეულობას, ის მხოლოდ საშუალებაა შემდგომი წამისთვის. ადამიანს მოეთხოვება ენით უთქმელი აქტიურობა და უკვე გონს ველარ მოდის. მაგრამ ეს აქტიური წუთები ადამიანს პასიურს ხდის. ადამიანური პროცესის მიღმა ის ხდება საშუალება, ფუნქციაღა წარმოებითი პროცესისა. ადამიანის სულის აქტიურობა სუსტდება. ადამიანის შეფასება უტილიტარული ხდება, გამომუშავებისდა მიხედვით. ეს არის ადამიანის ბუნების გაუცხოება და ნგრევა ადამიანისა. მარქსი სამართლიანად ამბობდა კაპიტალისტური წყობილების დროს ადამიანის ბუნების გაუცხოების შესახებ. მაგრამ ეს გაუცხოება გრძელდება იმ წყობილებაშიც, რომლითაც მას უნდა შეეცვალა დამყაყებული კაპიტალისტური წყობილება. ტექნიკურ ეპოქაში ასევე ხდება ადამიანთა დიდი მასების შესვლა ისტორიაში სწორედ მაშინ, როდესაც მათ დაკარგული აქვთ თავიანთი რელიგიური რწმენანი; ამ მასებს ნუ გავაიგივებთ მშრომელ მასებთან. ყოველივე ეს ქმნის ადამიანისა და ადამიანის ცივილიზაციის ღრმა კრიზისს. რა არის ამ კრიზის მთავარი მიზეზი?

●

შუა საუკუნეების გამოსვლის დროიდან ადამიანმა მიმართა თავისი შემოქმედებითი აქტიურობის სხვადასხვა სფეროს ავტონომიას. ახალი ისტორიის საუკუნეებში, რაიც კი აღარც იყო ახალი, ძალზე ძველად ქცეულიყო, კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერომ დაიწყო არსებობა და განვითარება მხოლოდ თავისი კანონებისდა მიხედვით და არ ემორჩილებოდა არავითარ სულიერ ცენტრს. ამრიგად შუა საუკუნეებში ხუნდებ ახსნილმა ადამიანის შემოქმედებითმა ძალებმა შეძლო განვითარება. პოლიტიკას, ეკონომიკას, მეცნიერებას, ტექნიკას, ნაციონალიზმს და ა. შ. არა სურს [illegible] არავითარი ზნეობრივი [illegible], არავითარი სულიერი საწყისისა იმათ ზემოთ მდგომარე სფეროებისა. მაკიაველიზმი პოლიტიკაში, კაპიტალიზმი ეკონომიკაში, სიენტიზმი მეცნიერებაში, ნაციონალიზმი ხალხთა ცხოვრებაში, განუსაზღვრელი ძალაუფლება ტექნიკისა ადამიანებზე — ეს სუყველაფერი ამ ავტონომიებმა შვეს. ევროპელი კაცის ძირითადი და საბედისწერო წინააღმდეგობა ეს იყო მისი აქტიურობის სხვადასხვა სფეროების ავტონომია არ იყო თავად ადამიანის, ვითარცა მთელი არსების ავტონომია. ადამიანი სულ უფრო და უფრო ხდებოდა ავტონომიური სფეროების მონა-მორჩილი; ისინი არ ემორჩილებიან ადამიანთა სულს. სულ უფრო და უფრო ადამიანში ადამიანისავე სიმრთელის დაკარგვამ შვა მასში მოთხოვნილება წინ აღუდგეს თავს წამომდგარ განსაცდელს და როგორმე შეინარჩუნოს ადამიანის სახე. ერთი მხრივ, ევროპელი კაცი მიდის ნეოჰუმანიზმისკენ, მეორე მხრით, უნდა ცხოვრების ორგანიზაციის ტოტალიტარულ სისტემაში სიმრთელე მოიპოვოს. ტოტალიტარიზმის საკითხი, რომელზეც ასე ბევრს წერენ, უფრორე რთულია, ვიდრე ამას ფიქრობენ. ტოტალიტარიზმი არის რელიგიური ტრაგედია, მასში წარმოჩენილია რელიგიური ინსტინქტი, მისი მოთხოვნილება, რათა ცხოვრებასთან მისი დამოკიდებულება იყოს მრთელი. მაგრამ ადამიანის აქტიურობის სხვადასხვა სფეროს ავტონომიამ, სულიერი ცენტრის დაკარგვამ შვა ის, რომ ნაწილობრივს, განცალკევებულს აქვს პრეტენზია

ტოტალიტარიზმზე, სიმრთელეზე. მეცნიერება, პოლიტიკა უკვე დიდი ხანია მიელტვიან პირველობას. ჩვენს ეპოქაში ტოტალიტარული შეიქმნა ეკონომიკა, ტექნიკა, ომი. ამ სფეროებთან დამოკიდებულებაში მეცნიერება ამჟღავნებს უტილიტარულ ხასიათს. მარქსიზმი ცდილობს მრთელი ადამიანის დამკვიდრებას, არ უნდა შეურიგდეს ადამიანის ბუნების გაუცხოვებას, რაიც კაპიტალისტური ეპოქის თანამდევია. მაგრამ მას უნდა მრთელი ადამიანის გამოყვანა ეკონომიკის განცალკევებული, ავტონომიური სფეროდან, რაკიღა განიცდის კაპიტალისტური ეპოქის ძალაუფლებას. ამიტომ მარქსიზმის ტოტალიტარიზმი ცრუა, ვერ ათავისუფლებს ადამიანს, იმონებს მას. ადამიანი თავისი სიღრმით არ არის მეტწილად ეკონომიკური არსება. მაგრამ ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ტექნიკის ტოტალიტარულ მიდრეკილებას, ტექნიკას არა სურს სცნოს თავის ზემოთ არავითარი მაღალი საწყისი. ის იძულებულია ანგარიში გაუწიოს მხოლოდ სახელმწიფოს, რომელიც ასევე იძენს ტოტალიტარულ მნიშვნელობას. ტექნიკის ვითარცა ავტონომიური სფეროს თავბრუდამხვევ განვითარებას მივყევართ ჩვენი ეპოქის უძირითადეს მოვლენასთან: ორგანიული ცხოვრება იცვლება ორგანიზებული ცხოვრებით. ტექნიკურ ეპოქაში ადამიანთა უდიდესი მასა არსობის პირის მოსაპოვებლად სათანადოდ უნდა იყოს ორგანიზებული. ადამიანი მოწყვეტილია ბუნებას ამ ცნების ძველებური გაგებით და მოქცეულია სოციალურ სამყაროში, როგორც ჩანს ამას მარქსიზმი გვეუბნება. ამასთან ერთად ადამიანი სულ უფრო და უფრო განიცდის დედამიწის პლანეტარულ ვრძნობას. მისი სიცოცხლე წინაალმდეგობრივობაშია დაძირული და წონასწორობა აქვს დაკარგული. ტექნიკის ავტონომიური ძალაუფლება კეისრის საუფლოს უკიდურესი გამოვლინებელია. მისი ახალი ფორმა არა ჰგავს ადრინდელ ფორმებს. სულის საუფლოსა და კეისრის საუფლოს [illegible] სულ უფრო და უფრო [illegible] ბისა ხდება. კეისრის საუფლოს არ უნდა სცნოს ნეიტრალური სფეროები, ის მონისტურად არის გააზრებული.

ჩვენი ეპოქისთვის დამახასიათებელია ირაციონალურისა და რაციონალურის შერწყმა. ეს შეიძლება წინააღმდეგობრივი ჩანდეს, მაგრამ სინამდვილეში გასაგებია. ხდება ირაციონალური ძალების აფეთქება და ადამიანი დაინთქმება წარმოქმნილ ქაოსში. რაციონალურის მეშვეობით გადარჩენისთვის ის ძალისხმევას მოუხმობს. მაგრამ რაციონალობა ირაციონალურის მეორე მხარეა. ადამიანის მდგომარეობა სამყაროში აბსურდული, უაზრო ხდება. ის დანთქმულია ცხოვრების უაზროობაში, მაგრამ არც იმ აზრს ალიარებს, რომელსაც კი შეუძლია უაზროობის გამართლება. სამყაროს მოიცავს რაციონალური წყვდიადი. თავად რაციონალური ცხოვრება შეიძლება იყოს ირაციონალური. თავად რაციონალირება მაშინლა ხდება, როდესაც გონების რწმენა შეირყევა. ცხოვრების მთელ პროცესს ეს წინააღმდეგობრივს ქმნის. რაციონალირებული ტექნიკის ბატონობა აბსურდულად გადააქცევს ადამიანის მდგომარეობას სამყაროში. ადამიანის ეს მდგომარეობა, ის რომ აბსურდის სამყაროშია გადმოსროლილი, აისახა ჰაიდეგერის ფილოსოფიაში, კაფკას რომანებში. ახალ სიმძაფრეს იძენს ადამიანის საკითხი და ახალი რელიგიურ-ფილოსოფიური ანტროპოლოგია. ცხოვრების ტექნიზაცია ამავე დროს მისი დეჰუმანიზაციაა. ძველი ჰუმანიზმი უძლურია ტექნი-

კური პროგრესის ძალამოსილების წინაშე, იმის წინაშეც, რომ სულ უფრო მკვიდრდება აზრი ცხოვრების აბსურდულობაზე, მხოლოდ მარქსისტებს სურთ ოპტიმისტებად დარჩენა, სჯერათ ტექნიკის სიკეთისა, შეხედულებას ცხოვრების აბსურდულობის შესახებ მხოლოდ და მხოლოდ სასიკვდილოდ განწირულ ბურჟუაზიულ კლასებს მიაწერენ და ამას უკავშირებენ პროლეტარიატის უცილობელ ზეიმს. ამ შეხედულების მიხედვით ადამიანი ოდენ სოციალური არსებაა, რომელშიც აზროვნებს და ქმნის კლასი. მარქსისტული ოპტიმიზმი მთელი სიღრმით ვერ გაანიხილავს ადამიანის კოსმოსთან დამოკიდებულებას და არც ადამიანის შინაგან ცხოვრებას, რომელიც უბრალოდ უარყოფილია. მე უკვე მრავალგზის ვწერდი ჰუმანიზმის გაორებულობის შესახებ, იმის შინაგან დიალექტიკაზე, რომელსაც ადამიანის უარყოფასთან მივყავართ. ტექნიკის უარყოფისკენ სწრაფვა უაზროობაა. ტექნიკა კი არ უნდა უარვყოთ, არამედ სულს უნდა დავუმორჩილოთ. ადამიანის ისტორიული ბედიღბალი გადის არა მარტო სოციალური ცხოვრების რადიკალურ შეცვლაზე, რომელმაც საზოგადოების ახალი სტრუქტურა უნდა შექმნას, არამედ კოსმიურ ცხოვრების რადიკალურ შეცვლაზე. ხშირად ავიწყდებათ, რომ ადამიანის სოციალური ცხოვრება დაკავშირებულია კოსმიურ ცხოვრებასთან და კოსმიურ ცხოვრებასთან დამოკიდებულებისა და კოსმიური ძალების მოქმედების გარეშე საზოგადოების სრულყოფილებას ვერ მოვიპოვებთ. სოციალურ სამყაროში მარქსისტული საფუძვლები დაუცველი რჩება. ადამიანის ცხოვრებაზე ტექნიკის განვითარებასა და იმის ძალაუფლებას პირდაპირი დამოკიდებულება აქვს თემასთან „ადამიანი და კოსმოსი". ნათქვამია უკვე, რომ მორალური და სოციალური განვითარება არ შეესაბამება ტექნიკურ განვითარებას და ეს არის მთავარი მიზეზი ადამიანის წონასწორობის დარღვევისა. მხოლოდ სოციალური მოძრაობის დაკავშირება სულიერ მოძრაობასთან იხსნის ადამიანს გაორებისა და თავგზაარეულობისაგან. სულიერი საწყისის მეშვეობითღა, რაიც არის კავშირი ადამიანისა ღმერთთან, ადამიანი ხდება დამოუკიდებელი ბუნების აუცილებლობისგან და ტექნიკის ძალაუფლებისგან. მაგრამ ადამიანში სულიერების განვითარება ნიშნავს არა განდგომას ბუნებასა და ტექნიკისაგან, არამედ იმათ დაუფლებას. ადამიანის წინაშე მდგარი პრობლემა კიდევ უფრო რთულია: არ შეიძლება იყოს ურთიერთდამოკიდებულება მექანიზებულ ბუნებასთან. ბუნების ცხოვრებასთან ადამიანის ოდინდელი დამოკიდებულება ახლა მხოლოდ სულიერ შეხედულებათა მეშვეობითაა შესაძლებელი, ის არ შეიძლება უბრალოდ ორგანული იყოს ამ სიტყვის ძველი მნიშვნელობით. მაგრამ კიდევ უფრო მეტ სიმძაფრეს იძენს საზოგადოებასთან ადამიანის დამოკიდებულების საკითხი.

თავი III

ადამიანი და საზოგადოება. სოციალიზმი

ადამიანი ბუნების პირმშოა, სოციალური და სულიერი არსება. ის, აგრეთვე, თავისუფალი და მონური არსებაა. მიდრეკილია მსხვერპლად შეეწიროს სიყვარულსაც და ეგოიზმსაც, მაღალიცაა და მდაბალიც, თავის თავში დააქვს ხატი ღმერთისა და სამყაროს, ბუნებისა და სო-

ციალურის. და ამიტომ ადამიანი განისაზღვრება თავისი დამოკიდებულებით ღმერთთან, ბუნებასა და საზოგადოებასთან. სანდახან ის უფრო მეტწილად თავს საზოგადოების წინაშე მდგომარედ გრძნობს, ვიდრე კოსმოსის წინარე, და უფრო მეტად გრძნობს საზოგადოების ძალაუფლებას. და ტექნიკის ძალაუფლებასაც ის გრძნობს ვითარცა საზოგადოების ძალაუფლებას და არა ბუნებისა. ამიტომაც მკვეთრად დგას საკითხი, თუ სად არის საზღვარი ადამიანზე საზოგადოების ძალაუფლებისა. საზოგადოებას აქვს ტოტალიტარული ლტოლვა და მიდრეკილია ასე უთხრას ადამიანიშვილს: „შენ ჩემი შექმნილი ხარ და მევე მეკუთვნი განუსრელად". ქრისტედუალიზმს ამტკიცებდა — ღმერთის საუფლოსა და კეისრის საუფლოს. ამჟამად ჩვენ ვუბრუნდებით ანტიკურ, კერპთაყვანისცემლურ შეგნებას, რომლის მიხედვითაც საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ძალაუფლებაა თავიდათავი. დამოკიდებულება კაცსა და საზოგადოებას შორის პარადოქსულად წარმოგვიდგება. გარედან, ობიექტიდან, ადამიანის პიროვნება საზოგადოების მხოლოდ მცირეოდენი ნაწილია, შიგნიდან კი, სუბიექტიდან, საზოგადოება ადამიანის პიროვნების ნაწილია, მისი სოციალური მხარეა, ასევე კოსმოსი ვითარცა მცირე სამყარო ადამიანის პიროვნების ნაწილია და თავის თავში სუყველაფერს შეიცავს. ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ ადამიანი არა მარტო საზოგადოებრივ პლანს მიეკუთვნება, არამედ სულიერ პლანსაც და სწორედ ამაშია მისი თავისუფლების თავწყარო. აუცილებელია ყოველმხრივ გამოაშკარავება სიცრუის მონიზმისა, რომელიც სულ ყოველთვის ტირანიის საფუძველია, მონისტურად გაგებულ საზოგადოებას სულ ყოველთვის აქვს ტენდენცია ტირანული იყოს. უფრორე მისაღები იყო პლურალიზმი, მაგრამ ბურჟუაზიულ და კაპიტალისტურ საზოგადოებაში პლურალიზმი ინდივიდუალობასთანაა დაკავშირებული და კაპიტალისტური ბატონობის შენიღბვით ტირანიის ფარული ფორმაა. ამიტომ შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ სრულიად ახალი ძმური საზოგადოების, პერსონალისტური და კომიუნოტარულ საზოგადოების შექმნაზე. ადამიანისათვის საზოგადოება ობიექტია, რომელიც დეტერმინირებას ახდენს მასზე გარედან. ის სუბიექტურად უნდა გადავაქციოთ, შინაგანად რომ აღნიშნავს ადამიანის კომიუნოტარულ და სოციალურ ხასიათს.

კომუნიზმი, სრულიად ისევე როგორც ფაშიზმი, უარყოფს პიროვნებასა და საზოგადოებას შორის ტრაგიკულ კონფლიქტს. ხსენებული კონფლიქტი მხოლოდ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაშია სავარაუდებელი. თუკი ზედაპირზე დავრჩებით, ასე წარმოგვიდგება, მაგრამ დიდ სიღრმეში ეს კონფლიქტი მხოლოდ ღმერთის საუფლოშია დაძლეული სრულიად. ადამიანის ტრაგიკულობა ის არის, რომ იძულებულია იცხოვროს ბუნებისმიერ და ობიექტივირებულ წესრიგში, ე. ი. აუცილებლობის წილის ზემოქმედება უფრო მეტია მასზე, ვიდრე ზემოქმედება თავისუფლების წილისა. საზოგადოება არც არის განსაკუთრებული არსება, არცა ორგანიზმი. ამ მხრით სრული სიცრუეა მეტაფიზიკა კოლექტივისა, რომელიც სოციალურ კოლექტივში ადამიანის ზევით მდგომარე რეალობას ხედავს. ამ საკითხს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით. მაგრამ საზოგადოება რეალობაა. ხსენებული რეალობა არა მარტო „მე" და „შენაა", არამედ „ჩვენც". მაგრამ რეალობა „ჩვენ" სულაც არ

გვაძლევს უფლებას ვაღიაროთ საზოგადოების პრიმატი ადამიანის პიროვნებაზე.[3] ადამიანისა და ადამიანის ადამიანთან დამოკიდებულების გარეშე საზოგადოება არ არსებობს ან არსებობს ვითარცა გარეთ მიმართული თავად ადამიანის გაუცხოებული ბუნება. ჰეგელის, მარქსის, დიურკჰაიმის, შპანას და სხვ. უნივერსალიზმი, რომელიც სცნობს ადამიანის პიროვნებაზე საზოგადოებისა და სახელმწიფოს პრიმატს, ცრუ უნივერსალიზმია და ეყრდნობა ცნებათა რეალიზმის ლოგიკას, რომლის მიხედვითაც საერთო ინდივიდუალობაზე უფრორე რეალურია. მისთვის კლასი ადამიანზე უფრო მეტი რეალობაა. ძალიან საინტერესოა, რომ სოციალური დიალექტიკის ამ წინააღმდეგობრიობას, როგორც დაამტკიცა ჟ.-ჟ. რუსომ, იაკობინელთა დესპოტურ სახელმწიფოსთან მივყეოარო, რუსო უკვე უარყოფდა რელიგიურ სინდისს და უბრუნდებოდა თავისუფლების ანტიკურ, ქრისტიანობამდელ გაგებას. უფრორე მართალი იყვნენ პრუდონი, ჩვენთან კი ა. გერცენი და ნ. მიხაილოვსკი, რომლებიც ამტკიცებდნენ სოციალიზმს ინდივიდუალობის, ადამიანის გულისთვის.

ადამიანის პიროვნების თავისუფლებას საზოგადოება ვერ გასცემს და არც შეუძლია თავისი წარმომავლობით და ნიშნით მასზე იყოს დამოკიდებული — ის მიეკუთვნება ადამიანს ვითარცა სულიერ არსებას. საზოგადოებამ, თუკი მას არა აქვს ტოტალიტარული პრეტენზიები, მხოლოდ უნდა აღიაროს თავისუფლება. თავისუფლებაზე ეს ძირითადი ჭეშმარიტება თავის გამოხატულებას ნახულობდა მოძღვრებაში საბუნებისმეტყველო სამართალზე, ადამიანის უფლებებზე, სახელმწიფოზე რომ არ არის დამოკიდებული, თავისუფლებაზე, რომელიც თავისუფლებაა არა მარტო საზოგადოებაში, არამედ თავისუფლებაა საზოგადოებიდანაც, რომელიც განუსაზღვრელი მოთხოვნებისაა. ბენჟამენ კონსტანი ხედავდა, ისტორიის ქრისტიანულ პერიოდში გააზრებული თავისუფლება განსხვავდებოდა თავისუფლებაზე იმ შეხედულებისგან, რომელიც იყო ანტიკურ ბერძნულ-რომაულ სანაში. სწავლება საბუნებისმეტყველო სამართალზე აღიარებდა ადამიანის უფლებას დამოუკიდებლად სახელმწიფოს მიერ დაწესებული პოლიტიკური სამართლისაგან, ეს იყო თეორეტიკული შეცდომა, რომელიც ახასიათებდა იმ დროინდელ უმწიფარ მეტაფიზიკას. სინამდვილეში ადამიანის განუყოფელი უფლებები, ადამიანზე საზოგადოების ძალაუფლების საზღვრებს რომ აღგვის, ბუნებით კი არა, სულით განისაზღვრება. ეს არის სულის უფლებები და არა ბუნებრივი უფლებები, ბუნება ვერავითარ უფლებას ვერ დაადგენს. სწორედ ასეთი შეცდომა მოსდიოდათ მაშინ, როდესაც ხდებოდა რევოლუცია ბუნების სახელით, რევოლუციის მოხდენა კი სულის სახელით შეიძლებოდა, ბუნება კი, ე. ი. ადამიანისთვის დამახასიათებელი ინსტინქტი, მხოლოდ მონობის ახალ ფორმებს ქმნიდა. ქრისტიანობამ ერთ დროს მოახდინა უდიდესი სულიერი რევოლუცია, მან სულიერად გაანთავისუფლა ადამიანი საზოგადოებისა და სახელმწიფოს განუსაზღვრელი ძალაუფლებისგან; ეს ძალაუფლება ანტიკურ სანაში რელიგიურ ცხოვრებასაც მოიცავდა. ადამიანში მან დაამკვიდრა სულიერი საწყისი, რომელიც დამოკიდებულია არა სამყაროზე, ბუნებასა და საზოგადოებაზე, არამედ ღმერთზეა დამოკიდებული. სწორედ ეს არის მხოლოდ ქრისტიანული პერსონალიზმის ჭეშმარიტება, რომელიც უცნობი იყო ძველ, ქრისტია-

ნობამდელი სამყაროსთვის. მაგრამ ქრისტიანობის ისტორიული ბედი ისეთი იყო, რომ მახინჯდებოდა კეისრის საუფლოსთან შეგუებით, თავს იხრიდა სახელმწიფოს ძალამოსილების წინაშე და ცდილობდა ამ ძალის საკრალიზებას. ასე ყალიბდებოდა ძალმომრეობითი ქრისტიანული თეოკრატიები, ასე მივიდნენ კაპიტალისტური რეჟიმის შეგუებასა და გამართლებასთან; ეს რეჟიმი მწვავედ წინააღმდეგობრივია ქრისტიანობასთან. საბედისწერო მნიშვნელობა ჰქონდა პავლე მოციქულის სიტყვებს: „რამეთუ არა არს ხელმწიფეობაი, გარნა ღმრთისა მიერ“, რომელსაც არც ჰქონდა რელიგიური მნიშვნელობა, მხოლოდ დროებითი, ისტორიული მნიშვნელობა. პავლე მოციქულის სიტყვები გახდა ოპორტუნიზმის წყარო. პავლესეულ ქრისტიანობაზე ორი გზა დამკვიდრდა: ან ამ სოფლიდან ასკეტური განსვლა, გამამართლებელი ასკეტური მეტაფიზიკური მსოფლმხედველობისა, ან ამ ქვეყნის ვაბატონებულ ძალებთან შეგუება. ქრისტიანობა სულ ყოველთვის განსაზღვრავდა თავის დამოკიდებულებას საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ამას სხვები აკეთებდნენ, მაგრამ ვერ წარმოგვიჩენდნენ ქრისტიანობის სიღრმიდან ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციების სიმართლეს. საზოგადოების შესახებ ქრისტიანული სიმართლე ჯერ კიდევ არ იყო წარმოჩენილი, ჯერ კიდევ არ მოწეულიყო ამის დრო. ამიტომ, გარკვეული სნით უნდა დაემტკიცებინათ დუალიზმი „ღვთისა“ და „კეისრისა“, დუალიზმი ბუნებრივის — სოციალურის, ვითარცა დუალიზმი საზოგადოებისა და სახელმწიფოს, თავისუფლების თავწყარო ეს არის. მაგრამ ეს არ არის საბოლოო, ეს გზად მიმავალი დუალიზმია, დროებითი დუალიზმია. საბოლოო მიმართულება არის მიმართულება ღმერთის საუფლოსკენ, რომელშიც დაძლეულია ყოველგვარი დუალიზმი. აღსანიშნავია დავადგინოთ განსხვავება საზოგადოებასა და კომუნიტარულ თემს შორის. საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელშიც ლიდი წილი აქვს აუცილებლობას, არ არის კომიუტარულობის შექმნა. შემდეგ თავში ჩვენ ვისაუბრებთ ღრმა განსხვავებაზე რელიგიური საკრებულოს იდეასა და კოლექტივიზმის სოციალურ იდეას შორის. მაგრამ მეორე მხრით სრულიად ცრუა გაყოფა ინდივიდუალურ-მორალური აქტისა და სოციალურ-მორალურისა. კაცი არ შეიძლება იყოს მორალური და კარგი ქრისტიანი ინდივიდუალურ, პირად ცხოვრებაში და იყოს სასტიკი ექსპლუატატორი და ამორალური სოციალურ ცხოვრებაში, ჩვენ ვგულისხმობთ ხელისუფლების წარმომადგენლებს, საწარმოს მეპატრონესა, ოჯახისთავს და ა. შ. ცრუ და ანტიადამიანურია განსხვავება ადამიანისა და იერარქიული ჩინის, ადამიანის შეცვლა იერარქიული ჩინით.[9] მთავარი მიზეზი ქრისტიანობის კრიზისისა, საზოგადოების კრიზისისა და რწმენის ნგრევისა ის არის, რომ ქრისტიანობა ესმით მხოლოდ როგორც ხსნის რელიგია. ამ შეგნების ნიადაგზე შეუძლებელი ხდება გადაიჭრას ადამიანისა და საზოგადოების დამოკიდებულების პრობლემა. საჭიროა ქრისტიანობის ახლებურად გაგება, უნდა გვესმოდეს არა როგორც მხოლოდ პირადული რელიგია, არამედ როგორც სოციალური და კოსმოსური გარდაქმნის, ე. ი. ქრისტიანულ შეგნებაში მესიანობისა და წინასწარმეტყველების გაძლიერებას შეუძლია გადაწყვიტოს ადამიანისა და საზოგადოების მტანჯავი პრობლემა.

●

მსოფლიოს ცხოვრებაში სოციალიზმი დიდ როლს თამაშობს და ამიტომაც ძლიერ მძაფრი შეიქნა ადამიანისა და საზოგადოების პრობლემა. თავად სიტყვა „სოციალიზმი“ წარმოდგება სიტყვისაგან „საზოგადოება“. როდესაც სოციალიზმი ჯერ კიდევ ოცნება და ილუზია იყო, ჯერ კიდევ არ იყო ცხოვრების პრაქტიკა და ხელისუფლება, მას სურდა ყოფილიყო ორგანიზებულად მომართული ადამიანობა. მარქსიც კი ფიქრობდა, რომ სოციალიზმმა ადამიანის სახელით უნდა განახორციელოს ახალი საზოგადოება. ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი სამყაროში, კეისრის საუფლოში ყოვლის განხორციელების დიალექტიკა. მაგრამ მიუხედავად სოციალიზმის უდავო პრაქტიკული საჭიროებისა— ყოველ შემთხვევაში, კრიტიკული სიმართლე კაპიტალიზმთან მიმართებით — სოციალიზმის მეტაფიზიკა ცრუა. ხსენებული მეტაფიზიკა საფუძველია ადამიანის პიროვნებაზე საზოგადოების პრიმატი, თუმცა კი იყო ასეთი ვარაუდი, რომ ადამიანი ამ პრიმატის მეშვეობით მოგებული დარჩება მხოლოდ. სოციალიზმი გაორებულია; შეუძლია შექმნას ახალი თავისუფალი საზოგადოება ან ახალი მონობა. სილრმე და სიმართლე სოციალიზმისა ის არის, რომ ადამიანის პიროვნება საერთოდ და განსაკუთრებით მუშის პიროვნება, ობიექტიდან სუბიექტად უნდა გადაიქცეს. ძირითად წინააღმდეგობად რჩება პიროვნებისა და საგნის წინააღმდეგობა. დაუშვებელია ადამიანი გარეგანილებოდეს როგორც საგანი და ობიექტი. ადამიანი არის სუბიექტი და პიროვნება, და გამართლებულია ის სოციალური წყობილება, რომელიც ამას აღიარებს. სოციალიზმისა და კომუნიზმის განსხვავებაზე არსებითად ქვემოთ ვიტყვით თავში კოლექტივიზმისა და მარქსიზმის შესახებ.

ამბობენ, განსხვავება სოციალიზმსა და კომუნიზმს შორის ის არის, რომ სოციალიზმის ლოზუნგია: „ყოველს მისი უნარისდა მიხედვით, ყოველს მისი შრომისდა მიხედვით“, კომუნიზმის ლოზუნგი კი — „ყოველს მისი უნარისდა მიხედვით, ყოველს მისი მოთხოვნებისდა მიხედვით“. პრინციპული არ არის ეს განსხვავება, მეორეულია, მხოლოდ გვიჩვენებს საზოგადოების მიერ სიმდიდრის მოპოვების სხვადასხვა ხარისხს. უფრორე ღრმაა ის განსხვავება, რომ სოციალიზმი არ მოითხოვს ისეთ ტოტალიტარულ მსოფლმხედველობას, როგორც კომუნიზმი, არ მიელტვის ადამიანის მთელი პირადი ცხოვრების კოლექტივიზაციას და არც ყოველ საშუალებას თვლის მისაღებად. მაგრამ სოციალიზმი, მეტწილად ცრუ მეტაფიზიკაზეა დაფუძნებული, ობიექტების სამყაროს პირველობას ანიჭებს, სუბიექტის სამყარო კი მეორეული ჰგონია. ეს არის კეისრის საუფლოს ერთ-ერთი ტრანსფორმაცია. მატერიალიზმი, ე. ი. საგნისა და ობიექტის ტრანსფორმაცია ბურჟუაზიული მემკვიდრეობის მსოფლმხედველობაა. კაპიტალიზმი არის პრაქტიკული ათეიზმი. ამის შესახებ ბევრ მართალს ამბობს რაგაცი. მაგრამ მის აზრში არის ილუზია, რომ პროლეტარიატის წინაშე უსასრულობაა გადაშლილი, რადგანაც ის კერძო საკუთრებისგან არის თავისუფალი. ყოველთვის არის საშიშროება სოციალიზმის ბურჟუაზიულობად მიქცევისა, გონებამახვილურად შეუმჩნევია ეს გერცენს. კომუნიზმიც შეიძლება იყოს ბურჟუაზიულობით ცხებული, ამ სიტყვის სულიერი აზრის მიხედვით. ყველაზე უფრო ღრმა წინააღმდეგობა კაპიტალიზმისადმი წინააღმდეგობაა არა როგორც ეკონომიკური კატე-

გორიისა, არამედ ბურჟუაზიულობისადმი როგორც სულიერი, მორალური კატეგორიისა. ახალი საზოგადოებისთვის რევოლუციური ბრძოლა განისაზღვრება არა იმის მიხედვით, თუ როგორ უნდა შეიცვალოს ახალი საზოგადოების მიერ შექმნილი ადამიანების სოციალური იდეალი, მათი ზნეობრივი და მორალური სახე, არამედ განისაზღვრება იმ საშუალებების მიხედვით, ამ ბრძოლაში რომაა გამოყენებული, იმით, თუ რა ხარისხის ძალადობას უნდა მიმართონ. განდი, რაღა თქმა უნდა, თუ ამ სიტყვას რევოლუციურს, სულიერს მივუსადაგებთ, უფრორე რევოლუციური იყო, ვიდრე კომუნისტები, მაგრამ ეს კაცი სწორედ ამის გულისთვის მოკლეს.

აქ უდიდესი მნიშვნელობა აქვს დროებასთან დამოკიდებულებას. შეიძლება კი განვიხილოთ აწმყო ვითარება საშუალება მომავლისთვის, ხოლო თანამედროვე თაობა ვითარება საშუალება მომავალი თაობებისთვის? რევოლუციური სოციალიზმის მიხედვით ხშირად ახლანდელი თაობა ცოცხალი ადამიანებისა განიხილება როგორც საშუალება მომავლისათვის. ამიტომ შესაძლებელი ხდება უამრავი ადამიანის მოკვდინება, — მათი შემზარავი ტანჯვა ადამიანთა მომავალი სიკეთისა და ბედნიერების დამკვიდრებისათვის. სულ ყოველთვის ასე იქმნებოდა და დღესაც იქმნება კეისრის საუფლო, მისი კანონი ეს არის. განსხვავება მხოლოდ ხარისხშია საძიებელი, რევოლუცია ესმით როგორც ანტიპერსონალიზმი.

სოციალიზმში ყველაზე უფრო მტანჯველი პრობლემა თავისუფლების პრობლემაა. როგორ უნდა დავუკავშიროთ ყველა ადამიანისთვის ესოდენ სასიცოცხლო მნიშვნელობის პურის პრობლემის გადაწყვეტა იმ თავისუფლებას, რომელზეც ადამიანის ღირსებაა დამოკიდებული? მატერიალიზმის ნიადაგზე ეს პრობლემა სრულიად გადაუჭრელია, ის შეიძლება მხოლოდ გადაიჭრას რელიგიური სოციალიზმის ნიადაგზე. მაგრამ მდგომარეობის [illegible]ტრაგიზმი ის არის, რომ ადამიანთა [illegible]მასების გზა გადის დექრისტიანიზაციასა და მატერიალიზმზე და ამაში დამნაშავენი თავად ქრისტიანებია. სოციალიზმი თავისთავად ვერც ვერასდროს განახორციელებს საზოგადოების სრულყოფილებას, ვერც თანასწორობას განახორციელებს. არ იქნება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის ცოდვილიანი ფორმები, არ იქნება კლასები იმ გაგებით, როგორც ეს კაპიტალიზმის დროსაა შექმნილი, მაგრამ წარმოიქმნება ახალი, პრივილეგირებული მმართველი ფენა. ახალი ბიუროკრატიისა, რასაც ახლა „ორგანიზატორებს" უწოდებენ (Sames Burnham!).

ისტორიაში ორმხრივი პროცესი მიმდინარეობს: სოციალიზაციის პროცესი და ინდივიდუალიზაციის პროცესი. კომუნიზმს აქვს ტოტალიტარული სოციალიზმის ტენდენცია, მისი თავისებურება ამაშია. კომუნიზმის ეკონომიკური სისტემა შეიძლება კიდევ არ ყოფილიყო ადამიანური ცხოვრების ტოტალიტარული სოციალიზაცია. ეს კომუნიზმის ფილოსოფიური მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობს. სოციალიზმი ნაკლებად სულიერია, ინდივიდუალიზაციის პროცესია მასში. მაგრამ სოციალიზმი შეიძლება განვიხილოთ როგორც სახეობრივი ცნება და სოციალიზმი სხვადასხვა ფორმითაა შესაძლებელი. შეიძლება იყოს სოციალიზმი რევოლუციური და სოციალიზმი რეფორმატორული, სოციალიზმი რელიგიურობით ცხებული და სოციალიზმი ათეისტური, სოციალიზმი დემოკრატიული და სოციალიზმი არისტოკრატიული. საუ-

ბარი ევროპაში არა სოციალური ცვლილების შესახებ, არამედ პრინციპებზე. სოციალიზმში ყოველთვის იყო ქილისტიკური ელემენტი, ის იყო უტოპიურ სოციალიზმში და მარქსის სოციალიზმშიც, მაგრამ სწორედ სოციალიზმის გაუთავისებელი, ქილისტიკური და მესიანური ელემენტი წარმოშობს ფატალიზმს, ამასთანაა დაკავშირებული მისი მებრძოლი, ანტირელიგიური სასიათი. რელიგიის მიმართ უკიდურესი მტრობა შეიძლება იყოს რელიგიის სურვილიც. სწორედ ეს არის ნაირსახეობა იმ სოციალიზმისა, რომელსაც კომუნიზმი ჰქვია. თავად სიტყვა სოციალიზმი უფერულია და თითქმის არც არაფერს ნიშნავს, ის მოდის სიტყვიდან „საზოგადოება". სიტყვა „კომუნიზმი" უფრორე მნიშვნელოვანია, ის დაკავშირებულია წილნაყარობასთან, კომიუნოტარობასთან. მაგრამ პრაქტიკისდა ჯვალად კომუნიზმი, ღებულობს არა იმდენად კომიუნოტარულობის სასიათს, რამდენად კოლექტივიზმის სასიათს. ჩვენ დავინახეთ, რომ ეს არის ძირითადი განსხვავება. კომუნიზმი კოლექტივიზმის უკიდურესი გამომხატველია და ასე რომ არ იყოს, მაშინ სიტყვა „კომუნიზმს" ვამჯობინებდი, მე ვიქნებოდი დამცველი რელიგიური და არისტოკრატიული (სოციალურის კი არა, ამ სიტყვის კლასიკური მნიშვნელობით) კომუნიზმისა. მაგრამ ცხოვრებით დამკვიდრებული ტერმინოლოგიის მიხედვით, უპირატესობას სიტყვა „სოციალიზმს" უნდა მივანიჭო.

უნდა ვაღიაროთ, რომ სოციალიზმი საშუალებებით უფრო თავმოზღუდულია, ნაკლებად მიელტვის თავისი მიზნების ძალადობით განხორციელებას. წარსულშიც ქილისტიკური ქრისტიანული კომუნიზმი, რომელსაც მიზნად ჰქონდა მიწაზე ღვთის საუფლოს დამკვიდრება, სისხლიან ძალადობას მიელტვოდა. ამ მხრივ საყურადღებოა თომას მიუნცერის სახე. კომუნისტური უტოპია, ასე, მაგ., კამპანელასა და კაბეს უტოპია, გვიხატავდა იდეალურ წყობილებას, რომელშიც თავისუფლება უადგილოდ რჩებოდა და საზოგადოების ორგანიზაცია ტირანული იყო. არსებითად, სოციალიზმის პრობლემა, რომლის წინაშეც თანამედროვე ადამიანია — „პურისა" და სოციალური სამართლიანობის პრობლემა — ელემენტარული და შედარებითია. სოციალიზმს, თუ ამ სიტყვას რადიკალური მნიშვნელობით მოვიმველიებთ, არ ძალუძს ადამიანის არსებობის ძირითადი საკითხების გადაჭრა, სოციალიზმის ელემენტარული სიმართლის განხორციელების შემდეგ განსაკუთრებული სიმძაფრით წარმოგვიდგება ადამიანისათვის ყველაზე უფრო ღრმა საკითხები და ადამიანის ცხოვრების ტრაგიკულობა განსაკუთრებით მძაფრი შეიქმნება. ადამიანის ცხოვრების მიზანი სულიერია და არა სოციალური, სოციალური მხოლოდ საშუალებების მიხედვითაა, ბურჟუაზიული საზოგადოებისა და ბურჟუაზიული სულის წინააღმდეგ მიმართული სოციალიზმისა და კომუნიზმის ბრძოლა ვერ არის საკმარისი. უნდა გვახსოვდეს ისტორიის ბურჟუაზიული და ჰუმანისტური პერიოდის დამსახურება, თავისუფალი აზრისა და მეცნიერების დამკვიდრება, წამებისა და შემაძრწუნებელი სასჯელების აღკვეთა, აღიარება უფრორე მეტი ადამიანურობისა. ამ მხრით XIX საუკუნე იყო უდიდესი საუკუნე. სრული უაზრობაა იდეა პროლეტარული კულტურისა, რომელსაც არ ამტკიცებდნენ არც მარქსი და არც ლენინი. პროლეტარული ფსიქოლოგია და პროლეტარული კულტურა ადამიანის მონობასლა ნიშნავდა. კულტურა შეიძლება იყოს

მხოლოდ საერთოსაკაცობრიო და უთუოდ ითვალისწინებს არისტოკრატიულ ელემენტს. ასეთივე უაზრობაა მტკიცება შრომის რელიგიისა, შრომას რელიგიური აზრი აქვს, მაგრამ მისი მიზანი შრომის სიმძიმისგან განთავისუფლებაა, სწორედ ეს იქნება ერთ-ერთი შედეგი ტექნიკისა, როდესაც ის სულს დამორჩილდება. მაგრამ სოციალიზმის დროს ცხოვრებასთან დამოკიდებულება ბურჟუაზიული არ უნდა იყოს, არცა ბურჟუაზიული დამოკიდებულება ადამიანებისა, რაღაც ახალი უნდა შეიქმნას. ეს არ არის მხოლოდ სოციალური ამოცანა, სულიერი ამოცანაა უპირველეს ყოვლისა, სულიერი რევოლუციაა. რელიგიური სოციალიზმის განვითარება და გამარჯვება უნდა გვსურდეს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს სოციალიზმის რელიგიას. სოციალიზმის რელიგიური საწყისებისა და მიზნებისადმი დამორჩილება არის სოციალიზმის ცრუ რელიგიისგან, საზოგადოების ცრუ ობიექტივაციისგან განთავისუფლება.

თავი IV

ადამიანი და კეისარი. ძალაუფლება

კეისარი სულ მუდამაა ძალაუფლების, სახელმწიფოს, ამ ქვეყნის სამეფოს სიმბოლო. კეისრის, ძალაუფლების, სახელმწიფოს, ამ ქვეყნის სამეფოსა და სულის თანაფარდობის შესახებ ორი თვალსაზრისი არსებობს. ხსენებული თანაფარდობა ესმით ან დუალისტურად, ან მონისტურად. ნათქვამი იყო ჩვენი სამყაროს პირობებში დუალიზმის შედარებითი სიმართლის შესახებ. გინდ რელიგიური იყოს და გინდ ანტირელიგიური, მონიზმს სულ ყოველთვის აქვს ტირანული ტენდენცია. კეისრის საუფლოსა და ღვთის საუფლოს, სულისა და ბუნების, სულისა და სახელმწიფოს, საზოგადოების ორგანიზებულობის სწორად გაგებულ დუალიზმს ძალუძს საძირკველი ჩაუყაროს თავისუფლებას. ევანგელეს სიტყვები, „მიეცით კეისრისაი კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა“, არასწორად იყო გაგებული და ინტერპრეტირებული, ხოლო პავლე მოციქულის სიტყვებს, „რამეთუ არა არს ხელმწიფებაჲ, გარნა ღმრთისაგან“, მონური ხასიათი ჰქონდა. მიეცით კეისრისა კეისარსა, სულაც არ არის კეისრისა და მისი საუფლოს რელიგიური განმარტება, არც იმის შეფასებას ნიშნავს. ეს არის მხოლოდ ორი სხვადასხვა სფეროს განცალკევება, დაუშვებელია ამ სფეროთა აღრევა. ხოლო ამ სიტყვებს, „რამეთუ არა არს ხელმწიფებაჲ, გარნა ღმრთისაგან“, საბედისწერო მნიშვნელობა ჰქონდა. თავიდან ბოლომდე სახელმწიფო ხელისუფლებასთან და ძალაუფლების საკრალურ ფორმებთან დამოკიდებულებისდა მიხედვით იყო სერვილიზმი და ოპორტუნიზმი და მცირეოდნავაც არ იყო წილნაყარი ქრისტიანობასთან. პავლე მოციქულის სიტყვებს არც არავითარი რელიგიური მნიშვნელობა აქვს. მათი ხასიათი წმინდა ისტორიული და შედარებითია, რომის იმპერიაში ქრისტიანების მდგომარეობით იყო გამოწვეული. პავლე მოციქული შიშობდა, ვაითუ ქრისტიანობა ანარქიულ, რევოლუციურ სექტად გარდაისახოსო. მას სურდა ქრისტიანობის მსოფლიო ისტორიაში შეყვანა. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რამდენიმე ხნის შემდეგ, დომიციანეს მმართველობის დროს,

სახელმწიფო ხელისუფლება დახასიათებული იყო ვითარცა მიწისქვეშეთიდან აღმომავალი მხეცი. საკითხი უფრორე რთულია, ვიდრე ამას ფიქრობენ პავლე მოციქულის სიტყვების მოყვახის ხანს. ქეისრის საუფლოსთან მიმართებით ქრისტიანობამ უკვე საკმარისად გამოამჟღავნა სერვილიზმი. თანაც ეს ჩვეულებრივ ასე ხდებოდა: ქეისრის საუფლოში ყოველგვარი ცვლილება — რევოლუციური და რეფორმატორული — თავდაპირველად ეკლესიის მხრიდან წინააღმდეგობას იწვევდა, სიახლე დაერქმეოდა ანტიქრისტეს სულის გამოვლინებას და გაკიცხული შეიქნებოდა. მაგრამ როდესაც სტაბილური გახდა და განმტკიცდა კეისრის ახალი ძალაუფლება, ეკლესიამ უეცრად შეამჩნია, სწორედ ეს არის ის ძალაუფლება, რომელიც ღვთისგანაა და სანქცია მისცა. ამრიგად, თითქოსდა ეკლესიამ სანქცია მისცა იმას, რასაც აკეთებდნენ ეკლესიისა და ქრისტიანობის მიღმა ძალები და სახელმწიფოსა და საზოგადოებას არც ჰქონდა საკუთარი იდეალები. როცა კი, როგორც ჩანს, ჰქონდა — წარსულის ქრისტიანობის თეოკრატიებში — კიდევ უფრო უარესი იყო, რადგანაც ეს თეოკრატიების ქრისტიანობა იყო მხოლოდ აბრის მიხედვით და უარყოფდნენ თავისუფლებას. თეოკრატია ერთ-ერთი საცდურთაგანი იყო, რასთანაც წილნაყარი გა[illegible]ათ ქრისტიანული კაცობრიობა. საცდური იყო არა მარტო თეოკრატია ამ სიტყვის შუასაუკუნეობრივი გაგებით, არამედ ქრისტიანული სახელმწიფოებიც, რომლებიც სულ ყოველთვის ქრისტიანული იყვნენ სიმბოლოურადღა, არა რეალურად და სახელს უტეხავდნენ ქრისტიანობას. პრობლემის სილრმე ის არის, სული არ შეიძლება დამოკიდებული იყოს და განისაზღვრებოდეს ბუნებითა და საზოგადოებით. სული არის თავისუფლება, მაგრამ ისტორიაში სულის ობიექტივაციამ შექმნა მთელი რიგი მითები, რომლითაც ხდება ხელისუფლების ავტორიტეტის განმტკიცება. ეს არის რელიგიურ სფეროში მეფე — სუვერინეტეტზე, ეს არის [illegible] ბაბის უცოდველობაზე ან მითი ეპისკოპოსთა კრებაზე. სახელმწიფოსა და საზოგადოების ცხოვრებაში ასეა: მონარქიის მითი — მონარქიის სუვერენიტეტის შესახებ, მითი დემოკრატიის —ხალხის ძალაუფლების სუვერინეტეტის შესახებ (Volontè générale), კომუნიზმის მითი — პროლეტარიატის ძალაუფლების სუვერინეტეტის შესახებ. ყველა ამ მითს არსებითად მისტიკური ხასიათი ჰქონდა, თუმცა კი ცხადლივ ამას არ აღიარებდნენ და ეს მითები, როგორც წესი, გულისხმობდნენ სუვერენიტეტის შესახებ ახლებურად გაგებულ მითს კი არა, არამედ თავად სუვერენიტეტის იდეის უარყოფას. სუვერენიტეტი არც არავის ეკუთვნის, ობიექტივიზაციის ერთ-ერთი ილუზიათაგანია მხოლოდ.

შეიძლება თქვან, რომ ჩემი თვალსაზრისი ანარქიული მითის ზეგავლენას განიცდის, მაგრამ ეს არ არის სწორი. ჩემთვის უცხოა ბელნიერი, უსახელმწიფო ყოფის უტოპია. სახელმწიფოს ფუნქციები ამ ქვეყნის პირობებში რჩება. მაგრამ სახელმწიფოს აქვს მხოლოდ ფუნქციური და დამოკიდებული მნიშვნელობა. ის, რაც უნდა უარვყოთ, ეს არის სახელმწიფოს სუვერინეტეტი. სახელმწიფოს ყოველთვის ჰქონდა ტენდენცია თავისი საზღვრების გადავლისა და ის ავტონომიურ სფეროდ გადაიქცა. სახელმწიფოს უნდა ტოტალიტარული იყოს. მხოლოდ კომუნიზმსა და ფაშიზმს არ ვგულისხმობ. ისტორიის ქრისტიანულ ხანაშიც უბრუნდებოდნენ სახელმწიფოს კერპთაყვანისცემლურ, ე. ი. ტოტალი-

ტარულ, მონისტურ გაგებას. ქრისტიანების წინააღმდეგ ცელსის ერთ-ერთი კლასიკური მოსაზრება ის იყო, რომ ქრისტიანები ცუდი, სახელმწიფოსთვის არალოიალური მოქალაქეები არიან. თავს სხვა სამყაროს მიაკუთვნებენ. დღესაცაა ეს კონფლიქტი. მარადიული კონფლიქტია ქრისტეს ღმერთკაცის და კეისრის — კაცღმერთის.[10] კეისრის გაღმერთების ტენდენცია მარადიული ტენდენციაა მონარქიაში გაცხადებული და შეიძლება გაცხადებული შეიქნას დემოკრატიასა და კომუნიზმში. ვერც ვერავითარი მიწიერი ხელისუფლების სუვერინეტეტი ვერ მოურიგდება ქრისტიანობას: ვერც მონარქიის სუვერენიტეტი, ვერც ხალხის სუვერენიტეტი, ვერც კლასის სუვერენიტეტი. ქრისტიანობასთან შემარიგებელი ერთ-ერთი პრინციპია ადამიანის განუყოფელი უფლებების დამკვიდრება. მაგრამ სახელმწიფოები ამას ადვილად ვერ ურიგდებიან და თავად ადამიანის უფლებები დამახინჯებული შეიქნა. ის ნიშნავდა არა იმდენად ადამიანის ვითარცა სულიერი არსების უფლებებს, რამდენადაც მოქალაქის, ე. ი. ნაწილობრივი არსების უფლებებს. მონიზმი დუალიზმს ებრძვის. მონიზმი სულ ყოველთვისაა დაბრუნება სახელმწიფო ხელისუფლების კერპთაყვანისმცემლურ გაგებასთან, დუალიზმი კი ქრისტიანული წარმომავლობისაა, მოწამეთა სისხლით არის განმტკიცებული. მონიზმისა და დუალიზმის დამოკიდებულება პარადოქსული ხასიათისაა. სოციალური რევოლუციის თემა შეიცავს უკიდურესად მონისტურ და დუალისტურ ელემენტს. ის დუალისტურია სამყაროს ორ ნაწილად გაყოფის ხანს, სოციალური რევოლუციის მომხრენი რომ არიან და მოწინააღმდეგენი, და მონისტურია თავისი ახალი სამეფოს დამკვიდრების მტკიცებისას. სოციალისტური რევოლუცია თავის თავში მოიცავს მესიანურ და ქილისტიკურ ელემენტს, ის უთუოდ მიელტვის მიწაზე ღმერთის საუფლოს, მაგრამ რწმენისა და ღმერთის გარეშე. ამას კი სულის საუფლოსა და კეისრის საუფლოს შორის განსხვავების, მომავალი კეისრის საუფლოსა და ნაწინასწარმეტყველებ სულის საუფლოს უარმყოფელ მონიზმამდე მივყევართ. სოციალურ რევოლუციონერთა გაორებული ფსიქოლოგია მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ მონიზმი, ერთიანობა შეიძლება ესქატოლოგიურად მოვიაზროთ. შესაძლებელია სეკულარიზებული ესქატოლოგია, რომელიც მარადიულ სიცოცხლეს კი არა, მომავალ სიცოცხლეს აღმერთებს. ეკლესიისა და სახელმწიფოს დამოკიდებულება არის ერთ-ერთი ფორმა სულისა და კეისრის დამოკიდებულებისა, მაგრამ უკვე ისტორიული ობიექტივაციის ფორმით. ისტორიაში ეკლესია ადვილად ღებულობდა კეისრის საუფლოს, ე. ი. ობიექტივაციის საუფლოს, მაგრამ სულ ყოველთვის რჩებოდა სხვა ელემენტიც. კეისარი ობიექტივირებულ სამყაროს განეკუთვნება, ის აუცილებლობასაა დამორჩილებული. სული კი თავისუფლების საუფლოს მიეკუთვნება. ეკლესიისა და სახელმწიფოს დამოკიდებულება იყო და იქნება წინააღმდეგობრივი და გადაუჭრელი. კონფლიქტი მაშინაც არის აღმოუფხვრელი, როდესაც ეკლესია ოპორტუნისტულადაა შეგუებული სახელმწიფოს. საეკლესიო პოლიტიკა უფრორე ეგუებოდა კეისრის საუფლოს. ამ მხრით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კონსტანტინეს საქმეს. იმპერია შეიქმნა ქრისტიანული თავისი სიმბოლიკისა და მიხედვით. მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ეკლესია იმპერატორული გახდა. ეკლესიის მა-

მანი და მოძღვარნი აღარ იყვნენ ადრინდელად სინდისის თავისუფლების დამცველები. კეისარი სულზე მიმძლავრდა, მოხდა ორი სამეფოს შერწყმა. კეისარი ეკლესიით შეიქნა საკრალიზებული. მსოფლიო კრებებს იწვევენ ბიზანტიის იმპერატორები, რომლებიც უკვე საეკლესიო ჩინებად ითვლებიან. წარმოიშვა აღმოსავლური ტიპისა და დასავლური ტიპის ქრისტიანობა, გადახრილი კეისარპაპისტობასა და პაპაკეისრობისკენ. კეისრის ძალაუფლება საეკლესიო ნათლობას ღებულობს. შეიძლება ესეც ვთქვათ, წარმოიშვა განსაკუთრებული საიდუმლოება, საიდუმლოება საეკლესიო ძალაუფლებისა და ამას უნდა მოემზადებინა რევოლუციური ამბოხება. მაგრამ მონარქიის წმინდა ძალაუფლება გადადის ხალხის წმინდა ძალაუფლების აღიარებაში, მერე კი პროლეტარიატის წმინდა ძალაუფლების აღიარებაში. მათი ძალაუფლების სუვერენიტეტი და წმინდა ხასიათი კი რჩება.

●

ხელისუფლების რელიგიური სანქციის მოთხოვნილება ადამიანებს უძველესი დროიდანვე ჰქონდათ, ხანდახან ეს ღებულობდა საიდუმლო მირონცხებულობის ფორმებს. ვარაუდობდნენ, რომ ადამიანი სხვანაირად არ დამორჩილდებოდა ხელისუფლებას. ძველად ერთი და იგივე იყო ადამიანი და მოქალაქე. რელიგია იყო ტომობრივ-ნაციონალური. ძველ ისრაელში ამას განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა. ეს იყო რასიზმის ერთადერთი და ღრმა ფორმა, რელიგიური ხასიათი ჰქონდა სისხლს. მაგრამ ნაციონალურ-ტომობრივი, ებრაული რელიგიურობის სისხლისმიერი ხასიათი ნიშნავდა ებრაელი ხალხის ღვთაებრივ გამორჩეულობის და ამიტომ საგაროსეულობასთან იყო დაკავშირებული. მესიანობა ყოველთვის ატარებდა საგაროსეულ ხასიათს. პოლიტიკისა და მორალის გაიგივების ტენდენცია ყოველთვის იყო ქრისტიანობამდელ საგაროში. ჩვენი თემისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს რომაელი იმპერატორების აპოთეოზს. ის ხელისუფლების საკრალიზაციის მიღმა მიდის. ჩვენს თანამედროვე დიქტატორებთან ის პირდაპირ დამოკიდებულებაშია, ისინი უფრო წმინდა პიროვნებები არიან, ვიდრე მეფენი. კეისარ ავგუსტუსის რეფორმა იყო ცდა რომში რელიგიური რეფორმისა. ის რეჟიმი, რომელიც მან შექმნა, ტოტალიტარული იყო. ავგუსტუსი იყო Pontilex-Maximu, თავისი სახით ორი საწყისის გამაერთიანებლად გამოდიოდა, სულისა და კეისრის საწყისისა. გადაწყდა, რომ კეისარი ავგუსტუსი ღვთიური წარმოშობისაა. კეისრის კულტი განამტკიცებდა რომის მდგომარეობას. კერპთაყვანისცემლურ შეგნებაში არ იყო გარდაუვალი საზღვარი ღმერთებსა და ადამიანებს შორის. იმპერატორი — ავგუსტუსი არ ნიშნავდა მოცემული ადამიანის გაღმერთებას, ადამიან-იმპერატორში მოწიწების საგანი იყო მისი გენია ამ სიტყვის ანტიკური მნიშვნელობით. არის განსხვავება divus (ნეტარისა ზეცაში) და deus[12] შორის. კეისრისა და მეფის ძალაუფლებაც კერპთაყვანისმცემლური ხასიათისაა და ქრისტიანობისთვის პრინციპულად უცხოა. ცელსი იცავდა იმპერიასა და იმპერატორული ხელისუფლების აპოთეოზს ქრისტიანების წინააღმდეგ; ამ დროს იშველიებდა არგუმენტებს, ძალიან იმის მსგავსს, რომლითაც ახლა იცავენ ტოტალიტარულ სახელმწიფოს. კეისრის აპოთეოზი არის ტოტალიტარიზმის თავწყარო, მისი უკიდურესი გამოხატულება ეს არის, დამორჩილება კეისრის სულისადმი. უნდა გვახსო-

ვდეს, კეისრის ამოთეოზი, ვითარცა ყველა ტირანისა და დიქტატორისა, ხალხის, ღარიბ-ღატაკთა რწმენამ შექმნა და არა სენატმა, რომელიც უკვე სკეპტიკურად იყო განწყობილი და მისტიკურ რწმენათა ტყვე ვერ იქნებოდა. ხშირად კარგად არ ახსოვთ და არ იციან, რომ ანტიკურმა ბერძნულ-რომაულმა სამყარომ არ იცოდა სინდისის თავისუფლების პრინციპი, რომელიც ითვალისწინებდა სულისა და კეისრის დუალიზმს. ანტიკური სამყაროს დასასრულის ხანს თავისუფლება სრულიად გაქრა. მაგრამ ყველაზე უფრო შემზარავი ისაა, რომ იმპერატორების კულტმა ქრისტიანულ სამყაროშიც ჰპოვა გაგრძელება. განსაკუთრებით ეს გასაოცარია ბიზანტიაში, და ამის გამო ის მთლად ქრისტიანული სამეფოდ ვერ შეიქნა. შუა საუკუნეების ეპისკოპოსები ხანდახან იმეორებდნენ იმას, რასაც ამბობდნენ რომის იმპერატორები სენატში: „თქვენ ხართ ღვთისა". მაგრამ დასავლეთი ცდილობდა კეისრის საუფლოს ეკლესიით შეზღუდვას. შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი იყო ორგანული ერთიანობის იდეა. Omnius multitudo derivatur ab uno. მთელის ერთიანობას ვარაუდობდა ყოველი ნაწილი. კაცობრიობა ერთიანია და არის მისტიკური სხეული. მაგრამ ამავე დროს შუასაუკუნეობრივი აზრისთვის სულაც არ არის დამახასიათებელი სახელმწიფოს გაღმერთება. დასავლეთის უპირატესობა აღმოსავლეთთან ეს არის. ცოდვილ ქვეყანაში სახელმწიფო ძალადობის აქტით წარმოიქმნა და ღვთის მოთმინებაღა ესაძირკვლება. მეფის ხელისუფლების წარმოშობის ბიბლიური იდეა ძალიან არასასურველია მისთვის. მეფის ძალაუფლება ღვთის ნების წინააღმდეგ შეიქმნა. ყველაფერს თუ ბოლომდე გავიაზრებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ღვთისგან თავისუფლება მოდის და არა ძალაუფლება. შუასაუკუნეობრივი ქრისტიანობა არ სცნობდა ქვეშევრდომთა ძალაუფლებისადმი უცილობელ მორჩილებას. შეიძლება არც დავმორჩილდეთ ტირანულ-ბოროტ ძალაუფლებას. დასაშვებია ტირანთა მოკვდინების შესაძლებლობაც. ამასთან ერთად აღიარებული იყო აბსოლუტური მნიშვნელობა საბუნებისმეტყველო სამართლისა, რომელიც ღვთისგანაა. ძალაუფლება ხალხს უნდა მსახურებდეს. შუა საუკუნეების მთელი რიგი ქრისტიანი თეოლოგები, ფილოსოფოსები და იურისტები აღიარებდნენ ინდივიდუუმის თანდაყოლილ და შეუვალ უფლებებს (გირკე). თანამედროვეზე უფრო მაღლა იდგა ამ მხრივ შუასაუკუნეობრივი შეგნება. მაგრამ ეს შეგნება წინააღმდეგობრივია. აღიარებული იყო ერეტიკოსთა სიკვდილით დასჯა. მონობა აღიარებულია ვითარცა ცოდვის შედეგი და არა თავად ცოდვად. პირველყოფილი ცოდვის იდეას ქრისტიანობის ისტორიაში შემზარავად ბოროტად იყენებდნენ და დასკვნებიც მონური კეთდებოდა. მელანქტონი კიდევ იცავს ერეტიკოსთა დასჯას, კალვინმა სიკვდილით დასაჯა Servet'-n; Theodore de Bere გამოდიოდა სინდისის თავისუფლების წინააღმდეგ. იმპერიამ აღმოსავლეთიდან დასავლეთში გადაინაცვლა. ამიტომ აღმოსავლეთში ძალაუფლების აბსოლუტიზაციის პროცესი უფრო მძაფრი იყო, ვიდრე დასავლეთში. აღმოსავლეთთან შედარებით, სადაც მონიზმი ბატონობდა, კათოლიკობაში დუალიზმი იყო უფრო ძლიერი. მაგრამ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება სულის საუფლოსა და კეისრის საუფლოს შორის უფრორე ღრმაა, ვიდრე ეს იყო შუა საუკუნეებში სულიერ და საერო ხელისუფლებას შორის.

კეისრის საუფლოსა და ღვთის საუფლოს აღრევა და გაიგივებაც სულ მუდამ ხდებოდა ცხოვრების პრაქტიკაშიც, აზროვნებასა და სწავლაშიც. დაუძლეველი იყო ადამიანის ლტოლვა მონისტური ტოტალიტარული სისტემებისადმი. ასეთი სისტემა უპირველეს ყოვლისა იყო თეოკრატია, და განსაკუთრებით ამ მხრივ უკიდურესად გამოირჩეოდა ბიზანტიური თეოკრატია. ასევე მონისტური და ტოტალიტარულია, რუსოსა და იაკობინელთა დემოკრატია. მაგრამ ორი საუფლოსა და ორი წესრიგის გაიგივებას ჩვენ ვნახულობთ ჰეგელთან, მარქსთან, ო. კონტთან, შპანგლერთან, კომუნიზმსა და ფაშიზმშიც. ეგრეთწოდებული ლიბერალური დემოკრატები, რომლებიც თანახმა იყვნენ ნეიტრალურად ეღიარებინათ თავი სულის საუფლოსთან მიმართებით, უკვე აღარ არსებობენ. ისინი სულ უფრო და უფრო დიქტატურები ხდებიან. ისტორიულ ბედ-იღბალში კეისრის საუფლოს ნეიტრალიტეტის გაქრობა მნიშვნელოვანი მომენტია. კეისარი სულ მეტად და მეტად გამოთქვამს მოსაზრებას სულის საკითხების შესახებ, თუმცა რადიკალური ფორმით სულის უარყოფით. თუკი იმპერატორები ამბობდნენ, რომ მოწოდებულნი არიან არა მარტო მართონ ქვეყანა, არამედ თავიანთ ქვეშევრდომთა სულების დასახსნელადაც უნდა მოღვაწეობდნენ და ახლა სულის ხსნაზე ახალი კეისარიც ზრუნავს, თუმცა კი ეს იყო სულის ხსნა რელიგიურ ცრურწმენათაგან. კეისარი განიცდის დაუძლეველ ლტოლვას თავისთვის არა მარტო კეისრისა მოითხოვოს, არამედ ღვთისაც, ე. ი. მთლად უნდა ადამიანის დამორჩილება. ისტორიის ძირითადი ტრაგედია ეს არის, თავისუფლებისა და აუცილებლობის ტრაგედიაც, ადამიანის ბედ-იღბლისა და სახელმწიფოს ბედ-იღბლისაც: კეისრის სამსახურისთვის განწყობილი სახელმწიფო ადამიანით არ არის დაინტერესებული, ადამიანი მისთვის არსებობს მხოლოდ ვითარცა სტატისტიკური ერთეული და რაც ეს დაიწყებს ადამიანით მეტად დაინტერესებას, მაშინ ეს ყველაზე უფრო ცუდია, მაშინ ხდება ადამიანის არა მარტო გარეგნული, შინაგანი დამორჩილებაც, ამასთან სულის საუფლო არ შეიძლება კეისრის საუფლოში დაეტიოს. სული სასრულისუქონელია და უსასრულობას მიელტვის. კეისარი სასრულის მქონეა და სურს თავისი სასრულის ბეჭდით აღბეჭდოს სული. მიწაზე ყოველი მცხოვრები ასრულებს კეისრის მოთხოვნებს. ჩვენ მივაგებთ კეისრისა კეისარს თუნდაც ფორმით რევოლუციისა, რომელშიც ვმონაწილეობთ. რევოლუციის მოთხოვნა კეისრის მოთხოვნაა, ოღონდ კი სულის რევოლუცია ამის მიღმა იყოს, მაგრამ ეს არ შეიძლება აღრეულ იქნას პოლიტიკურ და სოციალურ რევოლუციებში, ის ყოფიერების სხვა პლანს განეკუთვნება. კეისრისა და სულის დუალიზმი, საპირისპიროა ყოველგვარი მონიზმისა, არ უნდა ნიშნავდეს ქვეყნისგან და მასში მომდინარე პროცესებისგან განდგომას. სული აუცილებლად შემოიჭრება ობიექტივირებულ სამყაროში და შემუსრავს იმის აუცილებლობასა და მონობას. ყოველივე ეს იყო მოძრაობა ვერტიკალზე, რაიც მხოლოდ მერე ჰორიზონტალზე ობიექტირდებოდა და სიმბოლიზირდებოდა. ჩვენი სამყაროს პირობებში, ჩვენს სივრცესა და დროში არ შეიძლება სულის კეისარზე საბოლოო გამარჯვება მოვიაზროთ. ობიექტურ სამყაროში დღენიადაგ ხდება სულის თვითგაუცხოვება და დღენიადაგ უნდა უბრუნდებოდეს სული საკუთარ სიღრმეს. თავისი ისტორიული პანთეიზმით ჰე-

გელს ეს მხოლოდ სანახევროდ ესმოდა. კეისრის საუფლოს განმტკიცება ხდება სულის გაუცხოვებისა და ობიექტივაციის სფეროში. ხსენებულ სფეროში კეისარი იცვლის თავის სახეებას, ფუნქციური მნიშვნელობა აქვს ამ სფეროში ძალაუფლებას. მაგრამ კეისარზე სულის გამარჯვება მხოლოდ ესქატოლოგიურ პერსპექტივაში; შესაძლებელი. მანამდე კი ადამიანები ძალაუფლების ჰიპნოზში ცხოვრობენ და ეს საეკლესიო ცხოვრებაზეც ვრცელდება, რაიც შეიძლება აღმოჩნდეს კეისრის საუფლოს ერთ-ერთი ფორმათაგანი.

ძალაუფლების საიდუმლო, ძალაუფლების მატარებელთა მიმართ ადამიანთა დამორჩილება აქამომდე ჯერ კიდევ არ არის სრულიად შეცნობილი. რატომაა რომ უამრავი ადამიანი, რომლის მსარეზეც არის ზეობა ფიზიკური ძალისა, თანახმაა დამორჩილდეს ერთ კაცს ან მცირეოდენ ჯგუფს, თუკი ისინი ხელისუფლების მატარებლები არიან? რიგითი პოლიციელიც კი სხვა გრძნობის გამომწვევია, ვიდრე ჩვეულებრივ სამოსელში გამოწყობილი მოკვდავი. ისევე როგორც უხსოვარ დროში, ახლაც ადამიანები განწყობილნი არიან იფიქრონ, რომ ძალაუფლების მირონცხებულობა არსებობს. აქ, რაღა თქმა უნდა, წარმოჩენილია ადამიანის უძველესი მონობის გადმონაშთი, რომელიც მთლად დაძლეული ვერც დემოკრატებშია. არაერთგზის აღნიშნავდნენ, ძალაუფლებით მოსილება ჰიპნოზთანაა დაკავშირებული. სახელმწიფო ხელისუფლებას შეუძლია ფრიად რაციონალურად მართოს ხალხი, მაგრამ სრულიად ირაციონალურია ხელისუფლების თავწყარო. ხელისუფლების ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანი შთაგონების უნარით გამოირჩევა. ძალაუფლება ხელთ უპყრია იმას, ვინც ჰიპნოზის მეშვეობით მიმძლავრდება ხალხის მასებზე. პროპაგანდას აქ უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ არსებობს ჰიპნოტიზირების ვულგარული ფორმა; და ადამიანები ჰიპნოზირებით დამორჩილების უნარს რომ იყენენ მოკლებულნი, არ ვიცით, რომელი ხელისუფლება გაძლებდა. უფრორე საცნაურია, ძალაუფლება რომ ეყრდნობოდა ხალხის რელიგიურ რწმენებს. ეს უნდა ვთქვათ წარსულის წმინდა მონარქიებზე. დემოკრატიის საყრდენი კი შეტწილად იყო პოლიტიკურ მოღვაწეთა პროპაგანდა და რიტორიკა. ადამიანთა ფსიქიკურ მდგომარეობათა ობიექტივაცია არა მხოლოდ ინდივიდუალურის, უფრორე მეტად კოლექტიურ არაცნობიერშია ჩაჭდეული. არაცნობიერმა შეიძლება ცნობიერი ფორმა მიიღოს, რაიც თავზარდამცემია თავისი ირაციონალურობით. მთელი ეს პროცესი რთული ურთიერთობის მქონე ადამიანების ჯგუფებში მიმდინარეობს. სრულიად მცდარია ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ადამიანებისა და სოციალური ჯგუფების პოლიტიკურ ცხოვრებაში თავიდათავია ანგარებით გამსჭვალული გრძნობები. ეგრეთწოდებულ სოციალურ ჯგუფთა ინტერესები დღისით, მზისით სრულიად ირაციონალურობის ბეჭდით აღბეჭდილი შეიძლება, საწინააღმდეგო ყოველგვარი გონიერი გათვლისა. მხოლოდ კაპიტალისტთა ნაწილს შეუძლია ომი მოისურვოს, ავტომატურად კაპიტალიზმის ძალა ამისკენ მიიღტვის. მაგრამ შედეგად შეიძლება მივიღოთ, კაპიტალისტებისა და მათი კაპიტალის, მთელი მათი რეჟიმის დაღუპვა. შეიძლებოდა გვეთქვა, რომ სიშლეგე იმალება ანგარებიან ინტერესებში. ადამიანებს მართავს არა იმდენად აწონილ-დაწონილი ინ-

ტერესები, — უფრორე ვნებანი. ისტორიულად ჩამოყალიბებული ხელისუფლების ფორმებში სულ ყოველთვისაა უკვე ობიექტივირებული და რაციონალიზირებული არაცნობიერი მდგომარეობანი და ვნებანი. და ეს ყოველთვის ნიშნავს მითების შექმნას, უმითოდ შეუძლებელია ადამიანთა მასების მართვა. სუვერენიტეტზე იქმნება ესა თუ ის მითი. ახალი ისტორიის საუკუნეებში ცდილობდნენ ხელისუფლების საწყისის რაციონალიზირებას სოციალური ხელშეკრულების თეორიის შექმნით. ჰობსი პესიმისტურად რომ უმზერდა ადამიანის ბუნებას, ბოლოს მონარქის დამცველი გახდა. რუსო ადამიანის ბუნებას ოპტიმისტურად უყურებდა და ამან დემოკრატიის უპირატესობასთან მიიყვანა. მაგრამ სინამდვილეში ხელშეკრულებებს არც არავითარი მნიშვნელობა აქვს, ხელისუფლების სუყველა ფორმის დასაყრდენი არაცნობიერი კოლექტიური გრძნობანი და ვნებანია, თუკი არ ეფუძნება რელიგიურ რწმენას. ბოსიუეტთან აბსოლუტური სახელმწიფო ძალაუფლება და აბსოლუტური ძალაუფლება მონარქისა რელიგიურ სანქციას ეყრდნობა, თუმცა კი წინააღმდეგობაშია უფრორე დუალისტური სისტემებისკენ მიდრეკილ კათოლიკობასთან. ლუდოვიკო XIV ამბობდა: „სახელმწიფო მე ვარ". რევოლუციურად განწყობილმა ხალხმა კი ასე უპასუხა: „სახელმწიფო მე ვარ". მაგრამ სწორედ ეს არის სუვერენიტეტის ცრუ პრინციპი. საინტერესოა აღინიშნოს, ხალხის სუვერენიტეტის იდეა მონასტრებში შეიქმნა, მისი დამამკვიდრებლები იყვნენ კათოლიკური თეოლოგები Suares-ი და Bellarmin-ი. ხსენებული იდეოლოგიის სიმართლე უარყოფითია, უფრორე მაღალი დადებითი სიმართლე ის არის, რომ სუვერენიტეტი არ არის სულაც. უკვე სათქვამი იყო, თუ რა განსხვავებაა თავისუფლების ანტიკურსა და ახალ გაგებას შორის. მაგრამ ხალხის სუვერენიტეტი ანტიკურ გაგებასთან გვაბრუნებს. ეს აისახა იმ ფორმებში, რომლებიც სოციალურმა დოქტრინებმა მიიღეს. კაბე, ვინც თავს თვლიდა ქრისტიან კომუნისტად, სრულიად თავისუფალი წყობილების უტოპიაში უარყოფდა ბეჭდვის თავისუფლებას. ლუი ბლანი ამტკიცებდა თავისუფლებისადმი მტრულად განწყობილ, სრულიად ავტორიტეტულ სოციალიზმს. ჰეგელმა სახელმწიფოს ვითარცა სულის განსახიერების სრული აბსოლუტურობა მოახდინა. ამან კი გავლენა იქონია სახელმწიფოს აბსოლუტირებაზე მარქსიზმში. არცთუ უსაფუძვლოდ ამბობდა მონტალამბერი, რომ დემოკრატია სინდისის თავისუფლებისადმი მტრულადაა განწყობილი. ყველა სოციალურ მოძღვრებათაგან გამონაკლისი პრუდონისთვის უნდა დავუშვათ. მისთვის მთავარია ადამიანის ღირსების იდეა, რაიც არის კიდევაც სამართლიანობა. პრუდონი ძალადობის წინააღმდეგია და რევოლუციას განსაზღვრავს ვითარცა გონების განათებას. იგი ანარქისტად ითვლებოდა და ამიტომ არ უნდოდა ერთი სუბიექტის სუვერენიტეტი მეორეზე გადაეტანა. მისი სიმართლე ამაშია, გონების განწმენდა ხელისუფლებაზე იმ მითებისგან, რომლებსაც სულ ყოველთვის არაცნობიერი ედოთ საფუძვლად. არის მხოლოდ ერთი უდიდესი მითი, რომელიც უდიდეს რეალობასთან არის დაკავშირებული, მითი ადამიანზე, იმის თავისუფლებაზე, იმის შემოქმედებით ენერგიაზე, იმის ღვთისმსგავსობასა და სხვა ადამიანებთან და მოყვასთან იმის კომიუნიტარულ კავშირზე.

უცილობელია, ხელისუფლების საწყისი ბოროტების არსებობასთან-თანაა დაკავშირებული. ორმაგი აზრით ვამბობთ ამას. ხელისუფლება იძულებულია იბრძოლოს ბოროტების გამოვლინებასთან, ეს მისი ფუნქციაა. მაგრამ ის თავადაა ბოროტების მთესველი და ბოროტების ახალი თავწყარო ხდება.[13] და მაშინ ამას ბოლო რომ მოეღოს, ახალი ხელისუფლებაა საჭირო. მაგრამ მერე ის ხელისუფლება, რომელმაც ბოლო მოუღო ბოროტი ხელისუფლების მძლავრობას, თავად ხდება ბოროტი და ამ მოჯადოებული წრიდან არ არის გამოსავალი. გამარჯვება და ბატონობა სულ ყოველთვის ნიშნავს გარდაქმნასა და გადაქცევას იმის საპირისპიროდ, რისთვისაც იბრძოდა. ყველა რევოლუციის ბოლო ეს არის. რევოლუცია ებრძვის ხელისუფლებას, რომელიც ბოროტი გახდა, მასში იმარჯვებენ ის ძალები, მეტადრე რომ ძალუძთ ხელისუფლების ორგანიზება და ამ დროს აძევებენ და სპობენ იმათ, ვისაც ამისი ნაკლები უნარი აქვთ. რევოლუცია გამოამეღავნებს ადამიანის ბუნების ზეობას, მგზნებარე ლტოლვას ცხოვრების უკეთ მოსაწყობად, მსხვერპლად მისვლასა და ეგოისტური ინტერესების დავიწყებასაც — და სინასტიკეს, უმადურობას, მაღალ სულიერ ღირებულებათა განადგურებასაც. ადამიანი ასეთი წინააღმდეგობრივია. უნდა მტკიცედ ვალიაროთ, რომ ქრისტიანობა არ იყო გულწრფელი საზოგადოების შესახებ. ხსენებული გულწრფელობა უნდა დავუკავშიროთ სულიწმიდის ეპოქას, მე უკვე მრავალგზის ვწერდი ამაზე და ამიტომ ესოდენ ტრაგიკული იყო უკეთესი საზოგადოების შექმნის მცდელობის ბედი. საზოგადოების პრობლემა არა „მე" და „შენის" დამოკიდებულებისაა, არამედ „მე" და „ჩვენის", და „ჩვენთან" დამოკიდებულებით — „შენთან". მაგრამ „ჩვენ" არაადამიანურ ანონიმად რჩებოდა, იმით ულირცხვილოდ მანიპულირება შეეძლოთ „მესაც" და „შენსაც". „ჩვენ" იყო ადამიანის არსებობის ობიექტივირება. ძალაუფლება „ჩვენ" ყოველი ადამიანის „მეზე" სულაც არ ნიშნავდა ადამიანურ დამოკიდებულებას იმათ შორის, და ეს სწორია ყველა რეჟიმისთვის. ადამიანის განთავისუფლება მხოლოდ უარყოფით ფაზისში იმყოფებოდა და ძალზე შედარებითი იყო, ცალკეულ სფეროებზე ვრცელდებოდა და არა მრთელ ადამიანზე. ასე, მაგ., ლიბერალიზმმა გაანთავისუფლა ადამიანის აზრი, შეცნიერება, გაანთავისუფლა საეკლესიო აუტორიტეტის გარეგანი ძალაუფლებისგან, მაგრამ სულაც არ გაუნთავისუფლებია შრომის წარმომადგენლები ნიღაბაფარებული კაპიტალიზმის ძალაუფლებისგან. ხოლო კაპიტალის ძალაუფლებისგან შრომის განთავისუფლებამ შეიძლება აზრის დამონებასთან მიგვიყვანოს. ყველა ხელისუფლება, ღიად თუ ფარულად, თავის თავში შხამს შეიცავს. ნამდვილი განთავისუფლება მხოლოდ მაშინ იქნება, როდესაც დაიძლევა სუვერენიტეტის იდეა, რომელ სუბიექტსაც არ უნდა მიესადაგებოდეს ეს სუვერენიტეტი. ხალხთა თვითდამკვიდრების გაუთავებელი ქაოსი ომებს შობს, და კაცობრიობა სულ ყოველთვის მიელტვოდა ამ ქაოსის დაძლევას, ოცნებობდა მსოფლიო ერთიანობაზე; შეიძლება დავდგინოთ სამი იდეა: მსოფლიო იმპერიის (რომის იმპერია, კარლოს დიდის იმპერია, ნაპოლეონის იმპერია). მრავალი სუვერენული ერი-სახელმწიფო, წონასწორობის მდგომარეობას რომ მიელტვის: თავისუ-

ფალი ერების მსოფლიო ფედერაცია, უარს რომ ამბობს სუვერენიტეტზე და თანახმაა დამორჩილდეს მსოფლიო ორგანიზაციას.[14] მხოლოდ ამ უკანასკნელს უნდა მიველტვოდეთ, მაგრამ ამისთვის საკარაუდოა რადიკალური სულიერი და სოციალური ცვლილებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი V

ღირებულებათა, მიზნებისა და საშუალებების იერარქიების შესახებ

ადამიანი შემფასებელი, ხარისხის განმსაზღვრელი არსებაა. ღირებულებათა განსაზღვრა და მათი იერარქიების დადგენა ცნობიერების ტრანსცენდენტური ფუნქციაა. ველურიც კი შემფასებელია. მაგრამ ჩვენს სამყაროში ღირებულებათა იერარქია შემუსრულია, მდაბალი მაღალი შეიქნა, მაღალი მიმძლავრებულია. ხსენებული მიმძლავრება არა მარტო საბჭოთა რუსეთში ხდება, კიდევ, იქნებ უფრო მეტადაც ამერიკასა და მთელ ევროპაში. ადამიანთა საზოგადოების ცხოვრება ეკონომიკის, ტექნიკის, ცრუ პოლიტიკის, გააფთრებული ნაციონალიზმის ბატონობის ნიშნითაა აღბეჭდილი. ღირებულებათა იერარქია განისაზღვრება სარგებლიანობის პრინციპით და სრულიად გულგრილად ეკიდება ჭეშმარიტებას. სულიერი კულტურა იავარქმნილია. საუბარია იმ ღირებულებებზე კი არა, ადამიანი რომ ქმნის, არამედ თავად ადამიანის ღირებულებაზე. ადამიანის ცხოვრების მიზნები სიბნელემ მოიცვა. ადამიანს აღარ ესმის რისთვის ცხოვრობს, დროც აღარ აქვს ცხოვრების საზრისზე ფიქრისთვის. ადამიანის ცხოვრება სავსეა ცხოვრების საშუალებებით, რაიც თვითმიზნადაა გადაქცეული. ცხოვრების მიზნების შეცვლა საშუალებებით ფრიად დამახასიათებელი პროცესია ადამიანის ცხოვრებისთვის, ამით შეიძლება შევრი რამ აიხსნას. ამისი ნათელი მაგალითი ეკონომიკის განმსაზღვრელი როლია, რამაც მარქსი განაცვიფრა. მაგრამ ეკონომიკა, უ ავოდ, განეკუთვნება საშუალებებს და არა ცხოვრების მიზნებს.[15] ადამიანის ცხოვრების მიზნებსა და საშუალებებს შორის, მიმართული რომ არის მიზნების განსახორციელებლად, განხეთქილება არსებობს და ხშირად არცაა რამე მსგავსება. სწორედ ეს არის ობიექტივაციის ერთერთი წარმონაქმნი, რაიც სულ ყოველთვისაა განხეთქილების სათავე და აუცილებლობასაა დამორჩილებული. ის, მიზანი რომ შობს საშუალებებს ფენომენთა სამყაროში, არსებითად არანორმალური მოვლენაა, რასაც იმასთან მივყევართ, რომ ქვეყნის მდგომარეობის ხანს ამა თუ იმ მიზნის განსახორციელებლად ძალისა და ძალადობის გამოყენებაა საჭირო. დამახასიათებელია, რომ პირდაპირ არც არავინ წარმოაჩენს ბოროტ მიზნებს, ბოროტებას ყოველთვის სიკეთე აქვს ფარად, ყოველთვის ძარცვავს სიკეთეს. ბოროტება მხოლოდ გამოყენებულ საშუალებებში ჩანს. საშუალებები საერთოდ სულ ყოველთვის მოწმობს ადამიანის სულის, თავისუფლების ან

მონობის სულის, სიყვარულისა ან სიძულვილის არსებობას. არის საშიშროება, რომ რაღაც მიზანი ყოველგვარი საშუალებით განხორციელდეს. თუკი სრულიად სამართლიანი წყობილებისა და ადამიანთა ბედნიერების განსახორციელებლად ანწუხზე უნდა ვაცვათ და დავხოცოთ რამდენიმე მილიონი ადამიანი, მაშინ მთავარი მიზანი კი არა, გამოყენებული საშუალებებია, მიზნები სადღაც შორეთშია დანთქმული, საშუალებები კი უშუალო რეალობა ხდება. დოსტოევსკიმ მკვეთრად დასვა ასეთი კითხვა, შეიძლება კი ავაშენოთ სამოთხისებრი ნეტარი სამყარო უცოდველი, გატანჯული ბალლის ცრემლზე. მომავალი ნეტარი სამყაროს საკურთხეველზე მილიონთა ანწუხზე აცმულთა შორის, ალბათ, მრავალი უცოდველია. „მიზანი ამართლებს საშუალებას“, ეს პრინციპი დღეს არ ძრის გამოგონილი, ოდესღაც ამას იეზუტებს მიაწერდნენ, მეტად ბევრნი კი იყენებდნენ. მაგრამ მთავარი აი რა არის, მთავარი ის კი არ არის, რომ საშუალებები ამორალური და სასტიკია, არცა ჰგავს ბაღალ მიზნებს. მთავარი ის არის, როდესაც იყენებენ ბოროტ, მიზნების საწინააღმდეგო საშუალებებს, მიზნები სულ მუდამ მიუღწეველი რჩება. ყოველივეს საშუალებები ცვლის და მიზნებს ივიწყებენ ან წმინდა რიტორიკად გარდასახავენ. მრუდე საშუალებები სულის მშენებელია, კარგი მიზნები კი აღარ გვევლინება ცხოვრებისეულ ძალად. ადამიანის მომცველი სიცრცის სამეფო სწორედ აქედანაა. ქრისტიანობის კეთილი მიზნების განხორციელება წარსულში ძალიან ხშირად მრუდე საშუალებებით ხდებოდა. სისხლიანი ძალადობა იყო მომარჯვებული ევროპაში ქრისტიანობის დასამკვიდრებლად. ბიზანტიურმა მართლმადიდებლობამ მხეცური სისასტიკით გაითქვა სახელი. კარგადაა ცნობილი ინკვიზიტორთა კოცონები. ბართლომეს ღამემ, უარყოფამ სინდისისა, აზრის თავისუფლებისა და სხვა მრავალმა მრუდე საშუალებებმა მიგვიყვანა ქრისტიანობის გადაგვარებასთან და არა განმტკიცებასთან, ძმობის, ერთობისა და თავისუფლების კეთილი მიზნების განხორციელებისას ფრანგული რევოლუციის მთელი ხნის მანძილზე მძვინვარებდა სისხლიანი ძალადობა და ტერორი. XIX ს. შეიქმნა კაპიტალისტური საზოგადოება, რომელშიც არ იყო არავითარი თანასწორობა, და მით უმეტეს ძმობა. რუსული კომუნისტური რევოლუციაც იმეველიებდა ტერორს, მას ახლაც ვერ შეუქმნია ვერც ძმობის, ვერც კომუნიტარული საზოგადოება. ვერც ვერასდროს განხორციელდება თავისუფლება ძალადობით, ძმობა — სიძულვილით, მშვიდობა — სისხლიანი დაპირისპირებით. მრუდე საშუალებები მომწამვლელია. რევოლუციის შემოდგომა ვერც ვერასდროს დაემსგავსება მის გაზაფხულს. პრაქტიკულად მრუდე საშუალებები მტრის წინააღმდეგ მიმართულის ყოველისუფლებაა და ის უკვე აღარც ითვლება ადამიანად. და ასე მკვიდრად შეიკვრება მოჯადოებული წრე. ამ მოჯადოებული წრიდან, სიძულვილის წრიდან გამოვყავართ ქრისტეს სიტყვების შინაარსს მტრისადმი სიყვარულზე. როდესაც განთავისუფლების სახელით ამკვიდრებენ სიძულვილსა და შურისგებას, დამონებაც აღარ აყოვნებს. უფრორე სამართლიანი და კეთილსასურველი ორგანიზაცია მიზანი არ არის, საშუალებაა ადამიანის უფრორე ღირსეული არსებობისა. კაცობრიობის მიზნად ის უმაღლესი ღირებულებები რჩება, რომლებიც ითვალისწინებენ

საშუალების გაადამიანურებას. მიზანს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს აზრი, თუ იმის განხორციელებას ანლა, აქავე დავიწყებთ.

●

ფილოსოფიის ორი ტიპია: ღირებულებათა ფილოსოფია და ფილოსოფია კეთილდღეობის ან სარგებლის. ღირებულებაა ხარისხი, გაბატონებული კი რაოდენობის ფილოსოფიაა. მარქსიზმი კი კეთილდღეობის ფილოსოფიაა და არა ღირებულებისა. მარქსისტებს ღირებულებათა იერარქიებზე ვერც კი დაელაპარაკები, რადგან მათთვის უცხოა თავად ღირებულებათა საკითხი, მათთვის არსებობს მხოლოდ აუცილებლობა, სარგებელი, კეთილდღეობა. მარქსიზმის ფილოსოფიის საპირისპიროდ ნიცშეს ფილოსოფია ღირებულებათა ფილოსოფიაა. ადამიანი მისთვის, უპირველეს ყოვლისა, ღირებულებათა შემოქმედია. მაგრამ ნიცშესთან ღირებულებათა ფილოსოფია წინააღმდეგობრივი და გაუმართლებელია, რამდენადაც მის ფილოსოფიასა და ძალამოსილების ნებაში ცხოვრების საზრისის ძიებას მითოლოგიური ელფერი დაპკრავდა. პუშკინის ლექსებში გასაოცარი სიცხოველით მოჩანს შეჯახება პოეტის შემოქმედებითი თავისუფლებისა და ადამიანთა მასის, ბრბოს უტილიტარული მოთხოვნებისა; ხსენებული ბრბო იმასთან, უპირველეს ყოვლისა იყო ბრბო თავადაზნაურების, ჩინოვნიკებისა და კარიერისტების, და არა ეშროშელთა მასისა. პუშკინი მგზნებარედ იცავდა შემოქმედის თავისუფლებას და ასე მიმართავდა ბრბოს: „სიმღერა მისი (პოეტის) თავისუფალი ვითარცა ქარი“, „შენთვის უფრორე ძვირფასია ქოთანი ღუმელზე საჭმლით“. პუშკინი ამბობდა ამ სიტყვებს, რომლებიც ასეთი აღმაშფოთებელი იყო 60-იან წლებში: „შთაგონებისთვის, ტკბილ ხმათათვის და სალოცველად ჩვენ ვშობილვართ“. და კიდევ: „პოეტო, ხალხს სიყვარულს ნუ სთხოვ... მეფე ხარ, იყავი მარტო. ხახე გზა თავისუფალი, საითაც თავისუფალივე გონება გიხმობს“, მაგრამ იგივე პუშკინს კარგად ჰქონდა შეგნებული ხალხისადმი თავისი სამსახური და წინასწარმეტყველურად გამოაცხადა, თუ როგორ შეაფასებდნენ მას მომავალი თაობები; შეუძლებელია აუცილებლად ამ სტრიქონების წაკითხვა: „ძეგლი დავიდგი მე ხელთუქმნელი, ხალხისთვის ბილიკი არ წაიშლება აქეთ მომავალი...“, „მთელ დიდ რუსეთს მოეფინება სახელი ჩემი...“ „და დიდხანს ვიქნები საგანი ხალხის სიყვარულისა, ჩანგით კეთილ გრძნობებს ვუღვიძებდი, თავისუფლებას ვუმღერდი და ამ ჩვენს სასტიკ საუკუნეში ბეჩავთ მიმართ გულმოწყალებას ვთხოვდით“. და თავისუფლება სულაც არ არის შემოქმედებითი თავისუფლების საწინააღმდეგო, ის არც შეიძლება იძულების საგანი იყოს, და არც აქვს რაიმე ფასი თუკი ის ძალადობის შედეგია. ყველაზე დიდი ბოროტება ჭეშმარიტებისადმი უტილიტარული დამოკიდებულებაა. ჭეშმარიტება სულაც არ არის ადამიანის მსახური, სულაც არ არის გამართლებული სარგებლით, რომელიც მას მოაქვს. ადამიანი ჭეშმარიტების სამსახურისთვის არის მოწოდებული. ღირებულებათა იერარქიის თემისთვის უდიდესი და ფატალური მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანის მთელი ცხოვრების წანამძღვრად ეკონომიკის აღიარებას. ეკონომიკური მატერიალიზმი ეკონომიკაში ხედავს პირველ რეალობას, რომელიც ცნობიერების ილუზიას უპირისპირდება. მაგრამ ის ცხადლივ აღრევაზეა დაფუძნებული. ეკონომიკა ადამიანის

ცხოვრების მხოლოდ აუცილებელი პირობა და საშუალებაა, და არა იმისი მიზანი, არა უმაღლესი ღირებულება და არც განმსაზღვრელი მიზეზი. ფილოსოფიას ვერ დავეწაფებით უსაკვებოდ, უჭეროდ, მაგრამ ფილოსოფია სულაც არ განისაზღვრება ამ პირობებით. მატერიალიზმის თეზისი, რომ მაღალი ეპიფენომენია მდაბალის და იმისგან აიხსნება, სრული სიცრუეა და მოკლებულია დამაჯერებლობას. ადამიანის სიცოცხლეში ყოველი მაღალი, რითაც განსაზღვრულია მისი ღირებულება, მატერიალისტისთვის ცნობიერების ილუზია უნდა იყოს და ამის გამოაშკარავება საჭიროა. ადამიანის დეგრადირებაა ეს მხოლოდ. სიცოცხლის მთავარი მიზნები არც ეკონომიკურია და არც სოციალური, არამედ სულიერია. ხალხის დიდება, მისი წილი კაცობრიობის ისტორიაში არ განისაზღვრება სახელმწიფოს ძალამოსილებით, არცა ეკონომიკის განვითარებით, არამედ სულიერი კულტურით. გერმანია დიდი იყო და ევროპული კულტურის მწვერვალზე მაშინ კი არ იმყოფებოდა, როდესაც ბისმარკის იმპერია იყო, არამედ იმ დროს, როდესაც პატარა სახელმწიფოებისგან შედგებოდა. საბერძნეთის დიდი კულტურა პატარა სახელმწიფოსთან იყო დაკავშირებული. დიდი შემოქმედებითი აღმავლობა იტალიაში დაკავშირებულია იტალიის დაქუცმაცებულობის ხანასთან. მართალია, XIX ს. რუსული კულტურის შემოქმედება იმპერიასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ის მთლიანად იმპერიის წინააღმდეგ იყო მიმართული. სულიერ კულტურათა ღირებულება სულაც არ არის პროპორციული მოწინავე ქვეყნების სახელმწიფო და ეკონომიკური სიძლიერისა.

ხალხთა ცხოვრებაში რევოლუცია ფატუმია, მისი მიმდინარეობა თავისუფლებით არ განისაზღვრება, მასში გარდუვალობაა. ჩვენს თანამედროვეთ ეს ჩვეულებრივ ცუდად ესმით. რევოლუცია მასების გადააღგილებაა და ამიტომ არცა შეუძლია ხარისხი რომ არ დაამდაბლოს. რევოლუცია ყოველთვის არის შემმუსვრელი ღირებულებათა იერარქიისა. რევოლუცია რომ მრავალ ღირებულებას შემუსრავს, წარსულში მათი ყალბი გამოყენება იყო ამისი თავიდათავი. რევოლუციის ჩამოგდება არ შეიძლება, საჭიროა მისი შინაგანად გამოძევება სულის დაცვით, იმ სულისა, რომელზეც ის ყოველთვის მიმძლავრდებოდა, თუკი რევოლუცია უარყოფს სულიერ ღირებულებათა თავისუფალ შემოქმედებას, ამას უარყოფდა თავისი ფორმებით ორგანიზებული, გაქვავებული წარსულის რელიგიებიც. ბევრჯერ უთქვამთ, რომ ღირებულებათა შემოქმედება სულაც არ არის საჭირო მარადიულ სიცოცხლეში სულის გადასარჩენად, და უნდა ვაღიაროთ, ეს მართალია, მაგრამ ღირებულებათა შემოქმედება საჭიროა არა გადარჩენისთვის, არამედ ღვთის საუფლოს სისრულის მოსაპოვებლად ზეცასა და მიწაზეც. სამართლებრივი გაგებაღა ხედავს ქრისტიანობაში ნიშანდობლივ ხსნის რელიგიას. მაგრამ ეს ექზოთერიული იდეაა, დიდ სიღრმეში ქრისტიანობა ღვთის საუფლოს ინდივიდუალური, სოციალური და კოსმიური გარდაქმნის რელიგიაა. სოციალური რევოლუციის დამოკიდებულებაში შემოქმედებით ღირებულებებთან დიდი ანალოგიაა. სოციალური სამართლიანობის განსახორციელებლად, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის მოსასპობად, უკლასო საზოგადოების შესაქმნელად სულაც არ არის საჭირო თავისუფალი შემოქმედება, ფილოსოფიები და ესთეტი-

კური ღირებულებანი მავნე, რელიგიურ-მისტიკური განწყობილებანი, სოციალური რევოლუციის მიზანს ეწინააღმდეგება სულიერი კულტურის არისტოკრატიული გაგება. ყოველივე ეს ანელებს სოციალურ ბრძოლას, ხელს უშლის ერთიანის ტირაჟირების განხორციელებას. ამის შესახებ მრავალგზის მოგვისმენია არა მარტო ახლა, ორმოცდაათი და სამოცდათხუთმეტი წლის წინათაც. გარეგნულად ეს დამაჯერებლად გამოიყურება, მაგრამ შინაგანად, არსებითად, აბსოლუტურად ცრუა და ადამიანის დაქუცმაცებულობისა და სისუსტის წარმომჩენია. რევოლუცია ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით, თუკი ის არაა მხოლოდ სამოსლის გამოცვლა, როგორც ეს ხშირად ხდება, არის ადამიანისა და ადამიანისავე საზოგადოების მრთელი, ინტეგრალური გამოცვლა. უჭეშმარიტებოდ და უსილამაზოდ არ შეიძლება სოციალური სიმართლის განხორციელება. თუკი სოციალური რევოლუციის შემდგომ შექმნილი ცხოვრება მახინჯი და ჭეშმარიტების შემეცნების უმდაბლეს საფეხურზეა, მაშინ ის შინაგანად გახრწნილების მაჩვენებელი შეიქნება. სიმახინჯეც სიცრუეა. სილამაზე ვითარცა ღირებულება საზოგადოების სოციალური რეორგანიზაციისთვისაცაა საჭირო. სხვა მხრივ შეირყვნება ადამიანის ტიპი, არ იქნება არც სტილი და ფორმა, სახე და ჰარმონია. გამოყენების უტილიტარული თვალსაზრისის და კვლავ ყოველგვარი საშუალებების მომარჯვება შეიძლება. სწორედ აქ გადავეყრებით ცხოვრებასთან მიმართებით ყველაზე ავისმეტყველ შეცდომას. სულ ერთია, რაც უნდა დაგვიჯდეს, კეთილდღეობა უნდა მოვიპოვოთ, ამაზე უფრო მეტი ბოროტება რა უნდა იყოს. ჩვეულებრივ ეს არ ნიშნავს ადამიანისა და ადამიანისავე საზოგადოების გარდამქმნელი არა კეთილსასურველი ენერგიის გამოსხივებას, არამედ ეს უფრო კეთილსასურველი მიზნის განსახორციელებლად მიმართული ბოროტი ენერგიაა. საშუალებები უფრო მეტად ავსებენ ადამიანის ცხოვრებას, ვიდრე მიზნები, რომლებიც სულ უფრო და უფრო განყენებული ხდება. ხარისხობრივი ღირებულების თვალსაზრისის კვალობაზე მიზნის განხორციელებისას საშუალებები თავადაა სსენებული ღირებულებები. ადამიანის ცხოვრება იმითაა შემზარავი, რომ სიკეთეს განახორციელებენ ბოროტების დახმარებით, სამართალს— სიცრუის დახმარებით, სილამაზეს— სიმახინჯის დახმარებით, თავისუფლებას — ძალადობის დახმარებით. კეთილი მიზნის განსახორციელებლად უდიდესი საშინელებანი ხდებოდა. ამას ღრმა მიზეზები აქვს. ასეთი უტილიტარული ჯეფორმაციებით ქრისტიანული მიზნების მისაღწევად სისხლიან ძალადობას მიმართავდნენ, ქრისტიანობა კი ისევე ვერ განხორციელდა, როგორც ვერ ხორციელდებოდა რევოლუციის მიზნებიც. უპირველეს ყოვლისა ეს იყო დაკავშირებული დროის პრობლემასთან, იმ შეხედულებასთან, რომ აწმყო მიზანი კი არაა თავისთავად, არამედ საშუალებაა მომავლისა, იმ მომავლისა, რომელიც არც არასდროს დადგება. სულსა და ჭეშმარიტებაზე მაღლაა ძალა და სარგებელი. საკმაოდ სარწმუნოა, რომ ვერ განხორციელდება ადამიანთა ძმობა, თუკი შემოქმედებითად არ შევისწავლით ძმობას გამოყენებული საშუალებების მიხედვით. ძალადობა და იძულება მხოლოდ ბოროტების გამოვლინების შესაზღუდავად, ულონოთა დასაცავად შეიძლება, მაშინ, როდესაც მიმართავენ ბოროტ ექსპლუატაციას, მხოლოდ აგრესიულ და დამპყრობლურ ომებს.

კომენტარები

1 საყურადღებო უნდა იყოს ძველი შეხედულება ჭეშმარიტების შესახებ, სადაც მინიშნებული არის, თუ რატომ შეიძლება არ უყვარდეთ ჭეშმარიტება: „ნანდვილვე შეჭმარიტებაჲ დიდ არს და ძლიერ უფროს ყოველსა. და ყოველი ქვეყანა შეეგვედრების ჭეშმარიტებასა, და ცანი აკურთხევენ ჭეშმარიტებასა, და ყოველნი საქმენი იძრვიან და ძრწიან მის წინაშე. და არა არს ჭეშმარიტებასა თანა სიცრუე არცა ერთ. უწესო არს ღ ვინო, უწესო არს მეფე, უწესო არიან დედანი, უწესო არიან ყოველნი ძენი კაცთანი, უწესო არიან ყოველნი საქმენი მათნი, და არა არს მათ თანა ჭეშმარიტება და უწესოებით წარწყმდიან. ხოლო ჭეშმარიტება დგას და ჰგიეს და ძლიერ არს უნისამდე. და არა არს მის თანა თვალთხუმი, და არა საღა იცვალების, არამედ იქმს სიმართლესა. განშორებულ არს მისგან უსჯულოება და უკეთურება და ყოველნი საქმენი ჭეშმარიტებისანი სათნო არიან ყოველთავე, და არა იპოების სასჯელისა მისისა სიცრუე. რამეთუ ჭეშმარიტება არს ძლიერებაჲ მეფეთა და ხელმწიფება და სიმდიდრე, და არს კურთხეულ უფალი ღმერთი ჭეშმარიტებისა“ — ქართული მწერლობა, ტ. 1, თბ., 1987, გვ. 200.

2 პრაქტიკული (ბერძ.).

3 ნ. მიხაილოვსკი და პ. ლავროვი.

4 დედანში: богочеловеческим.

5 დედანში: самодостаточен.

6 დედანში: с матерью-землей, რაიც ქართული ენისაგან განსხვავებით ნ. ბერდიაევის ენისთვის შედარებით უცხოა და გარკვეული შინაარსის გამოსახატავად იქნა მოყვანილი.

7 ქართულ მატიანეში („ცხოვრება მეფეთა-მეფისა დავითისა“) შეიძლება ასეთი სიტყვები ამოვიკითხოთ სულის, ღვთის საუფლოს შესახებ: „მუნ არს შვება და სიხარული, რომელსა არა აქვს მწუხარება, და სიმდიდრე, რომელსა არა შეუდგს სიგლახაკე, და მსიერულება, რომელსა არა განკვეთს ურვა, და მეფობა, რომელსა არა აქვს აღსასრული, და მუნ არს ცხოვრება, რომელსაც არა შეამღვრევს სიკვდილი“

8 გასული საუკუნის 40-იან წლებში, ამ წიგნის დაწერის დროს, ძალზე აქტუალური იყო საზოგადოების ადამიანზე მეუფების საკითხი. ნ. ბერდიაევი, ძირითადად, ამ დროს ბოლშევიკურ საბჭოთა კავშირს გულისხმობდა, სადაც სახელმწიფო და საზოგადოება ყოველთვის გამოდიოდა როგორც სასტიკი ცენზორი ადამიანის პიროვნების მიმართ, თუმცა ისიც უნდა გვახსოვდეს, სახელმწიფოსა და საზოგადოების ავტორიტარულობა მოდიოდა ერთი ადამიანისა და ადამიანთა ერთი ჯგუფის მხრიდან (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი და პოლიტბიურო). დღევანდელ მსოფლიოში უკვე სხვაგვარი ვითარებაა, ადამიანის უფლებების დაცვის სახელით ჩდება პიროვნების როგორც ინდივიდის უფლებების ფეტიშირება, როგორც წესი, მეტი წილი საზოგადოების ინტერესების და, თუ გნებავთ, უფლებების საზიანოდ.

9 ჩვენი დღევანდელი საქართველო ამ ნიშნითაა აღბეჭდილი; თითქოსდა გადაულახავი უფსკრული ჩანს ჩვეულებრივ ადამიანს, ანუ რიგით მოქალაქეს და იერარქიულ ჩინს შორის. შემზარავი და დამანგრეველია ამ იერარქიული ჩინების მმართველობა (რეალურად—ბატონობა), როდესაც ასე ზეობს დაუსჯელობა, უპასუხისმგებლობა და კორუპცია, როდესაც იერარქიული ჩინოსნები დემოკრატიულობის ნიღბით ხალხზე, ქვეყანაზე,

ზრუნვის მაგივრად საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობენ მხოლოდ, როდესაც იერარქიული ჩინოსნობა და სიმდიდრე, მატერიალური გამორჩეულობა სინონიმები შექმნილა. ცალკეული უბრალო ადამიანების, საერთოდ ერის შემოქმედებითი პოტენციალი დაძირულია ამ ჩინოსნებით წარმოქმნილი მღვრიე და გამოუვალ მორევში, ყოველს, განსაკუთრებით ნიჭიერ ადამიანს წართმეული აქვს საუშალება და ნება ამ ნიჭისავე გამომქელავნების და ქვეყნის უანგარო სამსახურის, რადგანაც მისი ყოველდღიური ცხოვრება მძიმე ბრძოლაა ლუკმაპურისთვის, ხოლო მრავალთათვის, სახლკარისთვისაც.

10 სხვა ტერმინოლოგიას თუ მოვიშველიებთ, ვთქვათ, ძველი ქართული (მართებული და მარჯვე) ტერმინოლოგიით — სოფელსა და ზესთასოფელს (იხ. ამის შესახებ: „ქართული მწერლობა", წ. 1, თბ., 1984, გვ. 194-202) შორის, ანუ სულის საუფლოსა და კეისრის საუფლოს შორის მწარე გათიშვას გრძნობდა დავით აღმაშენებელი; და სწორედ საქართველოს ისტორიაში და თუ გნებავთ მსოფლიო ისტორიაში ამ დიდმა პოლიტიკურმა მოღვაწემ შეძლო იმ საუკუნეებისთვის ფრიად უჩვეულო, სამართლიანი, ძლიერი სახელმწიფოს შექმნა. მაგრამ როგორც ბრძენსა და გონებავრცელ კაცს, ანუ როგორც დიდი სულის ადამიანსა და ამავე დროს დიდ კეისარს ეს ძვირად დაუჯდა; ამის მაუწყებელია მისი „გალობანი სინანულისანი", რომელშიც კარგად ჩანს, თუ რა გულისმომკვლელი ჭიდილი გაემართა ამ დიდ პიროვნებაში, ერთი მხრით, ამ სოფელში თავისი მესიანური მოვალეობის მოხდასა და, მეორე მხრით, იმ გრძნობას, რომელიც სულის, ზესთასოფლის საუფლოდან მოდიოდა და ვერა და ვერ ეგუებოდა ამ სოფლის, კეისრის საუფლოში ცხოვრებას, ანუ კეისრობას მიუხედავად იმისა, რომ ეს ცხოვრება გმირული ბრძოლებითა და ყოველდღიური ალმშენებლობით იყო გაჯერებული. დავით ალმაშენებლის „გალობანი სინანულისანი" კარგად გვაცნობს ამ გარემოებას: „ხატსა თვისსა მაშსგავსე და საკვეელად გრძნობადისა და გონიერისა მყოფობისად დამაწესე შენებრ არსთა სიტყუებისა ჩემ შორისცა შეკრებითა, ხოლო მე უმადლო გექმენ ... არა სჯულთაებრ ვიხუმიენ. მსგავსებისაგან დავაკლდი და დაეჰბადე ბოროტი, ხოლო ხილულთა-მიერსა გემოვნებასა ერცელად განუხუენ გრძნობანი".

11 მთავარი პონტიფიკი (უმაღლესი ქურუმი) ლათ.

12 ღმერთი (ლათ.).

13 ხელისუფლება რომ არ გახდეს ბოროტების სათავე, ეს დამოკიდებულია პასუხისმგებლობის დონეზე ამა თუ იმ ქვეყანაში. რეალური თავისუფლება უპასუხისმგებლობის პირობებში შეუძლებელია, რადგანაც ამ დროს ცნებები დემოკრატია და თავისუფლება მხოლოდ ნიღბებადაა მოშველიებული, რათა ესა თუ ის ავტორიტარული მმართველობა გაამართლონ და ამ ლამაზი სიტყვებით, საზოგადოებასა და მოლიანად ხალხს თავგზა აუბნიონ და ასე გაახანგრძლივონ თავიანთი ყოფნა ხელისუფლებაში. ნ. ბერდიაევს ერთერთ თავის შრომაში მოყვანილი აქვს ჭეშმარიტი დემოკრატიისთვის აუცილებელი ქრისტომათიული სიტყვები: „მხოლოდ პასუხისმგებლობით აღჭურვილი პიროვნებაა თავისუფალი და მხოლოდ თავისუფალი პიროვნებაა პასუხისმგებლობით აღჭურვილი". თავიდათავი ის არის, თუ რამდენადაა ხელისუფლება (განსაკუთრებით უმაღლესი ხელისუფლება) ნაზიარები სულის საუფლოს, რათა შეძლებისდაგვარად დაამკვიდროს რაღაც ნაწილი სულის საუფლოსი ამ საუფლოში, კეისრის საუფლოში. როგორც ვთქვით, მაღალი სულიერების უპირველესი ნიშა-

ნია პასუხისმგებლობა. თავისთავად ჭეშმარიტად დემოკრატიული მმართველობა გულისხმობს უდიდეს პასუხისმგებლობას, როგორც პიროვნულს, ისე საზოგადოებრივს. ასეთი დემოკრატიის პირობებში შესაძლებელია ხალხმა და მისი ნების გამომხატველმა პარლამენტმა პასუხიმგებლობა დააკისროს უმაღლეს ხელისუფალს. თუმცა ვიცით, რომ ეს არც თუ ისე ადვილია, რადგანაც ხშირად პარლამენტი თავის ოდინდელ ფუნქციას ვერ ასრულებს. ისტორიულად ცნობილია ისეთი შემთხვევები, როდესაც დემოკრატიული წყობილება გარეგნულ სახეს ღებულობს და რეალურად მოკლებულია ელემენტარულ პასუხისმგებლობას. ასევე, ისტორიულად ცნობილია მონარქები, რომლებიც თავისი მაღალი სულიერებისდა კვალად უდიდესი პასუხისმგებლობით იყვნენ აღჭურვილნი, ისეთი პასუხისმგებლობით, რომელიც სწორედაც სანატრელი უნდა ყოფილიყო არამცთუ სხვა მონარქთათვის, ჩვენი თანამედროვე ეპოქის არჩეულ ხელისუფალთათვისაც.

14 რეალურად ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელყოფილი არ იქნება ეროვნული თავისთავადობა და თავისებურებანი, ცხადია, ვგულისხმობთ მხოლოდ დადებით მხარეებს და არა ისეთს, რომლებიც შეიძლება ექსტრემიზმში გადაიზარდოს. ხსენებული თავისთავადობა და თავისებურებანი თუნდაც იმიტომ უნდა იყოს შენარჩუნებული, რომ ერმა შეძლოს თავისი წვლილი შეტანის მსოფლიო კულტურის განვითარებაში, დღეს ადამიანის უფლებები, ისე, როგორც ესმით, საზიანოა დემოკრატიისათვის, რადგანაც ეს უფლებები, უკვე კარგად ჩანს: შეიძლება ცხადლივ ყოველ-ის-უფლებებში გადაიზარდოს და შეიძლება ასევე სრულიად ახალი უპასუხისმგებლობის დამკვიდრების საფუძველი გახდეს.

15 სწორედ აქ შეიძლება მივაკვლიოთ იმ ძირითად მიზეზებს, თუ რა ესაჭიროებოდა ადამიანის ტრაგედიას ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, როდესაც საშუალებები ცვლის ცხოვრების მიზნებს. ამ დროს ის ადამიანი, რომელიც, ა. აინშტაინის აზრით, „თავის ცხოვრებას უაზრობად ჩათვლის, არამცთუ უბედურია, სრულიად გამოუსადეგარია ცხოვრებისთვის". ხოლო ეკონომიკურად განუვითარებელ ქვეყნებში, ვოქვათ, ისეთ ქვეყანაში, როგორიც დღეს საქართველოა, საშუალებები ხდება მთელი ხალხის საყოველთაო და გაუსაძლისი სიდუხჭირის გამომწვევი ამაზრზენი კორუპციის საფუძველი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

კეტე პამგურგელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გერმანუდიდან

თარგმნა რუსულიდან ლვინეფაძემ

მხატვრული სიტყვის ლოგიკა

სცენური სინამდვილე და აწმყოს პრობლემა

II. დრამატული ფიქცია

აწმყოს პრობლემა

დრამატული ფიქციის პრობლემის სრული გაშუქება სცენის ფენომენოლოგიის გათვალისწინების გარეშე ფაქტიურად შეუძლებელია. მიმესისის თვალსაზრისი, რომელშიც ეს უკანასკნელიც ექცევა, შეიძლება „სინამდვილის“ ძველთაგანვე საკამათო პრობლემატიკის გადაწყვეტადაც კი მივიჩნიოთ, „სინამდვილისა“, რომელსაც თეატრის სცენა წარმოადგენს, ამდენად კი, დროის პრობლემატიკის გადაწყვეტადაც, როგორც იმ ფორმისა, რომელშიც აღორძინების ეპოქაში ერთიანობის თეორიის აცვეების ხანიდან მოყოლებული, სცენის სინამდვილის პრობლემატიკამ თავისი არსებითი გამოხატულება ჰპოვა.

ახლა კი თანამედროვე ლიტერატურის თეორიაში დროის გარშემო წარმოებული დისკუსიის გათვალისწინებით, უპირველეს ყოვლისა, კიდევ ერთხელ უნდა გადავხედოთ შედარების თვალით თხრობით მხატვრულ შემოქმედებას. მისგან გამომდინარე, დროის პრობლემა ხომ უფრო აქტუალურიც კია, ვიდრე დრამატულ შემოქმედებასთან მიმართებაში, რომლისთვისაც იგი მართებულად შეგვიძლია მივიჩნიოთ ამომწურავად. ხოლო თუ ეს ასეა, ხაზი უნდა გავუსვათ დრამის ლოგიკური ადგილის ზუსტ განსაზღვრას, — რომ პირდაპირი გაგებით კანონიერი მხოლოდ დრამატული დროის პრობლემატიკაა და არა ეპიკური. და ეს ერთი შეხედვით პარადოქსულია, თუმცა დრო, როგორც გაფორმებისა და ლოგიკური შინაარსის პრობლემა, ისევ და ისევ მხოლოდ თხრობით შემოქმედებაში შეიძლება იქცეს თემატურად. ეს მოჩვენებითი პარადოქსი კი იმასთანაა დაკავშირებული, რომ სწორედ დრო, როგორც ფიზიკური სინამდვილის ფორმა, ე. ი. თვით დრო, ეპიკური შემოქმედების

[illegible]ასასრული. დასაწყისი № 5-6 1[illegible]; № 1 — 2000 წ; № 5-6 2[illegible] № 3-4 2003 წელი.

სტრუქტურაში არ შედის. ფიქცია, რომელსაც იგი ქმნის, წარმოდგენის მოდუსში რჩება და მისი ხორცშესხმა აღქმის მოდუსს არ საჭიროებს. როგორც ფიქცია კი იგი (რის დაწვრილებით ჩვენებასაც შევეცადეთ) დროის იმ ფორმიდანაა გამოთავისუფლებული, რომელიც წარმოდგენის მოდუსში ცოცხლობს, მაგრამ მხოლოდ ისტორიული აზროვნებისთვისაა დამახასიათებელი? წარსულიდან. თუ ახალ დროში, გ. მიულერის თეორიის თანახმად,[78] დრო, როგორც ფიზიკური სინამდვილის ფაქტორი, სახელდობრ, როგორც „თხრობის დრო", ე. ი. როგორც სიგრძისა და დროის ზომა, რომელიც გამოსადეგია თხრობითი ნაწარმოების წარმოშობისა და ფიზიკური არსებობისათვის, მის მიერ აღწერილი ფიქციური სამყაროსა და მოქმედების მასშტაბადაც იყო გამოყენებული და „თხრობის დროსა და მოთხრობილ დროს" შორის არსებული მიმართულებიდან გამოტანილი იყო დასკვნები გარკვეული თხრობითი ნაწარმოებების სტრუქტურასა და შინაარსთან დაკავშირებით — ეს ეპიკური შემოქმედების არსებობის ფორმისა და დროის პრობლემის ჯეროვან შეუფასებლობას ემყარება. თხრობის დრო ხომ არა მარტო ეპიკური მოქმედების დროში განვითარების თხრობაზე იხარჯება, არამედ აგრეთვე საგნობრივისა და რეფლექტორულის წარმოდგენაზეც (რომელიც ცოტად თუ ბევრად ვრცელი შეიძლება იყოს), და, თუ უმარტივეს მაგალითზე ვაჩვენებთ, აღწერა „ქერა თმა" თხრობის ნაკლებ დროს საჭიროებს, ვიდრე გამოთქმა „მოელვარე ქერა თმა". მაგრამ დრო თხრობით შემოქმედებაში მხოლოდ ფიქციური ეპიკური სამყაროს ფიქციურ ელემენტად გვევლინება, როგორც მასალის ელემენტი, ისევე, როგორც მასში აღწერილი სივრცე. დროის ელემენტი უმეტეს შემთხვევაში მოქმედების მსვლელობასთან ერთადაა მოცემული, მეტნაკლებად ხაზგასმული და იგი, როგორც აქ მხოლოდ მინიშნება შეგვიძლია, მხოლოდ მაშინ იქცევა სტრუქტურულ ან აზრობრივ პრობლემად, როცა იგი, როგორც ასეთი, თემატური გახდება, როგორც ეს თანამედროვე ეპოსში, ჯოისის „ულისეში", თომას მანის „ჯადოსნურ მთასა" და „იოსების რომანში", ვირჯინია ვულფის „მისის დელოვეიშია". თხრობის დროის თვალსაზრისით კი იგივე შეიძლებოდა გვეთქვა დრამაზეც, მხოლოდ წიგნის სახით რომ არსებობდეს იგი ფიზიკურ სინამდვილეში. „ვალენშტაინსაც", რომელსაც შილერის საიუბილეო გამოცემაში მთელი ტომი უკავია, უფრო გრძელი „თხრობის დრო" აქვს, ვიდრე „ყაჩაღებს", რომლის მოქმედება უფრო ვრცელ ფიქციურ დროს მოიცავს, ვიდრე ვალენშტაინის ტრილოგია.

მაგრამ დრამის „თხრობის დრო", „თამაშის დროდ" უნდა გარდაიქმნას, დრამატული ნაწარმოებები კი — წარმოდგენის მოდუსიდან გრძნობადი აღქმის მოდუსში გადავიდეს, და ამრიგად, სინამდვილის დროულ-სივრცულ პირობებში წარიმართოს. ეს არის დრამის დროის გარშემო წარმოებული დისკუსიის სათავე, მიზეზი იმისა, რომ დრო, როგორც დრამატული ხელოვნების ფაქტორი, უფრო ადრე შემოიჭრა ცნობიერებაში, ვიდრე ის პრობლემა, რომლის გადაჭრა უმალ სასცენო ტექნიკის საქმეა, ვიდრე თვით სიტყვიერი შემოქმედებისა, უმალ დრამატურგიული პრობლემაა, ვიდრე დრამატული. შემთხვევითი არაა, რომ ეს პრობლემა მხოლოდ იმ ეპოქაში გახდა

აქტუალური, როცა, როგორც ეს დ. ფრეიმ გვიჩვენა, მაყურებელმა დრამა ძიელო ობიექტურად და, უპირველეს ყოვლისა, ხატოვნად განცდილ სცენურ ნაწარმოებად,[80] სხვა ესთეტურ (ანუ ფიქციურ) რეალობად, რომელიც სხვა სახეობათაგან გამოყოფილი იყო აღორძინების ეპოქაში და სრულად — ბაროკოში. ერთიანობის კლასიკური პრობლემატიკა თეატრალური სცენის ფაქტს ემყარება, კერძოდ, „პარტერის" სივრცულ-დროულ სინამდვილესა და სცენის, ცხადია, ფიქციურ, მაგრამ ამავე დროს ჭეშმარიტ სივრცულ-დროულ სინამდვილეს შორის არსებულ ურთიერთმიმართების პრობლემას, რომელიც განცალკევებულადაც და ფიზიკურ-ფსიქოლოგიური გაგებითაც თეატრის ისტორიული განვითარების მანძილზე მაყურებელთა დარბაზის ნაწილად განიცდება.[81]

კლასიკური დისკუსია აქ მხოლოდ იმიტომ გავიხსენეთ მოკლედ, რომ სწორედ იმ ლოგიკურ შეცდომებში, რომლებიც მასში იმალება, ნათლად გამოსჭვივის არა მარტო დრამატული შემოქმედების, არამედ სცენური სინამდვილის მიმეტური ფორმა. ლაპარაკია მოქმედების ფიქციური დროის ხანგრძლივობის გათანაბრებაზე მისი წარმოდგენის რეალურ დროსთან, რომელიც ფრანგულ კლასიკურ ხუთმოქმედებიან დრამებში ორ საათს აღწევდა. კორნელი თავისი „სამი ერთიანობის კანონით" იდეალურად მიიჩნევს ამ ორი დროის დამთხვევას; ამისი საწინდარი კი (რაც მკაფიოდ არ იყო გამოხატული), ისაა, რომ მაყურებელს თავისი თეატრში ყოფნის სინამდვილე და ამდენად აწმყო მის წინ გათამაშებულ მოქმედებასა და მასში მონაწილე მსახიობებზე გადააქვს; რომ უპირველეს ყოვლისა, თვით ისინი ამ სინამდვილეში იმყოფებიან. სწორედ დროების ამ შესაძლებელ განსხვავებაში, რაც კორნელს ამ არგუმენტაციაში მოჰყავს, აშკარად ჩანს გნოსეოლოგიური შეცდომა. თუ მოქმედების ჩატევა შეუძლებელია ორ საათში, „თუ არ შეგვიძლია მისი ჩატევა ამ ორ საათში, ავიღოთ ოთხი, ექვსი, ათი, მაგრამ ამას ბევრად ნუ გადავაჭარბებთ. 24 საათი ქმნის ჩარჩოებიდან გამოსვლის საშიშროებას, პორტრეტის ისეთი შეკვეცა კი, რომ მას უკვე ალარ გააჩნია პროპორციული ზომები, ქმნის დაუმთავრებლობის შთაბეჭდილებას".[82]

კორნელს არ შეუნიშნავს, რომ მოქმედებისა და წარმოდგენის დროებს შორის არსებულ მცირეოდენ სხვაობაშიც კი იმალება კატეგორიალური განსხვავება ფიქციურსა და რეალურ დროებს შორის და მნიშვნელობა არა აქვს იმას, საათებს შეადგენს ეს სხვაობა, დღეებს, კვირეებს თუ წლებსაც კი,[83] რომ ეს განსხვავება მაშინაც კი არსებობს, როცა ეს ორი დრო ერთმანეთს ემთხვევა, უფრო ზუსტად, ერთნაირადაა ჩაფიქრებული; და მხოლოდ წარმოდგენაზე შეიძლება ითქვას და არა მოქმედებაზე, რომ იგი ამდენ და ამდენ ხანს გრძელდება. ეს არის ხანგრძლივობა, რომელიც თავის მხრივ მხოლოდ საათით შეიძლება განისაზღვროს და სწორედ ამის გამო არარელევანტურია, რადგან მაყურებელს ისევე ნაკლებად აქვს მისი ვარაუდი, როგორც რომანის მკითხველს იმ დროისა, მის წასაკითხავად რომ სჭირდება.[84] ის, რაც მოთხრობილ ფიქციაზე ითქმის, ასევე ეხება არა მარტო წაკითხულ, არამედ წარმოდგენილ დრამასაც: ის, ვინც მის აპერცეპციას ახდენს, ე. ი. ჩვენს შემთხვევაში მაყურებელი, თავისი მეორეგოთი არ იმყოფება იმ ფიქციურ წარმოსახულ სამყაროში, რომელიც მის წინ თამაშდება, იმისდა მიუხე-

დავად, მისი შინაგანი, წარმომსახველი თვალის წინ ხდება ეს, თუ აღმქმელი თვალის წინ. სცენის ფიზიკური, აღქმადი ფორმა ადვილად მიგვანიშნებს იმაზე, რომ იგი თხრობითი ნაწარმოების მოქმედების ადგილის მსგავსად გამოგონილ, წარმოსახულ, ფიქციურ სივრცეს წარმოადგენს; რომ მის სფეროში დროსა და სივრცეს ასევე ცნებითი ფორმა ახასიათებთ და არა დეიქსური, და თუ ზემოთ, პრობლემატიკის დასახვისას ვამბობდით, რომ დრამატული სახე და სამყარო მისი სცენური ხორცშესხმის მეშვეობით იმავე ფიზიკურ სინამდვილეში შედის, რომელშიც მაყურებელი იმყოფება, ახლა ეს ფორმულირება ასეთ მოდიფიცირებას საჭიროებს: სცენის თავისთავად ფიზიკური სინამდვილე არც იგივეა, რაც მაყურებლის და არც იგივე, რაც თვით მსახიობისა.

პრობლემატიკა, რომელსაც ეს საკითხი შეიცავს, ვერ შეეგუა ერთიანობის კლასიკურ თეორიას, რომელსაც იგი, ასევე სცენის ტექნიკური მიზეზების გამო, უსათუოდ ედო საფუძვლად. თუმცა სცენის პროგრესულმა ტექნიკამ, მის მიერ განვითარებულმა შესაძლებლობებმა, მაგალითად, სივრცისა და განათების ეფექტებმა, მბრუნავმა სცენამ და სხვა მრავალმა, რომლებიც მოქმედების წარმოსახვითი დროის ილუსტრირებას ემსახურებიან, მოქმედების დროის პრობლემა სულ უფრო და უფრო შეამცირა, კლასიკური თეორია დღესაც ნაკლებადაა დაძლეული, ვიდრე შეიძლებოდა გვეფიქრა. დრამის თანამედროვე პოეტიკაში იგი შენარჩუნებულია იმ თეორიის ფორმით, რომლის თანახმად დრამის დრო აწმყო დროა.[85] აწმყოს ეს თეორია ეპოსის წარსულის თეორიას შეესაბამება და ეს უფრო მართებულიცაა, თუმცა სხვა მიზეზებით, ვიდრე ამას ალბათ თვით ეს თეორია ითვალისწინებდა. მართლაც, თეატრის სცენა სხვას არაფერს შეესაბამება, თუ არა თხრობის პროტერიტუმს. იმ შეხედულების მიზეზი, რომ „მოქმედება აწმყოდან წარმოდგენილი“,[86] „დრამა წარმოადგენს დასრულებულ მოქმედებას... უშუალო აწმყოში“,[87] „გამუდმებით ადგილი აქვს აწმყო დროში. სცენაზე ყოველთვის აწმყოა“.[88] (—თუ მსგავს განსაზღვრათა სიმრავლიდან ალალბედზე ამოვარჩევთ რამდენიმეს) — არის არა დიალოგის დრამატული ფორმა, როგორც ასეთი, არამედ დადგმული პიესის ფენომენი. ეს განსაზღვრებები ისე ზუსტად გადმოგვცემენ მაყურებლისეული განცდის ილუზიას, რომ უფრო კატეგორიულ ფორმულირებას თითქმის აღარც საჭიროებენ. მაგრამ მათი პრობლემატურობა და მცდარობაც კი მაშინ იჩენს თავს, როცა შევამოწმებთ, არის თუ არა დრამატული აწმყოს ეს განსაზღვრა დროის ნამდვილად სხვაგვარი განცდა, ვიდრე მოთხრობილი მოქმედებისა. როცა იბსენის „როზმერსჰოლმის“ მეორე მოქმედებაში რებეკა ვესტი ეუბნება როზმერს: „გუშინ საღამოს, ულრიკ ბრენდელი რომ წავიდა — მორტენსგარდთან ორი-სამი სტრიქონი გავატანე“ — მაყურებელმა ეს „გუშინ“ თავისი დროით რამდენიმე წუთის წინ, პირველ მოქმედებაში განიცადა, როცა ბრენდელი რებეკასთან ერთად ტოვებს სცენას; და რომ მან „მაშინ“, (დაფარულ) დრამატულ მოქმედებაში (მაგრამ არა კულისებში) გაატანა მას ბარათი მორტენსგარდთან, ჩვენ მხოლოდ მისი სიტყვებიდან ვიტყობთ. ამ აღქმულ, მაგრამ ფიქციურ „გუშინ“-ს ჩვენ მაინც ზუსტად ისევე განვიცდით, როგორც ფონტანეს ტექსტში წარმო-

დგენილ „გუშინ“-ს: „გარემო გუშინდელი იყო“, რაც ჩვენ ასევე საკუთარი დროით რაოდენობე წუთის ნინ განვიცადეთ, თუმცა ამ შემთხვევაში ლაპარაკია ჩვენი კითხვის და არა ცქერის დროზე. და პირიქით, ტრაიბელის ოთახის „დღევანდელ“ გარემოს — სცენას, როგორ შემოდის კომერციული მრხეველი ოთახში, სოფაზე ჯდება, გაზეთს შლის, — ისევე „აწმყოდ“ განვიცდით, როგორც რებეკა ვესტისა და როზმერის „დღევანდელ“ სცენას. არა მარტო სცენაზეა მუდამ „ახლა“, როგორც თორნტონ უაიდლერი ფიქრობს, არამედ რომანშიც, ეპოსშიც, — მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ აღქმით განვიცდით, აქ კი — წარმოდგენით; არა ჭვრეტის, არამედ თვალსაჩინოების ძალით. და მხოლოდ შედარებითი დაკვირვების ასეთი გზით ეხდება საფარველი სცენურად განსახიერებული დრამატული სამყაროს „ახლა (და აქ)“ ბუნებას. იგი ისეთივეა, როგორც ეპიკური ფიქციის „ახლა და აქ“, და ამ აწმყოს აქაც ისევე ნაკლებად ახლავს ტემპორალური მნიშვნელობა, როგორც იქ. დრამატული მოქმედება ახლა და აქ ხდება, თუნდაც მთელ პიესაში არ იყოს არავითარი მონაცემი, რომელიც ფიქციური წარსულის ან მომავლის ფიქციურ აწმყოსთან მიმართებას მიგვანიშნებდეს. ეს არის ფიქციური მე-ორიგინესის ახლა და აქ, რომელზედაც მიმართულია როგორც დრამატული, ისევე ეპიკური ფიქციის ხდომილება. და როგორც არ უნდა ფარავდეს და ეწინააღმდეგებოდეს ჩვენს „გრძნობად“ განცდას სცენისა და მსახიობების უაღრესად ხელშესახები, გრძნობად-აღქმადი სინამდვილე, — იგი, როგორც სინამდვილე, მაინც თხრობითი პრეტერიტუმის — როგორც წარსულის — გრამატიკულ მნიშვნელობასავით უფუნქციოა; მოჩვენებითი აწმყო, სცენის პრეპრეზენსი — როგორც ტემპორალური დრო — ისევე ძალადაკარგულია, როგორც ფიქციური პრეტერიტუმი, როგორც ამ უკანასკნელის შორფემული როლია გაუფერულებული და მხოლოდ თვით ზმნის შინაარსია რელევანტური ფიქციური სამყაროს შესაქმნელად, ასევე სცენა, ძველი, ბრძნული სიტყვის თანახმად მხოლოდ ფიცარნაგია, რომელიც სამყაროს ნიშნავს — და რომელსაც თუნდაც სხვა მედიუმში, ზუსტად ისევე შეიძლება მოვეპყროთ, როგორც ფიქციური მთხრობელი ეპყრობა თავის პრეტერიტუმს ყოველგვარი გრამატიკული წესების წინააღმდეგ. როცა აწმყოს თეორიები სცენის რეალურ აწმყოსა და სინამდვილეს დრამატული ნაწარმოების ფიქციურ პრეზენსში ურევდნენ, რომელიც სცენაზე თამაშდება, ისინი ისეთივე შეცდომას უშვებდნენ, როგორიცაა, მაგალითად, მსახიობის არევა ნაწარმოების გმირის სახეში, რომელსაც ის წარმოადგენს. სცენა და მსახიობები ცხადია, სინამდვილეს ეკუთვნიან, როგორც მაყურებელი; ისინი იცვლებიან და გარდადიან. 1767 წლის 6 მაისი, ოთხშაბათი, აწმყო იყო მუდამ პენზელისათვის, რომელიც მაშინ ჰამბურგის ნაციონალური თეატრის სცენაზე მის სარა სამპსონს წარმოადგენდა, ეს იყო აწმყო თეატრალური კრიტიკოსის ლესინგისა, რომელიც პარტერში იჯდა (ჰამბურგის დრამატურგია, მე-13 ნაწყვეტი). მაგრამ მელეფონტის ოთახი სასტუმროში, სადაც სარა შედის, თვით იგი, მელეფონტი, და სხვა მოქმედი პირები არ არსებობენ არავითარ რეალურ აწმყოსა ან თანადროულობაში, ისევე, როგორც არ იარსებებდნენ რომანის პერსონაჟების სახით. თუ თეატრში

ყოფნის ჩვენს განცდას უფრო ზუსტად გავაანალიზებთ, შევნიშნავთ, რომ აქაც ისევე კარგად გვაქვს შეგნებული, როგორც კითხვის სიტუაციაში, რომ სცენის რეალური ახლა და აქ, და ამდენად ჩვენი ახლა და აქ მაყურებელთა დარბაზში, არ არის დრამის მოქმედების ფიქციური ახლა და აქ მომენტის იდენტური. ვცოცხლობთ რა გათამაშებულ მოქმედებაში, ჩვენ ისევე ვივიწყებთ სცენას, როგორც მოამბე ზმნების წარსულის დროის ფორმას, თუ რადიკალურად ვიტყვით, თვით თხრობის წარსულ დროს. როცა გოეთე აღნიშნავდა განსხვავებას მიმებისა და რაფსოდების მიერ გადმოცემის დრამატულ და ეპიკურ ფორმებს შორის, იგი ამას იმიტომ სჩადიოდა, რომ ჰომეროსის ეპოსზე ფიქრისას ეპიკოს პოეტს იმავ დროს შემსრულებლადაც იაზრებდა (და ამით უკვე თხრობის მთხრობელად პერსონიფიცირებას ახდენდა).[89] მაგრამ ეს არ არის დამოკიდებული ეპოსის შესრულებაზე, რაფსოდებზე (რაც წიგნით ბეჭდვის განვითარების კვალობაზე გაქრა, ეპოსის ფორმა კი კვლავ არსებობს), არამედ ფუნქციაზე, რომელსაც იგი იყენებს. ეპიკური მიმეტის შედარება მხოლოდ დრამატულ მიმეტთან შეიძლება, მთხრობელი პოეტისა — დრამატულ პოეტთან. თხრობა კი, ეპიკური მიმეტის მიმეტური ფუნქცია, შეედარება მიმს, და ე. ი. თვით სცენას, მიმეტურ ფუნქციას, უფრო ზუსტად, დრამატიკოსის მიმეტური ფუნქციის ნაწილს.

სცენა მსახიობებთან, ერთად მხოლოდ ნაწილია დრამატიკოსის მიმეტური ფუნქციისა, რომლის ნაწარმოები ენობრივი ქმნილებაა, ისევე როგორც ეპიკური. სცენა კი ფუნქციის არა-ლიტერატურული ნაწილია, ფუნქციისა, რომლის გამოყენებაც შეუძლია (რაც არაა აუცილებელი) დიალოგურად აგებულ ენობრივ ქმნილებას. იგი სცენურად განსახიერებული დრამატული ნაწარმოების მთლიანობაში თხრობითი ფუნქციის იმ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც ამოვარდნილია ესეთი დრამის სტრუქტურაში, მხოლოდ სასიათებს რომ ქმნის, საგნებსა და გარესამყაროს ბადებს. იგი წარმოადგენს მიმეტური ფუნქციის ამ ნაწილს არა ნამდვილი ლიტერატურული გაგებით, არამედ შემცვლელი ფუნქციის სახით, რომელიც ისევე, როგორც ყოველი შემცვლელი, სხვა მასალისაგან შედგება, ვიდრე შესაცვლელი. სცენა და მსახიობები სხვა მასალას, ანუ სხვა მედიუმს შეადგენენ, ვიდრე ეპიკური თხრობის ფუნქციას, ისინი ამ უკანასკნელივით თვით სიტყვიერ შემოქმედებას არ ეკუთვნიან, მის სუბსტანციას არ შეადგენენ, ისინი პოეტის მიერ არ იქმნებიან — სცილდებიან კიდევაც მის კომპეტენციას. სწორედ ამიტომ შეიქმნა შესაძლებელი ამ შემცვლელი ფუნქციის საკუთრივ ხელოვნებად, სცენისა — და მსახიობის ხელოვნებად გამოცალკევება, წმინდა მხატვრული სიტყვის ფიქციის სცენის ფიზიკური სინამდვილით გამსჭვალვა, სხვადასხვა დროებისა და აწმყოს თამაში, რაც მოსვენებას უკარგავდა თეორიებს.

სასცენო ხელოვნების სხვადასხვაგვარ მცდელობასა და მეთოდებს, დაავიწყოს მაყურებელს ფიცარნაგის რეალობა იმ ფიქციური სამყაროს სასარგებლოდ, რომელსაც იგი „ნიშნავს", მხატვრული სიტყვის წმინდა ლოგიკური მიზეზებიც უდევს საფუძვლად. ის გარემოება, რომ დრამატული თამაშის ფიქციას ახასიათებს ტენდენცია და შესაძლებლობანი, მიიღოს იმ სინამდვილის სახე, რომელიც მაყურებლის სინამდვილის ანალოგიურია, ხომ იმ გან-

საკუთრებულ ხერხზეა დამოკიდებული, რომლითაც სცენურმა განსახიერებამ ეპიკური თხრობის ფუნქცია უნდა შეცვალოს, ამ განსახიერების ფიზიკურ პირობებზე.

ეს შესაძლებლობანი სხვადასხვა ეპოქათა თეატრის მიერ სხვადასხვა თვალსაზრისის, ტექნიკური შესაძლებლობის, მოდისა და გემოვნების მიმართულების კვალობაზე სხვადასხვაგვარად იყო რეალიზებული და შეფასებული. სპეციფიკური დეკორატიული სასცენო ხელოვნება, რომელიც სასახლის ბაროკოს თეატრის კულისებით, პერსპექტივით, „მეხის“ მანქანითა და სხვ. დაიწყო და სინამდვილის სულ უფრო და უფრო ზუსტი იმიტაციისაკენ ისწრაფოდა, იმის ნიშნად უნდა მივიღოთ, რომ იმთავითვე სურდათ, აღქმადი ფიქციისათვის შეძლებისდაგვარად აღქმადი სინამდვილის სახე მიეცათ. ხელოვნების გაგება, რომელიც წამყვანი უნდა ყოფილიყო მაშინ და საერთოდ, დღევანდელი თეატრისთვისაც, იმისკენ მიისწრაფის, რომ დაავიწყოს მაყურებელს ფიქციური თანდასწრება რეალურის სასარგებლოდ; ფიცარნაგი, რომელიც უბრალოდ „ნიშნავს“ — ნამდვილის სასარგებლოდ, — რა მიზნითაც საჭიროა მისი, ისევე როგორც თვით მსახიობების, კოსტუმირება. თანამედროვე რეჟისორების მისწრაფებას, თუ შემეცნების თეორიის თვალსაზრისით მივუდგებით, შებრუნებული პროცესი უდევს საფუძვლად: შეძლებისდაგვარად შეამცირონ სცენის იმიტირებული სინამდვილის ილუზია, დაგვაიწყონ სცენა მისი „გაუჩინარებით“ ნაწარმოების წმინდა ფიქციური სამყაროს სასარგებლოდ, რომლის „აწმყო“ არ უნდა აგვერიოს სცენისეულ აწმყოში. ასეთი სასცენო ხელოვნების აზრი იმაში მდგომარეობს, რაც შეიძლება მეტად გაათავისუფლოს დრამატული ნაწარმოები იმ გრძნობადი მოვლენებისაგან, რომლებიც მის სცენურ განსახიერებას ახლავს თან, ე. ი. რაც შეიძლება ნაკლებად დაარღვიოს [illegible] შეზღუდოს გათვალსაჩინოებითობა — სიმბოლიზაცია, რაც ყოველი ხელოვნების არსს წარმოადგენს.

ფრიად საინტერესოა ის ფაქტი, რომ უკიდურესი შედეგის განხორციელება — დრამატული ნაწარმოების სტრუქტურიდან სცენური სინამდვილის გამორიცხვა — მხოლოდ ტექნიკის დახმარებით გახდა შესაძლებელი. რადიოპიესა შეიძლება იყოს ერთადერთი ფორმა, რომელიც სრულიად წმინდად განასახიერებს ან თითქოს განასახიერებს დრამატული ფორმულის მეორე ასპექტს, რომ სახე სიტყვად იქცევა. მაგრამ რადიოპიესის პრობლემატიკა იმაში მდგომარეობს, რომ სცენური ხორცშესხმა, და ამდენად აღქმადობა, სმენად აღქმაზეა დაყვანილი. ამის გამო კი თვით ნაწარმოების სახეთა პოეტური არსებობა შემცირებულია.

მოსმენას განსაკუთრებული შუალედური ადგილი უკავია დრამის ცქერასა და კითხვას შორის. სმენადგრძნობადი აღქმა თითქოს ნახევარი სიძლიერით რთავს წარმოდგენას, რომელიც სრული გრძნობადი აღქმისას მთლიანად გამორთულია, კითხვისას კი კვლავ მთლიანადაა ჩართული. დრამის სმენა მისი კითხვისაგან იმით განსხვავდება, რომ სახეები მიკროფონთან, ასე ვთქვათ, შინაგან სახიერებას იძენენ, მსმენელისათვის კი ისინი მხოლოდ ხმის მიხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეს ერთგვარად გამალიზიანებელი პროცესია, რის გამოც ზოგიერთი დრამის წაკითხვას არჩევს. და ეს იმიტომ, რომ წმინდა

წარმოდგენა მხოლოდ მეტყველებით მოხაზულ ლიტერატურულ სახეებს სულითა და ხორცით ავსებს. ამასთან ერთად, ცოტა თუ ბევრად ცოცხალი, ვიზუალური ფანტაზია ძირითადად ისევე მუშაობს, როგორც რომანის კითხვისას, მხოლოდ ამ უკანასკნელში მოცემულია წარმოდგენის უფრო ზუსტად მართვის შესაძლებლობა, რომელიც ყველა თხრობით სტილში არ შეიძლება ერთნაირი იყოს. სანახევრო თვალსაჩინოება კი, რომელსაც რადიოპიესა გვთავაზობს, მთლიანად აფერხებს დამოუკიდებელ წარმოდგენას. სიტყვა წარმოდგენაშიც აღარ იქცევა სახედ, არამედ სიტყვად და ხმად რჩება. დიახ, სწორედ ხმადქცეული სიტყვა ძარცვავს წმინდა ლიტერატურულ, მხოლოდ თავისი აზრითა და არა განსაზღვრული უცხო ინტერპრეტაციით აღბეჭდილ სიტყვას მისი სახისშემქმნელი ფუნქციისაგან.

მაგრამ აქ ლაპარაკია არა რადიოპიესის, ილუზორული და აბსტრაქტული სცენის, მოკლედ, სცენური ხორცშესხმის სხვადასხვა მანერებისა და ექსპერიმენტების ესთეტიკურ შეფასებაზე. ჩვენ შევეცადეთ მოკლედ დაგვეხასიათებინა ისინი, რათა თვალსაჩინო გაგვეხადა სხვადასხვაგვარი ქცევა შემცველი ფუნქციისა, რომელსაც სცენა წარმოადგენს მთლიან დრამატულ სტრუქტურაში, ამასთან ერთად კი აღქმადობის ფუნქცია, რომელიც სტრუქტურული თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია. დროის ფრიად საფავო პრობლემატიკის მიზეზი ხომ დრამატული ქმნილების სცენურ ხორცშესხმაში ძევს, მაგრამ მცდარი გნოსეოლოგიური თვალსაზრისით თვით მხატვრულ სიტყვასა და სცენის საერთო პრობლემად განიხილავდნენ. მიუხედავად თავისი ფიზიკური სინამდვილისა და გრძნობადი აღქმადობისა, სცენად იმდენადვეა მიმესისი, რამდენადაც წმინდა წარმოდგენაში გაცოცხლებული ეპიკური სამყარო — ცხადია, მიმესისის შემცველი, რომელიც თვით მხატვრული სიტყვის ნაწილის სახით კი არ არსებობს, არამედ მხოლოდ ემსახურება მას. მაგრამ სცენისა და დრამატულ შემოქმედებასთან მისი მიმართების პარადოქსული პრობლემატიკა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი მეორე მხრივ დრამის პოეტურ სტრუქტურაზეც ახდენს ზეგავლენას, რადგან იგი — მხოლოდ აღქმადი მიმესისი — ლიტერატურულ სახეებს მოითხოვს, რომლებსაც თავისი თავის წარმოდგენა ძალუძთ, სიტყვიერი მხატვრული შემოქმედების წარმოსახვითი სამყაროდან სცენის მიმეტურ აღქმად სამყაროში გადასვლა შეუძლიათ.

პრობლემები კი, რომლებიც ფიქციური გვარის ამ ორი სახეობის გნოსეოლოგიური განხილვიდან გამომდინარეობენ, შესაძლებელს და საჭიროსაც ხდიან მესამე, თუმცა არც თუ მთლიანად კანონიერი სახეობის, ფილმის გაანალიზებას.

III. ფილმური ფიქცია

სიტყვიერი მხატვრული შემოქმედების ლოგიკის ფარგლებში ყურადღების გამახვილება ფილმზე ერთი შეხედვით უადგილო ჩანს. ფოტოგრაფიისათვის, ე. ი. ტექნიკისათვის, რასაც ფილმი თავის არსებობას უმადლის, ხელოვნების სიტყვიერ ქმნილებათა სფეროში თით-

ქოს არ უნდა მოიპოვებოდეს კანონიერი ადგილი, ხოლო მხატვრული სიტყვის ლოგიკის პრობლემას, რომელიც მხატვრული სიტყვის ენობრივ სტრუქტურაშია დამკვიდრებული, არავითარი ძალა არ უნდა გააჩნდეს ფილმისათვის. მაგრამ, როგორც დრამის ლოგიკის სრული გაშუქება ხდება მხოლოდ მისი, როგორც თეატრალური და სასცენო ხელოვნების სტრუქტურის მოშველიებით, ასევე ფილმის ტექნიკური ფაქტორი არ უშლის ხელს მის ფიქციურ და ამდენად ლიტერატურული ფორმით არსებობას; და ისიც ნათელი გახდება, რომ იგი არა თუ მიუხედავად ტექნიკური ფოტოგრაფიული ფაქტორისა, არამედ სწორედ მის გამო გარკვეულ ლოგიკურ სტრუქტურას ავლენს. მაგრამ მეორე მხრივ ფოტოგრაფიული ფაქტორი, ცხადია, იმისი მიზეზიცაა, რომ ფილმის ლოგიკა უფრო ჩახლართულია, ვიდრე დრამის ან მოთხრობისა; სასელდობრ, კი იმიტომ, რომ იგი ამ ფაქტორის გამო არ არის მთლიანად აუტოხთონური, არამედ მხოლოდ ორი ლიტერატურულად „ჭეშმარიტი" ფიქციური ფორმის მოშველიებით წარმოიქმნება.

ფილმის ჩახლართული პრობლემატიკა და ფენომენოლოგია ყველაზე ადგილად ფილმის მაყურებლის, კინომაყურებლის სიტუაციიდან შეიძლება გაიხსნას. ეს უკანასკნელი განსაკუთრებულად განსხვავდება, ერთი მხრივ, თეატრის მაყურებლისა და მეორე მხრივ — რომანის მკითხველისაგან, რაც უპირველეს ყოველისა, უბრალო კონსტატაციით შეიძლება დავახასიათოთ — რომ კინომაყურებელს, თეატრის მაყურებლისა და რომანის მკითხველისაგან განსხვავებით, არა აქვს სრული წარმოდგენა იმაზე, რას აკეთებს და რას განიცდის იგი, როცა ფილმს უყურებს — რომანს უყურებს თუ თეატრალურ პიესას? მოთხრობილ თუ დრამატულად წარმოდგენილ მოქმედებას? ამ კითხვას ვერავითარ შემთხვევაში უშრალოდ და მოკლედ ვერ ვუპასუხებთ; ფილმური ფიქციის სტრუქტურის გამოკვეთა შესაძლებელია მხოლოდ კინომაყურებლის სიტუაციის გულდასმით შედარებით თეატრის მაყურებლისა და რომანის მკითხველის სიტუაციასთან.

ფილმის მაყურებლის სიტუაცია პირველ რიგში თეატრის მაყურებლის სიტუაციას გვაგონებს, ესეც მაყურებლის სიტუაციაა და არა მკითხველისა. ფილმს ვუცქერით და ვისმენთ, გრძნობადი აღქმის გზით, და არა წარმოდგენით, როგორც რომანს. და მაინც კინოში ჩვენი მაყურებლობა სხვაგვარია, ვიდრე თეატრში. ჩვენ ვუცქერთ — რადგან აქ პირველ რიგში ცქერაა მნიშვნელოვანი — რაღაც სხვას, ვიდრე თეატრში. რასაც თეატრში ვხედავთ, ის თეატრის სცენაზე თამაშდება. ეს არის ნატურალური, ე. ი. სამგანზომილებიანი სივრცე, მაყურებელთა დარბაზის გაგრძელება და მხოლოდ პირობითობა (კონვენცია) გვიშლის ხელს და არა ფიზიკური პირობები იმაში, რომ სცენაზე ავიდეთ და მსახიობებში გავერიოთ. ფილმის ეკრანი კი ორგანზომილებიანი სიბრტყეა და იმას, რასაც მასზე ვხედავთ, არაფერი არა აქვს საერთო ჩვენი საკუთარი ფიზიკური არსებობის სივრცობრივ-დროულ პირობებთან — ისევე, როგორც ნახატს. მაგრამ საოცარი და პარადოქსულია ის, რომ სწორედ ორგანზომილებიანი ფილმი უფრო ბუნებრივ განცდას გვანიჭებს სივრცისას, ვიდრე სამგანზომილებიანი სცენა. დიახ, თუ ამ მოვლენას ცოტა ენამოსწრებულად გამოვ-

ხატავთ, ორი განზომილება — ფილმი — სივრცის სამგანზომილებიან განცდას გვანიჭებს, სამგანზომილებიანი სცენა კი — ორგანზომილებიანისას, ყოველ შემთხვევაში, უალრესად ფრაგმენტულს.

ანალიზის ამ საფეხურზე საჭიროა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ფილმის ტექნიკური სტრუქტურული პირობები, ფოტოგრაფია. ამ უკანასკნელის დამოკიდებულება ფილმის მიმართ ალბათ ისეთივეა, როგორიც თხრობისა რომანის მიმართ და დიალოგური გაფორმებისა დრამის მიმართ. სამივე შემთხვევაში მოცემული ნაწარმოები — ეპიკური, დრამატული თუ ფილმური — ხელოვნების ამ ტექნიკური ხერხების პროდუქტია. მაგრამ, როგორც კი ამ შედარებას შევუდგებით, მაშინვე შევამჩნევთ ან ვიგრძნობთ, რომ ყველაფერი რიგზე არაა. უპირველეს ყოვლისა, ფოტოგრაფია ხომ, როგორც ასეთი, განსხვავდება ორი დანარჩენი ლიტერატურული ხერხისაგან. მაგრამ თვით ეს კონსტატაციაც არაა მთლიანად სწორი. მთლიანად სწორი არ არის ფილმთან მიმართებაში ფოტოგრაფიული ტექნიკის გამოყოფა ლიტერატურულისაგან. ლიტერატურული, ე. ი. ეპიკური და დრამატული ტექნიკა არის სიტყვა, ენა, და ფოტოგრაფიული ტექნიკა, როგორც ასეთი, ენობრივი კი არაა, არამედ სახვითი. მაგრამ ფილმი მაინც არ ეკუთვნის სახვით ხელოვნებას, როგორც ფოტოგრაფია, არამედ ლიტერატურულს. ფოტოგრაფია, როგორც ხელოვნება, შეიძლება შევადაროთ მხატვრობას, და ისინი შედარებულია კიდევაც (სულ ერთია, პოზიტიური თუ ნეგატიური შეფასების მნიშვნელობით). ფილმის შედარება კი მხატვრობასთან არ შეიძლება, არამედ მხოლოდ ეპოსისა და დრამის ლიტერატურულ ხელოვნებასთან. თუ ვიკითხავთ რატომ, კვლავ პარადოქსულ ფენომენს წავაწყდებით, რომლის მიზეზი ტექნიკური ხასიათისაა. ლიტერატურულ ხელოვნებებთან ფოტოგრაფიული სურათის შედარება კი არ არის შესაძლებელი, არამედ ამას შესაძლებელს ხდის მოძრავი ფოტოგრაფიული სურათი. მაგრამ რა აქვს საერთო თვით ამოძრავებულ ფოტოგრაფიულ სურათს ლიტერატურასთან? როცა ამ კითხვას ვსვამთ, ცხადია, ჩვენი ყურადღება ეპოსისა და დრამის გამოსახვის საშუალებას, თვით ენას კი აღარ უნდა მივაპყროთ, არამედ იმას, რაც მისი მეშვეობით იქმნება, წარმოსდგება: ადამიანთა ცხოვრებას, მოქმედ პირებს და დავუკვირდეთ: ტექნიკურად ემსახველი სურათი, ფოტოგრაფია, რომელიც სულ დიდი, მხატვრობას თუ შეედრებოდა და კონკურენციასაც კი გაუწევდა მას, ვიდრე უძრავი საგნებისა და ადამიანების ფოტოგრაფირების ძალა შესწევდა, კიდევ უფრო მაღალი ხარისხის კონკურენციაში შევიდა ლიტერატურული ხელოვნების სფეროსთან, როცა ამოძრავებული საგნებისა და ადამიანების ფოტოგრაფირების უნარი შეიძინა. რადგან ამით იგი დაეუფლა, თუნდაც იმიტაციით, საზოგადოდ ცხოვრების ერთ-ერთ საიდუმლოებას — მოძრაობას, და ლიტერატურულ ხელოვნებათა მსგავსად ადამიანური ცხოვრების ილუზიის, ფიქციის შექმნა შეიძლო.

მაგრამ ამით ჯერ კიდევ არაა გაცემული პასუხი კითხვაზე, თუ რას განვიცდით ჩვენ ფილმის მაყურებლის როლში. ამ კითხვას ვერ ვუპასუხებთ უბრალოდ იმით, რომ ჩვენ სწორედ ფილმს ვუყურებთ. ეს პასუხი არაა ისეთი ერთმნიშვნელოვანი, როგორც, მაგალითად, შეგვეძლო გვეთქვა, ჩვენ ვკითხულობთ რომანს,

ვუყურებთ ან ვკითხულობთ დრამას. არც რომანი და არც დრამა, როგორც ლიტერატურული ფორმები, არ საჭიროებენ სხვა ლიტერატურული ფორმებით განმარტებას. რომანი არის რომანი, დრამა არის დრამა და ჩვენ ვიცით რა მიზეზებზეა ეს უშუალოდ დამოკიდებული. მაგრამ როცა ფილმს ვუყურებთ, შეიძლება ვიკითხოთ, რომანს ვუყურებთ თუ დრამას, ე. ი. მისი ლიტერატურული სტრუქტურის გასაშუქებლად სხვა ლიტერატურული ფორმები, სწორედ რომანისა და დრამის ფორმები გვესაჭიროება. ამით უკვე ვუახლოვდებით კინომაყურებლის სიტუაციის ანალიზს. სწორედ ეს არის, როგორც უკვე ვთქვით, მაყურებლის სიტუაცია. ჩვენ ვხედავთ და გვესმის. მაგრამ ახლა თავს იჩენს ერთი თავისებურება — ჩვენ ერთდროულად რომანის მკითხველის სიტუაციაშიც ვიმყოფებით — იმდენად, რამდენადაც ამჯერად რომანის ცნებაზე გავამახვილებთ ყურადღებას და არა მკითხველისაზე. რადგან ყველაფერს, რასაც ფილმში ვხედავთ, თეატრის სცენაზე ვერ ვნახავთ, მაგრამ რომანში კი წავიკითხავთ. როცა, მაგალითად, შორს, ჰორიზონტზე მზე ნელა ეშვება ზღვაში, როცა წყვილები ფართო დარბაზებში ცეკვავენ, თოვლის ფანტელები ერთმანეთში ირევიან და ტოტებსა და მოაჯირებზე ეცემიან — ჩვენ ვხედავთ რაღაცას, მაგრამ ვხედავთ რაღაცას, რაც მოთხრობილია. ამოძრავებულ სურათს თხრობის ფუნქცია ახასიათებს. ესაა იმისი მიზეზი, რომ ფილმში შეგვიძლია ვიხილოთ მხოლოდ გარემო მოქმედი პირების გარეშე, თეატრის სცენის მოქმედ პირთა გარეშე ჩვენება კი არ შეიძლება, რადგან სცენას არ გააჩნია დამოუკიდებელი ფუნქცია იმ ნაწარმოების ფარგლებში, რომელიც მასზე თამაშდება. იგი არ ეკუთვნის თვით პიესას, არ არის დრამატული ნაწარმოების ნაწილი. მაგრამ რასაც ჩვენ ფილმში ვხედავთ, ისევე უკლებლივ ეკუთვნის მას, როგორც ყოველივე ის, რასაც რომანში ვკითხულობთ — რომანს ეკუთვნის. ამოძრავებული სურათი, რომელიც თხრობის ფუნქციას იძენს, ფილმს უფრო ეპიკურ ფიქციასთან აახლოვებს, ვიდრე დრამატულთან. ფილმის ცქერისას ჩვენ მონათხრობს ვხედავთ, ვხედავთ რომანს.

მაგრამ არის კი ეს განსაზღვრა მთლიანად სწორი? ხომ არ ვხედავთ ფილმის ცქერისას და იქნებ პირველ რიგში, დრამასაც, თეატრალურ პიესასაც? იქნებ გავრცობილ დრამას, რომელიც ამოძრავებულია, სურათის თხრობითი ფაქტორის გამოა გავრცობილი? ჩვენ აქ ხომ იმასაც ვხედავთ, რასაც რომანის კითხვისას არ განვიცდით, ვერ ვხედავთ, სცენაზე კი განვიცდით და ვხედავთ მოლაპარაკე და მოქმედ მსახიობებს, დრამატულ პერსონაჟებს. მას შემდეგ, რაც ხმოვანი ფილმი არსებობს, თითქოს მისი სწორედ ეს დრამატული ასპექტი გამოიკვეთა განსაკუთრებით მკაფიოდ და სწორედ მას შერე ფილმის ხელოვნება ფართოდ იყენებს არსებულ დრამატულ ლიტერატურას: შექსპირის „ჰამლეტი“, „იულიუს კეისარი“, „ზაფხულის ღამის სიზმარი“, სტრინდბერგის „ფროილაინ ჯული“ და მსოფლიო ლიტერატურის სხვა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი დრამები ფილმებად იქნა გადაღებული. ხმოვან ფილმში მთხრობელი სურათი თითქოს მართლაცდა მხოლოდ გავრცობილი სცენის ფუნქციას ასრულებს და ილუზიის ძალით საეკეთესოდ აუმჯობესებს მის ფრაგმენტულ შეზღუდულობასა და კულისურ ზემოქმედებას, მის არაბუნებრივ სივრცულ ზემოქმედებას ცვლის ბუნებრივით, რისი

წარმოქმნაც ძალუძს ამოძრავებულ სურათს. მაგრამ სწორედ ამაში იმალება ფილმის ნამდვილი თეორიული პრობლემა. აქ თავს იჩენს განსაკუთრებული ფენომენი, და ურთიერთმიმართულება ეპიკურ და დრამატულ ელემენტებს შორის, რომლებიც ფილმის სტრუქტურაში ერთმანეთს ერწყმიან, ურთულეს მოვლენად წარმოგვიდგება, როგორიც კი შეიძლება არსებობდეს ლიტერატურულ ფორმათა სფეროში.

ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, კვლავ ფილმის დრამატულ სტრუქტურულ ელემენტზე გავამახვილებთ ყურადღებას. და რათა თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი გაუგებრობა, კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი, რომ დრამატულ სტრუქტურად ჩვენ გვესმის მხოლოდ და მხოლოდ დრამის წმინდა დიალოგური ფორმა, რომელიც უკანასკნელი მიზეზია იმისა, რომ შესაძლებელია მისი დადგმა. უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთს შევადაროთ ფილმის დრამატული ფორმა და სასცენო პიესის დრამატული ფორმა. ამ დროს ვაწყდებით ფენომენს, რომელიც განსაკუთრებით თვალსაჩინოა უკვე ხსენებული არსებული დრამატული ნაწარმოებების, მაგალითად, „ჰამლეტის“, „იულიუს კეისრის“, „ფროილაინ ჯულისა“ და სხვათა ფილმად დადგმის მაგალითზე. ამ პიესების დამოკიდებულება მათივე ეკრანიზაციის მიმართ სრულიად სხვაგვარია, ვიდრე სცენის მიმართ — მაშინაც კი, როცა ფილმი უცვლელად ინარჩუნებს ამ დრამების ტექსტს. სიმპტომი ამ მოვლენისა, რომელიც უფრო დაწვრილებით უნდა აღიწეროს, არის ის ფაქტი, რომ თეატრის სცენა არავითარ გავლენას არ ახდენს ამ ნაწარმოებთა ლიტერატურულ არსებობაზე (და ლიტერატურულ ღირებულებაზე). ისინი არსებობენ იმისგან დამოუკიდებლად, დაიდგმებიან თუ არა სცენაზე, კარგად დაიდგმებიან თუ ცუდად, შექსპირის თეატრის სცენაზე დაიდგმებიან, რაინჰარდტისა თუ ჰისკატორის. მათი ფორმა, რომელიც პოეტმა შექმნა, შეულახავი და აუმღვრეველი იქნება და ყოველ ეპოქაში გაცოცხლების უნარი შესწევს — ყველასათვის, ვინც მას კვლავ განიცდის წაკითხვითა თუ ნახვით. ეს ნაწარმოებები არსებობენ, ისინი მარადიულნი არიან, მათ ავტორთა შემოქმედებაში დაცულნი. ფილმები კი — „ჰამლეტი“, „იულიუს კეისარი“, „ფროილაინ ჯული“ — ეკრანის გარეშე არ არსებობენ. ისინი კი არ არიან, არამედ ისინი იყვნენ, როცა დადგეს და მხოლოდ მაშინ იქნებიან კვლავ, როცა კვლავ დადგამენ. მიუხედავად მათი უცვლელი დრამატული ტექსტისა, ისინი არ არსებობენ დამოუკიდებელი, სიცოცხლისუნარიანი შემოქმედების სახით, არამედ მხოლოდ სცენარის სახით, რომელსაც ფილმის მთლიანობაში არავითარი საკუთრივი მნიშვნელობა არ გააჩნია და მხოლოდ ერთ-ერთ ფუნქციას შეადგენს საფილმო ხელოვნების სხვა ფუნქციებს შორის. ორიგინალური ტექსტების შენარჩუნების მიუხედავად ეს ნაწარმოებები მათი სცენარად გარდაქმნის გამო იცვლებიან, ნადგურდებიან, როგორც ნაწარმოებები. ფილმებად გარდაქმნილნი, ისინი უკვე აღარ არიან შექსპირისა თუ სტრინდბერგის. მათ ცვლილებას იწვევს, ის, რომ მათი აუტოხთონური დრამატული ფორმა ეპიკურ ელემენტს დაუკავშირდა, რომელიც ამ ფორმას არ ეკუთვნის. მაგალითად, ფილმ „ჰამლეტის“ გარემო უკვე უბრალოდ სცენის სახით კი აღარ ფუნქციონირებს, რომელზეც დრამატული ნაწარმოები თამაშდება, არამედ

ფილმური ნაწარმოების — ჰამლეტის ნაწილია, ზუსტად ისევე, როგორც ეს ეპიკურ ნაწარმოებში შეიძლებოდა ყოფილიყო მოთხრობილი. დრამას ეკრანიზაციით იგივე ემართება, რაც ეპიკურ ნაწარმოებად გარდაქმნით მოუვიდოდა. და ეს პროცესი მხოლოდ წარმოდგენილ გარემოს კი არ ეხება, არამედ ფილმურ სახეებს, მსახიობებსაც მოიცავს. ისინი დრამატული სახეებისაგან განსხვავებით, მხოლოდ მეტყველებით კი არ წარმოადგენენ თავს, არამედ მრავალმხრივ არიან დახასიათებულნი. მაგალითად, შექსპირის დრამაში და ამდენად არც სცენაზე, არ არის ნაჩვენები მკვდარი ოფელია ტბაში, არამედ ამ ამბავს მხოლოდ დედოფალი გადასცემს ლაერტს. ფილმ „ჰამლეტში" კი ვიხილეთ წყალში მოტივტივე, ტოტებითა და ყვავილებით გარშემორტყმული ოფელია — და ეს იყო უკვე არა დრამატული, შექსპირული სახე, არამედ მოთხრობილი, ეპიკური ფიგურა. როგორც ეპიკურ ფიგურას, მას კანონიერი ლიტერატურული არსებობის უფლება აქვს წყალში მოტივტივე გვამის სახით, როგორც დრამატულ ფიგურას კი — არა. აი, მაგალითი, რომელზეც განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს, თუ როგორ გადავყავართ ამოძრავებულ სურათს, ფოტოგრაფიას, რომელიც თავისთავად, ასე ვთქვათ, შემეცნების თეორიის თვალსაზრისით, სახვით ხელოვნებას ეკუთვნის, ლიტერატურულ სფეროში: ნახატს — და ამ ნახატის ფოტოგრაფიას — რომელზეც გამოსახულია ოფელია ტბაში, არავითარი მიმართება არ აქვს ლიტერატურულ სფეროსთან (თუ იგი წიგნის ილუსტრაციად არაა გამოყენებული, რასაც, ცხადია, ჩვენს პრობლემასთან არაფერი აქვს საერთო).

ამრიგად, ჩვენ იმ წერტილს მივადექით, როცა უფრო დაწვრილებით უნდა გამოვიკვლიოთ ფილმის პრობლემის ეპიკური მხარე, დავუკვირდეთ, მთლიანად სწორია თუ არა, რომ ფილმური ფიგურა ეპიკური ფორმით არსებობს და არა დრამატულით. უფრო ფართოდ ეს საკითხი ასე წარმოგვიდგება: თუ კი სწორია, რომ ეკრანიზაციით დრამის ეპიზაცია ხდება, ისე, რომ მიუხედავად მოლაპარაკე მსახიობებისა რომანს ვხედავთ, მაშინ სწორია თუ არა ისიც, რომ ფილმური რომანის სტრუქტურა ისეთივეა, როგორიც მოთხრობილისა? ე. ი. თუ კი დრამა ეკრანიზაციის შედეგად ეპიზაციას განიცდის, მაშინ ეკრანიზებული რომანი ნამდვილ რომანად რჩება?

უეჭველია, შემთხვევითი არაა, რომ ფილმის შემქმნელები რომანების ეკრანიზაციას არჩევენ ხოლმე. რომანი ფილმს უკეთეს საფუძველს სთავაზობს, ვიდრე დრამა. რადგან მას ფართოდ შეუძლია მიჰყვეს რომანის აღწერილობას და სურათში აჩვენოს იგი. ფილმის სურათი თხრობის ფუნქციის როლს ასრულებს, მასავით მოცემული მოთხრობილი სამყაროს ტოტალური სურათი შეუძლია შექმნას. შეუძლია მასავით მთლიანობაში გააერთიანოს დეტალები: ოთახის კუთხე, არ ვიცით როგორ, ოთახად იქცევა, ოთახი სახლად, სახლი ქუჩად, ქუჩა ქალაქად და ა. შ. ფილმის სურათს თხრობითი ფუნქციის მსგავსად შეუძლია გვაჩვენოს არა მარტო უსულო საგნები, არამედ მდუმარე პერსონაჟები — ხეტიალის, ფიქრის თუ ჩუმი საქმიანობის პროცესში. სახის გამომეტყველება სრულიად სხვაგვარ დამოუკიდებელ ფუნქციას იძენს, ვიდრე სცენაზე — ის უკვე აღარ არის მხოლოდ მეტყველების თანმხლები მიმიკა, როგორც იქ. ჟე-

სტები, გამომეტყველება, ცრემლები, ღიმილი — თავისთავად ლაპარაკობენ და ხშირად უფრო მკაფიოდ, ვიდრე წარმოთქმული სიტყვა. დიახ, ცხადია, ნანახი ღიმილი აღემატება ენობრივად აღწერილს, მხოლოდ წარმოდგენილს, თავისი მრავლისმთქმელობის, თვალსაჩინოების ძალით. და ჩვენ ველარ ვამჩნევთ განსხვავებას, რა არის ნათქვამი და რა — სურათით მოთხრობილი. სურათის ფუნქცია მიედინება, მოგვითხრობს სივრცეს, სხეულს, მეტყველებას, როგორც ეს ეპიკური თხრობის ფუნქციით ხდება. მასავით მოგვითხრობს მოგონებას, ოცნებას. ფანტაზიას: მოქმედების ახლა და აქ განზომილებებიდან გადავყავართ „უკან", გვანახებს რომანის პერსონაჟთა წარსულს — ფილმის ეს საყვარელი ხერხი განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოაჩენს სურათის ფუნქციის გატოლებას თხრობის ფუნქციასთან. მოკლედ, ფილმის თხრობითი ძალა იმდენად დიდია, რომ მისი ლიტერატურული კლასიფიკაციისათვის ეპიკური ფაქტორი უფრო გადამწყვეტი ჩანს, ვიდრე დრამატული.

მაგრამ კვლავ შევჩერდეთ და კიდევ ერთხელ ვიკითხოთ, სწორია თუ არა ყოველივე ეს. ეპიკური და დრამატული საწყისების ურთიერთმიმართება ფილმში ხელახლა რთულდება და ჯერ კიდევ არ არის გაცემული დამაკმაყოფილებელი პასუხი კითხვაზე, დრამას ვუყურებთ თუ რომანს, როცა კინოში ვსხედვართ. სირთულე, რომელიც აქ იჩენს თავს, უაღრესად თავისებური ხასიათისაა. მის ამოსახსნელად კვლავ ამოძრავებული სურათის ფენომენს უნდა მივუბრუნდეთ. როგორც შევეცადეთ გვეჩვენებინა, ამოძრავებული სურათია მიზეზი იმისა, რომ ფილმის ფენომენალური ადგილი (რომელიც თავისთავად ფოტოგრაფიის პროდუქტია) სახვითი ხელოვნების სფეროში კი არ არის, არამედ ლიტერატურულისა, და სწორედ ამოძრავებული სურათის სახით ასრულებს ფილმური სურათი თხრობითი მხატვრული შემოქმედების თხრობის ფუნქციას. ამოძრავებული სურათი მთხრობელია და იგი თითქოს ფილმს ეპიკურ ფორმად აყალიბებს და არა დრამატულად. ეკრანიზებული დრამა ეპიზაციას განიცდის. ახლა კი იმ საზღვარს მივადექით, როცა უნდა გადავიდეთ ფილმური თხრობის შედარებაზე ნამდვილ ეპიკურ თხრობასთან. ეს საზღვარი კი იმაში მდგომარეობს, რომ სურათი, თუნდაც ამოძრავებული, ჯერ ისევ სურათია. როგორც სურათი, ფილმური სურათი ჩერდება ამ საზღვრის წინ, რომლის მიღმა იწყება წარმოდგენის, მიმართებითი აზროვნების სფერო. ამიტომაც ფილმური სურათის, როგორც სურათის, თვისებაა მიზეზი იმისა, რომ ეკრანიზებული რომანი არსებითად კვლავ დრამის სტრუქტურაზე, უფრო ზუსტად, თეატრალური პიესის სტრუქტურაზეა დაყვანილი, რომ ეკრანიზებულ რომანს დრამატიზირებულად განვიცდით. რას ნიშნავს ფილმური სურათის სურათობა? რა საფუძველზე აყალიბებს იგი ფილმის დრამატულ სტრუქტურულ ელემენტს? ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ფილმს, ისევე როგორც თეატრალურ პიესას, მხოლოდ აღქმით, ხედვით, სმენით ვღებულობთ.[92]

ეს ფაქტი მრავალგვარად იჩენს თავს. პირველ რიგში ფილმურ სახეებზე შევჩერდეთ. ისინი თავისი ეპიკურობით შემდეგნაირად არიან შეზღუდულნი: მართალია, ჩვენ შეგვიძლია ისინი ვიხილოთ ფილმში მდუმარენი, ჟესტებითა და გამომეტყველებით „მოლაპარაკენი" დროის განუსაზღვრელი მონაკვეთის მან-

ძილზე, მაგრამ ფილმური სახეებიდან ისევე ნაკლებად შეგვიძლია შევიტყოთ, თუ რას ფიქრობს და რას გრძნობს იგი დუმილის დროს, როგორც დრამატულიდან. რომანში კი ეს შეგვიძლია შევიტყოთ; რომანი ხომ, როგორც დაწვრილებით აღვწერეთ, ერთადერთი ადგილია, საერთოდ ენის სისტემაში, სადაც შესაძლებელია ადამიანთა შინაგანი ცხოვრების, მათი უსიტყვო ფიქრისა და გრძნობის წარმოდგენა. ლიტერატურაში დრამატული და ფილმური ფორმა ის ფორმაა, რომელიც ადამიანს სინამდვილის ფორმით წარმოადგენს, ისე, როგორც ჩვენ ვცხოვრობთ და როგორც თანაარსებობენ ჩვენთან ადამიანები: ზეპირად თუ წერილობით გამოთქმული სიტყვის ურთიერთგაზიარების ფორმით. მხოლოდ რომანს, მხატვრული ლიტერატურის თხრობით სახეს ძალუძს წარმოადგინოს ადამიანი იმ ფორმით, რომელიც არაა დაკავშირებული გამოთქმულ გაზიარებასთან, სმენად აღქმასთან და მის მიერ ფრაგმენტულად არაა შეზღუდული.

მაგრამ ამოძრავებული სურათის თხრობითი ფუნქცია სხვა მხრივაცაა შეზღუდული თავისი ფიზიკური განპირობებულობით, აღქმადობის მოდუსით. და ეს ეხება არა მარტო ადამიანების წარმოდგენას, არამედ თვით საგნობრივ სამყაროსაც. აი, მაგალითიც:

ამენჰოტეპი — ნებმარეს ქვრივი, ზუსტად მის პირდაპირ იყო დაბრძანებული მაღალ სავარძლიან ტახტზე, სინათლისკენ ზურგშექცეული, დალალი, თაღებიანი შუა ფანჯრის წინ, ისე რომ მისი ისედაც ბრინჯაოსფერი, სამოსთან კონტრასტული სახის კანი ჩრდილის გამო კიდევ უფრო მუქი ჩანდა.

ეს უაღრესად ხატოვანი სცენა თომას მანის იოსების რომანიდან თავისუფლად შეიძლება ფერადი ფილმის შთამბეჭდავ სურათად მივიღოთ. მაგრამ ეპიკურად აგებული სცენა მაინც სხვა განცდას გვანიჭებს, ვიდრე სურათად ხილული. ფაქტორი, რომელიც რომანის სცენას ერთვის, მიმართებით ინტერპრეტატორულია. თხრობის ინტერპრეტაცია აქ უაღრესად ობიექტური საშუალებებითაა შემოფარგლული, ყოველგვარი მეტაფორიკისა და სხვა აღწერილობათა გარეშე. ფარული შედარებითი აღწერის მეშვეობით — „ისედაც ბრინჯაოსფერი, ჩრდილის გამო კიდევ უფრო მუქი" — ეგვიპტის დედოფლის, ტეიეს მხოლოდ გარეგნობაც კი მოწყვეტილია მომენტალურ სიტუაციას და შექმნილია მისი ტოტალური სურათი. დიახ, თვით სიტუაცია სურათისათვის დამახასიათებელი მდგრადობით კი არ გვევლინება, არამედ თავისი რამდენადმე მიზეზობრივი სტრუქტურით და ის ხდება იმგვარად, რომ საგანთა წმინდა მატერიალური აღნიშვნაც — „სინათლისაკენ ზურგშექცეული, ღრმად ჩაჭრილი თაღებიანი ფანჯრები" — ამრიგად გათვალსაჩინოებული გარემოს წარმოდგენას მართავენ. ეს თვალსაჩინოება ხომ ინტერპრეტაციის გზითაა მიღწეული. ფილმური სურათის ამგვარ თვალსაჩინოებას და საერთოდ თვალსაჩინოებას, მოკლებული იქნებოდა. გათვალსაჩინოება ხომ მხოლოდ იმისი ხდება, რასაც ვერ ვხედავთ. ეს კი ჩვენს მაგალითებში ნიშნავს, რომ ფილმში რომანის აღწერისათვის დამახასიათებელი სიმდიდრე არ გამოჩნდებოდა: რომ, მაგალითად, სახის მოჩრდილვა მის ზურგსუკანა ფანჯრისთვის მიგვეწერა, თუნდაც ის, რომ ეს ფანჯარა ღრმად ჩაჭრილია. მაყურებლის ცქერას ვერ ვმართავთ, თვით მასზეა მინდობილი, დაამყა-

რებს თუ არა იგი კავშირს სახის მოჩრდილვასა და ზურგსუკანა ფანჯარას შორის.

ამრიგად, ჩვენ შევეხეთ იმ წერტილს, რომელშიც, საგნების უბრალო აღწერის სფეროშიც კი, ეპიკური და ფილმური თხრობითი ფუნქცია პრინციპულად იყოფიან და თითოეული მათგანი იმ მიზანს ესწრაფვის, რომელიც მათი საკუთარი შესაძლებლობებითაა განპირობებული, ან რომელიც მათთვის შეიძლება პრინციპიალური იყოს. ეპიკური თხრობითი ფუნქცია, როგორც ჩვენ შევეცადეთ დაწვრილებით გვეჩვენებინა, ფიქციურ სამყაროს ინტერპრეტაციის გზით ქმნის, იგი ცოცხლობს და „არს" განმმარტებელი სიტყვის მეშვეობით, რომელიც აგებს მას დაწყებული საგანთა უმარტივესი მატერიალური აღწერიდან — რომანის სამყაროსა და მოქმედების ყოველგვარი და ყველანაირი ხარისხის აზრობრივ ინტერპრეტაციამდე. სწორედ ამგვარი სახით ღებულობს მას მკითხველი, იმეცნებს და განიცდის. ფილმური თხრობა კი, რაც უნდა განმარტებითი ფუნქცია არ მიანიჭოს მას რეჟისორმა, მხოლოდ გვიჩვენებს. რამეთუ ამგვარი განმარტება არაა ცნებითად განმტკიცებული, არამედ — როგორც ბუნებრივი სინამდვილის საგნები — აღქმაზეა გადაბარებული; ფილმური სურათის განცდა, ისევე როგორც ბუნებრივი სინამდვილისა, ცალკეულ მაყურებელზე, მის ინდივიდუალურ განცდაზეა მინდობილი.

ახლა ჩვენ შეგვიძლია ზუსტად განვსაზღვროთ ფილმის მიმართება ეპიკურ და დრამატულ მხატვრულ შემოქმედებასთან. ამოძრავებული სურათი არის იმის მიზეზი, რომ ფილმი ერთი მხრივ ეპიზირებული დრამატურგიაა, მეორე მხრივ კი დრამატიზირებული ეპოსი. ფილმური ფოტოგრაფიის მოძრაობის ფაქტორი მას თხრობით ფუნქციად აქცევს, რაც მსახიობსაც მნიშვნელოვანწილად ეპიკურ ფიგურად გარდაქმნის. მაგრამ ფოტოგრაფიის სურათობის ფაქტორი ფილმში ადამიანის სახის შექმნას დრამატული, ე. ი. დიალოგური ფორმით ფარგლავს და ამასთანავე საგნობრივი სამყაროს აღწერას მისი მიზეზობრივი სტრუქტურისაგან ძარცვავს. დრამატურგია და ეპოსი ფილმში ეპიზირებული დრამატურგიისა და დრამატიზირებული ეპოსის განსაკუთრებულ ფორმად ერწყმიან ერთურთს და ორივე ერთად — ქმნის მთლიანობას, რომელშიც თითოეული ფაქტორი განსაკუთრებულად, მაგრამ სტრუქტურულ-გნოსეოლოგიური თვალსაზრისით ზუსტად დასაბუთებულად, ერთდროულად გავრცობილიცაა და შეზღუდულიც.

თვალი გადავავლოთ, რაც ამ თავშია მოცემული და საბოლოო დასკვნის სახით კიდევ ერთხელ დავაკვირდეთ ლიტერატურული ფიქციის, ფიქციური გვარის ლოგიკურ სტრუქტურას. ენის სისტემითაა განპირობებული, რომ მისი ანალიზი ეპიკური ფიქციით დავიწყეთ და ისიც, რომ მან ამ თავის უდიდესი ნაწილი დაიკავა. ეს არის არა მარტო ლოგიკურად და ენობრივად უმდიდრესი ფიქციური ქმნილება, არამედ იგი ერთადერთია, რომელიც ლიტერატურული ფიქციის ცნების ზუსტად განვითარების შესაძლებლობას გვაძლევს. არა-ნამდვილის, ანუ ფიქციისეული არის არსის გამოვლენა, ფიქციისეული არისა, რომელიც მთხრობელის განცდისეულ არეს კი არ წარმოადგენს, არამედ თხრობითი ფუნქციის პროდუქტია, შესაძლებელი გახდა მხოლოდ ფიქციური თხრობის ფუნქციებისა და თვისებების შედარებით ისტორიული თხრობის, ანუ სინამდვილისეული გამონათქვა-

მის ფუნქციებსა და თვისებებთან, „ეპიკური მე“-ს შედარებით გამონათქვამის ნამდვილ სუბიექტთან. ამრიგად, ფიქციის ყველა ნაწარმოები ზუსტადაა განსაზღვრული იმ გადაულახავი საზღვრით, რომელიც ფიქციურ თხრობას ისტორიულისაგან ჰყოფს. თუმცა დრამატული და ფილმური ფიქციის შემთხვევაში ეს საზღვარი აღარაა თვალხილული, რადგან თხრობითი ფუნქცია მათში შეცვლილია სხვა, აღქმის სფეროსეული ფუნქციებით, იგი, როგორც ლოგიკური კრიტერიუმი, ფიქციის ამ ქმნილებებისთვისაც განმსაზღვრელი და გადამწყვეტია. მაშასადამე, ისტორიული გამონათქვამი, როგორც ეს ყოველი ცალკეული გამოკვლევიდან გამოჩნდა, გამოყენებული იყო კატალიზატორად, იმ ნაწილობრივ ენობრივი და ნაწილობრივ წარმოდგენითი ფუნქციების გამიჯვნისა და განსხვავების მიზნით, რომლებსაც ფიქციის ქმნილებები ქმნიან.

ჩვენ ვფიქრობდით, ამ გზით გვეჩვენებინა და დაგვემტკიცებინა, რომ მოთხრობილი ფიქცია იგივე შემოქმედებით-შექმნილი იმპულსიდან ამოიზრდება, რომლიდანაც დრამატული (როგორც ეს ჯერ კიდევ არისტოტელემ შენიშნა). ეპიკოსი პირველ რიგში ყვება არა თხრობისა გამო, არამედ ადამიანთა ფიქციური სამყაროს შესაქმნელად — და ეს ზიანს არ აყენებს იმ ფაქტს, რომ შექმნილ თხრობით ფუნქციას შეუძლია თითქოს დამოუკიდებლობა მოიპოვოს, ასე ვთქვათ, დაივიწყოს თავისი ფიქციის შემქმნელი ამოცანა. შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ მიუხედავად ამისა, ფიქციის სტრუქტურული კანონი ძალაში რჩება და სწორედ ეს დამოუკიდებლობის მოპოვება უმეტეს შემთხვევაში ჰუმანიტარულ ილუზიას ამყლავნებს.

ამ თვალსაზრისით ფილმური ფიქციაც ლიტერატურული ფიქციის ლოგიკურ სფეროს ეკუთვნის, თუმცა ეპიკური და დრამატული ფიქციების თანაბარუფლებიანი ადგილი არ უკავია. არც ის არ არის განპირობებული ამოძრავებული ფოტოგრაფიის ტექნიკური საშუალებით, რომელიც ნაწილობრივ ცვლის თხრობის ფუნქციას, არამედ მათსავით მიმესისის შემოქმედებითი იმპულსით. ამრიგად, ფიქციის თავის დასკვნის სახით, კიდევ ერთხელ შევეხოთ ჩვენს დაკვირვებას, მხატვრული შემოქმედებისა და სინამდვილის ცნებათშეწყვილების შესახებ, რომელიც შესავალში იყო მოცემული. მხატვრული შემოქმედების ლოგიკის თვალსაზრისს, რაც ამ წიგნის თემას შეადგენს, შეეძლო დაევიწყებინა ჩვენთვის, რომ მიმეტური ნაწარმოებები უფრო მეტია, ვიდრე აზროვნებისა და ენის კანონებით ასე და ასე სტრუქტურირებული ქმნილებანი, სახელდობრ, სწორედ სიტყვიერი მხატვრული შემოქმედება, ხელოვნება. მიმესისი წარმოადგენს ესთეტიკურ კანონს, რომელსაც ისინი ექვემდებარებიან, რომელიც მათ წარმოშობს. მიმესისი ნიშნავს სინამდვილის „მიბაძვას“. ეს არის ანტიკური სიტყვა ფიქციის აღსანიშნავად, როცა იგი ლიტერატურულ ქმნილებაშია გამოყენებული და როგორც მოვიხსენიეთ, უკვე არისტოტელემ დაუკავშირა მას ეს მნიშვნელობა. პოეტიკის თეორიებში მიბაძვის ცნებამ ფრიად ნატურალური შეფერილობა მიიღო, თუ ჩვენ მას ფიქციის, არა-სინამდვილის და ილუზიის მნიშვნელობას დავუკავშირებთ, იგი განივრცობა და ცხადყოფს, რომ მოჩვენებითი სინამდვილე, რომელიც ფიქციური გვარის სხვადასხვა სახეობებში სხვადასხვა გამფორმებელი საშუალებებით იქმნება, სწორედ იმიტომ, რომ ეს ილუზია, არა-სინამდვილეა, სიმბოლოს ყოფიერებით ხა-

სიათდება. თვით სინამდვილე მხოლოდ არის, მაგრამ არ ნიშნავს. მხოლოდ არა-სინამდვილეს შესწევს ძალა, აზრად, მნიშვნელობად გარდაქმნას ნამდვილი.

ფიქციის სიმბოლოობა, როგორც ასეთი, არ შედის სიტყვიერი მხატვრული შემოქმედების ლოგიკის განხილვის ფარგლებში. მაგრამ, თუ რითი განსხვავდება იგი სიტყვიერი მხატვრული შემოქმედების მეორე დიდი გვარის — ლირიკის სიმბოლურობისაგან, მხოლოდ მაშინ გახდება ერთგვარად ცხადი, თუ მხატვრული შემოქმედების ლოგიკური სტრუქტურა არ იქნება დაფარული მხოლოდ ლირიკული ანუ ექზისტენციალური გვარის განხილვის შემდეგ იქნება შესაძლებელი კიდევ რაიმეს თქმა ფიქციური გვარის სიმბოლური ხასიათის შესახებაც.

შენიშვნები

78 G. Müller: Über das Zeitgerüst des Erzählens (Dvjs 24. jg. 1951) და: Erzählzeit und ersählte Zeit. შეად. ჩემი თხზ.: Die Zeitlosigbeit der Dichtung (Dvjs ajg. № 3, 55).

79 ეს ჯერ კიდევ იტალიური რენესანსის თეორეტიკოსმა ტრისინომ შენიშნა, როცა თავის ნაწარმოებში Le sei divisioni della Poetica დროის არისტოტელესეულ განსაზღვრასთან დაკავშირებით ამბობს, რომ იგი უფრო „გრძნობისეულია, ვიდრე ხელოვნებისეული" (ციტატა დ. ფრეის ნაშრომის „Gotik und Renaissance" — მიხედვით, Augsburg, 29, 2000).

80 როგორც ანტიკურ დრამაში, ასევე შუასაუკუნეების მისტერიებში, როგორც დ. ფრეი გვიჩვენებს, მსმენელები მოქმედების მონაწილეებად თვლიდნენ თავს; ანტიკაში ეს ქოროთი იყო წარმოდგენილი, შუასაუკუნეებში — პროცესიის მონაწილეებით. აქედან მომდინარეობს, რომ „მაყურებლის სივრცე და დრო უშუალოდ დრამატული ნაწარმოების ფიქციურ სივრცესა და ფიქციურ დროსთან იყო გათანაბრებული" (213) და დროისა და ადგილის ერთიანობის პრობლემაც არ დგებოდა.

81 შეადარეთ: D. Frey: Zuschauer und Bühne (Kunstwissenschaftliche grundfragen, Wiea).

82 Corneille: Chefs d'Oeuvre II, Paris 1883. გვ. 453.

83 ეს ლოგიკური შეცდომა ჯერ კიდევ ა. ვ. შლეგელმა დაადგინა, რომელიც კორნელის ერთიანობის კანონთან დაკავშირებით ამბობს: „ამ წესის საფუძველი, როგორც მცდარად ფიქრობენ, ილუზიისათვის აუცილებელი დამაჯერებლობაა, რომ თითქოს წარმოდგენილი და ნამდვილი დრო ერთნაირია. თუ ამ ორ დროს შორის ვიგულისხმებთ შუალედს ორიდან 30 საათამდე, ასეთივე უფლებით უფრო შორსაც შეგვიძლია წავიდეთ. ილუზიის ცნებამ ხელოვნების თეორიაში დიდი გაუგებრობები გამოიწვია" (დრამატული ხელოვნებისა და ლიტერატურის შესახებ. მე-9 ლექცია).

84 შდრ. აგრეთვე იუნგჰანსი: დრო დრამაში. ამ წიგნში დრამატული დროის პრობლემა (რომელშიც განასხვავებენ დროის განფენილობას, დროის დაძლევასა და ხანგრძლივობას) მდიდარი მასალის მოშველიებით ამომწურავადაა განხილული, რაც სხვადასხვა კუთხით ადასტურებს აქ მხოლოდ შემეცნების თეორიის თვალსაზრისით განხილული პრობლემის მდგომარეობას.

85 იმ თეორეტიკოსებმა, რომლებმაც აწმყო დრო ლირიკისათვის მოიტოვეს დრამას მომავალი დრო განუკუთვნეს, მაგალითად, კან პოლმა: „დრამა წარმოადგენს მოქმედებას, რომელიც... მომავლისკენაა მიმართული" (Vorschule der Ästh. გვ. 75), და უარ-

ლოგს დროში ს. ლანგერმა: „როგორც ლიტერატურა ფაქტიურად წარსულს ეხება, დრამა კი — მომავალს ქმნის“ (Feeling and Form, გვ 306 f). მართებულია ეულეკისა და ეორენის ირონია ლიტერატურის თეორიის ამა თუ იმ (დროის) მეტაფიზიკოსთა მიმართ, რომლებიც დროის ფორმების დახმარებით ცდილობენ სამი მთავარი გვარის განსაზღვრას, მაგრამ თვით მათ არავითარი წვლილი არ შეაქვთ ამ საკითხის გადაჭრაში (The Theory of Literature N. y., 49-37 f).

86 გოეთე შილერს, XI, 1897.

87 ჰეგელი, ლექციები ესთეტიკის შესახებ, III, გვ. 479.

88 თორნტონ უაიდლერი: The Intent of the artist. გვ. 83 (ციტირებული ს. ლანგერის „Feeling and Form“-ის მიხედვით, გვ. 307).

89 ჩვენ უკვე ვახსენეთ, რომ გოეთემ თხრობის ეს ფრიად ძლიერი პერსონიფიცირება თვითვე შეარბილა (იხ. გვ. 104).

90 შესაძლებელია რეტროსპექტული შედარება მოვახდინოთ თანამედროვე აბსტრაქტულ სცენასა და შექსპირის შიშველ პატარა სცენას შორის. ელიზაბეტანური პოეტიკოსის, ფილიპ სიდნეის კრიტიკული გამონათქვამი: „აი, მოდის სამი ქალი, რომლებიც ყვავილებს კრეფენ და ჩვენ სცენა ბაღად უნდა წარმოვიდგინოთ, შემდეგ იგივე მოედანზე გემის კატასტროფის ამბავი გვესმის და ჩვენი შეცდომაა, თუ ამ დროს ქარიანს ვერ ვხედავთ...“ (The Defence of Poesie 1595, გამოცემული 1898 წ. ე. ფლიუგელის მიერ, ციტირებული დ. ფრეის Gotik-ის მიხედვით) — სწორედ სცენის პრობლემას აშუქებს, რომელიც მხოლოდ „ნიშნავს“ ან სინამდვილის ილუზიას ახდენს. სიდნეი, რომელსაც უკვე რენესანსული ჰიტიან-საგნობრივი ხედვა აქვს შესისხლხორცებული, აბუჩად იგდებს მე-16 საუკუნეში „შექსპირის თეატრის ჯერ კიდევ ცოცხლად შუასაუკუნეებრივ ტრადიციას“. ეს უკანასკნელი კი სიმბოლურის აპერცეპციაში მდგომარეობდა. მაგალითად, სცენაზე მყოფი, მაგრამ არაერთგვაროვნად გაანზრებული მსახიობებს ერთ-ერთ მიზნვა და სიმულტანური დეკორაციების სიერცულ მიმართებებზე სიმბოლური მიმანიშნებლობის აღქმა (ამასთან დაკავშირებით იხ. ე. ფრეი, გოტიკა, 192). უკანასკნელი თვალსაზრისით ასეთივეა აბსტრაქტული სცენა, მაგ. ერვინ პისკატორი.

91 ეს ხერხი არ საჭიროებს შედარებას პირველი პირის ჩარჩოებში მოქცეულ თხრობასთან, რაც ორიერთხელ უცდიათ. თხრობითი მხატვრული ლიტერატურა გაცილებით უფრო შესაფერის ანალოგიებს გვთავაზობს, მაგალითად, თომას მანის „ჯადოსნურ მთაში“ ჰანს კასტორპის ბავშვობის აღწერა თავში — „ემბაზისა და ორსახიანი ბაბუის ამბავი“ უბრალოდ იწყება ასეთი ფრაზით: „ჰანს კასტორპს მშობლიურ სახლზე მხოლოდ მკრთალი მოგონებები შემორჩენოდა. დედ-მამა თითქმის არ ახსოვდა...“ ამ თავში მოგონების თვალსაზრისი არ არის მკაცრად გატარებული, რაც პლუსკუამპერფექტში უნდა ყოფილიყო გადმოცემული; ორამელ მაშინდელი დროის თხრობა იმპერფექტის მეშვეობით ახლა და აქ ხდომილებადაა ფიქციონალიზირებული. მაგრამ ზუსტად ასევე განვიცდით ფილმში წარსულის ამსახველ რეტროსპექტულ სცენებს, როგორც, მაგალითად, მიღალოსტატურ ფილმში „მულენ-რუჟი“, რომელიც ძხატვარ ტულუზ ლოტრეკის ცხოვრებას აგვიწერს.

92 თუ როგორ ხდება დრამის, როგორც ნაწარმოების, თეატრალურ პიესად ჩამოყალიბება, ნაჩვენებია წინა მოხაკეეთში.

ეს საინტერესოა

მის ჰასე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთარგმნელები:
ნინო ციცქიშვილი
ფატმან ძოიავა

ძილი და სიზმარი

წინამდებარე წიგნი შედგენილია მსოფლიოში ცნობილი მედიუმის მის ჰასეს მიერ. ეს ნაშრომი წიგნად თითქმის ერთი საუკუნის უკან, 1912 წელს გამოიცა ვარშავაში რუსულ ენაზე. შემდგომ, 1990 წელს რეპრინტული გამოცემა განხორციელდა მოსკოვში.

ადამიანის ინტერესი შეუცნობელი შეგრძნებებისა თუ ხილვების მიმართ ყოველთვის ძლიერი იყო, ამიტომ მიაწერდნენ სიზმარს წინასწარმეტყველურ თუ ზებუნებრივ თვისებებს.

„ძილი და სიზმარის" კრებულში, რომელშიც ათასზე მეტი სიზმარია „გაშიფრული", შეძლებისდაგვარად არის ახსნილი სიზმრების არსი და განმეორებადი ხილვების მნიშვნელობა...

თვის რიცხვების მიხედვით სიზმრის აცხადების შესაძლებლობა

ეს სიზმართა წიგნი შედგენილია ცნობილი მედიუმისა და სხვათა აზრების წამკითხველის, მისს-ჰასეს მიერ ძველი და უახლესი, მეტნაკლებად სარწმუნო და სანდო წყაროების მიხედვით.

წიგნი სახმარად მოსახერხებელი რომ ყოფილიყო, სიზმრები ანბანზეა გაწყობილი. ყველა სიზმარი არ სრულდება და არც ერთნაირად ცხადდება.

სიზმრის აცხადების შესაძლებლობას განსაზღვრავს თვის რიცხვი, თუ როდის ნახეთ სიზმარი. ყოველი მომდევნო რიცხვი ითვლება ახალი თვიდან.

შემოთავაზებულ ცხრილში საჭიროა იპოვოთ შესაბამისი რიცხვი იმ დროისა, როცა სიზმარი ნახეთ და იქვე, გასწვრივ აღნიშნულია, ასრულდება თუ არა იგი.

დასასრული. დასაწყისი იხილეთ „საუნჯე" № 1-2, 3-4.

თვის დღეები

1 — სიზმარი ამ დღეს ცხადდება ზუსტად და სიგეთეს ეფუძნება.
2 — სიზმარი ცრუა და არაფერს ნიშნავს
3 — სიზმარი სწრაფად აცხადდება
4 — სიზმარი არც ისე ჩქარა აცხადდება
5 — სიზმარი კარგის ნიშანია
6 — სიზმარი კი აცხადდება, მაგრამ მოგვიანებით
7 — ბედნიერი სიზმარია, მაგრამ არ არის საჭირო ვინმეს გაანდო
8 — სიზმარი სურვილის ასრულებას მოასწავებს
9 — სიზმარი ასრულდება, მაგრამ უსიამოვნებასაც ელოდე
10 — სიზმარი სრულდება
11 — სიზმარი 11 დღეში ასრულდება და სიხარულს გპირდება
12 — სიზმარი სწრაფად და კეთილად აგიცხადდება
13 — სიზმარი უსიამოვნებას მოასწავებს
14 — უიღბლო სიზმარია
15 — სიზმარი სწრაფად და ძალიან კარგად აცხადდება
16 — სიზმარი არ ასრულდება და არც არაფერს ნიშნავს
17 — სიზმარი წარმატებას გპირდება და 20 დღეში ახდება
18 — სიზმარი მოგებასა და განახლებას გპირდება
19 — სიზმარი ოჯახურ დავიდარაბას მოასწავებს
20 — სიზმარი სწრაფად აცხადდება
21 — სიზმარი აცხადდება მოგვიანებით, მაგრამ სიმდიდრეს ეწევი
22 — სიზმარი უსიამოვნებას წინასწარმეტყველებს
23 — სიზმარი სწრაფად აგიცხადდება
24 — სიზმარი სასიხარულოა და მალეც ასრულდება
25 — სიზმარი ცრუა
26 — სიზმარი კმაყოფილებასა და გუნებიანობას მოასწავებს
27 — სიზმარი უაზროა, არაფრისმთქმელი და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს
28 — სიზმარი განიშნებს, დაბრკოლება გექნებაო და 30 დღეში აცხადდება
29 — სიზმარი არ აცხადდება
30 — ფანტასტიკური სიზმარია და არც ყოველთვის ცხადდება
31 — სატრფიალო გამარჯვებისა და ტკბობის მომასწავებელი სიზმარია და 15 დღეში აგიხდება

Ლ

ᲚᲐᲒᲐᲓᲐ — წარმატება და დიდება ნახო. სამსახურში დაწინაურდე
ᲚᲐᲒᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐ — მეცნიერებაში დიდ წარმატებას მიაღწიო
ᲚᲐᲛᲒᲐᲥᲘ — ოჯახში ალიაქოთს მოასწავებს
ᲚᲐᲛᲤᲐ ანთებული — საქმეში გამარჯვება მოგიტანოს, ჩამქრალი — შეჭირვებას და ავადმყოფობას ნიშნავს
ᲚᲐᲠᲜᲐᲙᲘ ნახო ყვავილებით — საზოგადოებაში რჩეული ადგილი გელის, ცარიელი — სამწუხარო ამბავი შეიტყო და ახლობელი დაკარგო
ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲐ — ტყუილი, წაგება და უსიამოვნებაა
ᲚᲐᲥᲐ კაბაზე — წყენა და უსიამოვნებაა
ᲚᲐᲥᲘᲐ — ლხინი, ქეიფი და უსიამოვნებებია
ᲚᲐᲥᲘᲡ ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ — მხიარული გზის ნიშანია
ᲚᲐᲤᲔᲢᲘ — ბედნიერი შემთხვევაა
ᲚᲔᲘᲒᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲐᲜᲘ — ოჯახური გარჯილობა და სიღარიბეა
ᲚᲔᲙᲕᲘ — ახალგაზრდა მეგობარი შეიძინო
ᲚᲔᲚᲘ — საქმეში სეირი ნახო
ᲚᲔᲬᲓᲔ ნაირნაირ ნივთებს — საქმეში უსიამოვნება და უიღბლობა გელის
ᲚᲔᲬᲕᲐ — იღბალი, წარმატება, სურვილის ასრულებაა
ᲚᲘᲛᲝᲜᲘ — მჭვუნვარება, შეძრწუნება და დარდიანობაა
ᲚᲘᲠᲐ — პოეზიასა და მუსიკაში წარმატება გხვდეს
ᲚᲝᲒᲘᲜᲘ — სნეულების ნიშანია
ᲚᲝᲙᲝᲙᲘᲜᲐ — საქმეში წარმატებაა
ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ — საამო შეხვედრაა
ᲚᲝᲛᲘ ნახო — დაწინაურდე, პატივი და ჯილდო მოგეგოს
ᲚᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘ — გაჭირვების ნიშანია
ᲚᲝᲠᲘ ᲤᲔᲛᲮᲝᲡᲘ — ბედნიერების ნიშანია, მოგება ნახო ან მემკვიდრეობა მიიღო
ᲚᲝᲪᲕᲐ — სათხოვარი ითხოვო და უარი გეთქვას
ᲚᲝᲪᲕᲐ-ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲐ — სიკეთისა და წყალობის ქმნაა
ᲚᲣᲓᲘ — სასიხარულო შეხვედრაა, ახალი ნაცნობები გაიჩინო
ᲚᲣᲠᲡᲛᲐᲜᲘ დააჭედო — კარგია, საქმეში ხელი მოგემართოს
ᲚᲮᲘᲜᲘ — სამწუხარო ცნობებს, სნეულებას და დასაფლავებას მოასწავებს

Მ

ᲛᲐᲠᲐᲝ ნახო — გარშემომყოფთაგან სიყალბეს, პირმოთნეობას და ღალატს ნიშნავს
ᲛᲐᲗᲠᲐᲮᲘ — სამარცხვინო მოგზაურობა და ოჯახური აყალმაყალია
ᲛᲐᲗᲮᲝᲕᲐᲠᲘ — დიდების, წარმატების, სიმდიდრის ნიშანია
ᲛᲐᲘᲛᲣᲜᲘ — უძლურ მტერს ნიშნავს

ᲛᲐᲙᲐᲠᲝᲜᲘ ნახო ან ჭამო — საქმეში გაიმარჯვო
ᲛᲐᲙᲠᲐᲢᲔᲚᲘ — ოჯახში მატების ნიშანია, მარტოხელისთვის — ცოლქმრობაა
ᲛᲐᲛᲐ ნახო სნეული — მემკვიდრეობა მიიღო, ჯანსაღი — საზრუნავი გაგიმრავლდეს
ᲛᲐᲛᲐᲚᲘ — სასარგებლო ცნობების, სიმშვიდისა და კეთილდღეობის ნიშანია
ᲛᲐᲜᲭᲐᲜᲐ ყოველგვარი — წარმატება ჰპოვო ქარხანასა და ფაბრიკაში
ᲛᲐᲜᲭᲕᲐ — თავყრილობაში მხიარულებას ნიშნავს
ᲛᲐᲠᲒᲐᲚᲘᲢᲘ — მეგობარს დაშორდე
ᲛᲐᲠᲘᲚᲘ — უეცარი შეხვედრა, სატრფიალო თავგადასავალია
ᲛᲐᲠᲯᲐ საფოსტო — მოულოდნელი ამბის შეტყობაა
ᲛᲐᲠᲛᲐᲠᲘᲚᲝᲡ ძეგლი ან ნივთი — დაუმსახურებელი პატივის და თვითმარქვიობის ნიშანია
ᲛᲐᲠᲪᲕᲐᲚᲘ — საქმეში ხელი მოგემართოს, დიდი ჭირნახული მოიგო
ᲛᲐᲠᲬᲧᲕᲘ მოკრიფო და ჭამო — სიხარულია და სიყვარულში გამარჯვებაა
ᲛᲐᲠᲯᲕᲐᲜᲘ ნახო — ბედნიერი შეხვედრაა
ᲛᲐᲠᲮᲣᲚᲝᲒᲓᲔ — ზნეობრივად ამაღლდე
ᲛᲐᲡᲠᲘᲜᲫᲚᲝᲒᲐ გასწიო — გაუთვალისწინებელი ხარჯია, შენ გაგიმასპინძლდნენ — უცაბედი მოგება ნახო
ᲛᲐᲢᲧᲚᲘ — კაი ჯანი და საქმეში გამარჯვება გექნეს
ᲛᲐᲫᲛᲐᲜᲘ — სამიჯნურო პაემანია
ᲛᲐᲚᲐᲠᲝ — განძი იპოვო, უცაბედად გამდიდრდე
ᲛᲐᲨᲐ — აბეზარი მეგობრის ყოლას ნიშნავს
ᲛᲐᲮᲔ — დიდ ხიფათს, სასამართლოს და საქვეყნოდ თავის მოჭრას გიქადის
ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲘ — საფრთხე გელოდეს და თავი დაიცვა
ᲛᲐᲭᲐᲜᲙᲐᲚᲘ — სიცრუეს, ჭორებს, აყალმაყალს გპირდება
ᲛᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲚᲝᲒᲐ — მორჩილების ნიშანია
ᲛᲒᲔᲚᲘ ნახო — მოსისხლე მტერს, უსიამოვნებას, ღალატსა და სიცრუეს შეეყარო
ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘ — მნიშვნელოვანი ამბავი შეიტყო
ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝᲒᲐ სიზმარში — მოგზაურობაა
ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ მდორე — საქმეში წარმატებას ნიშნავს. შფოთიანი ატეხილი — აყალმაყალსა და წინააღმდეგობას
ᲛᲓᲝᲒᲕᲘ ნახო ან ჭამო — სიყვარული გაგიცრუვდეს და ოჯახში აურზაური გექნეს
ᲛᲔᲒᲐᲠᲒᲣᲚᲘ ნახო — დიდი ქონების პატრონი შეიქნები
ᲛᲔᲒᲝᲒᲐᲠᲘ ნახო — გულითადი და სასიამოვნო ბაასია
ᲛᲔᲓᲐᲚᲘ ნახო — შერცხვენა, ავი სახელის დამკვიდრებაა
ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲝᲜᲘ — სამიჯნურო პაემანია
ᲛᲔᲔᲖᲝᲕᲔ — ცილისწამებისა და სიცრუის ნიშანია

მეეტლე ნახო — სარგებლიანი გზაა
მეზღვაური ნახო — ვაჭრობასა და მგზავრობაში ხეირია
მელაკუდა ნახო — იდუმალი მტერი გაიჩენო
მელანი დაგექცეს — წარუმატებლობას ნიშნავს
მელანი იხმარო — მეცნიერებასა და საქმეში წარმატებაა ნახო
მემკვიდრეობა მიიღო — იმედები გაგიქარწყლდეს; დანაკარგი და ზარალი ნახო
მენატრე — სასიყვარულო ინტრიგას ნიშნავს
მუნჯი — შეჭირვებაა, უსიამოვნება და ამაო გარჯაა
მერცხალი — სასიხარულო ცნობას მიიღებ
მერხი ნახო ან იჯდე — ხელსაყრელი ადგილი გეჭიროს
მეუღლე — კარგი ამბავი შეიტყო
მეფე ან დედოფალი ნახო — პატივი მოგეგოს
მეფორნე — უხეშობასა და ცუდმეტყველებას მოასწავებს
მეძებარი ძაღლი ნახო — მტერმა გაწყენინოს
მეწალე მუშაობის დროს ნახო — უეცარი მოგზაურობაა
მეჯვარე იყო სიზმარში — უსიამოვნო და საცოდვილო საქმეში მონაწილეობდე
მეჯლისი — უქონლობის, დროისა და ფულის კარგვას მოასწავებს
მეჯინჯი — კეთილი ამბავია
მზარეული (ქალი) — ცუდმეტყველება და ოჯახური აურზაურია
მზე — ბედნიერი ცხოვრებაა, დაბნელება — უბედურება, დარდიანობაა
მთანი მაღალნი — მძიმე შრომა და საკვალალო ხვედრია
მთვარე — სატრფიალო ხიბლია
მთვარეული — ოჯახური უსიამოვნება გექნეს
მთვრალი ნახო — სულელი მეგობრის ყოლას ნიშნავს, მთვრალი იყო — დანაკარგი, დამცირება და სიღატაკეა
მთქნარება ძილში — საქმიანი და ნაყოფიერი ცხოვრებაა
მილიონერი (უმდიდრესი) — საქმე გქონდეს ხარბ, ბოროტ და ეშმაკ კაცთან
მინდორი ნახო — საქმეში წარმატებაა
მინისტრი — ტყუილი ოცნებაა
მიტროპოლიტი — სიმშვიდე და სიმყუდროვეა
მიცვალებული — კარგი ჯანის, დიდი ხნის სიცოცხლის ნიშაია
მიწა (სიმაღლიდან ჩამოვარდნა) — შერცხვენა, დამცირება, სიღატაკეა
მიწაყრილი ნახო — საქმეში ხელი მოგეცაროს, საფრთხე და გაჭირვება შეგხვდეს, მიწაყრილზე ასვიდე — გაიმარჯვო, ჩამოვარდე — ხიფათი, ზარალი, უბედურება ნახო
მიწისძვეშეთში — დანაკარგს და მიტაცებას მოასწავებს
მიწისძვრა — შორეულ, უცხო მხარეში გადასახლებას მოასწავებს

მიხაკი — წარმატებისა და კმაყოფილების ნიშანია
მკა — საქმეში ხელი მოგემართოს
მკვდარი — უსიამოვნებას მოასწავებს
მკვლელი ნახო — დიდ ხიფათს გადაურჩე
მოახლე — ჭორები და სიცრუეა
მოგზაურობა სიზმარში — დიდი ცვლილებებიც ხელსაყრელი თანამდებობის მილების ნიშანია
მოედანი — ხმაურიანი თავყრილობაა
მოკვდე — ჯანის სიმრთელე და ხანგრძლივი სიცოცხლეა
მოკლა ცხოველი ან მწერი რამე — სინანულს, დარდიანობას და ნაღველს ნიშნავს
მოგაკვდავი ნახო — მოგება გექნეს
მომკელი — წარმატება, იღბალია, დიდ ქონებას დაეპატრონო
მონაზონი ან ბერი ნახო — ცოდვილიანი სიყვარულია
მონასტერი — სიზარმაცე, უქმად ყოფნა და სიღარიბეა
მონეტა ახალი — გარჯილობაა. ძველებური — მოულოდნელი სიმდიდრე ან განძი იპოვო
მორი — მოგებას მიიღებ და ქონებას დაეპატრონები
მორიელი — ძიებას და სამართლის ძებნას ნიშნავს
მოყინულობა — დანაკარგსა და უძლურებას გიქადის
მოსამართლე — სასამართლო პროცესს ნიშნავს
მორევი ნახო — მძიმე შრომაა, გაჭირვება დაგემატოს, სევდა და ნაღველია
მოსწიო სიგარა, ჩიბუხი ან პაპიროსი — საქმეში გამარჯვება ნახო
მოცხარი — უეცარი შეხვედრა, სამიჯნურო თავგადასავალია
მოწყალება გასცე — მოგება ნახო, ითხოვო — დამცირება და სნეულებაა
მოწველო ძროხა ან ცხვარი — კარგია, საქმე სასიკეთოდ მოგიბრუნდეს. ახალი სარფიანი საქმე ნახო
მსახიობი ქალი — ღალატი და შეურაცხყოფა
მსახიობი — პირფერ მეგობარსა და ცრუ ამხანაგს ნიშნავს
მსახური — წვრილმანი დანაკარგია, ტყუილი და უსიამოვნებაა
მსხალი ჭამო — ავადმყოფობაა, ხიდან მოწყვიტო — სიმდიდრეა
მტრედი — მშვიდობა, სიყვარული და ნეტარებაა
მუნდირი — უკანონო შემოსავალს ნიშნავს
მუნდშტუკი — მოულოდნელობაა
მურაბა მოხარშო — საყვარელ საქმეში წარმატება გხვდეს, ჭამო — სიყვარულში გაგიმართლოს
მურით დაისვარო — დამცირების ნიშანია, თავის მომჭრელ საიდუმლოს ფარდა აეხადოს
მუსიკას უსმენდე ან უკრავდე — წარმატებას, სიხარულს და მშვიდობას მოგიტანს

მუსიკა — პატიოსანი, მაგრამ უსარგებლო საქმით გატაცებაა
მუსიკალური ინსტრუმენტი — უსარგებლო ქონებაა
მუშაგმა — უეცარი და მძიმე სენი შეგეყაროს
მუწუკი — უცებ დიდი მოგება ნახო
მუხა ნახო გაფურჩქნილი — სიმდიდრეს და საამო ცხოვრებას ნიშნავს, გამხმარი — სევდა, სიღარიბე, ავადმყოფობაა
მუხლუხო ნახო — ცრუ მეგობართა ღალატია
მღვდელი ნახო — ფილოსოფიურ ბაასს ნიშნავს
მცენარე — მოგებას და სიხარულს მოგიტანს
მძივი მარგალიტისა — სევდის ნიშანია
მძივი ააგო რომელიმე ან მარჯნისა — სიღარიბისა და იმედგაცრუების ნიშანია
მძარცველი ნახო — შინაური ქურდი დაიჭირო
მწერი ნახო რომელიმე — ზრუნვა და ურვა გაგიმრავლდეს
მწვერვალზე ავიდე — დაბრკოლება გადალახო და გაბედნიერდე
მწყემსი ნახო — საქმეში წარმატება გხვდეს, ოჯახში — მშვიდობა
მწყობრად სვლა — გარჯა, ცოდვილობა, დარდიანობა და მორჩილებაა
მხატვარი — სანახაობაა, ლამაზ სანახებში მოხვდე
მხიარულება (დიდი მხიარული თავყრილობა) — იმედის გაცრუების და სევდის ნიშანია
მხიარული ხალხი ნახო — გიხაროდეს და მატება მოგეცეს
მხუთრი — დანაშაულებრივ გატაცებას ნიშნავს

ნ

ნაღარა მოგესმას — დიდ ისტორიულ ძვრებსა და სიახლეებს ელოდო
ნაგდის ჩექმა ნახო — მყუდრო კერა და კეთილი საქმეები გელოდეს
ნაგებობა — გადასახლება, სიმდიდრე, საქმეებსა და ვაჭრობაში წარმატებაა
ნადირი სხვადასხვანაირი — ცუდ წრეში მოხვდე და ხიფათს ელოდო
ნადირობა ნახო — ბოროტ კაცს შეხვდე
ნავსაყუდელი — კეთილ გზას მოასწავებს
ნავი თუ გადაბრუნდა — დიდი ხიფათი და სნეულებაა
ნავი, ცარიელი ნახო — სევდიანი მარტოობაა, მარტო იჯდე — ახლო მეგობარი დაკარგო, ორნი ისხდეთ — ბედნიერი ცოლქმრობაა, ნაპირს მიადგე — წარმატება და კეთილდღეობაა. ნავიდან წყალში გადავარდე — დიდი უბედურება გეწიოს ან უეცრად მოკვდე
ნაქადული — სასიხარულო ამბავი შეიტყო

ნაკვერცხალი — მტერს თავი დააღწიო, უეცრად გამდიდრდე
ნალი — დიდი მოგება და წარმატებაა ყველაფერში
ნამწვი — ოჯახური აურზაურის ნიშანია
ნავირი ნახო — საწადელი აგისრულდეს
ნავოგი შეშა — საცხოვრებლის შეცვლა, გზას მოლოდინია
ნაყენი დალიო ან სხვას დაალევინო — ცუდი, ხარალი და უსიამოვნება შეგხვდეს
ნაყინი — სწრაფწარმავალი მიჯნურობაა ან კბილის ტკივილი
ნაყოფი სხვადასხვაგვარი — ხელსაყრელი და საპატიო დავალების ნიშანია
ნაძვი მწვანე ნახო — ჭირნახული გაგიმრავლდეს და სარგებელი გექნეს
ნაწნავი დაწნა — სატრფიალო გატაცება და სიხარულია
ნაჯახი — სილარიბე, მძიმე და უშედეგო გარჯაა
ნახირი ძოვდეს — კეთილდღეობა და წარმატებაა
ნეკნები ნახო — ოჯახში მატება გექნეს
ნემსი — მეგობარი მტრად გექცეს
ნესვი — კეთილდღეობის ნიშანია, სარგებელი ნახო
ნეხვი ნახო — მოგება ან მემკვიდრეობა მიიღო
ნიგოზი — ქონება მოიგო ან მემკვიდრეობით მიიღო
ნიმფა — იღუმალი ტრფიალის ნიშანია
ნიშარა — საქმეში ხეირი ნახო
ნიღაბი ნახო — ახლობელი ქალისგან ფარისევლობას და ორიპრობას ელოდე
ნიჩაბი — გზას მოულოდნელად დაადგე
ნიჩბის მოსმა — იღბლიანი შრომა და ბედნიერებაა
ნომრები და ციფრები — სიდუხჭირესა და დავიდარაბას ნიშნავს
ნოტარიუსი — სარფიანი გარიგებაა
ნუში, ტკბილი — წარმატება და კეთილდღეობაა, მწარე — იმედი გაგიტრუვდეს და სევდამ შეგიპყროს

ო

ოგობა — მუხთალი მტერია, თუ მოკალი — გამარჯვებაა
ოთახი ნახო — წარმატება და სიამოვნებაა, ცარიელი — სიცრუე და უიღბლობაა, ახლობელს დაშორდე
ოკეანე ნახო — დიდება და სიმდიდრეა
ომი — უსიამოვნების, შფოთის და დაბრკოლების ნიშანია
ოპერა მოისმინო — მოლხენილ ამფსონებთან ერთად ხალისიანად იმოგზაურო
ორანჟერეა — ქონება შეიძინო
ორდენი მიიღო — სამსახურში წყენა შეგხვდეს
ორღანი მოისმინო, ან დაუკრა — მნიშვნელოვანი საზეიმო ამბავი შეიტყო

ორთაყვირი — გზას მოულოდნელად დაადგე
ორმო ამოთხარო — პატიოსანი, მძიმე, მაგრამ ამაო შრომაა
ორსული ნახო — უცაბედი მოგებაა
ორსულობა — ყმაწვილი ქალისთვის — ბედნიერი სიყვარულია, დედაბრისთვის — სიკვდილს ელოდეს
ოფიცერი — მორჩილებას, დაქვემდებარებას ნიშნავს
ოქრო — წარმატების და სიმდიდრის ნიშანია
ოქროს თევზი ნახო — მატება და სარგებელია

პ

პაკეტი — მოულოდნელ ცნობას მიიღებ
პალმა — ხელოვნებაში წარმატება და სიხარული ნახო
პალტო, ახალი და სუფთა — პატივი და დიდებაა, ძველი და ჭუჭყიანი — სილატაკე და დამცირება
პანაშვიდი — ქეიფი, მხიარული თავის შექცევაა
პაპა ან დიდედა ნახო — სიმშვიდის და კეთილდღეობის ნიშანია
პაპანაქებამ შეგაღონოს — რაიმე იპოვნო
პარკი — მხიარული მგზავრობის ნიშანია
პატიმარი — ცუდ ამბავს მოასწავებს
პატიმრობა (ციხე) — თავისუფლება და დამოუკიდებლობაა
პეპელა ნახო — კარგია და დალხენილ ცხოვრებას მოასწავებს, თუ დაიჭირე — სიყვარულში გაგიმართლოს
პერანგი, თუ სუფთაა — ჯანი და იღბალი გქონდეს, თუ ჭუჭყიანია სნეულება და ჭორები გელის
პირისახე ნახო, ქორფა და ჯანსაღი — უსიამოვნება და ავადმყოფობაა, ფერმკრთალი და დაქანცული — წარმატება და კაი ჯანია
პირშუშხა ნახო ან ჭამო — ჩხუბსა და ალიაქოთს ნიშნავს, მეგობარი დაკარგო
პისტოლეტი ნახო ან ისროლო — ოჯახში დიდი უსიამოვნება შეგხვდეს
პოლიცია — უსიამოვნო ამბები და წყენა შეგხვდეს
პოლიციელი — წყენა, შეურაცხყოფა და უსიამოვნებაა
პორტრეტი — საყვარელ ადამიანთან პაემანს მოასწავებს
პური ნახო თეთრი, ახალი, გამტკიცული — კეთილდღეობა და ჯანის სიმრთელეა, ხმელი და შავი — მძიმე გარჯა და სილატაკეა

ჟ

ჟანდარმი — ურვა, სიფათი და მოუსვენრობაა
ჟილეტი — ჩხუბი და ორპირობაა
ჟრუნი ნახო ან ჭამო — სიმდიდრის ნიშანია
ჟურნალი წაიკითხო — ახალი ამბები გაიგო

რ

რაინდი ნახო — ღალატს, შურს და ბოროტებას ელოდე გარშემომყოფთაგან
რაკეტა — ცრუ ამბებს შეიტყობ
რაში — გამარჯვების და იღბლიანობის ნიშანია
რკინა — მძიმე და ამაო გარჯაა
რკინიგზა — მგზავრობა სარგებელს მოგიტანს
რკინის ხელსაწყოები — საქმეში ხელი მოგემართოს, მიზანს მიაღწიო
რკო — კარგი ჯანი, სიმდიდრე და პატივი მოგეცეს
როზეი — წყენას, შეურაცხყოფას, სევდას მოასწავებს
როკი — ბინძური, დამამცირებელი საქმეა
როჭო — უიღბლო ქორწინება გელის
რუკა ნახო — უცხო ქვეყნებში ბედნიერად იმოგზაურო
რქა გედგას თავზე — ღალატია, სხვაზე — სასიყვარულო ინტრიგას მოასწავებს, ცხოველის რქა — წყენაა, უსიამოვნება
რძე — მოწველო, დალიო ან ნახო — კარგი ჯანი, მოგება და კეთილდღეობა მოგეცეს

ს

საავადმყოფო — ნიშანია ჯანის, იღბლისა და სარგებლისა
საათი ნახო გამართული — საქმეში გაგიმარჯვოს, კაი ჯანი მოგცეს, გატეხილი — უბედურების, უიღბლობის, დარდიანობის ნიშანია
საბანი — სნეულების ნიშანია
სადგური — წრიალი, შეჭირვება და უიღბლობაა
სადილი მიირთვა — დანაკარგის ან ფაღარათის ნიშანია
სადღეგრძელო თქვა ან მოისმინო — კეთილ და სასარგებლო წამოწყებას წაადგე
საკარცხელი — ჩხუბის და უსიამოვნების ნიშანია
საზამთრო კაცმა ნახოს — შეჭირვების ნიშანია, ქალმა — დაორსულდეს, ქალწულმა — მალე გათხოვდეს
საზიდარი ნახო — უნდო, სათუო საქმეა
საზღვარი გადალახო ან უცხოეთში გაემგზავრო — საქმე უკეთესად წაგიყვიდეს
სათამაშოები ნახო — უნაყოფო საქმეს ხელი მოჰკიდო
სათვალე ან **პენსნე** — უნდობლობას, სიცრუეს, ეჭვს ნიშნავს
სათვალთვალო კოშკი ნახო — სახიფათო მოგზაურობას ელოდე
სათითე — სიცრუის, ჭორების ნიშანია
სათლი ცარიელი ნახო — ცუდია, იმედის გაცრუება, მოტყუება და დანაკარგია, სავსე ნახო — წარმატება და დიდი მატებაა

საკვამლე მილი — გაღატაკებას გიქადის
საკვამურეგის მწმენდავი ნახო — თვალთმაქცი მეგობრებს ნიშნავს
საკვოიაჟი — კეთილი მგზავრობის ნიშანია
საკონდიტრო — ცრუ დაპირებას ნიშნავს
საკუჭნაო — სარფი და დოვლათი შეგემატოს
სალათი ნახო ან ჭამო — ჩხუბი ან მხიარულებაა
სამართეგელი ნახო — სევდას და ხიფათს ელოდე
სამაჯური ნახო — მალე იქორწინო
სამეფო ტახტი — საქმეში გაგიმარჯვოს
სამგლოვიარო ეტლი — ქორწილია
სამგზავრო ეტლი — ყოველმხრივ ხელი მოგემართოს
სამზარეულო — უმადობა და ფაღარათია
სამკაული იხილო — სიყალბეა, სხვისი ქვეშევრდომი გახდე
სამლოცველო — დიდი სიხარულია
სამოვარი — სულიერ სიმშვიდეს ჰპოვებ
სამოთხე — მშვიდობიანი საუბარია
სამუშაო სახლი — დიდი მემკვიდრეობა მიიღო
სამუშაო შეასრულო — წარმატებას ნიშნავს,
სხვა იხილო მუშაობისას — სიმდიდრეა
სამღვდელოება ნახო — ზეიმს ნიშნავს
სამჭედლო — სიმდიდრე და ჯანი მოგეცეს
სამჭედლო და მჭედელი ნახო — კარგი ჯანი, სარგებელია
სანაპირო — საყვარელ ადამიანთან სასიამოვნო შეხვედრა
სანთლები ანთებული ნახო — რელიგიით და რწმენით გატაცებას ნიშნავს
საპონი — სიახლეა, კაი ცხოვრებისაკენ სწრაფვა და საქმეში გამარჯვება
საპყრობილე — ოჯახური უბედურების ნიშანია
სარაფანი — მდაბალი, ვნებიანი გატაცებაა
სარდაფი — მემკვიდრეობის გამო სამართალში მიგცენ
სარკე — ბოროტ, ორპირ და ფარისეველ მეგობრებს ნიშნავს
სარეცხი გარეცხო — სნეულება და უსიამოვნებაა
სასამართლო — ცრუ ამბებს გაიგებ
სასაუზმე — ცუდი მადაა
სასაკლაო — კარგი ჯანი, დიდი ხნის სიცოცხლეა, საქმის კეთილობას ნიშნავს
სასახლე — დიდკაცთან ნაცნობ-მეგობრობას ნიშნავს: დანგრეული — სიღატაკესა და სნეულებას
სასიძო ნახო — სასიყვარულო თავგადასავალი გქონდეს
სასტუმრო — უზნეო და ცუდ წრეში მოხვდე
საუბარი უცხოსთან — მეგობრის უეცარი დაკარგვა,
მიცვალებულთან — ხიფათი და სნეულებაა
საფლავი — მძიმე ბრალდებას, სასამართლოს ნიშნავს, განსაცდელს კეთილად განერიდო

საფეხურებზე ადიოდე — დაწინაურდე და წარმატებას ეწიო, დაეშვა — ზარალი და დამცირებაა
საფულე ცარიელი ნახო — სიღარიბის ნიშანია, სავსე — სარფიანობის, დაკარგო — იზარალო
საქანელა — ოჯახური სიამტკბილობა
საღამო — უსარფო გარიგება
საყვირი მუსიკალური — სიხარული მოგეცეს, საქმეში ხელი მოგემართოს
საყელური — ხიფათის ნიშანია
საყურე — მხიარულებას, ქორწილს ნიშნავს
საჩუქარი მიიღო — მოგებას ნიშნავს, გასცე — უსიამოვნება შეგხვდეს
საჩხრეკი ნახო — კინკლაობის, ავსიტყვაობისა და ჩხუბის ნიშანია
საცეცხლური ნახო — ახლობელის სიკვდილი შეიტყო
საცოგი — დალხენილი მეგობარი გეწვიოს
საცოლე ნახო შენი — ხიფათს ელოდე, სხვისი — დარდიანობას ნიშნავს
სასწორი — სიმართლისა და ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვის ნიშანია
საჯინიგო — სტუმრიანობის ნიშანია
სახარება ნახო — სულიერი კმაყოფილება, მშვიდობა და სიყვარული მოიპოვო
სახატე — ხატი ნახო — მშვიდობა, კეთილდღეობა გქონდეს
სახელოსნო სხვადასხვა ნივთებით — წარმატება და შეძლებაა
სახლი ააშენო — ცუდი ნიშანია, ავადმყოფი მალე მოკვდეს, ჯანმრთელმა ჭაპანი ზიდოს.
სახლს ცეცხლი ეკიდოს — დიდი სარგებელი ნახო
სახრჩობელა — დარდიანობის და ხიფათის ნიშანია
სახურავი — ჭირნახული მრავალი მოიგო
საჭურისი ნახო — გარყვნილი და წამხდარი ცხოვრების ნიშანია
საჰაერო ბუშტი ნახო — აუხდენელი და უმაქნისი ოცნებაა
სეირნობა მინდვრად — ქვეშევრდომობისაგან თავი დაიხსნა, კმაყოფილი და ბედნიერი იყო.
სენაკი — სიმშვიდეს და კეთილდღეობას ნიშნავს
სიასამური ნახო — წარმატებას, პატივს და სიმდიდრეს ეწიო
სიბრმავე — იშვიათი, განსაცვიფრებელი სანახაობა
სიბარა ნახო ან მოსწიო — ქეიფი, დათრობაა
სიკვდილი — ხანგრძლივ სიცოცხლეს ნიშნავს
სიკვდილით დასჯა — უსამართლოდ გაწყენინონ, დაგსაჯონ — დიდ ბედნიერებას ეწიო
სიმღერა ისმინო — ინტიმური ტრფიალის ნიშანია
სიმუნჯე — უსასოობის და მორჩილების ნიშანია
სირბილი — ზარალი და სილატაკე

სირმა ნახო — ჯილდო მიიღო და დაწინაურდე
სილარიბე — მალე გამდიდრდები
სიცილი — ცუდია, წარუმატებლობა და სევდაა
სიხარული — სევდა და ცრემლია
სკა — მომაბეზრებელ ამფსონებს ნიშნავს
სკამი — ხელსაყრელი თანამდებობაა
სკივრი — თუ სავსეა — მოგება ნახო; ცარიელი — წყენაა
სკოლა — წარმატების და ოჯახური ბედნიერების ნიშანია
სოკო ნახო — კეთილდღეობაა
სორო — დამცირებისა და სევდის ნიშანია
სოფელი — ზაფხულზე ნახო — სიხარულს და კმაყოფილებას ნიშნავს; ზამთარში — სევდასა და დარდს
სპილო — უძრავი ქონება შეიძინო
სპილენძი — დოვლათის ნიშანია
სპირტი დალიო — სულის სნეულებაა
სროლისას მიზანში მოხვდე — წარმატებაა, ააცილო — უიღბლობა
სტამბა — დიდი და მნიშვნელოვანი აღმოჩენა
სტაფილო — მონაგები, იღბალი და საქმეში გამარჯვება
სტუმარი გყავდეს შინ — შური, ბოროტება და სიძულვილია
სუდარა — ახლობლის სიკვდილს მოასწავებს
სუნამო იყიდო, გააჩუქო ან იხმარო — საყვარელმა იმედი გაგიცრუოს
სურათი — ფარისეველ მეგობრებს ნიშნავს
სწავლა რაიმესი — დიდება, წარმატება და სიმდიდრეა
სხვენი — ახალ საქმეს წამოიწყებ
სხივი — ბრწყინვალე მომავლის ნიშანია

ტ

ტალღები — საქმე შეგიფერხდეს, დიდი ბრძოლა გასწიო
ტანსაცმელი, სუფთა და მოხდენილი — საქმე კარგად წაგივიდეს, ჭუჭყიანი — უსულგულობას, დაკონკილი და ნაკერებიანი — სახიფათო თამაშს ნიშნავს
ტარაკანი — ლხინის და სიხარულის მაუწყებელია
ტაძარი — მშვიდობის და კეთილდღეობის ნიშანია
ტახტი — მძიმე გარჯა და შეჭირვება ნახო
ტბა, კამკამა და წმინდა — დალხენილი ცხოვრებაა, მღვრიე და ჭუჭყიანი — სილატაკეს, გაჭირვებას, დამცირებას ნიშნავს
ტგორი, ჭუჭყიანი ნახო — ცილისწამება და ჭორებია
ტელეგრაფი — ცრუ ამბებს შეიტყობ
ტელესკოპი ნახო — ქონება შეიძინო
ტერასა — დასვენებას, სიმშვიდეს, კეთილდღეობას ეწიო
ტვირთი მძიმე — მორჩილებას და სიდუხჭირეს ნიშნავს

ᲢᲘᲕᲘ — ᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚᲘ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝᲑᲐᲐ
ᲢᲘᲚᲘ ᲜᲐᲮᲝ — ᲒᲐᲛᲓᲘᲓᲠᲔ
ᲢᲘᲠᲝᲓᲔ — ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲕᲘᲓᲔᲡ
ᲢᲘᲢᲐ ᲜᲐᲮᲝ — ᲠᲐᲘᲛᲔᲗᲘ ᲒᲐᲢᲐᲪᲔᲑᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ
ᲢᲘᲢᲣᲚᲘ (ᲬᲝᲓᲔᲑᲐ) ᲛᲝᲒᲔᲜᲘᲭᲝᲡ — ᲡᲐᲡᲐᲪᲘᲚᲝ ᲨᲔᲠᲩᲘᲚᲘ
ᲢᲙᲘᲪᲐ — ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲨᲔᲭᲘᲠᲕᲔᲑᲐ ᲜᲐᲮᲝ
ᲢᲝᲛᲐᲠᲐ ᲡᲐᲕᲡᲔ ᲜᲐᲮᲝ — ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲢᲔᲑᲐᲐ, ᲪᲐᲠᲘᲔᲚᲘ — ᲐᲛᲐᲝ ᲓᲐ ᲣᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝ ᲒᲐᲠᲯᲐ
ᲢᲝᲠᲝᲚᲐ — ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲡᲐᲠ�გᲔᲑᲔᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲛᲐᲨᲨᲘ ᲘᲚᲑᲐᲚᲡ ᲒᲐᲠᲘᲠᲓᲔᲑᲐ
ᲢᲝᲠᲢᲘ — ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲒᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲘᲐ
ᲢᲝᲢᲘ ᲜᲐᲮᲝ — ᲓᲘᲓ ᲡᲐᲠᲗᲔᲑᲔᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔᲡ ᲔᲬᲔᲕᲘ
ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐ ᲜᲐᲮᲝ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ — ᲪᲠᲣ ᲒᲐᲜᲒᲐᲛᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ
ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘ — ᲛᲝᲡᲐᲑᲔᲖᲠᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲛᲝᲐᲡᲬᲐᲕᲔᲑᲡ
ᲢᲠᲐᲥᲢᲐᲢᲘ — ᲛᲢᲔᲠᲡ ᲨᲔᲣᲠᲘᲒᲓᲔ
ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘ — ᲖᲐᲠᲐᲚᲘᲐ, ᲡᲐᲥᲛᲔ ᲛᲝᲒᲘᲛᲠᲐᲕᲚᲓᲔᲡ
ᲢᲠᲐᲥᲢᲘ — ᲨᲝᲠᲘᲐᲮᲚᲝᲡ ᲘᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝ
ᲢᲠᲘᲣᲛᲘ — ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲒᲐᲛᲭᲚᲐᲕᲜᲓᲔᲡ, ᲩᲮᲣᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲧᲐᲚᲛᲐᲧᲐᲚᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲘᲐ
ᲢᲣᲐᲚᲔᲢᲘ — ᲡᲐᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲝ ᲞᲐᲔᲛᲐᲜᲡ ᲛᲝᲐᲡᲬᲐᲕᲔᲑᲡ
ᲢᲣᲖᲘ — ᲮᲘᲤᲐᲗᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲘᲐ
ᲢᲧᲐᲞᲣᲭᲘ — ᲛᲨᲕᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲒᲥᲝᲜᲓᲔᲡ
ᲢᲧᲔ ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲜᲐᲮᲝ — ᲯᲐᲜᲘᲡ ᲡᲘᲛᲠᲗᲔᲚᲔᲐ, ᲓᲝᲕᲚᲐᲗᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲐ

Უ

ᲣᲒᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲔᲛᲗᲮᲕᲐ ᲐᲜ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ, ᲪᲮᲐᲓᲨᲘ ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗ, ᲐᲒᲘᲮᲓᲔᲡ
ᲣᲙᲑᲘᲚᲝ — ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲕᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲘᲐ
ᲣᲚᲕᲐᲨᲘ — ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲛᲐ ᲒᲘᲚᲐᲚᲐᲢᲝᲡ
ᲣᲠᲘᲐᲓᲜᲘᲙᲘ ᲜᲐᲮᲝ — ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲔᲧᲐᲠᲝ
ᲣᲠᲔᲛᲘ ᲜᲐᲮᲝ ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲣᲚᲘ — ᲪᲣᲓᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲘᲐ, ᲛᲝᲠᲐᲮᲠᲐᲡᲔ — ᲙᲐᲠᲒᲘᲐ, ᲣᲪᲑᲐᲓ ᲒᲐᲛᲓᲘᲓᲠᲓᲔ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲨᲔᲔᲛᲗᲮᲕᲐ
ᲣᲠᲩᲮᲣᲚᲘ — ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐᲜᲘᲐ
ᲣᲤᲡᲙᲠᲣᲚᲘ — (ᲐᲜ ᲮᲠᲐᲛᲘ) — ᲮᲘᲤᲐᲗᲘ, ᲓᲐᲪᲔᲛᲐ, ᲛᲫᲘᲛᲔ ᲓᲐᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘᲐ ᲗᲣ ᲒᲕᲔᲠᲓᲡ ᲐᲣᲕᲚᲘ, ᲤᲐᲗᲔᲠᲐᲙᲡ ᲗᲐᲕᲡ ᲓᲐᲐᲚᲬᲔᲕ, ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲐᲡᲬᲐᲕᲔᲑᲡ
ᲣᲬᲔᲡᲠᲘᲒᲝᲒᲐ ᲜᲐᲮᲝ — ᲬᲧᲔᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲠᲔᲛᲚᲡ ᲔᲚᲝᲓᲔ

Ფ

ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐ — ᲤᲐᲠᲗᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ
ᲤᲐᲘᲤᲣᲠᲘ ᲜᲐᲮᲝ — ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲘᲚᲝ
ᲤᲐᲜᲭᲐᲠᲘ — ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲠᲤᲘᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲔᲬᲘᲝ

ფანჩატური — სიმშვიდეს, ბედნიერებასა და სიხარულს მოგიტანს
ფანჯარა ღია ნახო — დარდიანობის ნიშანია, დაკეტილი — მოწყენილობისა
ფანარი ნახო — საწადელს ეწიო
ფარგალი — ცხოვრებაში მძიმე გამოცდა გერგებოლ
ფარვატერი — საპატიო ადგილი მიიღო
ფარშავანგი — ცვლილებებს, სიცრუეს მოასწავებს
ფაცხა — სასიამოვნო მოგზაურობა გელის
ფელდმარშალი — დამსახურებული პატივი მოგელის
ფელდშერი — სურდო შეგეყაროს
ფერია — ხელოვნებაში გამარჯვებას მიაღწიო
ფერმა — წარმატებას და ბარაქას ნიშნავს
ფერუმარილი იხმარო — მოტყუებული დარჩე
ფერხული ნახო — სასამართლოში გექნეს საქმე
ფესვი — მძიმე შრომა, მორჩილება და სიღატაკეა
ფეხი დაიბანო — მგზავრობის ნიშანია, ფეხზე ბებერა გქონდეს — სიმდიდრეა
ფეხსაცმელი — მოგზაურობის ნიშანია, სუფთა და ლამაზი — კეთილი გზაა, დახეული ფეხსაცმელი და ფეხშიშველა ყოფნა — სნეულება და სიღატაკეა
ფეხშიშველმა იარო — საქმე ალჩუზე დაგიჯდეს, სიმდიდრე და ქონება შეგემატოს
ფინჯანი ნახო სავსე — მოგება მიიღო
ფირნიში — ცრუ დაპირებას ნიშნავს
ფირუზი — ნიშანია უცაბედი შეხვედრისა
ფისი — ბეზღობას, ცილისწამებას და უსიამოვნებას ელოდო
ფიტული — სახიფათო თავგადასავალს ნიშნავს
ფიწალი ნახო — მძიმე და უმადურ საქმეს მოეკიდო
ფლეიტა — ჩხუბი და უსიამო ამბებია
ფლოტი — შორეული მგზავრობის ნიშანია
ფოთლები ნახო მწვანე — სიხარული და წარმატებაა, დამჭკნარი — ავადმყოფობა და დანაკარგი
ფონი — ცუდია, დაბრკოლების ნიშანია
ფონს გახვიდე მდინარეში — საწადელი აისრულო
ფორთოხალი ნახო — ჯანის სიმრთელე აღიდგინო
ფოსტა — მოულოდნელად გაემგზავრო სადმე
ფორტეპიანო — მშვიდი, უშფოთველი, სასიამოვნო ოჯახური ცხოვრების ნიშანია
ფოტოაპარატი — დიდი თანამდებობა და წარჩინებაა
ფოტოსურათი, შენი — ფარისევლური საუბარია, სხვისი — სიცრუეა
ფოცხი — მძიმე და უსიხარულო ცხოვრებაა
ფრაკი — ცბიერი და მოჭორილი სიტყვაა
ფრანი მფრინავი — სიხარულია

ᲤᲠᲔᲜᲐ — სურვილები აგისრულდეს, საქმეში და სიყვარულში გაიმარჯვო
ᲤᲣᲜᲓᲣᲙᲘ — ცხოვრება უკეთესობისკენ წაგივიდეს
ᲤᲣᲜᲗᲣᲨᲐ ᲭᲐᲛᲝ — ჯანი, შეძლება და სიკეთე მოგეცეს
ᲤᲣᲜᲯᲔᲑᲘ სახატავი — დიდ სიხარულს მოასწავებს
ᲤᲣᲢᲙᲐᲠᲘ ნახო — მოგება და სიმდიდრეა
ᲤᲣᲚᲘ, სპილენძისა — უსიამოვნებას ნიშნავს, ვერცხლის — ამაო გარჯას, ოქროსი — დიდ და უსარგებლო საქმეებს, ფულის გადახდა — საქმეში წაგადგება, მიღება — გამრავლებაა
ᲤᲭᲕᲘᲚᲘ ნახო — პატიოსანი და სასარგებლო გარჯაა

Ჭ

ᲭᲐᲗᲐᲛᲘ — სარგებელი და შენამატი გქონდეს, თამაშში გაგიმართლოს
ᲭᲐᲚᲐᲛᲐᲜᲘ ნახო — გაჭირვება და სიღატაკეა
ᲭᲐᲚᲦᲣᲚᲘ ნახო — ტურფა, ნორჩი — სიხარულია, სიყვარულში ხელი მოგემართოს, უშნო — ცუდია, შეყვარებულმა მოგატყუოს და გიღალატოს
ᲭᲐᲚᲦᲣᲚᲘ ᲐᲜ ᲒᲔᲑᲘᲐ — ნიშანია უბედურებისა, სისუსტისა
ᲭᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲐ — უსარგებლო საქმეს ნიშნავს
ᲭᲐᲜᲩᲘ — ამაო ცდის ნიშანი
ᲭᲐᲜᲭᲐᲠᲐ — სიცრუე, ცუდსიტყვაობა და ღალატი
ᲭᲐᲠᲐᲕᲐᲜᲘ — ვაჭრობამ გაგამდიდროს
ᲭᲐᲠᲒᲕᲐ — ტყუილი, პირმოთნეობა და იმედის გაცრუებაა
ᲭᲐᲠᲘ — სასიხარულო ცნობის მიღებაა
ᲭᲐᲠᲘᲡ ᲬᲘᲡᲭᲕᲘᲚᲘ — ყბედობა, ჭორები და უაზრო დავაა
ᲭᲐᲠᲘᲨᲮᲐᲚᲘ — ხიფათი შეგხვდეს და თავი დააღწიო
ᲭᲐᲦᲐᲚᲓᲘ ნახო — თეთრი — სნეულებაა; ფერადი — სიხარულია
ᲭᲐᲦᲐᲚᲓᲘᲡ ᲤᲣᲚᲘ ნახო — საძნელო საქმე, ამაო გარჯა და დიდი წყენაა
ᲭᲐᲩᲐᲚᲘ — კაეშანი და გულუკარებლობაა
ᲭᲔᲘᲤᲘ გესიზმროს — მძიმე ავადმყოფობა მოიხადო
ᲭᲔᲠᲣᲑᲘᲜᲘ — სიხარულის, აღტაცების საწინდარია
ᲭᲕᲐ — საქმე გაგიჯანჯალდეს და დაბრკოლება შეგხვდეს
ᲭᲕᲐᲑᲔᲑᲘ ნახო — ჭორებსა და სიცრუეში გაეხვიო
ᲭᲕᲐᲑᲘ — მშვიდი ცხოვრებაა
ᲭᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘ — დიდი უსიამოვნება შეგხვდეს
ᲭᲕᲐᲗᲘᲡᲣᲠᲝ მუშაობდეს — საქმე შეგიფერხდეს, დადარდიანდე
ᲭᲕᲠᲘᲕᲐᲓ ყოფნა — ბედნიერების, თავის დახსნის, ახალი თავისუფალი ცხოვრების ნიშანია
ᲭᲚᲘᲐᲕᲘ — კეთილდღეობას და ყველაფერში წარმატებას ნიშნავს

ქიმიას ეუფლებოდე — სასარგებლო აღმოჩენა გააკეთო
ქინძისთავი — ჭორებს, შეურაცხყოფას და ალიაქოთს ნიშნავს
ქირურგიული ხელსაწყოები — სახიფათო სნეულებაა
ქისა ფულიანი — დოვლათია, ცარიელი — სიღარიბე და-�iziprovsa
მედობაა
ქოლგა — აუხდენელი ოცნებების და იმედების მომასწავებელია
ქონდრისკაცი — საქმეში წარმატების, დაწინაურების და ჯილდოს საწინდარია
ქონება შეიძინო — საკუთრება დაკარგო, გაყიდო — ახალი შეიძინო
ქორწილი — უსიამოვნება, განხეთქილებაა
ქორჭილა დაიჭირო, ნახო ან ჭამო — უამური ამბავია
ქოხი ააშენო — საქმე კეთილად წაგივიდეს
ქრთამი აიღო — უზნეო საქციელია, ქრთამი მისცე — სევდა და ნაღველია
ქსოვილი — ვაჭრობაში ხელი მოგემართოს
ქსოვილი — ბევრნაირი (აბრეშუმი, მაუდი და სხვა) — დიდი და სასარგებლო გზაა
ქუდი ნახო — წინ გზა გედოს
ქუდი ფორმისა — ძველი ნაცნობი უეცრად შეგხვდეს
ქურდი ნახო — სახიფათოა, დანაკარგსა და მტრობას ნიშნავს
ქურდობა — დამცირების, სილატაკისა და დარდიანობის ნიშანია
ქურქი ნახო — წარმატება და სიმდიდრეა
ქუჩა ნახო — სარფიანი საქმე მოგეცეს

ღ

ღამე — თუ ბნელია, უსასოობას, სილარიბეს გიქადის, მთვარიანი და ნათელი — ჯანის სიმრთელეს და სიმდიდრეს
ღამურა — უძილობის, ცრუ განგაშის და ფაციფუცის ნიშანია
ღვეზელი — გაჭირვება და სილატაკეა
ღვინის სმა — სიხარულია, საქმის წალმა მობრუნება
ღვინო ჩამოასხა — ახალი საქმიანი შეხვედრების ნიშანია
ღიღილო მინდორში ნახო — სიხარულია და ლოთობა, მოწყვიტო — მძიმე სენი და ახლობლის სიკვდილი
ღობე ნახო — გაგიჭირდეს და დაზიანდე
ღორები ნახო — უხეშ, უამურ ხალხს ნიშნავს
ღრიალი გესმას მხეცისა — სიხარულის ნიშანია
ღრუბლები — საქმეში შეჭირვება ნახო
ღრუბელი ნახო — მოგება, სარფი და სიხარულია

ყ

ყაგალახი — სურდო შეგეყაროს
ყაზარმა — საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას ნიშნავს
ყავა — ინტიმური და გულითადი ბაასის ნიშანია
ყავარჯენი — შორი და ძნელი გზაა
ყანა ნახო აბიბინებული — კაი ჯანი, კეთილდღეობა, ბოგება მოგეცეს
ყასაბი ნაჯახით ან დანით ხელში — საშიშროებაა, მძიმე ავადმყოფობას და ხანდახან სიკვდილს ნიშნავს
ყაყაჩო ნახო ან ჭამო — კაეშანია და შემლილობა
ყვავი — ცუდია, დიდი ვარამის, სევდის, სნეულების ნიშანია
ყვავილები — სიამოვნებას მოგანიჭებს
ყვავილი დაყნოსო — სიამოვნება, წარმატება და სიხარული შეგხვდეს, თამბაქო დაყნოსო — ლოთობის და აურზაურის ნიშანია
ყვავილოვანი კომბოსტო ნახო ან ჭამო — შეგამცივნოს
ყველი ნახო ან ჭამო — სიყვარული გაგიცრუვდეს
ყელსაბამი — ღალატს გიქადის
ყინვა — საქმე გაგიჯანჯლდეს მაგრამ წარმატებას და სიხარულს ეწიო
ყინული — ზარალი, დანაკარგი და უიღბლობაა
ყინულმჭრელი — სახიფათოა, ბანაობას ერიდე
ყორე — ახალი საპატიო თანამდებობა გელის
ყურძენი ნახო — სიხარული, ჯანი და შეძლება მოგეცეს

შ

შადრევანი — დიდი სარგებელის ახალი წყარო გამოგიჩნდეს
შავი ძაგა — სევდისა და გლოვის ნიშანია
შამპანური — სარფიანი საქმე გელის
შანდალი — დიდი საიდუმლოება გამჟღავნდეს
შარვალი — ზარალი და სინანულია
შაქარი — ცუდია, გაჭირვებას ნიშნავს
შეგიყვარდეს ვინმე — სასარგებლო, საამო ნაცნობი შეიძინო
შევარდენი ნახო — ცუდი ამბავი გაიგო, მტრისგან შურისძიებას ელოდე
შეტაკება — სენისაგან განიკურნო, სიყვარულში და საქმეში სიკეთე ნახო, მტერზე გაიმარჯვო
შეშლილი ნახო — შიშს, ხიფათს და ცუდ ამბავს ელოდე
შიმშილი — ლხინი, კმაყოფილება და სიმშვიდეა
შიში — სიმამაცის ნიშანია
შლაპა — გრძელ გზას მოასწავებს
შოკოლადი — ჩხუბი, ზარალი და ოჯახური უსიამოვნებანია

ᲨᲝᲨᲘᲐ წყალთან ნახო — კარგია, სასიკეთო ცნობა მიიღო, გალიაში — სევდიან ამბავს შეიტყობ
ᲨᲣᲒᲘ — უიღბლო გზაა
ᲨᲣᲒᲚᲘ — გარჯილობა და წყენაა
ᲨᲐᲚᲔᲠᲘ იყიდო ან კედლებზე გააკრა — საცხოვრებელი შეიცვალო, ახალ საფეხურზე ახვიდე
ᲨᲠᲝᲨᲐᲜᲘ — სურდო შეგეყაროს
ᲨᲤᲝᲗᲘᲡᲗᲐᲕᲘ ნახო — ლხინსა და მხიარულებაში მოხვდე
ᲨᲣᲭᲣᲠᲐ — ხიფათს ელოდე

ჩ

ᲩᲐᲘ გამოხადო — მოულოდნელი სტუმარი გეწვიოს
ᲩᲐᲘ დალიო — ოჯახში ბედნიერება და სიხარული გეწვიოს
ᲩᲐᲛᲝᲕᲐᲠᲓᲜᲐ სიმაღლიდან — დიდება და პატივია
ᲩᲐᲜᲒᲐᲚᲘ — დიდკაცი დაგეხმაროს, კეთილ საქმეს ეწიო
ᲩᲐᲠᲩᲝ — საქმე შეგიფერხდეს, წინააღმდეგობას შეხვდე
ᲩᲐᲛᲝᲛᲮᲠᲩᲕᲐᲚᲘ ნახო — სიხარულის ნიშანია
ᲩᲐᲩᲘ — სასიყვარულო პაემნის ნიშანია
ᲩᲕᲘᲚᲘ ჯანსაღი ნახო, ბედნიერი სიყვარულია, სნეული — ღალატი და ოჯახური აყალმაყალი
ᲩᲘᲒᲣᲮᲐ ნახო — შორი გზიდან უსტარს ელოდე
ᲩᲘᲒᲣᲮᲡ ეწეოდე — სახიფათო გატაცება გექნება
ᲩᲘᲠᲐᲚᲓᲐᲜᲘ — ახლობელი ქალის სიკვდილი გაიგო
ᲩᲘᲢᲔᲒᲘ ნახო — სიხარულის ნიშანია
ᲩᲠᲓᲘᲚᲘ შენი ან სხვისი — შენი ნამოქმედარის გეშინოდეს
ᲩᲠᲩᲘᲚᲘ — ეშმაკი და უნამუსო მტრებია
ᲩᲐᲭᲣᲩᲘ ნახო — გარჯა, საქმეში წინსვლაა
ᲩᲮᲕᲚᲔᲢᲐ — ჭორებსა და ცილისწამებას ვერ ასცდე
ᲩᲮᲣᲒᲘ — განხეთქილებას ნიშნავს, მეგობრებს დაშორდე და ოჯახში უსიამოვნება გექნეს
ᲩᲮᲣᲒᲘ ქნა — დარბაისლურ საუბარს ნიშნავს

ც

ᲪᲐ ნახო მოწმენდილი — სიხარულს, სიმშვიდეს, ნეტარებას მოგიტანს, მოღრუბლული და პირქუში — სევდას, ნაღველს და უიღბლობას ნიშნავს
ᲪᲐ თეთრი ღრუბლებით დაფარული — შრომამ გაგიმარჯვოს, შავღრუბლიანი — ცუდია, მწუხარების და სევდის ნიშანია, მეწამული ღრუბლებით მოფენილი — მძიმე სნეულებას და სიკვდილს მოასწავებს
ᲪᲐᲠᲪᲘ — დაუმსახურებელი წყენა და ცილისწამება არის
ᲪᲔᲙᲕᲐ — ფუჭი გარჯაა
ᲪᲔᲛᲐ ბავშვისა — უზრდელობას და ოჯახში ალიაქოთს ნიშნავს
ᲪᲔᲛᲝ ვინმე — ცუდია, სინანული და დარდიანობა გექნეს

ᲪᲔᲠᲪᲕᲘ ᲭᲐᲛᲝ — ᲪᲣᲓᲘᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲭᲘ ᲓᲐᲒᲘᲡᲜᲔᲣᲚᲓᲔᲡ
ᲪᲔᲪᲮᲚᲘ — ᲤᲣᲭᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲔᲑᲘᲐ
ᲪᲔᲪᲮᲚᲤᲐᲠᲔᲨᲘ — ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲘᲐ
ᲪᲘᲒᲐ ᲜᲐᲮᲝ — ᲒᲐᲠᲗᲝᲑᲐᲡ ᲛᲝᲐᲡᲬᲐᲕᲔᲑᲡ
ᲪᲘᲒᲣᲠᲔᲒᲘᲗ ᲐᲜ ᲪᲘᲒᲘᲗ ᲘᲡᲠᲘᲐᲚᲝ — ᲙᲐᲠᲒᲘ ᲓᲠᲝᲡᲢᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲥᲝᲜᲓᲔᲡ
ᲪᲘᲡᲐᲠᲢᲧᲔᲚᲐ — ᲢᲧᲣᲘᲚᲘ ᲨᲘᲨᲘᲐ
ᲪᲘᲤᲠᲔᲒᲘ — ᲤᲣᲡᲤᲣᲡᲘ, ᲒᲐᲠᲯᲘᲚᲝᲑᲐ, ᲡᲘᲪᲘᲜᲔᲚᲔᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲣᲐᲛᲣᲠᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲐ
ᲪᲘᲧᲕᲘ ᲜᲐᲮᲝᲡ ᲙᲐᲪᲛᲐ — ᲔᲨᲛᲐᲙᲘ ᲓᲐ ᲪᲠᲣ ᲓᲔᲓᲐᲙᲐᲪᲘ ᲒᲐᲘᲪᲜᲝᲡ, ᲒᲐᲛᲝᲔᲙᲘᲓᲝᲡ, ᲒᲐᲙᲝᲢᲠᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲥᲝᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲝᲡ, ᲥᲐᲚᲛᲐ ᲜᲐᲮᲝᲡ — ᲣᲚᲘᲠᲡᲛᲐ ᲙᲐᲪᲛᲐ ᲛᲝᲐᲢᲧᲣᲝᲡ
ᲪᲘᲮᲔ — ᲓᲝᲕᲚᲐᲗᲘ, ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲐᲐ
ᲪᲘᲮᲔ-ᲓᲐᲠᲒᲐᲖᲘ — ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲐᲐ
ᲪᲘᲮᲔ-ᲡᲘᲛᲐᲒᲠᲔ ᲜᲐᲮᲝ — ᲛᲣᲓᲐᲛ ᲡᲮᲕᲐᲡ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲓᲔ
ᲪᲝᲚᲘ ᲨᲔᲘᲠᲗᲝᲡ — ᲪᲝᲚᲘᲐᲜᲡ ᲓᲔᲓᲐᲙᲐᲪᲛᲐ ᲣᲚᲐᲚᲐᲢᲝᲡ, ᲣᲪᲝᲚᲝᲛ — ᲝᲠᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲠᲓᲘ ᲜᲐᲮᲝᲡ
ᲪᲝᲛᲘ — ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ, ᲛᲪᲘᲠᲔ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲘᲐ
ᲪᲝᲤᲘᲐᲜᲘ ᲫᲐᲚᲚᲘ ᲜᲐᲮᲝ — ᲛᲝᲡᲘᲡᲮᲚᲔ ᲛᲢᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲘᲩᲜᲓᲔᲡ ᲣᲙᲔᲗᲣᲠᲔᲑᲘᲡ, ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲪᲐᲠᲕᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲘᲐ
ᲪᲝᲪᲮᲘ — ᲙᲐᲠᲒᲘᲐ, ᲡᲐᲥᲛᲔ ᲬᲐᲚᲛᲐ, ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲑᲘᲡᲙᲔᲜ ᲬᲐᲒᲘᲕᲘᲓᲔᲡ
ᲪᲠᲔᲛᲚᲘ — ᲜᲣᲒᲔᲨᲘᲡᲪᲔᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲐ
ᲪᲣᲠᲐᲕᲓᲔ — ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲝ
ᲪᲮᲕᲠᲔᲑᲘ — ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲜᲐᲮᲝ
ᲪᲮᲕᲐᲠᲘ — ᲯᲐᲜᲘᲡ ᲡᲘᲛᲠᲗᲔᲚᲔ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔᲐ
ᲪᲮᲔᲓᲐᲠᲘ ᲜᲐᲮᲝ — ᲣᲔᲪᲐᲠᲘ ᲮᲘᲤᲐᲗᲘᲐ
ᲪᲮᲔᲜᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘ — ᲡᲐᲛᲐᲛᲐᲪᲝ ᲖᲜᲔᲐ
ᲪᲮᲔᲜᲖᲔ ᲘᲯᲓᲔ — ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲐ. ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝᲑᲐᲐ
ᲪᲮᲔᲜ-ᲘᲠᲔᲛᲘ ᲜᲐᲮᲝ — ᲛᲣᲓᲐᲛ ᲡᲮᲕᲐᲡ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲓᲔ
ᲪᲮᲘᲛᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐᲒᲕᲐᲠᲘ — ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝᲛᲧᲝᲤᲗᲐ ᲞᲘᲠᲛᲝᲗᲜᲔᲝᲑᲐ, ᲡᲘᲪᲠᲣᲔ ᲓᲐ ᲗᲕᲐᲚᲗᲛᲐᲥᲪᲝᲑᲐᲐ
ᲪᲮᲕᲘᲠᲡᲐᲮᲝᲪᲘ ᲡᲣᲤᲗᲐ — ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲘᲐ, ᲭᲣᲭᲧᲘᲐᲜᲘ — ᲦᲐᲚᲐᲢᲘᲡ

Ძ

ᲫᲐᲚᲐᲧᲘᲜᲘ — ᲓᲘᲓᲘ ᲮᲘᲤᲐᲗᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲘᲐ
ᲫᲐᲚᲚᲘ ᲜᲐᲮᲝ ᲛᲨᲕᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲐᲚᲔᲠᲡᲘᲐᲜᲘ — ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘᲐ, ᲛᲧᲔᲤᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲫᲕᲘᲜᲕᲐᲠᲔ — ᲛᲝᲡᲘᲡᲮᲚᲔ ᲛᲢᲔᲠᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ
ᲫᲐᲚᲚᲘᲡ ᲡᲐᲧᲔᲚᲝ — ᲮᲘᲤᲐᲗᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲓᲐᲒᲩᲐᲒᲠᲝᲜ ᲓᲐ ᲒᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ
ᲫᲐᲚᲚᲘ ᲧᲔᲤᲓᲔᲡ — ᲓᲘᲓᲘ ᲮᲘᲤᲐᲗᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲓᲐᲠᲘᲐ
ᲫᲐᲫᲔᲑᲘ — ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲚᲑᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐᲐ

ძეგლი — დიდ მემკვიდრეობას მიიღებ
ძეგლი ნახო სასაფლაოზე — მშვიდი და ღირსეული ცხოვრება გქონდეს
ძენძი — ძნელი, აწეწილი საქმეა
ძერა — საშიში მტერია
ძეხვი ნახო ან ჭამო — იოლი გამორჩენა, მოგება, მეძალადრეობა მიიღო
ძიძა ნახო ბავშვიანად — ბედნიერება, ილბალი და ოჯახური კეთილდღეობაა
ძმა იხილო — ცრუ ამბავია
ძნა ნახო — მოგებას და სიმდიდრეს ნიშნავს
ძრომიალი ხეზე — საქმეში ან სამსახურში დაწინაურების ნიშანია
ძროხები ნახო ნაპატიები — სიმდიდრეა, მჭლე — სიღატაკე და შეჭირვებაა.

წ

წაგლი ნახო ან ჭამო — საქმეში და სიყვარულში გაიმარჯვო
წამალი — უსიამოვნო საქმეა
წამოსასხამი ნახო ან მოისხა — დიდი პატივი გხვდეს
წარბები — მეგობრებთან დროსტარებას გპირდება
წალი — მოგზაურობას ნიშნავს, თუ ვიჭირს, ძნელი გზა გელის
წვერი გრძელი გქონდეს — პატივი და ღირსებაა, მოკლე — სამართალში მიგცენ, წვერი გაგცვივდეს — დამცირება და თავის შერცხვენაა
წვივსაძრავი — ეჭვიანობამ ოჯახში არეულობა მოგიტანოს
წვიმა ნახო — საქმეში ხელი მოგემართოს, დიდი და სარფიანი მოგებაა
წერილი მიიღო — მოულოდნელი ამბავი შეიტყო, გაგზავნო — მეგობარს შეხვდე
წერო — ოჯახი გაგიმრავლდეს და გაიხარო, დიდი კაცი დაგეხმაროს, სამსახური გაგიწიოს
წიგნები იყიდო, წაიკითხო, ან ნახო, მეცნიერებაში წარმატებას ეწიო, რაიმე აღმოაჩინო, ნათელი და საამო ცხოვრება გქონდეს
წინდა — უსიამო ამბავია, ჩხუბს მოასწავებს
წინსაფარი ძველი და დაგლეჯილი — სნეულება და ოჯახური არეულობაა. სუფთა — კარგი ჯანი და ოჯახში წარმატება
წისქვილი — ჭირნახული, საქმეში სარგებელია
წიწაკა ნახო ან ჭამო — შეჭირვება შეგხვდეს
წიწილები ნახო — ოჯახში სიხარულს ეწიო
წყალდიდობა — ხელსაყრელი საქმეა, სიმდიდრეა
წყალი სუფთა — კარგია, სახელი მოგემატოს, წარმატება და

კეთილდღეობა ნახო, მღვრიე, ჭუჭყიანი და შავი წყალი ნახო — სევდა, წყენა, ჭორები მოგიმრავლდეს, საქმეში ზარალია
ᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲬᲧᲐᲚᲘ ნახო — დიდ მოგებასა და ბედნიერ ცოლქმრობას გიქადის
ᲬᲧᲚᲘᲡ ᲨᲠᲝᲨᲐᲜᲘ — ნეტარება და აღმაფრენაა
ᲬᲧᲜᲐᲠᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝ — ხალისიანი, წყნარი და კმაყოფილი ცხოვრების ნიშანია
ᲬᲧᲣᲠᲕᲘᲚᲘ ანკარა წყლით მოიკლა — ჯანის სიმრთელე და წარმატების საწინდარია. მღვრიე წყალი დალიო — ავადმყოფობისა და შეჭირვების ნიშანია
ᲬᲣᲠᲑᲔᲚᲐ — კაცისთვის — ბოროტი და ეშმაკი ცოლია, ქალისთვის — სახიფათო სიყვარული

Ჯ

ᲯᲐᲒᲚᲐᲒᲖᲔ იჯდე — გართობა და მხიარულებაა
ᲯᲐᲓᲝᲥᲐᲠᲘ ნახო — დიდი უსიამოვნება, უბედურება შეგემთხვევა, სიცრუეს და სხეულებას შეეყარო
ᲯᲐᲚᲐᲗᲘ — სინანული და სინდისის ქენჯნაა
ᲯᲐᲠᲘ — ქვეყანაში ერთობ დიდი ამბავი მოხდეს
ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘ ნახო — ლოცვა და შფოთია
ᲯᲐᲧᲕᲐ ნახო — ჩხუბის ნიშანია
ᲧᲐᲕᲐ — ინტიმური და გულთადი ბაასის ნიშანია
ᲯᲕᲠᲔᲑᲘ — ფიქრია შავნაღვლიანი
ᲯᲕᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲐ — მძიმე მოვალეობა, საზრუნავი და გასაჭირია
ᲯᲘᲚᲓᲝ ნახო — იმედები გაგიცრუვდეს
ᲯᲝᲯᲝᲮᲔᲗᲘ — სინდისის ქენჯნის და სინანულის ნიშანია
ᲯᲣᲠᲦᲛᲣᲚᲔᲑᲘ ნახო — უკეთ წაგივიდეს საქმე

Ხ

ᲮᲐᲕᲔᲠᲓᲘ — მოგზაურობას ნიშნავს
ᲮᲐᲖᲘᲜᲐ — ხიფათს ელოდე
ᲮᲐᲚᲐᲗᲘ — ხანგრძლივი სენია შიგნეულისა
ᲮᲐᲚᲘᲩᲐ ნახო — დასვენების, სიმშვიდის და კეთილდღეობის ნიშანია
ᲮᲐᲚᲮᲘ ნახო ბევრი — დამოუკიდებლობა დაკარგო, სხვას მორჩილებდე
ᲮᲐᲚᲮᲘ ნახო — მნიშვნელოვანი ამბები გაიგო
ᲮᲐᲛᲐᲜᲬᲐ — ტანჯვა, სიდუხჭირე, დამცირება განიცადო
ᲮᲐᲜᲫᲐᲠᲘ — გაცივდე და ავად გახდე
ᲮᲐᲜᲯᲐᲚᲘ ნახო — ხიფათს ელოდე
ᲮᲐᲠᲘ — მოგზაურობის ნიშანია
ᲮᲐᲢᲘ — კეთილდღეობას ნიშნავს
ᲮᲐᲮᲕᲘ — მემკვიდრეობისთვის დავა გექნეს
ᲮᲑᲝ — საქმეში ხელი მოგეცაროს
ᲮᲔ აყვავებული ნახო — კეთილდღეობას ეწიო, მოჭრილი —

დანაკარგია, მსხმოიარე — მოგებას მოგიტანს, გაძარცვული — გაძაღლებულ სიბერეს ნიშნავს, ხეზე ასვლა — საქმეში წაგადგება და სახელს მოგიმატებს

ᲮᲔᲘᲖᲐᲠᲘ — მშვიდი სიბერე გელის

ᲮᲔᲚᲔᲑᲘ შებორკილი ნახო — ხიფათის ნიშანია, შეჭირვებას, სილატაკეს, უსასოობას ნიშნავს

ᲮᲔᲚᲗᲐᲗᲛᲐᲜᲘ ნახო — ახლობელს დასცილდე

ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔ ან დედოფალი ნახო — დაკმაყოფილებული პატივმოყვარეობის, მოუსვენარი ცხოვრების ნიშანია

ᲮᲔᲚᲜᲐ — შორ გზას დაადგე

ᲮᲔᲚᲡᲐᲮᲝᲪᲘ ნახო სუფთა — კარგ საზოგადოებაში გახვიდე, ჭუჭყიანი — ცუდ წრეში ტრიალებდე, განხეთქილებას ნიშნავს

ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘ გასცე — ზარალია, მიიღო — სარგებელი

ᲮᲔᲚᲬᲔᲠᲐ ნაცნობისა ან მეგობრისა — ზარალსა და სიცრუეს ნიშნავს

ᲮᲔᲮᲘᲚᲘᲡ ბაღი — ბედნიერი ცოლ-ქმრობის და დიდი ოჯახის ნიშანია

ᲮᲕᲔᲚᲐ — ბრწყინვალე ჯანმრთელობის ნიშანია

ᲮᲘᲚᲘ სხვადასხვანაირი — დიდძალი ნაშიერია

ᲮᲘᲓᲘ — ძნელი გზაა, დაბრკოლება და შეჭირვება

ᲮᲘᲤᲗᲐᲜᲘ ნახო — პატივი და დიდი თანამდებობა მიიღო

ᲮᲛᲐᲚᲘ — მეგობრებთან ჩხუბის დროს ხიფათს ელოდო

ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘ — ბედნიერი ცოლ-ქმრობის ნიშანია

ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲡ დაღუპვა — საქმეში გაგიმართლოს

ᲮᲝᲮᲐᲕᲓᲔ — ტანჯვა, სიდუხჭირე, დამცირება განიცადო

ᲮᲝᲮᲝᲑᲘ ნახო — კეთილი გზაა

ᲮᲝᲠᲪᲘ, მოხარშული ჭამო ან ნახო — კეთილდღეობის ნიშანია, უმი — ავადმყოფობა და დარდი იცის

ᲮᲝᲠᲪᲘ ძროხისა ნახო ან ჭამო — ბოროტი და ავი საქმე ქნა

ᲮᲝᲭᲝ — ვალის ნიშანია, ფულში გაუგებრობა შეეხვდეს

ᲮᲠᲐᲮᲜᲘᲡ ჩახრახვნა — საქმე შეფერხდეს

ᲮᲣᲜᲓᲔᲑᲘ ნახო — სილატაკის და შეჭირვების ნიშანია

Ჭ

ᲭᲐ — ჭირნახული და საქონელი გაგიმრავლდეს

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ — შეეჯიბრს, ნაცნობებთან ჩხუბს ნიშნავს

ᲭᲐᲛᲐ ძილში — ნიშანია შეჭირვებისა და წარუმატებლობისა

ᲭᲐᲝᲑᲘ — ზარალია და საქმე წაგიხდეს

ᲭᲐᲚᲐᲠᲐ იყო — უცებ გამდიდრდე

ᲭᲐᲚᲘ — საზეიმო საკრებულობაში იყო

ᲭᲕᲐᲕᲘᲡ ᲞᲣᲠᲘ — წარმატება, გამარჯვება, მოგებაა

ᲭᲘᲕᲭᲐᲕᲘ — ბალიაში — საყვარლის ღალატია

ᲭᲘᲚᲧᲕᲐᲕᲘ ნახო მფრინავი და მოყაშყაშე — უბედურებაა, დარტყმა, დანაკარგი ან მიცვალებულია

ჭიანჭველა — ოჯახში სიხარული და წარმატება გქონდეს
ჭინჭები — ქონება მოიხვეჭო, ზეიმი და ქორწილი გექნეს
ჭიქა — ლხინს, დროსტარებას გპირდება
ჭექა-ქუხილი ისილო — უფროსის რისხვას ნიშნავს
ჭრილობა — ჯანის სიმრთელე და კეთილდღეობაა
ჭურჭელი სავსე ნახო — უცაბედი შემატება და სიმდიდრეა, ცარიელი — დანაკარგსა და სილატაკეს შოასწავებს

ჰ

ჰაერი წმინდა ნახო — ბედნიერებას ეწიო
ჰალსტუხი — მძიმე ტვირთი და შეჭირვება
ჰარამხანა — სასიყვარულო სრიკების, ეჭვისა და ღალატის, უილბლო ქორწინების ნიშანია

ტემპერამენტის გავლენა ძილსა და სიზმარზე

არავის ეეჭვება, რომ ჩვენი აზრები და იდეები ყოველთვის ჩვენი ორგანიზმის ფიზიკურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული.

ჩვენი მიდრეკილებანი და ვნებები ორგანიზმის საერთო მდგომარეობიდან, ტემპერამენტიდან, სისხლის შემადგენლობიდან და ნერვიული წყობიდან გამომდინარეობს.

ჩვენი შემეცნებანი, შეხედულებანი საგნებსა თუ მოვლენებზე უმთავრესად ჩვენსავ ტემპერამენტზეა დამოკიდებული.

ავადმყოფი ორგანიზმი აზრებს მწუხარე და მელანქოლიურ ელფერს აძლევს, ხოლო ჯანმრთელი — ხალისიან და მხიარულ იდეებს წარმოშობს.

ერთსა და იმავე საგანს თუ მოვლენას სხვადასხვანაირად ვეკიდებით, იმისდა მიხედვით, თუ რა მდგომარეობაშია ჩვენი ორგანიზმი, კუჭი, ნერვები.

ტემპერამენტი, ინსტინქტები და მიდრეკილებანი უწყვეტადაა დაკავშირებული ადამიანთან და ძილის დროსაც ისევე ძლიერად მოქმედებენ სულსა და აზრებზე, როგორც მღვიძარებისას.

ძილში გონება სუსტად ეწინააღმდეგება ჩვენი აღნაგობის ფიზიკურ გავლენას და მაშინ ტემპერამენტი ბატონობს, ინსტინქტები ლოგიკასა და გონებას ჯაბნიან. ამიტომ ხშირად მაღალზნეობრივი, ჭკვიანი ადამიანები ვნებიან სიზმრებს ნახულობენ ან ძლიერ კეთილ, მშვიდ ადამიანებს ბრძოლები, სისხლისღვრა და სხვა საშინელებანი ეზმანებათ.

სიზმარი აახლოებს ადამიანს ბუნებრივ მდგომარეობასთან და აღვიძებს მასში ველურ, პირველყოფილ ინსტინქტებს. ძილში ადამიანი შორდება აღზრდით შეთვისებულ აზრებს და რწმენას.

3-2003

ფასი 2 ლარი

П 4460/2